



პოლიკარბე კაკაბაძე

რხეალო
თხგაყოებანი

პიესეპი

სახელგამი

1954



კოხელია
რთხ მრეხედეხალ

მოქმედი პირნი:

უვარუვარე თუთაბერი — მეტსახელად ნაცარქეკია

კაკუტა } გლეხები
ქუჩარა }

მეწისქვილე

გულთამზე — მეწისქვილეს ასული

ხევახტი — რევოლუციონერი

1-ლი ოფიცერი

მე-2 ოფიცერი

ადიუტანტი — № არმიის შტაბის საიდუმლო მაგიდის გამგე

მწერალი — მისი თანამშრომელი

გენერალი

პოლკოვნიკი

ხამხედრო გამომძიებელი — პოდპოლკოვნიკი

ჯარისკაცი — შიკრიკი

რწმუნებულნი — დროებითი მთავრობისა ამიერკავკასიაში

მდივანი

შეკრიკი

ტიტე ნატუტარი, — მაზრის კომისარი

რევკომის თავმჯდომარე

ქალი

გლეხები, აბრაგები, რახმელები, ტუსალები და წითელარმიელები

მოქმედება პირველი

რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის ხაზთან სოფლის წისკვილი. შუა ცეცხლთან ზის ყვარყვარე თუთაბერი, მეტსახელად ნაცარქექია და ქექავს ნაცარს. მეწისქვილე ფქვილს მინდავს და ნელ-ნელა ლილინებს.

ყვარყვარე — კმარა, მუდამ ხომ არ უნდა ილილინო?!

მეწისქვილე — შენ რას გიშლი!

ყვარყვარე — (თავუღებლად) ფიქრს ნუ მაწყვეტინებ. (დუმილია).

მეწისქვილე — (ხელის მოსათობად დაიხრება კვრასთან და აკვირდება ნაცარს) ეს რა მოგიქარგავს ნაცარში?!

ყვარყვარე — გეგმაა, ხომ გესმის, ბებერო. დახედე აქ, რა ამბავია... ეს არის რკინიგზა, აი, აქ იწყება, ასე მიდის... ა... ასე უხვევს და მიაღდება ამ მაღალ მთას, ახლა აქედან გზა სად წავა, შე ძველო, აბა, თუ მიხვდები.

მეწისქვილე — (აკვირდება) რა ვიცი.

ყვარყვარე — აქ გვირაბია საჭირო.

მეწისქვილე — გვირაბი რა საჭიროა?

ყვარყვარე — მაშ, ხომ არ გადაახტება მატარებელი ამოდენა მთას!

მეწისქვილე — მერე, შე კაცო, მთას რად უხვედრებ წინ, ველზე გაუშვი, შენი ნება არაა!

ყვარყვარე — მოდი და ასეთ კაცს ელაპარაკე! გესმის რა არის გეგმა? არ გესმის.

მეწისქვილე — რა ვიცი.

ყვარყვარე — მთავრობას ამ მთის გარშემო გაყავს გზა და იმ უხეირო ინჟინრებს ფიქრად არ მოსვლიათ, რომ გვირაბი აქ გზას შეამოკლებს. (აზვად) აი, მე რომ ჩემს გეგმას უფროსს წარუდგენ და მერე ლარივით რომ გავიყვან მთაში იმოდენა გვირაბს. შენ ის უნდა ნახო.

მეწისქვილე — ნელა ილაპარაკე.

ყვარყვარე — რატომ?

მეწისქვილე — მანამდე ბაყაყს კბილები ამოუვა.

ყვარყვარე — დიდი მოიჯარადრე შევიქნები, დიდისაგან დიდი.

კი ნახავ. ქრთამს სულ ქერივით დავაბნევე დიდკაცობაში. თვალი დაგიბრმავდება. რომ გაგივლი და არ შეგხედავ.

მეწისქვილე — (წყენით) ჰმ!

ყვარყვარე — გეწყინა? მაშ, როგორ გგონია, მე, ყვარყვარე თუთაბერს, ენით შენ შემომიარ?

მეწისქვილე — რა ვიცი, პატარა ხიდის გაკეთება აილე იჯარით და ისეთი ბუქი დააყენე, თითქოს მთა და ბარი გქონდა გასასწორებელი და ის ხიდი მაინც ვერ გააკეთე.

ყვარყვარე — კი გავაკეთებდი, მარა დამეზარა ის ოხერი, ტვინი წაიღო იმისმა ანგარიშებმა, თავი მომაძულა!!!

მეწისქვილე — ჰო-და, აი, აგერ შენი პირით გამოტყდი.

ყვარყვარე — შე უტვინო, იმას თავს ვერ გავართმევ? დახედე?

მეწისქვილე — (ღიმილით) ნაცარში გვარიანად ქარგავ.

ყვარყვარე — ვითომ იცინი, არა? დამალე მაგ ჩაქონქილი კბილები. თორემ!..

მეწისქვილე — (წყენით) ჰმ! (მიდის და ფეხელში ხელს ურევს გულმოსული) ასე რომ იწყებები, ამ წისქვილის პატრონი მე ვარ, თუ შენა ხარ?!

ყვარყვარე — (არ უპასუხებს. განაგრძობს ნაცრის ქექვას. წისქვილი იწყებს ხრიალს).

მეწისქვილე — ეჰე, საფქვავე შემომმელია. (ყვარყვარეს) შენთან ლიტინს მირჩეენია წყალი გადავუშვა და წისქვილი შეეასვენო. (მიდის)

ყვარყვარე — ეე, ცეცხლი იფშუტება, სადაა შეშა?! ჯირკს მაინც მოვაგორებ კერასთან. (მოევიდება ჯირკს და ვერ გაანძრვს). მძიმეა. რა ზარმაცი მოხუცია, სულ ინას უყურებს, რომ მე დავუპო შეშა და შემოვუტანო. მანამ ნუ გაითბობს გვერდებს, სანამ მე მას შეშა არ დავუჩეხო!! (შემოდის მეწისქვილე. აკანკალებულია, ეთბობა კრას).

მეწისქვილე — თათრების მხარეზე რომ გავიხედე, გული გადამიტრიალდა.

ყვარყვარე — რა მოხდა?

მეწისქვილე — თოფის სროლა აქეთ მოიწვეს. ეტყობა, საქმე ცუდადაა.

ყვარყვარე — მაშ, შენი სიტყვით დღეს აქ თათრები შემოცვივან და დაგვკლავენ.

მეწისქვილე — თუ ჯარმა უკან დაიხია, — ვინ იცის.

ყვარყვარე — (აღშფოთებული) ჩერჩეტობ!

მეწისქვილე — განა ცოტა სასწაული მომხდარა?! (იხვევს წელზე

ძველ შალს) ამისთანა დროს წელში ქარი გამიდგა და ვერც
გავიქცევი.

ყვარყვარე — რას ამბობ?!. ტყუილა გული არ დამიშინო,
თორემ... ამ წისქვილს სულ რიარიად წავეილებ.

მეწისქვილე — მოერევი?

ყვარყვარე — რას ვერა, გინდა ახლავე შიგ გამოგქექყო?!!

მეწისქვილე — ეს რა გადავიკიდე. მე ისე ვატყობ, აქედან გა-
დენასაც მიპირებ.

ყვარყვარე — (მოლბება) არა, რატომ!.. (შეაფრუოლებს სიცივით) სად
უნდა გაგაგდო ახლა ამისთანა ამინდში.

მეწისქვილე — როგორ, ვინ უნდა გავიდეს აქედან, მე თუ შენ?
ვისია ეს წისქვილი?

ყვარყვარე — კარგი, გქონდეს.

მეწისქვილე — როგორ შენი ნაჩუქარია?

ყვარყვარე — ახლა ეს ზამთარიც იღვევა და რომ გამოზაფხულ-
დება მერე მე ვიცი შენი სამაგიერო პატივისცემა. ისეთ განი-
ერ მუხის ჩრდილს გიშოვნი, რომ მეფესავით წამოწვე. (ამოქნა-
რებს) ზაფხულში ჩრდილს რა სჯობია, ოჰ, რა მადაზე მოხვალ!
მაშინ ნახე ჩემი მასპინძლობა, — ჩიტის რძე რაა, იმას არ
მოგაკლებ.

მეწისქვილე — (შეფიქრდება) რა ვიცი, ახლა შენ არ იყავი... ისე
ავარდი, რომ...

ყვარყვარე — რა ვუყოთ, კაცი ხან ავარდები, ხან დავარდები...
და... ბოლოს... ეჰ, ადამიანის ბოლო უბედურია, სიკვდილი
რომ გამახსენდება, სულ კინჰარივით განბურძგლავს ტანში.
ერთი ეს მითხარი, რაა კაცის სიცოცხლე?!

მეწისქვილე — არაფერი არაა, კირის დღეზეა კაცი გაჩენილი.

ყვარყვარე — ჰოდა, აბა, სიამტკბილად მოგუქციოთ ერთმანეთს
ღრანჭი. მეტი რაა ქართველი კაცის სიცოცხლე.

მეწისქვილე — ამას არ ამბობ უქკუოდ. (ხელს უფათურებს ყრას)
ოჰ, ცეცხლიც გვეფშუტება.

ყვარყვარე — მაშ, ერთი, შენს გახარებას, წადი და შეშა შე-
მოიტანე.

მეწისქვილე — ხომ იცი, წელი რომ მტკიავა, შენ მოიტანე.

ყვარყვარე — ნელა ილაპარაკე. მე ყინვაში გავალ? აქედან ახლა
თოფითაც ვერ ამაგდებ. ხომ ხედავ, არ მცალია.

მეწისქვილე — რას აკეთებ? შეშის დაჩეხა გიქირს და ვითომ
მთების გათხრაზე ფიქრობ?

ყვარყვარე — სად შეშის დაჩეხა, შე უტვინო, და სად მთების გათხრა, რას მელაპარაკები. მე ხიდის იჯარასაც იმიტომ გავუშვი ხელი, რომ პატარა საქმე ქირივით მეზარება (აღშფოთებული) და ახლა შენ ისე ამიგლე, რომ შეშის მჩეხველად მხდი?

მეწისქვილე — ეს რა გადავიკიდე, სამი ნაცოლვეი კაცი ვარ და ამისთანა გაჭირვება არ დამდგომია. ქუჩიდან კაცი შემოვიხიზნე, ვიფიქრე, კედელუყურეს გამიცოცხლებს. მეთქი, ეს კი სულ მომხდურივით არის (აღშფოთებული), მორჩა და გათავდა, შენი შემხიზნელი აღარა ვარ.

ყვარყვარე — ჭკუაზე მოდი, ეს კერა არ გამიცვიო, თორემ... (მუშტს მოუღერებს).

მეწისქვილე — რას მემუქრები?

ყვარყვარე — სულს ამოგაცლი, თუთაბერი ვარ, სულძაღლო.

მეწისქვილე — ბიჭო, ხელი დასწიე!

ყვარყვარე — ყვარყვარე ვარ, ყვარყვარე! ძველებური ვაჟკაცის სახელი მქვია. ასე გავადენ ბღღვირს აქაურობას. (სცემს ჯოხს ნაცარში).

მეწისქვილე — (აღშფოთებული) ეს რა ბული დამიყენე! (მიდის კარისკენ) ჩემს წისქვილში მე არ მეცხხოვრება. (გააღებს კარს და ნახევრად გარედან აწვდის ხმას) მართალი მითხრა გულთამზემ, ვინმე მაწანწალა არ შეიხიზნო წისქვილშიო. ნამდვილად გულთმისანია ის ჩემი გოგო. დღეს უნდა მოვიდეს და ვეტყვი, რაც შენგან შავ დღეში ვარ.

ყვარყვარე — რაო, დღეს მოვა შენი ქალიშვილი? (მღელვარედ) მერე, მაგ კარში, კაცო, რად ცივდები? შემოდი, არ გრცხვენია ავად რომ გახდე?!

მეწისქვილე — არა, უნდა წავიდე. გაიგოს რა ცეცხლში ვარ.

ყვარყვარე — (თავისთვის) ოჰ, რა ბებერი ძაღლია. (მივა კართან და ეძახის) მასპინძელო, მოდი, იმ წმინდა კვირიკეს ხატს გაფიციებ, გუშინ რომ ამბობდი, სასწაულმოქმედიანო...

მეწისქვილე — (ყოყმანით მობრუნდება) ჩვენი შერიგება, რაც უნდა ხატზე დამაფიცო, არ მოხერხდება.

ყვარყვარე — შენ პირდაპირ ნაწილად დასარიგებელი კაცი ხარ... ჩამოჯექი ერთი, იმ ქალის ამბავი მომიყევი.

მეწისქვილე — აბა, უპატრონო გგონივარ?

ყვარყვარე — დღეს უნდა მოვიდეს?

მეწისქვილე — როცა ბარზე მუშაობამ გამტეხა, იჯარით.. ეს დოლაბი ამალბინა.

ყვარყვარე — მან გაშოვნია ეს წისქვილი?

მეწისქვილე — კეუიანი ქალია ჩემი გულთამზე. სახიერიც კარგი დადგა. მოწყალე დებში იმისთანა მეორე ვერ მოგართევს.

ყვარყვარე — ეს სიტყვები შენი ენიდან პირდაპირ თაფლივით მეწვეთება გულში.

მეწისქვილე — ყველა მადლიერი ყავს სიკეთისათვის.

ყვარყვარე — ალბათ, სახეც ნახატივით ექნება, ა?

მეწისქვილე — არ ვიცი, შენ და ის როგორ მორიგდებით. მე, ერთხელაც შენი ამბავი რომ მოუყუევი, ასე მითხრა: წისქვილიდან გააგდეთ, იქ რომ მოვალ არ დამხვდესო.

ყვარყვარე — არ დამხვდესო? (გაანზღუდება) ის შენი გულთამზე, როგორც ვატყობ, ხრონჩებიანია, ცხვირი იმას წეროსავით ექნება.

მეწისქვილე — ბოლოს კი, ღვთის წინაშე. როდესაც აგუხსენი, არსად ბინა არა აქვს. მეთქი, კიდეც შეებრალე, — იყოსო.

ყვარყვარე — შეეებრალე? იცის კაცის შეებრალება?

მეწისქვილე — მაშ რა იქნება? როცა ქალი ომში და ტყვიაში მიდის დაქრილების მოსაელელად, ალბათ, გულმოწყალეა.

ყვარყვარე — (სასოებით) ძალიან გულმოწყალეა! იმ ლამაზ სახეზე კბილები მარგალიტივით ექნება ჩაჩხრიალებული. (შემოდინ კაკუტა და ქუჩარა — სანგრის მთხრელი მუშები).

ქუჩარა — ბიჭო, კაკუტა! აქ რა სიტბოა, ა? ხომ ხედავ, ჩვენი ნაცარქექია სულ კარგ ყოფაშია.

კაკუტა — (მოიკშობა) ეგება აქ ჩემო ქუჩარა, სადმე პურის ნატები ვიშოვოთ სულის ჩასაბრუნებლად.

მეწისქვილე — რა ქარმა გადმოგაგდოთ, გამარჯობა მაინც გვითხარით!!!

კაკუტა — თავიც რო დაგვაფიწყდა?

ყვარყვარე — რა დაგემართათ, თქვე გლახაკებო? ასე უნდა იწანწალოთ, უთაურებო? თქვენი კაცად გახდომა ვერასოდეს რომ ვერ მოვახერხე!! აფსუს, თქვენ ჩემი მეზობლები იყოთ, სწორედ მერცხვინება.

ქუჩარა — იმ შეჩვენებულმა მოიჯარადრემ ჯარისთვის სანგრები გვათხრევიანა, ასე თქვა, ფულს აიღებთო... და სოფელში სახლს დაიდგამთო... მაგრამ თათრის ყუმბარები სულ ხეს და მიწას რომ გლეჯენ, სამუშაოზე რა გაგაჩერებს!!!

კაკუტა — ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია და მე და ქუჩარამ ნიჩბები მივაგდეთ თხრილში და რო ვიბრუნეთ პირი, სულ დათვებით მოვძუნძულდებით. რას ვიზამთ, კაცნი ვართ.

ქუჩარა — ყურებთან რო ტყვიები აზუზუნდა, ვიფიქრე: ნაცარქე-
ქიამ...

ყვარყვარე — (გაწყვითინებს) ვინ არის ნაცარქექია? მაგ სახელის
შემრქმევი თუ მოვიგდე ხელში!..

ქუჩარა — არა, ყვარყვარე თუთაბერმა-მეთქი. ჰო, ასე ვიფიქრე,
ჭკუა მოიხმარა და იჯარაზე ხელი აიღო-მეთქი. (შარვალზე ანა-
ხებს ღიმილით) აგერ ტყვიამ ხორციც გამიწვა, (თითის თავს ახ-
მანებს) ამოდენაა ის ოხერი და სულს კი ამოგაცლის.

ყვარყვარე — მე ჭკუით ვცხოვრობ.

კაკუტა — ისეთ უბედურ სამუშაოზე მიგვიყვანა მოიჯარადრემ,
რომ მე და ქუჩარას ხელისგული აბედივით გაგვიხადა, ფული
კი სადაა!... რამდენია ჩვენი ფული, ქუჩარა, საგზლად გვე-
ყოფა?

ქუჩარა — ერთი კიდევ დავთვალათ. (აკუტა და ქუჩარა დაყურდებიან
და ფულს ითვლიან).

კაკუტა — კიდევ დავითვალათ.

ქუჩარა — თუ გინდა, დავითვალათ, მაგრამ... (შეჩრდება) ეს არის
რა... ათასჯერ რომ დავთვალათ, ეს არის. კიდევ კარგი,
ბედი გვეწია, თორემ... ეს რომ არ გვეშოვა... (მიუთითებს შე-
ხვეულზე).

კაკუტა — ჰო, ეს რომ არ გვეშოვა, ჩვენი უცოდვესი ძალი
არ იქნებოდა.

ქუჩარა — მაინც გაჭრა ჩვენმა იღბალმა.

კაკუტა — გაჭრა, პირდაპირ გაჭრა.

ყვარყვარე — რა იშოვეთ?

ქუჩარა — (აკუტას) ნუ ეტყვი, დამალე. (აკუტა მალავს შეხვეულს. ყვარ-
ყვარეს) არაფერია, აგერ, სადღაც, ერთ მკვდარს წააწყდით.

ყვარყვარე — მკვდარს წააწყდით? მკვდრები კიდევ მკვდარს
წააწყდით?!

ქუჩარა — საქმე ეს არის, მკვდარი იყო და ამიტომ გაფძარცვეთ,
თორემ, ცოცხალი რას გაგატანს. (აკუტას) არ ანახო, მოიტა,
მე დავიჭერ. (გამოართმევს შეხვეულს).

მეწიისქვილე — ეჰ, მკვდარი გაძარცვეთ? ღმერთო შენ შემეწიე!
როგორ გაფუქდა ხალხი, მარტო ამის გაგონება წაწყმედს
ქრისტიან კაცს.

კაკუტა — ჩვენი რჯულის არ იყო და...

ქუჩარა — (აკუტას) ო, არ წამოგცდეს. (აკუტა დადუმდება) თათა-
რი გაფძარცვეთ.

ყვარყვარე — მკვდარი თათარი საღ ნახეთ, თქვე ბრმებო.

ქუჩარა — იმ სანგრებიდან რომ გამოვიქეციო, აურზაურში მხარი გვეცვალა და სხვა ხევში შევსულვართ. მერე, ვხედავთ, აგერ, ჩვენ წინ თათარი გაშოტილა, ერთ გულზე კიდევ შევშინდით, მაგრამ ვხედავთ მკვდარია და ძვირფასად აცვია... მერე კაკუტამ ვერ ძოითმინა და...

კაკუტა — ქუჩარამაც ვერ მოითმინა.

ქუჩარა — ცოცხალი კაცის მოკვლისთვის ჯვარს აძლევენ, და ჩვენ...

მეწისქვილე — წაწყდებით თქვე საწყლებო.

ყვარყვარე — მანახეთ ერთი რა აგიღლეტიათ.

ქუჩარა — (გაშლის თურქულ ძვირფას სამოსელს) ო, რა თვალსანახვია!

კაკუტა — ო, რა ჩასირმულია!

ქუჩარა — ხომ ფასად გაიყიდება.

ყვარყვარე — (სინჯავს ხელში) ვისაც ვაქრობის შნო აქვს, კი გაყიდის. — ამას რე გაყიდი. (მხარზე გადაიდებს) თქვენ ხომ მაინც ტყუილად დაკარგავთ.

ქუჩარა — (ხელს სტაცებს სამოსელს) ხელი გაუშვი.

ყვარყვარე — (არ უშვებს ხელს) დამანებეთ, თორემ, თუ სისხლი ამივარდა თავში, ხომ იცით, რას გიზამთ.

ქუჩარა და კაკუტა — (გაუშვებენ ხელს) შენით მოგვეცი, ჩქარა მოგვეცი.

ქუჩარა — სულ ერთია, არ მოგეშვებით.

ყვარყვარე — (მუქარით) ჩვენს სოფელში ერთხელ ხელით რომ ხე მოვთხარე, არ გახსოვთ?

ქუჩარა — არ ვიცი.

ყვარყვარე — გნაში რომ დიდი ლოდი მოვხეთქე და მთიდან გრიალ-გრიალით დავაგორე, ის ხომ თქვენი თვალით ნახეთ!

კაკუტა — როდის ვნახეთ?

ქუჩარა — (ყვარყვარეს) ამ ნასისხლარს თუ მოგვეცი, ყველას ისე ვეტყვიო, რომ მართალია-თქვა.

კაკუტა — სულ ბატონო ყვარყვარეს დაგიძახებთ. სხვამ რომ გაგინოს, ჩვენ არ გავერევიო.

მეწისქვილე — დაუბრუნე, კაცო, მათი ნაცოდვილევი, მთელ ქვეყანაში გაგლანძლავენ, რად გინდა?

ყვარყვარე — (დაშოშმინდება) მე, რასაკვირველია, ფულს სახელი მირჩევნია.

კაკუტა — (ქუჩარას) დაშოშმინდა.

ყვარყვარე — გული არ მომაყვანიოთ, იცოდეთ, არ გამაბრაზოთ... თორემ, ფეხებში რომ მოგაკიდებთ ხელს, თავებით მიგაწყვეტთ იმ წისქვილის ქვაზე.

ქუჩარა — ცხრა მთას იქით მეზობელს შეგეყარეთ და აქ გაწყენინებთ?

ყვარყვარე — მე იმნაირი ხასიათის ვარ, ხანდახან კაცი თუ არ მოგვკალი, ავად ვხდები.

ქუჩარა — კი... ასეა...

კაკუტა — ახლა, მოგვეცი ბარემ.

ყვარყვარე — მაშ, თუ გინდათ ეს მიიღოთ, შეშა დამიჩეხეთ.

კაკუტა — დავჩეხოთ.

ყვარყვარე — აი, იქ, შემოსავალში რომ ბოძია, დაჭერით და შემოიტანეთ. ამ საწყალი მოზუცის ხათრით გეუბნებით.

ქუჩარა — იმოდენა ძელი? (კაკუტას) დავაპოთ.

კაკუტა — სულ მარილივით დაფუშვინით... (აპირებენ წასვლას).

ყვარყვარე — დაიცათ, ჯერ ეს ჯირკი მოაგორეთ ამ კერიასთან.

კაკუტა — (უცბათ აიღებს და დააგდებს დიდ ჯირკს კერიასთან) კიდევ ათი რო იყოს, რა არის...

ქუჩარა — ახლა იქ. (აპირებენ წასვლას).

ყვარყვარე — ეს რა გიქნიათ! (ჯირკზე უთითებს კაკუტას) შე ვირო, ა, დასალუპავად დაგასაქმეთ?

კაკუტა — (დაბნეულად შურებს ჯირკს) ის ვქენი, რომ მითხარი.

ყვარყვარე — (ანხლად) რა გიქნია, მკვდარო, ა? შეიძლება ჯირკის ასე შემოდება კერიაზე?

კაკუტა — შევებრუნო? (ასწორებს ჯირკს) ასე?

ყვარყვარე — ახლა გარეთ (კაკუტა და ქუჩარა ხელებს წაიკაპიწებენ და მიდიან) მაგათ ჰგონიათ, ერთი ბოძის დაჩეხისათვის დავებრუნებ ამ ტანისამოსს.

მეწისქვილე — როგორ, კიდევ პირს უტეხ?

ყვარყვარე — სულ ვამუშავებ და მომეშვებიან, აბა რას იზამენ.

მეწისქვილე — (წყენით) იმე!..

ყვარყვარე — თვალი სულ კარისაკენ მაქვს, რად არ გამოჩნდა, აღარ მოდის?

მეწისქვილე — ვინ?

ყვარყვარე — შენი სანაქებო ქალი, ის... გულმოწყალე.

მეწისქვილე — გულთამზე?

ყვარყვარე — (ამაყოფილად) ეჰ, რა დაგირქმევია — ქალისათვის პირველი საქმე სახელია.

მეწისქვილე — ცუდად დამირქმევია, რას იტყვი?

ყვარყვარე — თამარ მეფეს ეკადრება — ისეთი სახელია (დუმბილია. ქეპავს ნაცარს).

- მეწისქვილე — რომ თქვას კაცმა, კარგი მუშებია ეს კაკუტა-
და ქუჩარა, ხომ გესმის, როგორ მარჯვედ კრიან.
- ყვარყვარე — (ქეპავს ნაცარს, თავს არ იღებს) დამაცადე.
- მეწისქვილე — (ღუმილის შემდეგ) სწორედ საქები მუშებია, ოღონდ
ბევრს თუ არ ანაფოტებენ იმ ნაჯახით.
- ყვარყვარე — (თავს არ იღებს) ნუ მიშლი...
- მეწისქვილე — რას უნდა გიშლიდე... (ავვირდება ნაცარში) ეს რა
მოგიქარგავს!
- ყვარყვარე — (ღუმილის შემდეგ) სასახლე, გალავანი, ბალები... ვერ
ხედავ? აი, აქ შეხედე, აქ სულ კიბეებია.
- მეწისქვილე — სად?
- ყვარყვარე — ეს არის მარმარილოს კიბე. აქედან შემობრძან-
დება შენი ქალიშვილი. აქ, ამ განიერ დარბაზში. გვრიტი-
ვით მოგოგმანდება და აქ ნესვივით გაგორდება.
- მეწისქვილე — სად, ამ ნაცარში?
- ყვარყვარე — ნაცარი კი არა, ეს ჩემი სასახლეა.
- მეწისქვილე — ეს?
- ყვარყვარე — რომ ვერ გავაგებინე ამ კაცს, რა არის გეგმა?!
(იცი, რა არის გეგმა?)
- მეწისქვილე — მე, რაც გლებკაცს შეეფერება, ვიცი.
- ყვარყვარე — იცი, რა არის კაპიტალისტი?
- მეწისქვილე — რა უნდა იყოს, ვთქვათ...
- ყვარყვარე — კაპიტალისტი — ფულია. იცი, რა არის სოციალი-
სტი.
- მეწისქვილე — ჰო...
- ყვარყვარე — ბებერო, შენ აწი ხომ მალე დაგელევა სიცოცხლე,
აბა რა, წელსაც ვერ აბრუნებ.
- მეწისქვილე — ეს ასეა, რას იზამ?!
- ყვარყვარე — სოციალისტი ამბობს, რომ საიქიოს ვერ ნახავო.
- მეწისქვილე — რატომ ვერ ვნახავ?
- ყვარყვარე — რატომ! შენ იცი, ღმერთი რომ არ არის, ა?
- მეწისქვილე — (აღშოთებული) იმე! (თოფის ხმა).
- ყვარყვარე — (შემკრთალი) რა ამბავია?
- მეწისქვილე — რისხვა არ იყოს, პირჯვარი მაინც დაიწერე შე
წაწყმედილო! (კაპუტა და ქუჩარა კარებში შემოყოფენ თავს).
- კაკუტა — ქუჩარა — (ერთად) გესმით?
- მეწისქვილე — (უბნათ წამოღება) რა ამბავია, ბიკებო?
- ქუჩარა — ვითომ თათრის ჯარი შემოიჭრა, ისეთი ბრძოლაა.
- კაკუტა — აგერ ქალი და კაცი მორბის.

მეწიქვილე — სწორედ უბედურებაა.

კაკუტა — ხედავთ ქალი და კაცი აქეთ რომ მოძუნძულდებიან?!

ქუჩარა — (კაკუტას) ჩვენც მოუსვათ, რაღას ვუცდით.

მეწიქვილე — (ართან) თავს უშველეთ! (მეწიქვილე, კაკუტა და ქუჩარა გარბიან).

ყვარყვარე — (აპირებს გაქცევას. ჩაიკეცება და წამოდგება, მიიღებს კარბთან) გარეთ ტყვია რომ მომხვდეს?! (შიშით დააყურებს) ფეხის ხმა მეტამის (უცხად დააკვირდება თავის მხარზე გადაკიდებულ თურქულ სამოსელს და ხელს ჩაავლებს) ჰა, ეს ხომ მიწველის ახლა! (იცვამს ტანისამოსს და თან უკან დაიხვეს) ახლა თათარი თათარს ხომ არ მოკლავს... მათი ენა რომ არ ვიცი?! აა, მუნჯი ვარ, ვითომ მუნჯი ვარ... მუნჯური ხომ ყველა ენაზე ერთნაირია (მოისმის ფეხის ხმა) მოდიან, მოდიან... და ახლა რომ არ მომკლან, სწორედ ძაღლის იღბალია საჭირო!.. (ყვარყვარე იმალება. წისკვილში შემოდიან გულთამზე და სევასტი).

სევასტი — (უჭვრეტს კარში). ჩაიარეს, სხვა კვალმა გაიტყუა!

გულთამზე — დაჭრილი არა ხარ?

სევასტი — არა.

გულთამზე — პროკლამაციები ცეცხლში ჩაყარე, აგერ ცეცხლი.

სევასტი — არ დამრჩა.

გულთამზე — (მიმოიხედავს) ნეტა სად გაქრა მამაჩემი, რა მოუვიდა? (ჩამოიღებს კედლიდან მეწიქვილის ტანისამოსს) აი, გადასაცმელი.

სევასტი — (ათვლიერებს და იცვამს) ისეთია, ჩემს გაჭირვებას რომ მოუხდება!

გულთამზე — ბედს ვუმადლოდეთ, თუ გადავურჩით... სამხედრო ფორმის მითვისება და ჯარში პროპაგანდა. რომ მოგვწოდნენ, ხომ დავიღუპებოდით!

სევასტი — ხანდახან გმირობაც მარტო ესაა — არ ფიქრობ, რა მოგელის.

გულთამზე — აწი მაინც ვერ გაიჭაჭანებენ ამ არემარეზე.

სევასტი — ფრონტი დიდია. სადაც წავალ, ყველგან ვიპოვი თანაგრძნობას.

გულთამზე — მე რომ აქ ვარ სამსახურით დაბმული!?

სევასტი — მერე რა მოხდა, მაგ დაბრკოლებას განა ვერ გადავლახავთ!

გულთამზე — როგორ არა, მე ისე ვამბობ, თორემ... ჩვენ ერთმანეთს ისე შევეთვისეთ, სიკვდილის მეტი, არ ვიცი, რა გაგვთიშავს.

- სევასტი — ჩვენ ისეთი გზა ავირჩიეთ, ყოველ ნაბიჯზე გველო-
დება რაიმე ხიფათი, ამიტომ უნდა შევეჩვიოთ განსაცდელს
და მულამ გულგრილად უნდა შევხვდეთ (შპორეტს კარში) ეჭვ,
გამოჩნდნენ!
- გულთამზე — ისევ აქ ტრიალებენ?
- სევასტი — ეს წისქვილი საიმედო არაა.
- გულთამზე — მაშ?
- სევასტი — სადმე ბუჩქებში შევძვრები და მერე, როდესაც და-
ლაშვდება, გავიპარები.
- გულთამზე — (აძლევს ხელს ხელში). მერე მე?.. მე სად შეგეყარო?
- სევასტი — შეგა ჯყობინებ... ახლა უნდა დაგემშვიდობო... რო-
გორ მიყურებ? ნუ გეშინია. შენ გგონია, უკანასკნელად ვხვდე-
ბით ერთი მეორეს?.. რად კანკალებ?!
- გულთამზე — სიცოცხლევ! (შემოეხვევიან ერთმანეთს საკონელად).
- ყვარყვარე — (თავი წამოყო) რა ხევენა-აღერსია, ეე, რას შვრე-
ბით! (სევასტი და გულთამზე მოიხედავენ).
- სევასტი — (გულთამზეს) აქ ოსმალო საიდან გაჩნდა?!
- გულთამზე — (გაკვირვებული) არ ვიცი.
- ყვარყვარე — აქეთკენ თათრები არ გადმოჰრილან?
- სევასტი — არა.
- ყვარყვარე — (გამოდის) მაშ, რა იყო, ასე გულსგასახეთქად რომ
შემოვარდით? (გულთამზეს დააკვირდება) ოჰო, ოფოფივით ქალია.
- სევასტი — უკაცრავად, ბატონო.
- ყვარყვარე — უკაცრავადო!
- სევასტი — თუ შეგაწუხებთ, ბოდიშს ვიხდი.
- ყვარყვარე — მესმის, (თავისთვის) ცხოვრების წესი მე ასე გამი-
გია, კაცს კბილი უნდა გაუსინჯო, თუ ირყვეა, მოთხარე;
მაგრამ, თუ მაგრადაა — გაქცევა მოასწარი, რომ არ გაგქე-
ლოს... (სევასტის) ბოდიშს იხდი?
- სევასტი — მე გგონია, გითხარი.
- ყვარყვარე — მერე, აქ სააღერსოდ რომ შემოხიზნულხარ, რა
წესია? თქვენც კუთხე მოგინახავთ, რაღა! წყალი კი არა
მაქვს ამ ძარღვებში, მეც ვაჟკაცის სისხლი მაქვს. სულ არ
მერიდებით მამაკაცს?!
- სევასტი — დამშვიდდით. (ამოიღებს უბიდან პაპიროსს) თქვენ, პაპი-
როსს ხომ არ ინებებთ, მიირთვით.
- ყვარყვარე — კი (გამოართმევს თავისთვის) ეტყობა, ძალიან მში-
შარაა.
- სევასტი — აქ, თურმე, შესანიშნავი სანადირო ადგილებია.

ყვარყვარე — ოო, მონადირეს ნანადირევი მე ძალიან მიყვარს
(გადახედავს გულთამზეს). ეს ოფოფი ვინ არის?

სევასტი — ეს გახლავთ ამ მეწისქვილეს ქალი.

ყვარყვარე — გულთამზე?

გულთამზე — დიახ. (გაკვირვებით) თქვენ ვინ ბრძანდებით?

ყვარყვარე — (შუბად) შენ ამის ცოლი ხომ არა ხარ?

გულთამზე — არა.

ყვარყვარე — (მღელვარედ) მაშ, რა იყო, ამან რომ გულში ჩაგი-
ხუტა?

სევასტი — ეს რა თქვენი საქმეა?

ყვარყვარე — უჰ, რა ქალს აფუქებს!

გულთამზე — ძალიან რომავ, ვილაცა ხარ!

ყვარყვარე — (გულთამზეს) შენ გაჩერდი შენთვის, (სევასტის) შენ
ახლა ჩემთან გაქვს საქმე და, თუ ვაქეცი ხარ, დამიმავრდი.

სევასტი — (მოეზხადება თავის დასაცავად) არ გაბედო, თორემ ცუდ
პასუხს გაგცემ.

ყვარყვარე — (ძრწოლით) ეს კაცი ახლა შემომაკვდება, არ გავუ-
შვებ...

გულთამზე — (შეშინებული გააღებს კარს) წავიდეთ.

სევასტი — ჰო, კარგი, გავშორდეთ ამ თავხედს.

ყვარყვარე — (გულთამზეს) შენ აქ დარჩი (მოიგდებს მკლავით გულთა-
მზეს) იმას კი ნამდვილად დავგლეჯ... დავ... დავ... მაგრამ
თუ ბედი აქვს და გამასწრო რა...

გულთამზე — რა აშვებული ნადირია!

სევასტი — (სასოწარკვეთილებით გაიწვეს ყვარყვარეზე. ყვარყვარე მოუ-
ლოდნელად გარბის და ეფარება ტომრებს).

გულთამზე — (იციინის) როგორ უცბად მოიკუნტა.

ყვარყვარე — (კანკალებს) თუ ისეთი რამე მოვახერხე, რომ არ
დამახჩრო, სწორედ მოსალოცი ვიქნები. (სევასტის) შე კაცო
ხელმწიფეები შერიგებულან და ჩვენ რა...

სევასტი — სულ მთლად უსუსურია.

ყვარყვარე — (სევასტის) ღონე კი მაქვს, მაგრამ შენისთანა
პატიოსან კაცს თითი როგორ დავაკარო. კაცს ხელს როგორ
შემოვარტყამ, სინდისი გობქვეშ კი არ შემინახავს.

სევასტი — უტიფარია, ვილაცა.

გულთამზე — ოო, ეს კაცი, ალბათ ის არის; მამამ რომ მითხრა,
(იციინის) ყვარყვარე!..

სევასტი — რას ამბობ! (ყვარყვარეს) შენ ვინა ხარ?

ყვარყვარე — ყვარყვარე თუთაბერი.

გულთამზე — დიახ!

სევასტი და გულთამზე — (ერთად) ყვარყვარე თუთაბერი!
(იციინან. მოისმის თოფის შორეული ხმა. დააყურებენ).

გულთამზე — სიცილის დროც არა გვაქვს.

სევასტი — (იქტირება ჰიტანოში) წავალ, თორემ... მაგვიანდება.

გულთამზე — ჯერ გავიხედოთ, უცაბედად არავის შეეფეთო.
(სევასტი და გულთამზე მიდიან).

ყვარყვარე — ეე, რას იზამ, კიდეც არა უშავს, რა უშავს! —
ენის მასალით ქალთან კაცი პირს ყოველთვის მოიბან. ეს
ვერ გამიგია, ზოგიერთი კაცი სირცხვილით მიწაში რომ
ჩაძვრება, სირცხვილს რომ სკამ კაცი, თუ ვარგხარ, მაშინ
თავი უფრო მალა უნდა ასწიო. ასეა... (ქეპავს ნაცარს) ახლა
ისეთი რამე უნდა მოვიგონო, რომ მისი თეთრი პერანგი
ხელში დავაფრიალო... უჰ, რა ქალი! ცეცხლივით არ შემო-
მენტო! რა დროს ნაცრის ქექვაა! (კრავს ფეხს ნაცარს) გათავ-
და, ყვარყვარე, შენთვის თბილი ნაცრის ქექვა. (წამოდგება)
ერთხელ დავბადებულვარ და ერთხელ უნდა მოგვედე! (ბრაზით
მიდის კარისაკენ, შეჩერდება) ჭკუით ყვარყვარე თუთაბერო, მარ-
თალია, ერთხელ დაიბადე მაგრამ მეორეჯერ კი არ დაიბა-
დები... მოითმინე, ფეხის ერთი დაკვრით ბურთი ლელოზე
ვის გაუტანია. ოო, ასეა... (წელა გაყოფს თავს კარში) ესენი კი-
დეც აქ არიან? (დაღონებული შემოდინ სევასტი და გულთამზე).

გულთამზე — ხომ ხედავ, როგორ დაგვეძებენ!

ყვარყვარე — მგონია ვილაცას ემალებიან, ერთი გავიხედო?
(კარს გააღებს).

სევასტი — (უკან გამოსწევს ხელით ყვარყვარეს) აქეთ!

ყვარყვარე — (თავისთვის) აა, მთავრობას ენალემა! ნეტა რის
მოქმედია? რა გამეხარდება, თუ გააკოქეს. (სევასტის ხმამალა)
ნუ გეშინია, მე ქურდს და ყაჩაღს არ გავწირავ.

სევასტი — მაგაზე ვერ გეტყვი მადლობას, მე არც ერთი არა
ვარ.

ყვარყვარე — (თავისთვის) მაშ, ვინაა? სოციალისტი ხომ არ
არის? (სევასტის) მე სოციალისტები უფრო მიყვარს, ისინი რომ
ქადაგობენ, სწორედ ჩემი საქმეა. რომელ სახლშიც გინდა
შედი და მოირთხე მაგრად ფეხი, სმა-ჰამა სულ მუქთი იქ-
ნება. მე რომ მკითხონ, სოციალისტების სურათებს ეკლე-
სიაში დავკიდებდი, სულ წმინდანებივით წვალობენ ხალხი-
სათვის, მეც ხალხისათვის ვწვალობ ამ ქვეყანაზე და, ჩემი
არ იყოს, შენც სოციალისტი ხარ.

- გულთამზე — (რომელიც მღელვარედ იცქირებოდა კიტანოში) უი, აქეთ მოდიან, რა ექნათ, კარს მოადგენ.
- სევასტი — მაშ, როგორც ვხედავ, ვერ გავძვრები. (ურტყამენ გარედან კარს).
- ყვარყვარე — (ნეტარებით) გაება.
- გულთამზე — ვინა ხართ?
- ხმა გარედან — კარი გააღეთ!
- გულთამზე — რა გნებავთ?
- ხმა გარედან — კანონის სახელით მოვითხოვთ, გააღეთ კარი!.. (გულთამზე კედელს მიეყუდება, გარედან ურტყამენ ხელს. კარი ჩამოვარდება შემოდის ორი ოფიცერი. ჯარისკაცები დგანან კართან).
- 1-ლი ოფიცერი — (აღშფოთებით უთითებს ყვარყვარეზე) ხედავ?
- მე-2 ოფიცერი — (რევოლვერს უმიზნებს ყვარყვარეს) თქვენ დატუსაღებული ხართ.
- ყვარყვარე — მეე?
- გულთამზე — ვერ გავიგე, ვის ეძებთ?
- 1-ლი ოფიცერი — განა ეს ოსმალაა?
- გულთამზე — არა, ეს ერთი საწყალი ნაცარქექიაა, მხოლოდ გადაცმულია, ბატონებო.
- მე-2 ოფიცერი — (1-ლ ოფიცერს) ოო, ეს ქალიც ადასტურებს, რომ გადაცმულია. (ოფიცრები იცინიან).
- 1-ლი ოფიცერი — ეს არის ფარულად მომუშავე რევოლუციონერი. ოთხი თვეა, რაც შტაბის საიდუმლო განყოფილება ეძებს, მაგრამ ისე სკოდნია გადაცმა, რომ ეშმაკს თვალს დაუყენებს.
- სევასტი — (გულთამზე ჩუმად) თუ ყვარყვარემ არ გამცა, გადავრჩები (ოფიცრებს) რას ლაპარაკობთ? ღმერთმა დასწყევლოს, თუ ეს ავი კაცია, სინდისის მაინც არ რცხვენინა?
- მე-2 ოფიცერი — უჰ, რამდენი ხანია ამას ვეძებთ!
- 1-ლი ოფიცერი — ბოლოს მივაგენით, მაგრამ დილას აქეთ კი ვღევთ.
- მე-2 ოფიცერი — ოო, რაც ჩვენ გავსავათლით!
- ყვარყვარე — (გაბრუებული) ეს რა შავი დღის გადარეულები მომადგენ! (სასოწარკვეთილებით მოიხედავს უეტრად შეაჩერებს თვალს სევასტის). ააა, მივხვდი...
- მე-2 ოფიცერი — (ცეცხლისაყენ) ქარყინვამ ლამის სახე სულ დამითუთქა.
- 1-ლი ოფიცერი — არაყმაც ვერ გვიპატივა, იმ პირსაცეცხლემ. (ოფიცრები ცეცხლს ეთობიან).

ყვარყვარე — ძლიეს არ მივხვდი! ბატონო ოფიცრებო, თქვენ რომ ეძებთ, ის კაცი...

ოფიცრები — (რეჟოლვერებით ემუქრებიან) ხმა გაკმინდე!

გულთამზე — (დაადებს ტუჩზე ხელს) არ წამოგცდეს.

ყვარყვარე — (იშორებს გულთამხეს) თუ მომკლავენ?

გულთამზე — (ერთრჩულება ალერსით) ხვალვე გაიგებენ ვინცა ხარ და გაგიშვებენ (ხელით ვალერსება) გემუდარები, არ დაგვლუპო!

ყვარყვარე — (აღლევათული გულთამხეს ალერსით) რას მთხოვ, შე ვერიტო, ცეცხლმოკიდებულო. (ხვევს ხელებს).

გულთამზე — გაჰყევი, ხმა არ ამოიღო!

ყვარყვარე — სად წავიდე (ჰკონის).

გულთამზე — (ხიზლით) ნუ იმტლუშნები. (ოფიცრებმა განკარგულება გასცეს კართან და პირი მოიბრუნეს).

ოფიცრები — (ყვარყვარეს) აიბარგე.

ყვარყვარე — მე კი არა, ის კაცი, ეგერ...

გულთამზე — (მუდართ) წადი (ვალერსება) წადი...

ყვარყვარე — (ოფიცრებს) არა, ვისაც თქვენ ეძებთ...

გულთამზე — (ტუჩებზე ხელს დაადებს, ყვარყვარე ჰკონის).

1-ლი ოფიცერი — აკოცე?

მე-2 — ოფიცერი — ეს რა გულჩვილობაა! (გულთამხეს) თქვენ თანაუგრძნობთ?

გულთამზე — (ტუჩზე ხელს დაადებს ყვარყვარეს და თან უპასუხებს ოფიცრებს) არა, მე ვემუდარები ყუმბარა არ გაისროლოს... დაგნებდეთ. ხომ ხედავთ, როგორ ვკანკალებ. მე მშიშარა ქალი ვარ...

ოფიცრები — (უკან დაიხვეწენ) რაო, ყუმბარაო! — ისეთი ალყაა, ჩიტი ვერ გაფრინდება. (მიდიან კარში და იძახიან) მარჯვედ ბიჭებო, ყუმბარები ჰქონია, მოემზადეთ ეცადეთ კი მაინც, ცოცხლად წამოიყვანოთ! (მიდიან).

ყვარყვარე — გამიგონეთ ბატონო ოფიცრებო. (სევასტის) ჩქარა გაჰყევი, შე პირუტყვო, შენი გულისათვის არ დაგვეწყვიტონ. (გულთამხეს) მოდი, ერთი აქ ჩამოჯექი. (ცდილობს მუხლზე დაიჯინოს გულთამზე).

სევასტი — კმარა! ამ დამცირებას სიკვდილი მირჩენია! (გადაწვეტილად) წადი, ვერაგო, და გამაცხადე.

გულთამზე — (სევასტის) გიჟო, შენ ხომ იცი, რომ სახრჩობელა არ აგშორდება. (მიუჯდება ყვარყვარეს და ელაპარაკება თანაგრძნობის კილოთი) იცი შენ რა მოგელის ეს რომ გასცე?

ყვარყვარე — კი, ხახვს გადამაპირიან.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — რევოლუციონერები მოგკლავენ, ეს არ იცი?

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (აწროაღდება) ეჰე, ვაი უბედურებას.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — ჯაშუს დაგარქმევენ და იმდღესვე ტყვიით გა-
გაცხევენ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მართლა მომკლავენ ის წყეულები. (წამოდგება)
ამას რა ჭირს გადავეკიდე.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — ახლა გაჰყევი, ხმა არ დასძრა. იქ კი თქვი შენი
ვინაობა და გაგიშვებენ. რა გიჭირს — უდანაშაულო კაცი
ხარ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჰოდა, იცოდე, კარგი ბუმბული დამახვედრე. მე
მაგის ტყავის გადასარჩენად რა თავს ვიტყენ!.. ფეხს ტყუი-
ლად არ დავისველებ, გაიხედე ერთი რა თოვლ-ქყაპია.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — ყელამდე პატივში იქნები, როცა მოხვალ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — კიდევაც შევიწნობ, თქვენი ამბავი ხომ გავიგე,
(მოკუმშავს მუშტს) ამის შემდეგ ასე მეყოლებით გამოკერილი
და ერთმანეთს არ მიგაკარებთ. (ჯარისკაცები მოდერებული ხიშ-
ტებით შემოდიან. აკეთებენ წრეს ყვარყვარეს გარშემო).

ო ფ ი ც რ ე ბ ი — ცოცხლად წამოიყვანეთ, თუ დაგნებდათ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჰო, არ მომკლათ, მართალი კაცი ვარ, არ დამ-
ლუპოთ.

ო ფ ი ც რ ე ბ ი — მარჯვედ, ბიჭებო, მარჯვედ... (მიჰყავთ ყვარყვარე ჯა-
რისკაცებს, ოფიცრებიც მიჰყვებიან).

გ უ ლ თ ა მ ზ ე — (ცხვირსახოცით იწმენდს ტუჩებს) ტფუ, რა ბილწად
დამტლოშნა...

ს ე ვ ა ს ტ ი — შენ ნამდვილი გმირი ხარ მოთმინებით.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — შენ ამ წუთში მღვევრები არ გყავს, შორს წავი-
დეთ.

ს ე ვ ა ს ტ ი — შენც?

გ უ ლ თ ა მ ზ ე — მეც მოვდივარ.

მოქმედება მეორე

არმიის შტაბის საიდუმლო განყოფილება. საწერ მაგიდასთან ზის ადიუტანტი. ცოტა მოშორებით, მეორე მაგიდასთან ზის დაბალი ჩინის მწერალი.

მწერალი — (წერს. რამდენჯერმე გაუბედავად წამოდგება, ბოლოს სასოწარკვეთილებით მიდის ადიუტანტთან) თქვენო... კე... კე... კეთილშობილებავ, პოლკოვნიკის წარწერა... და ეს... ვერ ამოვიკითხე.

ადიუტანტი — მერე მე ახლა შენთვის მცალია? (დაკეცავს ქალაღს და ჯიბეში ჩაიწყობს ხელეხს). ხომ გაიგონე, არ მცალია (მწერალი დაბრუნდება თავის მაგიდასთან და ცდილობს ამოიკითხოს). და ასეთ წერა—კითხვის უცოდინარს გზავნიან შტაბის საიდუმლო განყოფილებაში მწერლად. (აფურთხებს) ტფუ, შენ უნდა ეგდო პირველი ხაზის სანგრებში და არა კანცელარიაში.

მწერალი — (ტუჩები უკანალებს) ფრიად გაურკვეველია.

ადიუტანტი — შენთვის ყველაფერი გაურკვეველია, შე უტვინო. ხატზე დავიფიცებ, რომ შენ სტუდენტი არა ხარ. აკი მითხრა პახომამ, ყალბი დოკუმენტით შევიდა უნივერსიტეტშიო.

მწერალი — პახომამ, თქვენი ერთგული რომ ვარ, იმისთვის ამითვალისწინა, თქვენო კეთილშობილებავ. (ფლიკვინით) რა ვქნა, რად მიწყრებით?!

ადიუტანტი — უყურე ამ კატის ჯიშს, როგორ შემაბრალა თავი. მოდი, ჰო, მოდი!..

მწერალი — (უცბად წამოვარდება და მიდის ქალაღდით. ჩურჩულებს).

ადიუტანტი — ეს რა ოქმია, წისკვილში რომ რევოლუციონერი დაატუსაღეს? რა ვერ ამოიკითხე.

მწერალი — (უთითებს) აი, ეს წარწერა, თქვენო კე... კეთილშობილებავ.

ადიუტანტი — (კითხულობს, ეტყობა ვერ ამოიკითხა). რა გაქანებულა, რა... ეშმაკიც ვერ გაარჩევს. (მიუგდებს უკანვე. ხურავს თავის ქალაღდებს, თითქოს მალავს) შე ძაღლის გაჩენილო, ამ ფრიად საიდუმლო ქალაღდებში ნუ იყურები. ხანდახან რევოლუციონერიც კი მგონიხარ, — რა ვიცი.

მწერალი — (დაჩაგრულად) მე — რევოლუციონერი?

ადიუტანტი — (აღშფოთებით) სტუდენტი ხომ ხარ?!

მწერალი — კეთილსამედლოდ მიცნობენ. წმინდა მიხეილის ჯგუფში ვითვლები, თქვენო კეთილშობილებავ.

ადიუტანტი — ვირი ხარ. მორიდება არ გაქვს, ყველაფერს მეკითხები.

მწერალი — სადაცაა პოდპოლკოვნიკი შემოვა, თქვენო კე... კეთილშობილებავ, თუ ასლი არ დახვდა, მერე...

ადიუტანტი — მერე, ამისათვის მეც ხომ მიმაყოლებს. ამ საქმის გამოძიება მას მიანდევს?

მწერალი — დიახ, ეგრე, თქვენო კეთილშობილებავ.

ადიუტანტი — მაშ, რიგიანად გადასწერე.

მწერალი — (ფლიქვინით) რა ვქნა, თუ გაბრაზდა, სანგრებში მიკრავს თავს.

ადიუტანტი — ნუ ფლიქვინებ. (ფეხებს დაურტყამს) ყველაფერი შენი ბრალია! (შემოდინ გენერალი და პოლკოვნიკი).

გენერალი — ის დიდი ამბები ვის არ ახსოვს, ჩვენ შტაბში ბრძოლა ყველას წაგებული ეგონა... და ასეთ დაბნეულობაში, მე მოულოდნელად მოვიპოვე ბრწყინვალე გამარჯვება.

პოლკოვნიკი — თქვენო მაღალღმადობებულებავ, სამხედრო ისტორიკოსები მრავალ ფურცელს მიუძღენიან თქვენს საგმირო მოღვაწეობას და, ალბათ, იტყვიან, რომ ეს მხოლოდ თქვენ შეგეძლოთ.

გენერალი — ჩემი მტრები გამარჯვების შემდეგაც არ ცხრებიან, ახლა გაიძახიან თითქოს მე დაუზოგავად ვეპყრობი ცოცხალ ძალებს... თითქოს ძვირად მიჯდება გამარჯვება... მაგრამ იმათ პატრიოტიზმი ხომ არასოდეს არ ჰქონიათ — მხოლოდ შური ალაპარაკებთ.

პოლკოვნიკი — რასა ბრძანებთ?! თქვენი წყალობით არმიამ დიდი სახელი მოიხვეჭა, ცოცხალი ძალების დანაკლისიც უცბად შეეავსეთ, თქვენო მაღალღმადობებულებავ!.. მხოლოდ ერთი გარემოება მაბრაზებს, როგორც ჩანს, ჩვენს არმიასი მავნე სოციალისტები დაძვრებიან.

გენერალი — ოჰო, მაშ თვალი ფხიზლად უნდა გვეჭიროს.

პოლკოვნიკი — ერთი ქვემძრომი დავატუსაღეთ.

გენერალი — რა დანაშაული აქვს?

პოლკოვნიკი — ომის საწინააღმდეგო ფურცლების გავრცელება.

გენერალი — სად, ჯარში?

პოლკოვნიკი — დიახ, აქ, ფრონტზე.

გენერალი — ჩამოახრჩეთ.

პოლკოვნიკი — დიახ, რასაკვირველია. (ადიუტანტს) პოდპოლკოვნიკი იყო აქ? აწარმოებს იმ სოციალისტის საქმის გამოძიებას რომელიც წისქვილში დაიჭირეს?

ადიუტანტი — დიახ, ბატონო პოლკოვნიკო, გამოძიებას აწარმოებს.

გენერალი — (პოლკოვნიკს) ამ საღამოსვე დაინიშნოს სავლელე სასამართლო თქვენი თავმჯდომარეობით. ასეთმა დამნაშავეებმა იციან სასჯელისათვის თავის დაძვრენა. მაგრამ ახლა მარჯვედ დახვდით, თოკი არ ააცილოთ.

პოლკოვნიკი — ისეთი მამხილებელი საბუთებია, თქვენო მაღალალმატებულეზავ, რომ დამნაშავე. ალბათ, ხმასაც ვერ ამოიღებს. (ადიუტანტს) ტუსალს დაჭკითხა გამომძიებელმა? (ადიუტანტი და მწერალი ცახცახებენ).

ადიუტანტი — ჯერ არ დაუკითხავს, ბატონო პოლკოვნიკო. (ტელეფონი რეკავს. ადიუტანტი აიღებს მილს).

ადიუტანტი — (გენერალს) თქვენო მაღალალმატებულეზავ, პირადად გთხოვენ ტელეფონთან.

გენერალი — (ტელეფონით) ოო. წამოიყვანეთ? მოგილოცავთ, მოგილოცავთ... როდის წამოიყვანეთ? დაჭრილი არ არის? ცბიერი ფაშა იყო. აცნობეთ თბილისს. (პოლკოვნიკს) ისრაფილ ფაშა დაუტყვევებიათ.

პოლკოვნიკი — (ალტაცებით) მოულოდნელი სიხარულია.

გენერალი — ჩემი კბილის მატლი ის იყო.

პოლკოვნიკი — უმაღლესი ორდენი გერგებათ თქვენო მაღალალმატებულეზავ.

გენერალი — არც თქვენ დარჩებით უნაწილოდ, ბატონო პოლკოვნიკო. სამწუხაროა, რომ გერმანიის ფრონტზე ასე არ მიდის ჩვენი საქმე. (გენერალი და პოლკოვნიკი მიდიან. ადიუტანტი და მწერალი თავისუფლად ამოისუნთქავენ).

ადიუტანტი — ეს დიდი კაცები რომ დამადგებიან თავზე, ისე ვკანკალებ, თითქოს ეს არის ფეხი უნდა წამკრან და გამსრისონ.

მწერალი — მეც რომ გადმომხედავენ, ვნატრობ მიწა გამისკდეს.

ადიუტანტი — შენ ასე შეგფერის. (მუქარით წამოადგება) ისევე რომ მელაპარაკება! მე შენი უფროსი ვარ, პირდაპირი უფროსი.

მწერალი — (აწურავთ) სწორედ ასე, თქვენო კეთილშობილეზავ.

ადიუტანტი — (აჯაყრებს) თქვენო კეთილშობილებავ. ასე ხომ არ დამაბერებენ, წარმატებას ველი. შეიძლება ორი ჩინი ერთად მივიღო, მაშინ როგორ მომმართავ? კეთილშობილებას მეტყვი?

მწერალი — მაღალკეთილშობილებავ.

ადიუტანტი — ახლა?

მწერალი — თქვენო კეთილშობილებავ.

ადიუტანტი — მაშინ, აი, მაშინ? როცა ორ ჩინს მივიღებ?

მწერალი — თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

ადიუტანტი — (ბრაზით) ახლა?

მწერალი — თქვენო კეთილშობილებავ.

ადიუტანტი — (აღშფოთებით) რატომ, ა? სადა გაქვს უფროსის დაფასება.

მწერალი — (ფლიქვინით) რა წყალში გადავევარდე! (შემოდის ჯარისკაცი ხელში ქალაღი. შეჩერდება და ღრმად ითქვამს სულს. ჯარისკაცი მიდის ადიუტანტის მაგიდასთან).

ჯარისკაცი — (მღელვარედ) პეტროგრადიდან აპარატზე დეპეშა მივიღეთ. (ღრმად სუნთქავს) ჩვენ გვეგონია, ფრიად საიღუმლოა... თუმცა იქიდან ასეთი წარწერა ახლავს... ყველას, ყველას!..

ადიუტანტი — ჩამაბარე (უცქერის ჯარისკაცს).

მწერალი — (ჯარისკაცს) შენ კემმარიტ რუსთა კავშირიდან მახსოვხარ. აი, თქვენო კეთილშობილებავ, ამანაც იცის როგორი კეთილსაიმედო ვარ.

ჯარისკაცი — იცოდეთ, ქვეყანა სულ გადაბრუნებას აპირებს. ჰო, ჰო რა ამბავია!

ადიუტანტი — რაო, რას მიედ-მოედები! შენ ჩვენი კავშირის წევრი ხარ?

ჯარისკაცი — არა, რა ვიცი, მე ჩემთვისა ვარ...

ადიუტანტი — მაშ, აპარატზე ვინ მიგიღო, თუ იქაც ებრაელი დაგვისვეს!

ჯარისკაცი — ახლა რავთქვა... ისეთი ამბავია რომ...

ადიუტანტი — (აღშფოთებით) რაო, ეს რა პასუხებს მაძლევს?!

ჯარისკაცი — (აძლევს დეპეშას) წაიკითხე და ნახავ, თუ შენც ენა არ დაგებმება. (ჯარისკაცი სწრაფად გაბრუნდება: კარში შეეფეთება გამომძიებელს, გვერდს აუვლის და მიდის. შემოდის გამომძიებელი — პოდპოლკოვნიკი. ადიუტანტს გადაუკითხავი დეპეშა ხელში შერჩება და წამოღება საღამით. მწერალი ფეხზე გაშეშდება).

გამომძიებელი — მოიყვანეთ ტუსალი. (მოხელებს) მომეცით მა-

სალები (ადიუტანტი და მწერალი უხერხულად გადახედავენ ერთმანეთს) ხომ გაამზადეთ?

მწერალი — (ცახცახით) მოგართმევთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

გამომძიებელი — მარდად, ნუ გეძინებათ.

მწერალი — (მიაქვს გამოძიებულთან საქმე) გაამზადებულია... მხოლოდ ერთი წინადადება...

გამომძიებელი — (შლის ქალაღებს) რა წინადადება?

მწერალი — (ცახცახებს) თქვენო მაღალ... კეთილ... შობ... ლებავ...

გამომძიებელი — გაციებს?

მწერალი — დიახ.

გამომძიებელი — (გაიცინებს) აი, შე ძაღლის შვილო, (მოხელეები პატივისცემით იღიმებიან) აგერ ჩექმამ ფეხი დამქექკა, მაგრამ პანდურს ისე მოგცხებ ამ ფეხით, რომ ერთსაც არ დაიკვნესებ (მოხელენი ისევ იღიმებიან).

ადიუტანტი — (თითქოს ალტაცებით) რა კარგ ხასიათზეა.

გამომძიებელი — (კარში ეძახის) შემოიყვანეთ ტუსალი. (ადიუტანტი იხედება დეპეშაში, სახეზე ეხატება გაკვირება. შემოყავთ ყვარყვარე. გამოძიებლის ყურადღება უცბად ყვარყვარეზე გადადის).

გამომძიებელი — (ყვარყვარეს აკვირდება) თავს ძალიან ისაწყლებ, მაგრამ შენს სახეზე მაინც ვკითხულობ, რომ სახელმწიფო დანაშაულის ჩადენა შეგიძლია.

ყვარყვარე — ბატონო, რას ბრძანებთ, სულ ტყუილად ამაგდეს კერიიდან.

გამომძიებელი — როდის დაიწყეთ მუშაობა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ?

ყვარყვარე — მე? ვინ გგონივართ, ბატონო, დამაკვირდით. ხელმწიფის ერთგულ კაცს მაგას მეუბნებით?

გამომძიებელი — კმარა. მოჰყვეთ აღსარება. იცოდე, რამდენ მეტ დანაშაულს აღიარებ, იმდენად შეგიმსუბუქდება სასჯელი. ჩამოხრჩობა დახვრეტად შეგეცვლება, ესეც საქმეა.

ყვარყვარე — ვაი, ამ შავ დღეს!..

ადიუტანტი — (დექმას კითხულობს და ხმამალა ამოიგმინებს) ეს რა ამბავია დეპეშაში?!

გამომძიებელი — (აღშფოთებული მოხელეებისაკენ) ხმა გაკმინდეთ. (ყვარყვარეს) აბა, ჯერ დამისახელეთ თქვენი თანამოსაქმენი. დაიწყეთ, სულ ერთია, სიმართლე არ დაიმალება.

ყვარყვარე — აქ, ფანჯრიდან ორ მეზობელ გლეხს მოვკარი თვალი, გეტყვიან ვინა ვარ, ტყუილად არ დამლუპოთ. ისე

მიყურებ, ბატონო, რომ... სულ მაკანკალებს. ეს რა მღუღა-
რეში ვტუცე ფეხი.

ადიუტანტი — (მღელვარედ) ამ განყოფილების მოხელეები მაინც
შუა ცეცხლში ვართ.

გამომძიებელი — (ფეხებს აბაკუნებს) როგორ ბედავ?

ადიუტანტი — ჯერ ეს წაიკითხე და ფეხი მერე დამირტყი.

გამომძიებელი — რაო? კიდევ ენას მიბრუნებ? (მუჟარით მიუახ-
ლოვდება).

ადიუტანტი — (აცქვრდება დეპეშას) ასეა... რევოლუცია.. დეპეშა..
მოლით.

გამომძიებელი — რევოლუციაა, სად?

ადიუტანტი — არის, არის. (მწერალს რბილად) შენც მოიწი აქეთ.

გამომძიებელი — (გაკვირვებული) ხომ არ გაგიჟებულა?! (გამოართმევს
დეპეშას, კითხულობს) ნიკოლოზ მეორე გადადგა... (ჩიფჩიფებს).

ადიუტანტი — (რბილად მწერალს) შენც წაიკითხე, მეგობარო.

გამომძიებელი — (გარკვეულად იმეორებს) უმაღლესი ძალაუფ-
ლება... სახელმწიფო სათათბირო... აღმასრულებელი კომიტე-
ტი... (მღელვარედ მოხელეებს) თქვენ ხომ გესმით, რას ვკითხუ-
ლობ.

მწერალი — (გაბედა მისვლა და კიდევ კითხულობს) შედგა პეტრო-
გრადში მუშათა დეპუტატების საბჭო.

ადიუტანტი — ახლა ვრწმუნდები, რომ არაფერი არ მომჩვენ-
ებია.

გამომძიებელი — (განაგრძობს კითხვას) შედგა დროებითი მთავ-
რობა.

ადიუტანტი — (განაგრძობს კითხვას) ამიერ-კავკასიაში მეფის მო-
ადგილის ნაცვლად დაინიშნება რწმუნებული-ემისარი...

გამომძიებელი — რევოლუციაა.

მწერალი — მე, როგორც სტუდენტი, თქვენ უნდა გითხრათ...

ადიუტანტი — (პატივისცემით) ჰო, ჰო, შენ იცი, ალბათ.

მწერალი — ეს რევოლუციაა.

გამომძიებელი — რევოლუციაა.

ადიუტანტი — რევოლუციაა.

მწერალი — და, როგორც სტუდენტი, გეტყვით, რომ... ჩემი
მატერიალისტური თვალსაზრისით რევოლუცია შლის ისტო-
რიაში ახალ ფურცლებს.

ადიუტანტი — ჰო, ჰო, კიდევ რა იცი?

მწერალი — რევოლუცია სპობს მის მოწინააღმდეგე ატომებს.

ყვარყვარე — შიშით ისე ვარ გაბრუებული, რომ ყურთა სმენა დამეკარგა, ისინი ჩემ ჩამოხრჩობას ხომ არ ამზადებენ. განა არ მომხდარა ასეთი მაგალითი, რომ მართალი კაცი ეშმაკის კლანჭში ჩავარდნილა?!

გამომძიებელი — (ყვარყვარესკენ მიბრუნდება და უკვე ყვარყვარეს წინაშე დგას როგორც დამნაშავე. ადიუტანტი და მწერალი განაგრძობენ თავისთვის დეპეშის კითხვას, ინტიმურად ეჩურჩულებიან ერთმანეთს).

გამომძიებელი — ბატონო რევოლუციონერო, თქვენ, ალბათ, დიდი ხანია მუშაობთ ხალხის საკეთილდღეოდ მეფის მთავრობის წინააღმდეგ.

ყვარყვარე — ბატონო, არ დამლუპო.

გამომძიებელი — არა, ნუ გეფიქრება.

ყვარყვარე — სხვისი ცოდვა არ წამცხო.

გამომძიებელი — თქვენ სპეტაკი რევოლუციონერი ხართ, კარგად ვიცი.

ყვარყვარე — რას ბრძანებთ, ჩემისთანა მართალი ხეც არ არის. ტყუილად ლადარში არ გამხვია.

გამომძიებელი — ნუ, ნუ ღელავთ, დაბრძანდით. (ჯარისკაცებს) გადით აქედან, რა საჭიროა თოფიანი ყარაული, ადამიანია, მხეცი ხომ არ არის?! (ჯარისკაცები მიდიან).

ადიუტანტი — (ამოიღებს ყუთიდან ქალაღებს. მწერალს) ეს საბუთები თუ არ მოვსპეტ, სულ, სულ დავიღუპებით.

მწერალი — გუშინ რომ ცნობები შევადგინეთ?

ადიუტანტი — ოო, ის უსათუოდ მოვნახოთ. მაგრამ ჯერ ეს მოვსპოთ. (ადიუტანტი და მწერალი მიდიან ქალაღებით).

გამომძიებელი — (ლაქუცი) თქვენი ყარაული მოვხსენით.

ყვარყვარე — ჯერ, ბატონო, გამიკითხეთ.

გამომძიებელი — მიიღეთ ჩემგან აღსარება, რომ მე სულისა და გულის სიღრმეში მუდამ დემოკრატი ვიყავი. და როდესაც მეფე უმოწყალოდ სჯიდა რევოლუციონერებს, მწარე გულით ვტიროდი... მაგრამ ისეთი დრო იყო, რომ ცრემლს ვერ გამოაჩენდი.

ყვარყვარე — მეფის მოღალატეები, ბატონო, მე ყოველთვის მძულდა, ტყუილად რატომ მცდიოთ.

გამომძიებელი — არა, მუდამ თავგანწირული ყოფილხართ ხალხისათვის.

ყვარყვარე — ბატონო, რატომ მჭრი ამ ყელს!

გამომძიებელი — თქვენი მოღვაწეობა ამ არმიის კარგად ვიცი.

ყვარყვარე — მე არ ვარ ის კაცი, გაიგონეთ.

გამომძიებელი — ის არა ხართ?

ყვარყვარე — ოო, მადლობა ღმერთს, გაიგონეთ, ის კაცი მე არა
ვარ.

გამომძიებელი — აა, მიეხვდი. თქვენ ამ ხერხით გინდოდათ სა-
სჯელი აგეცდინათ, რათა მეორედ შეგეწირათ თავი ქვეყ-
ნისთვის. ო, რა კეთილშობილებაა.

ყვარყვარე — მაშ, არაფერს არ დამიჯერებ?! (ძრწოლით) მახრჩობ
მართალ კაცს?

გამომძიებელი — როგორ გეკადრებათ. — კაცს ჩამოვახრჩობ?
ადამიანი ხომ ბუნების გვირგვინია.

ყვარყვარე — მერე მე კატად მთვლი?!!

გამომძიებელი — ო, თქვენ ვერ ხედავთ თქვენს სიმაღლეს, თქვენ
არ იცით სად მიგიყვანათ თქვენმა წმინდა ცხოვრებამ, სად,
სად...

ყვარყვარე — სად?!

გამომძიებელი — მე მოვსულვარ თქვენთან იმ მტრედის მსგავს-
სად, რომელმაც ნოეს კიდობანში მშვიდობის ამბავი მიუ-
ტანა... ოღონდ, დაიმახსოვრეთ ჩემი მტრედობა და კალთა
მაფარეთ თქვენს სასუფეველში.

ყვარყვარე — სასუფეველშიო, უსათუოდ მახრჩობენ.

გამომძიებელი — მე თქვენ გახარებთ ისეთ ამბავს, ისეთ ბედ-
ნიერებას, რომელზედაც თქვენ ოცნებობდით. რომლისთვისაც
სულს ლევდით! მოემზადეთ დიდი სიხარულისათვის.

ყვარყვარე — რაო, რას ბრძანებ?

გამომძიებელი — რევოლუცია მოხდა, მეფე ტახტიდან გადადგა
და დღეს ახალი მთავრობაა.

ყვარყვარე — რევოლუცია მოხდა? (თავისთვის) რას ლაპარაკობს
ეს კაცი?! (გამომძიებელს) მერე?

გამომძიებელი — თქვენ იმდენი ღვაწლი მიგიძღვით, საფლავ-
შიაც არ დაგივიწყებდნენ, თორემ, ცოცხალს ხალხი თქვენზე
მეტად ვის დააფასებს.

ყვარყვარე — ეჰე! (თავს ასწევს) რევოლუცია მოხდა?

გამომძიებელი — დიახ.

ყვარყვარე — (ამაყად) მერე?

გამომძიებელი — ქვეყანა გადაეცა თავგანწირულ რევოლუცი-
ონერებს.

ყვარყვარე — მერე ჩემი თავგანწირვა?!

გამომძიებელი — სულ დაგიფასდება.

ყვარყვარე — (აღშფოთებით) ამ ამბავს მიმაღვლი?

გამომძიებელი — აკი ვთქვი.

ყვარყვარე — ენა იმდენი ათობარიკე, სული კინალამ გამძვრა-
გამომძიებელი — არა, მე მხოლოდ თქვენი ამაგი და თავდა-
დება მოვიგონე.

ყვარყვარე — ჩემი ამოდენა თავდადება და ამაგი ახლა წყალში
გადაიყრება თუ, როგორ გგონია!

გამომძიებელი — რას ბრძანებ, თქვენ დიდი მოღვაწე ხართ.
(ქალაღმდეგ მიუთითებს) აქ, ამის შესახებ საბუთებია.

ყვარყვარე — აქ კიდეც რაა! (გადაუყრის საბუთებს) შენ გგონია
ახლა მთელი ჩემი ცხოვრება ხელისგულზე გიწერია!

გამომძიებელი — არა, მე რა ვიცი... ამ არმიაში რაც ჩაგი-
დენიათ, კიდეც ცოტაა... სხვაგანაა თქვენი მთავარი გმი-
რობა.

ყვარყვარე — ჰოდა ასე ილაპარაკე.

გამომძიებელი — თქვენს შუბლზე მე ვკითხულობ ღრმა ფიქ-
რების ნიშანს, თქვენა ხართ უდიდესი რევოლუციონერი.

ყვარყვარე — ტყუილია თუ?

გამომძიებელი — მე, როგორც შეგნებული დემოკრატი, დაბლა
ვიხრები თქვენს წინაშე.

ყვარყვარე — მერე, ახლა მე ტუსადი კი არა ვარ!.. არა ვარ...
არა ვარ...

გამომძიებელი — არა, თუმცა ფორმალურად ითვლებით, სანამ
ჩვენი უფროსი ოფიციალურად არ გამოგიცხადებთ ამ ბედ-
ნიერებას, რაც მე გაცნობეთ... მანამდე კი, თავი ტუ-
სადად რომ არ იგრძნოთ, აი შებრძანდით კაბინეტში,
წამოჯექით სავარძელში და...

ყვარყვარე — ენა დაამოკლე. ბედნიერება, თორემ შენი მოცე-
მულია. ჩამოხრჩობას რომ მიპირებდით, რას ფიქრობდით?
გეგონათ ასე შეგრჩებოდით?!

გამომძიებელი — მე? (ხმის კანკალით) ჩემს შესახებ ცუდ რამეს
ხომ არ ფიქრობთ. აგისნით, ბატონო. მე ერთი პატარა
კაცი ვარ.

ყვარყვარე — არა, სად მცალია მე ახლა შენთვის, შე ჩიჩია, შე
გლახა.

გამომძიებელი — დიახ, ხალხისთვის უნდა იფიქროთ და იზ-
რუნოთ.

ყვარყვარე — რა მაქვს მე საფიქრალი?! მოტყუილდება რამეში
ყვარყვარე თუთაბერი, თუ რა გგონია?! (შედის კაბინეტში,
შემოდინან ადიუტანტი და მწერალი).

ადიუტანტი — როგორ არის საქმე: ამ რევოლუციონერს ყველაფერი უთხარი?

გამომძიებელი — არა.

მწერალი — სულ არ იცის?

გამომძიებელი — მე არ მითქვამს, მაგრამ იცის.

ადიუტანტი და მწერალი — საიდან, საიდან გაიგო?

გამომძიებელი — გამჭირაბი კაცია.

ადიუტანტი — (მწერალს) დავილუპეთ. მე და შენ ყალბი საბუთები რომ შევადგინეთ სოციალისტებზე, ის თუ...

მწერალი — (სიტყვას წაართმევს) ოო, ის თუ არ გავანადგურეთ, ვილუპებით. მერე სად არის?

ადიუტანტი — ეგებ პოლკოვნიკთანაა. (აპირებენ წასვლას. შემოდის გენერალი. ცივად შეხედუბიან. გენერალი გარშემო მიმოიხედავს. შეხვედრა იუცხოვა).

გენერალი — (მრისხანე ტონით) გამიმზადეთ ცნობა?

ადიუტანტი — რომელი ცნობა?

გენერალი — (გაკვირვებული) ააა, არმიაში დეზერტირობის შესახებ.

მწერალი — ეს როდის მოითხოვეთ?

გენერალი — (მწერალზე) ეს ვინაა?

ადიუტანტი — (აწოდებს დეპეშას) პეტროგრადიდან დეპეშაა.

ტვინი გადაგვებრუნდა, ღმერთო ჩემო აი, აი, დახედეთ.

გენერალი — (მრისხანე გამომეტყველებით უპასუხებს) ეს რას ჰგავს?!

ადიუტანტი — თქვენო მალ... ალ... კიდევ მოგაგონებთ. დეპეშას დააკვირდით.

გენერალი — რაა. ა? ეს რა წესრიგია!..

ადიუტანტი — მე მგონია წესიერება არ დამირღვევია.

გამომძიებელი — რასაკვირველია.

გენერალი — (გამომძიებელს) თქვენც (დაბნეული იხედება) აააა, ყველას ავიწყდება მოვალეობა. გასწორდი!

ადიუტანტი — (მშვიდად მიიტანს დეპეშას და თვალწინ დაუდებს) პეტროგრადიდან გახლავთ.

გენერალი — (თანდათან მეტი ინტერესით კითხულობს, დრო და დრო ამოიყვილებს) სახელმწიფოს... სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტი... დროებითი მთავრობა... (გარკვეულად კითხულობს) პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების... საბჭო... (ჩაჯდება სავარძელში, ღუმალის შემდეგ) მეგობრებო!

გამომძიებელი — დიახ...

გენერალი — (უცბად) სად არის პოლკოვნიკი?

ადიუტანტი — ეს დეპეშა პოლკოვნიკს არ უნახავს.

- მწერალი — (ვაკაურო ხმით) ეს მნიშვნელოვანი ცნობებია; ჩემი აზრით, ეს დიდი ამბავია.
- გენერალი — განაგრძეთ თქვენი მოვალეობის ასრულება. (აპირებს წასვლას. გამოძიებულს) თქვენ კიდევ ჩემთან ერთად წამო-ბრძანდით. (გენერალი და გამოძიებელი მიდიან. ადიუტანტი და მწერალი შეხედავენ ერთმანეთს).
- ადიუტანტი — ხომ დავიღუპეთ!
- მწერალი — შენი ბრალია. შენ შეადგინე სოციალისტებზე ის ყალბი საბუთები. მე მხოლოდ გადავწერე.
- ადიუტანტი — იცოდეს ღმერთმა, რომ ბოროტი განზრახვით არ მიქნია.
- მწერალი — ეს რა ეშმაკმა შემომადგო პატიოსანი სტუდენტი საიდუმლო განყოფილებაში და ისიც შენისთანა უწმინდურ-თან, ტფუ...
- ადიუტანტი — რა ვქნა!
- მწერალი — (ფხვებს დაუბაკუნებს) გასასრესი ხარ.
- ადიუტანტი — რა ვქნა, უნდა მოვძებნოთ, თორემ თუ ნახეს!..
- მწერალი — ოო, თუ ნახეს მეც ხომ მომეცხება... ჰო, კარგი, წამოდი... წამოდი... (ადიუტანტი და მწერალი მიდიან. კაბინეტიდან გამოდის ყვარყვარე და ხელს უქნევს ფანჯარაში).
- ყვარყვარე — ბიჭებო, აქეთ, ბიჭებო! (აკუტა და ქუჩარა მოადგები-ან ფანჯარას).
- აკუტა — ხომ მოვნახეთ?!
- ქუჩარა — (აკუტას) ახლა მე მაცალე. (ყვარყვარეს) რა უყავი ის ჩვენი ნასისხლარი, ა? მიწაში რომ ჩახვიდე, არ მოგეშვები, ხომ იცი.
- ყვარყვარე — რა ცხვირში მგციტ. ჯერ რა მომივიდა ამ სატუ-სალოში, არ იკითხავთ?
- ქუჩარა — სატუსალოშიო?
- აკუტა — (ქუჩარას) ახლა ხო ხედავ, რო გითხრეს, გაკოჭილი მიყავდათო.
- ქუჩარა — რა დაგემართა?
- ყვარყვარე — ახალთაობის კაცად მიცნეს, ხელმწიფის მტრად გამომაცხადეს.
- აკუტა — (ქუჩარას) ეე, ხომ გესმის?
- ქუჩარა — (ყვარყვარეს) მერე მაგისტოვის თავზე ხელს დაგისობენ?
- ყვარყვარე — თავზე ხელს დამისობენ კი არა, კიდევ ჩამომა-ხრჩობენ. დავიღუპე კაცი, ჩემს საფლავს პატრონი ვერც კი მონახავს და ცოლით გიბარებთ, მამაჩემს, წყვიწყვის, ასე

უთხარით: იმისთანა ვაეკაც შვილს ნაცარქექია რომ შეარქვითქვა, ცოლი არ ათხოვიე და კეტით გააგდე საშოვარში, ეს მოეწია-თქვა... ასე გადაეცით, სახრჩობელაზე რომ გაყავდათ, იქიდან შემოგიტვალა, ძალი ჩაგაკვდა მაგ სულშითქვა.

კაკუტა — უჰ, საწყალი, დაღუპულა!

ქუჩარა — (მღელვარედ) შე საწყალო, ა? ახლა... რისთვის შეგხვდა ეს შენ?

ყვარყვარე — (ამყად) ახალთაობის საქმისათვის.

კაკუტა — რო არ იყავი შენ მაგისთანა კაცი?!

ყვარყვარე — (თოფნაკრავით) როგორ არ ვიყავი! მაშ, პოლიციას ვემალეზობდი და თქვენისთანა ენაყრანტალებს ვეტყობდი! ქვეყანას რომ ეძინა, მე მაშინ ვმუშაობდი.

ქუჩარა — სულ დაგიქცევია ოჯახი! აბა, ხელმწიფის ღალატი რა...

ყვარყვარე — ასეა, თქვენისთანა შეუგნებლებიდან, მართლა რომ დავღუპულიყავი კაცი, გაკილვის მეტს რას მივიღებდი... მაგრამ გამიცინა ბედმა, თქვენი ყბიდან ამოვედი, იღბალმა გამიქრა, რევოლუცია მოხდა და ხელმწიფე ტახტიდან გადააგდეს.

კაკუტა და ქუჩარა — (ერთად) ხელმწიფე გადააგდეს?

ყვარყვარე — კი.

ქუჩარა — ეს რა ამბავი დატრიალებულა?!

ყვარყვარე — თქვენ ის უნდა ნახოთ აწი, ხალხი რომ ხელისგულზე დამიჯენს ხვითოსავით.

კაკუტა — (სიხარულით იმანჭება) ეე, რა...

ქუჩარა — მთლად ბედნიერი კაცი ყოფილხარ.

ყვარყვარე — მარა რა... რა გემოს ვნახავ, ქვეყანას უნდა ვუქადაგო.

კაკუტა და ქუჩარა — (ერთად) რა უნდა უქადაგო?

ყვარყვარე — სიმართლე.

ქუჩარა — (აკუტას) ასეა, ხომ გესმის, სოციალისტები მარტო იმას თვლიან სიმართლედ, რასაც თვითონ ამბობენ.

კაკუტა — ვიცი. კიდევ ამბობენ, რომეო, ციხესო რკინის კარები არ უნდაო, სულ შუშაბანდები უნდა იყოსო.

ქუჩარა — (ყვარყვარეს) სიმართლეს რა ჯობია. მაგისთვის ხალხი, მართლაც ხვითოსავით მოგეფერება.

ყვარყვარე — მაშ ტყუილა ვეწვალე! ხომ ხედავდით, დღე და ღამე რომ პოლიცია მსდევდა.

კაკუტა — როდის ვხედავდით?!

ყვარყვარე — (აჯავრებს) როდის ვხედავდით!

კაკუტა — რა ვიცი...

ყვარყვარე — ხომ იცი, ჩვენ, სოციალისტები, ტყუილს რომ არ ვიტყვით.

ქუჩარა — კი.

კაკუტა — კი.

ყვარყვარე — მე ხომ გითხარით, პოლიცია, რომ მეძებდა.

კაკუტა — კი.

ყვარყვარე — ჰოდა, ხომ კარგად იცით, რაც მე ხალხისთვის წვალება გადამხდა?!

კაკუტა — (ყოყმანით) კი.

ქუჩარა — კი, კაკუტა, ასე ყოფილა და...

კაკუტა — რას იზამ...

ყვარყვარე — ჰო, მართლა, თქვენ წისქვილში გამოვიღიდით და იქ გულთამზე არ გინახავთ? (მოისმის ყვირილი).

ქუჩარა — დარაჯი გაგვირისხდა, გავეცალოთ აქედან. (კაჟუტა და ქუჩარა მიდიან).

ყვარყვარე — რა ყვირილია მანდ, ვინ ბედავს? (ათვალიერებს ნივთებს. გააღებს კაბინეტის კარს) ამ სავარძლისთანა ძვირფასი მინც ვერაფერი ვერ ვნახე, რა რბილი ჩასაწოლია, არცაა აქ დასატოვებელი. (შედის კაბინეტში. ხმაურობაა. შემოდინა გენერალი, გამოძიებელი, პოლკოვნიკი, ადიუტანტი და მწერალი).

პოლკოვნიკი — როგორმე, ძალაუფლება ხელიდან არ გავუშვათ... სხვა არმიების ოფიცრობაც ასე შეეკავშირდება და რევოლუციის ნაპერწკლებს ყველგან ჩააქრობენ.

გენერალი — ზოგადი სიტყვები მე არ მინდა. თქვენ მითხარით, პირველ ღონისძიებად რა ვიხმაროთ ახლა, რა გავაკეთოთ?!

პოლკოვნიკი — უპირველეს ყოვლისა, აქ რომ რევოლუციონერი ზის, ახლავე ჩამოვახრჩოთ...

გენერალი — ეს ადვილია.

პოლკოვნიკი — მერე, რევოლუციასზე კრინტი არავინ დაძრას!

გენერალი — ფოსტა-რადიოები რომ დაიწყებენ ღრიალს?

პოლკოვნიკი — ჯარში დავატრიპლოთ ქეშმარიტ რუსთა კავშირის აგენტები. (ადიუტანტს და მწერალს) აქ თქვენც უნდა გაანძროთ კუდი, ბიჭებო.

გამომძიებელი — მართალია, საქმე სულ ამათზეა, სიცოცხლე არ დაზოგოთ, თავი უნდა გასწიროთ.

ადიუტანტი და მწერალი — (ერთად) რაო? ჩვენ დავდვით თავი სასიკვდილოდ?

3. პოლიკარბე კაკაბაძე

გამომძიებელი — რასაკვირველია.

პოლკოვნიკი — დიახ, თქვენც, ჩვენც და ყველამ, ყველამ სულ ყველამ...

გენერალი — რასაკვირველია (შემოდის ყვარყვარე. ყველანი მიიხედავენ).

გენერალი — ეს ვინაა?

ადიუტანტი — (გადაუჩურჩულებს შიშით მოხლეებს. ყველანი შეწრიალდებიან).

ყვარყვარე — (მათი აწრიალების მიხედვით თამამად წამოიჭიმება) რას აწრიალდით? ის თქვენი უფროსი რატომ არ მოვიდა ჩემთან, ა? რას იხევთ უკან. თქვენ, როგორც გატყობთ, ჩემი არც გეშინიათ.

ადიუტანტი — რას ბრძანებთ, როგორ არ გვეშინია.

ყვარყვარე — ო, თავს მალლა წვეთ, მაგრამ... ისეთ დღეს დაგაყენებთ, თვალებს დაგათხრევენებთ.

ადიუტანტი — (მიუთითებს მწერალზე) მე და ეს კაცი არაფერ შუაში ვართ, ტყუილად კრინტიც არ დაგვიძრავს.

ყვარყვარე — ამას კი გავიგებ, ვის რა უთქვამს. ფაჩუნიც არ გამომეპარება, მაგრამ მაინც კარგად გამაგებინეთ: ვინაა ჩემი-მტერი?!

მწერალი — (უთითებს გენერალზე და პოლკოვნიკზე) აი ისინი.

ყვარყვარე — (შიშით) ვითომ რას მიპირებენ.

გენერალი — (პოლკოვნიკს) უნამუსოდ გაგვიჩივებს.

მწერალი — ბატონო რევოლუციონერო! მიიღეთ ჩემგან ეს სასიამოვნო ცნობა (მიაქვს მაგიდიდან დეპეშა. ადიუტანტი თან მისდევს) პეტროგრადში მოხდა...

პოლკოვნიკი — (გამოღლებს ქალაქს) ხმა ჩაიწყვიტე.

გენერალი — (პოლკოვნიკს) ფრთხილად, ნუ გააბრაზებ, ბატონო პოლკოვნიკო. ხელმწიფე თუ გადადგა, ჩვენ აქ არაფერი არ შეგვიძლია.

ყვარყვარე — (შეშინებული) ეს რა გამიბედეს, ჭკუით, ყვარყვარე თუთაბერო, მგონი რალაცას გიპირებენ.

გენერალი — (პოლკოვნიკს) ჩვენ ფონი ვეძიოთ, ბატონო პოლკოვნიკო.

პოლკოვნიკი — (მოტეხილად) მაშ, თქვენ თვითონ წაუკითხეთ. (აძლევს ქალაქს გენერალს).

გენერალი — (ყვარყვარეს მღელვარედ) მე მოგახსენებთ, ბატონო, იმას, რაც თქვენ არაოფიციალურად გაგიგიათ... ბატონო, ჩვენ დიდ პატივს გცემთ, როგორც..

ყვარყვარე — რა პატივს მცემთ, მაშ რა იყო, წუხელის რომ ქაში ჩამაგდეთ. (ადიუტანტს და მწერალს მიაქვთ სკამი ყვარყვარესთან).

გენერალი — (სკამს ხელს მიაბმარს) დაბრძანდით (პოლკოვნიკს) მართ-
ლაც ბნელია ის სარდაფი.

პოლკოვნიკი — დიახ, დიახ, ურიგო იყო.

მწერალი — ბატონო რევოლუციონერიო.

გენერალი — (გაწყვეტინებს მწერალს) შენ ნუ შეგვეჩხირები. (ყვარყვარეს)
იმპერატორი ნიკოლოზ მეორე გადადგა.

ყვარყვარე — ჰოდა, ასე მითხარი.

ადიუტანტი — შედგა სახელმწიფო სათათბიროს...

მწერალი — (სიტყვას წაართმევს) აღმასრულებელი კომიტეტი.

გენერალი — მე დამაცადეთ.

ყვარყვარე — ყველა ნუ მელაპარაკებით. ნუ სხრიალობთ.

გენერალი — (აძლევს დეპეშას) აქ ყველაფერი წერია, აი, ინებეთ.

ყვარყვარე — (დახედავს დეპეშას) ვიცი... (დაკვავას).

გენერალი — ესეც წაკითხული გაქვთ?

ყვარყვარე — მიწაში რაა, ის ვიცი.

პოლკოვნიკი — (ჩამოიღებს კედლიდან ნიკოლოზის პორტრეტს) ეს მართ-
ლაც, არ შეეფერებოდა რუსეთის ტახტს. (რეკავს ტელეფონი. ადიუ-
ტანტი მიდის ტელეფონთან, მაგრამ მწერალი ტლანქად გააგდებს).

მწერალი — (ტელეფონით) ა? საყვედურს მივიღებთ დროებითი
შთავრობისაგან?

გენერალი და პოლკოვნიკი — (ერთად) რაო? რაო?

ყვარყვარე — (ამაყად იხედება დეპეშაში).

მწერალი — დავიღუპეთ, ყველა კორპუსს უცვნია რევოლუცია.
ჩვენ კი დავაგვიანეთ.

ადიუტანტი — (გენერალს და პოლკოვნიკს) ეს სულ თქვენი ბრალია.

მწერალი — (ტელეფონით) ჩვენც ვზეიმობთ, ააა, არის, როგორ არა.
(ყვარყვარეს) ჯარისათვის ორატორი იკითხეს, მე ვუპასუხე, აქაა
ცნობილი რევოლუციონერი მეთქი.

ყვარყვარე — ჩემისთანა ორატორობა ვის შეუძლია, ხეს ავატირებ.

მწერალი — (ტელეფონით ვაბნის) დღეს ჩვენ მოვისმინეთ უუწყამებუ-
ლესი კაცის მხურვალე სიტყვას.

ადიუტანტი — ოო, რა იქნება თქვენი სიტყვა, ბატონო რევოლუ-
ციონერიო, სწორედ თვალებს აგვიხელს.

ყვარყვარე — ისეთ უბედურებას დავატრიალებ მე ახლა აქ, რომ
ქექას და ქუხილს მოგანატრებთ.

ადიუტანტი — დამშვიდდით, ბატონო.

მწერალი — ერთი სიტყვა გვითხარით.

ყვარყვარე — სიტყვა გინდათ? რა ღირსი ხართ, თორემ სულ
წყალივით ვილაპარაკებ. (ორატორულად) ვინც შრომობდა, მდი-
დარი ატყავებდა. იყენენ ბრმები, მაგრამ გათენდა. (მიმოიხედავს
მრისხანედ) გადასახადებს აწესებდით ჩემი სახრჩობელის წინ

ლიპით ძირმომპალ ტახტზე. მაგრამ გაიმარჯვებს სიმართლედ
და ხალხი შურისძიებით და ხელებით, და ფრჩხილებით, და
კბილებით, და... ტა... ტა... ტა...

ყველანი — (კანკალით) გული დაიმშვიდე, ავლელით.

ყვარყვარე — უსაძირკველო ჯალათებო, ციხის კედლები სულ
დაიმსხვრა, ახლა რას მიპასუხებთ, მტარვალებო! (ყარის იქით
მოისმის ხმაური).

ყვარყვარე — (შეშინებული) რა ამბავია?!

მწერალი — რევოლუცია გაიგეს, დეპეშის წაკითხვას მოითხოვენ.

ყვარყვარე — წაუკითხეთ!

ადიუტანტი — (სწრაფად აწოდებს მწერალს დეპეშას).

მწერალი — (გადასცემს კარში) კედელზე გააკარით.

ყვარყვარე — (გენერალს და პოლკოვნიკს) შემომხედეთ მოპასუხენო
(გარედან მოისმის მარსელიოზის ხმა).

გენერალი და პოლკოვნიკი — (ხელს აიღებენ) გემორჩილებით.
(შემოდინან კაჟუტა და ქუჩარა).

ყვარყვარე — (მოხელეებს) თქვენ გინდოდათ ჩემი ჩამოხრჩობა!

კაკუტა — რა ჩამოხრჩობაო, ხვითოსავით გეძებენ.

ქუჩარა — ვის უნდოდა შენი ჩამოხრჩობა? ქვეყანა კარში შენს
ქირს ნატრობს.

ყვარყვარე — ამ ღვთის გლახებს ვერ ხედავ, რას ბედავენ?
(შემოდინან ჯარისკაცები).

1-ლი ჯარისკაცი — მოგვეცით რევოლუციონერი.

ყვარყვარე — (შეშინებული) რატომ? რას მემართლებით?!!

1-ლი ჯარისკაცი — სიტყვა გვითხრას.

ყვარყვარე — (ღიმილით) კი, გეტყვით.

შე-2 ჯარისკაცი — (მესამეს) განა ეს არის, ჩვენ რომ პროკლა-
მაციები გადმოგვცა? ეს არის!

შე-3 ჯარისკაცი — სად არის ის რევოლუციონერი, აქ რომ
პატიმრად გყოლიათ? ეს სხვაა, ის კაცი რა უყავით?

მწერალი — (ჯარისკაცებს) პატიმარი სხვა არა გყავს.

ადიუტანტი — (ჯარისკაცებს) წისქვილში ეს დაიკირეს.

ყვარყვარე — მე ვარ დაპატიმრებული, ვერ მხედავთ?

შე-2 ჯარისკაცი — ეს არის, ალბათ, ეს მისი ნამდვილი სახეა,
მაშინ კი გრიმი ჰქონდა.

შე-3 ჯარისკაცი — ოო, მეც იმიტომ გამიკვირდა. რა დიდი გო-
ნიერი მოღვაწე ყოფილა.

1-ლი ჯარისკაცი — (დგება კარებში და იძახის) მე გავათავისუფლე
სატუსალოდან რევოლუციონერი.

მე - 2 ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — (კარში იძახის) რევოლუციონერი მოდის. (გარედან მოისმის აპლოდისმენტები. შემორბის რამდენიმე ჯარისკაცი).

მე - 5 ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — ხალხი მოუთმენლად გელის. (კაკუტა, ქუჩარა და შემოსული ჯარისკაცები აიტაცებენ ყვარყვარეს ჭაერში).

ა დ ი უ ტ ა ნ ტ ი — (მწერალს) რაკი მოვიმადლიერეთ, ნუ მოვშორდებით.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (კაცების მხრებზე ამაყად ხის. ათითებს მოხელეებზე) ეს დამნაშავენი არ გაუშვათ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — არ გაუშვათ! (კარში მხრებზე მჯდარ ყვარყვარეს გამოჩენა იწვევს ალტაცებას. გარედან მოისმის ტაში და მარსელიოზა).

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ხომ გესმის, კაკუტა და ქუჩარა, ყურები კარგად გამოიფხიკეთ.

მოკმედება მისამე

დროებითი მთავრობის ამიერკავკასიის რწმუნებულის კაბინეტი. რწმუნე-
ბული ზის მაგიდასთან. შემოდის შიკრიკი.

შიკრიკი — მაზრიდან გახლავთ ერთი კაცი.

რწმუნებული — არ მცალია.

შიკრიკი — კი, ბატონო, მაგრამ ხალხი ამბობს, როგორ არ სცა-
ლიაო, მეფის მთავრობა ხომ არ არისო... მეც მლანძღავენ,
ვისი ტიკის ტომარა ხარ მაგ კარზეო. რევოლუცია მოხდაო.

რწმუნებული — ჰოდა, შენც ნუ აყვები მათ ლაპარაკს.

შიკრიკი — არ იცი, ბატონო, რა დღეში ვარ? გუშინ ერთმა
ბლენძიანმა მუქარა წამოიწყო! მართლაც უნდა შემოვიდნენ ის
ბოლშევიკები და ერთი კარგად გაგატყაონო. მე ვუთხარი:
ბოლშევიკები მე თუ ტყავს გამაძრობენ, ძვალის მეტი რა შერ-
ჩებათ, შენ კი ხუთი მტკაველი ქონი გაქვს და უფროთხილდი-
მეთქი.

რწმუნებული — დამასვენე, გული ნუ გააწყალგ.

შიკრიკი — კი ბატონო, მაგრამ ის რომ არ მომეშვება!

რწმუნებული — ვინ არის?

შიკრიკი — რა ვიცი, მაზრის კომისარია — გვარად ნატუტარი ვარო.

რწმუნებული — აა, ტიტე ნატუტარი იქნება, ძველი მეგობარია.
შემოვიდეს (შიკრიკი მიდის — შემოდის მაზრის კომისარი ტიტე ნატუ-
ტარი).

ტიტე — სალაში, ბატონო, მადლობა ღმერთს, რომ მოვალწიე-
რწმუნებული — დაბრძანდით.

ტიტე — არა... (იხედება უკან).

რწმუნებული — მოგყავთ ვინმე? უკან რად იხედებით?!

ტიტე — აქ რომ შემოვდიოდი, სასახლის წინ ბოლშევიკები იკრი-
ბებოდნენ.

რწმუნებული — არა უშავს, თქვენი მაზრის ამბავი მომიყვით.

ტიტე — ჯერ აქაური ამბავი გამაგებინეთ.

რწმუნებული — მე მოხსენებას ვუკეთებ დროებით მთავრობას
და არა მაზრის კომისრებს.

ტიტე — (ნერვიულად) აქაც ცუდად გქონიათ საქმე, ისე ვატყობ.

რწმუნებულნი — ეს მე ვიცი.

ტიტე — მაშ, ლაპარაკიც არ ღირს. (ამოიღებს უბიდან ქალაღს) ჩაიბარეთ მანდატი და გამიშვით.

რწმუნებულნი — რას მაძლევ?

ტიტე — თქვენი მოცემული მანდატია.

რწმუნებულნი — ეს ქალაღლის ნაფლეთია, მე კი თქვენ მაზრა ჩაგაბარეთ.

ტიტე — იმ მაზრას ბოლშევიკები დაეუფლნენ.

რწმუნებულნი — ოო, მაშ ასე კარგად უპატრონეთ?!

ტიტე — რაო, მე ვერ მიპატრონებია!

რწმუნებულნი — მაშ!

ტიტე — როგორ, ა, ვინ არის ამ მხარეში ჩემოდენა თეორეტიკოსი, ვინც გინდა მეკამათოს!

რწმუნებულნი — ცოდნას მოხმარა უნდა.

ტიტე — განა მე არ შეეცაღე გამომეყენებინა ჩემი ცოდნა... მაგრამ არ მოხერხდა; ხალხი არ გამომაღგა. ეჰ, წინათ სიტყვა ხალხი ჩემთვის წმიღათა-წმიღა იყო, ახლა კი, ვფიქრობ, როგორც პოეტების დახატული ქალი არ მოიპოვება ბუნებაში, ისე არ არსებობს ხალხი იმ სახით, როგორც ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეები გვასწავლიღენ... ღიახ, ასეა, მეგობარო. მე ხალხისათვის რა არ ჩავიღინე, იმღენი ვუქაღაღე, რომ ტვინი ამიღულღა, მაგრამ ეს ათასთავიანი ღევი მაინც გაბოლშევიკღაღა, ბოლოს, ფარული ბიღიკები რომ არ მეპოვეა, მაზრიღან ტყავს ვერ მოვიტანიღი... ღიახ, თქვენი გულისთვის მე იმღენი ცეცხლი გამოვიარე. თქვენ კი რა მომეციღთ, ეს მანდატი, რომელსაც თვიღონვე ქალაღლის ნაფლეთს უწოღებთ.

რწმუნებულნი — როღესაც მე თქვენ მაზრაში გაგზავნეთ, იქ ბოლშევიკების ქაქანიც არ ყოფიღა.

ტიტე — მერე კი, როცა გაჩნღნენ, ამ ქალაღლის ამარა მიმატოვეთ. აი, აი ჩაიბარეთ, ჩაიბარეთ მანდატი.

რწმუნებულნი — მოითმინეთ ბატონო ტიტე ნატუტარო. ჩვენი მღგომარეობა გამოკეთღაღა და ახლა გარბიხართ?

ტიტე — არა, არა, მღგომარეობას ძაღა უნღა.

რწმუნებულნი — ძაღა გვაქს.

ტიტე — საიღან?

რწმუნებულნი — დაბრძანღით, ბატონო ტიტე ნატუტარო, მოგახსენებთ, დაბრძანღით.

ტიტე — (ვერ ბეღავ დაჯღეს) არა, ისეღაც ღიღხანს შევერჩი.

რწმუნებული — შენ ხომ იცი, რომ ოსმალეთის ფრონტიდან ჩვენი ჯარი გამობრძის.

ტიტე — უბედურებაც ეგ არის, გაბოლშევიკდნენ.

რწმუნებული — გუშინ ქალაქს ფრონტიდან დიდი ჯარი მოადგა. ხალხი შეშინდა და განაპირა უბნებში ღუქნის დარაბები დახურეს. ჩვენმა ოფიცრებმა არსენალიდან შიშით ზარბაზანი გაისროლეს... მაგრამ ეს ფრონტელები ქალაქგარეთ მშვიდობიანად დაბანაკდნენ და ბოლოს აღმოჩნდა, რომ სასტიკი დისციპლინა ჰქონიათ.

ტიტე — ღმერთო ჩემო, ასეთი ჯარი დღეს სად არის!

რწმუნებული — იმათ ჰყოლიათ ყვარყვარე თუთაბერი, რასაც ის იტყვის—კანონია. მთელი ჯარი მის ბრძანებას ემორჩილება.

ტიტე — შერე, მერე... ის ყვარყვარე თუთაბერი რა ჰქუაზნეა?

რწმუნებული — დროებითი მთავრობა იცნო.

ტიტე — (ჯდება) როგორ?!

რწმუნებული — პირველად ჩვენ მას დავემუქრეთ, დღეგაცაია გავეუზანენთ... მაგრამ აღმოჩნდა, რომ დროებითი მთავრობის ერთგულია.

ტიტე — არა, ასეთ პირობებში მეც თქვენთან ვარ.

რწმუნებული — მას ჰყავს ათი ათასი ჯარისკაცი.

ტიტე — ათი ათასი?!

რწმუნებული — სულ შეიარაღებულია თავით ფეხებამდე.

ტიტე — ოო, ეს სულ სხვა საქმეა! (კარი გაიღება, გამოჩნდება ორი ჯარისკაცი—ყარაულები).

1 - ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — დავიდალეთ, ბატონო.

მე - 2 ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — ფეხზე ჩამოვწყდით!

რწმუნებული — მოითმინეთ და გამოგვცვლიან. წელანაც დავურეკე, დამაცადეთ.

1 - ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — (მეორეს) ეს არის, ბიჭო, თავისუფლება?

მე - 2 ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — ვირები გვნახა, რალა!

რწმუნებული — გასწორდით, ნუ იქექებით. თქვენ მანდ ძალაუფლების სიმბოლო ხართ.

1 - ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — (აღზნებული) რა ვართ?

მე - 2 ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — ჩვენც შენსავით სისხლი და ხორცი გვაქვს, რა გგონია? თუ თავისუფლებამ მარტო შენთვის დაარტყა ბარი...

1 - ლ ი ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — მანდ ოფოფივით რომ წამომჯღარხარ.

რწმუნებული — კარგი, მოწყდით, აქედან გამეცალეთ (ჯარისკაცები ყოჩაღად მიდიან).

ტიტე — (აგარდება, ამოიღებს მანდატს) არა, არა, ჩაიბარეთ ეს მანდატი, გამიშვით!

რწმუნებულნი — ეჰე, გარბიხართ?

ტიტე — მე ჩემი გზა მაქვს.

რწმუნებულნი — საკვირველი კაცი ბრძანდები, ნატუტარო, დღეს ბაღლინჯოც კი სხვაგან არ იქყლეთს თავს, თუ არა ისტორიის ფურცლებზე. და ამ დროს შენ სულ უსახელოდ იღუპები.

ტიტე — მე ვილუპები?!

რწმუნებულნი — მაშ, როგორ ფიქრობ. აბა, ერთი მე დამაჰვირდი. ხომ ხედავ, წლებზე ფეხს ვიდგამ და სახელმწიფო საქვს მაინც ხელიდან არ ვუშვებ. რატომ?! შენა გგონია ქვეყანას თავსა ვწირავ? არა, როდესაც წარღვნა მოდის და სოროები წყლით ივსება, კვიანი ვირთხა მაშინ მალალ მწვერვალებს ეძებს... (ქუჩიდან მოისმის თოფის სროლა ხმაურობა).

ტიტე — ეჰე, მგონია, ახლა კი აგვიღეს.

რწმუნებულნი — (ფრთხილად იცქირება ფანჯარაში. სიხარულით) ბოლშევიკების მიტინგი დაიშალა.

ტიტე — (გაკვირვებული) აა? (იხედება ფანჯარაში).

რწმუნებულნი — გულიანად დაურთეს ბოლშევიკებს, ხედავ, ხედავ, გარეკეს.

ტიტე — ეს ვინა ქნა!

რწმუნებულნი — აკი ვთქვი, რომ ახალი ჯარი შემოვიდა.

ტიტე — მაშ, მთლად უძლური არ ვყოფილვართ!

მდივანის ხმა — ეს დედაკაცი არ გაუშვა!

რწმუნებულნი — ჩემი მდივანის ხმაა. — ვილაცას ემუქრება, ალბათ, კარგი ამბავი მოაქვს. (შემოდის მდივანი).

მდივანი — (კარიდან) ჩვენს ახალ გმირს, ბატონო რწმუნებულს ერთი სისუსტე აქვს.

რწმუნებულნი — ვის?

მდივანი — ყვარყვარე თუთაბერს.

რწმუნებულნი — რა მოხდა, გვიღალატა?

მდივანი — არა, ბოლშევიკი ქალი უყვარს და თუ იმის მხარეზე გადავიდა, კორიანტელი ამ ქალაქში მაშინ დატრიალდება.

რწმუნებულნი — ბატონებო, ჩვენ ხელისუფლება ვართ, მაგრამ არც ფრონტი გვემორჩილება და არც ადგილობრივი რაზმები გვცნობს... მაგრამ ბედმა გამოგვიგზავნა გმირი ათი ათასი კაცით და ვეცადოთ ხელიდან არ გავუშვათ. (მდივანს) ჩვენზეა რაც უნარს გამოვიჩინოთ, წადი, მონახე და შეატყობინე, რომ ის დაინიშნება მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალების უფროსად, მას უფლება ქალზე უფრო მოხიზლავს.

მდივანი — არა, ეს საქმე შე უკეთესად გადაკეთე.

რწმუნებული — როგორ?!

მდივანი — თქვენ აქედან ბოლშევიკების მიტინგი დაინახეთ?!

რწმუნებული — კი! ვინ დაშალა ის მიტინგი?!

მდივანი — ადგილობრივი სოციალისტების რაზმებმა.

რწმუნებული — ყველაფერს ისინი აკეთებენ. მაშ, შე რა ვარ, ერთი გამაგებინეთ.

მდივანი — მიტინგის გარეკის დროს შენშევიკებმა იარაღი იხმარეს და ბოლშევიკები ამაზე პროტესტს გვიცხადებენ. აი, აქ დავტრიალდი და ვთქვი, თითქოს დროებითი მთავრობის რწმუნებული მზადაა მიიღოს ბოლშევიკების დელეგატი. ბოლოს ის ქალი დავარწმუნე, თითქოს მოეუსმენდით და რამდენიმე ამხანაგს გავუთავისუფლებდით. ის დაპირებამ გააბრუა და ამ კართან მომყვა.

რწმუნებული — მერე სად არის? დამანახვე, შემოიყვანე.

მდივანი — ხომ იცით, რა უნდა ქნათ?!

რწმუნებული — დიახ, ციხეში გადავგზავნოთ.

მდივანი — ოღონდ საიდუმლოდ დარჩეს ეს საქმე. (მდივანი მიდის).

ტიტე — ამ თქვენს მდივანს თავში ჭკუა ჰქონია.

რწმუნებული — ოო, ძალიან მოხერხებული არის.

ტიტე — ახლა მითხარი, იმ ჯარების უფროსი აქ წესრიგს მართლა დაამყარებს?!

რწმუნებული — რასაკვირველია.

ტიტე — მაშ, მერწმუნეთ, იმ კაცის სახით მოდის ჩვენი დროის ნაპოლეონი. (შემოდის მდივანი და შემოყავს გულთამზე).

მდივანი — ეს ის ქალია, ვიზედაც გესაუბრეთ.

გულთამზე — აქ უზენაესი ძალაუფლების წარმომადგენელი ვინ ბრძანდება?

რწმუნებული — უზენაესი ძალაუფლება ეკუთვნის მომავალ დამფუძნებელ კრებას, ხოლო მის შეკრებამდე ქვეყანას განაგებს დროებითი მთავრობა, რომლის რწმუნებული მე გახლავარ.

გულთამზე — მერე თქვენ მოზავალმა კრებამ რა მოგანდოთ, ბატონო რწმუნებულო, რევოლუციის გაღრმავება და სისხლით მოპოვებულ თავისუფლების დაცვა თუ მშვიდობიანი კრების დახვერტა?!

რწმუნებული — ძალიან თავხედად ლაპარაკობთ!

გულთამზე — არა, მე მინდა გავიგო, მენშევიკებმა დროებითი მთავრობის ნება აღასრულეს თუ თვითნებურად ჩაიდინეს ბოროტმოქმედება?!

რ წმუნებული — ჩვენ მენშევიკებისათვის ნება არ მიგვიცია, რომ კრება დაეხვრიტათ, მაგრამ, არც პასუხს მოვთხოვთ.

გულთამზე — მაშ, გამოაცხადეთ, რომ მთავრობა არ არსებობს და მშრომელი ხალხი, რომელმაც ეს რევოლუცია მოახდინა, შეძლებს მთავრობა შეადგინოს.

ტიტ — ეს რა ალქაჯი ყოფილა! მე საზოგადოდ სიკვდილით დასჯის მომხრე არ ვარ... მაგრამ ეს ქალი რომ დაეხვრიტოთ უარს არ გეტყვით. (შემოდის შიკრიკი).

შიკრიკი — ვილაცა, ბატონო, დიდის რისხვით მოითხოვს თქვენს ნახვას.

რწმუნებული — (გულთამზეს) წამობრძანდით იმ ოთახში. ლაპარაკი იქ დაეასრულოთ.

გულთამზე — არა, აქ, კართან მიცდიან სხვა ამხანაგები. (მდივანი და რწმუნებული გულთამზეს ხელს სტაცებენ) ეს უხეში ძალადობაა. (მდივანი) თქვენ შემპირდით, რომ მეგობრებს გამითავისუფლებდით... იცოდეთ, პასუხს აგებთ...

მდივანი — ვისთან?

გულთამზე — მასთან, ვისი უფლებაც მოდის! ხელი გამიშვით, ვერაგებო! არამზადებო! (გულთამზე მიყავთ, სცენაზე რჩება შიკრიკი, აპირებს წასვლას და გააღებს კარს, მაგრამ მორიდებით შეჩერდება. გამოჩნდება ყვარყვარე).

ყვარყვარე — (შიკრიკს) კარი ფართედ გააღე, ხომ ხედავ, ხალხი მომყვება! (შემოდის, იძახის კარისაკენ) კაკუტა და ქუჩარა, ნუ გწყუდებათ ფეხები, თორემ თქვენი მოთრგუნვა მაინც შემიძლია. (შემოდინ ყოყმანით კაკუტა და ქუჩარა თოფ-ფარაჯით).

ყვარყვარე — (შიკრიკს) სადაა ის ხალხი?

შიკრიკი — გასულა, მოვახსენებ, ბატონო, (მიდის კაბინეტში).

ყვარყვარე — (კაკუტას და ქუჩარას) რატომ ჩამოგიშვიათ ეს ცხვირები? ცოტა სარგებლობა გაქვთ ჩემგან!

კაკუტა — რა სარგებლობა, აქ მთავრობის ხელში კი გვეყრი და...

ყვარყვარე — მაშ, სულ იალალზე უნდა იაროთ, ვირისთავებო. კმარა რაც გზა და გზა ხალხი ძარცვეთ. აქ ქალაქია, მთავრობაა. ხომ ხედავთ, რამოდენა ყელები აქვთ ზარბაზნებს გადმოწეული. წუხელის რომ იმ ზარბაზანმა იგრილა, მაშინ ხომ ყველამ მუცელში ჩაიგდეთ ენა. იმის მერე გახდით ასეთი ვაჟკაცები?!

ქუჩარა — რა ვიცი, ის ზარბაზანი, ამბობენ, პროვოკაცია იყოვო.

ყვარყვარე — რას მეუბნები, შე სულელო, რა იყო პროვოკაცია?!

ქუჩარა — ასე ამბობენ, თორემ, მე არც კი ვიცი, რაა პროვოკაცია.

ყვარყვარე — ჰოდა, რაც არ ვიცი, იმას არ ვიტყვი.

ქუჩარა — აქ აგვწერავენ, დაგვწერავენ და სულ ძმარს გამოგვადენენ.

ყვარყვარე — მოლაპარაკება მაქვს, ყვარყვარე თუთაბერი ბრმად არავის ჩაუვარდება.

კაკუტა — მთავრობას ღონე სულ არ აქვსო.

ყვარყვარე — ვინ ამბობს?!

ქუჩარა — ჩემი მარჯვენა ცხონდა, არ აგეტება აყალმაყალი იმ ჩეენს ჯარში ის სჯობდა.

კაკუტა — ოო, კარგი კედელი იყო.

ყვარყვარე — რა ამეტება, ჩემი პარტივისცემა იქ ერთ დღეში დაკარგეს.

ქუჩარა — ღმერთობა მოინდომე და!..

ყვარყვარე — მაშ, სულ თავით ნიორს ვუნაყაედი? როდესაც ფრონტზე მტერი თოფ-ზარბაზნით მოგვადგა და ჯარს შეეძახე: აბა, ბიჭებო, აქედან გავიქცეთ, თათრებს თავი არ მოვაკვლევინოთ-მეთქი, მაშინ ხომ მოსწონდათ ჩემი მოხერხება. მერე გზაში რომ წვრილ-წვრილი ყაჩაღები დაგვხვდა და იარაღის წართმევა დაგვიპირეს ხომ არ დაეანებე და ჩემს ჯარს გავამარჯვებინე. საკვები რომ შემოგვეღია, სულ განკარგულებას ვაძლევდი გზა და გზა, სოფლიდან ჯოგი გამოერეკათ და მაგვირებს ღმერთივით ჩაუდღი სული. იმოდენა ჯარს სულ თვალში შევცქეროდი და რასაც მოისურვებდა, სულ იმას ვასრულებინებდი, მაშინ ხომ დიდ რევოლუციონერად მთვლიდნენ.

კაკუტა — ო, და გაფასებდნენ.

ყვარყვარე — აქ კი, ამაგი სულ წყალში გადამიყარეს.

ქუჩარა — აქ ბოლშევიკებმა იქადაგეს, რომ ეს მთავრობა ღარიბს ნებას არ აძლევს, მდიდარი გაძარცვოსო. მთავრობა აგინეს, შენ კი მთავრობის შეგეშინდა. რატომ შეგეშინდა, აი, სულ ამაზე გაიცივეს გული.

ყვარყვარე — ვის? მე შეგეშინდა?

ქუჩარა — სულ თავი რომ დიდად მოგაქვს, აქენის მასალით სხვამ გაჯობა. იმათ ენა გასარსალებული აქვთ, სულ ლექსივით ლაპარაკობენ.

ყვარყვარე — ვინ? ეგება თქვენ მართლა გგონიათ, რომ მე ვინ-მემ მაჯობა!.. არა უშავს, ერთი აქედან კარგად გადავუჭირო.

(მღელგარედ) რომ ამოვდებ ყველას ლაგამს პირში და დავაჩოქებ, მაშინ იცნობენ ყვარყვარე თუთაბერს, ამ მუხლებზე აკოცებენ. (შემოდინ რწმუნებული, მდივანი, კომისარი—ტიტე ნატურარი. ყველანი გაფაციცებით დახურავენ კარს, სადაც გულთამხეს ამწყვდევენ. მდივანი თვალს მოჰკრავს ყვარყვარეს).

მ დ ი ვ ა ნ ი — (რწმუნებულს ყვარყვარეზე) მოსულა (ყველანი შეხედავენ ყვარყვარეს, მდივანი ჩამოართმევს ხელს ყვარყვარეს) მაქვს ბედნიერება გაცნობო, ბატონო რწმუნებულო, რომ დღეს ამ კაცთან ერთად, ჩვენ მივიღეთ დიდი ლაშქარი.

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი — (ჩამოართმევს ხელს ყვარყვარეს) ძალიან სასიამოვნოა. თქვენ დროზე მოეშველეთ მთავრობას.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ქვეყანამ იცის, ბატონო, ჩემი ვაჟკაცობა, რამდენჯერ სახრჩობელას გადავურჩი. რევოლუციამ სწორედ ყელზე მომხსნა თოკი, მარა უარესში კი ჩამაბა. ჯერ ფრონტზე იმდენ ჯარს პატრონობა გავუწიე, რევოლუცია და ჩემი თავი გავაცანი, მერე იქიდან აქამდე ვატარე გზაზე—უგზურზე და ხალხი უკლებლად მოვიყვანე. ეს ყველაფერი ერთმა კაცმა ვქენი... მაგრამ, რისთვის გადავიტანე ამდენი შრომა და გაჭირვება? სულ იმისათვის, რომ თქვენ, როგორც ბედნიერ მთავრობას, სამსახური გაგიწიოთ, თუ კი დამიმადლებთ. (კაჟტას და ქუჩარას) თქვენ ენა გააქევეთ.

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი — (თავისიანებს) მორჩილებით სავსე სიტყვა წარმოთქვა (ყვარყვარეს) თქვენისთანა გმირს საკადრისად ისტორია დააფასებს. თუმცა არც ჩვენ გაკლებთ პატივისცემას, თუ ერთგულებას გამოიჩინთ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — პატივისცემაც არის და პატივისცემაც. მე უნდა მოგახსენოთ, რომ პატარა მოწყალეებისათვის კაცს თავს ვერ დავეუკრავ.

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი — თქვენ დანიშნული ხართ მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალების უფროსად.

კ ა კ უ ტ ა და ქ უ ჩ ა რ ა — ოოო!!!

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი — და თქვენს განკარგულებაშია ის ათი ათასი კაცი, რომელიც ფრონტიდან მოიყვანეთ. ეს ძალა ჩვენთვის ჯერჯერობით საკმაოა, ოლონდ, საქმე ისაა, მუხრატკი მაგრად მოუჭირეთ, შიგ ბოლშევიკი არ შეუშვათ.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ოო, ეს იყო ჩემი ნატურა. (კაჟუტა და ქუჩარას) ხომ გესმით?

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი — ნატურა? განა ის ჯარი არ გყავთ ხელში გამოქერილი?

- ყვარყვარე — (სიხარულით) ეს რა კარგი მითხარით, ზარბაზნის ტყვიები ხომ ბლომად გაქვთ!
- რწმუნებული — რამდენიც გინდათ, ჩვენ გვაკლია მხოლოდ ერთ-გული ხალხი.
- ყვარყვარე — იმ თქვენს ზარბაზნებს ყელებს სულ არ გავუციებ.. სულ დღე და ღამე ვაგრიალებ. სანამდღე ბოლშევიკებს არ მოვსპობ და მთელ ხალხს არ დავაჩოქებ... მანამდღე ჩემი მოსვენება არ იქნება. ხომ გესმით! ოლონდ ხელი უნდა შემიწყოთ და მაცალოთ. (საერთო აღტაცება).
- ტიტე — (მღელვარეთ) მე ახლა სხვა კაცი ვარ ამის გვერდით.
- რწმუნებული — დღეს რწმუნებულთა არაჩვეულებრივ სხდომაზე მიმდინარე საკითხებს განვიხილავთ და რამდენიმე დავალებას მოგცემთ. (შემოდის შიკრიკი პაკეტით).
- შიკრიკი — გარეთ ჯარისკაცები აყაყანდნენ, ბატონო. იმ ჩვენ დელეგატ ქალს ვუცდით. ხომ არ დაგიტუსალებიათო.
- რწმუნებული — იმ ქალს... სატუსალოში გავგზავნიით... გადაეცით რომ აწი დელეგატობია გათავდა.
- შიკრიკი — კი, ბატონო, ეს პაკეტიც მიიღეთ.
- რწმუნებული — (გამოართმევს პაკეტს და ხსნის) დიახ. ასე გადაეცი.
- შიკრიკი — კი, ბატონო, ოლონც, ოლონც.... ჯარისკაცები კარებს არ შორდებიან. (შიკრიკი მიდის, რწმუნებული ხსნის პაკეტს და კითხულობს).
- რწმუნებული — ამიერკავკასიის ყველა სოციალისტური პარტიის შეერთებული სხდომაა. (მიიღებს თავზე ხელს) ახლა იქ ისეთი რთული საკითხებია... (გადაწყვეტილად ყვარყვარეს) ჩემს მოსვლამდის მდგომარეობას გაგაცნობთ ჩემი მდივანი და აგრეთვე (ტიტე ნატურაზე) ეს მეგობარი. (გაიხმობს კუთხეში მდივანს და ჩუმად ვებნება) რაც შეიძლება კარგი მხრით გააცანი ჩვენი მდგომარეობა, ორივე ფეხით ჩავითრიოთ. (კარზე ურტყამს გულთამზე).
- ტიტე — ის ქალი რომ ურტყამს კარზე?
- რწმუნებული — ნუ გეშინიათ. (ყვარყვარეს) დიდხანს არ გალოდინებთ, ნახვამდის. (მიდის).
- ტიტე — (ყვარყვარეს) მე მოგახსენებთ რა დიდი მომავალი აქვს თქვენს ფარ-ხმალს ქვეყანაზე.
- მდივანი — მე ამ მასალებით დაგიმტკიცებთ, რამდენად მტკიცება დროებითი მთავრობის მდგომარეობა... თქვენ რა უფრო გაინტერესებთ, საგარეო პოლიტიკა თუ შინაური.

ყვარყვარე — საგარეოც ვიცი და შინაურიც.

მდივანი — (შლის და აწყობს ქალღლებს) ჩვენ გაზეთებში ყველაფერს არ ვაქვეყნებთ.

ყვარყვარე — (მტკიცედ) ვიცი.

მდივანი — (მოაქვს ქალღლები) კარგადაა ჩვენი საქმე ადგილებზე და ცენტრშიც... არც ფრონტზეა ცუდი ამბავი. (დაუღებს წინ ქალღლებს) აი, წაიკითხეთ. (ფანჯარაზე დაეცემა ჭვა).

მდივანი — (აღშფოთებული) ხელავე, ამ დეზერტირებს, რას ბედავენ.

ყვარყვარე — (წაუკითხვად, რიხიანად ფურცლავს ქალღლებს).

მდივანი — წაიკითხე.

ყვარყვარე — რაო?

მდივანი — ჩაუკვირდი.

ყვარყვარე — (გაღიზიანებული) ამდენ ქალღლებს რა წამაკითხებს?

ტიტე — (მდივანს) ნუ აწუხებ.

მდივანი — შე ყოველ ცნობაზე მოგცემთ ახსნა-განმარტებას.

ყვარყვარე — რად მინდა შენი ახსნა, მე ქურშიკი არ ვზივარ. კარგად ვხედავ რაც ხდება ქვეყანაზე.

მდივანი — (ტიტეს ჩუმად) ძალიან გამპკრიანხია, ტყუილების სათქმელად პირი არც კი დამაღებინა. (კიდევ დაეცემა ჭვა ფანჯარაზე).

ყვარყვარე — ეს რა ამბავია?

მდივანი — ჯარისკაცებია, არ იციან თუ თქვენ აქ ზიხართ.

ყვარყვარე — ისეთ საქმეს ვუზამ დღეს იმათ, რომ სოროში ჩაძვრებიან. (კიდევ დაეცემა ჭვა. ყვარყვარე შეკრთება) კაკუტა და ქუჩარა, გადით კარში და კარგად მიიხედ-მოიხედეთ. (კაკუტა და ქუჩარა მიდიან).

ტიტე — (აღტაცებით) ოო, ასე, კარგია ძალა. (ყვარყვარეს მდივანზე) მას თქვენისთანა პიროვნებასთან მუსაიდის შნო არა აქვს, მე კი, მე ბუნებით თვითონაც სარდალი ვარ. მხოლოდ, ტყუილად სხვებს ავყვეი და შეუჩერებლად შევიკერი ფილოსოფიაში.

ყვარყვარე — მერე რა ქენი, რომ შეიკერი.

ტიტე — რა უნდა ქნას ჩრჩილიან წიგნებში იმან, ვინც სარდალად გაჩენილა... თუმცა დღეს ყველა გმირი სოროშია ჩამძვრალი, მარტო თქვენა გყავთ ჯარი... თქვენ, ერთადერთი სარდალი იქნებით და მე თქვენს დაპყრობილ ქვეყანაში წესიერებას დავამყარებ.

ყვარყვარე — (ამყად მიმოიხედავს) არავის გესმის? (ტიტეს) აი მართლაც სასიამოვნო ლაპარაკი გცოდნია.

ტიტე — დიახ, დიახ, მაქვს თქვენთან საერთო... ახლა, იცით, მე თქვენ დიდი საიდუმლო უნდა აგიხსნათ.

ყვარყვარე — აბა, ჩქარა, მითხარი.

ტიტე — რა არის ადამიანი?! ეს არის უდიდესი გამოცანა. ჩემ-
სავით ეს ვის გაუგია, ან ვინ ჩამწვდარა ცხოვრების შინაარსში?!
ყვარყვარე — გითხრა სიმართლე, მომწონს შენისთანა მეცნიერი-
კაცი.

ტიტე — მაგალითად, ჩვენ წარმოვიდგინოთ თავშეყრილი ათი ათა-
სი კაცი; ყოველ მათგანს თითო კაცის ღონე აქვს და, თუ
ჩვენ მათ ღონეს შევადრებთ, მივიღებთ უზარმაზარ ძალას...
მაგრამ ათი ათასი კაცის ჭკუას თუ შევადრებთ, ეს იქნება
ვირის ჭკუაზე ნაკლები. და, ამიტომაც, ასე ხდება, — გამოდის
საუკეთესო ვინმე და თავისი ერთი ჭკუით სულ ყველას იმორ-
ჩილებს. ეს ადამიანი არის სარდალი და ეს სარდალი თქვენ-
ბრძანდებით.

ყვარყვარე — მშვენიერი სიტყვაა. ასე მგონია, მე თვითონ
ვლაპარაკობ.

მდივანი — (ქალადლი გამონახა) აი, ბატონო, ამ ცნობას უსათუოდ
უნდა გაეცნოთ.

ყვარყვარე — არა, შენ გაჩერდი.

ტიტე — რა არის სახელმწიფო? ამის შესახებ მე მაქვს საკუთარი
შეხედულება და შემდეგ გაგაცნობთ. ახლა კი მხოლოდ ამას
გეტყვით, სახელმწიფოს დამორჩილების დროს თქვენ გაამზა-
დებთ ლაშქარს და ძღვევამოსილი ჯარით მიადგებით შორეულ
საზღვრებს, მაგრამ მე აქ გეტყვით: შესდექ, ნუ გავიმეორებთ
ნაპოლეონ დიდის შეცდომას, სჯობს დავისვენოთ და გავი-
მაგროთ ფესვები, დიახ, ყველაფერია ფესვები, ძირი და სა-
ფუძველი.

ყვარყვარე — რა აზრიანი სიტყვაა! ეს საქმე რომ მართლა გაკეთ-
დეს, კარგი საქმე იქნება. იცოდეთ, ოქროს სარაიას აგიშენებ,
ჩემს საკუთარს რომ მოვათავებ იმის მერე.

ტიტე — ეს ასე იქნება, მე წინასწარმეტყველივით ვხედავ თქვენს
სახეში უდრეკ ძალას, რომელიც დაეუფლება დიდ სახელმწი-
ფოს... თქვენ იქნებით სახელმწიფოს უფალი, მაგრამ დაგვირდებ-
ათ გვერდით პოლიტიკოსი, მეცნიერი. ასეთი მე ვიქნები. თქვენ
მაგრად დაიჭერთ ხელში მოთრგუნვილ ქვეყანას, მე კი მას
სამოთხედ გადავაქცევ. მე ახლავე შემიძლია დაეჯდეს და და-
ხუჭული თვალით დავწერო ბედნიერი სახელმწიფოს სრული
კონსტიტუცია.

ყვარყვარე — სუფთად დაწერე და მაჩვენე.

ტიტე — და როდესაც ეს იდეალისტური სამეფო აშენდება, ადამიანებს იმდენი სიხარული ექნებათ, რომ სიკვდილით სასჯელს მხოლოდ ტირილის წინააღმდეგ შემოვიღებთ. ყველა ჯვარს ეცმება ხალხისათვის და ჩვენს სურათებს ოთახებში ჩამოჰკიდებენ იმის ნიშნად, რომ ჩვენ მათი მიწიერი ცხოვრება გავაზეციურეთ.

ყვარყვარე — თუ ეს ჰქუა არ გაგეჰცა თავიდან. შენისთანა მეცნიერი ქვეყანაზე მეორე არ იქნება. ასე მგონია, რაც ცეცხლის პირად ნაცარში გეგმები მომიქეჰია, ვითომ ესაა, ახლა მომყავს ცხოვრებაში.

ტიტე — ო, რა საამურია, ზამთარში, შუა ცეცხლთან ნაცრის ქექვა და ფიქრები კაცობრიობაზე, ქვეყნის დასაბამზე და დასასრულზე, და ტირილი და ოცნება...

ყვარყვარე — შენც გიყვარს? (გარედან მოისმის ყვირილი).

ტიტე — მიყვარს. (შემოდის შიკრიკი).

შიკრიკი — ჯარისკაცები მოგროვდნენ, ბატონებო, კარს ასკდებიან, ქალის განთავისუფლებას მოითხოვენ.

მდივანი — გესმის, სანამდე მიდის მათი უტიფრობა?!

ყვარყვარე — (შიკრიკს) ასე გადაეცი, რომ თუ ახლავე არ დაფანტულან, ამათი ზარბაზნებით სულ ყველას გავსრეს. ჯარისკაცებს თავს ვერ აუაგდებინებ. (შიკრიკი დაბალი ხალმით მიდის. ტიტე და მდივანი აღტაცებული არიან).

მდივანი — (ტიტეს) როდესაც ეს კაცი ათი ათასი თოფით მოადგა ქალაქს, მე შევეგებე, ახლა კი ენა პირში ჩამაგდებინეთ.

ტიტე — რასაკვირველია.

მდივანი — რაც შენ მაგას უთხარი (გადაუშლის ქალაქს), სულ აქა მაქვს ჩაწერილი. ნაპოლეონ დიდი, სახელმწიფოს დაპყრობა, ხალხის მოთრგუნვა და სხვა... მე, როგორც დემოკრატი, აღშფოთებული ვარ შენი ლაპარაკით.

ტიტე — დიახ, მე და ეს კაცი დემოკრატიზმის ნაქუქში ვერ მოვთავსდებით. მართალია, გატეხილად უნდა ვთქვა, რომ სულ სხვა გაქანება გვაქვს. (კარს გააღებს შიკრიკი. მოისმის ჯარისკაცების ხმა).

შიკრიკი — მუქარა რომ გადაეცი, მთლად შექმა დამიპირეს. მე ვის რა დაუუშავე, ბატონებო, ერთი მითხარით, რას მერჩიან. (შიკრიკი მიდის და მიიხურავს კარს).

მდივანი — (გადაიხედავს ფანჯარაში) გესმით, ქვევით კარს ამტვრე-

ვენ, დიდი ბრბოა (გულთამზე ურტყამს კარს) უკვე აღარ ხუმრობენ (ყვარყვარეს) ხელი გამოიღე, ბატონო, გადაგვარჩინე.

ტიტე — ვილუპებით, გვიშველე!

ყვარყვარე — (დატრიალობს ოთახში) მე კი გიშველით, მაგრამ მე ახლა ვინ მიშველის. (თავს შემოყოფენ კაჟუტა და ქუჩარა).

კაკუტა — ქვეყანა რო იქცევა, რა ვქნათ?

ყვარყვარე — რალაცა ქენით.

ქუჩარა — თავს ტყუილად ხომ არ შევაკლავთ.

ყვარყვარე — შეაკალით, ბიჭებო, მაშ... სულ ყოველთვის მე შევაკლავ თავს?!.

ქუჩარა — (კაჟუტას) დავილუბეთ.

კაკუტა — რო შემოტყვივდნენ, სულ მატყლივით დაგვწეწენ.

ქუჩარა — კარგად გავიხედოთ.

კაკუტა — რო მოგვკლან? გავიხედოთ, რას იზამ!.. (კაჟუტა და ქუჩარა მიდიან. გულთამზე ურტყამს კარზე).

ყვარყვარე — რა უნდათ იმ უღმერთოებს.

ტიტე — აი, აქ რომ ტუსაღია, იმის განთავისუფლებას ითხოვენ.

ყვარყვარე — იმისათვისაა ეს ამბები? გაუშვით და გადამარჩინეთ.

ტიტე — (მდივანს) გავულოთ კარი.

მდივანი — (ჩუმად ტიტეს) მერე აქ ამას შეხვდება და ხომ სულ დავილუბებით?!.

ტიტე — (ყვარყვარეს) იმ შენი ლაშქრიდან ახლა ერთ ასეულს ვერ გააჩენ? (ისმის გარედან მტვრევა).

ყვარყვარე — (ტიტეს) კაცო, უთენიაში რომ დამეცი თავზე, ამ ქვეყნის მთავრობა ვარო, ახლა ერთი ასეულიც არა გყავთ?!

ტიტე — (შეძვრება მაგიდის ქვეშ) შემოდი.

ყვარყვარე — კაცს ქვეყანას მპირდებოდი და ახლამაქ მაძვრენ! ეს რა ცხრა კკუის ყოფილა.

მდივანი — გვიშველეთ ვინმემ!

ყვარყვარე — (ამოიღებს რევოლვერს) თქვენ მაინც მოგკლავთ და იქნება ამან დამიხსნას. (მდივანი ალებს კაბინეტის კარს და მირბის. ტიტე და ყვარყვარე შეშინებული მირბიან იმავე კართ. შემორბიან კაჟუტა და ქუჩარა. კაჟუტას ზურგზე ებლაუჭება ქუჩარა).

ქუჩარა — ბოლოს ხომ მაინც დაგვლუბა ყვარყვარემ.

კაკუტა — რო მოგვკლავენ, ახლა კი ვხედავ, ალალია ჩვენზე, ჩემო ქუჩარა.

ქუჩარა — მწყენია ეს სიკვდილი.

კაკუტა — რას იზამ! (კაკუტა და ქუჩარა ორივენი ცალ-ცალკე იხედებიან ფანჯარაში, ჩამოვარდება სრული სიჩუმე).

ქუჩარა — ბიჭო!

კაკუტა — ბიჭო!

ქუჩარა — ჩვენ რომ გასრესას გვიპირებდნენ, იმ ხალხს ეგერ მის-
დევნ და მთარბენინებენ.

კაკუტა — აქეთაც მათი ბაიბური რო არ ისმის?!

ქუჩარა — მგონია გადავრჩით.

კაკუტა — ვინაა რო გვიშველა!

ქუჩარა — რა ვიცი. ამ ქალაქში ათასი პარტიააო და ერთმანე-
თი არც ერთს არ უყვარსო.

კაკუტა — (კმაყოფილად) გადავრჩით.

ქუჩარა — თუ ახლა კი გადავრჩით, მერე ყვარყვარეს სათოფეზე
არ მივექართო.

კაკუტა — რო ვიბრუნებ პირს, ყვარყვარე ჩემ ბუნდლლასაც ვერ
ნახავს. (კაკუტა და ქუჩარა მიდიან. კაბინეტის კარიდან გამოდის გულთა-
მზე, გამოყვება ყვარყვარე. კომისარი და მდივანი იმავე კარიდან ფრთხი-
ლად თავს გამოყოფენ).

ყვარყვარე — წადი ის ხალხი ჭკუაზე მოიყვანე, თუ ქალი ხარ,
ასე უთხარი, ყვარყვარე თუთაბერი ჩემი ძველია-თქვა, ხომ
გესმის? არ დამაფეთონ, თორემ რალაცას ვიზამ.

გულთამზე — მე თუ დამიჯერეს, ამ ფანჯრიდან გაგაბრძანებენ.

ყვარყვარე — რას ამბობ? აქედან რომ გადამაგდონ, მიწაზე
სული არ დამყვება.

გულთამზე — ო, განა ასე გეშინია?

ყვარყვარე — უყურე ამას! მე შენთვის ოქროს ლოგინს ვამზა-
დებდი და შენ უფსკრულში მაწვენ?

მდივანი — (ყვარყვარეს) მე მგონია ქალაქი ისევ შენს ხელშია, შე-
ნოდენა ლაშქარი არავის ჰყავს.

ტიტე — რასაკვირველია.

მდივანი — ამ სოციალისტების ამბავი მე მკითხე. კუდს ეშმაკსაც
გადაუსკენიან.

ყვარყვარე — რომ ატრიალებთ მაგ ენას, ახლა არ იცით, რომ
მასე იქნება?

გულთამზე — განა ამასთან შეთანხმება იმათ უშველის?

ტიტე — (ყვარყვარეს) ეს დრო მაინც შენია და მოიხმარე, გეგმას მე
მოგცემ.

ყვარყვარე — შენი გეგმა რად მინდა. როგორც არ უნდა შეიც-

ვალოს შთავრობა, სულ ერთია, ვინც იქნება, თავი მე უნდა დამიკრას.

მ დ ი ვ ა ნ ი — მართალია, ბოლოს მაინც შენ გადაწყვეტ ამ ქალაქის ბედს.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — (თავისთვის) განა მართლა ქალაქის ბედს ეს ათამაშებს?.. (რბილად) ყვარყვარე! თქვენ არ შეგიძლიათ გამაცნოთ თქვენი გეგმა, მე, ძველ მეგობარს.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (ღელავს და მაგრად უჭერს ხელს) არ შემიძლია დაგიმალო... არაფერს არ დაგიმალავ... არა...

გ უ ლ თ ა მ ზ ე — (ხელს წაართმევს) დაიცა, ხელი მომაშორე.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ბლერი კი არ მკირს.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — არა, რა საკიროა, ისეც კი უნდა დამიჯეროთ, რომ მე თქვენთან მაკავშირებს ძველისძველი გრძნობები.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — გახსოვს, შენ ცეცხლმოკიდებულო?!

გ უ ლ თ ა მ ზ ე — როგორ არა, მას აქეთ სულ გეძებდი.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — მერე, ვერ მნახე, შე დაკარგულო?!

გ უ ლ თ ა მ ზ ე — აკი აგერ მოულოდნელად გნახე.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ერთია ზღაპარში შენისთანა ქალი, მეორეა სიზმარში, და ცხადში მარტო შენა ხარ და შენ.

ტ ი ტ ე — (ყვარყვარეს) შენ ამ ეშმაკს რომ აპყვე, ქალაქს მოგვასპობინებს.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — იქით, თორემ თავს სკვინჩასავით წაგაწყვეტ! (მდივანი და ტიტე ერთმანეთს ეჩურჩულებიან).

გ უ ლ თ ა მ ზ ე — ახლა, ჩენი სიყვარული რომ კარგად დაგვირგვინდეს...

გ უ ლ თ ა მ ზ ე — (ტიტეს და მდივანს) მოდი, ნუთუ ეს თქვენი ბელადია?

მ დ ი ვ ა ნ ი — ეს დიდი ლაშქრის მპყრობელია, ჯარიც ისე მორჩილი ჰყავს, რომ დროებითი შთავრობა იცნო.

ტ ი ტ ე — ასეა... ოლონდ, ქალბატონო, ჯერ ის ხალხი დააშოშმინე, უბედურებას გვიპირებენ.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — მერე, რატომ აგვიანებენ, თუ რამეს გვიპირებენ, (იძახის კარში) ეე, ამხანაგებო! (დუმილია, ტელეფონი რეკავს).

მ დ ი ვ ა ნ ი — (ისმენს ტელეფონით. ტიტეს და ყვარყვარეს) ეჰე, კიდევ ახალი ამბავია. (შემოდის შიკრიკი).

გ უ ლ თ ა მ ზ ე — (შიკრიკს) ხალხი სად არის, ამხანაგო?

შ ი კ რ ი კ ი — ახლა მე თვითონ არ გაგიშვებ. ხომ ხედავ შენი გული-სათვის როგორ მცემეს, ისინი კი ეროვნულმა რაზმებმა გარეკეს.

გულთამზე — მაშ ისევ ხაფანგში დავრჩი. (უცბად მდივანს) ბატონო, მე ხომ ტყვე არა ვარ, უბრძანეთ, რომ კარი გააღონ.

მდივანი — (ტელეფონით) მაშ სასახლეს ვინ ჩაიბარებს? მერე 'რა ვუყოთ იმ ათი ათას კაცს, ყვარყვარე თუთაბერმა რომ ფიცით დაგვიმორჩილა.

ყვარყვარე — მე მაქ რატომ მახსენებ!

მდივანი — ბოლშევიკებს პეტროგრადი აუღიათ. დროებითი მთავრობა გაპარულა.

ტიტე — (დახვეს მანდატს) მერე, მე ხომ მტყუანი არავეისთან არა ვარ. მდივანი — რწმუნებული ამბობს ჩემი მოვალეობა მოხსნილიაო.

გულთამზე — (ნეტარებს) მაშ, ახლა ჩემთან მოდიოთ, მოდიოთ, რა, გეშინიათ? ახლა მივხვდი, ასე უცბად რად წავიდნენ ჩემი ამხანაგები, ალბათ ქუჩაში ჩვენი ძალები ირაზმება ხელისუფლების შესაღვენად. (ყვარყვარეს) შენ კი ვისი ჯარების უფროსი ხარ?

ყვარყვარე — დამნიშნეს... და... არ ეშველათ.

გულთამზე — სხვა რა იცით, თქვით, გაბედეთ.

მდივანი — აქაური სოციალისტური პარტიები ამიერკავკასიის მთავრობას ადგენენ.

გულთამზე — (შეკრთება) მიჰქარავ!

მდივანი — ქალაქი დაიკავეს.

გულთამზე — მაშ არ თავდება ჯამბაზობა?!

ყვარყვარე — ოჰო, ჰო, ჰო... შენს მკლავზე მატუსელასავით უნდა დავებრდე, იმდენ ხანს უნდა ვიკოტრიოლო.

გულთამზე — რა ბედნიერებაა, მხოლოდ ჯერ ჩვენი ფიქრები შევაერთოთ.

ყვარყვარე — ფიქრებს მე სულ კოლოფივით მოგარგებ. ოღონდ ცოცხალი თავი მომე.

გულთამზე — ახლა მითხარი: შენ ჯარი გყავს?

ყვარყვარე — ჩემოდენა ჯარი ჭიანჭველასაც არ ჰყოლია. ფრონტიდან რომ მომყავდა, რამ თოვა და წვიმაო იძახოდნენ...

გულთამზე — ყველაფერი გამიმხილე, მე ქალი ვარ, მართალია, მაგრამ კაცებზე უფრო მიყვარს დიდ ამბებში ჩარევა.

ყვარყვარე — ეს კი, მარა, იცოდე, კაცებთან რომ დაგინახო გავლილი, ისე ჩაგაელებ მაგ თმაში ხელს და ისე გაგწეწავ, შენი კივილი ცას ესმოდეს.

გულთამზე — არა, მამაკაცებიდან მხოლოდ ორ-სამ ბოლშევიკს ვიცნობ. სხვას არავეის.

ყვარყვარე — რაო? რაც მე მათ გუშინ საქმე მიყვეს, ბოლ-
შევიკებს რომ დაელაპარაკო, ძველი ბალიშივით გაგშლი.

გულთამზე — (უკან დაიხვეს) მაშ, აღარ მომიეკარო.

მდივანი — (ტიტეს) ეს ქალაქი გადარჩა.

ტიტე — ოო, ჩვენი საუკუნე კჳუიანია, ახლანდელ გმირს ქალის
აღერსი ვერ ატყუებს.

ყვარყვარე — (უახლოვდება გულთამზეს) ფუნთულა!

გულთამზე — აწი შენთვის ეკალი ვარ.

ყვარყვარე — ჩემო სულის კვარაკუნჩხა.

გულთამზე — ამდენმა ბრმამ თავი როგორ მოიყარა შენს ხელში.

ყვარყვარე — ჩემო ბოლოგაშლილო გვრიტო!

გულთამზე — რა დაპირებით მოატყუე, ნეტავ ვიცოდე.

ყვარყვარე — ხატივით ნუ შემიირისხდი.

გულთამზე — ვნახავ, ის ჯარი შენვე გეძებდეს გასაწეწად.

ყვარყვარე — ასე რამ გაგამწვარა. ჩემი საქმე შენთვის ყოფილა
მოწყობილი. ის ლაშქარი გუშინს აქეთ ბოლშევიკურ გუნე-
ბაზეა.

გულთამზე — როგორ, ხომ არ გაგაძევეს იქიდან!

ყვარყვარე — არა, ახლა ბოლშევიკურად რომ გამოვიწყო პირი
და იქ დავბრუნდე, გუშინდლამდე რაც იყვნენ, ორჯერ მეტ
პატიეს აწი მცემენ.

გულთამზე — მაშ, ლაშქარი არ გყოლია.

ყვარყვარე — საქმე, ჩემო მოპოებულო, ასეა: აქ ისინი ქუჩების
ქორმა გადარია და ბოლშევიკური პროგრამა მომთხოვეს,
მაგრამ მე ვერ დაეუფქვი და დღეს პანდური მომაცოლეს...
ახლა, ცოტა ბოლშევიკურ ლაპარაკში მინდა გაწაფვა. შენ
ვერ მასწავლი?

გულთამზე — როგორ არა.

ტიტე — (მდივანს) ერიპა, გესმის?!

მდივანი — (ყვარყვარეს) მაშ აქ ტყუილებით დაჯექ სარდლის აღ-
გილზე?

ყვარყვარე — რაო?

ტიტე — ათი ათასი მყავსო, რომ ამბობდი...

მდივანი — თუ გიპანდურეს, ახლა ამხელ?

ყვარყვარე — ასი წყალობა რომ შემპირდით? ჩემ პურ-მარილზე
მპატიეობდით, ვირის თავებო? ორი ერთგული კაცი რომ მომ-
ყვა, ამირანის გოშიებივით, სად დამიღუპეთ?

გულთამზე — როგორ არის დაწყობილი ლაშქარი?

ყვარყვარე — წესიერად.

გულთამზე — ძალა აქვთ?

ყვარყვარე — ამ ქალაქს სულ მიასწორ-მოასწორებენ.

გულთამზე — საით დგანან?

ყვარყვარე — ქალაქის აღმოსავლით.

ტიტე — (მდივანს) რა ვქნათ?!

მდივანი — (ტიტეს ჩუმად) ვაცნობოთ ახალ მთავრობას, ესენი გზაზე დააკაონ, საქმეს ვიშოვი.

გულთამზე — (დაადებს მხარზე ხელს ყვარყვარეს) შენ შეგიძლია იქ მალე მიმიყვანო?

ყვარყვარე — ასე მხარგადახვეული თუ წავალთ, გზას ვერც კი გავიგებთ, ისე მივალთ. (მდივან).

მოძველება მეოთხე

მახრის რეკომის შენობა, აივნიდან კიბე ეშვება მოედანზე. პირველი და მეორე გლუხი მოედანზე შეხვდებიან მესამე და მეოთხე გლუხს.

1-ლი გლუხი — რეკომი აქ სად არის?

მე-3 გლუხი — ჩვენც ის გვინდოდა. აქ არის და შიგ ვერაფერ ვერ ვნახეთ.

მე-2 გლუხი — ეჰ, გლუხკაცის საშველი არ ყოფილა.

მე-3 გლუხი — თქვენ სადაურები ხართ?

1-ლი გლუხი — ქარიატადან ამოვედით.

მე-4 გლუხი — რა მოგივიდათ?

1-ლი გლუხი — ტყეში დარჩენილ ბრბოებს მენშევიკებისაგან იარაღი შერჩათ და ახლა გვაწიოკებენ.

მე-2 გლუხი — სწორედ გითხრათ, უსაშველო გვქირს.

მე-3 გლუხი — რა ვიცი, მე ასე გამიგია, რაზემ წამოვიდა თქვენ-კენ ყაჩაღების ასალაგმავადო.

1-ლი გლუხი — ყვარყვარე თუთაბერმა ჩამოიარა, მარა რად გინდა, ვინც საწყალი ნახა, ზურგზე ბოლი ადინა და ყაჩაღებს კი თავზე ხელი დაუსვა.

მე-3 და მე-4 გლუხი — როგორ?!

მე-2 გლუხი — ყველა თავის რაზეში მიიღო.

მე-4 გლუხი — ეს რა საქციელია?

1-ლი გლუხი — თუ ძმა ხარ, არ გამაცხადო, ასე ამბობენ: ყაჩაღების თვითონ შეეშინდაო.

მე-3 გლუხი — რა ვიცი, აქ რომ ძალიან ვაქეცობს?!

1-ლი გლუხი — მაშ, ერთს გეტყვით.

მე-3 და მე-4 გლუხი — ჰო, თქვი, ნუ გეშინია.

1-ლი გლუხი — იმ ყვარყვარეზე საჩივლელად მოვედით სოფლელები.

მე-3 გლუხი — კარგი საქმეა, მაგრამ თავმჯდომარე ავად არის, ვისთან უჩივლებ!! (ხმაურობაა. შემოდინა მეხუთე და მეექვსე გლუხი).

მე-4 გლუხი — მაქვთ რა ჩოჩქოლია?

მე-5 გლუხი — ყვარყვარე მოდის, ხალხი დაუჭერია.

მე-3 გლეხი — ეჰ, შეარცხვინა ღმერთმა, მაზრა ააწიოკაო, ამბობენ.

მე-4 გლეხი — მაგის წამალი რევკომიდან გამოვა.

მე-2 გლეხი — ეს როდის იქნება?!

მე-6 გლეხი — სულ ერთია, ყვარყვარეს ვერავენ დააქრის ყუ-რებზე ხახვს.

მე-2 გლეხი — რატომ?!

მე-6 გლეხი — ხელმწიფე მაგას გადაუგდიაო.

მე-5 გლეხი — კი, ასე ამბობენ, დიდი ბადეები გაუგლეჯიაო.

მე-2 გლეხი — აბა, გავეცალოთ ამ მოედნიდან. (გლეხები აჩქარებით გადიან. შემოდის ყვარყვარე თავით ფეხებამდე შეიარაღებული).

ყვარყვარე — (იძახის) დაურთეთ თოფის კონდახები, ისე მოსცხეთ, რომ დაწყნარდნენ (ისმის ჩოჩქოლი) ეს რა ღრიანცელია, კიდეც ატყუნენ! შენ, ჰეი, მაგას თავი გაუხეთქე და მაშინ შეუშვებს შიგ ახალ-ახალ ცხოვრების აზრს. ოო, შედენეთ იმ სარდაფში, კარი გამოუხურეთ. მორჩა. (თავისუფლად ამოისუნთქავს) რა გლახაა ხალხის სიბნელე, რამდენიც არ უნდა უჩაჩქუნო თავში ვერაფერს ვერ შეაგნებინებ. (შემოდის პირველი რაზმელი).

1-ლი რაზმელი — ერთი ბებერი კაცია შეპყრობილი, მეწისქვილე ყოფილა. ასე იძახის: ყვარყვარე თუთაბერის ძველი მასპინძელი ვარ და ნუ მომკლავს, ღმერთი იწამოსო.

ყვარყვარე — იმ მეწისქვილეს უთხარი: აქ მალე მოგაკითხავს ქალიშვილი და შენს საქმეზე ჩემთან მოგოგმანდება-თქვა. (პირველი რაზმელი მიდის. შემოდის ორი რაზმელი ზურგზე ბარგით).

მეზარგე — ეს რევკომში შევიტანოთ?

ყვარყვარე — ეს ხომ ჩემი ამორეულია, სადაა სხვა საქონელი.

მეზარგე — იქაა მთელი ურემი.

ყვარყვარე — ჰოდა, ის შეიტანეთ რევკომში, ეს მე მაჩუქეს მუშათა კლასს რომ ვემსახურები, იმისათვის... (ანჩხლად) და ჩემი საქონელი მიგაქვთ რევკომში, თქვე თვალდაფსებულებო?

მეზარგეები — აბა, სად წავილოთ?!

ყვარყვარე — თავ-აბრაგებს მიაბარეთ. მხოლოდ წვრილმა აბრაგებმა არ დაინახონ. (მეზარგე აპირებს წასვლას) დაიცადე, წადი ის ქურჭი მოიტანე, თავადიშვილმა რომ მაჩუქა.

მეზარგე — იმ ქურქს თავ-აბრაგები ერთმანეთში რუაფენ.

ყვარყვარე — რაო, ჩემს ქონებას იყოფენ ის პირცაღლები?! წადით, უთხარით, თავი თხლეზე არ დამაჰკერინონ, თორემ ერთმანეთს ვერ გაასწრებენ, ჩქარა ორივე აქ მომგვარეთ.

მეზარგეები — კი, მარა, ეს სად წავილოთ?!

ყვარყვარე — კარგი, მე თვითონ გაჩვენებთ მაგის ადგილს (ყველანი მიდიან. შემოდის გულთამზე და რევკომის თავმჯდომარე).

გულთამზე — მამის დაპატიმრება მაცნობეს და გამოვეშურე. მაშინვე კი ვიგრძენი, რომ სრული გაუგებრობის მსხვერპლია ის საწყალი... რა უნდა შემთხვეოდა მოხუცს და, მართლაც, ვხედავ, მთელი მაზრა არკულია.

რევკ. თავმჯდომარე — მე ცენტრში დამიძახეს, ამხანაგო გულთამზე, და გზაზე, აქეთობისას, ავად გავხდი, არათფერი არ ვიცი.

გულთამზე — ერთი ამხანაგი მოდის ამ ამბების გამოსარკვევად, ძველი მეგობარია, ფრონტზე ერთად ვეწეოდით ფარულ მუშაობას.

რევკ. თავმჯდომარე — ეჰ, ყველაფერი ჩემი მოადგილის ბრალია. რაზმში ყაჩაღები მიუღია და ჩანს თვითონაც მათი გავლენის ქვეშ მოექცა.

გულთამზე — ეტყობა ეს თქვენი მოადგილე მათრახს უსამართლოდ ატრიალებს, ბევრ პარტიულ ამხანაგსა აქვს ზურგი აქროლიბული.

რევკ. თავმჯდომარე — ვნახოთ, ვნახოთ, ყველაფერი გამოირკვევა. (მიდიან რეკონში. შემოდის ყვარყვარე).

ყვარყვარე — ხალხი თავის მტერია, თუ არ მოწყესე, უკუთო საქონელივით ხრამში გადავარდება... თუ შნო გაქვს, ჯოხს თვითონ მოგცემს, ოღონდ ძალიან ჭკვიანად უნდა დაარტყა. (შემოდის პირველი რაზმელი).

1-ლი რაზმელი — იმდენი ხალხი ერთ სარდაფში არ ეტევა!..

ყვარყვარე — კარი ხომ მიუხურე!..

1-ლი რაზმელი — როგორ არა!

ყვარყვარე — მაშ, თუ კარი მიუხურე, დაეტევა აწი, აპა რას იზამს?!

1-ლი რაზმელი — სასუნთქავ ფანჯარას მაინც გავუღებ, თორემ სულს ვერ ითქვამენ.

ყვარყვარე — მერე, იქიდან რომ გადმოცოცდნენ? არა, მიხურე.

1-ლი რაზმელი — ვინც სუსტი გულისაა, იმ სარდაფში მოკვდება!

ყვარყვარე — სუსტი გულის პატრონი პროლეტარიატს რად უნდა?! მეტ ტვირთად დააწვება. ახლა ეს მითხარი: გინდა პროლეტარიატი რომ შეწუხდეს?

1-ლი რაზმელი — არ მინდა.

ყვარყვარე — აბა, დადექი შენს ადგილზე.

1-ლი რაზმელი — კარგი, დავდგები. (მიდის. შებარგეს შემოყავს პირველი და მეორე აბრაგი).

მეზარგე — აი, ბატონო, ის აბრაგები მოვიყვანე!

ყვარყვარე — (აბრაგებს) აქეთ დაღეკით, ჩვენება უნდა ჩამოგართვათ.

აბრაგები — ბრძანეთ. (მეზარგე მიდის).

ყვარყვარე — ამ სოფელ-ქალაქს რომ მიდგომიხართ და ბუღეში კვერცხს არ უშვებთ, რას მიპასუხებთ?!

1-ლი აბრაგი — შენი წყალობაა, რასაც ვკამთ.

მე-2 აბრაგი — მართალია, ცხრა კეჟის ხალხი ტყიდან დაგვაბრუნე... ზოგი საწყალი მენშევიკი გლაბა მწყერივით ჩამორჩა გაქცეულ მთავრობას და ჩვენთან ამოიძუა კული. ყველას კარი გაგვიღე, რაც აბრაგები გვნახე.

ყვარყვარე — ჰოდა ახლა კოქებს მისინჯავთ. მაგრამ მე თქვენი სულ არ მეშინია, არ მეშინია...

1-ლი აბრაგი — რას გისინჯავთ. შენ რომ შენი თავგადასავალი გვითხარ? იმაზე ყველამ დაუმატა რაც იცოდა და ერთ დღეს თავიდან ბოლომდე რომ მოვყევით შენი საქმენი, ვილაცამ თქვა, სხვას რომ მაგის ნახევარი ექნა, ძეგლს დაუდგამდენო.

ყვარყვარე — ძეგლს მიდგამენ?!

აბრაგები — კი ასე თქვა ვილაცამ.

ყვარყვარე — მაშ, თუ ღირსი არ ვიყო, ძეგლს რატომ მიდგამენ.

1-ლი აბრაგი — ახლა იმის სათქმელადაც მოვედით, თურმე, წითელი ჯარი მოდის და იმისთანა დიდი ბოლშევიკები მოუძღვებიან... ქვეყანა რომ შეუძრავთ, და მექორეები ჩმახვენ, ყვარყვარე თუთაბერს გაკოქავენო.

ყვარყვარე — მერე?

1-ლი აბრაგი — ჩვენ შენი იმედი გვაქვს.

მე-2 აბრაგი — მთელი ჩვენი ბიჭები საფარ-კედლად შენ გიყურებენ.

ყვარყვარე — მაშ წადით და რაზმელებს უთხარით, მოედანზე ხალხს ათქმევიონონ, რომ (უთითებს) იმ დიდი ლოდისაგან ჩემთვის ძეგლის გამოთლა უნდათ.

აბრაგები — რატომ?!

ყვარყვარე — როცა გაიგონებენ, თვალში ნაცარს ვერ მომაყრიან. ასეა... ხომ გესმით?!

აბრაგები — კი გვესმის.

ყვარყვარე — მაშ, წადით.

1-ლი აბრაგი — ბოლშევიკებისაგან ხომ დაგვიფარავ?!

ყვარყვარე — წყნარად იყავით რწყილებივით.

ა ბ რ ა გ ე ბ ი — ვიქნებით.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ქვეყანას არ ათქმევინოთ, ყვარყვარე თუთაბერს ვირები ვერ მოუთურგვნიაო. (აბრაგები მიდიან).

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (აპირებდა რევეკომში შესვლას, მობრუნდება) ეს ვინ არის?! ქალი კი არა მზის უნახავია. (შემოდის ქალი) შენ ვინ ხარ?

ქ ა ლ ი — მე რევეკომში მაქვს საქმე.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ჰოდა, თუ რევეკომში მიხვალ, აგერ ვარ.

ქ ა ლ ი — მე გთხოვ გაათავისუფლოთ ერთი უსამართლოდ შეპყრობილი ადამიანი.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — შეიძლება.

ქ ა ლ ი — ოჰ, როგორ მადლობელი ვარ, სულ უდანაშაულოა.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ვინ არის, ბრძანეთ და ამ წუთში გავანთავისუფლებ. ის კი არა, სული რომ მთხოვო, ამ ყელიდან ამოვიღებ და მოგცემ. (უახლოვდება ქალს).

ქ ა ლ ი — (უკან დაიხვეს) ის ჩემი ქმარია.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ქმარიო!! ეს სხვა საქმეა, ის დიდი დამნაშავეა. მე ახლა კანონს ფეხს ვერ გადავადგამ იმისთანა კონტრრევოლუციონერის გულისთვის.

ქ ა ლ ი — რას ბრძანებთ, სულ მთლად მართალია.

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (უახლოვდება) ის ვითომ არ გყოლიათ, ისე უნდა დაივიწყოთ.

ქ ა ლ ი — ვინ დავივიწყო, შე მხეცო, ა, ეს რა პასუხია, ჩემი ქმარი დავივიწყო, შე არამზადავ?!!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — შენ ვის უბედავ ასეთ სიტყვას, თუ შენ გგონია ისე მომწონხარ, რომ ჩემს თავს და მთავრობას გაგალანძვინებ?! მე რომ ქალი მიყვარს და ვუყვარვარ, იმის გვერდით რომ გაჩერდე, ჯოჯოხეთის მაშხალად გამოჩნდები.

ქ ა ლ ი — ა, მე ვხედავ, რომ თქვენ დასცინით ჩემს თხოვნას... მაგრამ, როგორც გავიგე, მე მარტო არა ვარ ამ ყოფაში. დღესვე მოვადგებით ყველანი რევეკომს და ხმამალა მოვითხოვთ სამართალს. ვნახოთ. (მიდის).

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — (დუმილის შემდეგ) ქალს როდესაც ვეჭორქოშები ჭკუა მებნევა, თორემ იმ ქალმა ახლა იმისთანა სიტყვები მკადრა, უსათუოდ უნდა დამეტუსაღებინა, (გაივლის). ეჰ, ეს მაზრა ხომ კარგად მივასწორ-მოვასწორე. აწი შევალ ჩემს რევეკომში და, იცოცხლე, ყვარყვარე თუთაბერო, ერთი ათად გამოაჩინო შენი ნამოქმედარი. (მიდის რევეკომში. შემოდის კაპუტა, ქუჩარა და ლირსა).

ქუჩარა — ფ, კაკუტა, ხედავ, კაცო, სად მიდის ჩვენი ყვარყვარე?

კაკუტა — მისაკარებელი პირი რო არა გვაქვს?!

ქუჩარა — რა ვიცოდი, მაგის ბარი თუ ამდენს იმუშაებდა.

კაკუტა — ო, რას იზამ. კაცნი ვართ. ვუთხრათ ჩვენი ნაბატონარის ნამოსახლი რო მოგვეს.

ლირსა — ჰო, უთხარი, კაცებო, გაქირვებულეებისათვის ახლა თენდებაო და ჩვენზე გაქირვებული ვინ არის, რალაცა თითო ხელისდადება ადგილი გაქვთ, იმაში თესლის ჩაგდებაც არ ღირს. (კაკუტას) თუ მეტი მოხერხება არ გქონდა, შე საწყალო, რას იკიდებდი ჩემს ცოდვას?!

კაკუტა — ასეა, ჩემო ღირსა.

ლირსა — უბედურებად მე ჩემი სიობლე მეყოფოდა.

კაკუტა — ო, რას იზამ.

ლირსა — როგორ რას იზამ, მგელივით კაცი ხარ. თუ ხელს გამოიღებ, შენისთანა ჩვენს სოფელში ორიც არაა.

კაკუტა — ქალი შენა ხარ და ყველაფერი კი იცი...

ქუჩარა — (ხარბად უყურებდა მათ) რა ვქნა, ჩემთვის არ მოინახა ასეთი უპატრონო და ობოლი... ქალის პირისუფალმა, თუ შეგატყო რომ მქალი გიქირს, მაქანკალს კეტით გამოგივლებს... არა და, მეც მინდა ერთი გულის გამთბობი.

კაკუტა — რას იზამ, კაცნი ვართ...

ქუჩარა — (იხედება რეკომისიან) თუ კარგი თვალთ გადამოგვხედა ყვარყვარემ, ჩემი კერიაც დაინთება.

ლირსა — რატომ არა, მიდით და თხოვეთ, კაცებო, ხომ იყო თქვენი ამხანაგი!

ქუჩარა — არა, იმას ჩვენზე ღიდად თავი სულ კი მოქონდა. კი, კი მოქონდა.

ლირსა — (კაკუტას) აბა რას გამომიქვდე, ჩემო კაცო, ყური, ამხანაგი იყო.

კაკუტა — არა, ღონით მე ყოველთვის ვაჯობებდი, მარა, რას იზამ!

ქუჩარა — ხერხი რომ არ ჰქონოდა ვაჯობებდით, მარა რაც ზევითაა, ორი იმდენი მიწაშია და მიწაში ეძიე შენ, რას მონახავ.

კაკუტა — კი, ძირს გამოგიტხრის.

ქუჩარა — მე ახლა აქ სულ შენი იმედითა ვარ, ცოლიან კაცს რომ გნახავს, პატივს დაგლებს.

კაკუტა — კი, პირდაპირ ჩვენს იღბალზე დაწვა და დაანაცარტუტა ი ჩვენი ნაბატონარის მიტოვებული ოდა სახლი.

ქუჩარა — იქ ერთი კუთხე რომ მოგვიგდოს, მეტი რად გვინდა.

კაკუტა — მართალია, უნდა მოგვიგდოს, ჩვენი კაცნი ვართ.

ქუჩარა — ჰოდა, რასაც მოგვეცემს, იცოდე, ორივეს უნდა გვერგოს.

კაკუტა — კი. გერგება. (ყვარყვარე გამოდის რეჟომიდან და ნელ-ნელა ეშვება კიბეზე).

ყვარყვარე — გულთამზე მოსულა და ხოხობივით ზის თაემჯ-დომარის ოთახში. მეც ეშმაკი ვარ, იქ აღარ შევეფეთე. ასეა, მე რომ მკითხონ, სიყვარული მახეებში ძრომაა. თუ გააბი ქალი, ბულბულს შეარცხვენს. ისე ტკბილ გალობას დაგიბერავს, მაგრამ თუ გაგაბა, ქარცეცხლს შემოგიკიდებს. (თვალს მოჰკრავს კაკუტას და ქუჩარას) ესენი ახლა სად გამოჩნდნენ ძველი მთვარესავით.

კაკუტა და ქუჩარა — ბატონო ყვარყვარე.

ყვარყვარე — ვინა ხართ? როდის გაჩნდით ქვეყანაზე. (ზურგს შეაქცევს).

კაკუტა და ქუჩარა — ბატონო, ბატონო ყვარყვარე!

ყვარყვარე — ვინ მიბედავს ბატონის დაძახებას. რევოლუციურ ბრძოლაში კაცი ჩამტოვეთ, უნამუსოდ გაიპარეთ და ახლა აქ მობედეთ მოსვლა?

ქუჩარა — შევცდით რომ გავიპარეთ, მაგრამ ახლა ძალიან გაგვიჭირდა და ისევ შენ დაგიკარით თავი.

ყვარყვარე — გაგიჭირდათ?!

ქუჩარა — აა, ეს საცოდავი კაკუტა უღელში გაება. ქალი ითხოვა და ჩვენი ნაბატონარის ნამოსახლი გვინდა რომ გთხოვოთ. ხომ იცი, რა ძნელია, როცა კაცს უღელი აქვს კისერზე და მქადი საძებარია.

ყვარყვარე — ამ გლახას ვინ მისცა ქალი?!

ქუჩარა — (ჩუმად) სევისკვერივითაა ეს უპატრონო.

ყვარყვარე — მანახეთ, ეგება მეც მომეწონოს (უკან გამოსწევენ ლირსას) ესაა? ტუუ... მგელს დაათეთებს!

კაკუტა — უპატრონო და ობოლი რო იყო, იმიტომ მომცეს.

ყვარყვარე — ამის შეყვანას იმ ფაცხაში, ქვა რომ შეგეგდო ის გერჩია.

ქუჩარა — რატომ, რაც უნდა იყოს თბილია.

ლირსა — თქვენს იქით გზა არა გვაქვს, ბატონო, იმ ეზო-გარემოში ოც წელიწადს ვემსახურებოდით ბატონს და ახლა კი გვეკუთვნის ერთი კუთხე.

ყვარყვარე — გაჩუმდი, შენი ხმა არ გავიგონო (შემოდის პირველი რახმელი).

1-ლი რახმელი — რახმელებმა შემოგივალეს, ამხანაგო, ძეგლს

ჩენი ხელით დაგიდგამთ, ოღონდ გვიშველეთ.

ყვარყვარე — რა მეხი მოელანდათ?

1-ლი რაზმელი — გზატკეცილზე წითელი ჯარი გამოჩნდა. პასუხისმგებელი ამხანაგები მოუძღვებიან და კალთა დაგვაფარეთ.

ყვარყვარე — კალთა თუ არ ავიკაპიწე, ამდენი ოხერი ერთ დღეში ჩამიტანს. წადი, უთხარი იმ რაზმელებს ჩემი სახელი არ ახსენოთ, თორემ, რაც დღემდე დაგაკელით, აწი გაგმოლტავთ-თქვა. (რახმელი მიდის).

ქუჩარა — ვისზე წყრები, ბატონო ყვარყვარე, რა გაქვს ახლა შენ ასაკრიჭინებელი.

ყვარყვარე — რომელ ურემს აწევს ჩემოდენა ტვირთი.

კაკუტა და ქუჩარა — რაო?

ყვარყვარე — ბოლშევიკებს ნაცარი კი არ მოაქვთ საქეკავად! საქმე იქნება.

ქუჩარა — ბოლშევიკებს, თურმე, ერთი კალაპოტი მოუტანიათ, ვინც პატარაა იმაზე გაადიდებენ და ვინც დიდია, იმაზე დაამოკლებენ. რაც უნდა იხტუნო, თურმე, იმ კალაპოტს ვერ გაექცივი.

ყვარყვარე — მაშ მეც თქვენთან გამასწორებენ?

ქუჩარა — (კაკუტას) ა, მგონია, ვერ ვთქვი კარგად.

ყვარყვარე — თქვენც იმ დიდ ქვაში გამოგიღებენ ჩემსავით, არა?

კაკუტა — შენ იმ ქვაში როგორ გამოგიღებენ?

ყვარყვარე — ცოცხალ ძეგლად დამდგამენ.

კაკუტა — ო, დადგამენ, მერე?

ყვარყვარე — მერე საფლავში თქვენი ძვალი არ იქნება, ეს კი ასე იდგმება.

ქუჩარა — სულ იქნებაო, გესმის, ლირსა!

ლირსა — კი...

ყვარყვარე — ვინ მოთვლის იმ დრო-მდინარეში რამდენი ამის მნახველი გულზე ხელს დაირტყამს და იტყვის: სიკვდილო, შე ოხერო, ყვარყვარე თუთაბერის ფასი ქვეყანაზე რა დატოვეო. ანდა რამდენი ლამაზი ქალი მიასობს თვალს და იკითხავს: ეს რა მიწამ შექამაო, ეს საწყალიო მალამოსავით დაილიაო... ისე ამოიჯენს ქალი გულს, რომ ფუნთულასავით მომეკვრება. მარა ქვას გაათბობს?!

ქუჩარა — ქვას კი გაათბობს, მკვდარს ვერ გააცოცხლებს, იმ მუდრეგს, თორემ, ქალის კოცნა კეცს გაახურებს.

ყვარყვარე — მერე მე რას გამომადგება. ეჰ, სულ ტყუილა-ბზუილა არის ეს ცხოვრება. ბოლო ყველასათვის დაკარგულია.

ქუჩარა — სულ ერთია, ჩემო ყვარყვარე, სანამ ხარ, დედამ გშობაო, ხომ ათქმევინებ ამ ქვეყანას.

ყვარყვარე — დედამ მშობა, აბა ციციკის კვერცხიდან კი არ გამოვჩეკილვარ, თქვე უპატრონოებო.

ქუჩარა — კი, კი... სოფელში ამბობენ; შენს დაბადებაზე ისე დაუტენია თოფი წყვიწყვის, რომ ლულა გახეთქია უბედურს. (ისმის ხმაურობა).

ყვარყვარე — ჰე, თავი ბოლშევიკები მოდიან და რას მიმოწმებთ, მეზობლებო, იმათთან.

ქუჩარა — (კაკუტას) ვაქოთ, ბიჭო!

კაკუტა — კი, ცაში ავიყვანოთ.

ყვარყვარე — ხომ გახსოვთ, რაც მე წვალეზ მინახავს თქვენი გულისთვის.

ქუჩარა — ის გაეცხადოთ?

ყვარყვარე — კი, სიმართლე თქვით.

ქუჩარა — კარგი, ასე ვიტყვი, რომ თავიდან ნაცარქექია იყავი და შიმშილით გკლავდნენ.

კაკუტა — კი, ყველამ ვიცით.

ქუჩარა — თბილი სახლიდან გზა-შარაზე გაგადგეს. ბოლოს იჯარა აიღე, — შენც გაჯახირდი და მუშებსაც ტყავი გააძრე.

კაკუტა — ხიდი მაინც ვერ გააკეთე.

ქუჩარა — ვიტყვი, რომ კერიიდან აგადგეს, შე საწყალო, და მართალი კაცი კინალამ ჩამოგახრჩეს.

ყვარყვარე — მართალი კაციო!

კაკუტა — კი, სულ ტყუილა დაგიპირეს. ახალთაობის საქმეში არ ერიე.

ქუჩარა — მერე, გაქცეული ჯარის უფროსობა გინდოდა, მარა ჩვენისთანა ვირებმა გილალატეთ.

ყვარყვარე — ეს რა გამოდის!

კაკუტა — იმას შუა და იმას შუა რო იყო, იმასაც ვიტყვი.

ყვარყვარე — რას იტყვი.

კაკუტა — სასახლეში რო წაგვიყვანე და ყმად რო უდგებოდი და მერე ის მთაერობა რო თხლესავით წავიდა.

ყვარყვარე — ჰო, და ახლა კარგ ტაბლაკვერებს მიიღებთ ჩემგან, წამოდით, უნდა დაგატუსალოთ.

ყველანი — რატომ, რატომ გვატუსალებ?

ყვარყვარე — რადგან თქვენ ვერ მიცანით, თვითონ უნდა გაგაცნოთ ჩემი თავი და... როგორც გაუსწორებელ დამნაშავეებს,

გაპატიმრებთ. (ეძახის) ეი, ვინა ხართ! (შემოდინან რაზმელები) წაიყვანეთ ესენი იმ სარდაფში ჩასტენეთ.

1-ლი რაზმელი — არ დაეტევა, ამხანაგო, არ დაეტევა და რა გქნათ?

ყვარყვარე — წაიყვანეთ!

ლირსა — ეს რა მეხის ტეხაა?

1-ლი რაზმელი — ის ხალხი იქ ისეა გამწარებული, როგორც კი გოვალბ კარს, გარეთ გამოცვივიან, იხრჩობიან.

ყვარყვარე — გინდა შენ პროლეტარიატის ძალაუფლებას ძირი რომ გამოუთხარო?!

1-ლი რაზმელი — არ მინდა.

ყვარყვარე — აბა, წაიყვანე.

ლირსა — ბატონო, რას გვიშვრებით, კაცებო, მიპატრონეთ, თქვე შეჩვენებულეზო.

ქუჩარა — (მუდართ) ყვარყვარე. ყვარყვარე, რას მიშობი.

ყვარყვარე — გაყევი.

ლირსა — ბატონო, შენი მუხლის ჰირიმე!

ყვარყვარე — (აპირებს წიხლი უთავახოს ლირსას, რომელიც კაკუტას ეფარება) აი, ჩემი მუხლი.

ლირსა — რა ცეცხლში ჩამაგდეთ, კაცებო თქვე შეჩვენებულეზო, სად მომიყვანეთ. ამისათვის მეუბნებოდით, ამხანაგიაო!

კაკუტა — ქუჩარა, ბიჭო შენ ამბობდი, ცოლიან კაცს პატივს გცემსო, სადაა?

ყვარყვარე — ჩქარა წამოდით, ფეხს ნუ ითრევთ.

რაზმელები — (თოფს მოიმარჯვებენ) წამოდით! (მიდინან ყველანი. შემოდის სევასტი ორი წითელარმიელით. ადის კიბეზე. რევკომიდან გამოდინან გულთამზე, რევკომის თავმჯდომარე, წვერები და შეეგებებიან სევასტის).

გულთამზე — სევასტი, შენ მოუთმენლად გელოდით.

სევასტი — კიდევ კარგად ყოფილხართ. ისე არეულია ეს მაზრა, არ მეგონა, თუ აქ ცოცხალი დამხვდებოდით.

თავმჯდომარე — დიახ, ჩემმა ავადმყოფობამ ეს ახლად გასაბჭოებული მაზრა ისევ ძველი აბრაგების ხელში ჩააგდო.

სევასტი — ეს რა ხმაურობაა!

გულთამზე — გესმით, რაღაც დაამტკრიეს.

სევასტი — ესენი საიდან მორბიან! (შემორბიან ტუსაღები).

1-ლი ტუხსალი — გვიშველეთ, ამხანაგებო, ციხეში ჩაგვყარეს, დაგვიხსენით.

სევასტი — ეს რა ხალხია!

მე-2 ტუხსალი — გლეხები ვართ, შრომის მეტი ჩვენ არაფერი ვიცით.

მე-3 ტუხსალი — განუკითხავად დაგვიპირეს, კარები რომ არ გამოგვემტვრია, ვიხრჩობოდით.

სევასტი — ციხეში ვინ ჩაგყარათ?!

ტუხსალები — ყვარყვარე თუთაბერმა.

გულთამზე — ყვარყვარემ?

სევასტი — ეს სახელი ნაცნობია, გულთამზე, შენ არ გაგონდება?!

გულთამზე — უი, ის ნაცარქექია ხომ არ არის?!

სევასტი — დამშვიდდით, გლეხებო! სად არის დამნაშავე?

1-ლი ტუხსალი — როდესაც ჩვენ გამოვცვივდით, გაიქცა.

მე-2 ტუხსალი — (იხედება) აი, გაუკოჭიათ.

ხმები — მოჰყავთ, მოჰყავთ!..

ყველანი — ჩქარა რევეკომში მოიყვანეთ (სევასტი, გულთამზე, თავმჯდომარე და წევრები შედიან რევეკომში. წითელარმიელებს შემოჰყავთ ყვარყვარე. უკან ზოყვება პირველი რაზმელი).

1-ლი რაზმელი — არ დაეტევა-თქვა, ხომ ვიძახდი! (წითელარმიელებს ყვარყვარე შეჰყავთ რევეკომში).

ხალხი — გაასამართლეთ! (შემოდინ კაკუტა, ქუჩარა და ლირსა).

ქუჩარა — დაინახეთ, რევეკომში რომ შეათრიეს ის გარეწარი?

ლირსა — კი, კი... კარგად მიხიანჩაღეს.

კაკუტა — რას უზამენ ახლა, მოკლავენ?

ქუჩარა — მოკლავენ, აბა, ქალს კი არ უთხოვენ?

ლირსა — ახია, კაცებო, რასაც უზამენ. ვერ ხედავდით რა დაგვიტრიალა?

ქუჩარა — დრო კია მამამისი წყვიწყვი შავს იკერავდეს.

კაკუტა — კი, კი, ზარალი გამოუვიდა.

1-ლი ტუხსალი — (კაკუტას და ქუჩარას) თქვენ იცნობთ მაგ უმოწყალოს?

ქუჩარა — ვიცნობთ კი არა, მაგის შიშით ძლივს დავდივართ ქვეყანაზე.

მე-2 ტუხსალი — როგორ, კიდევ გაწვალათ ამის გარდა?

კაკუტა — ერთხელ გამოვებარეთ, თორემ, ახლა ცოლი კი არ მეყოლებოდა — მკვდარიც ვიქნებოდი.

ქუჩარა — კაცო, კაკუტა! მაშინ რომ გადაურჩით, ხომ დავიფიცეთ, სათოფეზე არ მივეკაროთ-თქო, ახლა როგორ გადავცდით?!..

კაკუტა — ხო, და ეს მოგვივიდა.

ხალხი — ეჰ, დასაღუპავია მაგისტანა კაცი!

ქუჩარა — აბა, ეგ თუ გაუშვეს, სულ ერთია, მთელ ქვეყანას დააქცევს. (ყველანი გამოდიან რევკომიდან).

თავმჯდომარე — ამხანაგებო, ყვარყვარე თუთაბერის უმსგავსო საქმეები სულ თავიდან ბოლომდე გამოვარკვიეთ.

ქუჩარა — ალალია, ხომ ჩავარდი ტაფაში!

ყვარყვარე — რომ ვერ მივხვდი რას მემართლებით? მე რევოლუციასზე ლოგინი დამიგია და ახლა დასჯა მერგება?

სევასტი — ამხანაგებო, ყვარყვარე თუთაბერი ნაცარქექიაა.

ხმები — კი, კი, ნაცარქექიაა.

სევასტი — ის მეფის დროს ჩემს მაგიერ დაიჭირეს და ამ შემთხვევის წყალობით თავი გაუსაღებია ძველ რევოლუციონერად... ჩვენი გამოძიებით კი ყვარყვარე თუთაბერი ნამდვილად ქუანაკლებია, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ეს ადამიანი არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს და ამიტომ ვათავისუფლებთ.

ხმები — შემცდარია რევკომი, რევკომი შემცდარია!

ყვარყვარე — არაა შემცდარი, თქვე უსინდისოებო, მთლად ნუმღუპავთ.

სევასტი — მხოლოდ იმ უნიადაგო ხელისუფლებაში, რომელიც აქ ჩვენამდე არსებობდა, იმ უთაურობაში შეეძლო ყვარყვარე თუთაბერს გმირის ადგილი დაეჭირა და ხალხისათვის ვნება მიეყენებინა, ჩვენ კი ახლა მას ნილაბი მოვხსენით და, დეე, თავისი ნამდვილი სახით, ნაცარქექიას სახელით, იაროსს ქვეყანაზე.

1-ლი ტუსადი — მაშ, თუ ქუანაკლების ხელში ვიყავით, კიდევ კარგად გადავრჩენილვართ.

მე-2 ტუსადი — კარგია მაინც, რომ გავიგეთ!

მე-3 ტუსადი — რადგან ზიანს ველარვის მიაყენებს, იაროს და იჩერჩეტოს, რა გვენაღვლება.

ყვარყვარე — ოო, რა სიცოცხლეს ვკარგავდი!

ს ე ვ ა ს ტ ი — (ყვარყვარეს უახლოვდება) ნაცარქექია, ეს თავი კი შე-
გრჩა, მაგრამ გულთამზესთან ხომ შეგარცხვინეს.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — აწი მაინც ვერ შემხედავ, ძვალმოტეხილო, ხომ
სულელად გამოგაცხადეს!

ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე — ყველა უბედურებას შენით გადავეკიდე, გულთა-
მზე! (თავისთვის) ეჰ, გათავდა შენი ჩალიჩი ყვარყვარე თუთა-
ბერო. ამათ ხელში ჩემი ამინდი არ დადგება. (ხალხი სტვენით,
ყვირილით და დაცინვით აცილებს მიმავალ ყვარყვარეს).

შ ა რ დ ა

1928 — 29 წ.



კრმედია
სამ მოშხედებად, ოთხ სურათად

მოსმელი პირნი

ჯამლეთი — ხიდობანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ხაიბონი — ბუქნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

მანუჩარი — ყოფილი აზნაური

ჯიხლო — მანუჩარის ვაჟი

ხახული — გლეხი

გვირისტინე — ხახულის ქალიშვილი

მირიანე — შექლებული, ახალგაზრდა კოლმეურნე

შატო — კომკავშირელი

შიტო — კომკავშირელი

ირინე

კაკალა

ვატა

ლომკაცა

ლოტბარი

გამგეობის წევრი

ბრიგადირები, კოლმეურნენი

შოქხელება პირველი

ხახული წევს სახლის წინ, ტახტზე. კიშკარს მოადგებიან ვატა და ჯიბილო.

ვატა — მასპინძელო, მასპინძელო!

ხახული — (წამოდგება) ვინ ბრძანდებით?

ვატა — აგერ, სტუმრები გეწვიეთ!

ხახული — მობრძანდით, მობრძანდით! (ეგებება).

ვატა — გამარჯობა, ხახული! ეს მანუჩარის ვაჟი გახლავს.

ხახული — მანუჩარის ვაჟი?

ვატა — ჰო, ის გახლავს.

ხახული — მაშ შენა ხარ ის პატარა ჯიბილო? ეს რა მესმის!

ჯიბილო — დიახ.

ხახული — შენი ქირიმე, ბიჭო, შენს დაბადებაზე რამდენი თოფი გავისროლე. არ მახსენებენ თქვენს ოჯახში?

ჯიბილო — კი, როგორ არა.

ვატა — შენ ამათთან მოჯამაგირედ ყოფილხარ, არა?

ხახული — მოჯამაგირეც მე ვიყავი და პატრონიც. ამისმა მამამ, მანუჩარმა, ჩემი მარჯვენა მოიწონა, ჩემი სიმღერა შეიყვარა და... (ჯიბილს) ცხონებული ბაბუაშენი რომ მოკვდა, ის ძველი აზნაურ-ბატონი...

ჯიბილო — დიახ გამიგონია.

ხახული — იმის ქელეხი რომ გადავიხადეთ, იმ დღიდან თქვენს ოჯახში სუფრა არ აღებულა. ხუთ წელიწადს, დღე და ღამე, ნაირ-ნაირი პურმარილი გეკონდა გაშლილი. ბოლოს, როდესაც გათავდა ქონება, მანუჩარმა სახლში გამიშვა და თავისი ნამოსამსახურევი ცოლად გამატანა.

ჯიბილო — დიახ, ესეც გამიგონია.

ხახული — რა ზორბა გამხდარხარ, ჯიბილო, ბიჭო, შენ გაგახარა ღმერთმა!

ვატა — ეჰ, ზოგის ტანი იზრდება და ზოგის ქკუა.

ხახული — რატომ, შე კაცო, მანუჩარის შვილს ქკუაც გამოჰყვე-ბოდა.

ვატა — გამოჰყვე, მაგრამ ისე, პატარა ქკუა...

ხახული — შენ ამის რა ნათესავი ხარ?

ვატა — მე კვატულიას შვილი ვარ, სოფლის მწერალი რომ გახლდა, თუ გახსოვს.

ხახული — ოო, მახსოვს, კი, აბლაკატი იყო, ქონება საჩივრებში დალია და ცოლშვილი ორმოდან დაარჩა იმ ცხონებულს.

ვატა — ჰოდა, მეც იმ ორმოდან ამოგძვერი და იმ ხელობით ვცხოვრობ, ვდავიდარაბობ... ამ ბოლო დროს ქორწილს და ტირილს ვეტანები, მაგრამ შეგხვდება ამისთანა ნავსი დღე, ვახშამიც არ გერგება.

ჯიბილო — კარგი ახლა, ვატა, გეყოფა.

ვატა — შენ კიდევ ხმა გაქვს გასაღები?

ხახული — რას ერჩი ამ ახალგაზრდას?

ვატა — ამან გოქივით ღობეში გააკვეხა თავი და ბოლოს იქყვირებს.

ხახული — რა დააშავა?

ვატა — ცოლის თხოვა გადაწყვიტა.

ხახული — მერე?

ვატა — ამის ცოლი გაგონილა?!

ხახული — კაცო, ცოლი მაგას უნდა, თორემ მე აწი დედოფალს თბილი კეცი მირჩევნია მუცელზე.

ვატა — ო, რა ქალს გადაეყარა!

ხახული — გონჯია?

ვატა — თვალი უკეთესს ვერა ნახავს, მარა რა გინდა, ღარიბ კაცს ფარშევანგი გამოადგება? ამ უბედურს მამისაგან არაფერი აქვს, დედისაგან კი რაღაც ორი ბეჭედი დარჩენია და იმით დაუნიშნია შენი მეზობელი, ვაქრის ობოლი.

ხახული — ვაქრის ობოლი?

ვატა — დიახ, ირინე ჰქვია.

ხახული — თუ ბეღია, რას იზამ!

ვატა — ამისათვის ვილაცას უოხუნჯებია, ვაქრის ქალიშვილს ქურები სპილენძით და ვერცხლით აქვს სავსეო, და გადაკიდებია. მერე მანუჩარმა მთხოვა: გაჰყევი და ჩემი სარძლოს ქონება იანგარიშეო, ეს ბრიყვი არ მოტყვილდესო. თითონაც შეჯდა ცხენზე და აქეთ წამოვიდა, ხახულისას ჩამოვხტებო და იქ მომიტანე ამბავიო.

ხახული — მაშ, მანუჩარი ჩემსას მოდის?

ჯიბილო — დიახ, მოაწვეს, სადაც არის.

ვატა — კარგ ამბავს კი გაიგებს.

ჯიბილო — ცუდი რა არის?

ვატა — შენ კიდეც იმ ქალისკენ გაქვს თვალი!

ჯიბილო — მე მაინც ჩემსას ვიზამ.

ვატა — ვეტყვი მამაშენს, რა სიკეთესაც გადაყრიხარ და მერე თავი ქვას ახალეთ.

ჯიბილო — ქური აქვს ცარიელი, თორემ, ფერ-ხორციოთ ხომ სასება.

ვატა — ეჰ, რა დარიანი დღე დაეკარგე, წავალ და გზაში შეგხვდები მანუჩარს. მშვიდობით, ხახულ!

ხახული — (წამოადგება) ეჰ, ქალიშვილი არ მოვიდა, თორემ, უპატივცემოდ არ გაგიშვებდი... მაინც მივიხედ-მოვიხედავ... (აპირებს წასვლას) დამიცადე, მამა ნუ წაგიწყდება. (მიდის).

ვატა — არა, აქ მე ვერაფერს ვერ წავკნასავ. მივლივარ.

ჯიბილო — მეც გამოგყვები.

ვატა — სად მოტანტალებ?

ჯიბილო — დღეს ვილაცა უნდა გაეაბრტყელო.

ვატა — როგორ?

ჯიბილო — ტკბილი კვერივით.

ვატა — ვაი, ჩემი ცოდვა!

ჯიბილო — გადაწყვეტილი მაქვს.

ვატა — მე ხომ არ მიპირებ, ბიჭო?

ჯიბილო — ვინც არის, მაშინ გაიგებ.

ვატა — წამოდი, შე კაცო, მე რა... ქალს კი არ გიგინებ, მხოლოდ რაც არ არის იმ ქურში, რა ვთქვა, შე წაწყმედილო.

ჯიბილო — შენს პირში მტერი ჩავარდა. (ვატა და ჯიბილო მიდიან. შემოდინან გვირისტინე და კაკალა).

კაკალა — ორას შრომადღეს მეც მოვუყარე თავი, ჩემო გვირისტინე.

გვირ-ნე — ესეა, თუ საქმეს დაუღებ გულს, კაკალა, დღეს შრომა ფონზე კი გაგიყვანს.

კაკალა — მამაჩემმა მითხრა, თუ ასე წაგვივიდა საქმე, გაისად, შეილო, ახალი სახლი დავიდგათო. შენ ააშენე, გვირისტინე?

გვირ-ნე — ჯერ სად არის, მასალა ჯერ კიდეც აგერ ყრია.

კაკალა — აწი რად გინდა, მირიანესთან მშვენიერი ოლა დაგხვდება.

გვირ-ნე — რას მეუბნები, ქალო, ვინ გითხრა?

კაკალა — გუშინ მირიანემ გაგვაგებია ბიძაშვილებს, უცბად ვერც დავიჯერეთ.

გვირ-ნე — გაგიკვირდათ?

კაკალა — დედამისმა კი თქვა, მარტოხელობით ისე დაყრუებულ-
ლი ვარ, ბატის მწყემსიც რომ მოყავდეს, მაინც მეხარებაო.
გვირ-ნე — რა ვქნა, ერთ დროს ბატიც კი მიწყემსია.
კაკალა — კი, ესეც გაგვახსენდა.
გვირ-ნე — მერე, ახლა რომ კოლექტივში ჩაის პირველი მკრეფა-
ვი ვარ, რატომ დაგავიწყდათ? ვითომ შოლტი გადმომკარით?
კაკალა — არა, ჩვენ კი არა გვწყენია, პირიქით, მალე ვიქორწი-
ლებთო, რომ გვითხრა, ყველამ მივეულოცეთ. შენთვის არ
დაგვიცინია.
გვირ-ნე — ყრუ არა ვარ, კაკალა, კი მესმის შენი ლაპარაკი...
მირიანე შეძლებული კოლმეურნეა და ცოლიც შესაფერისი-
უნდა.
კაკალა — მერე, განა ამიტომ არ წაყვები?
გვირ-ნე — არა... მაინც... ისე აჩქარებულა, ჩემთვის არ უთქვამს,
თუ ასე მალე გიცხადებდათ ნათესავებს ამ საქმეს.
კაკალა — მაშ, ჩვენზე ახლობელს ვის ეტყოდა! რატომ გწყენია?
გვირ-ნე — მე დაჩაგრული ვარ, ჯერ დედის სიობლით, მერე-
სიღარიბით, და ყველაფერში სიფრთხილე მახლავს.
კაკალა — შენი ქართული ვერ გავიგე. განა კიდეც არჩევანში-
ხარ?
გვირ-ნე — არა, მე ერთი სიყვარული ვიცი. (შემოდის ხახული).
ხახული — აი, შე წყეულო, მე აქ სტუმრები მომივიდა. შენ კი-
ქარს აყოლიხარ.
გვირ-ნე — გამგეობაში ვიყავი. ვინ გვესტუმრა?
ხახული — აქ მანუჩარი მოდის.
კაკალა — კარგი, ბიძია, ნუ გაუჯავრდები, დღეს ჩვენი კოლმეურ-
ნეობის დაწინაურებაა — მოსკოვში დელეგატებს ვგზავნით-
სტახანოველების შეკრებაზე.
ხახული — მე ეგ კი არ მეკითხება, ქალიშვილმა სტუმართან არ-
უნდა შემარცხვინოს.
კაკალა — რა ვიცი, სოფელი ლაპარაკობს, გვირისტინე მამას
გამოადგაო.
ხახული — რომელი ჯილა დამადგა?
გვირ-ნე — სხვები ჩემს ნახევარსაც არ მუშაობენ კოლექტივში-
და მაინც უმადლიან.
ხახული — დღე და ღამე იმ კოლექტივის საქმეზე დაშლივინობ-
ქალის საქციელი შენ არა გაქვს და ვაეცი არა ხარ.
გვირ-ნე — რა ვუყო.
ხახული — სინდისი თუ გაწუხებდეს, მამას მიხედავდი.

გვირ-ნე — ჩემი ხელი რომ მოგაკლდეს, მაშინ გაიგებ.

ხახული — რა ბუმბულებში მაწვენ? თუ უშენოდ მქადს ვერ ვი-
შოვი?

კაკალა — არა, ოღონდ, მარტო კაცი ქამაშიაც ცოდვია.

ხახული — ვინმეს ვიშვილებ.

გვირ-ნე — რა ვიცი, ჩემი სიკეთე თუ არ მოგწონს და სხვისი-
მოგეჩვენება...

ხახული — ჩემი სისხლხორცის სიგლახეს უფრო ვერ ავიტან.
(კაკალას) ხომ მართალია?

კაკალა — მე ახლა, ბიძია, ამაზე ვფიქრობ, თუ შვილს ვერ შე-
ეგუე, სიძეს როგორ შეეთვისები?

ხახული — ვის, რა სიძეზე მელაპარაკები? ამისთანა ქვაბ-ქოთა-
ნას ვინ ითხოვს!

კაკალა — ძალიან კარგი ბიჭიც არის მაგის მთხოვნელი.

ხახული — ჰო, როგორ არა, მანუჩარის ვაჟმა აიჩემა.

კაკალა — მანუჩარის ვაჟმა?!

ხახული — თავს გვატეხს.

კაკალა — მანუჩარის ვაჟი?

ხახული — მზესავით ბიჭი ჩამოახშო.

კაკალა — ეს არ ვიცოდი.

გვირ-ნე — ყბას გვიქცევს. (ხახულის) შენ დიდი საქონელი გგონია-
შენი მანუჩარის შვილი.

ხახული — ხვალ სწორედ ჯვარს დაგწერთ.

კაკალა — ხვალ ჯვარს იწერენ?

გვირ-ნე — დავგვცინის, კაკალა.

ხახული — მაშ მე გამოჩერჩეტებული ვყოფილვარ, არა?

გვირ-ნე — გარეშესთან მაინც ნუ გამართავ ასეთ ლაპარაკს.

კაკალა — ოო, მივხვდი, რისაც გეშინია, გვირისტინე, მაგრამ
ჩემი თავი ათას კუბოში გენახოს, თუ ეს მირიანეს ყურში
ჩავაწვეთო.

ხახული — მირიანე ვითომ რა ყოფილა, ჩემზე მოსარიდებელია?

კაკალა — არა, არაფერია.

ხახული — კოლექტივში ხეტიალს სჯობს მოხუცს უპატრონოდ
არ მტოვებდე.

გვირ-ნე — აი, ასეა... ხომ გესმის? და სულ იმიტომ მაქიაქებს,
რომ ახალი ყოფა ეჩოთირება... არა, სული ამოვიდა, ვერა-
ფრით ვერ მოვიმადლიერე, ვერაფრით. (ტირის. შემოდის მირიანე).

მირიანე — გამარჯობათ, გამარჯობათ! შენთან კარგი ამბავი-
მომაქვს, გვირისტინე. (შეჩერდება) რა მოგივიდა?

გვირ-ნე — უჰ, ისე...

მირიანე — მაინც?

კაკალა — არაფერია, თითონ გეტყვის.

გვირ-ნე — შენ უთხარი, არ შემძლია, ცოტა გულს გადავიყრი.
(წასვლას აპირებს).

კაკალა — როკორ, ყველაფერს ხომ ვერ ვეტყვი?

გვირ-ნე — რა ვიცი, დასაფარავი რა მაქვს. (მიდის).

მირიანე — რა მოხდა?

კაკალა — გუშინ ბრძანე, გვირისტინეს ვთხოვლობო.

მირიანე — დიახ.

კაკალა — ჰოდა, ხომ ხედავ რა ხასიათზეა.

მირიანე — არა უშავს-რა, ახლა ისეთ ამბავს ვეტყვი, გამხიარულდება.

კაკალა — რას ეტყვი?

მირიანე — მოსკოვში ვგზავნით სტახანოველების შეკრებაზე.

კაკალა — რატომ?

მირიანე — ხიდობანში გვირისტინე პირველი სტახანოველი აღმოჩნდა.

კაკალა — მაშ იმის ცალი ქალი აქ არ ყოფილა.

მირიანე — ჩვენც მაგრე გავიკვირდა, მაგრამ საბუთებმა ასე უჩვენეს.

კაკალა — არა, მე რაც თვალთ ვნახე, ის მჯერა.

მირიანე — რა ნახე?

კაკალა — ხახულიმ გვირისტინეს უთხრა, რომ ის ერთი უთავბოლო და უხეირო ვინმეა.

მირიანე — ო, ამისათვის ატირდა?

კაკალა — არა, მაგასაც მოგახსენებ... ხახულიმ მისი საიდუმლო გასცა, გვირისტინე, თურმე, მანუჩარის შვილს მიჰყვება.

მირიანე — სად მიჰყვება?

კაკალა — ცოლად.

მირიანე — რას როშავ!

კაკალა — იმან კი დაგიფსო თვალი, მაგრამ ბიძაშვილები მაინც შენ სირცხვილს დავფარავთ, არსად გავაცხადებთ.

მირიანე — ეს როგორ შეიძლება? არა, არა, ეს სისულელეა! სად წავიდა?

კაკალა — რა ვიცი, ხმა არ გაგცა და შენს გასაგონადაც დამიბარა, ყველაფერი უთხარი, დასაფარავი არა მაქვსო.

ხახული — (უახლოვდება მირიანეს) ოჰო, ეს ვინ ყოფილა, მანუჩარის ვაჟი მეგონა.

მირიანე — მანუჩარის ვაჟს აქ რა უნდა?

ხახული — მამას უცდის ქალის თხოვის საქმეზე.

მირიანე — მერე, შენსას?

ხახული — მანუჩარმა თავის სარძლო აქ უნდა ნახოს, ახლა კაცი იყო აქ, მისი სარძლოს ავ-კარგის დასახედად.

კაკალა — აი, ხომ გესმის?

მირიანე — ახლა კი მიკვირს.

ხახული — რა გიკვირს, წესიერი ვაჟი ცოლის შერთვას ყოველთვის მამას კითხავს.

მირიანე — დამილოცნია თქვენთვის მისი ზრდილობა.

ხახული — შენ რამ გაგაპილპილა, არ მოგწონს ეს ამბავი?

მირიანე — პირიქით, ნეტავ აღრეც შემეტყო თუ ეს მართალია.

ხახული — ვერ გამიგია, რაზე ცხარობ... აბა, მამის დაუკითხვად გადაწყვიტოს შეილმა თავის ბელი?

მირიანე — ოჰ, ძალიან დაიჩემე „მამას კითხავსო“, მაგრამ შენ, ხახული, ძველებურად უყურებ ამ ცხოვრებას.

ხახული — არა, ბიძია, პატიოსნება ვისაც აქვს, არ ძველდება, მხოლოდ ვისაც არ ესმის, ძველი ვფერი გონია.

მირიანე — აქ გვირისტინეს მხრივ პატიოსნებას წე ვერ ვხედავ.

ხახული — გვირისტინეს რას ერჩი, მასთან რა ხელი გაქვს!

მირიანე — ჩემგან ეს სიტყვა გადაეცი და ის მიხვდება.

ხახული — რაო, ჩემი ქალიშვილი მიხვდება, მე კი, ვითომ, ისე. ყრუ ვარ შენი ზარის რეკვა არ მესმის... უჟაცრავად, მარა, იცოდე, სანამ მე ცოცხალი ვარ, ჩემს ქალიშვილს შენს ჭკუაზე ვერ გადაიყვან.

მირიანე — კარგი, კარგი. მე არ გეხვეწები, ხახულ, ქალიშვილი მომათხოვე-თქვა.

ხახული — ეს რას მირეკავს!

კაკალა — ვნახავთ, რა უკეთესი სიძე გეყოლება.

ხახული — აბა, რა გითხრა, იცი: მე შეიძლება, ქალიშვილი კი არა, ერთი გომბეშო მყავდეს, მაგრამ საქმე რომ ჩავარდეს, შენისთანა გაუზრდელ კაცს მაინც არ გავატანდი.

კაკალა — სწორედ შენი გასალანძლავია მირიანე, ასეთი სავსე სახლ-კარი არც ერთ კოლმეურნეს არ გააჩნია.

ხახული — ვაი დედასა, მე მაკვირვებთ ქონებით? ჩემი თუ არ მქონია, სხვისი მაინც მინახავს. (შემოდის ჯამლეთი).

ჯამლეთი — რა მოგივიდათ?

ხახული — ეჰ, ჯამლეთ, აგერ ჩერჩეტს შეძახიან ახალგაზრდები-

- ჯამლეთი — მე კი მეგონა, აქ მხიარულობა დამხვედებოდა. არ
 გადაეცი გვირისტინეს, რომ ის არჩეულია დელეგატად?
 მირიანე — არა, გვირისტინე სათოფეზეც არ მომეკარა.
 ხახული — რაო, ვინ აირჩიეს?
 მირიანე — შენი ქალიშვილი.
 ხახული — არ გეყოთ, რაც ამდენ ხანს ოფლი გაადენინეთ?!
 ჯამლეთი — რას ლაპარაკობ, ხახული?
 ხახული — გამოვიხსნი იმას თქვენი ხელიდან.
 ჯამლეთი — მაშ გვირისტინეს მე გამოვუცხადებ.
 მანუჩარ — (გარედან) ხახული, ხახული.
 კაკალა — (მირიანეს) ხედავ, საქმროს მამა მოუვიდა ჩვენს გვირის-
 ტინეს.
 ხახული — (ვიშკრისაკენ) ეს თუ მანუჩარი არ არის, არაფერს ვი-
 ტყვი!
 კაკალა — ახლა ხომ ხედავ?
 მირიანე — ხუთი დღის წინ თავის ხელით მოქარგული ბლუზა
 გამომიგზავნა.
 ხახული — (მირიანესკენ) თქვენ წადით და ისეთი საკენკი სხვებს
 დაუყარეთ.
 კაკალა — ახლა რას იზამ?
 მირიანე — წამოდი, იმ ბლუზას გამოგატან.
 კაკალა — ოო, ახლა ისე მოაჩვენე თავი, თითქო შენ დაიწუნე.
 (გადიან მირიანე და კაკალა. შემოდის მანუჩარი).
 მანუჩარ — ჩემს ძველ ხახულ გაუპარჯოს!
 ხახული — ეს უნაგირი, მანუჩარ ბატონო, სად შეიძინე?
 მანუჩარ — ეჰ, სათაკილო მჭირს.
 ხახული — როგორ გეკადრება.
 მანუჩარ — ამ დილას ჩემი თეთრი ცხენი შეეკაზმე.
 ხახული — კიდევ ცოცხალია, ბატონო, ის თეთრი ცხენი?
 მანუჩარ — ნეტავ, მგელს დროზე შეეჭამა, დაბერდა. ექვსი თვეა
 ზედარ შეემჯდარვარ, ამ დილას კი ვიკადრე, მაგრამ ძალიან
 ფორხილობდა... მერე მგზავრების შემრცხვა და შუკაში გად-
 მოვუხვიე, აქ კი მათრახმაც არ უშველა... ბოლოს წაიქცა და
 ფეხი გაჭიმა იმ ოხერმა.
 ხახული — ოჰ, ფარსავი არ დაგმართვია.
 მანუჩარ — ერთი სიტყვით, ჩემი სახელი აწი არ უნდა ვატარო,
 მანუჩარი მე აღარა ვარ.

- ხახული — რას ბრძანებ, ბატონო, შენი სახელი ცარიელ გულაზე რომ ეწეროს, ისიც პატივსაცემი იქნება... ოღონდ სირცხვილი ამ დროებას.
- მანუჩარ — ეს მართალია, ხახულ, დრომ და ქაშმა მიღალატა.
- ხახული — დრომ ვის არ უმტყუნა, ხატმაც მაღლი დაქარგა და ჩვენ რა ვართ.
- მანუჩარ — მეორედ მოსვლა მოვა ცეცხლით.
- ხახული — კი, ქვეყანა ცეცხლით დაიწვეება, აბა უპატრონო კი არა ვართ.
- მანუჩარ — ეგ რაა, რაც დღეს ამბავი ხდება და რაც მოხდება, სულ დაწერილია ძველ წიგნებში.
- ხახული — მახსოვს იმ შენს სახლში, ჩემო ბატონო, ერთი ძველი წიგნი იდგა ბუხრის თავზე და ვერავინ იმას ვერ კითხულობდა.
- მანუჩარ — როგორ არა, ვკითხულობდით, მარა არ გვესმოდა.
- ხახული — ეჰ, ის ბუხარი რა ტკბილი იყო. სამოთხესავით მაგონდება იქაური სითბო და ლაპარაკი.
- მანუჩარ — შენ რა გქონდა და მაინც მხიარული იყავი.
- ხახული — მე რაც არ მქონდა, რა წავაგე, შენც იცი, მამაშენთან მოჯამაგირედ გავიზარდე, მარა შენ რომ მერე სუფრაზე მერიქიფედ დამიძახე და მთელი ქონება 5 წელიწადში გაათავე, გული იმაზე მეთუთქება.
- მანუჩარ — მაგ რა სადარღოა, ვინც ბევრი შეინახა, რევოლუციამ ჩამოართვა, მე კი ყველაფრის შექმა მოვასწარი. ქვეყანა იძახოდა, გადარეულია მანუჩარიო, მაგრამ, ბოლოს, ჩემმა ჭკუამ აჯობა... ოღონდ, უბედურება ეს არის, რომ
- მაშინ შესმული ღვინო დღეს არ მათრობს.
- ხახული — კი, ესეც მართალია.
- მანუჩარ — ისე, ჩემო ხახული, ბოლოს ძალიან გამიჭირდა... ახლა რასაც მოვეკიდე, ყველაფერი ხავსი შეიქნა და ვიხრჩობი, ყელში ჩამავლო ხელი სიდუხჭირემ.
- ხახული — ოჰო, ოჰო, აფსუს, მანუჩარის გაჭირვება! პირდაპირ ყური მტკივა, რომ მესმის.
- მანუჩარ — ისე გამიჭირდა, რომ ორჯერ შევედი კოლექტივში და ორჯერ გამოვძვერი.
- ხახული — რატომ?
- მანუჩარ — არ შეხვალ, გაჭირვებაა, შეხვალ და მუშაობა გინდა.
- ხახული — მაშ, გამუშავენ, აბა, პატიოსნად ვინ დაგაყენებს.

მანუჩარ — ახლა, ცალი ხარი შემრჩა, ის თუ არ შევიყვანე კოლექტივში, ისე არ მიმიღებენ, მერე ვილაცასთან შეგაჯიბრებენ. ქეიფში და სიტყვა-პასუხში ტოლს არავის დაუდებ, მარა მუშაობაში შეჯიბრება გაგონილა?

ხახული — ეჰ, ჩემი ქალიშვილი იმდენს მუშაობს, მარა სიბრიყვე; სისულელე... მე ვეუბნები, შვილო, ჩვენთვის ვიმუშაოთ-მეთქი, მარა სარივით რომ დაესო იმ კოლექტივში, ვერ დაეძარი.

მანუჩარ — შენ რას დაგიჯერებს, როცა სულ ჩასჩინებენ... კაცო. მე ვეუბნები, მოხუცს მაინც ნუ მარიგებთ ჭკუაზე. მე ძველად პოლიციის წესებიც კი დამირღვევია-მეთქი... არაო, ახლა კოლექტივში სულ წესიერად იყავიო. გაგიგონია, კაცო, სულ წესიერად იღგე, ეკლესიაა?!

ხახული — რას იზამ!

მანუჩარ — ასეა და ბოლოს მაინც მესამეჯერ ვებეწებოდი, კოლექტივში მიგვიღეთ მამა-შვილი მეთქი.

ხახული — ვის ებეწებოდი?

მანუჩარ — ხარიტონს, ჩვენი ნამოჯამაგირევის შვილს.

ხახული — მერე?

მანუჩარ — ეჰ, კინალამ დამაჩოქა იმ უსინდისომ... მარა ბოლოს, მგონია ჩემმა ჯიბილომ ისეთი საცოლე გაიჩინა, ბედი წალმა მობრუნდეს. ახლა შენთან ამბის გასაგებად მოვედი. (ჭიშკარს მოადგება ირინე).

ირინე — გვირისტინე!

მანუჩარ — შენი მეზობლის ქალი დანიშნა ჩემმა ვაჟმა.

ხახული — ოო, ეს კი გავიგე.

მანუჩარ — თურმე მდიდარი მამა ყავდა. ქვევრები თურმე სპილენძით და ვერცხლით ჰქონდა სავსე.

ირინე — (ჭიშკრიდან) ბიძია ხახულ, გვირისტინე სად არის?

ხახული — ოო, შენა ხარ ირინე? (მანუჩარს) აი, ეს გახლავთ ის ქალიშვილი.

მანუჩარ — რომელი?

ხახული — შენმა ვაჟმა რომ დანიშნა.

მანუჩარ — მაშ მოიყვანე, მარა ვითომ მე არ ვიცი ვინ არის.

ხახული — ერთი აქეთ მოდი. (ირინე ახლოს მოდის).

მანუჩარ — ეს ვინ არის, როგორ შემოფოფინდა.

ირინე — მე აქ ყურეს მეზობელი ვარ.

მანუჩარ — ის კუთხე გაახაროს ღმერთმა, სადაც შენისთანა გვრიტი გამოტეხილა.

ირინე — რას ბრძანებთ, ბატონო, მეტად მაქვთ.

მანუჩარ — რა ოჯახიდან ხარ?

ირინე — მამა ვაჭარი გახლდათ, ძლივს მახსოვს.

მანუჩარ — ჰო, იმას კარგად უვაჭრია ქვეყანაზე და დიდი აღ-
მასიცი დაუტოვებია. მე ფულს და ნივთს პატივს არ ვცემ:
განძი ის არის, საქმები შვილი რომ დაგრჩება.

ხახული — აი, შენი ენა დალოცოს ღმერთმა! კიდეც ის ძველი
სიტყვა-პასუხი შეგრჩენია, ბატონო!

მანუჩარ — გათხოვილი არ იქნები.

ირინე — დანიშნული ვარ.

მანუჩარ — ვინ გკადრა?

ირინე — ბუქუნარიდან გახლავს, ჯიბილო ქვია, მანუჩარის ვაჟი.

მანუჩარ — როგორ, ჩემმა ვაჟმა მომიყვანა ასეთი რძალი?

ირინე — თქვენმა?

მანუჩარ — მანუჩარ მე ვარ.

ხახული — ეს ქალი კი ეკადრება შენს ოჯახს, ბატონო მანუჩარ.

მანუჩარ — ჩემმა ეზომ ახლა უნდა გაიხაროს.

ირინე — მე გზაზე დაგინახეთ, ბატონო, ცხენის მოკაზმულობა
მოგქონდათ. თურმე ვინ ბრძანდებოდით!

მანუჩარ — დიახ, მართალია, გადარეული ცხენი მყავს და უნა-
გირიდან გადმომავდო.

ირინე — რას ბრძანებთ. ასეთი ცხენი რად გინდათ?

მანუჩარ — ცხენი კი არა, რაშია. სარძლოს სანახავად რომ მო-
მეჩქარებოდა, მათრახი შემოვარტყი და იწყინა, გაფრინდა,
მუხლებიდან ნიავევით გამომეცალა და ამოდენა კაცი ბურ-
თივით გადამისროლა მოლზე.

ირინე — ძალიან გადარჩენილხართ, ბატონო.

მანუჩარ — ოო, ახლა ამის შემოსვლა ჩემს ოჯახს როგორ გაახა-
რებს. ღვთის მოცემული ყველაფერი მქონდა, თორემ შენ კი
გახსოვს.

ხახული — ოო, ის ქონება რომ შეგრჩენოდა!

მანუჩარ — არა უშავს-რა. კიდეც იმდენი მაქვს, რომ ამათ ქორ-
წილში ღვინოს ტბად დავაყენებ!

ხახული — მართლაც, კი არ დაამადლი, რომ გქონდეს.

მანუჩარ — ერთი სამასკოკიანი ჭური, ჯიბილო რომ დაიბადა,
მისი ქორწილისათვის ჩავკირე.

ხახული — ოო, ის რომ მართლა შეგენახა...

მანუჩარ — სად წავიდოდა დედამიწიდან?

ხახული — არა, სამასკოკიანი ჭური, მახსოვს, ბოლოს გაფუქდა
და შიგ ღვინოს არ ვაყენებდი.

მანუჩარ — მართალია, მარა მეორე მქონდა.

ხახული — სად?

მანუჩარ — იმაზე მიწა გავასწორე და ახლა საძებარია, მარა, იცოდე, ხახული, თუ ვეძებთ, კი მოინახება.

ხახული — თუ არი, ბარით ძებნას არ დაგამადლი.

მანუჩარ — კაცო, აბა, ტყუილს რომელი ბარით ნახავ!

ხახული — რა ვიცი.

მანუჩარ — ოჰო, ჰო, რა ცხოვრება იქნება! ძველებურ სიმღერა-საც ვიტყვით მე და შენ, ხახულ. სადღეგრძელო და დალოცვა უკეთესი არ გავონილა.

ირინე — ბატონო, მასეთი ქორწილი ახლა ხომ არ იციან!

მანუჩარ — ვიცი, კარგი ქონება გაქვს, ჩემო რძალო, მაგრამ არც ჩვენ ვართ ამოფუტული. ამ რევოლუციამ უთვალავი დაგვაკლო, მარა, თქვენი არ იყოს, ჩვენც გადავმალეთ ცოტ-ცოტა და მაინც დიდძალი შემრჩა.

ირინე — არა, ჩვენ კი არაფერი არ დაგვიმალავს.

მანუჩარ — დამალვა რასაკვირველია, არ უნდა ქვიოდეს, როდესაც კაცი საკუთარს შეინახავს, მარა სიტყვა-პასუხიც დროს ემსახურება.

ირინე — არ ვიცი, ბატონო, შესანახად რა დაგვრჩა.

მანუჩარ — აი, სწორედ ქალი ასეთი უნდა, მოკლე ენა დიდი განძის დარაჯია. ასეთი ნამუსი რომ არ გქონდეს, კი ვერაფერს შეინახავდი. პირველი ქონება ადამიანის ნამუსია.

ირინე — დიახ, იმიტომ დაეუახლოვდით ერთმანეთს მე და ჯიბილო, თორემ გეფიცებით, სულ არ ვიცოდით, თუ რამე შეგრჩათ.

მანუჩარ — შემრჩა, აბა, ლეღვი ხომ არ ვიყავი, ვინმეს ხელის წამოკვრით გავეტყავებინე.

ხახული — მართალია, აქლემი ისე არ დაეცემა, ვირის ოდენი არ ასწიოს, ნათქვამია.

მანუჩარ — აი, შენ აგაშენოს ღმერთმა, ჩვენს ოჯახში გამოზრდილი რომ ხარ, სიტყვა-პასუხზე გეტყობა. (შემოდიან ჯიბილო და ჯატა).

ჯატა — სად შეგვცილდი, მანუჩარ?

ჯიბილო — ირინე, აქ შენ როგორ გაჩნდი?

ირინე — (მორცხვად უკან იხევს) გვირისტინეს მოვაკითხე და მამათქვენს შევხვდი... იმ ქალს ვეძებ, სად მოისპო?

ჯატა — როგორ მყავს მანუჩარის თავი?

მანუჩარ — ერთი სიტყვით, ისეთი მადლიერი ვარ ჩემი ვაჟის, ამისთანა ღირსეული ქალი შიშველიც რომ მოეყვანა...

ი რ ი ნ ე — (მორცხვად კიდევ დაიხვეს) რა გადაეფარა იმ ქალს ამ ეზოში? (მორცხვად ეძებს და მიდის).

ვატა — ამას, ჩემო მანუჩარ, იმიტომ ლაპარაკობ, რომ ეს შენი სარძლო განძის პატრონი გგონია, თორემ...

მანუჩარ — რაო, მაშ ეც შენისთანა ვყოფილვარ!

ჯიბილო — ესეც შენ, ჩემო ვატა!

ვატა — მე რა მენალვლება, ერთმანეთს ცარიელ ჯამზე თქვენ შერჩებით.

მანუჩარ — ცარიელი ჯამი ჯერ მანუჩარს წინ არ დაუდგამს.

ვატა — ხელი კი მაგრად ჩაგივლია.

მანუჩარ — რაზე, ჩემი სარძლო რა ცარიელი ჯამია?

ვატა — ონება არ ჰქონია.

მანუჩარ — ვერ ყოფილხარ შენ კარგი მეძებარი.

ვატა — ეჭ, თუ მწყერი არაა, მეძებარმა რა ააფრინოს.

მანუჩარ — მაშ, შენი სიტყვით, ჩემს სარძლოს სულს იქით არაფერი გააჩნია?

ვატა — ასეა.

ჯიბილო — ფერ-ხორციტ როგორია?

ვატა — მისი წითელი ლოყით ვერ გამაკვირვებ. ჩემს ეზოში ხეზე რაც ვაშლია, სულ წითელლოყიანია.

მანუჩარ — სად არის, ნეტავ? (იხედება და ეძებს) რძალო, ნუ მოგვანატრე შენი პირი! (ირინე გამოჩნდება) ასე გაგონილა? ცოტა მორცხვობა სინაზეა, ზედმეტი მორცხვი კი დამკვნარს ჰგავს.

ვატა — ეჭ, სად შერჩენია მანუჩარს ძველი არშიყის კვესი!

მანუჩარ — ქალიშვილო, აქ ამბობენ, ვითომ ცხონებულ მამაშენს ისე სუფთად დაუტოვებიხარ, ერთი ნალის საღირალიც არაფერი გაგაჩნდეს.

ი რ ი ნ ე — ღიახ.

მანუჩარ — მერე, ეს ხომ ქორია!

ი რ ი ნ ე — არა, ბატონო, სიმართლეა, აკი წელანაც მოგახსენეთ და მეტი რა ვქნა. (უხერხულად უკან დაიხვეს).

მანუჩარ — ამან რა იცის, რა ქვევრები დატოვა მიწაში ცხონებულმა.

ი რ ი ნ ე — აქ კარი გამოუხურავს, ბოსტანში ხომ არაა ის მიწა გასახეთქი. (იმალება).

მანუჩარ — აი, მაგის დედას ეცოდინება.

ვატა — ველაპარაკე.

მანუჩარ — მერე?

ვატა — რაც არ არის, ეშმაკიც ვერ მონახავს.

მანუჩარ — ჯიბილო!

ჯიბილო — იმას თუ არა აქვს ქონება, მამაჩემო, თითონ ხომ
ქონებაა.

მანუჩარ — მაშ შენ, ჩემო ჯიბილო, უთავოდ გაჩენილხარ.

ვატა — აი, მეც ეს ვუთხარი.

მანუჩარ — თფუ, ჩემისთანა მართალ კაცს ასეთი რა გაუჩნდა!

ვატა — მე იმას ვტირი, დღე რომ ტყუილად დავკარგე.

მანუჩარ — შე უგუნურო, მოხუც კაცს რომ გული ამიწანწალე,
ქვევრები აქვს დაქედილიო, ხომ გაშრა პირში ნერწყვი.

ჯიბილო — რა ვიცი, რომ ყოფილიყო, არ დაგიმაღავდი.

მანუჩარ — ქალო, აქეთ მოიწი, როგორ ხოხობივით იქცევი, თავს
რომ ბუჩქებში მალავს და კუდს მელიას უტოვებს. (ირინე გა-
მოჩნდება).

ირინე — არ ვიცი, ბატონო, მასეთ ხოხობს რათ ვგავარ.

მანუჩარ — მაშ ეს მიბრძანე, ქალო: ახლანდელი ახალგაზრდები
შეუღლებას რატომ არ უყურებთ როგორც მუღმივ საქმეს,
რომ არ აკვირდებით, ვისზე თხოვდებით და რის შეძლება
აქვს თქვენს არჩეულ კაცს?

ირინე — რა ვიცი, მე, ჩემი ჭკუა როგორც ქრის, პირველად კაცს
ვუყურებ.

მანუჩარ — კაცის შეხედვა რაა მერე, კაცში რამე უნდა იყოს,
თორემ უღვაში სიმიინდსაც კი აქვს.

ირინე — ეს მართალია, ბატონო, კაცი ჯერ ადამიანი უნდა იყოს.
თქვენ თვითონაც ბრძანეთ, რომ ჩვენ ადამიანს უნდა ვაფა-
სებდეთო.

მანუჩარ — რომ ვთქვი, იმიტომ ვთქვი, რომ ენას თავის წესი
აქვს... მაგრამ ცხოვრებასაც თავისი უნდა.

ხახული — აი, შენ აგაშენა ღმერთმა, რომ პირიდან მარგალიტი
გადმოაქვანქვალე.

მანუჩარ — მე შენთან მაქვს საქმე, ჩემო ჯიბილო. ისეთი ჰაერო-
ვანი და წესიერი ქალის წინაშე რომ ჩემი სიბერე შეარცხვი-
ნე, ასეთი მარგალიტი რომ ხელის გულზე დამიდევინე და მერე
შენი სიგლახით წყალში გადამაგდებინე და ქვეყანაში თავი
მომპერი, რა პასუხს მაძლევ?

ჯიბილო — რად შერცხვი, ქალი დავნიშნე და ჩემს სიტყვას არ
ვუღალატებ.

მანუჩარ — რითი უერთგულებ?

ჯიბილო — რატომ, ვერ ვითხოვ თუ?

მანუჩარ — (ირინეს) თქვენ მოგწონთ ამის პასუხი?

ირინე — დიახ, ბატონო.

მანუჩარ — (ჯიბილოს) ბიჭო. რის იმედით ებმები უღელში?

ჯიბილო — რა ვიცი, სხვა თუ კაცია, მეც წელზე ფეხს დავიდგამ და ერთ ქალს სულ მუშაობით ვარჩენ.

მანუჩარ — შენი ნამუშევარი ვის უნახავს, გუშინ გალიაში შაშვი მოგიკვდა. მე ხომ გითხარი, მაგ საცოდავი გაუშვი, თავის თავს ტყეში შეინახავს, შენ ვერ არჩენ-თქვა, აი, ახლა ამ საცოლენგდაც იმას გეუბნები... (ირინეს) თქვენ გესმით ჩემი ქართული?

ირინე — (აღშფოთებული) ეს ვის ესმის... რა ვიცი, ჯიბილო, ისე როგორ დაეცემი... ოღონც თავი არ შევირცხვინოთ და მეც თოხს ავიღებ.

ჯიბილო — მართალია, ირინე, იცოდნე შენი გულისთვის ყინვაში ოფლს გამოვიდნე და ისე გარჩენ. მართლაც, შაშვი ხომ არა ხარ, რომ დაგივიწყო.

მანუჩარ — მერე, მე რას მიპირებ? ძველი მამა-პაპური რომ გაგიყავი და ამოდენა გულა გაგავსე, ახლა ხელიდან მეცლები? ახლა კიდევ შფოთს მიმატებ? ამას სახე აქვს ანგელოსის, თორემ წიხლი რაშის ექნება.

ირინე — ასე როგორ გეკადრებათ ჩემი გაქაჩება.

ხახული — არა, მეზობელი ხარ და პირდაპირ გეტყვი: მანუჩარის ოჯახი შენ კი არა, შენზე უკეთესს დაიწუნებს.

ირინე — უსამართლოდ ლაპარაკობ, ბიძია ხახული!

ხახული — ეჰ, უყურე გუშინდელ გამოჩიტულს, შენ რა იცი ავი და კარგი ქვეყანაზე.

ვატა — მე მგონია, ერთი სიტყვა მეც უნდა მათქმევინოთ. იმდენი ქალ-ვაჟი ზოგს თვალით არ უნახავს, რამდენიც მე გამირიგებია, მაგრამ აქ არაფერი არ გამოვა. ცარიელი ქვაბიდან, რაც უნდა კოვზი უტრიალო, ფაფას ვერ ამოიღებ. თქვენი საქმეც სულ ცარიელია, მხოლოდ ერთი ორი მისხალი რამეა სალაპარაკო და საქმეს თავი მოვაბათ, ერთი საკითხი მაქვს თქვენთან ქალიშვილო.

ირინე — ბრძანეთ.

ვატა — ამ ვაქს რომ შენთვის საცოდავი დედის ბექედი მოუტია, უკან გამოგვიგზავნი თუ წაგვართმევ?

მანუჩარ — კაცო, მაგ რა საანგარიშოა!

ვატა — მაშ რომელ საბჭოთა კანონშია, დანიშნულმა კონტრიბუცია წაიღოსო.

ირინე — (ტირილით) კარგი, იმას კი დაგიბრუნებთ, ახლავე გამო-
გიგზავნით.

ჯიბილო — ირინე!

ირინე — მშვიდობით გნახეთ. (ტირილით მიდის).

მანუჩარ — აი, რა ტაფაში ჩამაგდევ, შე უნამუსო! კაცს უხეშად
კურდღელი არ გამიტყავებია და ქალი გამალანძღვინე, წავა
და იტყვის, მანუჩარმა გლახა მექათმესავით ქექვა დამიწყო,
რა კვერცხის მდებელი ვარო. ეს არის, ბიჭო, შენი? ეს არის
ვერცხლით და სპილენძით სავსე ქვევრები? თფუ! ცხენი ტყუ-
ილად კი არ მომიკვდა, იგრძნო იმ უბედურმა, რომ ფორ-
ხილი აღარ ღირდა, ოო, რა ქეიფში ვუტარებდნარ ჩემს ბე-
დაურს, რა ჯირითში გაუტანივარ, რა სიმღერით მინანავებია
იმის ზურგზე აღმა-დაღმა ტყე და ველში.

ხახული — მაინც რამდენ ხანს გაუძლია!

მანუჩარ — ცოდვა ჩავიდინე, წიხლები რომ მივაზილე დე ტუ-
რებს დაეუტოვე მინდორში შესაქმელად... თუ იმ ქალმა
დღეს ბეჭდები დაგვიბრუნა, იმით უნდა დავმარხო ჩემი ბე-
დაური...

ვატა — ღვინოც უნდა დავუღიოთ მე და შენ.

მანუჩარ — კი. მთავარი სული იქ ამომძვრა. ჩემი ქელები სი-
ცოცხლეში უნდა ვქამო, თორემ შვილი უპურმარილოდ გა-
დამაგდებს. (შემოდიან ჯამლეთი და გვირისტინე).

გვირ-ნე — მამას სტუმრები მოსვლია. ბიძია მანუჩარ, ძლივს
გიცანით. (აკვირდება) რაღაცა ამბავი გაგიგიათ, რა მოგი-
ვიდათ?

ხახული — ეე, ყველაფერი კი არ უნდა იკითხოს ქალმა.

გვირ-ნე — დღეს, მამა, ჩემი საქმე უცნაურად მოტრიალდა, დე-
ლეგატად მგზავნიან. (შემოდიან შატო და მიტო).

შატო — გვირისტინე, მოსკოვში გაგზავნით სასახელოდ.

მიტო — აბა, შენ იცი, როგორ გვასახელებ.

გვირ-ნე — გავიგე, ტვინი ნუ წაიღეთ!

ხახული — მოსკოვში?

გვირ-ნე — რა ვიცი, ისე უცებ გადაწყვიტეს, თითქო აგერ
მივდიოდე ყურეში.

ხახული — მერე, შენ რომ ბრიყვი იყო, მე პატრონი არ ვარ?!

ჯამლეთი — საქმეა, ხახულ, დიდ საქმეზე ვგზავნით.

გვირ-ნე — ჩემი შრომადღებები იანგარიშეს და სტახანოველების
შეკრებაზე მგზავნიან.

ხახული — ჰოდა, რომ გეუბნებოდი, შე უბედურო, მაგდენ ჩალიჩს თავი დაანებე, ეს ქალის შნო არ არის, დაგლუპავს-მეთქი... ხომ აგიხდა ახლა მამის სიტყვები?

შატო — რას ლაპარაკობ, ბიძია! ქალს სასახელოდ ვგზავნით და შენ ასე უყურებ?

მიტო — მაშ, არ გაუშვებ?!

ხახული — აი, ბატონო, მე თუ ბრმა ვარ, აგერ მანუჩარს კითხეთ.

ჯამლეთი — მანუჩარი ძველი მემამულეა, ჩვენთვის სასიკეთოს არაფერს გააცხადებს.

შატო — ეგ ნიჩაბზეა დასადები.

ვატა — აუ, სად გდებენ, მანუჩარ, განა შენ ახლა ხახულს შვილის გაგზავნას დაუშლი? როგორ გეკადრება!

მანუჩარ — როგორ გეკადრება, მე რომ ქალიშვილი მყავდეს, კი გავატანდი.

ხახული — შენ განა გულით ამბობ?

მანუჩარ — რა გითხრა, აგერ იმოდენა ბურთი ჩამიდეს პირში, ენას ვერ ვაბრუნებ.

ხახული — ეჰ, ისე დავიბენი, არ ვიცი, რა ვთქვა ან რა მოვიმოქმედო...

ჯამლეთი — მაშ, მოვემზადოთ.

შატო — ჩვენ წავიდეთ, საბარგო მანქანა გავახუროთ.

მიტო — ჰო, ჩქარა გამოვაყვანინოთ. (შატო და მიტო გადიან).

ჯამლეთი — ხახულ, შვილს საგზალს არ შეუხვევ?

ხახული — (მანუჩარს) წამოდი, მოწმედ მაინც დაესწარი ჩემს გაქირვებას. (ჯამლეთი, გვირისტინე, ხახული და მანუჩარი მიდიან. რჩებიან ვატა და ჯიბილო).

ჯიბილო — ვატა, სხვის უბედურებაში ხელს რად ურევ?

ვატა — ჩემი საქმე არა მაქვს და სხვისაში თუ არ ჩავერიე, რით გავძლო.

ჯიბილო — მეტი ხელობა ვერ იშოვე? (შემოდის ლომკაცა).

ვატა — ჩემი ხელობა ეს არის: გავიგო ვინ რას აკეთებს, რას ფუჩუნობს. ვინ ვის რა ორმოს უთხრის.

ლომკაცა — ეს ყოფილა კორესპონდენტი.

ჯიბილო — მე მამის ქკუა არ გამომაღგა და არც შენი მინდა, არც ერთს არ დაგიჯერებთ.

ვატა — მაშ, აიწყვიტე, არა?!

ჯიბილო — როგორც გინდათ გამლანძღეთ. მუშაობას მაგრად უნდა მოვკიდო ხელი. (მიდის).

ლომკაცა — (მიუახლოვდება ვატას) ოჰ, ძლივს არ გნახეთ?

ვატა — რა გნებავთ?

ლომკაცა — მოგახსენებთ, მე სიმართლისათვის დაჩაგრული კაცი ვარ.

ვატა — ოო, სიმართლისაგან დამწვარს ცეცხლით დამწვარი სჯობია.

ლომკაცა — მე, ამხანაგო, მენშევიკები რომ გაიქცნენ, მაშინ გავბოლშევიკდი და მას აქეთ უანგაროდ ვიბრძვი... მაგრამ მტრებმა იმდენი მომიხერხეს, რომ ამ სამი წლის წინათ პარტიიდან გამაძევეს, მაგრამ თუ თქვენ ხელს მომცემთ, ჩემს სიმართლეს აღვადგენ და მტრებს გავაშავებ.

ვატა — არა, ძმავო, ჩვენ ერთმანეთს ვერ გამოვადგებით.

ლომკაცა — როგორ არა, თქვენ, როგორც კორესპონდენტს, ისეთ მასალას მოგცემთ...

ვატა — მე რა კორესპონდენტი ვარ!

ლომკაცა — ვიცი, წელან მითხრეს, რომ ჩამობრძანებულხართ, და მართალი ცნობები რომ აკრიფოთ, ამიტომ, თურმე, თქვენს ვინაობას არ აცხადებთ. ნუ გეშინიათ, მე არ გაგამხელთ, ისეთ მასალას მოგართმევთ ჩვენს ჯამლეთზე, რომ იმის მოსასპობად ჯამლეთი მთელ ქონებას დადებს.

ვატა — ოო, მასეთი თუ რამე გაქვს, კორესპონდენტი ვარ.

ლომკაცა — ხალხს ძალით ამუშავენს, მექრთამეა... ამას კი ვერ დაუმტკიცებ, მაგრამ ვიცი..

ვატა — შენ ის თქვი, რასაც დაუმტკიცებ.

ლომკაცა — მე დამაქცია, საკარმიდამო ადგილი ჩამომართვა და კოლმეურნეობას გადასცა.

ვატა — რატომ?

ლომკაცა — როგორც სხვასა აქვს, ისეთი ნორმა გქონდესო. მე ვეუბნები: ძველი ბოლშევიკი ვარ-მეთქი, მით უფრო ჩამოგართმევო. მაშ, ტყუილად მიბრძოლია-მეთქი, და აბა იმაში ქრთამს მოგცემთ?!

ვატა — ოო, ძალიან დაუდულიხარ, კიდეც რა იცი იმ ვერაგზე?

ლომკაცა — აქ ერთი ღატაკი კოლმეურნი იყო—მირიანე და ის ყელამდე გაამდიდრა.

ვატა — რით?

ლომკაცა — ეს იპარავს და ის ხელს უტლის.

ვატა — როგორ იპარავს, მაგაზე მიმაგნებინე.

ლომკაცა — დღეს მირიანესთან ჩხუბი მოუვიდა, ალბათ, ეხლა გასცემს.

ვატა — რაზე წაიკიდნენ?

ლომკაცა — სტახანოველების შეკრებაზე გვირისტინეს აგზავნის და არა მირიანეს.

ვატა — ამაზე წაიკიდნენ? სწორედ გლახა ეშმაკები ყოფილან.

ლომკაცა — მაშ სხვაფერ რითი აიხსნება, აგერ, მირიანე გაცეცხლებული შემხვდა, გვირისტინესთან ხალათი გამომატანა და რაც დამაბარა, იმასაც გაიგონებ. (შემოდინ გვირისტინე, ჯამლეთი, ხახული და მანუჩარი სამგზავრო ჩემოდნებით).

ხახული — მაშ მიყვები შავ წყალს, გვირისტინე, არ იშლი?

ჯამლეთი — რა გეშინია, ჩემო ხახულ, არაფერს გაუქირვებთ.

ხახული — არა, მე ეს მიკვირს, თვითონ რა ქკუით ბედავს.

გვირ-ნე — იქაც მიწაა, მამაჩემო, და ხალხი ცხოვრობს. საიქიოს ხომ არ მივდივარ. იქ, მოსკოვში, იმდენი მიდი-მოდის, მე რა ვარ... როგორც წყალზე ნავის კვალი არ დარჩება, ისე არ დააჩნდება მოსკოვს ჩემი ჩასვლა და წამოსვლა.

ლომკაცა — მე შენთან, გვირისტინე, მირიანემ გამომგზავნა.

გვირ-ნე — სად არის მირიანე? ტყუილად მაინც გამომემშვიდობოს.

ლომკაცა — რად გინდა?

გვირ-ნე — მოკლე გზაზე რომ მივდიოდე, მაინც იმეღია, კაცი რომ ხელს ჩამოგართმევს.

ლომკაცა — სწორედ მირიანემ გამომგზავნა შენთან და ეს შენი ხელით მოქარგული ხალათი გამომატანა. (აწოდებს ხალათს).

გვირ-ნე — რატომ?

ლომკაცა — გულზე გასივებულია.

გვირ-ნე — რა დაემართა?

ლომკაცა — ასე შემოგითვალა: ეს ხალათი იმას მიუტანე, ვისაც ცოლად წაყვეო.

გვირ-ნე — ეს რა ქართულია?

ჯამლეთი — წავიდეთ, მაგის გასაკითხავად ახლა ჩვენ არ გვცალია.

გვირ-ნე — (ათვლიერებს ხალათს) ვაი, ჩენი ცოდვა!

ჯამლეთი — (ლომკაცას) შენც რაღას მოათრევდი ასეთ შარს, აქედან დაიკარგე!

გვირ-ნე — რას ნიშნავს, ჯამლეთ, ეს ამბავი?

ლომკაცა — რა ვიცი, არ უთქვამს კი და, ალბათ, გულში ფიქრობდა, მე თუ მოსკოვში არ მივდივარ, შენ რა წითელი კოჭი ხარო.

ჯამლეთი — რა ვიცი თვითონაც აქ იყო, როცა დელეგატები ავირჩიეთ და არ ეტყობოდა შურთანობა.

გვირ-ნე — არა მე არ მივდივარ... (ჯდება) უკაცრავად, ჯამლეთ-
ცოცხალი არსად მივალ.

ჯამლეთი — რას ლაპარაკობ?

გვირ-ნე — ჯერ მამის საყვედურმა მომსპო, მერე ვილაცხვებინამ. ახლა კიდევე... არა, ჯამლეთ, ასე თქვი, გვირისტინე გზაზე იყო დამდგარი და უცბად მოკვდა თქო.

ჯამლეთი — რა დროს სიკვდილია?!

გვირ-ნე — ჩემს გარდა ქალი იპოვება.

ჯამლეთი — გვირისტინე, თავის მომკვდარუნება უარესია. ერთი-
საშველია ახლა, არ შერცხვე. აი, ასე გვირისტინე, ადექ, მე-
დამიჯერე, ნურც თავს უღალატებ, ნურც საქმეს.

გვირ-ნე — კი ოლონდ, მირიანე ასე რისთვის მოიქცა? ლომკაცა,
რა თქვა?

ლომკაცა — რა ვიცი, მარტო ეს თქვა, ვისაც ცოლად წაყვება,
იმას მიუტანოსო.

გვირ-ნე — მეტი არაფერი?

ლომკაცა — ჰო, კიდე დაუმატა, ისე ვარ გულზე გასივებული,
რომ მოვკვდე, საფლავში არ ჩავეტევიო.

გვირ-ნე — ასე დაუმატა?

ლომკაცა — კი.

გვირ-ნე — (ხვეს ხალათს) ჰოდა ჩემგან გადაეცი, მე ისეთ კაცს არ
წაგყვები, შენი შემობრუნებული ხალათი ჩაიცვას თქვა.

ხახული — რა ქენი, გვირისტინე?

გვირ-ნე — როცა ჯამი გაიბზარება, იმის გატეხა სჯობია. ასეა.

ჯამლეთი — ყოჩაღ, გვირისტინე, ახლა გფერობს ქალობა.

გვირ-ნე — თუ არ შევრცხვი, ხომ კარგი, თუ ჩემმა ნაოფლარმა-
ქალად გამომიყვანა, ყველაფერი თქვით... თუ არა და სიკ-
ვდილს, ამ გზას რომ მოვიღევ, მერეც მოვესწრები.

ჯამლეთი — აი, ჩემო გვირისტინე, ყველაფერში ოქრო ხარ-
(მოისმის მანქანის გუგუნი).

მოქმედება მეორე

ხილობანის კოლმეურნეობის გამგეობის სახლი. ეზოში დეკორაციული მცენარეულობაა. ფასადს, კიბეს, აივანს და სვეტებს შატო და მიტო სადღესასწაულოდ ამწვანებენ. სცენაზე არიან მირიანე და ლომკაცა.

მირიანე — სადა ხარ, ლომკაცა, ამ ბოლოს ვერა გხედავ?

ლომკაცა — მეზობელ თემში ვიყავი.

მირიანე — ამდენი წანწალი, კაცო, არ მოგბეზრდა?!

ლომკაცა — რაზე ვიმუშავო? ჩაის საკრეფად გავედი და ამდენ ნამოღვაწევე კაცს თორმეტი წლის გოგომ მაჯობა. სათობარში აყლაყუდამ უკან მომიგდო.

მირიანე — ალბათ, იმ მოღვაწეობაშიც არ გქონია დიდი ხარისხი, ჩემო ლომკაცა, და იმიტომ გამოგაგდეს მინდორზე კურდღელივით.

ლომკაცა — ეჰ, ხაფანგში გაბმულ მგელს, თურმე მოშთორიკმა დასცინა.

მირიანე — მაშ ხეტიალში რას პოულობ?

ლომკაცა — ამბებს ვიგებ და ვერთობი.

მირიანე — მაგალითად, ამ ბოლოს რა გაიგე?

ლომკაცა — ახლა ახალ ამბად ჩვენ ვართ. ასე ჰგონიათ, სამოთხეა ამ ხილობანში.

მირიანე — შენ კი, ალბათ, ვისაც შეხვდი, ყველაფერი შავად დაუხატე. (აივანზე გამოდის კაკლა. ხანტად შემოაქვს მასალა).

კაკლა — რა ამბავია, რას ტრიალებთ ასე გამწარებულად?

მიტო — მოგვეხმარე, ქალო!

შატო — დროზე მოვასწროთ, უფრო ცოცხლად!

კაკლა — რა მოგივიდათ? გვირისტინე ჩამოდის, სხვა ხომ არა-ვინ!

მიტო — აი, გაზეთები, ნახე რა ამბავია.

კაკლა — რა მოხდა! (გამოართმევს გაზეთებს, კითხულობს).

მირიანე — ბიჭებო, ეს კარგად გაკეთდა, მაგრამ ჭიშკარზე თაღს ისინი ვერაფერს უხერხებენ.

კაკალა — უი! (მირიანესაკენ) შენ აქ ხარ მირიანე? (მიღის მირიანესაკენ).

მირიანე — რა მოგივიდა კაკალა!

კაკალა — აგერ, გაზეთში, ღიღი ამბით წერია გვირისტინეს დაჯილდოება.

მირიანე — კი, იქნება, პირველი ჩაის მკრეფავი აღმოჩნდა მთელ კავშირში.

მიტო — რას ფაქტუნობ, კაკალა, აგერ მეორე გაზეთი — გვირისტინეა დახატული. (გადმოაგდებს აივანზე გაზეთს).

ლომკაცა — გვირისტინე დაუხატავთ?! (აიღებს გაზეთს).

კაკალა — მაჩვენე. (დახედავს) გვირისტინე... გვირისტინე! არა, არ გავს... უნამუსოა სწორედ ამის მხატვარი!

მიტო — რატომ?

კაკალა — გვირისტინე ასეთი ლამაზი როდის იყო!

ლომკაცა — ეგ რაში გენაღვლება?

კაკალა — როგორ არა, ბატონო, თუ გინდა პირველი ჩაის მკრეფავად გამოიყვანონ, მაგრამ სილამაზის დარიგება იქნება?

ლომკაცა — ნუ გეშინია, გაზეთი სახეს არ გამოცვლის.

კაკალა — როგორ არა, გაზეთში რომ ქალი ლამაზად დაიხატება, უკეთეს სახელს რომელი ფერ-უმარხილი მისცემს?

მირიანე — იქ რა ამბავია?

მიტო — ხალხი მოდის დაჯილდოებულთა შესახვედრად.

კაკალა — გააჰირეს საქმე! ერთი ვნახოთ, თუ მართლა იმდენი იკრიბება! (მიღის).

მირიანე — მაშ, ჰიშკარს მიხედეთ.

შატო — ნუ გეშინია, ხალხი უკუყოფდ ალარ არის.

მიტო — კი, წესრიგი იციან.

ლომკაცა — ეს აივანი თქვენ გაამწვანეთ?

შატო — არ მოგწონს?

ლომკაცა — მე მეტისმეტადაც მიმაჩნია, მაგრამ ვაი თუ ჯამლეთს არ მოეწონოს.

მიტო — რატომ?

ლომკაცა — უკეთესად უნდა შემხვედროდითო. ხომ იცი, სხვისი ნახელავის წუნიია.

შატო — შენ მაინც რა გააკეთე, რომ დაგიწუნოს? (შემოდის კაკალა, მივარდება მირიანეს).

კაკალა — უჰ, უჰ! იმდენი ხალხი დაგროვილა, ფეხად არ ეტევა! მანუჩარიც იქ არის თავისი ვაჟით.

მირიანე — კარგი, მაგაზე ნურაფერს გამაგონებ.

ლომკაცა — (კაკალს მიუახლოვდება) იქ რა დაინახე? ან... რას ამბობენ?

კაკალა — ერთმანეთს ეჩემებიან, წინ უნდა დაუდგე და გვირისტინეს სიტყვა მოვისმინო.

მირიანე — მეტიმეტად სწუხხარ, კაკალა.

კაკალა — შენს მაგიერ, თორემ მე მიხარია. ჩემზე ერთგული გვირისტინეს არავინ ჰყავდა.

მირიანე — ჩემსკენ მათარახს ნუ იქნევ, თორემ ბიძაჩემს ვეტყვი, ტუჩი მაგრად აგიკრას.

კაკალა — როგორ?

მირიანე — მაგ შენს თავს კობტად მოუარე.

კაკალა — უი, დაგასხი ლაფი, უსისხლო კაცი ხარ! მე შენთვის დაძმურად გული მეწვის და შენ ტუჩს მიკრავ!

მირიანე — თანაგრძნობა არ მქირდება და გულზედაც შენსავით არ ვსივდები.

კაკალა — არა, განა ის მწყენია, რომ ხალხი ელოდება, თავშიქვა უხლიათ! მე მხოლოდ ის მაწუხებს, გვირისტინე რომ ამდენა ხალხის წინ ხმის ამოღებას ვერ მოახერხებს და მერე საწყალს დასცინებენ, ვინ გააგზავნა ეს გლახის ორიანი მოსკოვშიო. აი, ამაზე მეთუთქება გული, ეს რომ მოხდება, ვიცი, და ჩემი მეგობრის შერცხვენას ვერ ვუყურებ.

შატო — მირიანე, მირიანე, მოდიან, აბა, ჩვენც წავიდეთ ქიშკარზე შესახვედრად.

მირიანე — აქ ხომ ყველაფერს შორჩით?

შატო — კი, კი...

მირიანე — აბა, წამოდიოთ! (გადიან).

კაკალა — ხედავ, მე მისკენა ვარ და ეს კი გულღვარძლს შეძახის.

ლომკაცა — მართლაც კარგად მიაყარე.

კაკალა — აი, გაიგონე, რა თქვა, ტუჩს აგიკრავო.

ლომკაცა — ოჰ, რა ყოფილა, მაშინ კი გვირისტინე მოსკოვში რომ წავიდა, დანას ეხეოდა, რატომ ის აირჩიეს და მე არაო.

კაკალა — არა, მაშინ გვირისტინემ ისეთი საქმე უქნა, ის რომ გავაცხადო, თავი სულ მოეპკრება.

ლომკაცა — მე მითხარი...

კაკალა — ვერა, ვერა, ტუჩს აგიკრავო, ამისთვის დამემუქრა.

ლომკაცა — ეჰ, შენისთანა ქალი, კაკალა, სანთლით საძებარია.

კაკალა — ვისაც თვალი აქვს, ბნელაშიც მნახავს.

ლომკაცა — მიკვირს, ასე რამ დამიყენა თვალი, რომ შენისთანა ვარსკვლავს ვეშორიშორებოდი.

- კაკალა — შენ კი არა, მაგას კარგი ვინმეებიც ნანობენ...
- ლომკაცა — მეც არა მიშავს-რა, კაკალა, მაგრამ... ახლო არ მიცნობ. ეს სულ იმის ბრალია, რომ ჩვენს შუკაში არ დიდხარ... აწი მაინც ვერ გადმოუხვევ?
- კაკალა — აჰ, თქვენს შუკაში ავი ძალებია.
- ლომკაცა — ძალებს ჯაქვით დავაბამ და სალამოს, კარგად რომ დაბინდდება, თვითონ გადმოვაყურებ.
- კაკალა — მერე, რალა ძაღლს უკბენია ჩემთვის და რალა შენ გიჩქმეტია...
- ლომკაცა — არა, მე თითსაც არ გახლებ, მარტო ცხელ ფაფა-სავით სულს შეგიბერავ.
- კაკალა — რა ვიცი, ვნახოთ...
- ლომკაცა — ჩვენ რომ ერთმანეთს ხელი მივცეთ, ჯამლეთის ადგილი მე მერგება და გვირისტინეს მაგიერ შენ იქნები.
- კაკალა — აბა, გლახად არ გამამხილო... გვირისტინე მირიანეს საცოლე იყო და თვალი დაუყენა, ბუქუნარში თხოვდება, მანუჩარის ვაჟს, ჯიბილოს მიჰყვება.
- ლომკაცა — ასეთ მარგალიტს მიმალავდი?
- კაკალა — ახლა ეტყობა, კიდევ უნდა ქალს კუდი მოუქნიოს, მაგრამ ერთხელ თუ პანღური მიართყა, მეორესაც არ დაამადლის.
- ლომკაცა — წავიდეთ, ჩემო კაკალა, და ერთი გულდასმით მომიყვევი ეგ ამბავი (გადიან. შემოდის ხახული).
- მიტო — (სკამს მიართმევს) დაბრძანდი, ბიძია ხახულ! (ხალხი შემოდის. შემოდის თვალგაცეცხული მანუჩარ და ხახულთან დადგება).
- ხალხი — ვაშა გაუმარჯოს გვირისტინეს!
- ხახული — (მღელვარებით ცრემლს იწმენდს. მანუჩარს) რამდენჯერ დამიწყევლია ეს საცოდავი ოგო...
- მანუჩარ — მერე, როდესაც ლოცვად მოუვიდა, მაშინ გეცოდება?
- ჯამლეთი — ამხანაგებო, ჩვენ გავემგზავრეთ სტახანოველების შეკრებაზე, ჩვენი კოლმეურნეობიდან სამი სტახანოველი ჩავედით მოსკოვში. გავაცანიტ მთელ შეკრებას ჩვენი შრომა და ცხოვრება, როგორც არის... იმ შეკრებამ ჩვენი შრომა იცნო და ჩვენი დელეგატების მარჯვენაც კარგად მოიწონა, მარა გვირისტინეს ნაშრომი რომ გაიგეს, ყველანი ძალიან გაკვირდნენ: გვირისტინეს ჩაის კრეფაში, მთელ კავშირში, ტოლი არ აღმოაჩნდა და ამიტომ დაკიდეს გულზე ორდენი. ეს გვირისტინე ჩვენი კოლმეურნეობის პატივი და გამარჯვება

შეიქნა. მარა ერთიც უნდა გვახსოვდეს: ეს ორდენი გვაგა-
ლებს, — უკეთესი ოდები ავიშენოთ, კიდევ უკეთესად ვიმუ-
შაოთ და უფრო საამურად მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება. ახ-
ლა ამხანაგებო, გვირისტიანეს ვთხოვოთ თავის პირით მოგვი-
ყვეს, რაც მან იქ ნახა.

ხალხი — ვაშა, გაუმარჯოს ჩვენს გვირისტიანეს!

გვირ-ნე — რა ვთქვა, თქვენც გაგიმარჯოთ, მეზობლებო, თქვენც
ვაშა, ამხანაგებო.

ჯამლეთი — ერთი სიტყვით, ათ დღეს იყავი მოსკოვში და მოპ-
ყვე, რაც გადაგხდა!

გვირ-ნე — რაც იქ გადამხდა, რა ენა მოგიყვებათ...

ჯამლეთი — აბა დაიწყე, აქედან როგორ წადი.

გვირ-ნე — ცოტა ნაწყენიც ვახლდით... მერე ვაგონის ტრიხინ-
ში ჩამეძინა... რომ გავიღვიძე, გული დამეხურა, მატარებელი
ისეთი წივილით მიდიოდა, ასე მეგონა, ჩემს ბედზე კივოდა —
გვირისტინე ველარ დაბრუნდებაო... მეოთხე დღე და ღამეს
მოსკოვში ჩავაწიეთ. რამდენიც მივიხედ-მოვიხედე, ჩემი თავი
ნაფოტივით დაკარგული მეგონა... მერე ნანატრად მოგვასვენ-
ნეს, მაგრამ ეს ჩვენი ფერმის გამგე ავად გახდა და მე და
ჯამლეთი წავედით შეკრებაზე. იქ იმდენი სტახანოველი მო-
ვიდა, რომ სამ დღეს ვერ დაითვლიდი... მერე შემოვიდნენ
ხელმძღვანელი ამხანაგები. მე ისინი მარტო სურათებში მყავ-
და ნანახი და ახლა სინამდვილეში რომ ვუყურებდი, თვალი
ველარ ძღებოდა. მათ გამოჩენაზე დიდი ტაშის ცემა შეიქნა.
ბოლოს შემოვიდა ამხანაგი სტალინი.

შირიანი — გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგს სტალინს!

ხალხი — ვაშა, გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!

გვირ-ნე — იმის შემოსვლაზე ისეთი ამბავი ატყდა, ისეთი, რომ
მეც ურტყამდი ხელს და ვიძახდი, მაგრამ ვის ესმოდა... მერე
გამოდგნენ სტახანოველები და სიტყვები თქვეს. მე მაკანკა-
ლებდა... ამდენ ხალხში როგორ ბედავენ ლაპარაკს-თქვა.
ამ დროს, ვიღაცა მოვიდა და მითხრა: შენ გვირისტინე ხა-
რო? მე ჯამლეთს ჩავაფრინდი... ჯამლეთი მეუბნება: იცოდე,
ენა არ ჩავივარდეს, არ შეგვარცხენოვო. წამიყვანეს და ამო-
დენა ხალხის წინ დამაყენეს, გავიხედე და იმდენი თვალე-
ბია შემოცეცებული, ასე მეგონა, ზღვა მიყურებს... გავალე
პირი საკივლელად და უცბად დავიძახე, გაუმარჯოს სტახა-
ნოველებს-თქვა... გაუმარჯოსო, მიპასუხეს. შენ რა გაგიკე-
თებიაო, მკითხა ამხანაგმა მოლოტოვმა. მე ჩაის ორი ხელით

ვკრეფ-მეთქი. რამდენს კრეფო მკითხა, მე ვუპასუხე, რაც მეწერა. ვაშაო, მომადახეს, მართლაც ქალი ყოფილხარ და საქმე გცოდნიაო, და შენს გვირისტინეს კოხივით დააყარეს ტაში. მერე გავთამამდი, ენა მომივიდა და ვთქვი: ფუტკარი თითო წვეთ თაფლს აკეთებს, მაგრამ ბევრი რომ არის, ამიტომ მთელ ქვეყანას აძლობს, ასე ჩვენც, სტახანოველებმა, ვეცადოთ ბევრი ჩავაბათ ჩვენს მუშაობაში და მაშინ ქვეყანას გავახარებთ-თქვა. ამ სიტყვებზე კიდეც ტაში დამიკრეს.

ხალხი — ვაშა, ყოჩაღ გვირისტინე, გაუმარჯოს გვირისტინეს!

მანუჩარი — (ადგება) დაჯექ, ხახული, დაილღებოდი.

გვირ-ნე — მერე, ერთმა დიდმა ამხანაგმა, სტალინს უჯდა ერთ მხარეს, მკითხა: მუშაობით ხომ არ ილღებო. მე ვუთხარი: იმას ვნანობ, რომ თავი დავზოგე მეთქი, მაგრამ თურმე, კარგად ვერ ვუპასუხე. იმან გაიცინა და მითხრა: ეს არ შეიძლებაო, თავიც უნდა დაზოგო და ბევრიც გააკეთოვო... ყველამ გაიცინა, მე სიხარულის ცრემლების ყლაპვა დავიწყემერე სტალინმა თავის პირით მკითხა, თუ გყოფნის ნამუშევარიო. მე სიხარულისაგან ისე დავიბენი, ისე დავიბენი, რომ რა ვთქვი, არ მახსოვს, მაგრამ რატომ არ მახსოვს, გეტყვით. ისე კი, ეტყობა, კარგად ვუპასუხე, იმიტომ რომ მთელმა დარბაზმა ტაში მორთო. მერე სტალინმა თვითონ ხელი ჩამომართვა და ამიტომ იყო, რომ სულ დამავიწყდა რაც ვუპასუხე სტალინს... დარბაზში ვაშა მოაყოლეს. მე კი, თითოეფ ისე ვიკბინე, ისე, ვიკბინე, გაჩერებული გული ამიფანცქალდა... მერე მივიხედე და ჯამლეთიც ტაშს მიკრავს... მანამდე, მიწიდან რომ ფულუ თავს ამოყოფს, ისე მიყურებდა, გვირისტინე სისულელეს ლაპარაკობსო, მაგრამ როცა დაინახა, რომ ყველას მოეწონა, მაშინ მაგანაც ტაში დამიკრა.

ხალხი — ვაშა, გაუმარჯოს გვირისტინეს!

ხახული — ეჰ, ისეთი გამოვიდა, ჩემი ნახელავი არც კი გეგონება!

გვირ-ნე — მერე, იმ შეკრებიდან რომ გამოვდიოდით, მე და ჯამლეთი კიბეებზე ორჯერ წავიქეციით, მე ფეხიც ვიტკინე... მაგრამ ყველაფერი რომ გამახსენდა, იქვე მოვრჩი. მეორე დღეს შეკრებაზე გამოაცხადეს, ვინც დაჯილდოებული იყო, და ჩემი სახელი რომ გაურიეს, მე და ჯამლეთმა ყურებს არ დავუჯერეთ. მერე ავტომატობილით წამიყვანეს დიდ სასახლეში, იქ თვითონ ცაკის თავმჯდომარემ ხელი ჩამომართვა და გულზე ორდენი დამაბნია.

ხალხი — ვაშა, გაუმარჯოს ჩვენს გვირისტინეს!

გვირ-ნე — მეორე დღეს დაჯილდოებულებს ისეთი სადილი გაგვიმართეს, თქვენც გისურვებთ, მეზობლებო, ერთხელ მაინც გენახოთ იმისთანა მასპინძლობა. ერთმა პასუხისმგებელმა ამხანაგმა მკითხა: ასე რომ შრომა გყვარებია, რა კაცის შვილი ხარო.

ხახული — შენ კარგი იყავი, შვილო, და მე რომ შენი მამა ვარ, არ გავაცხადებ.

გვირ-ნე — რატომ?

ხახული — აბა, რა მოსახსენებელია იქ ჩემისთანა!..

გვირ-ნე — ის კი არა და, რომ ვუთხარი, მამას ვეხმარები-თქო, გაუხარდათ, და შენი ამბავი რომ მოვუყევი, ისე მოეწონათ, შენი სადღეგრძელოც დალიეს.

ხახული — ხომ დალიეს? აბა, როგორ გგონია... კაცს წვერი გამთეთრებია და ვითომ, რატომ არ უნდა დაელიათ. (ჯდება).

გვირ-ნე — ბოლოს, ჯანლეთნა მითხრა, ერთი ამ მოსკოვში, შენი ორდენის შესაფერი კაბა უნდა გიყიდოვო. მე ვუთხარი: კაბა კი არ იქნება ამ ორდენის შესაფერი, ჩემი მარჯვენა უნდა დარჩეს-მეთქი... ასე, ამხანაგებო, კიდევ ყველაფერი მიწადავთქვა, მაგრამ ნერწყვი გამიშრა ამდენი ლაპარაკით... თქვენც გისურვებთ, მეზობლებო, სულ ყველას ასეთ გამარჯვებას, და რაც მე გადამხდა, ეს ამბავი ყველას თქვენს თავზე გენახოთ, მე კი, სიტყვას გაძღვით, რაც ამდენ ხანს ჩაი მიკრეფია, ამის შემდეგ კიდევ ნაზე მეტი მოგვიკრიფო.

ხალხი — ვაშა, გაუმარჯოს! (ხარიტონი მიართმევს გვირისტინეს ყვავილების თაიგულს).

ჯამლეთი — ამხანაგებო. მე და გვირისტინემ ჯერ ყველაფერი ვერ გავაწუქეთ როგორც საჭიროა, მაგრამ ამ საღამოს გავაკეთებ უფრო ვრცელ მოხსენებას, რომელზედაც დავესწრებიან მეზობელი კოლმეურნეები. ახლა კი სიტყვას ვაძღვე ჩვენს მეზობელ, ბუქუნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ხარიტონს.

ხარიტონი — სახელოვანო მეზობლებო, თქვენ, მართლაც, ორგანიზაციულად დალაგეთ შრომის საქმე კოლმეურნეობაში და ამიტომ მთავრობამ დაგაჯილდოვათ კიდევ. ეს დიდი ჯილდო მართლაც გეკუთვნოდათ, მშრომელი ხალხი ხართ და დაფასებაც არ გაკლიათ. ბუქუნარის კოლმეურნეობის სახელით მოგილოცავთ ბედნიერ დღეს. აწი ჩვენ სწორად

ავილებთ თქვენს მაგალითს და ჩვენი წარმატებით დაგეწევით. ვაშა თქვენ!

შატო — ამხანაგებო, გვირისტინეს სიტყვები იმიტომ მოვისმინეთ ალტაცებით, რომ მისი ამბავი ჩვენი ბედნიერი ცხოვრების ნაწილია.

ხალხი — ვაშა, გაუმარჯოს ჩვენს გვირისტინეს!

(ხალხი გადის, უკან მიყვებიან ჯიბილო, მანუჩარი, გამგობაში შედიან გვირისტინე, მირიანე, ირინე. მათთან ერთად ჯამლეთს ხახულიც მიჰყვება. სვენაზე დგას ხარიტონი. შორი-ახლო უტრიალებს ლომკაცა).

ხარიტონ — (დგას შუა სვენაზე) ო, რა საქმე ჩაიგდო ხელში ჯამლეთმა!.. ორდენოსანს რომ დაინახავს ხალხი, გამოცოცხლდება, აბა, რას იზამს. ბედია ყველაფერი! აი ცხოვრების კამათელი ზოგის ხელში ხვითოა, ჩემს ხელში კი ძალღის ძვალი შეიქნა.

ლომკაცა — (მიუახლოვდება) თქვენ ხომ, ამხანაგო, ბუქუნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხარიტონი ბრძანდებით, ასეა ხომ?

ხარიტონ — დიახ.

ლომკაცა — მე, ამხანაგო ხარიტონ, თქვენი ქება-დიდება თქვენი მეზობელი კოლმეურნეობისაგან ხშირად მსმენია. ერთი იმ ხის ძირას ჩამოვჯდეთ, აქაური მდგომარეობა მინდა გაგაცნო.

ხარიტონ — მართალია, მეჩქარება, მაგრამ ცოტა ხნით შევიცილი. (შემოდის მანუჩარი, შემოსდევს ვატა).

ვატა — თქვენ, ნაბატონარებო, ჩვენთან კაკანებთ და კვერცხს სხვაგანა ღებთ.

მანუჩარ — რაზე ამბობ?

ვატა — იმ დღეს გვირისტინე რძლად დაგინიშნავს, მე კი გაფრენილ მწყერზე დამპატიყთ.

მანუჩარ — ვინ გითხრა?

ვატა — მყავს აქ ოფოფი — კორესპონდენტი ვგონივარ, ჩემს იქით არ გაცხადდება, ნუ გეშინია.

მანუჩარ — როგორ გეკადრება!

ვატა — ვატაიას ატყუებს. ვაი, დედასა, საცხა ქურდს კიბე მოპარესო, ასეა საქმე.

მანუჩარ — კაცო, ჩემი ნამოჯამაგირევის შეილს ოჯახში რომ რძლად არ დაფიჯენდი, ამით მაინც ვერ მიხვდები?

ვატა — ვის აბრმავებ? მერიქიფე ის მაშინ იყო, როცა ღვინო ღელესავით მოგდიოდა, თორემ დღეს ქა ჩაქცეული გაქვს და დასალევი წყალი მეზობლებიდან დაგაქვს.

- მანუჩარ — ეს რა წამოსაკრავია!
- ვატა — აბა, გვირისტინე არ მეკადრებაო, ვის უთხარი? მიკვირს რძლად რომ მოგყვება!
- მანუჩარ — ამას უყურე, შენ ხომ არ გინდა, ერთი ჩახმახზე შევდგე!
- ვატა — სწორედ უარს იტყობდი.
- მანუჩარ — თორემ დიდი ხვითოა!
- ვატა — რატომ არა, ხალხი ხელზე ატარებს.
- მანუჩარ — ხალხს, გვირისტინე კი არა, ხატის ტარებაც მობეზრებია.
- ვატა — ქალს მადანივით ხელიდან ოქრო გამოუდის.
- მანუჩარ — საზარალო კი არ არის, კაცი რომ დაუფიქრდეს.
- ვატა — ისე მელაპარაკები, ვითომ გუშინდელი ვარ.
- მანუჩარ — არა, რომ თქვას კაცმა, მართლაც კარგი საქმეა.
- ვატა — კარგია, მაგრამ უჩემოდ ჩაიშლება.
- მანუჩარ — განზე კი არ დაგტოვებ, მხოლოდ... ხახულის შვილი რძლად როგორ მოვიყვანო?
- ვატა — რას ჩაასვი კბილი ხახულიას!
- მანუჩარ — მერიქიფედ არ მყავდა?
- ვატა — მერე, კაცო, ღვინოს გისხამდა, შხამს ხომ არ გასმევდა.
- მანუჩარ — ხალხი რას იტყვის.
- ვატა — ხალხს კი მართლაც გული დაწყდება: იმ ქალს შენთვის არ გაიმეტებს.
- მანუჩარ — რაო, მე ჩამაჟლიან იმის უღირსად?
- ვატა — აბა, როგორ გგონია, ახლა მაგის დაქცეული კარი რძალმა ააყენოსო. ხომ იცი, ხალხი რა ხარბია, შეჩვეულს არ აკლდებო.
- მანუჩარ — ოო, აბა, ერთი იმ ხალხის ჯინზე მაინც დამიტრიალდი, ვატა, შენებურად ჩამიქციე ეგ საქმე.
- ვატა — მერე?
- მანუჩარ — მერე იცოდე, ჩემი ნიგვზის ძირში საკუთარ ქურს ჩაგიდებ. ხომ იცი, იქ როგორ გრილად ინახება ღვინო, პირს ვერ მოწყვეტ ზაფხულში. ოღონც კარგად დამიტრიალდი.
- ვატა — განა ჯერ არ მოგიტავებიათ საქმე?
- მანუჩარ — არც მიფიქრია.
- ვატა — აბა, ჯიბილომ უშენოდ წამოიწყო.
- მანუჩარ — ჯიბილო კიდევ ირინეზე ფიქრობს. ასე ჰგონია, ხელი რომ გაუშვას, წყვარამში ჩავარდება. სულ ზარალი გამო-

მადგა და ასე ვარ, რაღა დაგიმალო, ბელურას ფინჩხას შევ-
ნატრი.

ვატა — ეჰ, თუ ახლა იწყებთ, რა ვიცი, ის ქალი წამოგყვებათ...

მანუჩარ — ეგ რა საექვოა!

ვატა — ხახულიც აგერ მოდის.

მანუჩარ — ეს საქმე ჩემზე იყოს, შენ მხოლოდ ჯიბილოსთან და-
მეხმარე, ამოულე თავიდან ის ოფოფი.

ვატა — კაცო, ჯიბილოს ისეთ ღღეს დაეყენებ, მუქით ჩაეუღებ
თავში ქკუას. (შემოდის ხახული).

ხახული — აქ ხარ, მანუჩარ ჩემო?

მანუჩარ — კაცო, ეს რა ქალიშვილის ღირსი გამხდარხარ!

ხახული — ვითომ, მანუჩარ, მართალია?

მანუჩარ — სწორედ სადედოფლოა.

ხახული — ჰოდა, სინდისს გეფიცები, მანუჩარ ბატონო. მაგ რომ
დაიბადა, მინდოდა შენ რომ მოგენათლა, მარა ვერ შეგკადრე,
გოგოა და რა ღირსია-თქვა.

მანუჩარ — დიდი ანდამატიანია.

ხახული — კი, იღბლიან პერანგში დაიბადა.

მანუჩარ — ეტყობა ქვეიანიც არის.

ხახული — მთლად საკუთარი ქკუა აქვს. ჩემი არ ესმის, გამხტ-
ქა გულზე... მაგრამ, ბოლოს მისმა აჯობა.

მანუჩარ — ახლა, ერთ რამეს გეტყვი, ჩემო...

ხახული — (აწყვეტილებს) ბრძანება არ დაივიწყო და იმდენი ხალხი
რომ აქებდა, მე მაინც შენსკენ მქონდა თვალი, აბა, მანუჩარ
რას ფიქრობს-თქვა.

მანუჩარ — მოგახსენებ, რასაც ვფიქრობ... შენ ჩემი ავ-კარგი
კარგად იცი.

ხახული — რასაკვირველია.

მანუჩარ — ჩვენს შორის შუაკაცი მეტია. მე ერთი საქმე გა-
დავწყვიტე.

ხახული — დიახ, ბატონო.

მანუჩარ — გვირისტინე რძლად უნდა წავყვანო.

ხახული — რა ბრძანე მანუჩარ?

მანუჩარ — ჩემ ჯიბილოს უნდა შევერთო,

ხახული — როგორ?

მანუჩარ — ცოლად.

ხახული — ვინ, ჩემი შვილი გინდა შენს ვაჟს შერთო ცოლად?!

მანუჩარ — ჰო.

ხახული — მე კინალამ ასე გავიგე, რომ ჩემი ქალიშვილი გინდა
შენს ვაჟს შერთო ცოლად.

მანუჩარ — დიახ.

ხახული — ჰმ!..

მანუჩარ — ასეა...

ხახული — ჰმ, მანუჩარ ბატონო!

მანუჩარ — კი, რას იტყვი?

ხახული — მანუჩარ ბატონო!

მანუჩარ — ჰო.

ხახული — საწყალი დედამისი, გუქია, თქვენი ნამოსამსახურებელი,
რომ გარდამეცვალა, ეს გოგო ერთი ციდა დარჩა... სულ
ტიროდა ის ცხონებული, შვილი უპატრონოდ მრჩებაო.

მანუჩარ — კი, ასე იყო.

ხახული — ახლა იმის ძვლებმა ეს რომ გაიგოს...

მანუჩარ — ეჰ, ახლა, ჩემო ხახულ, ისეთი აშბებია, იმის ძვლებს
კი არა, ფეხზე დავდივართ, მაგრამ ზოგი რამე ჩვენს ძვლებ-
საც ვერ გაუგია.

ხახული — ესეც მართალია.

მანუჩარ — აწი, საქმეს შევედგეთ.

ხახული — როგორ?

მანუჩარ — ქორწილი დავნიშნოთ.

ხახული — მერე?

მანუჩარ — ჩემი სიტყვა — რაც არის, კი არ გადაუხვევ.

ხახული — მერე?

მანუჩარ — დროზე უნდა გაკეთდეს.

ხახული — მერე? გვირისტინე ჯიბილოს უნდა გაყვეს?

მანუჩარ — რასაკვირველია.

ხახული — ჯიბილო რას აკეთებს?

მანუჩარ — არაფერს, უსაქმოდ დატანტალებს, მაგრამ მაგის-
თანა ცოლი კი გაუძღვება.

ხახული — ვითომ ეს საქმე მოხერხდება?

მანუჩარ — რატომ არა?

ხახული — გვირისტინე ცოლად გაყვება?

მანუჩარ — მაშ, არ გაყვება? სულელი ხომ არ არის!

ხახული — სულელს მეც ვეძახდი, მაგრამ ხომ დაინახე.

მანუჩარ — მერე, შენ ხომ მამა ხარ? მე ჩემს ვაჟს ბზრიალასა-
ვით ვატრიალებ.

ხახული — არა, ჩემი ქალიშვილი მძიმე გადასაბრუნებელია.

მანუჩარ — ეს რას ლაპარაკობს! შენ ხომ გულით გწადია?

ხახული — მე?

მანუჩარ — დიახ, შენ.

ხახული — რა ექნა, გაყევილს გატეხილი სჯობსო...

მანუჩარ — ჰოდა, გატეხილად მითხარი.

ხახული — მიზეზია.

მანუჩარ — რა მიზეზია?

ხახული — ეს გვირისტინეა, ის კი ჯიბილოა.

მანუჩარ — ეს ასეა, აბა, ორივე გვირისტინე ხომ არ იქნება.

ხახული — მერე, რა მოხდა, ხომ უყურე.

მანუჩარ — ჰო, რა მოხდა?

ხახული — ქალმა ცას ხელი გაუწოდა.

მანუჩარ — მაშ, შენი დასაწუნებელი ვყოფილვართ?

ხახული — როგორ გეკადრება, მანუჩარ ბატონო, მე ეს არც და-
მესიზმრებოდა... მაგრამ, როდესაც ქვეყანა გადაბრუნდა,
ჩვენც უკულმა ვდგებით.

მანუჩარ — ეს რა მკადრა ამ უსინდისომ!

ხახული — კი... მერგება შენგან ეს სიტყვა... მე თვითონ გული
ისე მეწვის... აი, ჩემს წინ ღლეს კუბოში რომ იწვე, ასე არ
დავიდულრებოდი, მაგრამ...

მანუჩარ — ცოცხლად არ დამშარხა ამ საძაგელმა.

ხახული — ეს მათრახიც მეკუთვნის. სხვებს ვუძრახავდი ცოლდით
გაუტიფრებას, მაგრამ საქმემ როცა მოიტანა, ეხედავ, მე
მთლად წაწყმენდილი ვყოფილვარ.

მანუჩარ — კიდევ კარგია, თუ გრძნობ.

ხახული — ისე მწყინს, მირჩვენია საკუთარ ხორცზე—ვიკბინო.

მანუჩარ — შენ პირდაპირ დამცინი.

ხახული — როგორ გეკადრება.

მანუჩარ — თავიდანაც თეთრ კბილს მიჩვენებდი, მაგრამ ახლა
გამოჩნდა შავი გული.

ხახული — მე ვარ ასეთი?

მანუჩარ — ფლიდი ხარ, ენა გალიქნული.

ხახული — რამდენი წელი გავატარე შენსას, მანუჩარ?

მანუჩარ — მამაჩემი ხომ დამარხე, მერე კიდევ ხუთ წელიწადს
მატყუებდი.

ხახული — ასე უნდა დამიკარგო ამაგი?

მანუჩარ — ორგულის ამაგი ვის უნახავს!

ხახული — კი მლანძღავ, მაგრამ, გეფიცები, ღლესაც შენი ერთ-
გული ვარ.

მანუჩარ — ნამდვილად ამბობ?

ხახული — მე ტყუილი არ ვიცი.

მანუჩარ — აბა, წადი ახლა და უსიტყვოდ მომგვარე შენი ქალი-
შვილი.

ხახული — არ მოხერხდება.

მანუჩარ — რატომ?

ხახული — ცხოვრებასაც თავისი ანგარიში აქვს, ფერი თვითონ
ფერს ეძებს. ჩემი ქალი ორდენოსანია, შენი კი სტახანოვე-
ლიც არ არის.

მანუჩარ — აი, შენ ყოველთვის ასე მიხვევდი თვალს.

ხახული — შენთვის თავი არ დამიდგია?

მანუჩარ — ვის აბრმავებ, შენ თუ ჩემთვის თავს დებდი, მე ხომ
ახლაც მე ვარ.

ხახული — მართალი ხარ, რომ ვაკვირდები, თურმე მანუჩარს კი
არა, დროს ვემსახურებოდი.

მანუჩარ — აი, ხომ გატყდი?!

ხახული — შენც მედროვე ხარ.

მანუჩარ — უყურე, მეც მსერის. მე კანს არ გამოვიცვლი გვე-
ლივით.

ხახული — აბა, ესეც ვიკითხოთ, მანუჩარ: მე რომ გემსახურებო-
დი, მაშინ იფიქრებდი, რომ ჩემი გოგო რძლად გეთხოვა?

მანუჩარ — მერე?

ხახული — დღეს რომ გვირისტინემ ქნა, წინათ რომ გოგო ხალ-
ხში ასე გამოსულიყო, ჩვენ ხომ კეტს დავარტყამდით... მაგ-
რამ ახლა რძლად მთხოვე. ეგება კი არ მოგეწონა, მაგრამ
ვითომ დროს ემსახურები... მე კი ნამდვილად ამ დროს ვემ-
სახურები, როცა უარს გეუბნები.

მანუჩარ — ხედავ, საიდან შემომიარა! ეჰ, გეყოფა, ხახულ ჩემო,
რაც იმდენ წელიწადს მბატონავ.

ხახული — როგორ, პატიოსნად და ერთგულად არ გემსახურე?
შენ, რომ დაივიწყო, იმას ღმერთი არ დამიკარგავს.

მანუჩარ — კი გეუბნებოდნენ მეზობლები, მამა-პაპის ნაოფლარს
ხახული გაგინიაგებსო, მაგრამ, როცა კაცს თავში არ გაქვს,
ყურში შესულსაც ვერ გაიგებ.

ხახული — ვაი, დედას! თურმე ვის შევალეე ჯანი, მადლობა მა-
ინც შემრჩენოდა.

მანუჩარ — თორემ ცოტა ისარგებლე.

ხახული — თქვენი ოჯახიდან ოცდახუთი წლის ნამსახური რომ
დავბრუნდი სახლში, დახეული წულა მომყვა.

მანუჩარ — სანამ არ გამატყავე არ მომშორდი და მერე მამის ძვლებს ხომ ვერ გაგატანდი.

ხახული — შენ ქეიფებს დააბრალებ, თორემ ჩემი შრომა რას დაგაკლებდა.

მანუჩარ — რას მიკეთებდი მამის სიკვდილის შემდეგ?

ხახული — მაშ, ვის კისერზე გადადიოდა იმდენი სტუმრიანობა, ღვინის გადასხმა, სავსე ყანწების დარიგება სუფრაზე, მწვადების გაწესება, შემწვარი ხოხბების გამოტანა... შენ ქეიფის მეტი რა გეკითხებოდა, მე კი დღე და ღამე ჯარასავით ვბრუნავდი.

მანუჩარ — სულ შენი ხელით დააქციე ჩემი ოჯახი!

ხახული — როგორ?

მანუჩარ — რაც ჩემს ზერებში იწურებოდა, სულ შენი ხელით იქცეოდა ყანწებში... ზოგი შამფურზე წამოაგე, რამდენსაც ხელს ანძრევდი, იმდენს მანადგურებდი. ეგ მარჯვენა ჩემი ცოდვით უნდა დაიწვას, ჯოჯოხეთში გაქრება.

ხახული — ჰე, ამ ხელებს შენი და შენი სტუმრების სასიამოს მეტი არაფერი უკეთებია, ჩემს სადღეგრძელოს კი სუფრის ბოლოს მოიგონებდით.

მანუჩარ — მაგის ღირსიც არ იყავი.

ხახული — აი, მართლაც მჩაგრავდით.

მანუჩარ — არ გეცვა, არ გეხურა?

ხახული — კი, გამონაცვალს გადმომიგდებდი და...

მანუჩარ — აიღებდი ახალ ატლასის ახალღოსს, აგერ სახელო გაგქელიაო და მხრებზე დაიჭიმავედი.

ხახული — ერთხელ იყო ეგ საქმე და ჩემი სიბრიყვით თვითონ მალაპარაკებდი ყველასთან.

მანუჩარ — მე განგებ ვხუჭავდი თვალს, თორემ კარგად ვხედავდი, რაც იყავი.

ხახული — აი, წაწყდები მაგის თქმისათვის.

მანუჩარ — ეს მეკუთვნის შენგან, როცა ბოლოს ბედაურიც გაჩუქე და ჩემს ნათესაებში კამერგერივით გატარებდი.

ხახული — ქონება რომ გაგითავდა, ბოლოს მოყვრებში დაიწყე წანწალი, ჭიშკარს რომ მივეუახლოვებოდით, მე მაშინ შევჯღღებოდი ცხენზე, ვითომ ცხენით ვახლავარ ჩემს ბატონს-თქვა, თორემ ძლივს დაბაჯბაჯობდა... ბოლოს, ქეიფის დროს, სიკოტრით გამწარებულს ჩხუბი დაგჩემდა, თვითონ კარგი ცხენით გაქუსლავდი, მე კი შენი საზუზღავეი მხედლებოდა...

ახლაც მაჩნია თავზე შენი ნასიკეთარი. გაუტანელი იყავი თავიდანვე, თუ სიმართლე გინდა.

მანუჩარ — ამდენი სიმყრალე თუ გულში გქონდა, როგორღა მიცინოდი.

ხახული — მთელი სიცოცხლე შემოგავლე და ბოლოს ამაგში ცარიელი მადლობა მაინც დამრჩეს-თქვა, ამისათვის ვითმენდი.

მანუჩარ — მე უნდა ვთქვა მადლობა, კაცმა მახრასავით ძირი გამომითხარე?

ხახული — მე გამოგიტხარე ძირი? ვაი დედას! აი, თურმე მართალს ამბობს ჩვენი მთავრობა შენისთანებზე, მუქთახორები არიან, სისხლის მწოველი წურბელებიო, და კიდევ რაღაცეებს... მთელი ის სიტყვები კაკალ-კაკალ უნდა მოგკრიფო და დავიმახსოვრო.

მანუჩარ — ჩემს გინებას კი გასწავლიან, სუფრაზე ჩემსავით არ აგამღერებენ.

ხახული — რატომ, რაც მე დღევანდელმა დღემ გამახარა, ამდენს შენთან მთელ ჩემს სიცოცხლეში ვერ ვნახავდი!

მანუჩარ — ოცდახუთ წელიწადს იჯექი ჩემს სუფრაზე და მე კი ერთხელ გესტუმრე აქეთ და პურ-მარილის მაგიერ ლანძღვას მიმართავ. თფუ შენს კაცობას! (წასვლას აპირებს).

ხახული — მე ხომ მთელი სიცოცხლე გემსახურე, ახლა კიდევ შეჩვეულ ეზოს მოაკითხე—ძველი ვირი გაიცვითაო, იფიქრე, და ახლა გვირისტინესთვის გინდოდა ნალი დაგერტყა და გექენებია, მარა ძალიან უკაცრავად, შეგნებული შევიქენით, შეგნებული!

მანუჩარ — ვის უნდა შენი გვირისტინე, რა მანუჩარის საქმეა გლახის და ქურდის შვილი?!

ხახული — ქურდიო?!

მანუჩარ — კი, ქვეყანა მეუბნებოდა, შენი ცოლის ნამზითი ნივთები ხახულიამ მოიპარაო და ხელს გაფარებდი.

ხახული — შენ არ გაყიდე ჩუმიად, მოყვრებს არ უცხადებდი? თფუუ, მართლა, შენს კაცობას! (წასვლას აპირებს. მოუბრუნდება).

მანუჩარ — ოქროებს გაყლაპებდი, როცა მქონდა, ოქროებს, ასე დამიმსახურე—თფუ შენს კაცობას!

ხახული — რაო, გზაში ყაჩაღები დაგვესხა, შე უნამუსო, და თუ-თხმეტი ოქრო გადამაყლაპიე, მას აქეთ კუჭი არ მივარგა, იმას მამადლი?

მანუჩარ — თავიდან გაუტანელი იყავი.

- ხახული — კი მეკუთვნის, სულ რომ ამ მთავრობის გინებაში იყავი და არ გაცხადებდი.
- მანუჩარ — უყურე ლომის პირში არ მაგდებს ეს უნამუსო, თფუ შენს კაცობას! (ორივე წასვლას აპირებს).
- მანუჩარ — (გაბრუნდება) ვაი, რომ ღროზე ვერ გაგიცანი, შე ჩემო ამომგდებო!
- ხახული — (მიბრუნდება) ნაობახში ხარ ჩასაგდები, ნაობახში! (ხახული და მანუჩარ სხვადასხვა მხარეს გადიან. შემოდის ჯიბილო და ირინე).
- ირინე — დღეს თვალი სულ შენსკენ მქონდა მოქცეული, ჯიბილო მეგონა კარგ ამბავს მომიტანდი. მე მოვახერხე კოლექტივში დატრიალება, შენ კი...
- ჯიბილო — მე სულ დავდივარ-დავდივარ... ხან მთას აფყვები, ხან წყალს დავყვები. ბოლოს ჯავრმა შენთან მომიყვანა, შენ კი მთლად უსულგულოდ მხედები.
- ირინე — ასე რატომ იცი, ჯიბილო, როდესაც ცხოვრებაზე რამეს გკითხავ, მაშინვე იბერები.
- ჯიბილო — თანაგრძნობა მინდოდა, მეტი არაფერი.
- ირინე — მარტო ერთმანეთის ქებით და ფიცით სასაცილოდან-ვერ ამოვალთ.
- ჯიბილო — მითხარ, ვინ დაგცინის და იმას კეტს მოვლებ.
- ირინე — რას მეუბნები, ჯიბილო, ჭირს ასე ვებრძოლოთ? მე ქალი ვარ და ჯარასავით ვტრიალებ, შენ კი კეტით აპირებ ფონზე გასვლას!
- ჯიბილო — მართალია, უხეირო ვარ, მაგრამ აწი ჩემი უბედურების გზას მარტო გავუღდები.
- ირინე — არა, თუ სხვა გზა არა გაქვს, მე ჭირში კი არ მიგატოვებ... არც საყვედურს გეტყვი. შენი გამწარება კი არ მინდოდა, ჯიბილო.
- ჯიბილო — არა, სანამ ასე ვარ, არ შემოგხედავ, შენს ცოდვას არ დავიღებ.
- ირინე — რა ვიცი, შენი გულისთვის ხელის გულზე ცეცხლს დავინთებო.
- ჯიბილო — ისიც ხომ გითხარი, რომ არაფერი არ მიშველის. მუშაობის მეტი.
- ირინე — მერე, რა გიშლის, იმუშავე.
- ჯიბილო — რა არ გიშლის, კოლექტივში თავი ვერ შევრგე.
- ირინე — რა გელობება?
- ჯიბილო — ხარიტონი არ მიშვებს.
- ირინე — რატომ, ის კეთილ კაცსა გავს.

ჯიბილო — დღესაც შესაქმელად გადმოიხედა და ჩამილაპარაკა, აქ, ხილობანში, ორდენოსანი გაიჩინეს, ბუქუნარში კი შენის-თანები მყავსო. ამ ზეიმს რომ უყურებს, გულზე სკდება, ხარბია.

ირინე — რა ვიცი, ყველაზე ძვირფასი თაიგული გვირისტინეს იმან მიაჩნდა.

ჯიბილო — არა, თავის გამოჩენა კი უყვარს.

ირინე — მაშ, ერთი საქმე რომ ვქნა, გვირისტინე რომ დაეი-ხმარო?

ჯიბილო — როგორ?

ირინე — ხარიტონისთვის ვათხოვინებ მიგილოს კოლექტივში.

ჯიბილო — არა, ხალხის ყბაში ჩავეარდები.

ირინე — მე სულ არ გამოვჩნდები.

ჯიბილო — როდის ეტყვი?

ირინე — ახლავე, სანამ ზეიმი, თორემ მერე გვირისტინეს თხოვ-ნამ ეგებ ვერც გასჭრას. აბა, შენ აქ დამიცადე, მე ახლავე მოვალ.

ჯიბილო — უარესად რომ დამამციროს?

ირინე — ხარიტონიც ავერ მოდის, მე გამგეობაში წავეალ. შენ აქ მომიცადე.

ჯიბილო — (მარტო) ძველებისაგან გამიგონია, როდესაც კაცს ცხოვრებისაგან გული დაეწევა, მალამოსავით სატრფოს უნდა მიმართოსო. მაგრამ ეს თურმე ბებიას ზღაპარია. ახლა-ვხედავ, კაცმა თავის თვალის ჩინს მაშინ უნდა მიაკიკიოს, როდესაც გული მთელი აქვს და ზედ ვარდი კოხტად უბნე-ვია... ახლანდელი შეყვარებული მალამოს მხოლოდ უტკივარ გულზე ადებს, ასე ყოფილა და მეც ჩემს სატრფოს არ მივე-კარები, სანამ ამ გაჭირვებიდან არ ამოვალ. (შემოდინ ხარიტონი და ლომკაცა. ჯიბილო აივანზე ადის).

ლომკაცა — ასეა, ამ ჩვენს კოლმეურნეობაში ბევრი რამ არის გამოსასწორებელი, რომ ხილობანს არ ჩამორჩეს.

ხარიტონ — ეჰ, ძვირფასო ამხანაგო, მე ბუქუნარში რამდენი საქმე გავაკეთე, ვინ მოთვლის, მაგრამ მოვიდა რევიზია და ათასნაირად გაქექა, მადლობის მაგიერ საყვედური მომარ-ტყეს უკანასკნელი გაფრთხილებით. ნეტავი, კარგი მაინც დაე-ფასებიათ... კაცო, ასე ჩამიწერეს: გამგეობის სახლი დაუ-ხურავია და ეზოში კი ფარშავანგები ყავსო. შენობას, ვთქვათ, ნაკლი აქვს, მაგრამ ფარშავანგი ხომ კარგია. იმას ცუდ სა-ხურავთან რათ აკავშირებ? იმათ კი გადაეურჩი, მაგრამ კიდევ

მოდის მეორე კომისია. სანამ მოაღწევდეს, მოვემზადები და ჩემს ნამუშევარს ერთს ასად მოვაჩვენებ, მაგრამ რად გინდა რა, აქეთ გადმოიხედავენ და იტყვიან... (შეაჩნევს აივანზე მდგომ ჯიბილოს). ამას აქ რა უნდა? ა, კაცო, ა, ესა და მამა მისი, მანუჩარ, ორჯერ მივიღე კოლექტივში და ორჯერვე გავ-რიცხე.

ლომკაცა — რატომ, შე კაცო, რას ერჩოდის?

ხარიტონ — რატომ და ყანაში თოხის ტარზე ჩამოჯდებოდნენ და ცაში ყვავებს ითვლიდნენ. თქვე გასაწყვეტებო, იქ არ მოწასვენეთ და ახლა. აქ გამომდიეთ? (ხარიტონი აივანზე ავარდებო. მანუჩარი გამოვა ჯიბილოს დასაძახებლად, მაგრამ ხარიტონის შემოტევით დაშინებული უკან გაბრუნდება).

ჯიბილო — მე რას მერჩი, მამის ცოდვას რად მახვევ? (ამ დროს გვირისტინე ზელს დაუქნევს ჯიბილოს გამგეობაში შესაყვანად. ჯიბილო გაკვირებული ხარიტონს) შევიღე?

ხარიტონ — ოჰ, შენ გეძახის, შედი! (ჯიბილო მიდის).

ხარიტონ — (განაგრძობს) აბა, ასეთების ხელში რა გამახარებს? ჯამლეთს რა უჭირს, შრომისმოყვარე ხალხი ჰყავს... როგორც თავმჯდომარეს რამდენი რა გაუკეთებია, მაგრამ... ჰო, იმას ვამბობდი, გადმოიხედავენ აქეთ და იტყვიან, ხილობანში ორდენოსანი ჰყავთ, შენ კი სტახანოველებიც ვერ გაგიზრდიაო... და ამით ლაფს დაგასხამენ თავზე.

ლომკაცა — არა, მაგით ვინ დაგჩაგრავს, გვირისტინე ხომ შენს კოლმეურნეობაში იქნება.

ხარიტონ — როგორ?

ლომკაცა — ბუქუნარში რომ თხოვდება, არ იცი?

ხარიტონ — რას ლაპარაკობ!

ლომკაცა — მანუჩარის ვაჟს მიყვება, ჯიბილოს.

ხარიტონ — ეჰ, არ მჯერა, მაგრამ, მართალი რომ იყოს, მინდა.

ლომკაცა — ეს საქმე გადაწყვეტილია.

ხარიტონ — ვითომ, მართალია, ეს, დავიჯერო?

ლომკაცა — ნაჯახით გადამსხიპე თავი, თუ ტყუილია.

ხარიტონ — კაცო, ორდენოსანი ჯიბილოს მიყვება?

ლომკაცა — რატომ, ორდენი ხომ შეყვარებულებს არ აშორებს.

ხარიტონ — გვირისტინემ, კაცო, ჩემს კოლმეურნეობაში ტყუილად რომ გააფრიალოს კაბა, მტრების თვალის მოსათხარად მეთი რა მინდა.

ლომკაცა — თუ ეს საქმე არ გამართლდეს, ტყავი გამაძვრე კურდღელივით. ჩემი ხელიც ურევია ცოტათი ამ საქმეში.

ხ ა რ ი ტ ო ნ — ე გ რ ო მ მ ა რ თ ლ ა ც გ ა კ ე თ ლ ე ს, პ ა ტ ი ე ს ც ე მ ა მ ე რ ც მ კ ი თ ხ ე, ი ც ლ დ ე, თ ე ხ ზ ე დ ა გ ა ყ ე ნ ე ბ, ა რ ა, კ ა ც ო, ე გ რ ა მ ი თ ხ ა რ ი! ო ჰ, თ უ ე ს გ ა მ ა რ თ ლ დ ა, რ ა ც გ ი ნ დ ა მ თ ხ ო ვ ე, ძ მ ა ო.
ლ ო მ კ ა ც ა — რ ა კ ი ა გ რ ე ა ს ა ქ მ ე, ხ ე ლ ის შ ე წ ყ ო ბ ა ჩ ე მ ზ ე ი ყ ო ს.
(შ ე მ ო ლ ის მ ა ნ უ ჩ ა რ).

ხ ა რ ი ტ ო ნ — ო ჰ, ს ა ლ ა მ ი ჩ ე მ ს მ ა ნ უ ჩ ა რ ს.

მ ა ნ უ ჩ ა რ — უ კ ა ც რ ა ვ ა დ, ხ ა რ ი ტ ო ნ, ნ უ გ ა მ ი ჯ ა ვ რ დ ე ბ ი, ა ქ ს ა დ ლ ა ც, ჩ ე მ ი შ ვ ი ლ ი ი ყ ო... (ა პ ი რ ე ბ ს წ ა ს ე ლ ა ს).

ხ ა რ ი ტ ო ნ — მ ო მ ი თ მ ი ნ ე, ძ ვ ი რ თ ა ს ო მ ა ნ უ ჩ ა რ, რ ა ს ა წ ყ ე ნ ა დ დ ა გ ი რ ჩ ა ჩ ე მ ი ნ ა ხ ვ ა.

მ ა ნ უ ჩ ა რ — რ ა ვ ი ც ი, კ ე თ ი ლ ი ს ა ლ ა მ ი შ ე ნ გ ა ნ ა რ მ ჩ ე ვ ე ი ა.

ხ ა რ ი ტ ო ნ — რ ო გ ო რ გ ე კ ა დ რ ე ბ ა, მ ე ზ ო ბ ლ ო ბ ა შ ი. ე რ თ მ ა ნ ე თ ის ა გ ა ნ, ხ ა ნ მ ყ ე ა ხ ე ხ ი ლ ს ი ა ბ ლ ე ბ ს კ ა ც ი დ ა ხ ა ნ მ წ ი თ ე ს.

მ ა ნ უ ჩ ა რ — მ ე კ ი მ ო მ კ ვ ე თ ა კ ბ ი ლ ი შ ე ნ გ ა ნ მ ხ ო ლ ო დ მ კ ე ა ხ ე-მ კ ე ა ხ ე ს მ ი ლ ე ბ ა მ.

ხ ა რ ი ტ ო ნ — ო, ი მ ი ტ ო მ მ ი მ ა ლ ა ვ დ ი შ ე ნ ს ო ჯ ა ხ უ რ ა მ ბ ე ბ ს?

მ ა ნ უ ჩ ა რ — რ ა დ ა გ ი მ ა ლ ე?

ხ ა რ ი ტ ო ნ — კ ა ც ო ხ ო მ ი ც ი, მ ე ვ ი ნ ა ვ ა რ, შ ე ნ რ ო მ ა რ მ ი თ ხ რ ა, ჩ ი ტ ი მ ე ტ ყ ე ის.

მ ა ნ უ ჩ ა რ — რ ა ზ ე მ ე უ ბ ნ ე ბ ი?

ხ ა რ ი ტ ო ნ — რ ძ ა ლ ი მ ო გ ყ ა ვ ს, მ ა რ თ ა ლ ი ა? (ა მ დ რ ო ს ა ი ლ ა ნ ე ვ ა მ ო რ ნ დ ე ბ ი ა ნ ჯ ო ბ ი ლ ო, ი რ ი ნ ე დ ა გ ვ ი რ ის ტ ი ნ ე. ხ ა რ ი ტ ო ნ ი ჯ ო ბ ი ლ ო ს დ ა ნ ა ხ ვ ა ზ ე მ ის კ ე ნ გ ა ე კ ა ნ ე ბ ა).

ხ ა რ ი ტ ო ნ — ო ჰ, ა მ ხ ა ნ ა გ ო ჯ ო ბ ი ლ ო, მ ო ბ რ ძ ა ნ დ ი, ე რ თ ი ს ა ქ მ ე მ ა ქ ე ს შ ე ნ თ ა ნ.

ჯ ო ბ ი ლ ო — (თ ა ვ ის თ ე ის) ტ კ ბ ი ლ ა დ შ ე მ ხ ე დ ა.

ხ ა რ ი ტ ო ნ — რ ო გ ო რ მ ო გ ე წ ო ნ ა დ ლ ე ვ ა ნ დ ე ლ ი შ ე ხ ე კ რ ა?

ჯ ო ბ ი ლ ო — (დ ა ბ ნ ე უ ლ ი) გ მ ა დ ლ ო ბ თ, ა რ ვ ი ც ი...

ხ ა რ ი ტ ო ნ — ხ ო მ გ ა ხ ა რ ე ბ უ ლ ი ხ ა რ?

ჯ ო ბ ი ლ ო — ე ჰ, მ ე რ ა გ ა მ ა ხ ა რ ე ბ ს.

ხ ა რ ი ტ ო ნ — რ ა ტ ო მ, ბ ი ჯ ო?

ჯ ო ბ ი ლ ო — კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ბ ა შ ი ა რ მ ა ქ ა კ ა ნ ე ბ დ ა!

ხ ა რ ი ტ ო ნ — ა რ ა ფ ე რ ი ა, ჩ ე ნ ის ე ვ შ ე ვ რ ი გ დ ე ბ ი თ... მ ა რ თ ლ ა, ჯ ო ბ ი ლ ო, ც ო ლ ის შ ე რ თ ე ა ს ა პ ი რ ე ბ?

ჯ ო ბ ი ლ ო — ა ჰ... ა რ ა... ვ ი ნ გ ი თ ხ რ ა?

ხ ა რ ი ტ ო ნ — მ ი თ ხ ა რ ი ვ ა ე კ ა ც უ რ ა დ.

ჯ ო ბ ი ლ ო — მ ა შ, გ ე ტ ყ ე ვ ი: ა ს ე ა რ ის. მ ხ ო ლ ო დ პ ი რ ო ბ ა მ ი ე ვ ე ც ი, ს ა ნ ა მ ს ტ ა ხ ა ნ ო ვ ე ლ ი ა რ გ ა ვ ხ დ ე ბ ი, მ ის ს ა ხ ე ლ ს ვ ე რ ვ ა ხ ს ე ნ ე ბ.

ხ ა რ ი ტ ო ნ — მ ე კ ი ჩ ა მ ი ჩ უ რ ჩ უ ლ ე ბ.

ჯ ო ბ ი ლ ო — ა ჰ, ა რ ა, ა რ ა...

ხ ა რ ი ტ ო ნ — მ ა შ, მ ე გ ე ტ ყ ე ვ ი, ვ ი ნ ც ა რ ის.

ჯიბილო — ვერა, ვერც მოიფიქრებ და რომ მითხრა, ხელები ჩამომივარდება.

ხარიტონ — რატომ, ბიჭო?

ჯიბილო — ასე დაუთქვი.

ირინე — (აივანზე გვირისტინეს) ჩემო გვირისტინე, ხარიტონი ისე ტკბილად ელაპარაკება ჯიბილოს, ეტყობა კარგ ხასიათზეა. სწორედ ახლა აჯობებს, რომ თხოვო. მიდი, მიდი შენ შე-
მოგველე, აქ დაგიცლი. (ხელს კრავს გვირისტინეს) მიდი მიდი...

გვირ-ნე — ამხანაგო ხარიტონ!

ხარიტონ — გვირისტინე, არ ვიცი, როგორ გამოვთქვა შენი ქება.

გვირ-ნე — არა, ზედმეტი ქებით ქებაც და საქებარიც ერთად დაილევა, დანა-ქვასალესივით. ერთი საქმე მაქვს, ხარიტონ, სათხოვარი.

ხარიტონ — მიბრძანე, ჩემო გვირისტინე!

გვირ-ნე — რომ შემპირდი, უფრო დამიბორკე ენა.

ხარიტონ — თქვი, თქვი, ნუ გერიდება.

გვირ-ნე — ჯიბილოსთვის მინდა შეგეხვეწო... გთხოვ, ვითომ ჩემს ბედს გაბარებდე.

ხარიტონ — ოოო!

გვირ-ნე — თურმე, ეს ბიჭი, ეკლად გესობა თვალში.

ხარიტონ — ვინ თქვა?

გვირ-ნე — აბა, აღადგინე კოლექტივში.

ხარიტონ — სულში ჩავიძვრენ, იქ კი არა!

გვირ-ნე — მღრე, თუ უნარს გამოიჩენს და სტახანოველი გახდება, შენთვისაც ხომ სჯობია.

ხარიტონ — სწორედ, როგორც იტყვიან, შავი ღედალივით გამაკეთებს.

გვირ-ნე — ორივე ხელით იმუშავენს, არ იზარმაცებს.

ხარიტონ — განა გიჟია იზარმაცოს, როდესაც ცოლად უსაყვარ-
ლესი ვინმე მოჰყავს.

გვირ-ნე — მაგასაც მიხვდი?

ხარიტონ — ყველაფერი მესმის, ძვირფასო გვირისტინე. გეფიც-
ვები, ვისაც მოიყვანს, იმას ჩვენ ფიანდაზად დავეგებით.

გვირ-ნე — მაშ მეტი, ჯიბილო, რალა გვინდა?

ჯიბილო — გმადლობ, გვირისტინე. შენთან თავს არ შევირცხ-
ვენ, თუ კაცად გაჩენილვარ.

ხარიტონ — ახლავე ჩემი მანქანით წავიყვან ჯიბილოს... (ეძახის)
შენ, ჰეი, არ გესმის, მანქანა გამოაგდე, მანქანა. (გვირისტინე
მიდის). აბა, ამხანაგო ჯიბილო, მანქანაში ჩავსხდეთ!

ჯიბილო — არა მიშავს რა, მე ფეხით წამოვალ.

ხარიტონ — არა, კაცო, ფეხით როგორ გაკადრებ. (მიდის).

მოქმედება მისამხმ

პირველი ხურათი

ბუქუნარის კოლმეურნეობის სანერგე. დეკორატიული მუერნეობის ყვავილების სათბური. სცენაზე მუშაობს სამი კოლმეურნე.

- 1-ლი კოლმეურნე — ძალიან დატაცურდა ამ ბოლოს ჩვენი თავმჯდომარე.
- მე-2 კოლმეურნე — ხილობანის დაწინაურებამ დააფეთა. (წემოდის ხარიტონი).
- ხარიტონ — აბა, ბიჭებო, დღეს მეზობელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გვესტუმრება და თქვენ იცით, თვალში ნაცარი მიაყარეთ. (აკვირდება) აქ რას აკეთებთ?
- 1-ლი კოლმეურნე — არაფერია, აგერ მანენ ბალახი შერჩენილიყო და...
- მე-2 კოლმეურნე — არა, მარტო ერთ ადგილას იყო.
- ხარიტონ — ოო, დროზე ამოგიღიათ, აი, ასე, ბიჭებო, მე ორი თვალი მაქვს და იქნება რამე გამომეპაროს, თქვენ კი ცალცალი რომ დაგეთსოთ, ასე თვალი მაინც შეგრჩებათ.
- 1-ლი კოლმეურნე — საქმე ახლა უკეთესადაა, შენ ნუ გეშინია.
- ხარიტონ — ო, ამ ბოლოს ხომ ხედავთ, ჩემი ხელმძღვანელობით როგორ აღორძინდა ეს კოლმეურნეობა.
- 1-ლი კოლმეურნე — მალე იქნება მოსავალი.
- ხარიტონ — სხვები სად არიან?
- მე-2 კოლმეურნე — ჯიბილოსთან მუშაობენ სათბურში.
- ხარიტონ — ყველას აქ მოუყარეთ თავი. არა, დაიცა, მე თვითონ დავუძახებ. (იხედება სათბურში) აქ ქალებს რა უნდათ? მუშაობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს თუ არშიყობაში? (გამოდის ორი ქალი).
- 1-ლი ქალი — საქმე ცუდად არის, ამბიანაგო ხარიტონ.
- ხარიტონ — რას ამბობ ქალო?
- 1-ლი ქალი — სასუქი შემოგვაკლდა და ვცდებით.
- ხარიტონ — მაშ, საქმე კი არ არის ცუდად, სასუქი გაკლიათ.
- 1-ლი ქალი — დიახ, ასეა.
- ხარიტონ — ჰოდა, ასე თქვი, თორემ სტახანოველი ქალი რომ ამბობ, საქმე ცუდად არისო, ეს ჩემს დამუშავებას ნიშნავს, და

სიტყვას ხანჯახან დააკვირდი.

1-ლი ქალი — არა, ნე არ მინდა გავცდე, ამაზე ვლაპარაკობ.

ხარიტონ — ნაგაში მართალი ბათმანი ხარ, შოფერი აგერ ბენ-ზინს იღებს და ახლავე წაეა სასუქის გადმოსაზიდავად.

1-ლი ქალი — ძალიან კარგი.

ხარიტონ — ახლა ხომ კმაყოფილი ხარ. არაფერი გეწყინოს, გოგო.

1-ლი ქალი — როგორ გეკადრებათ. (ქალები მიდიან. შემოდინ ბრიგადირები).

ხარიტონ — აქეთ მოდით, ბრიგადირებო, თქვენთან სალაპარაკო მაქვს. ჩამოჯექით ასე, გარშემო. როგორ მოგეწონათ გუშინ ნამუშევრის შეჯამება?

1-ლი კოლმეურნი — არა უშავს-რა, საქმეს თუ ასე გავუძლებით, მომდღურავიც არაინ გვეყოლება.

ხარიტონ — ჰოდა, მართალი იყო ჩვენი რაიონის გაზეთი გუშინ, დიდი ასოებით რომ წერდა: ბუქუნარში სტახანოვური მუშაობა გაიშალაო. ხომ ყველამ წაიკითხეთ?

1-ლი კოლმეურნი — კი, როგორ არა.

ხარიტონ — იმასაც ნახავდით, თქვენ რომ ჩახატული ხართ. მე კი დამიკარგეს სურათი, მაგრამ არა უშავს-რა... იმოდენა საყვედური ავიტანე და ამას ვერ გავუძლებ?

მე-2 კოლმეურნი — არა უშავს-რა, ხარიტონ, საზაგიეროდ იმ საყვედურმა შენც გამოგაფხიზლა და ჩვენც მოგვიხდა.

ხარიტონ — ახლა რისთვის დაგიბარგეთ, არ მკითხავთ?

მე-4 კოლმეურნი — ჰო, მართლა, გვითხარი.

ხარიტონ — სიხარულისაგან გაფრინდებით, ისეთ რამეს გაიგებთ, მხოლოდ ჯერ არსად გაანხილოთ.

ყველანი — ჰო, კარგი, კარგი.

ხარიტონ — ჩემი ხელმძღვანელობით და უნარით ისე წავიყვანე საქმე, რომ ხვალიდან ჩვენს კოლმეურნეობას შეემატება ერთი მთელ კავშირში სახელგანთქმული, ორდენოსანი სტახანოველი.

1-ლი კოლმეურნი — ჰო, რა ზორბა საქმეა!

მე-3 კოლმეურნი — როგორ მოახერხე ხარიტონ?

ხარიტონ — სულმა არ წაგძლიოთ და ნაადრევად არსად წამოგცდეთ.

კოლმეურნი — არა, არა...

ხარიტონ — ხილობანში რომ... (მიმოიხედავს) რომელი ხართ სულ-მოკლე, წინდაწინ გააცხადეთ.

კოლმეურნი — არა, რამ შეგაშინა, კაცო?

ხ ა რ ი ტ ო ნ — ხიღობანში რომ ორდენოსანი გვირისტინეა, ის ჩვენს კოლმეურნეობაში თხოვდება. ხვალ ქორწილია დანიშნული. ეს-ეს არის საიდუმლოდ მაცნობეს.

1-ლი კოლმეურნე — ჰე, შენ გენაცვალე, ხარიტონ. კკუა კი არა, მაგ თავში რალაცა მანქანა გაქვს.

მე-2 კოლმეურნე — ნეტავ, ვის მიყვება?

კოლმეურნენი — ჰო, მართლა, აქ ვისზე თხოვდება?

ხ ა რ ი ტ ო ნ — არ გეწყინოთ და ჯერ რაც იცით, მაგას დააპირეთ კბილი. დანარჩენს ხვალ გაგიმხვლთ. მხოლოდ რას იტყვიოთ, ხომ ლამაზი საქმეა, ა, ორდენოსანი ჩვენს კოლმეურნეობას ნათელივით არ დაადგება თავზე!

1-ლი კოლმეურნე — უკეთესი ამბავი არ ითქმება.

კოლმეურნენი — დიდი სასიხარულოა.

მე-2 კოლმეურნე — ასეა, რაკი ერთხელ დაიძრა ჩენი საქმე — სულ წინ-წინ წავა.

ხ ა რ ი ტ ო ნ — რა ამბავში იყო ჯამლეით! სადაც არ უნდა შემხვედროდა, ყოჩივით ჩამივლიდა, მაგრამ დღეს რქა მოეტეხე.

მე-4 კოლმეურნე — ასეა, წალმა მობრუნდება ჩენი ჩარხი.

ხ ა რ ი ტ ო ნ — ახლა გეყოფათ რაც გაიგეთ, წადით და იმუშავეთ. (ყველანი მიდიან. შემოდის ლომკაცა).

ხ ა რ ი ტ ო ნ — ოო, ჩემო ლომკაცა, აბა, ხვალ ქორწილია, არა? რა კარგი მახარობელი ხარ.

ლომკაცა — მახარობელიც მე ვარ და ამ საქმის გამჩარხველიც, პატივისცემისაც არ მომაკლებ.

ხ ა რ ი ტ ო ნ — კი, ჩემო ლომკაცა, აქ კარი ღიათა გაქვს, ჩამოდი, ჩრდილი იჩრდილე, ხილი იხილე, უბატონოდ ხმას არავინ არ გაგცემს.

ლომკაცა — აქ ამას წინადაც გამოვიარე და ერთი რამე ჩამივარდა გულში... თუ შეიძლება...

ხ ა რ ი ტ ო ნ — მიბრძანე, გენაცვალე.

ლომკაცა — ერთი უცხო ჯიშის, კრელი ხბო გყოლია.

ხ ა რ ი ტ ო ნ — მერე? *

ლომკაცა — ისე მომეწონა, უნდა მაჩუქო.

ხ ა რ ი ტ ო ნ — რაო, გაჩუქოო?

ლომკაცა — შემწირე.

ხ ა რ ი ტ ო ნ — შეგწიროო, ხატი ხომ არა ხარ!

ლომკაცა — აბა, უარს მეტყვი?

ხ ა რ ი ტ ო ნ — რას ლაპარაკობ, იმის გაჩენა რომ მიამა, ისე ჩემი

დაბადება არ გამხარებია. გეფიცები, შვილივით მიყვარს...
 ლომკაცა — ოო, ახლა ყბასაც მიქცევ, არა?
 ხარიტონ — არა, ძმაო, მეორეჯერ მაგისთანას ნურც შენ მიხუმრებ.
 ლომკაცა — მაშ, ნიშადური ამომისვი, არა? მე ბავშვების გახარე-
 ბა მინდოდა, თორემ არც დაგელრიჯებოდი.
 ხარიტონ — ბავშვების გასახარებლად ხბო რად გინდა, ვილაცას
 დაამარცხებს... აგერ, ყვაილები წაილე.
 ლომკაცა — არა გმადლობთ, მაგრამ მე სინდისიერი კაცი ვარ
 და ქრთამს არ ვიღებ. (მიდის).
 ხარიტონ — (მიაძახებს) დაიცა, კაცო! (თავისთვის) ცოტა თავი თუ
 არ მოვუქონე, გამწირავს. (მიდის. შემოდის ჯიბილო და კოლმეურ-
 ნები. მეორე მხრიდან შემოდის შატო).
 შატო — გამარჯობათ, მუშაობა გაგიჩალებიათ, ბიჭებო, შარშან,
 მგონია, ასე არ იყავით.
 1-ლი კოლმეურნი — მას აქეთ ყური გამოვიქექეთ.
 ჯიბილო — შენ რა მოიტანე იმ მანქანით ხილობანიდან?
 შატო — სულ სანაყოფო ნერგებია, ხელს გიწყობთ, თუ მოიხმართ.
 მე-2 კოლმეურნი — ჰო, შემოსავლიანი რამე გვინდა, თორემ
 თვალის სამოთხე არ გვაკლია.
 შატო — ხარიტონს სად ვნახავ?
 ჯიბილო — ის ამის იქით არსად წავა.
 შატო — მაშ, მე ჯამლეთს გადავძახებ. ისე კარგი ჩანს თქვენი
 კოლმეურნეობა, მართლაც, რომ თვალის სამოთხეა. (მიდის.
 შემოდის ხარიტონი).
 ხარიტონ — აბა, დამკვრელებო, მეზობლები გვესტუმრენ, კარ-
 გად დატრიალდით.
 ჯიბილო — დღეს ჩემმა ბრიგადამ ათი კვალი უნდა გაიტანოს.
 ხარიტონ — ჯიბილო, ჯერ ეს სათბური მოაწესრიგეთ, ჯამლეთს
 კოხტად ვაჩვენოთ.
 ჯიბილო — კარგი, მხოლოდ... ჯობდა, რომ არ გავმცდარიყავი.
 (შემორბის შესაქონლს).
 მესაქონლე — ხარიტონ სად არის? ხარიტონ, სალორეში ჰკირი
 გაჩნდა, გაიგეთ?
 ხარიტონ — რაო, რა თქვი?
 მესაქონლე — (შეშინებული) რა ვქნა... ჩემი ბრალი არ არის...
 ხარიტონ — ნუ ფლიქვინებ, დამშვიდებით მოყვები!
 მესაქონლე — დღეს წყალი რომ შევიტანე სალორეში, ორი დე-
 . და ღორი აპლაკულიყო და კენესოდა, ფეხი ვკარი, მაგრამ

აღარ დაიძრნენ. სწორედ ქირის ნიშნებია.

ხარიტონ — ჰო, მაშ ქირის ნიშნები ყოფილა და არა ქირი. ჰმ, კაცს რომ იღბალი არ ექნება, ეს არის. ქირი მინდა ახლა მე?!

მესაქონლე — ღორებს რა ვუყოთ, ამხანაგო ხარიტონ!

ხარიტონ — გაფრინდი ამ წუთში, მეზობელი კოლმეურნეობიდან მოიყვანე ერთი კარგი ზოოვეტტექნიკოსი.

მესაქონლე — ჩვენი აფთიაქი დღეს რომ დაკეტილია, წამალი სად ვიშოვო?

ხარიტონ — ეს არ ვიცი მე, სადაც გინდა იქ იშოვე, მე რომ შემომჩერებიხარ, უბეში კი არა მაქვს წამალი, ჩაირბინე ქვე-და სოფლებში, აფთიაქის მეტი რა არის.

მესაქონლე — ახლავე მოგკურცხლავ. (აპირებს წასვლას).

ხარიტონ — მოდი აქ, მასე დაგლეჯილი არ წახვიდე, ჩაიცვი, არ მომპრა თავი უცხო ხალხში.

ჯიბილო — მაშ, აქეთ, ბიჭებო, გეყოფათ ლაპარაკი (ჯიბილო და კოლმეურნეები მიდიან. შემოდის ჯამლეთი).

ხარიტონ — (ჯამლეთის გასაგონად გასძახის სცენის იქით) ყრილობას მდივანმა მილოცვის დეპეშა გაუგზავნოს, აცნობოს რა მიღწევები გვაქვს ჩვენს კოლმეურნეობაში. (მიუბრუნდება და ესაღმება ჯამლეთს) ოჰ, გამადლობთ, რომ გვინახულეთ, ჯამლეთ. შენისთანა კაცი ბევრ რამეს გვიჩვენებს.

ჯამლეთი — ზოგსაც თქვენგან ვისწავლით.

ხარიტონ — ოო, მაგ მხრივ გულნაკლულს არ გაგიშვებ. ამ სათბურში ისეთი მცენარეები მაქვს, თვალს გაგიშტერებს.

ჯამლეთი — (ათვალღიერებს) ახალი ნამყენები ბლომად გქონიათ. (შემოდის ჯიბილო).

ხარიტონ — გაიცანი, ეს ყმაწვილი ჩვენი პირველი ბრიგადის ხელმძღვანელია. დღეში ორი ათას ძირს ამყნის თავის ხელით. (ჯიბილო ხელს ართმევს. მიჰყავთ სათბურისკენ).

ჯიბილო — მობრძანდით, ამხანაგო ჯამლეთ! (შემოდინ მანუჩარ და ვატა).

ხარიტონ — შემობრძანდით, დავათვალღიეროთ. (ხარიტონ და ჯამლეთი შედიან სათბურში, ჯიბილოც აპირებს შესვლას).

მანუჩარ — ჯიბილო!

ჯიბილო — მეჩქარება, მამა, რისთვის მოსულხარ?

მანუჩარ — აი, ამ კაცს კითხე, გინახავს, ვატა, ასეთი ღვინო კოოპერატივში?

ვატა — ოო, მართლაც ზიარებასავითაა, ამომავალ სულს ჩაგიბრუნებს.

ჯიბილო — ამას წინათ რომ ვიყიდე, ძლიერ აქებდი, ახლა აღარ მოგწონს?

მანუჩარ — თუ ვაქებდი, ტკბილადაც გავათავე.

ჯიბილო — იმდენი ღვინო?

მანუჩარ — რა იყო, მთელ თვეს გამოვიზოგე.

ჯიბილო — ორასი ლიტრი ღვინო?

მანუჩარ — ლიტრობით კი არა, ახლა წვეთ-წვეთობით დამითვალე. ჩვენებურად ერთი საპალნე იყო.

ჯიბილო — მერე, მთელი საპალნე შესვი?

მანუჩარ — კაცო, შენ აქეთ-იქით დანაწარდობ, მე კი სახლში სტუმრებმა დამიმარტოხელეს და სირცხვილ-ნამუსით ვიწვები.

ჯიბილო — არა, მამა, ახლა მე იქ წამოსასვლელად არ მცალია.

მანუჩარ — ჰმ, გესმის, ვატა?

ვატა — ჰო, ვითომ ჩემი წამოსვლა რად გინდა, ნაღდ ფულს მოგცემ და იყიდეო, ხომ მიხვდი?

ჯიბილო — კი მაგრამ, სადა მაქვს ფული?

მანუჩარ — აკი იმდენ შრომადღეს მოუყარე თავიო?!

ჯიბილო — თუ რამე მერგება ოდა შესაკეთებელია, პაპაჩემს აქეთ რაც არ დალბა, რა გამოცვალე?

მანუჩარ — ეჭე...

ჯიბილო — ტყუილია თუ?

მანუჩარ — შენ თუ ეს გაპატივე, მერე სახლიდანაც გამაგდებ.
(სათბურიდან გამოდიან ჯამლეთი და ხარიტონ).

ხარიტონ — როგორ მოგეწონა, ჯამლეთ, ჩვენი ნაშრომი?

ჯამლეთი — აბა, რა ვთქვა... ნაშრომი არის, მხოლოდ, რაღაცა გამოფენასავითაა და...

ხარიტონ — როგორ?

ჯამლეთი — როგორ და... ყოველ ქოთანში სხვადასხვა რამე დაგირგავთ. ორ-სამ კულტურას აუხვალ, აქ კი ათასი რამეა და ყველას ცალ-ცალკე უნდა მოვლა. ეს კი, მგონი, საზარალოა.

მანუჩარ — ჯიბილო რა ჭკუაზე ხარ, ბიჭო?

ვატა — (ჯიბილოს) კაცო, ამ პატარა საქმეზე მამას გულს ნუ გაუტეხ.

ჯიბილო — დამეხსენი, ხომ ხედავ, არ მცალია.

ხარიტონ — ესენი რისთვის შემოგიჩნდნენ, ჯიბილო?

ჯიბილო — კოოპერატივში ღვინო მოვიდაო...

ხარიტონ — ღვინო?

ჯიბილო — რა ვიცი მოვიდაო და...

ხ ა რ ი ტ ო ნ — შენ სწრაფად დეკორაციული ხეები უნდა მოამზადო, ამათ მოტანილ ნერგებზე გადასაცვლელო.

ჯ ი ბ ი ლ ო — კარგი. (ჯიბილი წასვლას აპირებს).

მ ა ნ უ ჩ ა რ — ასეა, ბიჭო, საქმე?

ჯ ი ბ ი ლ ო — ახლა არ მცალია, ხომ ხედავ, დაეალება მომცეს.

მ ა ნ უ ჩ ა რ — მამის ვალი კატას შეაქამე?

ჯ ი ბ ი ლ ო — აბა, ბატონო, რასაც ვმოულობ სულ მუცელში ჩაიდგი. არც სახლი მინდა და არც ოჯახზე ვფიქრობ... ოღონდ, არ ვიცი ახლა, ვის დავემორჩილო... (ხარითონს) გამიშვი კოოპერატივში, მამა დაეაშოშმინო.

ხ ა რ ი ტ ო ნ — მერე აქ მანქანას ვაცდევინო?

ჯ ი ბ ი ლ ო — არა, ბრიგადირები უჩემოდაც მოაგვარებენ საქმეს.

ხ ა რ ი ტ ო ნ — შაგის მადას ჩვენ ახლა ვერ ავეყვებით.

ჯ ი ბ ი ლ ო — ასეა, ხომ გესმის, მამაჩემო! (მიდის).

მ ა ნ უ ჩ ა რ — კაცო, აქ ჩემს ვაჟს ამას ასწავლი, ხე გაახარე და მამა გაახმეო?

ხ ა რ ი ტ ო ნ — რაზე ატყდი ახლა, მანუჩარ?

მ ა ნ უ ჩ ა რ — ვატა, ხმა ამოიღე, კაცო, მარტო საინის გამშრალე-ბაში უნდა გამოზდგე ეჭვარით?

ვ ა ტ ა — მე რა ვთქვა, რა, კოოპერატივში ღვინო მოვიდა, დაგიძახე და არაფერი გამოდის, მშიერი ვრჩები.

ხ ა რ ი ტ ო ნ — არა, მანუჩარ, მუდამ ვერ გაპატივებთ.

მ ა ნ უ ჩ ა რ — რა დამიშავებია, გკითხავ, ნუ გამიჯავრდები.

ხ ა რ ი ტ ო ნ — არაფერს აკეთებ, სულ ქეიფი გახსოვს, ხელს გვიშლი და ამიტომ სოფლიდან გაგაძევენ.

მ ა ნ უ ჩ ა რ — რატომ, რისთვის?

ხ ა რ ი ტ ო ნ — სტახანოველ შეილს ღუპავ, ხომ გაიგონე, რა გითხრა, ოჯახი არ მინდა შენს ხელშიო. შენი მიზეზით ცოლს ვერ მოიყვანს.

მ ა ნ უ ჩ ა რ — ეჭვ, მაშ გვირისტინეს გულისთვის მაგდებთ? აი, სად ყოფილა ჩემი უბედურება!

ჯ ა მ ლ ე თ ი — სტახანოველს თუ ღუპავ, მაგაზე კი გული აეწვება.

მ ა ნ უ ჩ ა რ — შენ ვინც გყავს, იმას მოუარე.

ჯ ა მ ლ ე თ ი — როგორ?

მ ქ ა ნ უ ჩ ა რ — გვირისტინე ნუ გამოობის იქიდან ჩემი ოჯახის დასაქცევად.

ხ ა რ ი ტ ო ნ — გაჩუმდი, მანუჩარ, ლაპარაკის საგანი გამოვცვალოთ.

ჯამლეთი — გვირისტინეს აქ რა უნდა?

ხარიტონ — ასეთი ხუმრობა იცის ამ შეჩვენებულმა. დატკბი, ჩემო მანუჩარ, წადი და საღმე გული გადააყოლე, იმღერე შენებურად.

მანუჩარ — მე ხმას პურ-მარილი მაძლევდა, თორემ, პატეფონი კი არა ვარ, გულზე ნემსის დარკობით ავკიკინდე.

ხარიტონ — ხო, კაცო, ცამდე მართალი ხარ, მე არ გეჩხუბები ახლა, ხომ ხედავ.

მანუჩარ — არ მეჩხუბები კი არა, ისე დამირეკე, რომ გვირისტინეს გულისთვის თურმე სოფლიდან მაძევებ.

ხარიტონ — რაო, რაო? გვირისტინე როდის მიხსენებია შენთვის კაცო? ხედავ, რა ჭორებს ჩმახავს!

მანუჩარ — რა არის ჭორი, შენ თვითონ არ მითხარი, გვირისტინემ მთხოვა, თორემ ჯიბილოს არ დავაწინაურებდიო!

ხარიტონ — თუ კაცი ხარ, მანუჩარ, უცნაურს ნუ იგონებ.

მანუჩარ — მე ვიგონებ?

ხარიტონ — მანუჩარ!

მანუჩარ — თვალებს ნუ მიბრიალებ!

ხარიტონ — აი, შე უნამუსო, დაკარგულო, ვერაგო! მართლაც, დღესვე დაგიჭერ. თავს მოვიკლავ თუ ეს საქმე არ ვქენი.

მანუჩარ — (თავისთვის) თორემ ჯეირანი ვარ, შესაწუვავად გამოვადგები.

ხარიტონ — ძირფესვიანად მოგთხრით შენ და ვატას, თუ კაცი ვარ! (ვატა და მანუჩარ გადიან).

ხარიტონ — შეხედე. რა მოჩმახ მანუჩარმა, გაიგონე?

ჯამლეთი — ეს რომ ჭორი იყოს, შენ ასე არ გაბრაზდებოდნი.

ხარიტონ — მაშ გჯერა?

ჯამლეთი — არა, მხოლოდ ძალიან მიკვირს. (ხარიტონი მიდის. შემოდის ლომკაცა).

ჯამლეთი — ოხ, ლომკაცა, შენ აქ რა გინდა?

ლომკაცა — აგერ, ქვედა სოფელში ვიყავი პირველ ცოლთან.

ჯამლეთი — როგორ არის შენი პირველი ცოლი, კარგახანია არ მინახავს, ხომ არ გათხოვდა?

ლომკაცა — არა, კიდევ მე მიცდის.

ჯამლეთი — ოხ, ასე გაქირვებულა!

ლომკაცა — არა, თავის სოფელში პირველი დამკვრელია.

ჯამლეთი — მერე უმუშევარ კაცს უცდის?

ლომკაცა — ეხ, ქალის ჭკუა თხამ შექამაო, ხომ გაგიგონია. ზო-

გი ქალი ისეთი წყვეულია, რამდენ მეტს უღალატებ და გამოიცვლი, იმდენი მოგეფაროქუნება.

ჯამლეთი — მაგ არ ვიცი, არ გამომიცდია და არც მინდა რომ გამოვეცადო.

ლომკაცა — ო, აქ კი შენ მართალი ხარ. რამდენი ცოლიც არ უნდა გამოიცვალო, სუყველა ერთმანეთზე უარესია და ბოლონდელი ყოველთვის სხვაზე თხლეა.

ჯამლეთი — რატომ, ეს შენი უქანასკნელი ცოლი წელიწადში სამას შრომადღეს აკეთებს და გარჩენს.

ლომკაცა — ჰოდა, მაგით ღვლეჭი ჩამაბა, ქალისაგან რჩენას სჯობია მგელს ძუძუ მოსწოვო.

ჯამლეთი — არა, შენ ცხოვრებას ცუდად უყურებ და ყველაფერი მრუდედ გეჩვენება.

ლომკაცა — მაშ შენ დიდი გამჭრიახი რომ ხარ, იმიტომ გაგდებს ორმოში ხარიტონი, არა?

ჯამლეთი — ხარიტონი რაში მაგდებს, რას როშავ, შფოთი გინდა მეზობლობაში ჩამომიგდო?

ლომკაცა — გვირისტინე რომ ბრძანდება, შენი ორდენოსანი, ის ბუქუნარში მიყავს.

ჯამლეთი — როგორ!

ლომკაცა — აქ საქმრო გაუჩინა.

ჯამლეთი — არა, ვერ დავიჯერებ, გვირისტინე წინდაწინ მეტყოდა, ამიხსნიდა.

ლომკაცა — ო, ის იმისთანა ქვათამხეთქელია, ვითომ საყვარლისთვის კი არ გადმოდის აქეთ, რაიონს აცნობა, ხიდობანში ჯამლეთთან არ გამეძღებაო.

ჯამლეთი — არა, სულ სისულელეა, სულ ქორია... თუმცა აქაც გავიგონე რალაცა.

ლომკაცა — ცოტას კი გაიგებდი.

ჯამლეთი — აბა, შენ მოყვევი ერთი რა იცი.

ლომკაცა — დაწვრილებით იქ გეტყვი, ხიდობანში, მხოლოდ ენას ტყუილად არ დავასველებ, ეს იცოდე... (მიდის. შემოდის ხარიტონი).

ხარიტონ — ამხანაგო ჯამლეთ, ყველაფერი მზად არის.

ჯამლეთი — ა, შენ ხარ, ხარიტონ?

ხარიტონ — რამ ჩაგაფიქრა, კაცო? (შემოდის შატო).

ჯამლეთი — არაფერია. (შატოს) შატო, დეკორაციული ხეები დაამზადეს?

შატო — კი, მოთხარეს და ახლა ვტვირთავ.

ხარიტონ — რა ეკალი შეგესო, ჯამლეთ, ვინმემ ხომ არ გაწყენინა? (ჯამლეთი სდუმს) შენ არ მომიკვლე, ძალიან მწყინს, თუ აქ რამე გაუგებრობა არის.

ჯამლეთი — კაცო, როგორ მელაპარაკები, თავი ისე გიჭირავს თითქოს მამა-აბრამის ბატკანი იყო.

ხარიტონ — შე კაცო, რას მამცირებ, ბატკანი კი არა, ვაჟკაცი მგონია ჩემი თავი. ხათრი, თორემ მაგას ვერ მოვითმენდი.

ჯამლეთი — აბა, ეს რას გავს: მე, რაც შემიძლია, ხელს გიწყობ, გეხმარები. უნაყოფო ხეებში აგერ სასარგებლო ნერგებს გიტოვებ. ამას წინათ ერთი მანქანა გაჩუქე, პატივისცემით სავსე ხარ ჩემგან და შენ კი ძირს მითხრი ფულუროსავით.

ხარიტონ — ამისთანა გინახავს?! თუ კაცი ხარ, რამე გამაგებინე.

ჯამლეთი — კი იცი კარგად, მოიგონე, რა ანკესი გაქვს გადმოგდებული ჩემს გუბეში.

ხარიტონ — ოო, არ გრცხვენია, მანუჩარის ჭორს უნდა აყვე, ალბათ, კიდეც გაგებრა იმ ვერაგმა.

ჯამლეთი — თუ ეგ ჭორია, ვნახოთ, იქ ხილობანში გავიკითხავ.

ხარიტონ — არა, ჯამლეთ, რად გჭირდება ახლა მაგის გამოძიება ხილობანში.

ჯამლეთი — არა, თუ არაფერია, ხომ გავიგებ.

ხარიტონ — გაიკითხე, კი, ძმაო, გაიკითხე... მაგრამ, თუ ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდათ, მე და შენ რას გავხლებით?

ჯამლეთი — აა, მაგის იმედი გაქვს?

ხარიტონ — ასეა,

ჯამლეთი — როგორ, მიმინოსავით ქალი მთელ კოლექტივს ხელის გულზე დაგვიჯენია და თქვენ აქედან უწრუპუნებთ?

ხარიტონ — ეს რა პასუხია. (შემოდის შატო).

ჯამლეთი — თქვენ საკუთარი ნახელავი შეიყვარეთ.

ხარიტონ — აბა, რადგან ჯიბრზეა, ის ქალი დავნიშნეთ და კიდევ მოგვყავს აქ, ბუქუნარში.

შატო — ვინ მოყავთ?

ჯამლეთი — გვირისტინესათვის აქ საქმრო მოუძებნიათ.

შატო — ეს რა გავიგე! აქ თხოვდება?

ხარიტონ — რა გიკვირს, ბიჭო, ჯერ აღუ ხარ, ჩვენ უკაცობა კი არ გვჭირს... თუ მეურნეობას გვიწუნებ, მალე ნახავ, სად ამოვყოფთ თავს.

- ჯამლეთი — რით, მაქანკლობით?
- ხარიტონ — აჰა, აბა, მაქანკალი მე არა ვარ, შენ კი, თურმე, ხალხს მათრახით დადგომიხარ და ასე აჩალიშებ.
- ჯამლეთი — გათქმევიანებ ეს ცილი ვინ დამწამა.
- ხარიტონ — აბა, ქალმა თავის შრომით რაც მიიღო, სხვაგან არ გინდათ გაატანოთ და ამისათვის ხილობანში აბამთ?
- ჯამლეთი — შენთან ლაპარაკი, ვხედავ, წყლის ნაყვია. (აპირებს წასვლას).
- ხარიტონ — ვიცი, რაზედაც გეწვის გული, მაგრამ აწი არ ჩამოგრჩები, გაგისწრებთ, თვალსაც დაგიყენებთ.
- ჯამლეთი — აბა, რადგან პატივისცემა ასე შეიშვენე, მოგება ბოლოს დაითვალე. (ჯამლეთი და შატო მიდიან. შემოდის ჯიბილო).
- ხარიტონ — სადა ხარ, ჯიბილო, სადა ხარ? იცი, რა მიქნა მამაშენმა, იმ ძაღლთა პირმა?
- ჯიბილო — რა მოხდა?
- ხარიტონ — ჯამლეთს გაუმხილა, რომ გვირისტინეს ცოლად ირთავ. მე არ გავამხელდი, მაგრამ თვითონ ყველაფერი მძივებივით დაუქაკლა.
- ჯიბილო — ახლა ის ქალი რას იფიქრებს?
- ხარიტონ — მაგას არ ვსტირი... აბა რაზე ავდულდი?
- ჯიბილო — მერე, შენ რა უთხარი ჯამლეთს?
- ხარიტონ — ვიყვირე და ამ ყვირილმა მთლად გამომტეხა.
- ჯიბილო — როგორ?
- ხარიტონ — პირში შემატეხა იმ იუდა გამცემმა: განა ჯიბილოს სტახანოველად გაუშვებდი, გვირისტინე რომ არ მოყავდესო.
- ჯიბილო — არა, ასეთი სისულელე რა თავში მოუვიდა, ტვინი ვღრძო?
- ხარიტონ — ის კი არა, გველის ჭკუა აქვს კაცს... ჩვენს შორის რომ ვთქვათ, განა ტყუილია!
- ჯიბილო — მაშ, სიმართლეა?
- ხარიტონ — რასაკვირველია.
- ჯიბილო — რა?
- ხარიტონ — ეგ ამბავი რომ არ მცოდნოდა, ამდენს ვიბრაულებდი?
- ჯიბილო — მაშ შენ ფიქრობ, რომ გვირისტინეს ვირთავ?
- ხარიტონ — ვფიქრობ კი არა, როდესაც კოლექტივში მიგიღე, მაშინაც ვიცოდი, თორემ გიჟი ვიყავი, შენ წამოაწვევად წელზე ფეხს დავიდგამდი?
- ჯიბილო — მე ჩემმა შრომამ არ დამაწინაურა?

ხ ა რ ი ტ ო ნ — ჩვენ რომ ხელი არ შეგვეწყო, რას გახდებოდი?

ჯ ი ბ ი ლ ო — რა ხელი?

ხ ა რ ი ტ ო ნ — ნიადაგის გაპოხიერება, სათბურების აგება...

ჯ ი ბ ი ლ ო — ეს საქმემ მოითხოვა...

ხ ა რ ი ტ ო ნ — არა, ძმაო, ეგ ქალი რომ არ მოიყვანო, ნიორის ნაჩუხად არ ჩაგთვლი.

ჯ ი ბ ი ლ ო — რა მოვიყვანო? განა ჩემი დათესილი ნესვია? მე ეგ პირობა არ მომიცია და ვერც მოგცემ...

ხ ა რ ი ტ ო ნ — რაო? ცეცხლი არ მომიკიდო, თორემ, როგორც აგაშენე ისე დაგაქცევ.

ჯ ი ბ ი ლ ო — რას მიზამ?

ხ ა რ ი ტ ო ნ — გულაზე დაგსვამ.

ჯ ი ბ ი ლ ო — როგორ?

ხ ა რ ი ტ ო ნ — როგორ და უკულმა.

ჯ ი ბ ი ლ ო — კაცო, მუქარა არ იყოს, თორემ, ხომ იცი, თუ თავზე ხელი ავიღე და სამუშაოს ბულასავით მივაწყდი, სხვანაირი დატაკებაც ვიცი.

ხ ა რ ი ტ ო ნ — კაცო, შენ არ მითხარი, საცოლეს გულისთვის წელზე ფეხს დავიდგამო. მერე გვირისტიინემაც ხომ მთხოვა შენს შესახებ და მანუჩარმაც კიდევ მითხრა, ერთმანეთი უყვართო.

ჯ ი ბ ი ლ ო — მანუჩარმა თქვა, ერთმანეთი უყვართო?

ხ ა რ ი ტ ო ნ — ჰო, კაცო, კიდევ სხვებმაც ჩამიჩურჩულეს... მე რას მიმაღავ, შე უმოწყალო, მე შენსკენ ვარ და შენ ეშმაკებისაკენ გაქვს თვალი.

ჯ ი ბ ი ლ ო — მაშ, მამაჩემს ჩაუგდივარ ამ მდულარეში.

ხ ა რ ი ტ ო ნ — ჰო, დღეს საძაგელი საქმე გვიქნა, ახლა იქ გვირისტიინეს ისეთ დღეს დააყენებენ, სიკვდილს ინატრებს.

ჯ ი ბ ი ლ ო — იმას რას ერჩიან, კაცო?! არა, ახლავე უნდა ჩავიდე ხიდობანში.

ხ ა რ ი ტ ო ნ — მერე?

ჯ ი ბ ი ლ ო — ქალს შევირთავ და ქორიც მოთავდება.

ხ ა რ ი ტ ო ნ — მეც მაგას გვეედრები. მაგრამ, რადგან გაიგეს, ისეთ ლობეს შემოაფლებენ, მიუდგები?

ჯ ი ბ ი ლ ო — ვის?

ხ ა რ ი ტ ო ნ — გვირისტიინეს.

ჯ ი ბ ი ლ ო — მაინც ძალიან გქონია იმისი დარდი.

ხ ა რ ი ტ ო ნ — დიდი დათუთქული ვარ. შენ ცოლი გინდა, მე კი

გამარჯვება.

ჯიბილო — ახლავე მივდივარ ხილობანში. (მიდის).

ხარიტონ — დაიცა, დაიცა, ბიჭო, რა იცი, იქ რას მოგიწყობენ.

ჯიბილო — ჩავალ და ყველაფერს შეგატყობინებ.

ხარიტონ — ნუ გეშინია, ჩვენც გვიგულე. უკან გამოგყვებით, იცოდე. (თავისთვის) ო, რა საქმეს ვაკეთებთ, შინაურმა ძაღლმა კი მილალატა, იმ უნამუსომ, მაგრამ ახლა კბილით რომ ჩამაფრინდნენ, მაინც არავის დავენებებ. მტერ-მოყვრის თვალის მოსაქრელად უკეთეს ხვითოს კოლმეურნეობის სუფრაზე ვერ გავაგორებდი. (შემოდინ კოლმეურნენი). მოდიოთ, ბიჭებო, გაიგეთ, რა გაგანია მჭირს?

ყველანი — კი, აგერ ვატა გვიყვებოდა ახლა.

ხარიტონ — ორდენოსანით იკვებიან, ამხანაგებო, და იმიტომ არიან დიდ გულზე, მაგრამ არაფერია, ჯიბილო უკვე წავიდა გვირისტინესთან საქორწილოდ და ჩვენც უნდა გავყვეთ საჩქაროდ.

ყველანი — აბა, ავდგეთ და გზას გაუღდგეთ.

ვატა — (შემორბის) კაცო, აქ რა დავიღარაბა ატეხილა? ისე გამოვიქეცი, გული არ მომყოლია.

ხარიტონ — ვინ იცის, იქ რას მოუწყობენ. იქნებ, გადაათქმევინონ გვირისტინეს ჯიბილოზე გათხოვება.

ვატა — მე წამიყვანეთ, ბიჭებო და ამათ სეირს განახვებთ. ამ საქმეს ისეთ კუდს გამოვაბამ, რომ ჯამლეთს ციმბირს აქეთ დავატოვებინებ.

1-ლი კოლმეურნე — მაგ მეტის-მეტია, ვატა.

ვატა — აბა, სად ნახე კაცო, თხოვა-გათხოვების საქმეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე აწესრიგებდეს. საბჭოთა კანონის დარღვევას ჯამლეთს ვინ შეარჩენს!

ხარიტონ — ეს მართალია. აბა, წამოდიოთ და კარგად ჩაიცვით საქორწილოდ, თუ ცოტანი ვართ, დაუმატეთ, ვინც გამოვადგება.

ვატა — მაყრიონით წავიდეთ, ქალს კი არა, მზითსაც გამოვაგზავნივინებ.

ხარიტონ — აჰ, არა, ვატას ვერ წავიყვანო.

ვატა — რატომ, სხვისი პურ-მარილი რა გენალღლება?

ხარიტონ — საექვო ელემენტი მოიყვანაო, იტყვიან, არა აქედან გამეცალე.

- მე-2 კოლმეურნე — აბა, ცხენებით გავქუსლოთ შოკლე გზით.
- მე-3 კოლმეურნე — ცხენები რად გვინდა, საბარგოთი წავიდეთ, ხელის გულივით გზაა.
- ხარიტონ — აჰ, მანქანას სასუქი აქვს გამოსაზიდი, რას ამბობთ! ამისთანა ყვავილებს რძეს დავალევიანებ, რომ შეერგებოდეს, ამათ სასუქს მოვაკლებ და თქვენ მანქანით გატრიხინებთ?
- ყველანი — წავიდეთ, წავიდეთ! (მიდიან).
- ვატა — აჰ, სწორედ ჩემი ამინდია, ფეხით ჩავსდევ, სულ რომ ტყლიბი ჩამასკდეს!

მეორე სურათი

ხიდობანის კოლმეურნეობის კლუბის დარბაზი. ხახულა და ლომკაცა ათვალიერებენ ავეჯს და კედლებს.

- ლომკაცა — ეს არის და ეს, ჩემო ხახულ, ამათი აშენებული კლუბი.
- ხახული — ოჰო-ჰო, ვინ აღირსებდა სოფელს ამისთანა რამეს.
- ლომკაცა — ერთი ეს იკითხე, რამდენი ფულია დახარჯული.
- ხახული — ასეთ დიდ ხეს დიდი ნაფოტი დაცვივა.
- ლომკაცა — როგორ, შენც ამართლებ უკუღმართობას?
- ხახული — არა, ძალიან უკაცრავად, მასეთ ფიქრობ, მარა, რაც თვალს მაკლდება სიბერით, ჭკუას ემატება. (შემოდის კაკლა).
- კაკლა — უი, აქ ხართ? თქვენს ძებნაში სოფელი ავაფორიაქე.
- ლომკაცა — რა ამბავია?
- კაკლა — გვირისტინე და მირიანე შერიგდნენ, არ გაიგეთ?
- ლომკაცა — არა, როგორ?
- კაკლა — მე გამომიყვანეს მექორედ... ბიძია ხახულ, ასე ამბობენ, ვითომ, გვირისტინე მანუჩარის ვაჟს არ ყავდა დანიშნული.
- ხახული — რაო, რაო? ვინ ტატანობს, დანიშნული იყო, ვინ ჭრის თავს ჩემს ოჯახს?
- კაკლა — რაც ჩემი თვალთ ვნახე, იმას ვამბობ.
- ხახული — რაც არ მომხდარა, ვის უნახავს?
- კაკლა — მოსკოვში რომ მიემგზავრებოდა შენი ქალიშვილი, იმ დღეს მანუჩარი არ გესტუმრა?
- ხახული — მერე?
- კაკლა — შენი პირით არ გვითხარი — მე და მირიანეს, სასძლოს სანახავად მოდის ჩემს ოჯახშიო.

ხახული — ოოო!

კაკალა — გაიხსენე კარგად, ჩემო ბიძია.

ხახული — ის ირინეს სანახავად იყო... როგორ, ეს ამბავი შენ ჩემს შვილზე გადმოგაქვს? ამას უყურე, რას მიბღდავს! (აპირებს წასვლას).

ლომკაცა — დაიცა, კაცო, სად მიდიხარ?

ხახული — თქვენი უწესო ლაპარაკი ყურშიაც არ შეკარება.

ლომკაცა — რაო, ვითომ, რა ნახე?

ხახული — მაგრად მაქვს მე ახლა თავი შეხვეული, ის ხახული არ გეგონო! (მიდის).

ლომკაცა — მაინც როგორც შერიგდნენ, ქალო, მირიანი და გვირისტინე?

კაკალა — აბა, იცი, ახლავე ემზადებიან საქორწილოდ ის უნამუსოები.

ლომკაცა — ეჰე!

კაკალა — ჩემზე შეიხოცეს ხელი და ერთმანეთს შაქარივით ლოკავენ.

ლომკაცა — მთლად არ გაუმარჯვია ჯამლეთს!

კაკალა — უი, მართლა, ის კორესპონდენტი მოსულა, ახლა შარაზე გკითხულობდა.

ლომკაცა — რომელი?

კაკალა — შენ რომ გამაცანი და ეს ამბები მათქმევიანე.

ლომკაცა — ახლა კი მთლად დავიღუპე.

კაკალა — რატომ?

ლომკაცა — გვირისტინეს და ჯიბილოს ამბავი თუ ქორია, სხვა-საც არაფერს დამიჯერებს. მერე კიდევ ხარიტონიც გადამეკიდება—ჯიბილოს რომ ორდენოსანი უნდა გაჰყოლოდა, სად არისო.

კაკალა — სულ იმ ჯიბილოს ბრალია ყველაფერი.

ლომკაცა — როგორ?

კაკალა — გაცოფებული მოვარდნილა ზუქუნარიდან, მირიანეს შეხვედრია და გვირისტინესთან შეურიგებია. თვითონ, იმ წყეულს, ირინე ყვარებია და მთელი ნაგავი მე საწყალს მომახვეტეს.

ლომკაცა — ეს რაები მესმის!

კაკალა — მერე, რაც მე დღე დამადგა, ნუ მკითხავ, მამაჩემმა პირში ლამის ყალიონის ტარი ჩამთხარა.

ლომკაცა — ახიც არის შენზე.

კაკალა — ჩემზე?

ლომკაცა — ყალიონის ტარი კი არა, სარი უნდა ჩაეთხარა მაგ პირში.

კაკალა — შენც მე მომდექი?

ლომკაცა — ნეტავი მაინც რაიონის ინსტრუქტორისათვის არ მიმეწეროს: ორდენოსანი გარბის ხილობანიდან, ჯამლეთთან ველარ სძლებს-თქვა.

კაკალა — მერე მე ვარ მტყუანი?

ლომკაცა — ეშმაკივით გადამაცდინე. ახლა ამ ხალხს შენ უნდა მიგცე პირში.

კაკალა — ოო, უყურე, შენ თვითონ, შე უნამუსო, ცხრა სამსახურიდან მოგხსნეს და ქალაქში ჩასვლა აკრძალული გაქვს.

ლომკაცა — ჯერ ვნახო ის კორესპონდენტი, გაზეთში უნდა გამოგაქრასო.

კაკალა — შენისთანა დაკარგულს რომელი კორესპონდენტი დაუჯერებს.

ლომკაცა — უყურე ამ გომბეშოს!

კაკალა — მე ვარ გომბეშო?!

ლომკაცა — ო, ახლა კი ვხედავ, რომ შენ ჯამლეთის დაგებული მახე ხარ.

კაკალა — შენი სახსენებელია ჯამლეთი, კი უარე საკბენად, მაგრამ შეგრჩა პირში დაქონქილი კბილები.

ლომკაცა — ვეტყვი კორესპონდენტს, ჯამლეთმა რომ მოგმართა და ეს სიყალბე ჩემთვის იმიტომ გათქმევიანა, რომ ჭორი დამცდენოდა და გაგეწითლებინე.

კაკალა — თორემ, დიდი სუფთა ვინმე ხარ, სირცხვილის ოდენა შენ მკადი არ გიქამია, შენისთანა კაცი სირცხვილს კუჭით ინელებს. ყველას ვიცნობ შენს ეშმაკებს და, თუ ქალი ვარ, ყველაფერს დაფუკავლავ ჯამლეთს.

ლომკაცა — კი გამაბით ნასკეში, მაგრამ თავს გამოვიხსნი.

კაკალა — შენ თვითონ ეშმაკის ნასკევი ხარ თავიდან ბოლომდე.

ლომკაცა — შე ჯოჯოხეთის მაშხალავ!

კაკალა — შე შავი წკვარამის დორბლო! ოო, ეს რა კარგავთქვი, ჩემს თავს ვენაცვალე, მართლაც პირზედ დორბლი მადგება, შენ რომ გელაპარაკები.

ლომკაცა — დორბლი იმიტომ გადგება, რომ სიავე ტიკში არ გეტევა. (ლომკაცა მიდის).

კაკალა — (გაბრაზებული მისდევს) ჰოდა, შენ იცი, რა ხარ...

(მიდის. შემოდინ შატო და მიტო).

შ ა ტ ო — უჰ, რა დარიანი დღე დაესწრო ჩვენს მექორწილებს, მიტო!

მ ი ტ ო — დარი თვითონ ქორწინებაა. მე რომ ქალს შევირთავ, ბიჭო, იმ დღეს გინდა თქეში მოვიდეს, ოღონდ ასე დასრულდეს ჩემი საქმე.

შ ა ტ ო — ოო, ჩემს საკუთარ ქორწილში რას ვიგოძნობ, როცა ახლა ამხანაგების ბედნიერებას რომ ვუყურებ, მთელი დღე სიხარულით ვიციანი.

მ ი ტ ო — მე კი დღეს მაგათი თავგადასავალი რომ მიანბნეს, სულ ვიტირე, ბიჭო, გეფიცები, სულ ხარის სისხო ცრემლები გადმოვღვარე.

შ ა ტ ო — მაინც, მიტო, რა გიყი რამე ყოფილა სიყვარული.

მ ი ტ ო — ჰო, ასეა მშვიდობიანი გზით არ მოდის.

შ ა ტ ო — ვითომ, ყოველთვის ასე არის?

მ ი ტ ო — აბა, რა ვიცი, ჯერ მე თეატრში არ მინახავს ისეთი სიყვარული, ათასი აბრუნდი არ ქნას. მე მეგონა, იქ სიყვარულის ამბებს ბერავდნენ. მაგრამ ახლა, აგერ ჩვენი გვირისტინეს და სხვა ამხანაგების ამბავს რომ ვუყურე ამ ნამდვილ ცხოვრებაში... ჩვენს გვერდით იდგნენ ეს საწყლები და ერთმანეთის სიყვარულით გულში რა კვაწია უღუღლათ...

შ ა ტ ო — კი, აბა, ბიჭო...

მ ი ტ ო — სწორედ ეკლიანი ვარდი ყოფილა სიყვარული, როგორც ნათქვამია.

შ ა ტ ო — ჰო, კი, ასე ყოფილა.

მ ი ტ ო — ასეა, მაგრამ... შე რამდენჯერაც ხელი გავუწიე, ჯერ-ჯერობით მარტო ეკალი შემრჩა და ვარდი სხვამ წაიღო.

შ ა ტ ო — მეც კინალამ მასე მჭირს, ჩემო მიტო. (შემოდინ ჯამლეთი და კაკალა).

ჯ ა მ ლ ე თ ი — კმარა, კაკალა, ამდენი ლაპარაკი.

კ ა კ ა ლ ა — გულზე გამხეთქა და იმიტომ გეუბნები.

მ ი ტ ო — (შატოს) ხედავ, ეს კიდევ გულზე სკდება.

შ ა ტ ო — აი, დასწყევლოს ღმერთმა ის ახალგაზრდა ქალი, გინდა ვაფი, ვისაც სხვისი ქორწილი ეხარბება.

კ ა კ ა ლ ა — მაგაზე სულ არ მწყდება გული, თქვე სულელებო, მე აგერ ჯამლეთზე მეწვის გული.

მ ი ტ ო — ჯამლეთს რა მოუვიდა?

კ ა კ ა ლ ა — ლომკაცამ იმდენი მტრები გაუჩინა, მაგრამ მე სუყველა ვიცი, სად რა მახე აქვს დაგებული, ახლა ჯამლეთს მინ-

და ავაკრეფინო მთელი ის მახეები და ლომკაცა თვითონ
გავახვიო თავის ნახელავში და, როგორც მორიელს, საკუთა-
რი შხამით მოვაწამვლინო თავისი თავი.

ჯამლეთი — კარგი. კაკალა, მე ახლა მაგისტვის არ მცალია.

კაკალა — აბა, ტყუილად მომიტანია ეს ამბები?

ჯამლეთი — დიახ, ჩემო კაკალა.

კაკალა — აბა, შენ თუ არ დარდობ, მე რას ვწუხვარ... დასწყევ-
ლოს ღმერთმა, ყველას საჯავრო მე მწიწკნის, ჩემზე კი ყვე-
ლას შავი გული აქვს. (მიდის).

შატო — არა, რა კარგად ამოუსკვენი კუდი მაგ მეტიჩარას.

მიტო — აბა, სული წაიღეს სხვის საქმეებში უშნო ხელის ჩარევით.

ჯამლეთი — მაშ თქვენ ახლა დაქორწინებულ ამხანაგებს შეხე-
დით. თქვენ იცით, ბიჭებო, როგორ მხიარულად გაატარებთ
ამ ქორწინებას.

მეტო — მაშ, ლოტბარს უთხარი, შატო, და გუნდიც მოვაყვანინოთ.
(შატო და მიტო მიდიან. შემოდიან ხარიტონი, პირველი და მეორე კოლ-
მეურნენი).

ჯამლეთი — მობრძანდით.

ხარიტონ — ოჰ, ჯამლეთი. (ჩუმად ბრიგადირებს) აბა, ნელა გამოე-
კითხოთ ამბავი.

1-ლი ბრიგ. — (ჯამლეთს) ჩვენ ჯიბილოს ქორწილში გიახელით.

ჯამლეთი — ჯიბილომ ეს-ეს არის ქორწინებაზე ხელი მოაწერა.

ხარიტონ — მერე, შენ ამისათვის გვირისტინეს გაუჯავრდი?

ჯამლეთი — ღრა, ისიც დაქორწილდა.

ხარიტონ — რომ ავარდი და დეარდი ბუქუნარში, აბა, რა იყო?

ჯამლეთი — ეჰ, სიფიცხე, კაცო, უბედურებაა, მხოლოდ მე გულს
არ აყევეი და ეს საქმეც თვითონ გამოსწორდა. (მოისმის მხიარ-
ულების ხმები, შემოდიან მიტო და ლოტბარი).

მიტო — დაქორწინებულები მოდიან.

ჯამლეთი — (ლოტბარს) საკოლმეურნეო გუნდი შეჰყარე?

ლოტბარი — დიახ, წამობრძანდით და ნახეთ, როგორი მომზა-
დებულა. (ჯამლეთი, ლოტბარი და მიტო მიდიან).

ხმები გარედან — დაგვილოცავს ბედნიერება, გვირისტინე,
გვირისტინე.

ხარიტონ — აბა, ააღა არ დამაბნოთ. (შემოდინ გვირისტინე, ჯი-
ბილო, ირინე და მირიანე. ამათ შემოყვებიან მეგობრები მხიარული სიმ-
ღერით).

ხარიტონ — ისე გაგიეებული ვარ შენი ბედნიერებით, გვირის-
ტინე... რომელი ერთი გითხრა, სინარულით მიწაზე ფეხს

ვერ ვადგამ...

გვირ-ნე — რა მოხდა, ხარიტონ, მე გავთხოვედი და შენ გიხარია?

ხარიტონ — აბა, ჩემზე მეტად ამ საქმით ვინ მოივო?

გვირ-ნე — რაზე ამბობ?

ხარიტონ — სწორედ ფრთები გამოგვასხა ჯიბილომ, დაპირება რომ ასე შეასრულა.

გვირ-ნე — ო, მან კარგი შეუღლე იშოვა, მართალია.

ხარიტონ — რას ბრძანებ? (აღერსით მხარზე მოუცაუნებს) ვის დაესიზმრებოდა, თუ ასეთ ბედს ელირსებოდა.

ბრიგადირი — აქეთ მოიწი, ხარიტონ! საქმე სხვანაირადაა.

ჯიბილო — (ხარიტონს) ასე რომ აქებ ჩემს შეუღლეს, ბარემ გაციანი. (ირინეს) ხელი ჩამოართვი ჩვენს ხელმძღვანელს.

ხარიტონ — (გაშეშებული ართმევს ხელს ირინეს) რატომ? ეს ვინაა?

მე:2 ბრიგადირი — ეს ყოფილა, კაცო, ამის შეუღლე.

ხარიტონ — (ჯიბილოს ჩუმად) გამოგიცვალეს?

ჯიბილო — რას ქვია გამოგიცვალეს? ჯამი ხომ არ იყო!

გვირ-ნე — ხარიტონ, ისე მოიქეცი, მგონია, გეგონა, რომ ჯიბილო ჩემზე დაქორწინდა.

ხარიტონ — როგორ გეკადრებათ, მხოლოდ... თქვენი მადლობელი ვარ... რომ... რომ... ერთი სიტყვით, ხელიდან რა გამოუდის, მერე ვნახავთ, მაგრამ შესახედავად ქალია. კინალამ სირცხვილი არ ექამე.

გვირ-ნე — მადლიანი ხელი კი აქვს ირინეს.

ხარიტონ — აი, ამისათვის შეგაქე, გვირისტინე, მივხვდი, რომ შენის წყალობით კარგი რძალი მივიღე (შემოდის ჯამლეთი).

ჯამლეთი — ხომ ყველა მხიარულადა ხართ?

1-ლი ბრიგად. — (ხარიტონს) ეს ჩვენ გადმოგვეკრა. გესმის?.. (შემოდის ინსტრუქტორი. ყველა მიიხედავს ინსტრუქტორისაკენ. გაისმის ფუჩენი).

ხარიტონ — (თავისიანებს) აი, ვინ წამომამგებს დღე შამფურზე! (დაღმეპილი ღიმილით შეეგებება ინსტრუქტორს).

ინსტრუქტორი — (სალამს აძლევს ყველას) მომილოცავს, ამხანაგებო. მგონია, კოლმეურნის ქორწინებაა...

ჯამლეთი — დიახ, კარგ დროს შემოგვესწარი. (გაიღება საქორწილო დარბაზის კარები, გაისმის მუსიკის ხმა. ჯამლეთი და ხარიტონი გააცნობენ ინსტრუქტორს დაქორწინებულებს).

ინსტრუქტორი — აქედან წერილი წერილზე მოგვდიოდა, ჯამ-

ლეთ, თითქოს, შენი მიზეზით ორდენოსანი გარბის კოლექტივიდან. ჩვენ იმას უურადღებდა არ მივაქციეთ, მაგრამ დღეს ხარიტონმა ქორწილში დაგვპატიჟა: გვირისტინე ბუქუნარში რძლად მიმყავსო. (ყველანი იცინიან და ფუნუნობენ).

ხ ა რ ი ტ ო ნ — როგორ გეკადრებათ, ცუდად გაგიგონია, ამხანაგო. ინსტრუქტორი — უარს, ამბობ შენს სიტყვაზე?

ხ ა რ ი ტ ო ნ — არა, მთლად კი არ ვამბობ უარს, მაგრამ... მე ისე, იმიტომ დავრეკე, რომ ვიცოდი, ამ ხერხით ქორწილში მოგიყვანდი და ამ ნორჩი გვრიტების ბედნიერებაში შენც დაგვამშვენებდი... ბუღბუღივით თუ ვერ იგალობებ, მტრედივით მაინც აღუღუნდები.

ინსტრუქტორი — ოო, მაშ ჩემი პირველი ღულუნი ეს არის, დღეს რაიონში შენს შესახებ ეს დადგენილება გამოიტანეს... (პორტფელში ეძებს) და გაეცანი.

ხ ა რ ი ტ ო ნ — მოწონებულა რამე?

ინსტრუქტორი — ნახე!

ხ ა რ ი ტ ო ნ — კიდევ გაფრთხილებაა, კაცო?

ინსტრუქტორი — რამ შეგაშინა? ერთხელ თუ გამოგაწორა გაფრთხილებამ, მეორედაც, შეიძლება, გამოგათხიზლოს.

ხ ა რ ი ტ ო ნ — არა, ეგ ქალაღი, თუ კაცი ხარ, ჯერ შეინახე: ქორწილი ექამოთ გემრიელად და მერე წაეკითხავ. მანამდე, თუ კაცი ხარ, ნუ გამაგებინებ მაგის შინაარსს. (ხარიტონი შებრუნდება დარბაზისაკენ. გაისმის მუსიკა და სიმღერა. გამონდება გაწყობილი მაგიდები. ისვრიან ყვავილებს).



კომედია
რთხ მთქმელაბად

მოძმედი პიძნი:

დავით შერვე — საქართველოს მეფე

გოსტაშაბი — ცნობილი ნაცარქეჭიად

გულქანა — მისი ცოლი

ლიპარიტე კიკოტა — მეტსახელად ქოსატყულია

შოშკობა

როსტომ ბრძენი — უსახლკარო მოხუცი. მდაბიო ერში ბრძენად მიღებული

ჯონდო —

ქონდარა —

ბახტანგ-ხანი — მეფის ძმა, თათრებისგან გამეფებული

ფატი

ზაბუნე

არღუბაბა

ხაკურისი

მეთაური

შანშე — ათაბაგე

კონსტანტინე — ოდიშის მთავარი

გვანგვა — გურიის მთავარი

ბეშქენი — ერისთავი რაჭისა

ვაჩე — იმერეთის ბატონიშვილი

ხანლთუხუცესი -

} თ ა თ რ ე ბ ი

მსლებლები, ფარეშები, მხეველები, რაზმელები, გლეხები და სხვ.

მოქმედება წარმოებს მე-14 საუკუნის დასაწყისში.

მოქმედება პიკეტილი

გაქვართლულ კედლებზე ჰკიდია ძველი უვარგისი იარაღი. სხვენზე მიყუდებულია მსხვილი ბოძი და ზედ ამოჭრილია ფეხის დასაბიჯებლები. ზევით სჩანს ჩელტი და ისლის სახურავი. მარცხნივ კარია ბოსელში შესასვლელი. ავეჯი ძველისძველია. შუა ცეცხლზე სპილენძის ქვაბში ჩოგანს ურევს გულქანა. ოდნავ მოშორებით დაბალ ჯირკზე ზის და ფეხებს იფხანს როსტომ ბრძენი.

გულქანა — რა ქოთანი გამიტყდა?! გარეთ თათრების შემოსევის ამბავი რომ გავიგონე, სულ იმის ბრალია.

როსტომი — შიში ხელმარცხიანია.

გულქანა — შარაზე და ორლობეშიც, ყველგან რომ წუწუნია, ნეტავ რა უბედურება მოდის?

როსტომი — რაც მოსავეალია, ლობე-მესერი ვერ დააკავენებს.

გოსტაშაბის ხმა — (გარედან აკაუნებს კარზე) კარი გააღე.

გულქანა — უი, გოსტაშაბის ხმა! აღრე დაბრუნდა. ფიცით არ გავისტუმრე სამუშაოზე?! არა, ვერ შემოვუშვებ.

გოსტაშაბის ხმა — კარი გააღე, დედაკაცო!..

გულქანა — რა მოგაქვს?

გოსტაშაბის ხმა — კარი გააღე-მეთქი!

გულქანა — ყვავილბატონს გავუღებ და შენ არა.

გოსტაშაბის ხმა — ესაა სინდისი?

გულქანა — აქეთ მიწუნებს სინდისს!.. არა, როსტომ ბრძენო, ტყუილად მეგონა კეთილისაკენ მოაბრუნებდი. შენთან სულ გაზარმაცდა.

როსტომი — ასეა.

გულქანა — შენი პირიდან ისეთი ქრელი სიტყვები ისმის, მეფის სასახლეში მარგალიტად გავა, ჩემთვის კი ურგებია, რა ვქნა, მეც გამიჭირდა.

როსტომი — ეს კი გეთქმის.

გულქანა — ესეც მოვთვალათ რამდენჯერ მობრუნდა მთვარე, რაც ჩვენს კერიაზე თბები.

როსტომი — ამის დათვლა ძნელია.

გულქანა — კი არ გამადლი, ბრძენო... მხოლოდ, რა ვქნა, რაც

ამ არემარზე საზრდო მეშოვებოდა — ამოვცალე. ქოხიც მე-
ქცევა.

როსტომი — მე თუ დავრჩი ამ საბუღარში...

გულქანა — (აწყვეტილებს) არა, ახლა მე მივლდე ყური, როსტომ
ბრძენო. მას აქეთ, რაც ჩვენს ქოხში ხარ ჩამალული, გარეთ
ამ არეულ ქვეყანაში შენი სახელი ცის კიდემდე მიდის... და,
ამ ტუტაში გდებას, არ გირჩევნია დანატრებულ ხალხს გა-
მოეცხადო და ხელიდან ხელზე იგოვმანო მარგალიტივით?

როსტომი — სახელი ერთიდან მეორესთვის გადასაცემად მჩა-
ტეა, ხორციელი კაცი კი ემძიმებათ, შარაზე დამაგდებენ.

გულქანა — არა, მაინც ნუ დაიზარებ. ამბობენ, თათარი ისე
მოგვაწვა, ძალი პატრონს ვერ ცნობსო. ღღეს შენი ჭკუა
ბევრს სჭირდება!

როსტომი — სწავლება წყინთ. თვითონ დაირიგებენ.

გულქანა — ეჰ, რა გიყო, მოხუც ბრძენს ვერ გაგაგდებ. გოს-
ტაშაბს კი, კარს არ გაუღებ. გამოფხიზლდეს, თორემ ზღაპ-
რებში გაექცა ჭკუა იმ უბედურს და ამ სოფლის არ ეყუ-
რება.

(სხენიდან კიბით ეშვება გოსტაშაბი)

გულქანა — აჰ!.. საიდან მოძვრები!

გოსტაშაბი — (არ აქცევს ყურადღებას) ო, ღღეს რა გადამხდა!

გულქანა — გადი ამ კარით!

გოსტაშაბი — სად?

გულქანა — ბოსტანში.

გოსტაშაბი — იქ კვახი გაზრდილა, როსტომ, როგორ ვიამება?

როსტომი — რა უშავს.

გოსტაშაბი — მოიტანეო, გულქანა, მიხვდი!.. (აპირებს დაჯდომას).

გულქანა — (ართმევს დასაჯდომ ჯირკს) გაბრუნდი აქედან! სამუშა-
ოდ რომ გამოეწყე — ბარი მაინც რა უყავი?

გოსტაშაბი — ნიჩაბთან მივაყუდე (მეორე ჯირკი მოიგდო და დაჯდა).

გულქანა — კარგია, რომ ისიც არ დაკარგე.

გოსტაშაბი — (გადაქეპავს ნაცარს) როსტომ, ინდოეთის მეფის
გვირგვინი რამოდენაა?

როსტომი — დიდია!

გოსტაშაბი — ყველა მეფეზე მდიდარიაო, რას იტყვი?

როსტომი — უჩინარს გააჩენს.

გოსტაშაბი — ქათმის ძუძუ რომ მოენატროს, იშოვის?

გულქანა — ეს ბებერიც რომ უბამს!..

გოსტაშაბი — რა თქვა, უყურე! კაცმა პეპელა რას ქამს იცის

და ეს ეკადრება?.. რა ცოლი შემხვდა! ეჰ მთხოვარა-მარჩიელი ვის გაზრდიდა!..

გულქანა — რა ვიცი, როცა შემირთე, სულ მიმღეროდი მარგალიტის ნაბანოვო, მერე რა თვალი დაგიდგა?

გოსტაშაბი — როსტომ!

როსტომი — კი.

გოსტაშაბი — ქუთათისში სტუმრობის დროს ტრაპიზონის ხელმწიფე მომკვდარაო, ნეტავ, რა ქირი მიეკარა?

როსტომი — მეტისმეტი ხობა თავში სრუტს გაუჩენდა.

გოსტაშაბი — რა სიტყვა აჩენს იმ ოხერს?

როსტომი — ქოსატყუილა ხატის წინ რომ ფიცავს.

გოსტაშაბი — მას რა სალოცავი აქვს?

გულქანა — ქოსატყუილას ამბავი ეშმაკს ვერ გაუგია და შენ ეძებ?

გოსტაშაბი — შენ შენს ფუშრიკს მოურთიე.

გულქანა — ეჰ, ვურევ და გიმზადებთ, რა გიყოთ — სტომაქი გაქვთ.

გოსტაშაბი — როსტომ!

როსტომი — კი.

გოსტაშაბი — წმინდა გიორგის ხმალი დაიკარგა, თუ არის ქვეყანაზე?

როსტომი — საქართველოს ერგო. ჩვენმა მეფეებმა ქარქაში ვერ უპოვეს.

გოსტაშაბი — მაშ, ახლა გეტყვი დღეს რა გადამხდა, როსტომ ბრძენო. ბოსტანს რომ მივალწიე, ლიპარიტე კიკოტე შემხვდა და დამედრიჯა ბრძენთან შემყარეო, მე ვიფიქრე, ამის შემოშვებას გველის ხერელი გავიჩინო სახლში მირჩენიათქვა და გავიტრუნე... მაგრამ, კახაბერის ხმალი შემომთავაზა და დამაცდენინა, რომ ჩემსას ხარ, — ნუ მიწყენ!

როსტომი — რას იზამ!

გოსტაშაბი — მერე, დავეჭვდი, ლიპარიტე ხომ ქოსატყუილაა, ეგებ ეს გმირის ხმალი არაა-მეთქი და ამ კართან ერთ დიდრეკილ ჯირკვზე დავარტყი და ისე ჩაიქრა ხმალი შიგ, ვერ დავძარი. ვუტრიალე — გაიქედა, ბოლოს ცერი ვიტკინე და მივატოვე. მხოლოდ მარჯვნივ მოვბრუნდი და ეშმაკს მივაფურთხე.

გულქანა — ო, ახლა ის ჩემი საწვალებელი იქნება.

გოსტაშაბი — არაა წესი ის ქალის ხელმა აცოლდილოს.

გულქანა — მაშ, მეტი შეშა არ დაგვრჩა. ეს ცეცხლი ფუშრიკ-საც არ ეყოფა.

გოსტაზაბი — ასე უსაშველო გვეჭირს? ო, მაშ სხვა ნიშანია და უნდა ავხსნათ. ალბათ, მისთვის გაეჩხირა უცნაურად ხმალი იმ კუნძოში, ჩემი კერიის ცეცხლზე უნდა გავლებო. ამის სასწაულია, რას იტყვი, როსტომ ბრძენო?

როსტომი — როცა შენი კერის ალში გაავლებ, შენად მოინათლებო.

გოსტაზაბი — კერაზე რომ შემოვდგა ის ჯირკი, ხმალით, რა მოხდება?

როსტომი — ჯირკი ცეცხლს გაახარებს და რკინა დარჩება.

გოსტაზაბი — სახელოვან ხმალს რა უშავს?

როსტომი — ათას ცეცხლში გამოწვრთილა — ერთიც დაემატება.

გოსტაზაბი — ბრძნულად ახსენი ეს სასწაული, როსტომ.

(გოსტაზაბი გააღებს კარს. სალამს აძლევს შემოჭრილ მზის ნათელს და მიდის).

გულქანა — გარეთ რა სამუშაო დარია, ცას ზეთი მოტირის!

(გოსტაზაბს შემოაქვს ჯირკი გაჩხერილ ხმალით).

გოსტაზაბი — (გულქანას) გამეცალე, არ შემეშალოს, წალმართად უნდა დავდგო. (დაადებს კერაზე. კმაყოფილია).

გულქანა — (მორიდებით ასწორებს ცეცხლს) თუ ეს კახაბერის ხმალია, რას ჩადიხარო, პატრონი სად არის? ამ ელვას აქ რა უნდა!..

გოსტაზაბი — რა უშნოდ დაიღმიჯე, ახლა გაიგე, რომ ქვეყანა ეძებს კახაბერს?!. მის დაქცეულ სახლს ტინგიცები იყოფენ, მისი უბელო ცხენი ნიავევით დაქრის ველად ძუა-ფაფარ-გაშლილი.

გულქანა — ოო, მართლა ზარი დაცემია, მე კი ჰორი მეგონა, თურმე ტყუილად არ ტირიან. (ზარით) ვაი, რა დადულღებულა!..

გოსტაზაბი — შავ წუწუნით კერა არ დამისაზრო, არც ჯავრი გშვენის, არც სიცილი.

გულქანა — მიწის დაყრა დამშვენდეს.

გოსტაზაბი — მერე, მაგისტვის გაჩნდი?

გულქანა — არა, გამჩენს არ ვცოდავ, — ნათლიერო ქვეყანა დამანახა და თუ ჩემი არ დამცალდა, სხვისი ბედნიერებით მაინც გამიხარებია ეს გული.

გოსტაშაბი — ასეა უჯიშო ბალახი, თავისთვის რა ყვავილს
გამოიტანს. მხოლოდ ეს მიკვირს, პირველად რა მომივიდა,
თვალზე შენ რომ ვარდისფრად მომეჩვენე!

გულქანა — ისეთ ბარდში ვარ, ჯიშიც მქონდეს ვერ ვიყვავილებ.
გოსტაშაბი — როსტომ!

როსტომი — კი.

გოსტაშაბი — საბერძნეთის კეისარს თუ ყავს ქალიშვილი?

როსტომი — ლერწამივით.

გოსტაშაბი — რა ფერია?

როსტომი — არც შავი, არც თეთრი.

გოსტაშაბი — რას აცმევენ?

როსტომი — თხელ-თხელებს.

გოსტაშაბი — რას ასმევენ?

როსტომი — ბუზის ნერწყვს, ოლიმპოსის ფუტკრისას.

გოსტაშაბი — რას აქმევენ?

როსტომი — ჩიტის ბუდეს, ჩინურ იაღონისას.

გოსტაშაბი — ტანს რით ჰბანენ?

როსტომი — შროშანის სუფთა ცვარით.

გოსტაშაბი — ნეტავ ხორციელ კაცს რა მოუფა მის ფეხის ფხა-
ნას რომ უყუროს?

როსტომი — სხვა სიკეთეს მერე ვერ იცნობს.

გოსტაშაბი — სიზმრად რომ ვნახო კეისარის ასული, რა მო-
მივა, ბრძენო?

როსტომი — რაც როსტომს დაემართა.

გოსტაშაბი — შენ რა მოგივიდა?

როსტომი — მე ახალგაზრდობაში ბეზიამისი დამესიზმრა.

გოსტაშაბი — მერე, რა გიყო იმ სიზმარმა?

როსტომი — კოკორივით ჩაჯდა გულის ლადარში — არც გამო-
ცხვა, არც ამოიწვა.

გოსტაშაბი — ცხადად მერე ვერ ნახე კეისარის ასული?

როსტომი — კი.

გოსტაშაბი — სად?

როსტომი — როცა სიბერეში მეფე დიმიტრის ქვრივს ესტუმრა,
ხალხს მოწყალეობა გადმოგვიბნია.

გოსტაშაბი — რამდენი გერგო, როსტომ ბრძენო?

როსტომი — გახვრეტილი ფარა ავიღე და ის კოკორი იქ ამო-
იწვა.

გოსტაშაბი — (დაღონებული) საწყალი როსტომ ბრძენი!

გულქანა — შეშა ტყიდან მოსატანია. რა ვქნათ?

გოსტაშაბი — ხომ ხედავ ჯავრში ვარ, მოათრიე.

გულქანა — იქ ახლა ბატონები ნადირობენ. ძაღლების ყეფაც ისმის.

გოსტაშაბი — ნუ გეშინია, გოსტაშაბის ცოლი ვარ-თქო, უთხარი!

გულქანა — ჩვენ კი არა, ისე წახდა დროება, ღვიძლებსაც არ ზოგავენ. ამას წინათ ირემი მიატოვეს და მე დამედევნენ. ოპო, პო, ძიგვნარებს რომ გადავევლე, ფრთიანი ანგელოზიან იძახოდნენ. მათ კი გამოვაველე პირში ჩალა, მაგრამ ეკალმა მუხლები დამისხიპა.

გოსტაშაბი — ოო, ამისთვის მათ ტურის ხვრელში შევაძვრენ.

გულქანა — რა ძალით?

გოსტაშაბი — გული თუ მომივიდა, მთას გადავაბრუნებ!

გულქანა — შენ კი არა, თვითონ მეფე დავით მერვეს არ ეპუებიან. ჩვენში, თურმე, ისეთებიც გაჩენილან თათრებს მოუძღვებიან.

გოსტაშაბი — გაუგონარია, რასაც დღეს ბატონები კადრულობენ.

გულქანა — ღმერთო ნუ მიწყენ, გაღმა, სოფელში, მაცხოვრის ეკლესია გაძარცვესო.

გოსტაშაბი — უჰ!

გულქანა — გუშინ მსტოვრებმა ჩვენ სოფლამდეც მოაღწიეს. დიდი ზრიალი იყო, კაცები მაშინვე დაირაზმენ, თქვენ კი გეძინათ.

გოსტაშაბი — ერთი გამეგო! რა ამრეზილად გადმომხედე, ისეთ მისნურ ნიშნებს ვსწავლობ. ყველას დავლენწავ ქოთნებივით. მერე, სოფელლებმა რა ქნეს, ხატი გამოიტანეს?..

გულქანა — არა.

გოსტაშაბი — მაშ, რით დააფრთხეს მტერი?

გულქანა — ხატი გამწყრალიანო და მარტო ფარ-ხმალით შეხედნენ.

გოსტაშაბი — სად?

გულქანა — სოფლის ბოლოში შეებნენ — კიოწეს კუთხე ზანზარებდა.

გოსტაშაბი — მერე, რით გაათავეს?

გულქანა — ერთ ავაზაკს ყური ჩამოათალეს და დიდის ამბით მოქონდათ.

გოსტაშაბი — მაშ, თუ დღისით საშიშია, ღამით მოაჩაქჩაქე.

გულქანა — იმ ხრამზე დღისით სკირს და ბნელში რა გამოი-
ტანს.

გოსტაშაბი — როსტომი

როსტომი — კი.

გოსტაშაბი — ბახტრიონის ციხე თათრებს რომ აუღიათ, ჩვენს
ვაჟაკებს ხელი რამ გაუშეშათ?

როსტომი — სული ეტკბილათ.

გოსტაშაბი — როდის გამწარდებიან?

როსტომი — როცა სამართალი ფაფას შესქამს.

გულქანა — სამართალი რომ ფაფას სქამდეს, ვის რა უჭირს.

გოსტაშაბი — (გულქანას) მაგ ფუშრიკს არ გვაღირსებ?

გულქანა — კიდეც უნდა იღულოს.

გოსტაშაბი — ფუ, რა დაკაწრული ტანი მოუჩანს ძონძებში,
აინაზე მამღერებდი? ესაა ქალის ხორცი?

გულქანა — შენ რომ ქსოვილები მიყიდე, იმან არ დამიფაროს.

გოსტაშაბი — ქალის ენა მდინარეს შემოუფლის.

გულქანა — ეჰ, თავიდან ბოლომდე ისე დამწვა ბედმა, მარტო
ენა დამრჩა ნედლადა.

გოსტაშაბი — უყურე!

გულქანა — ამასაც წყალობად ვთვლი; უფალს მაინც მივმართავ
ლოცვით, — შემეწყნაროს, მე უბედური, მე გაჭირვებული.

გოსტაშაბი — რომ ვარგოდე, გოსტაშაბის პატრონს ხატი რად
გინდა. ლამაზი გაჩენილიყავ — დამატებობდი, გამრჯელი, იყო
— დამალხენდი.

გულქანა — მე შრომას ვაკლებ! შენ ვერ აგიყოლიე, თორემ ჯა-
რასავით ვტრიალებ შინ და გარეთ. მაინც უმადური ხართ-
რა შავ წყალს მივცე თავი!..

გოსტაშაბი — აი, შავი წყალი კი მოგიხდება.

გულქანა — როგორ!

გოსტაშაბი — იქ ეშმაკი შეგეყრება.

გულქანა — ოო, სულს მიგინებ! ეშმაკს მატან?

გოსტაშაბი — კი.

გულქანა — რისთვის?

გოსტაშაბი — ჯოჯოხეთში ქებად გამოადგები.

გულქანა — ჯოჯოხეთშიო?!

გოსტაშაბი — მურჩიანო!..

გულქანა — (აღშფოთებით გადაბრუნებს ქეახს) აი, თუ შავ წყალს,
აი, შენი ფუშრიკი, მართლა უღირსო! ცეცხლიც ჩაგიქრე და-
ლაღარიც. აწი ნაცარი ქამეთ!..

გოსტაშაბი — ეს რა ჰქენი!.. როსტომ, ხომ წაგვწყმინდა ამ დედაკაცმა!

როსტომი — (ხმას არ იღებს).

გოსტაშაბი — არ დაგვლუპა?!

როსტომი — (ხმას არ იღებს).

გოსტაშაბი — (გულქანას) მგონია სტუმარიც დამამდურე...

გულქანა — (ნიშნის მოგებით) აი, ასე!..

გოსტაშაბი — როსტომ, დამელაპარაკე, შე კაცო, რა მოგივიდა? ა!..

როსტომი — ფაფა თუ არა დულს, რაზე ვილაპარაკოთ.

გოსტაშაბი — (გულქანას) აბა, ჩქარა, შე ტურისა, მეზობლიდან მოარბენინე მუგუზალი. რამე იშოვე... როსტომ!

როსტომი — (ხმას არ სცემს).

გოსტაშაბი — (გულქანას) როგორც ჩააქრე კერა, ისე ააგიზგიზე, ასჯერ მოინანიე...

გულქანა — არ მესმის ყურში.

გოსტაშაბი — არა?

გულქანა — არა.

გოსტაშაბი — (აზნებით) მაშ მე თვითონ მომაქვს მეზობლიდან მუგუზალი, ოლონდ, შენი ფესვი არ ენახო, შე ჯოჯოხეთის ქვასანაყო! აქ რომ დამხვდე, ყვავივით წაგწყვეტ თავს. (აპირებს წასვლას, დაბრუნდება) თუ მოგისწარი იმ მუგუზალით, თავს გაგიპობ. ან მე და ან შენ ქობში! (გოსტაშაბი მიდის).

გულქანა — (ფლიქვინით) მუტლზე გაკოცე, შე ბედნიერო, და ისე შემოგიყვანე — ჩემს გოსტაშაბს კაცად აქცევს-თქვა... ტყუილად ვცდილობდი... ბოლოს, ქარი გამოდგა ყველაფერი. ეჰ, ახლა იმ მუგუზალით მართლა რომ არ წაიწყმიდოს სული, ამ ბოსელში შეეძვრები. დამე კი გამოვლოდები და სადმე ლობის ძირას ჩავუვლები. (გულქანა მიდის ბოსელში. როსტომს ეთვლემება. შემოდინ ლიპარიტე და შოშკობა).

ლიპარიტე — ეჰ, ხედავ, შოშკობა, როგორ ჩაგდებულა ეს საწყალი ტუტაში? ამის ჰკუა ვის არგებს.

შოშკობა — რა ვიცი, ხალხში ისეთი ხმა აქვს გავარდნილი, რომ...

ლიპარიტე — ხმა რა საბუთია. კრიჭინა ქვეყანას აყრუებს, მაგრამ ბუზია.

შოშკობა — ამბობენ ბრძენი საკუთარი თავისათვის სულელიაო.

- ლიპარიტე — არა, თავის ურგები არავის არ გამოადგება. (გადაეღობება) არ გააღვიძო, გზას ვაფუძვლებ... მხოლოდ მე ცოტას შევისვენებ და მერე დაგეწევი.
- შოშკობა — ააა, ქოსატყულია შენ უბრალოდ არ შეგარქვეს!
- ლიპარიტე — რაო, ეს რა წამომძახებ, ბიჭო, შენც ქვეყნის ქორს აყევი!..
- შოშკობა — ვატყობ, ჩემი მოშორება გინდა აქედან.
- ლიპარიტე — უყურე ამ ლამაზ დედლების ტურას! აბა, ეს რა წესია, ჩემად რომ ამედევნე და შემომსდიე.
- შოშკობა — ჩვენ ხომ დაფთქვით ერთად გვენახა როსტომი?
- ლიპარიტე — შენ დაიკვებნე მოვქებნიო და ვერ მოახერხე, მე კი ფასად დამიჯდა ამის პოვნა და მუქთად შეგიზიარო!
- შოშკობა — ჩვენ ხომ აზრს დავადექით, — რადგან ქვეყანა იღუპება, მდაბიო ერს კი ყველაზე მეტად როსტომის სიბრძნე სჯერა, ეს კაცია კერპად ვატაროთ და ამაზე ხელი მოვითხოვთ.
- ლიპარიტე — დმერთო მომკალი, რა დამწამა! მე სანქვეყნო საქმეს ანგარებას დავუტანიებ!
- შოშკობა — ვინ მელაპარაკება!
- ლიპარიტე — ისე იხაროს ლიპარიტემ, თუ როსტომი ბრძენია, მე წმინდანი ვარ.
- შოშკობა — მე ხომ ვიცი შენი საქმეები.
- ლიპარიტე — რა ვუყოთ, ეშმაკი ხანდახან გადამაცდენს, მაგრამ შენ რა იცი იმ ცოდვას მერე როგორ ვნანობ! ვინ ხედავს ჩემს ნამდვილ გულს, ძილში ჩაყოლილ ნადველს... შენ მარტო ჩემს გადაცდენას იმახსოვრებ, — ეს არაა მეგობრობა.
- შოშკობა — ვიცი შენი ცოდვები.
- ლიპარიტე — ჩემი ცოდვა მისთვის არ გამოგეპარება, შიგ შეზიარები და მონაგებს იყოფ, კეთილ საქმეში კი მარტო ტანჯვა გასაყოფი და ამიტომ არ ხედავ... მაგრამ გაქირდვის მეტი რა მოგეთხოვება ქალებთან მოდლიცენს.
- შოშკობა — აი, მართლა, უქეშმარიტო ხარ. შენ კი იცი იმ გაუტანლებიდან ქების სანაცვლოდ რამდენი წუმბე გადამსხნია და გეცინება.
- ლიპარიტე — პეპელასავით რომ ყველა ყვაეილებს ედები, ზოგან შხამიანიც შეგხვდება, არ იცი?!
- შოშკობა — რა ვქნა, ისეთი ფაქიზი ვარ, ყველაში ანგელოზს ვხედავ, ბოლოს კი, არათუ ანგელოზი, ათას კაბაში ერთი ქალიც ვერ ვნახე!

ლიპარიტე — რაც ვერ ნახე, მისთვის სიცოცხლეს რად იმ-
წარებ?

შოშკობა — ეჰ, უსულგულო კაცს ქალი ვერ დაჩაგრავს. მე მი-
ნახავს შენი ცოდვით მუცელდაბერილები. იფიცებდნენ —
ლიპარიტემ აშიკობით კი არ გვაცდუნა, ბევრი ფული დაგვ-
პირდა და გაგვეპარაო. ასეა, შენ ჩარჩის თვალით ზომავ
ქალებს, შე საცოდავს კი მათგან გული ბზიკის ბუდესავით
მაქვს გახვრეტილი. აი, როსტომ ბრძენი გავალვიძოთ და გა-
გესაჯოს.

ლიპარიტე — არა, როსტომს არ მიგაკარებ.

შოშკობა — რატომ?

ლიპარიტე — დიდ საქმეში ჩასათრევად უნდა დავუმეგობრდე.

შოშკობა — მეც ეს მინდა.

ლიპარიტე — შენ დააფრთხოვ, მომშორდი.

შოშკობა — არა, ახლა თუ დაეკარგე, მერე ვერ ვნახავ.

ლიპარიტე — როსტომი ხომ მაქანკალი არაა, ბიჭო, რად გკირ-
დება!

შოშკობა — არა, ქალებზე ისე ამიცრუვდა გული, მათი ნასახიც
ალარ მინდა, ბერად უნდა შევდგე. თუ როსტომმა არ და-
მაყენა ქკუაზე, ეთლად დაბნეული ვარ.

ლიპარიტე — კარგი, აბა, მე წავალ და შენ დარჩი. მხოლოდ
გული მომივიდა შენზე და, იცოდე, დედოფლის დას აწი არ
გავირიგებ.

შოშკობა — დედოფლის დას როდის მირიგებდი?

ლიპარიტე — კარგა ხანია გულში მქონდა: შოშკობას მეფის
ცოლისდას გაუფმიჯნურებ და რამეს ვისარგებლებ-თქვა.

შოშკობა — როგორ მოახეზებდი?

ლიპარიტე — ამისთვის დავუყენე ფარეშად ჩემი ნაცოლები.

შოშკობა — ოო, ეს კი მართალია, შენი ნაცოლები ემსახურება
იმ ბანოვანს.

ლიპარიტე — სულ შენს ლექსებს უკითხავს, სულ შენს თავს
აწონებს.

შოშკობა — ჰო, რა ნანატრია!.. ცხვირზე ცოტა უყარებლობა
კი ეტყობა, მაგრამ ეს უფრო მხიბლავს. ამ დროში ჩვენს
ქვეყანას ისეთი ყვაილი არ შეჩენია...

ლიპარიტე — მასაც მოწონხარ, მაგრამ აწი არ მიგაკარებ.

შოშკობა — კარგი, ელაპარაკე როსტომს, მე კუთხეში მივდგე-
ბი, არაფერს გავიგონებ.

ლიპარიტე — მაშ, სულ გადი აქედან, თორემ კაცის ყური პირზე მსუნგავია.

შოშკობა — გარეთ ქარი ასისინდა.

ლიპარიტე — ბოსელში შედი. (შოშკობა მიდის ბოსელში).

ლიპარიტე — (უახლოვდება კერას) ვიშ, სად ყოფილა სახელოვანი გორდა-ხმალი!.. რა უპატიურად გდია! ვინ მოთელის ამის შიშით რამდენჯერ მოგება დამიკარგავს და ხერელი მიძებნია დასამალავად. ეჰ, გორდა, იმ გამწარების შემდეგ მინდა ნიში შოგიგო... მაგრამ ამ ახალ კაცანათში სანატრელად გამიხდა ის დრო, როდესაც კახაბერის მარჯვენაში ელვარებდი და ერს ძრავდი მტრის მოსათრგუნავად... ახლა სადა ვარ და რას ვხედავ, რა ქამი ღგება? პატიოსანო ქართულო გორდა, ერის ცეცხლით გაქედილო, სად გდინხარ! ლმობიერება აღმეძრა როგორც კეთილს... თუმცა ეს სიკეთეც შენი წყალობაა, — თუ წინად ძლიერებით მაშინებდი და ვნატრობდი დაღუპულიყავ, დღეს. ასე დამცირებულმა, შენი სიმართლით მოჰერიე, მაგრძობინე, რომ იმ რტოს ვჭრიდი, რომელზედაც ვიჯექი... ნუთუ ასე უძლეველი ხარ? მაშ, ეგებ ეს სურვილიც აღმიძრა — დაგაბრუნო პატრონთან?.. არა, ეს მაინც არ იფიქრო. მე ისე მწარედ ვიყარე შენზე ჯავრი, უკან გზა აღარა მაქვს; ქარქაში გაგიყიდე. გაგძარცვე და მურში გადაგაგდე, თუმცა ახლა ისე დამაფიქრე, არ ვიცი, ამ ამღვრეულ ჭკუით ბრძენს რა ველაპარაკო. (გადადგავს ნაბიჯს და ნელა დაიხრება მძინარე როსტომზე) როსტომ ბრძენო!

როსტომი — (ძილში შეიშმუშნება) ვინ ხარ!..

ლიპარიტე — ძილი გაგტკობობია.

როსტომი — (თვალს იფშენებს, მთქნარებით) სიბერეა.

ლიპარიტე — ეჰ, შენისთანა კაცი რად უნდა ბერღებოდეს! შენ რომ მოკვდე. ვინ უშკელის ჭკუათ გაქირვებულს. ათასში ერთის მეტს ხომ ყველას ლაყე თავი აქვს.

როსტომი — რა მატლი გაწუხებს.

ლიპარიტე — ეე; გული კი მინდა გაგიხსნა, მაგრამ იმდენჯერაა ჩარაზული, თვითონაც მიჭირს მონახვა.

როსტომი — რატომ!

ლიპარიტე — შენც ხომ იცი, ადამიანები არაფერი არა ვართ, გარდა იმისა, რომ ქვეყანაზე ცოდვას ვაგოჯიალებთ.

როსტომი — ახლა ვხედავ ვინცა ხარ.

ლიპარიტე — მაშ, რასაც ვერ ხედავ, მასაც გეტყვი. მე ცუდმა დრომ დამაქვეითა, თორემ პაპაჩემი კიკოტე აღმოსავლეთის მეფე ქარცახამ ვეზირად დასვა.

როსტომი — ვიცი.

ლიპარიტე — საიდან გაიგე?

როსტომი — თვითონ ის ქარცახა მეფე მე ვიყავი.

ლიპარიტე — ეჭვ... (იციინს) ისე მომიგე, ვხედავ, ხუმრობაშიც ველარ შეგეცილები და პირდაპირ ვილაპარაკოთ. მე, როგორც მხედავ, ლიპარიტე კიკოტე ვარ, ვისაც საგინებლად ქოსატყუილას ეძახიან.

როსტომი — საწყალი.

ლიპარიტე — შენს მეტს ჯერ არავის არ შევეცოდებივარ. გეფიცები, როსტომ, ეს ხელობა არ მინდოდა, მაგრამ სულ ალალ-მართალთა ბრალია, — ადვილად ტყუილდებოდნენ და ამით წყალს თვითონვე ასხამდნენ ჩემ ცოდვის წისქვილზე. ბოლოს, როცა ემწარათ, ზოგი ჩემი ოინი დიდ ბატონს მოახსენეს, მაგრამ დავით მეფე ლმობიერებით ხომ ღირსეული ძეა წმინდა დიმიტრის, არც შემომხედა, მიპატია... კახაბერი კი ვერ დავაშოშმინე და ძილი დამაქარგვინა.

როსტომი — რას იზამ შენც გამიტეხე ძილი.

ლიპარიტე — ამისთვის ნუ დამძრახავ, როსტომ, ახლა შენთან მართო გასაცნობად არ მოვსულვარ, გაჭირვებამ მომდენა, შენი მეგობრობა მინდა, უნდა მიშველო შენი სიბრძნით. სამაგიეროდ, გემსახურები — ფიცს დაგიღებ.

როსტომი — სადაც გავიტეხია, იქ დადევი.

ლიპარიტე — არა, მაცდურობით არ გეუბნები, როსტომ, თუ არ გჯერა, ისეთი ტაძარი დამისახელე, სადაც კაცს ეშმაკი ვერ შეყვება და იქ დაგიფიცებ. ნუთუ არ არის ასეთი წმინდა კუთხე?

როსტომი — ღია გულში ეშმაკი ვერ ჩერდება.

ლიპარიტე — ამაზეც თანახმა ვარ. ფსკერამდე ჩაგახედებ გულში. სულ ერთია, წყლული თუ არ გაჩვენე, ველარც მკურნავ.

როსტომი — კარგ ფაფას კი მპირდები.

ლიპარიტე — თუ წიხლს არ მკრავ, როსტომ ბრძენო, ფაფით კი არა, ხიზილალთ გაგაძღებ.

როსტომი — ხიზილალა ვისაც არ უჭამია, მასაც მოსწონს. რა ვქნა, ილაპარაკე.

ლიპარიტე — (იწყებს აღსარების კილოთი) რასაც ხალხი ჩემზე ბუტ-ბუტებს, როსტომ ბრძენო, ცოტაა, ვინ მოთვლის რა ცოდ-ვა არ ჩამიდენია. კახაბერი ცნობდა ყველაფერს, მაგრამ ჩემ-ზე ხელის შესვრას არ კადრულობდა. ბოლოს, ერის ხმას აყვა და გადაწყვიტა მეფის დაუკითხავად დამამწყვდიოს ცი-ხეში მთელი ამალით. მაშინ ავწრიალდით მისგან განწირუ-ლები და შივაგენით ერთ კაკალს, რომლის ქვეშაც კახაბერს საიდუმლოდ მოსვენება უყვარდა, ორმო ამოვიღეთ, ბალახი წაეთარეთ და მივიმალეთ. ეს კაკალი, ეს ორმო და ბალახი არაკს გავს, მაგრამ თუ დახსნი ჩემს სიტყვას — ნამდვილია... ის კაკალი ისეთ უდაბურში დგას, ყვავი ნიგვზის მწიფობის დროს ძლივს აგნებს.

როსტომი — კი მესმის ყურში.

ლიპარიტე — ასეა, მოვიდა კახაბერი, ცხენი გაუშვა, საჭურვე-ლი მოიხადა, შედგა ფეხი წაფარებულ ბალახზე და ორმოში ჩავარდა. ჩვენ მისი იარაღი აეკრიფეთ და გამოვძინძულ-დით... მაგრამ იმ დღიდან სოფლის ამინდი აირია. ბახტანგ ხანმა, თავის ძმისა და სამშობლოს მოლალატემ, ქვეყნის ასა-ლაფავად თათრის ლაშქარი შემორეკა, კედლად ვერავინ და-ხვდა და ქვეყანა მოსრა, ეკლესიები მოაოხრა. ხატები ფო-ლორცებში გადაყარა. სულყველაფერი წაწყმინდა და დღეს ჩვენს ქვეყანაში არც ფიცის სიმტკიცეა, არც ნღობა.

როსტომი — შენ რაზე გეწვის კული?

ლიპარიტე — ისე გაუზნევედა ხალხი, რომ დღეს ჩემი უმსგავსო საქმეები სხვების გვერდით ბავშვის ცელქობას დაემსგავსა, ჩემი ხერხი დაძველდა. იმდენად გაცუღლულტდა დიდ-პატარა, რომ მეც შეშინია სადმე არ წამომავონ. ტყუილი და მართა-ლი აირია და ისე ძნელი გასარჩევია, როგორც ბრმისათვის დღე და ღამე. კი არ ღირს სიცოცხლე ასეთ ეამში, მაგრამ სული მწარეა და, ბოლოს, შენთან მოვედი. ამ დროებაში წყაროსავით წამოვიდა შენი სიბრძნის ქება, სუყველას შენი სახელი აკერია პირზე, შენ კი სად ჩაკირულხაო, სად ჩამარ-ხულხარ!..

როსტომი — გარეთ გზა წამხდარია.

ლიპარიტე — რა ამინდიც არ იყოს, ხალხი შემოგეხვევა.

როსტომი — კარს არაეინ არ გამიღებს.

ლიპარიტე — მართალია, დღეს ყველა საკუთარი ჭირითაა დახ-შული, მაგრამ იცოდე, რა სიტყვაც კქუაში დაუჯდებათ,

შენგან თქმულად ასაღებენ. ისარგებლე ამ სახელით და ხალხს ასწავლე.

როსტომი — რა ვასწავლო?

ლიპარიტი — ადამიანებმა სიცრუე შეიძლონ. ერთმანეთის კაცობა იწამონ, პირი შეკრან, მტერი გარეკონ და ისე ჩვენი სული ცხონდა, ქვეყანამ მალე გაიხაროს. ასეთი ქადაგებით იარე, როსტომ ბრძენო, ჩვენს სოფელ-ქალაქებში მე კი ეკლესიის მსახურივით მოგივლი და ჯამით მოწყალებასაც შეგიგროვებ.

როსტომი — ეშმაკი შემომპარე.

ლიპარიტი — რატომ? ცუდი რა გთხოვე?

როსტომი — ის ჯამი რა წმინდაა.

ლიპარიტი — ო, სად მიმიხვდი... რა ვუყოთ, როსტომ, შენი წყალობით ერში ალალ-მართლობა და ნდობა ხომ ადგება და მე თუ ხალხის სიალალეს ისევ ცუდად მოვიხმარ, ერთი ტურის კივილი ქვეყანას არ დააქცევს.

როსტომი — საიდან შემომიარა.

ლიპარიტი — აბა, სადაც სიმართლე არ სწამთ — მე რა გავასაღო, იცოცხლე, კი იპოვებიან ქვეყნის ღალატით გასუქებული ნადირები, მაგრამ მათ ჩემი ხატუნგი არ უდგება, და აქეთ მაშინებენ, მე მინდა მართალმა და კეთილმა რომ იმჩაველოს, როსტომ, ამაში დაგვეხმარე, ცუდია?!

როსტომი — ძაღლის კუდი არ გასწორდება.

ლიპარიტი — რატომ, შენს სიტყვას ყველა ყურს დაუგდებს.

როსტომი — სიტყვასთან პურსაც მთხოვენ, მშვიერები არიან. ასეთი სასწაული ჩემთვის ვერ გამიღია.

ლიპარიტი — ისე მოვახერხებ, რომ აქეთ გვიწყალობებენ.

როსტომი — მშვიერის ლუკმა წავიღო!

ლიპარიტი — მერე, რა?

როსტომი — შენ გაასწორებ, მე ჩამქოლავენ.

ლიპარიტი — მაშ, შენ თუ აიღე ხელი, ქვეყანას ვინ უშველის?

როსტომი — კახაბერი.

ლიპარიტი — ეჰ, კახაბერი მე ისე მოვაქციე, კიდეც არაკად გეტყვი, როცა ნიგოზს ქარი დაუბერავს და ორმოში კაკალი ჩავარდება, იმით სულს იბრუნებს... ის რომ იქიდან ამოვეშვა მომკლავს და ჩემს შემდეგ ქვა ქვაზე დაქცეულა.

როსტომი — სწორია.

ლიპარიტი — ჰოდა, რას მირჩევ?

(ბოსლიდან მოისმის ხმაური. იქიდან გამოვარდება შოშკობა და გამოჩნდება გულქანას ფეხი შოშკობას მოსარტყმელად მოქნეული).

გულქანას ხმა — აჰ, შე ბოროტო!.. შე მსუენავო, შე გარეწარო.

ლიპარიტე — მაქ რა ამბავია?!

შოშკობა — ბოსელში ვილაც ქალია. ბნელა, ხელი მოვუსვი და ტლინკები მომაყარა.

ლიპარიტე — ბნელში რა დაინახე მოსაწონი?

შოშკობა — სიბნელე ყველა ქალს უხდება სახეზე.

ლიპარიტე — მერე, ისე გეუცხოვა ქალის ტლინკი, რომ გარეთ გამოვარდი?

შოშკობა — კეტიც კინალამ მომაყოლა...

როსტომი — უჰ!

ლიპარიტე — რა ვუყოთ, აპატიე, როსტომ, ახალგაზრდა კაცია და მისთვის მოუვიდა, თორემ მე მაგისტანა მწყეკები გუშინ გავაფრინე. (შოშკობას) ახლა კარში გადი. (შოშკობა მიდის ბოსლისაკენ).

ლიპარიტე — კიდეც იქ მიძვრები?

შოშკობა — სახეზე თუ არ შევხედე, სული წამივა.

ლიპარიტე — (იკაეებს აღშფოთებას) ო, რა გაგანიაში მაგდებ, ბიჭო! (მოისმის გულქანას ხმამალაღი წუწუნი).

როსტომი — ის ქალი ავად აწუწუნდა.

ლიპარიტე — მას ეხლავე დავაწყნარებ. (აპირებს წასვლას) ოლონდ, შენ მოიფიქრე რამე. (მიდის ბოსელში).

შოშკობა — როსტომ ბაბუა!

როსტომი — შენ ვინა ხარ?..

შოშკობა — შოშკობა მქვიან, რა ვქნა, დრო იყო იადონად ვფრინავდი და ქვეყანა წალკოტად იშლებოდა... იმ ნეტარ ქამში, როსტომ ბრძენო, მე მგონია ადამიანის სხეულიც უფრო მჩატე იყო.

როსტომი — ასეა, ჭკუა კაცს ამძიმებს.

შოშკობა — ნუთუ ჭკუა გვაკლდა. არ ვიცი. მე ყველას ეზიბლავდი ლექსებითა და სიმღერით. ქორწილში სუფრის მამშვენებლად ვიჯექ, ტირილში მოწყენილ ანგელოზად. ოლონდ, ეს მიტეხავდა სახელს, რამდენ ტურფას ვნახავდი, გული იმდენზე იყოფოდა. ერთხელ კახაბერის ასულების დიდი ქება მომესმა. გადავიცვი ბერის სამოსელი და მათ ეზოში შევერგე თავი... მაგრამ მაშინვე მიცნეს და ძლივს გადმოვფრინდი გადავანზე. მას აქეთ რა არ გადამხდა, როსტომ... ბოლოს,

მთებშიც კი გავიხიზნე... ახლა ჩამოველ და რას ვხედავ: რაც ლამაზი ქალი იყო, თათრებს გაუკრეფიათ. ვინც დარჩა, სულით და ხორციით წაწყმედილან. ვერცხლის ჩხრიალს უგდებენ ყურს, კაცის გულის ძვერას კი არა. ზოგის გვერდით ქმრებიც ვერ იძინებენ შიშით. წინათ ქალები და კაცები ერთმანეთს აფაქიზებდნენ, ახლა კი აუმსგავსებენ... გეფიცები, როსტომ, ზოგჯერ აღმაფრენა მომივლის ლექსის მისაწერად და ქალი ვერ მიპოვია... ასეთ ყოფაში რამ გამაძლებინოს. ხე ხომ არა ვარ მარტო მიწამ და წყალმა გამახაროს!

როსტომი — ჰო, სხვა დრო და მდინარეა.

შოშკობა — მერე, ეს მდინარე სად ჩავვითანს?

როსტომი — მე რა ვთქვა. მდინარე ვისაც გაუშვია, გზაც იმას მიუცია.

შოშკობა — დღეს ერთმანეთისა არავის ესმის, შენი სიტყვა კი სად არ რეკავს, რომელ ქობში არ გახსენებენ!.. ამიტომ გამყვევი ამ კერიედან, როსტომ, ქურქს და ქალამანს მე გიშოვი, ოღონდ, გაახსენე ქალებს პატიოსნება, ქმრის ერთგულება. (შემოდის ლიპარიტი) დიდი ჭირია ქვეყნისთვის, როცა ბიწი ერევა დედაკაცებს.

ლიპარიტი — ჯერ მე არ დამიმთავრებია აქ სიტყვა და შენ გაშომეჩხირე? რას ეხვეწები როსტომს?

შოშკობა — მე ვთხოვ გამყვეს და დედაკაცები დატუქსოს.

ლიპარიტი — რისთვის?

შოშკობა — ზნეობა ასწავლოს, ქალს ის შეშვენის: მაცდურის წინაშე აულბებელ ციხედ რომ იმართება.

ლიპარიტი — მერე, ქალი თუ ციხედ იქცა, შენ რა გეშველება?

შოშკობა — მე კარს მაინც გამიღებენ, როგორც როსტომის მხლებელს.

ლიპარიტი — ეჰ, შენ თუ სამღურავი გაქვს ამ სოფელზე, მე თვალს უნდა ვითხრიდე. ხომ მართალია, როსტომ ბრძენო?

შოშკობა — აბა, ახლავე იტყვის თუ შენზე ნაკლებად დავდაგულვარ.

როსტომი — მართლაც დაქცეულა სოფელი, როცა ყვავს კაკალი ვერ უშოვია და ძერას წიწილი.

ლიპარიტი — ეს ორივეს გვიცხუნა.

შოშკობა — რატომ? (როსტომისკენ) ქვეყანა შენს ჭკუას აქებს. ამისთვის მოგნახეთ და თუ მე უკულმართი ვარ, შენ მომაბრუნე წაღმა.

ლიპარიტე — ეს სწორად გითხრა, როსტომ, მეც ამისთვის მოვედი.

როსტომი — რაც მოგიტანიათ, ის წაიღეთ.

ლიპარიტე — რა?..

როსტომი — ასეა.

შოშკობა — რა მოგვიტანია...

როსტომი — ყველას თავისი თავის ქუთით გაუმარჯოს.

ლიპარიტე — ა?

როსტომი — (ამოქნარებს) ასეა... (იძინებს).

შოშკობა — მგონია დაიძინა.

ლიპარიტე — ეჰ, ისევე ჩემს გზას გაუღდებო.

შოშკობა — წელან რა სიმართლე თქვი, მაგის სიბრძნე გამოგონილიაო. ალბათ, ქვეყანას რომ ემალება, სახელი ამისთვის გაუვარდა.

ლიპარიტე — არა, ახლა კი ვრწმუნდები, რომ ბრძენი ყოფილა — ამის სიტყვა დასახსნელია.

შოშკობა — როგორ?

ლიპარიტე — შენი თავით იარეო, ისევე ჩვენი ძველი ხერხით ვიბრძოლოთ ამას გვიჩვენებს.

შოშკობა — რა ვიცი. ამისთვის ბრძენი რად მინდოდა. (კარი გაიღება. ისმის ხმები).

ლიპარიტე — ეს რა ხმებია!

შოშკობა — მგონი ვილატეები მოდიან, წაეიღეთ. (აპირებენ წასვლას).

ლიპარიტე — (კარისაკენ) ამას ვის ვხედავ! (უკან დაიხვეს) სწორედ ის ბრძანდება, ნამდვილად დიდი ბატონია. (შედის ბოსელში).

შოშკობა — (გაშეშდება).

(შემოდის ზუფე დავით მერვე და მხლებლები).

მეფე — ვინ არის აქ ბრძენი როსტომი?

შოშკობა — ეს გახლავთ.

მეფე — (მხლებლებს) წადით, მხლებელნო, დედოფალს გადაეცით, რომ მე აქ ცოტა ხანს შევიცდი. ურმები შეაჩერონ.

მხლებელი — მოვახსენებ, დიდო ბატონო.

მეფე — ბრძენო როსტომ!..

როსტომი — ვინა ხარ?

მეფე — მე, საქართველოს მეფე ვარ, ღვთის მოწყალებით.

შოშკობა — (გაოცებული) მეფე!.. (უკან დაიხვეს) დავით მეფე მობრძანებულა! (შოშკობა მიდის ბოსელში, გარეთ ხმები შეწყდება, კარი იხურება).

მეფე — შენგან პასუხი მინდა მოვისმინო.

როსტომი — რას იზამ. ჭკვიანს კითხვა არ დაეღევა და სულელს პასუხი.

მეფე — ო, აქ რა ურვამ, ჭირის გზამ მომიყვანა!

როსტომი — ბრძანე!

მეფე — ძლიერმა მტერმა გადმოლაბა ჩემი საზღვარი, როსტომ, და მკალივით შემომესია. თბილისთან დავხვდი მთავარი სპით და ძლივს განვერე. ამ დამარცხებამ ჩემს ლომებს ჩაუდგა ჩიტის გული. სპა შემომეცალა და ვეზირები გამექცნენ... ასეთ ჭირში მოვიგონე გმირი სარდალი კახაბერი, ვაფრინე ყოველ მხარეს მისი მძებნელნი და კვალიც ვერ იპოვეს. ბოლოს, ავიყარე ჯალაბით და გამოველ გზაზე. ყველგან ვხედავ დაქცევას, ურვას... ჩინებულნი, რომელნიც იდგნენ მუხებივით, ძირმოჩეხილნი წვანან. მხედებიან მხოლოდ მდაბიონი და ვცნობილობ მათ, როგორც გადარჩენილ ფესვებს ერისას და ყურს ხარბად ვაპყრობ. ისინი მკითხავენ თანაგრძნობით გმირის კახაბერის ბედს, მე ვერაფერს ვეუბნები... გავიგე, რომ მათ შორის დიდად ქებულთა მოხუც როსტომის სიბრძნეც და ბედად აქ გიპოვე.

როსტომი — კარგა ხანია მოვხუციდი, მართალია.

მეფე — ბრძენო მოხუცო, ხეს სიბერეში არ გამოაქვს ისეთი ხილი, რასაც ახალგაზრდობაში არ იხსამდა. ამისთვის ვფიქრობ, რომ შენ წარსულშიც გონიერი იქნებოდი და მიკვირს ჩემს კარზე რისთვის არ ყოფილხარ. ჩემი მამის, მეფე დიმიტრის წინაშეც არ წარმდგარხარ?

როსტომი — გზაზე კი შეეყრილვარ, ბარემ ორჯერ თეთრებიც გადმომიგდო, როგორც გლახაკს, მაგრამ სხვებმა აკრიფეს.

მეფე — მისი კაცთმოყვარეობა ცნობილია. რა სულგრძელობით იხსნა ერი, როსტომ რას იტყვი მის ღვაწლზე?

როსტომი — კაცმა მზისუნახავების სულ-ხორციით გამთბარი ლოგინი სამარეზე გაცვალა. — მონაგებით საქმე ქნა.

მეფე — შენს პასუხში იმალება საყვედური მის /განცხრომაზე... არა, ეს მაინც სულმნათია, მეც მის გზას მივეყვებოდი, მხოლოდ ერთ ცოდვას გავემიჯნე, — ქალთა შორის განცხრომას, მე მინდოდა ისეთი სრულყოფილი მეფე ყოფილიყავ, როგორიც დიმიტრი იქნებოდა ამ განცხრომის მოკლებით, მაგრამ ახლა, როსტომ ბრძენო, ერთი კითხვა მაწუხებს: ეგებ დღევანდელი შემოუწერელი ჭირის მიზეზი არის ჩემი წარსული დღეები. მე მამის კვალს მივეყვებოდი, ყოველ საქმეში

ვბაძავდი მას, გარდა ცოდვისა, მაგრამ მან, წმინდანთა შორის ჩარიცხულმა, ერს მშვიდობა დაუტოვა, მე კი ჭირი შევყარე, ალბათ, ვბაძავდი მის ხილულ სახეს, სიბრძნე კი მისი ვერ გავიგე... გესმის შენ ჩემი მწარე კითხვა?

როსტომი — რაც მესმის, ენა ყველაფერს ვერ აყვება.

მეფე — მაშ, გზა რამ გამინათოს, როცა ჩემი აზრი არ მყოფნის?

როსტომი — კაცი იმედითაა.

მეფე — თბილისის დაკარგვის შემდეგ ბახტრიონის იმედი მქონდა და ეს აულებელი ციხეც მტერს ჩაბარდა. ბოლოს ვარჩიე ერთთა და ჯალაბით მთებს შეეხიზნოდი, აქ კი გზაზე ისეთი მეხი მომეწია, რომელმაც შენთან შეყრა მაკადრებინა და, თუმცა ძუნწად მაგებებ სიტყვას, მაინც გეტყვი ჩემს ჭირს ბოლომდე.

როსტომი — ენა გულის ცოცხია — ბრძანე. (შოშობა პანდურნაკავი გამოობის ბოსელიდან, მაგრამ მეფის მორიდებით ხმას არ იღებს. ლიპარიტე ნელა გამოყოფს თავს და უკნიდან აყურებს მეფეს. გულქანა პირახვეული გამოიჭერტს, რათა შოშობას არ დაანახოს სახე, მეფეს კი თვალი მოკრა).

მეფე — თათრის ურდოს მოუძღვება ჩემი ძმა ბახტანგი, რომელიც ჩვენ ტახტზე შემოდავებისათვის განვდევნეთ სამშობლოდან. ჩემ ძმას აქ ერთი აზნაურის ქვრივი ყავდა მხეველად, რომლისგანაც შეეძინა ასული, დედა მუცელს გადაყვა და ბავშვი მიებარეთ სოფელ წიბურში ვინმე ჩიბაურის ოჯახს. ხუთი წლის შემდეგ გავიგეთ, რომ მუცლის ჭირს ამოუწყვეტია ოჯახი და მიბარებულიც. მაშინ განდევნილ ძმისთვის ეს არ გვიცნობებია. ახლა კი ჩემი ძმა ხანად დაჯდა ჩემ სამეფოში და მითვლის, თუ სამ დღეში არ ჩამიბარებია მისი ასული, ამოვა, თვალებს დამთხრის და ჯალაბს ამომიწყვეტს. მის ლაშქარს ჩემი დევნა მთებში არ ემარჯვება, მაგრამ იმ შეჩვენებულმა ძმამ გზები იცის, ისიც უწყის, რომ ჩვენი ერი მას მეფედ არ მიიღებს და ამისთვის შურისძიებით უსივდება ნალევლი... რომ იყოს ცოცხალი მისი ასული, გავუგზავნიდი, მთებში გადახვეწილ ერთთ გადავრჩებოდი, არა-და რა ვქნა, უძლური ვარ, ვაფრინე შიკრიკნი ახალი ლაშქრის შესაკრებად, მგონია, ასი კაცი ძლივს უპოვიათ და მათთვისაც სპასალარი არა მყავს... ყველა გამიწყრა, უკანასკნელი გზა მესხლტება, და თუ რამე სიკეთეს მირჩევ, შენი ქებული სიბრძნით აღმოთქვი.

როსტომი — საქმე მთლად კარგად არ გქონია.

მეფე — სატანჯველში ვარ ჩაკეტილი.

როსტომი — გასაღები იშოვე.

მეფე — საიდან? მე მისთვის ვთელი თავს ჩაკეტილად, რომ გამოსავალი არ არის. რას იტყვი?

როსტომი — რა მოგახსენო. ბედს ისეთი გასაღები აქვს, ეშმაკის დახურულსაც აღებს.

მეფე — ბელი რომ მწყალობდეს, ამ ქოხში რა მომიყვანდა!

როსტომი — ეს სწორია. მე თვითონ ბედმა ფაცხის კარიც არ გამიღო საკუთრად.

ლიპარიტი — (შუბლზე თითი აქვს. გულქანას ჩუმად) წელან იმ სულმოკლემ რომ გაწყენინა და მე გამშვიდებლი, ისე შემომტირე, თითქოს მახოვარა. მარჩიელმა გაგზარდა.

გულქანა — დიახ.

ლიპარიტი — შენი დედ-მამა აღარ გახსოვს?

გულქანა — არა. სამის წლისა ვყოფილვარ, როდესაც იმ მარჩიელს ავეყვანივარ უპატრონო ბავშვი.

ლიპარიტი — სამის კი არა, ხუთისა იქნებოდი.

გულქანა — რა ვიცი, ის ცხონებული მეუბნებოდა, ლიხის ქედთან ზევაძა სოფელი წაიღო და იქ გიპოვეო.

ლიპარიტი — ის კი არა, სოფელ წიბურიდან წაგიყვანე. მე არ მიგაბარე მარჩიელთან!.. კარგად მახსოვს რამოდენაც იყავი, ფაფას ჯამში თვითონ ისხამდი.

გულქანა — შენ მიმაბარე?

ლიპარიტი — მაშ!.. მარჩიელი არ გიმხელდა.

მეფე — (ფიქრში წასული) ან მტრის ლაშქარს რით ვეომო, ან იმ შეჩვენებული ძმის ბოროტება რით დავაცხრო. დაფიქრდი, ბრძენო!..

როსტომი — ფიქრს ძალას ვერ დაატან, თავისით მოდის. კაცის კქუა ყმა არაა, მეფეო. (ლიპარიტე ხელით მოიშორებს გულქანას, შოშკობამ გულქანას პირბადის ჩამოხსნა დაუპირა. გულქანა შედის ბოსელში და კარს გამოხურავს. ლიპარიტე თვალცრემლიანი მიდის და დგება მეფესა და როსტომს შორის).

ლიპარიტი — ეჰ, ნეტა ასეთი ამბავი თვალით არ მენახა!

მეფე — ეს ვინ არის, რად სტირის?

ლიპარიტი — ნეტა მიწა გამხეთქოდა.

როსტომი — აქ რა მოგივიდა?

ლიპარიტი — განა შენ გეტყვი ჩემს ხვაშიადს. ისე დავითუთქე, ამ ცხელ გულზე, ერთი ჩვენი მეფე შემახვედრა, მე ვიცი რა საყვედურსაც შევკადრებდი.

მეფე — მეფეო! ჩემზე ლაპარაკობს?

ლიპარიტი — ჩემს დაბადებას ერთი გოქი აქყვირებულებო, თუ ასე უბედური ვიქნებოდი!

როსტომ — მართალია.

ლიპარიტი — ეჰ, ჩემო ბრძენო — როსტომ, კაცის თავი შენთვის ბროლის ქიქა, მანც ხედავ რა ფიქრები მიზის შიგ და რაღა დაგიმალო. შენ იცი და შენმა ნამუსმა... (დაჯდება) ჩვენს მეფეს ერთი ძმისწული ჰყავდა, ბუშად იცნო და ვინმე ჩიბაურს მიაბარა სოფელ წიბურში. მომბარებლები მუცლის ქირმა წაიღო, ბავშვიც სულს ამთქნარებდა... მეზობლებს ქირის ეშინოდათ და ვერ ეკარებოდნენ. მე ვიფიქრე მეფის სისხლ-ხორცია, ცოდვამ-მეთქი, გაეწირე თავი, ავიყვანე ეს მომაკვდავი ბავშვი და ერთ სოფლის ბოლოში მარჩიელს მივაბარე. მას შემდეგ ხშირ-ხშირად ვაკითხავდი, ვუზიდავდი კარაქინებს და შაქროვანს, იზრდებოდა გვრიტივით. მეფე თავის ძმაზე გამწყრალი იყო და ამ ამბის გამხელა გადაედე. ამ დროს ეშმაკმა მკრა და გადავიხვეწე უცხო ქვეყანაში. ხან ვირად ვიარე, ხან ვირის პატრონად და ბოლოს სოფდაგარი შევიქენი: დავტვირთე ხომალდი ოქრო-სპილენძით, აღემართე ანძა, გაეშალე აფრა, და გამოვეშურე სამშობლოსაკენ... მომეწია ქარი, ატყდა ლეღვა და მიეღი ჩემი აურაცხელი ქონება ზღვამ ჩაყლაპა. შემრჩა ხელში ანძის ნატეხი, მოვები ქამრით და დიდი ვაივაგლახით გაერიყე. მაგრამ რაც იქ ზღვაში ზარალი და გაქირვება გადამწყდა, სულ შაქრად მეჩვენება, ისეთი ცეცხლი შემომმენტო ეხლა ამ ქობში... მარჩიელი მომკვდარა, ჩემი ცოდვით სავსე. ქალი უპატრონოდ დარჩენილა და მერე ისე გაქირვებულა, რომ ღარიბ-ღატაკს გაჰყოლია ცოლად და აგერ გდია შავ ბოსელში. სწორედ ელდა მეცა რომ შევიცან. აჰ, ტყუილია, აწი ჩემს გულს დოსტაქარი ვერ მოაბრუნებს.

მეფე — როსტომ-ბრძენო, განა ღვთით არის ეს კაცი მოგზავნილი!

როსტომი — ხანდახან უნდა იფიქრო, რომ ეშმაკიც ღვთის გაჩენილია.

ლიპარიტი — ისეთ გულზე ვარ, მეფე რომ მანახა, მეტი არაფერი მინდა. ვითომ კათალიკოსი ვიყო, ისე მიემართავ, სადაა შენი მამხილებელი გონება, ანუ სვინდისი-თქვა, ცოდვა არაა შენებრ სისხლ-ხორცით დავითიან-სოლომონიანი შეურაცხ ქალად ეგდოს ბოსელში-თქვა. ა, როსტომ, რას იტყვო, ხუმრობა კი არაა ასეთი უეცარი ზაფრა.

როსტომი — რა ვიცი, მეფე აქ არის და კი ხედავ.

ლიპარიტი — ვინ, მეფე? სად არის? ამ ქოხში რა უნდა!

როსტომი — (მიუთითებს მეფეზე) ხედავ!

ლიპარიტი — ოჰ! (წამოდგება) კანდიერი სიტყვა წამომცდა, დი-
დო ბატონო, მაგრამ სულ შენი დიდი გვარის პატივისცემით,
დამსაჯეთ.

მეფე — სად არის ის ქალი, დამანახეთ.

ლიპარიტი — ეე, დამხობილა მიწაზე და გმინავს, ყველაფერი
გავახსენე.

მეფე — შენ დაუმტკიცებ მის მამას, რომ ის ქალი მისი ღვიძლი
შვილია?

ლიპარიტი — თუ დამიმტკიცებს, რომ არ არის, თავი გამაგ-
დებინოს. (შოშობას, რომელიც ბოსლის კარებში იჭვრიტება) დამე-
მოწმე.

შოშობა — დიდო ბატონო, მე ამის მოწმე ვარ. (შემოდის მხლე-
ბელი).

მხლებელი — დიდო ბატონო, ურმები დავაყენეთ, დედოფალი კი
ასე ბრძანებს გზაზე გული მიჩქარისო.

მეფე — დედოფალს ახარეთ, რომ როსტომ ბრძენთან მოსვლამ
ამ ქოხში ძმისწული მაპოვნინა, ფიცხავ გამოგზავნოს ფარეში.
ღირსშესანიშნავი ტანისამოსით, რადგან ასული უღირსად
არის ჩაცმული.

მხლებელი — მოვახსენებ, დიდო ბატონო. (გაკვირვებული მიდის).

ლიპარიტი — ოჰ, დიდო ბატონო, რაკი ჩემი ამაგი ასე დაფას-
და, თუ გინდა ის ჩემი ხომალდიც ოქროს ფარჩა-ძონძეუ-
ლით, ვერცხლის ლანკნებით და პინაკებით ზღვის ფსკერიდან
დამბრუნებოდეს.

მეფე — ასული მის მამას უნდა გავუგზავნოთ. შენ შეგიძლია გა-
ჰყვე, ჩააბარო?

ლიპარიტი — მაშ, ვის შეუძლია!

მეფე — როგორ აღზარდვ, მოუყვები?

ლიპარიტი — სულმოუთქმელად.

მეფე — მოწმენიც გეყოლება?

ლიპარიტი — ქვიშისოდენი. (შემოდის ფარეში სამოსელით).

მეფე — (ფარეშს) ასული იქ არის. ეს კეთილი კაცი გაგყვება.

ლიპარიტი — (გაუძღვება ფარეშს და შედიან ბოსელში. შემოდის გოსტა-
შაბი. იხედება უკან).

გოსტაშაბი — აქეთ, ჯონდო, ა, თვალში გამოიხედე. (შემოდის
ჯონდო დიდი მუჭუხალით).

- ჯონდო — (დაადგებს კერძაზე დიდ მუგუზხალს) რომ დამპირდი, გოსტა-შაბ, კი გაქმევეო, ეხლა?
- გოსტაშაბი — დამაცადე. (როსტომს) როსტომ-ბრძენო, ხომ ვერ აგყყარა იმ დედაკაცმა.
- ჯონდო — ერთი დო მაინც მაყლაპიე, მაწონი და პურის ყუა თუ არა გაქვს.
- გოსტაშაბი — გადი, ჯონდო, ქვის საცეხველში ბოლოკი ეყრება, მოგიხარშავ და გაქმევე. (ჯონდო მიდის) ხომ გადავაშავეთ ის დედაკაცი, ო, რა აყყია იყო, რა ცუდი სახიერი. (მიიხედ-მოიხედავს, გაკვირვებით) ესენი ვინ არიან?
- როსტომი — გულქანასთან მოსულან.
- გოსტაშაბი — როგორ, კიდეე აქა აქვს ფეხი?
- როსტომი — ესენი მის წასაყვანად არიან.
- გოსტაშაბი — ო-ო, ასე. (შემოდის ჯონდო. შემოაქვს დიდი ქვის საცეხველი).
- ჯონდო — სამი თავი ბოლოკია შიგ, ცოტაა, მაინც წამოვიღე.
- გოსტაშაბი — მაგოდენა ლოდს რად მოათრევედი?
- ჯონდო — ბოლოკი შიგაა-და!
- გოსტაშაბი — ბოლოკი ამოგელო და მოგეტანა.
- ჯონდო — ეე, როცა გშია, მაგდენი ქყუა სად არის.
- მეფე — (დოყლაპიაზე) ეს რა ღონიერი ყოფილა. რა მჩატედ მო-აქვს ლოდი.
- გოსტაშაბი — გაიტანე, თორემ გიპანლურებ. (კარებში გამოჩნდება ქონდარა. ძალიან პატარა, ჩია კაცი).
- გოსტაშაბი — შენ რა გინდა, ქონდარა.
- ქონდარა — შენს ნიგოზზე სამი კაკალი.
- გოსტაშაბი — იმას რა ჩამორეკავს, ყვაესაც ვერ წაუღია.
- ქონდარა — მე გავალ, წვერზე მოვექცევი.
- გოსტაშაბი — მაშ, ნახევარი ჯონდოს აქამე.
- ქონდარა — ვაქმევე.
- ჯონდო — ის კბილზე არ მომეცხება.
- ქონდარა — მე, გამაძლებს. (ქონდარა მიდის).
- ჯონდო — ბოლოკს მომიხარშავ?
- გოსტაშაბი — ბოლოკს რა მოხარშვა უნდა, შე დოყლაპია, არ იცი რო უმად საკმელია!
- ჯონდო — რომ არ მეყოფა?!
- გოსტაშაბი — ჩემთან არ ყოფილა, სხვაგან იშოვე.
- ჯონდო — სად ვიშოვნო?

გოსტაშაბი — გადი და გაიტანე, თორემ მაგ ლოდს გაგიშლი და კაკალივით გხეთქავ თავში.

ჯონდო — (უცხად გარბის ტვირთით).

მეფე — კაკალივითო, ანოდენა ლოდს? ესეც დევია?

გოსტაშაბი — (როსტომს) სად ჯანაბას მიყავთ ის გომბიო?

როსტომი — დიდ ბატონიშვილთან.

გოსტაშაბი — ეჰ, ნეტავ იქ რა შავ ქვად უნდათ?!

როსტომი — შვილად.

გოსტაშაბი — შვილად?

როსტომი — კი.

გოსტაშაბი — (გაკვირვებული წამოდგება) რატომ, ა?

როსტომი — მეფის ძმისწული ყოფილა.

გოსტაშაბი — საიდან?

როსტომი — დაბადებიდან.

გოსტაშაბი — როგორ?

როსტომი — დიდ ბატონიშვილის ასულად იცნეს.

გოსტაშაბი — ვინ? (განოდის გულქანა მეფის ასულის სამოსელში, ფარეში სარკით ხელში კიდევ უსწორებს წარბებს, წაწამებს, ლიპარიტე გაბრწყინებული მოსდევს. გულქანა განშეწვენიერებულია, ჰაეროვანი, გოსტაშაბი გაკვირვებული უცქერის).

მეფე — ეს არის?

ლიპარიტე — დიახ. თქვენი სისხლი და ხორცი.

მეფე — კარგი სახიერი ყოფილა.

შოშქობა — ო, რა ჯადოა, ჩვენ მხოლოდ სახეს ვხედავთ ამისას, მისი ტანი კი ოქრო-ქსოვილში იმალება და... ისე ფარავს ეს სამოსელი უმანკო ტანს, როგორც ღრუბელი ახალ მთვარეს.

ლიპარიტე — იქეთ, შოშქობა, არ მიეკარო, არ წამიწყმიდო!..

გოსტაშაბი — გულქანა...

გულქანა — (ფარეშს) ურემი მიცდის?

ფარეში — დიახ, კარებთან დგას, ძვირფასად გავაჩარდახეთ.

გულქანა — იქ ეს ქოშები ხომ დამესვრება!

ფარეში — ხელზე აყვანილს დაგაბრძანებთ.

გოსტაშაბი — (თავისთვის) რა ხატისთვალია. (ხმადაბლა ეძახის) გულქანა...

გულქანა — (ფარეშს) ხელშიც უნდა ამიყვანოთ ქუქულივით, თქვე საწყლებო?

გოსტაშაბი — გულქანა...

გულქანა — (მოუხედავს) მესმის, როგორი ხმა გაქვს, გოსტაშაბ, თითქოს საიქიოდან მეძახი, შე საწყალო.

გოსტაშაბ — ჰო-და!.. რას მიპირებ?

გულქანა — რა ექნა, უნდა დაგლოცო.

გოსტაშაბი — სად მიდიხარ, ღვთის გაჩენილო!

ლიპარიტე — თავის სასახლეში მიბრძანდება, დიდ ბატონო-შვილთან.

შოშკობა — მე დაუღალავად ვსდევ ფეხის ნაკვალევში.

ლიპარიტე — (შოშკობას) ო, რამდენ შოლტს გადაგაწყვეტ კი-სერზე!..

შოშკობა — ჩვენ ხომ შევფიცეთ მეგობრობა?

ლიპარიტე — არა, მას აქეთ ქვეყანა გადაბრუნდა.

გოსტაშაბი — აქ კი მიწა უნდა გავაპო. (სტაყებს ხელს კბის და გულქანას გადაეღობება) ვერ გაგიშვებ!..

ლიპარიტე — (უცბად) ეს კეტი გადააგდე, გოსტაშაბ! (მიუთითებს მეფეზე) ის მეფეა, ხატმა აგატრუა? რაებს ბედავ ამოდენა ბატონთან!..

გოსტაშაბი — მეფე? მეფე!.. (კბი ხელიდან გაუვარდება).

მეფე — სალამი, ჩემო ძმისწულო, მშვენიერი ბანოვანი ყოფილხარ, შენი დანახვით ეგებ თვითონ მშობელმა სიკეთე მოიფოს.

გულქანა — მეფეო, შენი სალამი მზესავით მეფინება, ოღონდ გული, უცხო ბედით, ვითომ გამომიცვალეს, ისე ტოკავს, ვერ ვერევი, ბუდეს არ ეკარება.

მეფე — შენს ამღზრდელს ვეტყვი ჩემს წყალობას. (ლიპარიტესაკენ მიბრუნდება).

ლიპარიტე — (უახლოვდება მეფეს) დიდო ბატონო, ისეთ ავკაცთან მიმყავს ქალი, რომ კარგის სამაგიეროდაც ეგებ ბოროტი მიზლას და შენ რას მიწყალობებ?

მეფე — შენ იმდენი სიკეთე უყავ ქვეყანას, ცოტა არ გერგება, ბევრი კი აქ არ გამაჩნია.

ლიპარიტე — იმდენი მაინც მიბოძე, რომ სულის სალოცავად დავტოვო მონასტერში.

მეფე — საიქიოს საცხონებლად შენთვის ეს საქმე კმარა, სააქაოსათვის კი ერთ რჩევას გიწყალობებ, თუ ბახტრიონში გაგიპირდეს, ჩრდილოეთით კოშკის კედელზე სუროში თავი შერგე, იქ ყვითელ ქვას ფეხი ჰკარი და ხვრელში შეხვალ, რომელიც სამშვიდობოს გაგიყვანს. ხოლო, იცოდე, ეს საიდუმლო არა დიდისაგან შობილს არ გაუმხილო.

გოსტაშაბი — (მიღის გულქანასთან) შენი ქმარი ვარ, ხომ გახსოვს...

გულქანა — რა დამავიწყებს, ცოტა უღელი ვწიეთ ერთად?..

გოსტაშაბი — ჰო-და, თვალის სინათლეც, ჩემო სულო და გულო გულქანავ!.. (ალერსით გაწვილ ხელზე მოედება მძივები) რა გიხდება ეს ოქროს ქსოვილები, ეს მძივები...

გულქანა — (ხელს გაწვევინებს) აჰ, მასე აიშლება. (ფარეშზე) რა წვალეებით დააწყო, იმ უბედურს შრომა არ დაუქარგო.

გოსტაშაბი — არ წახვიდე.

გულქანა — მაშ?

გოსტაშაბი — ჩემთან დარჩი.

გულქანა — რა გითხრა, რა ვქნა... ჩვენ სხვას ვერთავდით, ბედმა კი ეს მოგვიქსოვა. კისერზე უღელს ვიდგამდი და ბედმა ჯილა დამადგა, ისე უეცრად, რომ გული მიკანკალებს.

გოსტაშაბი — წაიღონ თავისი მოტანილი ნივთები... გაატანე ეს ოქროს ქსოვილები და ეს ნათელი თვლებიც და დარჩი... შენ ყველა თვლებზე მეტი სინათლე გაქვს... (მუდარით, ალერსით) ჩემო მტრედო, გულქანა, უბედურის შებრალება არ იცი!..

გულქანა — თვალიც მტკივა რომ გიყურებ, გოსტაშაბ, ოღონდ უფალმა სხვა გზა დამიდგინა. სხვა ცოდვა-მადლი მეკითხება — ღვთისაგან დავბადებულვარ დავითიან-ბაგრატოვანად... მამა მყავს დიდი ბატონიშვილი... თურმე რისხვის მთესელია ის უბედური... მივალ და ვეტყვი სულზე იფიქროს, რაც უთესია აწი იმას არ ვათესინებ.

გოსტაშაბი — ის მამაჩემსავით ჩაგაბარებს გულს?!.

მეფე — გადადექით, გაუშვით ბანოვანი.

ფარეში — მივდივართ, დიდო ბატონო!

გულქანა — (აპირებს წასვლას).

გოსტაშაბი — (გულდაწყვეტილად) გულქანა!

გულქანა — (შეყოყმანდება. წაქეულ კოკას გაასწორებს. განჯინის კარს მიხურავს) იმ ხალამში თხლეს ვინ ჩაასხამს... შე საწყალო, სულ წახდება.

მეფე — (გულქანას) ფეხი რად გეკეცება?

გულქანა — რა ვქნა, ბიძია ბატონო, ამაგი მრჩება: ნაჩეჩი და ნაქსოვი. (აპირებს წასვლას, შეჩერდება) ჩემი გამოთლილია დიდი გობი და პატარა ჯირკი, კოვზი, ჯამებიც.

მეფე — კარი გააღეთ, გზა მიეცით. (გულქანა, ფარეში, ლიპარიტე და მათ უკან შოშკობა მიღიან).

მეფე — (მობრუნდება გამოსამშვიდობებლად როსტომისაკენ) როსტომ (შემოდის შიკრიკი).

შიკრიკი — ახალი ჯარი მოვიდა — ასი კაცი. (მიდის).

მეფე — მშვიდობით, მოხუცო, თუ კარგ ფეხზე შემხვდი, არ დაგივიწყებ.

გოსტაშაბი — (მეფეს გადავლობება) ეს რა მიყავი, ცოლი წამართვი, მეფე ხარ და ვისთან გიჩივლო... ბარემ ეს თავიც გამაგდებინე, რას უყურებ.

მეფე — ეს ყმა ვაჟაკად სჩანს, მებრალვის, რომ მაგის ცოლი ბახტრიონში გავვზავნე.

გოსტაშაბი — ბახტრიონშიო? ის ხომ უსჯულოებმა აიღეს?!

მეფე — ჩემი ძმაც ქვეყნის მოლალატეა.

გოსტაშაბი — მაშ, ქალი რად გაუვზავნე?

მეფე — მე უძლური ვარ. (კარები ფართოდ გაიღება. მოისმის ჯარის ხმაურობა).

გოსტაშაბი — ამოდენა ჯარის პატრონი უძლური ხარ?

მეფე — ეს სულ ასი კაცია, ულუსი კი უანგარიშო, ულეგია...

გოსტაშაბი — მე რომ მეფე ვიყო, თათრებს ზღვას იქეთ გადავრეკავდი... ქვეყნის მოლალატეებს ნაცარტუტად ვაქცევდი, სულ ჯარასავით ვიტრიალებდი და როგორც ამ ხელისგულზე ბანალი არ არის, ისე გავწმენდდი მავნეთაგან ჩემს ქვეყანას... მინდორ-ველებზე ოქროს ყანებს ვანანავებდი და ჩემს ლამაზ მტრედს ვაფრენდი და ტკბილად ვალუღუნებდი...

მეფე — ჩემი ძალა სულ ეს ასი კაცია და მათთვისაც სპასალარი არა მყავს... თუ გინდა გადმოგცემ მათზე უფროსობას და ეკვეთე ციხე ბახტრიონს.

გოსტაშაბი — კი, გულით შევასკდები. (მოისმის ხმები. შემოდის შიკრიკი).

შიკრიკი — ჯარი კახაბერის სახელს იძახის.

მეფე — ის მრავალ გზით ეძიეს და კვალიც არა სჩანს.

შიკრიკი — ისეთი სარდალი მაინც მოგვეცით, რომ მის ცხენზე შეჯდესო.

გოსტაშაბი — მე შეეჯდები, დიღო ბატონო!

მეფე — ტაიქი მოიყვანეს?

შიკრიკი — დიახ, ოთხი საბელით ვერ ამაგრებენ.

გოსტაშაბი — (კარში გაიხედავს) ოჰ, აიწყობა! რა საშინელია!

შიკრიკი — (გარეთ იხელება) დიღო ბატონო, გაიქცა ის ცხენი, გადაირია...

მეფე — ცხენის კვალს ერი გაჰყევს, მოუცდენლად სდიეთ და ის მოგანახვინებს თავის მხედარს.

შიკრიკი — გაიქცა. ხალხსაც სთელავს... საბელი გაჰყვა. (მოისმის ცხენის ჰიხინი).

გოსტაშაბი — (შემკრთალი უკან დაიხვეს) მასზე ვინ შეჯდება, რა ცხენია, ხალხი მოარიდეთ, ფლოქვებით არ გასრისოს.

მეფე — მაგის მხედარი არ გაჩნდება და ჯარს უბრძანე სარდლად ის მიიღონ, ვინც ჩემი ნიშნით ციხეზე ხერელს იპოვის.

გოსტაშაბი — ის ხერელი მე გამანდე, მეფეო... ჯარი გამატანე.

მეფე — როცა ცხენმა ასე დაგაფრთხო, როგორ გენდო!

გოსტაშაბი — როსტომ, მეფესთან შემეწიე!

როსტომი — ცივა, კერა ჩაიფშუტა, მარტო რკინა დარჩა, ალი არ ეკარება.

გოსტაშაბი — აი, ეს კარგი გამახსენე. (კერადან ხმაღს ამოიღებს) იმ პიოცეცხლიანზე ვერ შევჯექ, ღიღო ბატონო, თორემ ხმაღი ისეთი მაქვს, რკინას ყველივით გავჭრი.

მეფე — რა, ფოლადია? (აკვირდება) ოო, ამ გორდას ვინ არ იცნობს!

მხლებელი — კახაბერის გორდა! აგერ ნიშანიც!..

შიკრიკი — აქ საიდან გაჩნდა?

მეფე — გასამურად ვინ გაიმეტა?

გოსტაშაბი — სასწაულმა გვანიშნა ჩემი კერის ალზე გამეველო, მეფეო.

მეფე — შიკრიკო, ეს ამბავი ხალხს გადაეცი! (შიკრიკი მიდის, კარს ჯარი მოადგება).

ჯარი — კახაბერის ხმაღი ვისა აქვს!..

ხმები — ვის ჩააბარა ღმერთმა!

გოსტაშაბი — (კარებთან ამოღებული ხმლით) მე მაქვს, ბედისგან ბოძებული. აი, ეს არის...

ხმები — სპა გელოდებათ.

მეფე — (გოსტაშაბს) მაშ, ხერელს განიშნებ და უწინამძღვრე, რადგან ასე გიღულს გული და გერჩის ღონე.

მოქმედება მეორე

ბახტანგ-ხანის დარბაზი ბახტრიონში. წინ თანჯარაა, მარჯვნივ—ბახტანგ-ხანის სასვენებელი ოთახის კარი, მარცხნიდან ორი კარია—ერთი ბაღში გასასვლელი და მეორე უფრო დიდი—გარედან შემოსასვლელი. დარბაზი მორთულია ქართული ჩუქურთმებით. რამდენიმე მბევალი შესწუვეტს ცეკვას. სასვენებელ ოთახიდან გამოდინან ბახტანგ-ხანის მხეველები და თავს იყრიან საჭურისის გარშემო.

1 მხევალი — (მეორეს) ხათუნ, ძვირფასო, მე ხომ ყველაზე კარგად ვცეკვავდი.

2 მხევალი — მართალია. სულ ჩიტყვით ფრინავდი.

1 მხევალი — მერე, აი, როგორ გამომისტუმრა ბახტანგ-ხანმა, არ ისურვა მასთან დაერჩენილიყავ, სულ ტყუილად მოვიქანცე.

2 მხევალი — მე კი სულ ალი შეკიდებოდა, საყვარელო. შენც ხედავ ვარსკვლავით ვკიაფობ ამდენ ცოლებში... ბახტანგ-ხანი მხოლოდ ფატის ამჩნევს.

3 მხევალი — (პირველსა და მეორეს) ბედია ყველაფერი, ჰო, ბედი, თორემ ფატი რა ისეთი მზე და მთვარეა.

2 მხევალი — რა ნნათობებს ადარებ იმ სულელ ბავშვს, ჯერ უმწითარი ნაყოფია.

მხეველები — ბედია, ბედი, ყველაფერი! (უკანასკნელად სასვენებელი ოთახიდან გამოდის ფატი, დაღვრემილი, ყველა ქალები გამბიარულდებთან).

მხეველები — ფატი! ფატი! ჩვენო გულის ყვავილო!

საჭურისი — აი, ფატიც გაწბილებულია, ჩეფემ საწოლში ვილა დაიტოვა? ნუთუ არავინ! რად გიხარიათ, ოფოფებო, სულ ტყუილად იხარჯება თქვენზე ყვითელ ყვითელი.

ფატი — მეფეთ-მეფემ დაიძინა, საყვარელო ხათუნებო!

მხეველები — მერე, შენ რამ დაგალონა, ძვირფასო ხათუნ, დაიძინოს, მაშ სულ შენ გიცქიროს, ჩემო მშვენიერო? სიამის ძილი ჰქონდეს.

საჭურისი — ჰაიდა, ენა ნუ გაგივლიათ, წელი კი ყველას ლერწამით გაქვთ, თქვე უნაყოფოებო, მრცხვენია ასეთ ჰარემში ვიჯდე საჭურისად.

- ფატი — რა ვქნათ, როცა თავზე გვამთქნარებს მეფეთ-მეფე.
- საკურისი — (გააღებს ბალის კარებს) ჰაიდა, ბალში, ცივ შადრევანზე იყუშვალეთ!
- მხეველები — მაშ ცივ წყალში დავგრილდეთ, ჩავხტეთ... ვიცუ-
რაოთ!
- საკურისი — ეჰ, წყლის კალმახები ხართ, მეტი არაფერი.
(ფატი ნანატლავდება. მხეველები და საკურისი მიდიან, კარს გაიხურავენ, ფატი დაჯდება ფანჯარასთან, ფანჯრის იქით რაღაც მოემის და მლეღვარედ იტკირება).
- ფატი — ოჰ, მესამედ მოსულხარ ამ ფანჯარასთან, საბრალო ვაჟო!
დარაჯის როგორ არ გეშინია? ვაჟო, ვინ არის გულქანა?
აქ გულქანა არავის ქვიან. თვალებით რას მეაღერსები? მე
წელან გაგებუტე და შენ კი ისევ აქ მოსულხარ. როგორ ბე-
დავ, ხომ გითხარი რომ ბახტანგ-ხანის ცოლი ვარ, ქვეყნის
თვალი.
- შოშკობა — მერე რა, თუ გლახაკი წმინდა ხატს ეამბორება, სა-
ხელოვანი რაინდი ღირსი არა ვარ, ხატის მსგავსებას რომ
გიქვრიტო!
- ფატი — ეს რა მომიგო!
- შოშკობა — უსამართლოდ მტანჯავ.
- ფატი — სახელოვანი რაინდი ხარ?..
- შოშკობა — დიახ, მე უბედური.
- ფატი — რათა ხარ უბედური?
- შოშკობა — მისთვის, რომ მეტუტები. აი წელან თავის დასახრ-
ჩობად წავედი და შენმა სიყვარულმა უკანვე მოძაბრუნა. ასე
ეტრიალებ ჯარასავით სამოთხესა და ჯოჯოხეთს შო-
რის.
- ფატი — ო, რა მძიმე ცოდვას მაბრალებ... არა, მე შენი გაწირ-
ვა არ მინდოდა, გეფიცები ხუმრობით გაგებუტე და, რო-
დესაც წადი, კინალამ ვიტირე.
- შოშკობა — შენ რომ დამიტირებდე, ო, მაგ ბედნიერებისთვის
კი სიამით მოგკვდებოდი.
- ფატი — ო, რა ფიცით შემომიჩნდი, ვაჟო, რა გინდა ჩემგან!
- შოშკობა — მინდა ისე მოვერგოთ ერთმანეთს, როგორც შან-
დალი და სანთელი.
- ფატი — არ მოხერხდება.
- შოშკობა — რატომ არა, ქვეყნის სინათლე?
- ფატი — ბედი არ მალირსებს შენს გულზე სანთლად ვიპარპალო,
ოქროს შანდალო!

შოშკობა — მაშ, გადმოსწიე ფანჯარაზე ხელი.

ფატი — რათა?

შოშკობა — ხელისგულზე ბედის ამოცნობა ვიცი, ჩვენს მომავალს ამოვიკითხავ.

ფატი — დარაჯებმა რომ თვალი მოგეკრან, მაშინ? მაშინ ხომ ორივეს იმ მომავალს დაგვიბნელებენ!..

შოშკობა — აბა, რათა, ცაში ნაბანო ვარსკვლავო!

ფატი — იმიტომ, ქვეყნის დამწველო, რომ შენ ეშმაკის დანთებული ცეცხლი ხარ. (დააყურებს კანკალით) ჰო, კარგი, აი, ჩემი ხელი... ვნახავ, როგორი მკითხავი ხარ. (უცბად შეჰკივლებს) ააჰ, ქორივით მეცი!..

შოშკობა — გადმოფრენილი მტრედია შენი ხელი.

ფატი — ღვთის გულისათვის... ღვთის გულისათვის, თითები არ წამაკვნიტო. ნეტავ ეს რა მადლია, არ მესმის არაფერი... გულზე სულ ცხლად მაწვება... ახლო მოიწი, უფრო ახლო, თორემ ლამის გადმოვარდე! თუ გინდა მაკოცე ხელზე, ოღონდ არ მიკბინო, თორემ ვიკივლებ... რას ამბობ, ცეცხლი მეკიდება ლოყებზე... (უცბად) გაიქეცი, დარაჯმა დაგვინახა. ხელი გამიშვი, გაიქეცი, თავს უშველე, ჩქარა, ჩქარა! ხელი გამიშვი! (შოშკობა ფანჯარაზე ამოყვება ფატის ხელს).

შოშკობა — დამინახა და როგორ გავიქეცი, ხომ წინ დამხვდება!

ფატი — (სასოწარკვეთილებით) გამამხელს ის დარაჯი, მერე დამახრჩობენ... გაიხარებენ სხვა ცოლები... ეს რა შავი დღე გამითენდა, რას შევეყარე...

შოშკობა — ჩუ!.. (დააყურებს) ჯოჯოხეთში რომ გავიგონო, იქაც ვიცნობ ლიპარიტეს ხმას. (გაუჭკრეტს კარის კლიტიდან გვერდით კარებში) ვხედავ, ვხედავ გულქანა მოიყვანა.

ფატი — მაქ დიდ სტუმრების დარბაზია! (მიუთითებს დიდ კარებზე) გარეთ აქედან გაისვლების...

შოშკობა — მაშ, გავალოთ და გავიქეცეთ.

ფატი — იქ დარაჯებია. სახლთუხუცესის ბრძანებით უშვებენ.

შოშკობა — სხვაგვარად არა?

ფატი — კიდეც ბახტანგ-ხანის ბეჭდით, მხოლოდ იმ განძს ხანი არავის ანდობს.

შოშკობა — ო, მეც გამიგონია ამ ბეჭდის ამბავი, მაგრამ თუ არავის ანდობს, როგორ უშვებენ იმით.

ფატი — ზოგჯერ ხანი პირბადით გამოდის ციხის დასაზვერად. მაშინ იმ ბეჭედს დაანახებებს დარაჯებს და გზას აძლევენ. ოო, მართლა, ის რომ მოგცა, ერთად გავფრინდებით.

შოშკობა — მერე, სად არის ის ბეჭედი?

ფატი — სძინავს და ზედა აქვს.

შოშკობა — მაშ, გამოაძრე და მომიტანე.

ფატი — ამას მე როგორ მოვახერხებ.

შოშკობა — ქალმა რომ ვერ მოახერხოს, ისეთი რაა ქვეყანაზე. მათთან ამაზე საკვირველიც გადამხდენია. მაშ, ჩქარა, ნუ ვიბნევი.

ფატი — მეშინია.

შოშკობა — რას ამბობ, მუშკის სულა, სიკვდილი უფრო საშინელი არაა! მერე საფლავიდან ხომ ვერ გავიპარებით!

ფატი — რა ვქნა!

შოშკობა — დროს ნუ კარგავ.

ფატი — ჯერ დავხედავ, თუ სძინავს. მერე, რა ვიცი, შეეძლებ? ვატყობ, სხვა გზა არ არის, დავილუპე... დავილუპე! (ფატი მიდის ბახტანგ-ხანის ოთახში).

შოშკობა — (კარებში იპვირტება) ოჰ, რა მშვენიერებად დგას გულქანა, მე კი სააქაოს ვშორდები. არ ვიცი, რა ვიღარდო. ქვეყანა თუ ეს ქვეყნის თვალი. (კარებში იძახის) ლიპარიტე!

ლიპარიტეს ხმა — ვინა ხარ?

შოშკობა — ყური კლიტეს მიაღვეი, შოშკობა ვარ.

ლიპარ. ხმა — აქ რა გინდა?

შოშკობა — დამლუპე კაცი, ორმოში ჩამაგდე, გულქანას კვალზე გამოვყევი და ეს მომივიდა, თუ სინდისი გაქვს, ლიპარიტე, გადამარჩინე.

ლიპარ. ხმა — მასეთი რა გაგიკირდა!

შოშკობა — საქალეთში შემოვძვერი, ხანის ცოლი ავიყოლე და დარაჯები წამოგვადგენ, გასაქციევი არსადა მაქვს.

ლიპარ. ხმა — მერე რა გიყო?

შოშკობა — მიშველე, ან მირჩიე რამე.

ლიპარ. ხმა — ისეთ დღეში ჩაგიგდია თავი, ვერც გიშველი და არც მახსენო! როსტომის თქმის არ იყოს, საკუთარ კეპით გაგიმარჯოს.

შოშკობა — უჰ! (შემოდის ფატი ხელში ბახტანგ-ხანის ბეჭედით).

ფატი — აი, ბეჭედი, ხანს მკვდარივით ძინავს, საკურისიც გასულა.

შოშკობა — (გამოართმევს ბეჭედს) როგორ ქათქათებს. მაშ, ახლა ჩვენთვის გზა გახსნილია?!

ფატი — ჰო, ჩქარა გამოვეწყოთ.

შოშკობა — მოეუსვათ.

ფატი — მერე, ნეტავ სად წამიყვან, რაინდო?

შოშკობა — ბროლ-შუშაბანდში.

ფატი — იქ რას იზამ?

შოშკობა — მარგალიტად დაგვამ და ქებას გიგალობ.

ფატი — რას მაქმევ?

შოშკობა — შაქარს.

ფატი — რას მასმევ?

შოშკობა — ბადაგს.

ფატი — ნეტავ შენს ენაზე დამადნო!

შოშკობა — (კონის) ფოფინა თვალებს ვენაცვალე.

ფატი — ჯერ მივიდეთ შენს ბროლ-შუშაბანდში, ჩემი ფოფინი მაშინ ნახე!

შოშკობა — მაშიებში ფეხი გაჰყავ, ჩქარა კაბა მოისხი, გზას გაუდგეთ, ჩქარა, ჩემო სიცოცხლე!

ფატი — გზას გაუდგეთ, გზას, გზას, გზას! (დახტის კუთხეებში სამოსელს ეძებს და იცვამს ფეხზე).

შოშკობა — (კარებში) გამოიქვრიტე, ლიპარიტე, გადავრჩი, ბახტანგ-ხანის ბექელი მოვიტაცე და ამით მიმყავს მისი ცოლი. აი, შეხედე!

ლიპარ. ხმა — კარგი მეხი დაგცემია.

შოშკობა — ხომ იცი, რა განძია, ეს კეისარმა დიდ ყაენს უძღვნა, თავის ზღუდის გადასარჩენად. ყაენმა კი ბახტანგ-ხანს — ჩვენს დასაპყრობად. თუ გულქანას მარგუნებ, ამ ბექელს შენ გაგიყოფ.

ფატი — რაო? ეს რა უთხრა? — (ფატი იმოსებოდა და შეჩერდა) შენ სხვა ხატი, გყავს, მაშ მე რად ამიკიდე!

შოშკობა — ჩემი გული ტაძარია!

ფატი — როგორ!

შოშკობა — ეკლესიაში რამდენიმე წმინდანის ხატი არ გინახავს, ხატები ამისთვის ტაძარს არ დააქცევენ, თქვენ კი ისეთები ხართ, კაცის გულში მეორე ქალის ლანდმა თუ გაიარა, შვილდევით მოიმართებით.

ფატი — მაშ, მართლა სხვა გიყვარს? ჩქარა გატყდი, ენას უძვლოდ ნუ ატრიალებ.

ლიპარ. ხმა — შოშკობა! (შოშკობა დააყურებს) ბევრი ვიფიქრე, მაგრამ გულქანას წამოყვანა ახლა არ მოხერხდება, ისე კი მაგ ბექელი არ დამიკარგო.

შოშკობა — თუ მას ვერ მომგვრი. ბექელზე რა თვალი გაქვს?

ლიპარიტე — შემინახე, თუ გულქანას ვერ გაგირიგებ, უქალოდ მაინც არ დაგტოვებ.

შოშკობა — უქალოდ კი არა, ხანის ცოლი მომყვება. იმდენ ზეტებშია ნაბანი, ასეთი სუნი გაზაფხულის ბალსაც არა აქვს.

ლიპარიტე — ბექედს მაინც მოუარე, მაგ ისეთი განძია, გონივრად უნდა გასაქმება, მარტო ვერ უპატრონებ.

შოშკობა — ნუ გენალვლება. (მოუბრუნდება ფატის) ჩემო კეკლუცო. მამატიე, გეფიცები, აწი შენს მეტს არავის შევიყვარებ, ბედმა ასე ინება და კარგია. ორი მიჯნურის ხელში კაცი უფრო საცოდავია, ვიდრე კოზაკი აქლემების ჩხუბში.

ფატი — აი, შენი მოსახვევი. (აძლევს მოსახვეს) მეც მზადა ვარ. გააღე კარი. მე ახლა სიკვდილს გაეუბრებივარ. გული კი მწყდება შეჩვეულ გაღიაზე... შენ უკვე შემამინე.

შოშკობა — გაფორინდეთ, ჩემო ნანატრო, ნუ გეშინია, ჩიტი ცაში არ დაიკარგება.

ფატი — შენ მარდი ფრთოსანი ხარ, მე კი ჯერ ბუდეს არ გავშორებივარ.

შოშკობა — ნუ, ჩემი მხარით გადაგაფრენ, ისეთ ნეტარებაში აგიყვან, ცა ძირს მოგექცევა. (შოშკობა და ფატი მიდიან. შემოდინან მთავარი კონსტანტინე, მთავარი გვანგვა, ბატონიშვილი ვაჩე, ერისთავი ბეშქენ, ათაბაგი შანუ და სახლთუხუცესი).

სახლთუხუცესი — მოვახსენებთ მეფეთა-მეფეს, რომ დარბაზი ელოდება, თქვენც შეხვდით ამ უცხო წესით, რომელიც ჩვენში შემოიღო მან, დაიპყრო რა თათრების შეწევნით ტახტი.

დიდებულნი — გაგვხადოს ნახვის ღირსი.

სახლთუხუცესი — ნამძინარევი იქნება, რამეს, სასიამოვნოს ეტყვი. (მიდის).

მთავარი გვანგვა — ეს რა შემოიღო, განა ყოველ ნამძინარევეზე კარგი ამბავი უნდა ვუთხრათ?

ბეშქენ ერისთავი — ვერცხლი და ლაშქარი ყაენის ნაბოძები აქვს და აბა წესები ვისი ექნება, მთავარო გვანგვა.

მთ. გვანგვა — ეს ასეა... მაგრამ რამდენი მაგას დაეძინება და გაელვძიება, იმდენი კარგი ამბავი ჩვენში სად მოინახება!

ვაჩე ბატონიშვილი — მაშ, ის გერჩიათ, გაქცეული მეფე, რომ სულ ცუდ ამბებს კითხულობდა?

მთ. გვანგვა — რას ბრძანებთ, ბატონიშვილო ვაჩე...

მთავარი კონსტანტინე — ახლა რა გვიპირს, ბახტანგ-ხანმა მტერი ისეთ მოყვარედ გადაგვიქცია, რომ ჩვენი ციხე-სიმაგრეებიც კი ჩააბარა.

ათაბაგი შანშე — შეიძლება ქალ-ვაჟები მოითხოვოს, ყანმა ჩვენი საბატონოებიდან, — ნუ გაიკვირვებთ.

ბეშ. ერისთავი — მეც ვაგიგე, რომ დღეს ასეთ რამეს მოგვთხოვენ, მაგრამ ამისთვის ნუ დავემდურებით, მაინც უკეთ ვიბატონებთ.

მთ. გვანგვა — არა, ეს რა საფიქრალია, დიდებულო ბეშქენ. მე ხომ ბახტანგ-ხანის შეწევნით გავაძვეე უფროსი ძმა და თვითონ ვიპყარ სამთავრო. მთავარმა კონსტანტინემ იცის, რა გადამხდა.

მთ. კონსტანტინე — ჩვენ არა მარტო ნათესავენს, ერსაც ბახტანგ-ხანის შეწევნით ვთურგნით. (კარისკაცებს და სახლთუხუცესს შემოჰყავთ ტახტზე ფეხროთხმული ბახტანგ-ხანი).

ათაბ. შანშე — გაუმარჯოს სიბრძნეს!.. სიბრძნე სინათლეა, ძალაა.

დიდებულნი — ჭეშმარიტად სინათლეა!

ბახტანგ-ხანი — მთავარ-დიდებულნი, ეგებ თქვენ გულში ფიქრობთ, რომ ჩენზე ჭკვიანები ხართ. ეს რომ ასე იყოს, მაშინ თქვენ ტახტზე დაბრძანდებოდით და მე ფეხზე დავდგებოდი, მაგრამ ტახტზე მე ვზივარ და ფეხზე თქვენ ღებხართ, მაშასადამე, მე თქვენზე ჭკვიანი ვარ.

ბეშ. ერისთავი — გესმით, რა სიბრძნე წარმოსთქვა!

ვაჩე ბატონიშვილი — ჭკუის კოლოფია... თორემ ეჰ, რეგენი მამაჩემი რას მოიფიქრებდა სათათრეთში წასულიყო, ოცწელიწადს მოეცადა და შემდეგ ყანის ლაშქარი გამოერეკა საქართველოს ასაღებად. იმ უბედურმა ხან იმერთა, ხან ამერთა დაპირებაზე აავო თავისი ცხოვრება და გადალღებულად დალია სული.

ბახტანგ-ხანი — (ამოქნარებს) მითხარით რამე, გამაცინეთ, თორემ ძილი არ მშორდება.

ვაჩე ბატონიშვილი — ბედნიერო ბახტანგ-ხან, ფრთა მოტეხილმა არწივმა ხოხობი გამოგიგზავნა.

ბახტანგ-ხანი — მთავარო გვანგვა, შენ ამიხსენი ეს ქართული.

მთ. გვანგვა — ფრთამოტეხილი არწივი — საქართველოს მეფე დავითია, ხოხობი — შენი ასულია.

ბახტანგ-ხანი — ეს კარგი ამბავია. (იცინის) ის ფრთამოტეხილი კი არა, სულ გაბტყენილია, თორემ ჩემს ასულს არ გამომიგზავნიდა, სჩანს, უკირს, სახლთუხუცესო, ახლა დავით მეფეს ასეთი უსტარი მისწერე: ჩქარა ჩამოვიდეს მორჩილე-

ბის. გამოსაცხადებლად თავისი ცოლით, შვილით, სპასალარით.

სახლთუხუცესი — სპასალარი ვერ უნახავს, მაღალო!

ბახტანგ-ხანი — (განაგრძობს) ვეზირით...

სახლთუხუცესი — (ჩაურთავს) ისიც წასვლია და ვეზირის ნაცვლად ვინმე გლახაკ მარჩიელთან თვითონ მისულა.

ბახტანგ-ხანი — ვინცა ჰყავს თავის ჯავრის-კარზე სუყველა წამოხვეტოს და ტიტველა თავით შემოვიდეს ციხეში... შემდეგ კი, იმ თავს შევარჩინ თუ არა კისერზე, ვისი ნებაა?

დიდებულნი — ნება შენია, ბედნიერო ბახტანგ-ხან!

ბახტანგ-ხანი — ჩქარა შიკრიკი გააფრინეთ!

(სახლთუხუცესი სალამს აძლევს და მიდის).

ბეშ. ერისთავი — აი, რა კარგი ამბები მიგვაქვს, ბედნიერო!

ბახტანგ-ხანი — ეჰ, კაცს მუდამ ქეიფიც მობეზრდება. სულ კარგ ამბებს რომ მახლით, ერთი საწყენიც მითხარით, მენატრება, თორემ მომწყინდა.

ვაჩე ბატონიშვილი — თათრული წესია: უფალს მარტო სასიამოვნო უთხრათ.

ბახტანგ-ხანი — მე მაინც თქვენებური გული მაქვს... ნუთუ რამე საწყენი არ მომხდარა ჩემს სამეფოში!

ათ. შანშე — (კონსტანტინეს) სავალალოს მეტი რა ხდება, უთხარი რამე, მთავარო კონსტანტინე!..

მთ. კონსტანტინე — (ჩუმად) ისეთს ვეტყვი, თმა ყალყზე დაუდგება, მაგრამ რომ ჩაიდევას გულში და მერე ცუდად გადამიხადოს, ვინ მიშველის?..

ბახტანგ-ხანი — რად გაჩუმებულხართ!

მთ. გვანგვა — (შანშეს) ისევ შენ უნდა გვიხსნა ჭკუით.

ათ. შანშე — კარგი. (ბახტანგს) ბედნიერო ხანო, ამ ციხის მახლობლად გუშინ მართლაც უბედურება დატრიალდა.

ბახტანგ-ხანი — ამ ციხის მახლობლად! რა მოხდა?

ათ. შანშე. — აქ ერთი ისეთი გულთმისანი ჩიტი ცხოვრობდა, მთელი სოფელი მის ჭყვივლზე ავს და კარგს წინდაწინ ტყობილობდა და გუშინ ვილაც კაცმა იმ ჩიტს ბუდე აუშალა, ხუთი ტიტველი ბარტყი იქიდან გადმოაგდო და გოშია ძალმა ჩასანსლა.

ბახტანგ-ხანი — უჰ!

ათ. შანშე — ისე იფოფრებოდა ის ჩიორა, მთელი სოფელი გულს იწვავდა, ო, რა ჩიტი, მგალობელი, რა გულთმისანი!

ბახტანგ-ხანი — უჰ, მერე!..

ათ. შანშე — ბოლოს ვერ აიტანა ეს ნაღველი ჩიტმა და მოკვდა.
ბახტანგ-ხანი — ოჰ, საწყალი ჩიორა, საცოდავი! რა შავი დღე
გათენებია!..

დიდებულნი — აბა, უბედურს მის გაჩენას!..

ბახტანგ-ხანი — გული გაუსქდა დარდით საწყალ ჩიორას!..
(ტირის) ისიც დედაა!.. ან მამა!.. საცოდავი ჩიტი-ჩიორა!..
(დიდებულნიც ტირიან).

ბეშ. ერისთავი — ხედავთ, როგორ ებრალება, რა კეთილია!..

მთ. გვანგვა — აბა, ამდენი სათნოება ვისა აქვს გულში?!

ბეშ. ერისთავი — დამშვიდდი, მეფეთ-მეფევ. ჩვენ ვიტირებთ,
შენ დამშვიდდი, თორემ გული ამოგვარდება.

ბახტანგ-ხანი — არა, ეს მართლაც რა უბედურებაა. ჩემს სამ-
შობლოში, სადაც მე უფლად ვარ, ასეთი საცოდაობა რო-
გორ უნდა აღუღლდეს, რომ ჩიტი დარდით მოკვდეს. რა უბე-
დურება დატრიალეებულა ქართულ მიწაზე, რა გულმა
აიტანოს.

ათ. შანშე — სამაგიეროდ, მეფეთ-მეფევ, აი, აი, საამური ხმაც
ისმის. გაიხარე, შენი ასული ზოიყვანეს. ის შეგიშრობს
ცრემლს, კეთილო მეფეო!..

ბეშ. ერისთავი — დაგაამებს, მეფეთა-მეფევ!..

ბახტანგ-ხანი — (წამოიწვია) მაშ, შანშე ათაბაგმა კარი გაუღოს
ჩემს ასულს, მთავარი გვანგვა მიეგებოს, მთავარმა კონსტან-
ტინემ წარმოადგინოს ჩემს წინაშე. ვაჩე ბატონიშვილმა დაა-
ჩოქოს, ბეშქენ ერისთავმა კი, როდესაც ასული ჩემი ლაპა-
რაკს დაიწყებს, ფეხები მფხანოს.

ბეშ. ერისთავი — ავშენებულეარ!.. (დაჯდება ბახტანგ-ხანის საფე-
ხურთან).

ვ. ბატონიშვილი — ეჰ, წინათ მეფეს შეურაცხი კაცი მო-
ფხანდა ფეხს!

მთ. გვანგვა — ახლა კი წარჩინებაა.

მთ. კონსტანტინე — ვის ესმოდა ამდენი.

(ათაბაგი შანშე კარებს გაალებს და სალამს აძლევს კარების იქით. შემო-
დიან გულქანა და ლიპარიტე).

მთ. გვანგვა — (მიეგებება) გაიხაროს შენი მოსვლით, კეკლუც-
ბანოვანო, ამ სახლის კედელ-ყურემ, ბედნიერი მამის სან-
თელო.

გულქანა — შენც გაგიმარჯოს, ბიძია, თაფლივით ენა გქონია.

მთ. კონსტანტინე — მეფეთ-მეფის ასულო, ცისკარო, მოდი
დაგვანახე შენი შეყრა მზესთან.

ლიპარიტე — (გულქანას) ისე ქრელად მოქარგული ენა აქვთ, რომ არსად გამიგონია.

ვ. ბატონიშვილი — (ბახტანგის ტახთან გულქანას) კეკლუცბანოვანო, შენი ტურფა ალვის ტანი მუხლში უნდა გადატყდეს.

გულქანა — (ლიპარიტს) ძალიან პატიოსნურად ლაპარაკობს და ვერ გავიგე.

ლიპარიტე — მგონია, ეს სთქვა — დაიჩოქე, თორემ ფეხებს მიგატეხავს მეფეო.

გულქანა — (დაიჩოქებს) როგორ არ დავიჩოქებ. (ბახტანგ-ხანს) თუ გინდა, დიდო ბატონო, მუხლებზეც გაკოცებ.

ბახტანგ-ხანი — (გულქანას) შენ ხარ სიყმაწვილის მომგონებელი. იმ ბალს, რომელშიაც მე შენ თესლად დაგტოვე, სახით არ დამსგავსებხარ, სიკეთით კი მომაგონებ. დასქვანა და გაჰკრა ის ბალი და დღეს ჩემთან მოსულხარ ნაყოფი მისი სავსე და მშვენიერი.

ლიპარიტე — (გულქანას) ობლის კვერი ვვიან გამოცხვებო, ეხლა ხომ ხელაღ?

გულქანა — რა ხატივით კაცი ყოფილხარ, მამაჩემო, გზაზე კი, შენსკენ რომ მოვდიოდი, ისეთი რამეები მესმოდა, გული ძლივს მომყვა.

ბახტანგ-ხანი — განა ყვავილებს არ გიგებდნენ ფიანდაზად?

გულქანა — არა, ჩემი გზა სულ ჭირზედ მოდიოდა... ფოლორცში ხატის წმინდა ნაწილები ეყარა, ღმერთო შეგცოდე. ერთ ადგილას ეგდო თვალი... კაცის იყო თუ ქალის, ვერ გავიგე. ერთ ხეზე შვიდი ძმა ეკიდა. შენს თათრებს ჩამოეხრჩოთ, ხის ქვეშ იჯდა მათი და, მან თვალი გამომაყოლა და ისეთი წყევლა გამომატანა შენთან, რომ არ ვიცი, ამის შემდეგ როგორ უნდა გავიხაროთ მე და შენ.

ბახტანგ-ხანი — რაო! მე, დიდებულნო, ვინა ვარ — გაიგონოს ჩემი ასულის ყურმა!

ვ. ბატონიშვილი — შენა ხარ ლომი, ძლიერებით, ქვეყანა ტორში გიპყრია.

მთ. კონსტანტინე — სიუხვით ზღვა ხარ და მოწყალებით — ღრუბელი.

მთ. გვანგვა — შენს გაჩენამდე თოვლს სისპეტაკე აკლდა და ყვავილს სიწითლე, — მოხველ შენ და ჩვენს თვალში ჩადგა წმინდა წყალი.

ლიპარიტე — (თავისთვის) აჰ, ამოდენა ტყუილი არ გამიგონია.

ბახტანგ-ხანი — ჩემს ქებაში დიდი ყაენი დაგავიწყდათ.

ათ. შანშე — მზე აღმოსავლეთით ყაენის პატივისცემით ამოდის და დასავლეთით შენი პატივისცემით ჩადის.

ლიპარიტე — ეჰ, დაღუპულხარ, უბედურო ლიპარიტე, ასეთ მატყუარებში რას გაიტან! ახლავე მკვდრად უნდა ვიცნო ჩემი თავი და მტერ-მოყვარეს შეეუთვალო, ჩემი სულისთვის ილოცონ.

ბეშ. ერისთავი — (მოწინებით ფხანს ფხს) სადაც გაივლი ამ ფეხით, თითო ფეხის ნაღვამზე თითო სამარე იდგმება შენი მტრისათვის, ამიტომაც, დიღო ბატონო, შენთან ბრძოლაში შებმული ჩემი მამის თავი გოდრით მოგართვი, მისი მიუვალვი სამთავრო დაგიმონე და აუღებელი ციხე ჩაგაბარე.

ბახტანგ-ხანი — რაო? აუღებელიო? ჩემთვის რა იყო მიუვალვი, ანდა კიდევ მამადლი! არ მომეხანო! (კრავს ფეხს. ბეშქენ წკმუტუნით შორდება და მიდის. გულქანა შეშინებული წამოდგება და დაიხვეს ლიპარიტისკენ.)

მთ. კონსტანტინე — ეკუთვნის.

ვ. ბატონი შვილი — რასაკვირველია, მეტისმეტად მოაჩვენა თავი.

გულქანა — (ლიპარიტეს) რა სთქვა შეჩვენებულმა, ღვიძლი მამის თავი გოდრით რამ მოატანინა!

ლიპარიტე — როცა მატრაკვეცად დამდგარა, კიდევ უნდა მოეტანა, მაშ რა ექნა?

ბახტანგ-ხანი — ჩემო ასულო, რად გამერიდე?

გულქანა — გამიკვირდა, ღვიძლი შვილისგან მამის თავი რა სვინდისით მიიღე.

ბახტანგ-ხანი — მოწმეები მოიყვანა, რომ ის თავი ნამდვილად მისი მამისა იყო, თორემ სვინდისზე როგორ ვენდობოდი.

გულქანა — მე სხვას გკითხავ, დიღო პატიოსანო.

ბახტანგ-ხანი — რას მკითხავ?

გულქანა — ცოდვა-მადლი სადაა!

ლიპარიტე — (გულქანას ჩუმად) ენას კბილი დააქირე, აქ ვხედავ გლახა რამე წამოგცდება.

ბახტანგ-ხანი — ცოდვა-მადლის სასწორი ერთი ხომ საიქიოს ღმერთსა აქვს.

ლიპარიტე — საიქიოს ის სასწორია და სააქაოს შენ ერთი ხარ მართალი, ისე ყველას სული გვიცხონდა.

ბახტანგ-ხანი — (ლიპარიტეზე) ეს ენამოხდენილი კაცი ვინ არის?

ლიპარიტე — შენი ასულის აღმზრდელი ვარ.

ბახტანგ-ხანი — (ლიპარიტეზე) წესიერი ყოფილა.

ლიპარიტე — რაც ეს ავიყვანე, მას აქეთ ხატი დამავიწყდა.

ბახტანგ-ხანი — ეხლა ერთი გზიანი რამე უნდა გითხრათ. სა-
ქართველო კეკელუცია, მაგრამ ქართველი ხალხი საყმოდ არ
ვარგა, ამიტომ მრავალი სოფელ-ქალაქი უნდა აეყარო და
გაეყიდო. დანარჩენები ამ მაგალითზე ისწავლიან.

გულქანა — (ლიპარიტეს) ესაა გზიანი სიტყვა?

ლიპარიტე — არ ვიცი...

ბახტანგ-ხანი — მანამ კი, დიდებულებო, თქვენ კუთხეებიდან
რჩეული ქალ-ვაჟები მოხვეჭეთ ყაენისათვის გასაგზავნად.

გულქანა — (ლიპარიტეს) კი ამბობენ, გლახა ზარი ირეკება ჩვენი
ქვეყნის თავზეო.

ლიპარიტე — გაჩუმდი. დიდებულები არ აქნევიანებენ, ესენი
ერს ასე როგორ ამოფხვრიან, ყმები მაინც არ უნდათ!..

ბახტანგ-ხანი — თუ ძღვენი არ გავუგზავნე ყაენს, ლაშქარს
უკან გაიყვანს. გუშინ ხომ ნახეთ, თბილისის მეციხოვნეებად
აქედან ორი ათასი თათარი გავგზავნე. აქ კი თქვენს ამარა
ვართ, დიდებულნო, თქვენს ძალას დავენდეთ.

ათაბ. შანშე — ჩვენ ამისთვის გირჩიეთ, რომ აქ მეფეს სპა არ
ყავს, კახაბერიც დაკარგულია, ვერ მოგვიხტება. იქ კი ერი
აჯანყდა და თუ ღროზე არ მოთრგუნეს თათრებმა, მერე გა-
გვიჭირდება.

ბახტანგ-ხანი — შეები, მთავარო გვანგვა მთ. კონსტანტინეს,
ეგებ დაიჭირო ჩემთან მეხრმლეს აღგილი. კონსტანტინე კი
შექარქაშედ დატოვო.

მთ. გვანგვა — მაგ ბედნიერებას რა მალირსებს.

ბახტანგ-ხანი — უკეთესი ძღვენის მორთმევა.

მთ. კონსტანტინე — ჩემისთანას ვინ მოიყვანს. ოღიშში ლერ-
წამივით ქალ-ვაჟებია.

ათ. შანშე — ზემო ქართლში რომ მთვარესავით გაბადრული
ქალებია, ჯოგად ამოვდენი.

გულქანა — (ლიპარიტეს) ეს არის პატიოსანი კრება?

ლიპარიტე — (გულქანას) ეჰ, ხალხზე ახია. რომ გეკითხა — ჩემი
ცოდვით ჭურს აღულებდნენ, რა არ შემარტყვეს. აქ კი დიდე-
ბულები ისეთ საქმეს იჩემებენ, მე წმინდანი ვყოფილვარ და
თვითონ არა მცოდნია...

ბახტანგ-ხანი — თქვენ ერთმანეთს შეებით, მრავალი მონა მო-
მიგროვებ და მე კი ჩემს ერთადერთ ასულს დიდ ყაენს გა-
ვუგზავნი.

გულქანა — (ლიპარიტეს) უი, ცოდვას! ეს რა მიბედა!

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — იმ მოხუცისთვის ასეთი ქორთვა მზისუნახავი
დაგვიანებული ზიარებაა. მაგრამ მე მამობრივ ალერსს ვერ
მოვასწრებ ჩემს ნაყოფთან, ისე ჩქარა გავგზავნი. გარდა ამი-
სა, დიდი ყაენის მეგობრობისა და პატივისცემის ნიშნად
ჩემს ასულს რჯულსაც ვუცვლი, ამით ყველას მაგალითს და-
განახვებთ.

გ უ ლ ქ ა ნ ა — (ლიპარიტეს) გესმის?

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — ასულო!..

გ უ ლ ქ ა ნ ა — ბატონო პატიოსანო!

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — ყარაყურუმისაკენ ქალ-ვაყების ქარაფანს ვმარ-
თავ და წინ შენ დაგვამ, შავ სპილოზე თავსაჩუქრად.

გ უ ლ ქ ა ნ ა — როგორ გეკადრება, ბატონო?!

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — მადლობით მუხლზე მემამბორე.

ლიპარიტე — ენა მოიტკბილე, გულქანა, არ დამლუპო.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — რად დადუმდი, თავი რად ჩაქინდრე, ყეენის
ცოლი შეიქნები, რა მოგივიდა?

ლიპარიტე — მორცხვია, ბატონო, ჯერ ამისთვის რწყილსაც არ
უკბენია.

გ უ ლ ქ ა ნ ა — რა ვქნა, გული გამიმწარე, ბატონო.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — გატყობ, პატივისცემა გწყინს.

დიდებულნი — ეს რა ჰკადრა, ასეთი მამის უჟადურია.

გ უ ლ ქ ა ნ ა — ეშმაკის კერძთან მისტუმრებ... რა მოსატეხი ფეხით
მიშვებ, არ ვიცი.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — ვინ არის ეშმაკის კერძი, ყაენი? მაშ მე რა
ვარ!

გ უ ლ ქ ა ნ ა — რა ხარ და შენ ამქვეყნად ტოლი არ გყავს, კიდევ
მერიდება ამოდენა ბატონს ჩემი მამა გიწოდო.

ლიპარიტე — (გულქანას) ეს კარგად თქვი... ასე, ასე, სირცხვილი
არ მაქამო.

გ უ ლ ქ ა ნ ა — თვალს უკვირს, ისეთ მორთულობაზე მოგირთხამს
ფეხი... ისე მოკაზმულხარ, რაც კი გინატრია, სულ ზედ გა-
ხურავს და გასხნია... ასეთი ნატვრა პეპელას არ ასრულე-
ბია.

დიდებულნი — ბოლოს მაინც გამოაჩნდა ზრდილობა.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — კარგია, რომ მამის დიდებას ასე გულთბილად
აღიარებ.

გ უ ლ ქ ა ნ ა — ვინ არ ხედავს, ყველა კანკალებს შენი რიდით, თუ
სიკეთეს დაადგები, შენოდენ მადლს ღრუბელიც ვერ მოი-
დენს.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — ეს ნუ გენაღვლებო, ჩემ თავს სიკეთეს არ მოვაკლებ, ქვასაც კი წვენი გაგადენინებ ჩემი გულისათვის.

გ უ ლ ქ ა ნ ა — ღმერთმა შეგარგოს, ოღონდ ქათამიც კი წყალს რომ დაღვეს ცას შეხედავს. ცალი თვალით ხალხსაც უნდა შეხედო.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — ორივე თვალითაც ვაკვირდები, მაგრამ რაც არაფერი არა აქვთ, რა წავართვა... ეხლა მაინც ისე დაშვებულან, ტანზედაც ველარა ვხედავ.

გ უ ლ ქ ა ნ ა — მაღლი გერგება, თუ შემოსავ.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — არა უშავს... ამდენი ხალხი შიშვლადაც რომ გავეყიდო, მე ძვირფასად შემშოსავს.

გ უ ლ ქ ა ნ ა — რაც მე გზაში მათი ტანჯვა დავინახე, ის რომ გაიგო, კიდევ გაყიდვას არ გაუპირებ.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — მაშ, ყენის ვალი როგორ დავფარო?

გ უ ლ ქ ა ნ ა — რა ვიცი... ღმერთთანაც ხომ მოვალე ხარ!

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — ღმერთის ვალი რომელ მეფეს გადაუხდია... ეჭვ, მაგ ჭკუით მე ოქროს ტახტზე კი არა, ქვაზედაც ვერ დავჯდები.

დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი — (ერთმანეთს) ხედავთ, როგორ ბრძნულად წვრთნის თავის ასულს?

ლ ი პ ა რ ი ტ ე — მიმინოსავით სწავტავს.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — (ივინის) ჰმ, მე კი არა, ღმერთის ვალი ბერს ვერ გაუსტუმრებია ასი წლის ლოცვით.

დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი — (ერთმანეთს) გესმის, გესმის, პატიოსანო...

ლ ი პ ა რ ი ტ ე — ეჰ, ასე ჭკუის სწავლება არც მე მაწყენს.

გ უ ლ ქ ა ნ ა — ამას განგებ ამბობ, მამა პატიოსანო, თორემ ხალხს შენ არ გასწირავ გასასყიდად, ოღონდ გული ეს ოხერი მუქარაზეც კანკალებს.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — მაშ მარტო შენს თავს დამჯერდება ყენი?

გ უ ლ ქ ა ნ ა — არა, ჩემი თავი, ტყუილია, მამაჩემო, ეშმაკს კბილებს მოკვეთავს.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — მაშ აქაურს თუ გაგატანე შენს ნებაზე, რა ოქრო-ფარჩებს მომართმევს.

გ უ ლ ქ ა ნ ა — ფარჩები იცვითება, სვინდის-პატიოსნება კი კაცს ორივე ქვეყანაში მიყვება საშნოებლად.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — ოჰო, წუნსაც მდებ პატიოსნებაში?

გ უ ლ ქ ა ნ ა — არა, მამა-ბატონო, მე რა წუნია ქოთანი ვარ... ბრძანდებოდე მაგ ოქროს ტახტზე, სულ ფეხის გულს ფეხან... ოღონდ იმ უცხო კაცის პირში, მის ურჯულო საქეჯნელზედ

ნუ ჩამომაცმევ, აქ მომკალი... ჩემი ქვეყნის ღრუბელი და-
მადნება... ეს მითქვამს და სარიც აქ დამისვია.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — მაშ, თავისი წიწილა თავზედ დაისვას ბახტანგ-
ხანმა! თუ შენა გგონია, გული დამიშლის ცხელ თონეში ჩაგ-
კიდო — (ლიპარიტზე) ამ შენის მხლებლით.

ლ ი პ ა რ ი ტ ე — ვაი ამ მოსწრებას! (გულქანას) ეშმაკმა ენა ამიბნია-
თქვა.

გ უ ლ ქ ა ნ ა — რა ექნა, ცოდვის ქარავანს მატანს.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — რაც მე წარმოვთქვი, შევასრულებ.

გ უ ლ ქ ა ნ ა — ვინც სიავით გაბერილა, მამა ბატონო, ასე გამიგო-
ნია, ქვეყნის მადლით დაიჩუტებაო.

ლ ი პ ა რ ი ტ ე — (აღშფოთებით) ვაი ჩემს გაჩენას!

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — ეს რა გამიბედე?

დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი — დასაჯეთ, ბედნიერო!

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — დაემუქრეთ და შიშით მოითანგება. (დიდებულ-
ნი შემოეხვევიან გულქანას).

ვ ა ჩ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ასეთი მამის ურჩობისათვის ცხელი
კინკრით დაგფუფქავთ.

ა თ. შ ა ნ შ ე — ნარ-ეკალში ჩაგაგდებთ.

გ უ ლ ქ ა ნ ა — ფუფქისაგან ბედმა გამომიხსნა, მეგონა, და ახლა არ
ვიცი.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — რაო?!

მ თ. კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე — ამას არც ენით ჩამოკიდება უშველის
ბედნიერო, ისე ვატყობ.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — მაშ, უფრო მწარედ დასაჯეთ.

დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი — (ბახტანგ-ხანს ჩუმაღ) შევაშინოთ?

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — (ჩუმაღ) ჰო, ბავშვია, მოტეხეთ!

მ თ. გ ვ ა ნ გ ვ ა — ამის წამება მე ვიცი, თუ ნებას დამრთავთ.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — უფლება გაქვთ.

დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი — ტყავს გაგხდით და ნიორწყალში გაგავლებთ. იცი,
ეს რა მწარე სიკვდილია, დაფიქრდი, შენი წამება წამებაში
არ გაერევა. მერე კიდევ ცხენის კულზე გაპორწილებთ.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — მაგრე ჰქენით, გაიყვანეთ, აწამეთ.

დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი — (ხელს წაავლებენ გულქანას) ცხელ თონეში ჩაგკი-
დებთ, შე გასახეთქო, დაგკრით, დაგქნით, ძალღებისათვის
დაგაგდებთ.

გ უ ლ ქ ა ნ ა — (აღშფოთებული) ჯოჯოხეთის ქურაზე ზიხარ, მამაჩემო,
შე წაწყმენდილო!

დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი — (შემკრთალნი) ოჰ, ეს მართლაც არ ეპატიება!

ლიპარიტე — ვაი ჩემს შავ დღეს!

გულქანა — ჯოჯოხეთის ქურაზე ზიხარ, მამაჩემო, ეს მყრალი გულები დამბერველებად გყავს, გარედან მატრაკვეცები კვირს გარტყამენ და ჩემი გადადნობა გინდათ, მაგრამ მე ერთხელ გავჰედლიღვარ ჩემი სვინდის-ნამუსით.

ბახტანგ-ხანი — (აღშოთებული) აქამდე განგებ გაშინებდი, ახლა კი ეს მართლა აწამეთ!

გულქანა — მეორედ ველარ გადამადნობთ.

ათ. შანშე — ეს რა ალქაჯი შემოვიდა!

ბახტანგ-ხანი — არღუბაბას დაუძახეთ, დიდ ჯალათს!

გულქანა — შენი ფარჩების გულისათვის, შე წყეულო, წმინდა სჯულს არ ვულალატებ, გარდაქეშანში ურჯულოებს თავს არ გავათელინებ, ან მომკლავთ, ან, თუ არა და, მგლის სოროში გავიქცევი, ხის ფესვებით თავს ვირჩენ.

ბახტანგ-ხანი — (მღელვარედ წამოდგება) გაათრიეთ! (დიდებულნი გულქანას კარებამდე მიათრევენ).

გულქანა — ამისათვის მომნახეს, რომ ცოდვის გუბეში გადამაგდონ! (კარებში გამოჩნდება ჯალათი არღუბაბა).

ბახტანგ-ხანი — კოშკში ჩასვით, ჩაკლიტეთ. (გულქანა არღუბაბას მიჰყავს).

ათ. შანშე — პირველად პასუხი აღმზრდელს მოეთხოვება, ბედნიერო.

ბახტანგ-ხანი — (ლიპარიტეს) შენ აღზარდე ასეთი იქედნა?

ლიპარიტე — (თავისთვის) ისე მკითხა, მომკლავს, რა ვქნა, რა მოვიგონო...

მთ. კონსტანტინე — მეფეთა-მეფე გეკითხება.

ლიპარიტე — (ბახტანგ-ხანს) ქვეყნის სწორო, გუგულმა თუ ჩხიკვს ბუდეში მოტყუილებით თავისი კვერცხი ჩაუღო და გამოაჩეკინა, განა საწყალი ჩხიკვის ბრალია, რომ ის ბახალა გუგულად გაიზარდა?

ბახტანგ-ხანი — ოჰო, (დიდებულებს) ამ კითხვამ თავი ამატკინა. თქვენ უპასუხეთ!

ვ. ბატონიშვილი — შენმა გამოჩიტულმა მეფეთა-მეფეს შეაგინა.

ბახტანგ-ხანი — აი, სწორად მოგიგეს: შენმა აღზრდილმა მეხომ შემაგინა, და ჩხიკვის ბუდეში რაც მოხდა, ეს რა ჩვენი საქმეა. ახლა... ორში ერთი აირჩიე.

ლიპარიტე — რა არჩევანს მიდებ, ბატონო?

ბახტანგ-ხანი — ცოცხლად შეგწვა, თუ ცოცხლად მოგხარშო.

ლიპარიტე — (თავისთვის) ამაზე არ ღირს თავის ტეხა... ეჰ, შო-
შკობა, როგორ გაძვრა წელან ამის ხელიდან, ნეტავ გავყო-
ლოდი.

ბახტანგ-ხანი — რას ფიქრობ, რომელი აირჩიე?

ლიპარიტე — (თავისთვის) მის ოდენი რა ჩავიდინე, ძილში ბეჭედი
მოპარა და ცოლი მოტაცა... ეტყობა, არც კი იცი (უცხად)
მოდი, ამ ამბავს ისე ჩაეაწვეთებ და ისეთ კულს გამოვადამ, ეს
რისხვა დაავიწყდეს... ისე მაინცარ წავწყდები, ჩემი გალობა
არ ვთქვა.

ბახტანგ-ხანი — მაშ, მე გადაგიწყვიტე.

ლიპარიტე — რა?

ბახტანგ-ხანი — ცოცხლად დაწვა მოვისაჯე.

ლიპარიტე — კარგი პატივისცემაა. სხვისთვის, მეფეთ-მეფევე, ეს
სასიამოვნო არ იქნებოდა, მაგრამ ჩვენ, გულთმისნებს, სიცო-
ცხლე არ გვიღირს, ისე უპირგემო ვართ; თათლიც კი გვემ-
ჯავება და თუ გინდა, აქვე მომწყვიტე თავი, (შეპარებით)
ოლონდ, მერე შენ რა გეშველება!

ბახტანგ-ხანი — მე? მე რა შეელა მინდა, ჩემი შიშით ხომ
დედამიწას აზანზარებს.

ლიპარიტე — თავს რომ ჩუმად გაგიჩეჩქავენ!..

ბახტანგ-ხანი — რაო?! (დიდებულნი გაკვირებულნი ჩურჩულებენ) (ლი-
პარიტეს) მაშ, შენი სიტყვით, აქ ვინმე მუხანათია.

ლიპარიტე — დიახ.

ბახტანგ-ხანი — ვინ არის? (დიდებულები ჩურჩულებენ).

მთ. გვანგვა — ბატონიშვილს თუ გააბამენ!

ლიპარიტე — რასაკვირველია, მარტო ერთი არ იქნება.

დიდებულები — ეჰე, რას ლაპარაკობს!..

ბახტანგ-ხანი — ახლა კი ცრუობს.

ათაბ. შანშე — მეფის მოგზავნილია.

ბახტანგ-ხანი — მაშ, რასაც ამბობ, ამის საბუთი მინდა.

ლიპარიტე — მე გულთმისანი ვარ. ამას დავამტკიცებ. სხვა რა
საბუთი გინდა!

ვ. ბატონიშვილი — შენ მატყუარა ხარ.

მთ. გვანგვა. — მტრის სოროდანაა, აწამე და გატყდება.

ათაბ. შანშე — თქვენს მზეს ვფიცავ, მე გავტეხ.

ბახტანგ-ხანი — კარგი. აწამეთ. მატყუარაა, როგორც ვხედავ!
მე გულთმისნებს ასე ადვილად არ ვუჯერებ!

ლიპარიტე — ქვეყნის სწორო, ხომ იცი, რომ ვარსკვლა-
ვი უტყუარია, ადამიანი კი ცრუ არის, ამიტომ მე უნ-

და შენდო, რადგან მე ვარსკვლავების ნიშნებით გელაპა-
რაკები.

ბახტანგ-ხანი — ვნახოთ, ჯერ მაინც გაწამებ.

ლიპარიტე — რომ მაწამო, მეფეთ-მეფევე, სული გამძვრება, შენი
დასაკლავი დანის ლესვა კი ახლაც მესმის ყურში.

ბახტანგ-ხანი — რა ვქნა, ისეთ რამეს ამბობ, თავბრუ მესხმის...
მაგრამ ცარიელ სიტყვაზე როგორ გენდო?

ლიპარიტე — დაფიქრდი, ბედნიერო, მე ღმერთი ცხადშიც და
სიზმარშიც მანიშნებდა, რომ ძლიერი ხელი მოგქრეს მუხა-
ნათებმა.

ბახტანგ-ხანი — რაო!.. აგერ არ არის ჩემი ხელი!.. (იხედება
ხელზე) აა... ეს ჩემი ხელია?

მთ. გვანგვა — დიახ, ქვეყნის მსახურელი.

ბახტანგ-ხანი — მერე, სად არის ზედ ბექედი? ბექედი!

დიდებულნი — (შეშფოთებულნი) რა მოვახსენოთ...

ბახტანგ-ხანი — სულყველას გეკითხებით!

ლიპარიტე — (გააწყვეტინებს ბახტანგ-ხანს, ანიშნებს, რომ დადუმდეს და
დიდებულნი მოიშოროს).

ბახტანგ-ხანი — (წამოდგება მღელვარეთ) დიდებულებო, დამასვე-
ნეთ. მარტო დამტოვეთ. გესმით, მომშორდით!

ათაბ. შანშე — გავეცალოთ. (აპირებენ წასვლას).

ბახტანგ-ხანი — (ლიპარიტეს) მოდი!.. (დიდებულნი ჯჯუჟად მიდიან)
მოდი! (ლიპარიტე უახლოვდება ბახტანგ-ხანს) ის ბექედი სად არის?

ლიპარიტე — ერთმანეთში ნამუსის შესაკრავად მოიპარეს. ზედ
ამ ნაქურდალზე შეფიცეს ერთმანეთს გილალატონ. ესეც ამო-
ვიკითხე, რომ შენი ცოლიც ურევია; მოიხმე და ჰკითხე, უც-
ბად გატყდება.

ბახტანგ-ხანი — რომელი ცოლი?

ლიპარიტე — რომელმაც დაგაძინა.

ბახტანგ-ხანი — ფატი?..

ლიპარიტე — ნუ გიკვირს, სუყველაფერი ცაში წყდება და აქ
მერე სრულდება.

ბახტანგ-ხანი — (მღელვარებით იძახის) საჭურისო, ფატი მომგვა-
რეთ! (ხოხვით შემოდის საჭურისი, ქვითინებს).

ბახტანგ-ხანი — სად არის ფატი?

საჭურისი — იმისთვის ვიწვი, გაქცეულა.

ბახტანგ-ხანი — მაშ, წადი ჯალათთან შენი ფეხით. (საჭურისი
მიდის). ახლა კი ვხედავ, მართლა გულთმისანი ხარ, შენს მე-
ტი სანდო არავინ მყავს.

ლიპარიტე — ჩემს გარდა კიდევ ღმერთი უნდა გახსოვდეს!

ბახტანგ-ხანი — (ტირილით) მერე, ნუთუ საშველი აღარ არის?

ლიპარიტე — დამაცადე, აქეთ-იქეთ თვალს გადავავლებ.

ბახტანგ-ხანი — აქ, ბახტრიონში, მცველად სულ ასი თათარი დამრჩა. კარებში მათი მეთაური მყავს. უთხარი მიშველოს, სანამ დიდებულნი რამეს მოიფიქრებდნენ.

ლიპარიტე — (აპირებს წასვლას, თავისთვის) ახლა დროა, აქედან გავძვრე... კოშკის კედელზე სოროში ის ხერელი უნდა ვნახო, რომელიც მეფემ მანიშნა, თორემ ჩემს კისერს ნაჯახი არ ასცდება. (მიდის).

ბახტანგ-ხანო — (მართლ) რა შავ ცეცხლში ჩავეარდი!.. (შიშით წამოიწვევა ტახტზე... ჩამოვა ტახტიდან, კანკალებს) რა ვქნა, რა მეშველება, მეფეთა-მეფედ თავი მიმაჩნდა და დღეს კი ერთ სოროში მთელ სამეფოს მივცემდი. (დაემხობა ქვითინით ტახტის საფეხურთან. კარებთან გამოჩნდება ლიპარიტე).

ლიპარიტე — (თავისთვის მხიარული) ისეთი რამე გავაკეთე, მაგათ კი არა, მგონია, მეც დამიბრუვდა თავი! (მოუახლოვდება ბახტანგ-ხანს და თვითონაც ტირილს იკონებს).

ბახტანგ-ხანი — (ფლიქვინით) ნუ გინდა კაცს ქვეყანაზე მეფობა.

ლიპარიტე — ნურც გინდა დედის მუცლიდან დაბადება. (ფლიქვინებს).

ბახტანგ-ხანი — სად არის ფიცი, -სად გაქრა მათი ტკბილი ენა!.. (ფლიქვინებს).

ლიპარიტე — ეჰ, ღმერთიც მაშინ შეცდა, როცა ენა სიმართლის სათქმელად უნდოდა და საყლაპავში გააჩინა, სწორედ დიდი სინდისია კაცისათვის საჭირო, რომ ენა სიმართლის მორჩილი გახადოს... (ფლიქვინებს).

ბახტანგ-ხანი — მე მეხი და ზარი ვიყავ. ჩემი ბრძანებით სოფელ-ქალაქებში ცეცხლი გუგუნებდა და ქარი უბერავდა

ლიპარიტე — შენისთანა ვინ იყო: მუხას ვაშლი აბიაო რომ გეთქვა, ყველა კვერს დაგიკრავდა... თევზზე რომ გეთქვა, ძროხაო, რძეს ვერ გამოადენდენ, თორემ წველას სულ ყველა დაუწყებდა... სულ ჰამდი და გეძინა, მაგრამ ქვეყანას შენი დარდით ჰამა არ ახსოვდა: ვაითუ მადა დააკლდა, ან ცუდ მხარზე დაიძინაო.

ბახტანგ-ხანი — ო, როგორ ეშინოდათ ჩემი!..

ლიპარიტე — ყველას აცახცახებდა, დიდ მეცნიერისთვის რომ გეკითხა, ორი და ორი რამდენიაო, აკანკალდებოდა, ვაითუ ოთხი არ არის და რა მეშველებო!

- ბახტანგ-ხანი — მერე, ეს არის მათი ფიცი, მათი სიზარტლე?!
 ლიპარიტე — ეჰ, ისევ უნდა გაიკაჟო კაცმა გული და მტრის
 ჟინისთვის იცოცხლო.
- ბახტანგ-ხანი — შენ სიბრძნის ზღვა ყოფილხარ და ვერ მი-
 შველი?
- ლიპარიტე — იმ უფროს თათარს გადავეცი, რაც დამაბარე და
 აგერ მოდის თავის კაცებით. (შემოდის ზაბუნი ორი მონღოლით).
- ზაბუნი — მზის ნათესავო, გვიყავ წყალობა და გვესტუმრე ჩვენს
 ნაწილ-სიმაგრეში, სადაც ასი თათარი ვდგევართ.
- ბახტანგ-ხანი — (ჩამოდის ტახტიდან. ზაბუნი ხელს მიაგებებს). ოღონდ
 იცოდეთ, ეს გულთმისანი ერთ ნაბიჯზე არ დამაშოროთ, და
 მარგალიტიც რომ ხელიდან გებნეოდეთ, მაგის ერთი სიტყვა
 იმისთვის არ დაკარგოთ. (ყველანი მიდიან. შემოდის საჭურისი და
 თათარი ჯალათი არღუბაბა).
- საჭურისი — მაშ, უნდა მომკლა, არღუბაბა, საშველი აღარ
 არის?
- არღუბაბა — ბახტანგ-ხანის ბრძანება ასეთია.
- საჭურისი — ღმერთმა იცოდეს, მართალი ვარ.
- არღუბაბა — კეკუაზე ხომ არ შეგშალე, როგორ ხარ მართალი,
 როცა მისი ბრძანება მე ხელში მაქვს. (კარებში გამოჩნდებიან
 მთავრები).
- საჭურისი — ეჰ, სულ ამ მთავრების ბრალია! (იმაჟენ) თქვენ
 დამღუპეთ!
- ბეშქენ ერისთავი — რა ცოდვას გვახვევ, საჭურისო?
- საჭურისი — (ყბარედ) ხანის ბეჭედი მოგიპარავთ.
- დიდებულეები — გესმით, თურმე რას გვაბრალებენ!
- ათ. შანშე — ეჰ, ბატონებო, ეჰ, ადრე დაგვიდგა ჟამი სინანუ-
 ლისა.
- მთ. გვანგვა — დიად, გვიანლა არის სინანული. (დიდებულნი თავა
 ხრიან დაღონებულად).
- საჭურისი — ფატიც ჩაგიბამთ მაგ ცოდვაში და ასე ჰგონიათ,
 ჩემი შეწევნით მოახერხეთ. (ფანჯარას მოადგება დარაჯი).
- დარაჯი — არღუბაბა!
- არღუბაბა — რა გეცა?
- დარაჯი — აქ ერთი ვინმე ამოცოცდა — ფატის ხელს აპყვა.
- არღუბაბა — ვერ შეიპყარი?
- დარაჯი — ვუცდი და არ მობრუნებულა.
- არღუბაბა — (საჭურისს) ეჰ, აქ დაგიმაღავეს, ახლა მაინც გატ-
 ყდები, შე ვერაგო! აქ ვნახავთ.

ათ. შანშე — ბეჭედსაც ისინი აიღებდნენ, ჩქარა დაფქვი, შენი ცოდვისთვის ჩვენ ვისჯებით!

საკურისი — არ დამინახავს, გეფიცებით, კარებით ხომ არ გაქცეულან?

არღუბაბა — როგორ, მე მახვევ შენს სიმუხთლეს. ჩემი დარაჯი გაუშვებდა?

საკურისი — (კარზე ფეხს მიარტყამს, კარი გაიღება, თავს შემოპყფის კარის დარაჯი) აქედან ვინმე არ გასულა?

დარაჯი — კი, გავიდა.

საკურისი — (შანის მოგებით) ახლა ხომ ხედავ!

არღუბაბა — (დარაჯს) როგორ გაუშვი, შე ტიელო!

დარაჯი — ხანის ბეჭედი მომანათა.

საკურისი — ო, ის ბეჭედი მოუპარავთ!

დარაჯი — მე არ ვიცოდი, მეგონა, ხანი იყო და სახის ჩვენება არ იკადრა.

არღუბაბა — ახლა მეც თქვენთან ვილუპები.

ათ. შანშე — ყველა ერთ ტაფაში ვართ.

ყველანი — (დარაჯს) საით წავიდნენ?

დარაჯი — იმ გორას შეჰყვნენ!

არღუბაბა — არ გაუშვათ!

ყველანი — ჩქარა, ცხენებით გამოვუდგეთ და დავეწევით!

მოქმედება მისამდე

ცხიხე ბახტრონი. მარჯვნივ კარები. გარშემო საისრე და კოშკები. ერთი კიბე მიდის სასახლისკენ, მეორე—საისრეზე. წინ კედელზე სქელი სურო ჰფარავს ხერელს. ლიპარიტე ეკვიანად იხედება. შემოდის საქურისი.

ს ა ქ უ რ ი ს ი — აჰა, როგორ გაქვავებულხარ, გულთმისანო. ვერა ხარ გუნებაზე? გაიგე რა წამოგეწია?!

ლიპარიტე — ის ქალ-ვაჟი საიდან მოგყავთ, ასე მალვით?

ს ა ქ უ რ ი ს ი — იცანი მეგობრები?

ლიპარიტე — როგორ ვიცნობ, პირი ახვეული აქვთ.

ს ა ქ უ რ ი ს ი — იმ გორაკზე გადასულიყვნენ და ღამე ბუჩქებში დავიჭირეთ.

ლიპარიტე — რისთვის? რა დაგიშავეს?..

ს ა ქ უ რ ი ს ი — ბახტანგ-ხანის ბეკელი მოიპარეს,—მაშ, ჩაფაცხული გეგონა შენი საქმე?!

ლიპარიტე — ოო... მე რაღას მემართლები!

ს ა ქ უ რ ი ს ი — ყველაფერი დაფქვეს, მათი საქმე გცოდნია და ჩვენ კი გვახვევდი თავზე უნამუსოდ. (ლიპარიტე უკან დაიხეეს) უკან რად იწევი, სად წახვალ? ჩიტი არა ხარ, კედელზე გადაფრინდე, ამ ციხიდან კი გზა არა გაქვს.

ლიპარიტე — (აწრიალდება) დათქმული სურო აგერ არის. ხერელი აქ უნდა იყოს, მხოლოდ ეხლა ეს ტურა როგორ მოვიშორო! (დაფიქრდება, ზურგს შეაქცევს, ქვას გახვევს ხელმანდილში და საქურისის თვალწინ გადაადგებს სცენის იქით).

ს ა ქ უ რ ი ს ი — ეს რა გადაადგდე?

ლიპარიტე — არაფერი, ქვა გადავისროლე.

ს ა ქ უ რ ი ს ი — არა, ქვას ხელმანდილში რად გაახვევდი. რაღაც საბუთი იქნება... შუა კედელს გადაშორდა. ახლავე ვნახავ. (იქით ეძახის) ეი, ხელი არ ახლოთ!.. (ლიპარიტეს) გალიაში ხარ. აქედან ვერსად გახვალ. (მიდის). (ლიპარიტე გარშემო მიმოიხედავს და უცბად სუროში შეძვრება. სუროს იქით ხერელიდან მოისმის ყვირილი. ლიპარიტე უკანვე გამოდის).

ლიპარიტე — ვინა ხართ? ეს აქ რა 'ყოფილა! (ჩხვე უახლოვდება სუროს) არა, ვინც არ უნდა იყოთ, სხვა გზა არა მაქვს, ღეთის

გულისათვის, თქვენთან შემომადგინეთ.

ბ მ ა ხ ვ რ ე ლ ი დ ა ნ — რა კირი მოგსდევს!

ლიპარიტე — შემოვალ და გეტყვი ჩემს ამბავს. (აპირებს შეძრომას. სუროდან კაცის ხელი ხმალს გადმოუქნევს, ლიპარიტე აიცდენს, უკან დაიხვეს) კახაბერის გორდა! უი, შენ ხომ შავ კერიაში გადაგადე. აქ სად დამხვდი, როცა სასჯელი მომზდევს!.. (სუროდან გადმოვარდება რამდენიმე ისარი, ლიპარიტე უკან დაიხვეს) ნეთუ ეს გოსტაშაბია!..

ბ მ ე ბ ი გ ა რ ე დ ა ნ — აქ არის, ეს არის, არ გაუშვათ!

(შემოდინან ათაბაგი შანშე, მთავარი გვანგვა, ბეშქენ ერისთავი, საკურისი, არღუბაბა და კარის დარაჯი. შემოჰყავთ თავზე აბრეშუმის ტომრებჩამოცმული შოშკობა და ფატი).

ა რ ლ უ ბ ა ბ ა — აბა, ამ გულთმისანსაც მივაკოქავ და ერთად წარვუდგენ ჩვენს ხანს.

ბ ე შ ქ ე ნ ი — ო, ამაზე ჯავრს კი ამოვიყრით!

ს ა კ უ რ ი ს ი — რალაც საბუთი გადაავდო ჩემს თვალწინ. უცბად ვერ ვნახე. ისიც ათქმევინე, გესმის, ჯალათო?

ა რ ლ უ ბ ა ბ ა — დარდი ნუ გაქვს, არღუბაბა ვარ.

ა თ. შ ა ნ შ ე — როგორ აგვრია ამ ვერაგმა!

ბ ე შ ქ ე ნ ე რ ი ს თ ა ვ ი — კინალამ თვალი დავითხარეთ!

ა თ. შ ა ნ შ ე — ისევ მე გაგიმაგრეთ გული.

მ თ. გ ვ ა ნ გ ვ ა — მაშ, შეთქმულებისათვის თავს მოგსხებენ და მერე ეძიე საიქიოს სიმართლე.

ბ ე შ ქ ე ნ ე რ ი ს თ ა ვ ი — იქ კიდევ რას ნახავ, სხვა კანონი იქნება!

ა თ. შ ა ნ შ ე — ახლა კი ენა ჩაუვარდა ამ ვერაგს, ეს უბრალო მატყუარა არაა, მოგზავნილია ასარევად.

მ თ. გ ვ ა ნ გ ვ ა — გუშინაც ვთქვით, მეფე დავითის შემოჩენილია.

ბ ე შ ქ ე ნ ე რ ი ს თ ა ვ ი — ოხტატურად თუ არ აწამე, ჩემო არღუბაბა, მოკვდება და ვერას დააცდენინებ.

ა რ ლ უ ბ ა ბ ა — ფიქრი ნუ გაქვთ. (ჰკოპავს ლიპარიტეს) ისე მოვუქერ, ყველაფერს ერთად დაფქვავს.

ს ა კ უ რ ი ს ი — (ფატიზე) უჰ, უჰ, რა ლაფი გადამასხა ამ უნამუსომ, როგორ ღორივით იწუმბა. კიდევ კარგი ჩუმაღ, პირბადით შემოვიყვანეთ, თორემ ქვეყანაზე თავი მოგვეკრებოდა.

ა თ. შ ა ნ შ ე — მაშ, მთავარო გვანგვა, ერისთავო ბეშქენ, ასლავე წარვდგეთ კოშკში ხანთან.

ს ა კ უ რ ი ს ი — ო, ისე დააეჭვა ამ არამზადამ ბახტანგ-ხანი, სასახლიდან ციხის კედელზე ზაბუნთან გადაბრძანდა ვიწრო საკანში.

ა თ. შ ა ნ შ ე — ჩქარა მოვახსენოთ ეს ამბავი, თორემ ვინ იცის, რა გუნებაზეა, შენ აქ თავზე დააღექი, იყენენ, როგორც ვნახეთ, ამ ბექლით ხელში. ასე წარვუდგენთ პატრონს. (მთავრები და საჭურისი მიდიან).

ა რ ლ უ ბ ა ბ ა — (დარაჯს) ამ შეჩვენებულების ბუჩქიდან გამოთრევის დროს მუხლში ეკალი შემესო. როგორმე, ეხლა ამომალეზინე, თორემ ხანის წინაშე რომ დავიჩოქებ, სულს ამომამძრობს. (არლუბაბა დაჯდება და მუხლს მოიშიშვლებს, დარაჯი ეხმარება ეკლის ამოღებაში).

ლიპარიტე — შოშკობა, ბიჭო, ნეტავ მართლა შენა ხარ?

შოშკობა — ოჰ, ეს ვისი ხმა ჩამეწვეთა! შენ ხომ ლიპარიტე ხარ!

ლიპარიტე — მერე, რად გაგიხარდა, შე სულელო!

შოშკობა — ისეთ მახეს ვინ დააგებს, შენ ვერ გახსნა.

ლიპარიტე — რა გაეხსნა, როცა შენი წყალობით გაკოჭილი ვარ. მაინც, რა ცეცხლი მომიკიდე, შე წყეულო, ციხე-დარბაზიდან ქალი გაგიტაცნია და აქვე, ბუჩქებში რა ქკუთით წამოგორდი. ახია შენზე, რაც მოგივა. ცოდვა მე ვარ, მე საწყალი, გზა გაკაფული მქონდა და ზურგში სიკვდილი მომაყენე. მერე, როგორი სიკვდილი, რა უწყალო, ისე მაწამებენ, ცივი სამარე პაპაჩემის ცვეერივით მომენატრება.

შოშკობა — ო, რა ყოფილა სულის გაყრა!..

ლიპარიტე — არ იცოდი, შე ცალტვინა?!

შოშკობა — საიდან! ტომარა რომ ჩამომაცვეს, ჭკუა მაშინ მოვიდა.

ფატე — ეს რა მესმის, დამლუპა და მე არც მახსენებს. მარტო თავის თავს ტირის.

შოშკობა — შენ რომ ჭკუა გქონოდა, შე კოკობზიკა, რა მიქირდა.

ფატე — მე რა დავაშავე?

შოშკობა — ფანჯრიდან ხელი რად გადმოსწიე?

ფატე — შენ არ შემომიჩნდი?

შოშკობა — შენი ნამუსი რომ მაგრად დაგეცო, ხომ არ გადავცდებოდი.

ფატე — ცოტა გედავე! რა მექნა, ლიქნით გადამიბირე.

შოშკობა — ეჰ, ჩემ სიცოცხლეში პატიოსან ქალს ვეძებდი და ისე ვკვლები, ვერ ვნახე.

ფატე — უი, უგულო, მართლა, იქვე გამოჩნდა, რომ სხვა სატრფო გყოლია, თურმე, ცრუთ მეფიცებოდი. სიყვარულისთვის

მაინც შემეწირა თავი, მე საწყალს!..

ლიპარიტე — ვაჟ, რა გვიანი სინანულია!

ფატი — არა, ერთი მითხარი, თუ ეს ნამდვილი რაინდია, ჩემი საცოდაობით არ უნდა იწვებოდეს!..

ლიპარიტე — რაინდი კი არა, ცრუთ მოფიცარია, ეს საძაგელი, შენ მოგსპო და მეც დამაქცია.

ფატი — შენ კიდევ ცეცხლს ნუ მინთებ, ვილაც ავეყია ხარ.

ლიპარიტე — მე მლანძღავ?

ფატი — მაშ, ვაფი ჩემი სიყვარულით კაკანათში გაება და შენ ასე დასჩხავი!..

ლიპარიტე — არა, მე ამას ვნანობ, რომ ორივე დაგველუპა ამ სულმოკლემ.

ფატი — ის კი არა, არწივივით მომიტაცა და რომ არ გაეგმულიყავით, ნეტარებაში მიმაფრენდა. შენ ვინ გკითხავს, რომ ერევი სხვის დარღში.

ლიპარიტე — სწორედ უთქვამთ ქალის ქკუა თხამ შექამაო.

ფატი — ჰაი, ჰაი, შენ ამას დასცინოდე!..

შოშკობა — აი, ახლა კი ვხედავ, ფატი, ღირსი ხარ დატირების, მაგრამ, ვაი, რომ არა მცალია შენთვის.

ფატი — ეს რა ქართულია. ყოველი რაინდი ჯერ მიჯნურის ბედს ტირის.

შოშკობა — თვითონაც ხომ აღიარე, რომ შენთვის გაეები კაკანათში, ახლა თავის დატირების ნება მაინც მომეცი, შენ კი ცოდვა მოინანიე.

ფატი — რა ცოდვა მაქვს?

შოშკობა — ვერ ხედავ, რომ შენი სიმჩატით მოხდა ეს საქმე?

ფატი — უი, კიდევ რას ამბობს, მჩატეც მიწოდა ამ უტიფარამ, მართლა!.. ტომარა რომ არ მიშლიდეს, თვალებში ქორივით ჩაგაფრინდებოდი.

არლუბაბა — (მუხლიდან ეკალი ამოიღო და წამოდგა) ხმა გასუსეთ, თქვე წყეულებო, ნუ წუწუნებთ.

ლიპარიტე — ოჰ, ნეტავ მართლა დააჩუმებდნენ. ერთი რამ მინდა გკითხო და ყური წაიღეს.

არლუბაბა — შენ რა გაქვს საკითხავი?

ლიპარიტე — მალე მომკლავენ?

არლუბაბა — არა, ჯერ მწვერტელთან გაწვალევენ და მერე მიგასავებენ.

ლიპარიტე — მწვერტელი ვინ იქნება?

- არ ლუბაბა — მე ვარ უფროსი ჯალათი. ყოჩაღად იყავი, ისე, გაწამებ, სააქაოშიც გეყოფა საკენესებლად და საიქიოშიც — ლიპარიტე — მაშ, ამ სიკვდილის წინ ერთ რამეს დაგიბარებ.
- არ ლუბაბა — არა, გეყოფა, ხმა გაიკმინდე!
- ლიპარიტე — შენვე გამოგადგება, თორემ მე აწი რაღა მარგებს...
- არ ლუბაბა — მაშ, სთქვი, რა მენალვლება.
- ლიპარიტე — შორეულ ქვეყნებში ნავაქრი ვარ. ყველაზე მეტ ხანს კი ინდოეთში ვჯუბაზობდი და ისეთი სოვდაგარი გავხდი, ასაქლემზე ასაკიდი საქონელი შევიძინე, სულ ლარი და ვერცხლის ქურქელი.
- არ ლუბაბა — ვითომ სიმართლეს ლაპარაკობ?! |
- ლიპარიტე — ქეშმარიტებაა, იმ სულს გეფიცები, რომელიც შენ უნდა ამომადრო.
- არ ლუბაბა — არხეინად ამოგაძრობ, მერე, სულძალლო?..
- ლიპარიტე — ბოლოს, სამშობლოში დაბრუნება მომწყურდა, მაგრამ ვიფიქრე, ამ საქონელს ზოგს მტერი წამართმევს, ზოგს მოყვარე, ბოლოს, ზედაც დამაკლავენ-მეთქი და ასი აქლემი საპალნე ლარი და ვერცხლი ერთ დიდ მარგალიტზე გადაცვალე. იმოდენა მარგალიტი ამ არემარეზე არ იპოვება, გვრიტის კვერცხის ოდენაა.
- არ ლუბაბა — ეს ამბავი მე რად გამომადგება.
- ლიპარიტე — ახლავე მოგახსენებ. იმ მარგალიტს უბიდან არ ვიშორებდი, და, თუ სადმე დავდგებოდი, ახლომახლო უნდა დამეფლა.
- არ ლუბაბა — მაშ, ახლაც აქ უნდა გქონდეს, ეს რომ მართალი იყოს.
- ლიპარიტე — დიახ, აი, საკუთარი თვალით ნახავ, იმ მარგალიტს შენ დაგიტოვებ!
- არ ლუბაბა — ვის დაუტოვებ?
- ლიპარიტე — შენ.
- არ ლუბაბა — მე რა სიამისათვის?
- ლიპარიტე — სულ ერთია, ხომ ვილუბები და რასაც შენგან არ მოვიგებ, რას ვკარგავ!
- არ ლუბაბა — სადა გაქვს, დამანახე!
- ლიპარიტე — ავერ, სურო რომ არის, იქ კედელზე ყვეთელ ქვას ფეხი აჰკარი, ქვა გვერდზე წავა და იქ დევს.
- არ ლუბაბა — ამ სუროსთან?
- ლიპარიტე — დიახ, ოქროს კოლოფშია. თვითონ ის დიდი მარგალიტი შენ გქონდეს, კოლოფი კი (დარაჯზე) ამისთვის და-

მითმია, მეორე მაღლი შემეწევა. თანაც, ნამუსს შეგინახავს.
შოშკობა — ეჰ, მთლად შეშლილხარ, ლიპარიტე, შე უბედურო.

ლიპარიტე — (შოშკობას) გაჩუმდი, გამოტვინებულო.
შოშკობა — რად გავჩუმდე. (გადაუჩურჩულებს) ვინ იცის, რამდენი ცოდვით გიშოვია ის მარგალიტი და ახლა, ამ წაწყმედის წინ, კიდევ თათარს ახარებ?

არღუბაბა — (შოშკობას) შენ რას ეჩურჩულები? (ჩაატყამს).

ლიპარიტე — აი, ვაცხონე შენი ხელი მაგის გალახვისათვის. მიწაში დაქარგვას, ბარემ ამ კაცმა ისარგებლოს, საწყალს ბეიტები ეყოლება.

არღუბაბა — ეს კარგი აზრია, მხოლოდ თუ ყალბია ის მარგალიტი, სად მიძვრები? შენ გგონია ვერ, ვიცნობ? ან, ეგებ, სულ მთლად ზღაპარია.

ლიპარიტე — თუ ტყუილი აღმოჩნდეს, შენს ხელში ვარ და მაწამე, ოღონდ თუ მოგეწონოს, იმის სამაგიეროდ სული გაუწვალებლად ამომაძვრე.

არღუბაბა — აჰა, მივხვდი, რის სანთასურად მაძლევ, მაშ, ნამდვილი მარგალიტია?

ლიპარიტე — თუ არ არის, დამსაჯე.

არღუბაბა — სულ ერთია, წამებას მაინც არ დაგაკლებ. ამისთვის კიდევ დაგიმატებ.

ლიპარიტე — რატომ?

არღუბაბა — არღუბაბა ქრთამით ხელობას არ წაახდენს.

დარაჯი — ხელად მოვნახავ.

არღუბაბა — არა, დაიცა, თვითონ წავალ. (აპირებს წასვლას).

დარაჯი — კოლოფი, მგონი, მე მაჩუქა.

არღუბაბა — კარგი. ეშმაკმა არ მიხუმროს. ეს ამბობს, იქ რალაც ყვითელი ქვა არისო. ქვა გადასწიე, კოლოფი აიღე და სიტრთხილთ მოიტანე. (დარაჯი მიდის სუროებში).

ფატი — ოჰ, რა დღეში ვარ, რა წამებაში, ღმერთო ჩემო, ასეთი რამ სიზმარშიც არ მომლანდებია. (ხვრელიდან მოისმის დარაჯის შეშინებული ძახილი: არღუბაბა!..)

არღუბაბა -- (დაეკვებული) რა მოუვიდა! მგონი, წამოიყვირა.

ლიპარიტე — აღბათ, სიხარულის ზაფრა ეცა.

არღუბაბა — (დაეკვებული ეძახის). დარაჯო!.. — (მოუხედავს ლიპარიტეს) იმ კოლოფში გველი არ გყავდეს, შე მზაკვარო.

ლიპარიტე — როგორ გავბედავ.

არღუბაბა — ჰო, ახლა გაჩუმდა.

ლიპარიტე — მხოლოდ იმ კაცმა სულმოკლეობით მარგალიტი არ გადავიმალოს, არ დამლუპოს.

არლუბაბა — არ დამლუპოსო? ვაჰ, არლუბაბას ხელში მყოფს სხვა რა დალუპვისა უნდა ეშინოდეს, სჩანს, კიდევ ვერ მიცნობ.

ლიპარიტე — ეს კი ვიცი, რომ კეთილი ხარ.

არლუბაბა — კეთილიო!

ლიპარიტე — დიახ, ისე, როგორც მევარ მართალი.

არლუბაბა — ოო, მაშ ენახოთ რომელი ვაჯობებთ. შენ გეტყობა მაგარი ვინმე ხარ. ამ ქალ-ვაჟის იმედი კი არა მაქვს. როგორც მოვეუქერ მარწუხს, მაშინვე იღრიალებენ. (ფატი და მუსუსელა ძრწიან) აი, უკვე ძრწიან ეს სულმოკლენი. მაგრამ დარდი ნუ გაქვს, შენ ისეთი რამეებს შეგიძრავ, ამათზე ნაკლებ არ იყვირებ, ჩემს ხელში კამეჩის ამწევი ვაჟკაცი უცბად თავვად გადაიქცევა.

ლიპარიტე — ასეა, ავაშენა ღმერთმა, ვისაც თავის ბელობა არ უყვარს, რა კაცია.

არლუბაბა — არლუბაბას ხელში ვინცაა, ჯოჯოხეთი დასასვენებლად ენატრებათ.

ლიპარიტე — რა ვქნა, როგორიც არ იყო, ახლა შენს მეტი კეთილი არვინ მყავს... და ამისთვის მინდა გემსახურო... მხოლოდ ის მარგალიტი რატომ არ მოაქვს დარაჯს, უსათუოდ იქ მარხავს.

არლუბაბა — სწორია, იგვიანებს. (უახლოვდება სუროს) ეი, რა მოგივიდა! (არლუბაბა ფრთხილად შედგამს ცალ ფეხს სუროში. ხერელიდან უცბად გამოვარდებიან ჯონდო, რახმელი და ქონდარა—ძალიან პატარა, სწრაფი კაცი, რომელიც ნიშნებით ჯონდოს ხელმძღვანელობს. შურდულივით დაეჭვრებიან არლუბაბას, ჯონდო არლუბაბას მიწიდან ასწევს და შეხუთავს. რახმელი პირზე ხელს დაადებს. გაოგნებული არლუბაბა ძლივს მოასწრებს ამოგმინებას, ისე გაიტაცებენ ხერელში).

შოშკობა — ეჰ, როცა ლიპარიტე კიკოტასაც კი იმედი ასე დაგიწურავს (ტირილით), მართლაც საშველი არ ყოფილა.

ლიპარიტე — ნუ ფლიქვინებ, ბიჭო შოშკობა, დარაჯები დაეღუპე, გაიხარეთ!..

შოშკობა — რაო?

ლიპარიტე — ხერელში, სადაც ისინი მარგალიტისთვის შევაგზავნე, მეფის ჯარია.

შოშკობა — რას ამბობ!

ლიპარიტე — ახლა აქედან გავიპაროთ.

ფ ა ტ ი — რაო?

შოშკობა — გავიქცეთ!

ფ ა ტ ი — ნუთუ, იმედია!...

ლიპარიტე — (ხელს ჩაჰკიდებს ორივეს) წამოდით!

შოშკობა — სად?

ლიპარიტე — ნუ კითხულობ, იარეთ. (უკან მოექცევა და ხელს კრავს. თავისთვის) თუ ის ხმალი მომიქნია, ამათ ამოვეფარები.

შოშკობა — დაიცადეთ, თვალღია უკან მოგვექეც და წინ. ბრემებს გვიშვებ?

ლიპარიტე — კი, ასეა საჭირო.

შოშკობა — რატომ, რაღაცა აზრი გაქვს, სადმე არ ჩაგვეყო. აბა-ბა-ბა! შენ თვალხილულიც ძლივს გენდობი.

ლიპარიტე — ეჰ, რა უნდო ხალხში ვარ. ამის უარესში სადღა. ჩაგაგდებ.

შოშკობა — ჯერ საბურავი მოგვაშორე. ისე ფეხს წინ ვერა ვდგამ, შენ კი უკანა ხარ...

ლიპარიტე — მაშ, მეც დამეხმარეთ, თოკის მოხსნაში (ფატი, შოშკობა და ლიპარიტე ცდილობენ ერთმანეთის დახმარებით საბურავები და თოკები მოიხსნან. ხერედიდან გამოდიან და სოროებიდან იყურებიან. გოსტაშაბი, ჯონდო, ქონდარა და სამი რახმელი).

1 რ ა ზ მ ე ლ ი — ოო, თათრები არ ტყუიან, მართლა გაუყოკიათ. ეს ცოდვისშვილები!

2 რ ა ზ მ ე ლ ი — ახლა რა ვქნათ, წინმძღოლო?

გოსტაშაბი — მიწა ვქამოთ, ბიჭებო, კიდევ დამღუპა ლიპარიტემ, თათრები შემოგვიგდო, ახლა ურჯულოები გაიგებენ, რომ ციხეში ხერელია.

3 რ ა ზ მ ე ლ ი — მერე, რა ვქნათ! ცოლს მიატოვებ ამ კედლებში?

ჯონდო — რა მადლიანი ქალია, რა საქმელს გიხარშავდა, მახსოვს.

2 რ ა ზ მ ე ლ ი — ვაი, ლადარო!..

გოსტაშაბი — ეჰ, ვინ რა იცის ჩემი ღარდი. ვარსკვლავი აქ მყოლია და მე ცაში ვეძებდი. არა, სად წაფშავდე.

3 რ ა ზ მ ე ლ ი — სირცხვილო! ასეთ ციხეში მტერი იჯდეს და ქვეყანას აწიოკებდეს!

2 რ ა ზ მ ე ლ ი — ცოლებსაც გვართმევდნენ?

გოსტაშაბი — ლაშქარი რა ქკუაზეა?

1 რ ა ზ მ ე ლ ი — ამბობენ, ამ ციხეს ძალით ვერ ავიღებთო. ბევრი. სართულია, ბევრი საისრეა, მტერიც უამრავია. კიდევ ქვეყნის

მოლაღატე მთავრებია თავთავის რაზმებითო.

გოსტაშაბი — მეორედ ვინც იტყვის ვერ ავიღებთო, თათრებს გადაუფლდებ ვალავანში და მათ აწამონ, მე ხელს არ გავისვ-რი. ჩემს ლაშქარს ქვის გული უნდა ქონდეს, გესმის, ქონდა-რა! ასე უთხარი სუყველას და პასუხი მომიტანე.

ქონდარა — ჩამოუფურენ!

გოსტაშაბი — ბახტრიონი უნდა ავიღოთ.

1 რაზმელი — ეს ასეა, მხოლოდ ძალა უნდა.

გოსტაშაბი — დიდი ნიგვზის ხე ხომ დაგირეკიათ, ბიჭებო?..

ჯონდო — კი.

გოსტაშაბი — ისე უნდა გავრეკოთ თათრები ამ ციხიდან.

1 რაზმელი — ბახტრიონი ხომ ნიგვზის ხე არ არის და თათრები მწიფე კაკლები.

გოსტაშაბი — კარგი სარდლისთვის ასე არის.

რაზმელები — ეს მართალია! მართალია!..

გოსტაშაბი — წუხელის ხომ ჭკუით გიწინამძღვრეთ. შეგაცოცეთ იქ ზევით და თათრებს უცბად ისრები დაეუშინეთ. მერე ისევ ხვრელში დაგმალეთ. თათრებმა კი ეს საქმე მთავრებს დააბრალებს და ერთიმეორეს დაერივნენ.

1 რაზმელი — ჩვენც მოვიარეთ. საფარში დაგსვით და რაც გვიბრძანე, უზიარებლად შევასრულეთ.

გოსტაშაბი — აბა, ერთი არ აგესრულებიათ! მე ბედსვიანი სარდალი ვარ. პაპაჩემის მამა დიდმა თამარმა შეაქო ბასიანში, მამაჩემი კი ქვეყნის მტრებმა სულ დააკნინეს და მე ლამის ყმად გადამაქციეს, მაგრამ ახლა მე თვითონ მოვჭრი ყურს იმ ბოროტ ბატონებს და მოლაღატე მთავრებსაც მაგრად ვუთავაზებ. კახაბერის ხმალი ავიღე — საქმესაც ვიზამ. თვალში პირდაპირ შემომხედეთ, ვინც ვაეკაცი არაა, მოკედეს.

2 რაზმელი — ასეა, კახაბერის ხმალი ავიღია, სიტყვასაც მისას ამბობ!

გოსტაშაბი — საქმესაც ვიზამ!

1 რაზმელი — საქმე როგორ გავაკეთოთ, თუ აქ ცხვირი ვერ შემოგყავით, დღეს თუ არა ხვალ ხომ აღმოაჩენენ ამ ხვრელს და ამორაგვავენ.

გოსტაშაბი — კიბეებს გავამზადებთ და ლამით გადმოვიპარე-ბით ციხეში, სხვებიც შემოგვემატება, ბიჭებო, ერის კაცნი სიკვდილს ეძებენ.

1 რაზმელი — ეს კი საქმეა.

კონდარა — მე კიდელზე ხელიკვით გავუძღვები ყველას.

გოსტაშაბი — ისეთ გვერდიდან დავესხმებით ციხეს, სადაც თათრებს თვალი არ ეჭირებათ, და არ მოვეშვებით, სანამ არ ავიღებთ. მე ისეთი გონიერი ვარ, საითკენაც ჩემი ჭკუა მობრუნდება, ქვეყანაც იქით ბრუნავს. ყველა ყორეს დავანგრევ თქვენი ხელით, ოღონდ უშიშრად გამომყევით.

1 რაზმელი — შიში რა საფიქრელია, როცა კაცი კახაბერის ხმლით მიგვიძღვება.

გოსტაშაბი — რასაც გული მეტყვის, მას ვიზამ. ჩემი გული დაუცდენელია და ენდეთ. ახლა ის შეკოქილები მომიყვანეთ. ამბავს ვკითხავ და პასუხს გავცემ. (რაზმელები პატიმრებთან მიდიან).

შოშკობა — ისე როგორ შეუსკვნიათ, ამდენ ხანს ვერ გავხსენით.

რაზმელები — (თოკს ხსნიან ლიპარიტს) წამოდი!

ფატი — ვის ეძახით?!

ლიპარიტე — მოვდივარ, ოღონდ იმ ხმლისა მეშინიან.

შოშკობა — გვიშველეთ, თუ სულიერები ხართ!

1 რაზმელი — ვნახოთ, წაგიყვანთ ჩვენს სარდალთან.

(რაზმელები შეხსნიან და საბურავებს მოხდიან ფატის და შოშკობას).

ფატი — უი, რა მადლით მოგვევლინენ! (უახლოვდებიან გოსტაშაბს) გვიხსენით ამ ჯოჯოხეთისგან!

გოსტაშაბი — (ფატიზე) ეს ვისი თვალის სიხარულია?

ფატი — მე... ბახტანგ-ხანის ცოლად ვითვლებოდი.

შოშკობა — მე ამასთან შემისწორეს და ორივეს ცოცხლად გემარბავდნენ.

ლიპარიტე — მე კი ამათ გულისთვის თავს მჭრიდნენ და თქვენთან გამოვიქეცი.

გოსტაშაბი — ხომ ხედავთ, თურმე ამათი ბრალია, რომ აგვიტალახდა ხვრელი.

1 რაზმელი — ეს ამასთან შეუსწორიათ, ნამუსი კი ჩვენ აგვხადეს.

გოსტაშაბი — ახლა დასაზოგავი არიან ეს უტიფრები?!

რაზმელები — დასალუპავენია!

გოსტაშაბი — მე ხელს მაინც არ გავისვრი ამათი სისხლით, დავტოვოთ და თათრებმა დასაჯონ ჩვენი ცოდვით.

შოშკობა — არა, ოღონდ თათრების ხელში ნუ ჩავყვართ, გოსტაშაბ, და ყველაფერს დავთმობ, ყელამდე გავაკეთებ. (აწოდებს). აი, ბახტანგ-ხანის სახელოვანი ბეჭედი მაქვს. ამას მოგართმევ. შეხედე, რა საუნჯეა, ერთ სამეფოდ ღირს.

- ფატი — ო, ალალი იყოს შენზე, ოლონდ მათ ხელში ნუ ჩაგვტოვებთ.
 გოსტაშაბი — (გამოართმევს ბეჭედს) თვალი მომპრა უცხო ნათელით. რა ყოფილა!
- რაზმელები — (დახედავენ) ვეჰ, რა საქონელია!
- გოსტაშაბი — ეს ისეთი საუნჯეა, თუ ციხე ვერ ავიღეთ, მთლად შერცხვნილიც არ მივდივართ მეფესთან.
- 1 რაზმელი — ასეა, ასე, რა წაგვახდენს, როცა კაცი ბედნიერი ხმლით მიგვიძღვება.
- გოსტაშაბი — (რაზმელებს ფატიზე და შოშკობაზე) მაშ, ესენი ხერგლიდან გაიყვანეთ, თავზე შემოივლეთ და გაუშვით ჩიტებივით, სადაც უნდათ გაფრინდნენ. (ფატი, შოშკობა, 1 რაზმელი აპირებენ წასვლას).
- შოშკობა — (აღერსით, ფატი) სხვა საუნჯე რად მინდა, როცა შენ მოგიპოვე!
- ფატი — მეც ვგრძნობდი, რომ შენს ხელში არ დავიღუპებოდი.
- შოშკობა — როგორ იათად დაგიხსენი, ის ბეჭედი რას მიქვიან, მე შენს თავს ვტიროდი და არა ჩემსას, სულო!
- ფატი — ვიცი, ახლა ვხედავ, რომ ჩემი ჯაერით ქუაზე არ იყავი.
- ლიპარიტი — ამ სიკეთეს, გოსტაშაბ, გადაგიხდი! (აპირებს წასვლას).
- 1 რაზმელი — (გადედლობება ლიპარიტს) შენი გაშვება ჯერ არ უთქვამს. (ფატი, შოშკობა, 2 და 3 რაზმელები მიდიან).
- გოსტაშაბი — ლიპარიტი აქ დატოვეთ, — ჩემი ოჯახის ამომგლები.
- ლიპარიტი — რაო! (აპირებს გასვლას და ძალად დაანეინებენ) რა ჯოჯოხეთის კარს მიხურავ, გოსტაშაბ, შე უღმერთო! სად მტოვებ!
- გოსტაშაბი — ეშმაკს გზის მეტი რა აქვს. ჩემს კარებში არ გავატარო! (აპირებს წასვლას, მოშორებით დადგება და კოშკს ათვალიერებს).
- ლიპარიტი — (რაზმელებს და ჯონდოს) შემავედრეთ თქვენს სარდალთან, თქვენი ჭირიმიე, და პურ-ღვინით გაგალაღებთ.
- ჯონდო — გაწყრება.
- 1 რაზმელი — როცა კაცი კახაბერობს, ცუდი საქმის თხოვნას ვინ გაუბედავს.
- ლიპარიტი — მაშ, გაახსენეთ, რომ ის ბედნიერი ხმალი მე გადავეცი და თუ გამიშვებს, კახაბერის ჯაქვსაც ვუშოვი.
- 1 რაზმელი — დაიცადე და ვეტყვი. (ჯონდო და 1-ლი რაზმელი ლიპარიტს შორდებიან და გოსტაშაბთან მივლენ).
- 1 რაზმელი — კახაბერის ჯაქვს ვუშოვი გოსტაშაბს და მივართმევო.

გოსტაშაბი — არა, რა დღესაც ხმალი გადმომცა, მაგ წყეულ-
მა, ოჯახი იმ დღეს დამინგრია. ახლა კი მთლად დამლუპავს,
მხოლოდ... გულქანას თუ დამანახვებს, რაც არ უნდა დამე-
მართოს, გაუფუფებ.

1 რა ზმელი — მაგას როგორ მოახერხებს, თათრებმა თუ დაინა-
ხეს მოკლავენ.

ლიპარიტი — ეშმაკს ჩანგალი არ ეღება, (გოსტაშაბი მიდის. ლიპა-
რიტი ხერხელისკენ მიეშურება).

1 რა ზმელი — იქით გაბრუნდი, დასანდობი არა ხარ.

ლიპარიტი — რისთვის, ბიჭებო!

ჯონდო — ისე აგვირიე საქმე, აქედან უნდა გავიპაროთ.

1 რა ზმელი — წავიდეთ, ამოვრავვით ხერხელი.

(1-ლი რაზმელი და ჯონდო აპირებენ წასვლას).

ლიპარიტი — დაიცადეთ. იმედი არ დამიხშოთ, ბიჭებო. ისმინეთ
ჩემი ვედრება, რა ექნა... გულქანას მაინც პატივს არ სცემთ!
ის რომ მოვიყვანო, მაშინაც არ გამიშვებს გოსტაშაბი?

1 რა ზმელი — ეს სხვა საქმეა.

ჯონდო — გულში თხლესავითა აქვს, რომ ვერ ნახა ცოლი.

1 რა ზმელი — ჩიტი რომ სადმე აქიკიკიდება, ყურს არ აშორებს,
ასე გონია გულქანას ამბავს ეუბნება.

ლიპარიტი — მაშ, გოსტაშაბმა ამ ამბის თქმა არ დამაცალა და
თქვენ მაინც გადაეცით— გულქანა რომ ნახო, ისე გამშენიე-
რებულა, იტყვი რა ღმერთმა მოიცალა მისი პირის სახატა-
ვად-თქვა. ოღონდ, ბოლოს, შენი ჯაგრით ჯეირანის მწვა-
დებს ვერ სქამს, სულ ყელზე ადგება-თქვა ისე დათუთქულია
შენი სიყვარულით, ვერაფერმა გაახარა... შენგან, უბეში, იმ
საცოდავს, ერთი რწყილი გაყოლია და სულ იმ რწყილს ეფე-
რება, ოქროს შუშაში ყავს-თქვა... თავის ქმრის მოსაგონებლად,
სხვა რა შერჩენია-თქვა... ისე უნდა იმ უბედურს შენი ნახვა,
დარბაზში რომ ატირდება, ცაში ქუხილია-თქვა. ლიპარიტი
კიკოტესაც მართო ეს აქს სანატრელი, რომ თქვენ ერთად შეგ-
ყაროთ და ცოდვა მოიბანოს-თქვა.

ჯონდო — უჰ, რა პირი გამოთქვა!

1 რა ზმელი — ბოლოს, მართლაც, ამ სიტყვებს რა დაიმახსოვ-
რებს რომ გადაეცეთ.

ლიპარიტი — ახლა არ გამიშვებთ!..

1 რა ზმელი — კი, როცა გულქანას მოიყვან, ია და ვარდს გა-
გიფენთ. გოსტაშაბმაც ასე დავგიბარა.

ლიპარიტე — მართლა?

1 რაზმელი — კი, ოღონდ იმიტომ არ გითხარით, თათრები დასათურგნად გეძებენ და ვიფიქრეთ ვერ მოახერხებს-თქვა.

ლიპარიტე — არა, ჩუმად გავძვრები და მოვიყვან.

1 რაზმელი — კარგი, ვეტყვი გოსტაშაბს და დაგიცდით. ჯერ ხერელს არ ამოვრავავათ. (ჯონდო და 1-ლი რაზმელი მიდიან).

ლიპარიტე — (მართლ) თქვენ კი დამიცდით, მაგრამ მე ცხრა-კლიტულიდან გულქანას როგორ გამოვიყვან. ვხედავ, თათრები მიპოვნიან და ამკუწავენ... რარიგ არ ვემალე დღეს აღსასრულს, სად არ გავძვერი და მაინც გადავეგე... ეჰ, შე ოხერო სიკვდილო, ვისაც შენ შეუჩნდები, მისი საშველი ხომ არ არის. მე რა ვარ, როცა სარდალსაც კი დიდებას მანამ არ აღირსებ, სანამ ქრთამად ურიცხვ სულებს არ ჩაგაბარებს... და, ბოლოს, მასაც ისე წაავლებ ხელს, როგორც უბრალო ქიანჭველას... ეჰ, რა გითხრა, შე ოხერო სიკვდილო, არ არის სიცილი შენ რომ ტირილით არ მოათავო, არ ითქმება ისეთი სიმღერა, შენ რომ არ დაადუმო, ყველაფერს სწვდები ცის კიდემდე და სულ ყველგან სინამდვილეს სიმტკნარედ აქცევ... მე თუ მკითხავ, შენ ეშმაკის მოტანილი ხარ და რაც ამ ქვეყნად სიცრუეა, შენი ბრალია... მხოლოდ ზოგნი, ბრძენად შემდგარნი დაღადებენ, რომ არის ნათელი, რასაც შენ თითქო ვერ აბნელებ, ეს ყოფილა ქეშმარიტება... მაგრამ ის მოსავენი ქეშმარიტებისა ცხოვრებას ტანჯვაში ატარებდნენ და მე მათ დავცინოდი. ზოგჯერ კი მწარე საკმაზსაც ვუნაყავდი.

(შემოდინა ზაბუნი და მეთაური. ლიპარიტე ვერ ამჩნევს).

მეთაური — რაო? ხომ არ ლოცულობს?

ზაბუნი — სსს!.. ვაცალოთ, ოღონდ თვალი არ მოვაშოროთ.

(ზაბუნი და მეთაური ჩუმად მიდიან).

ლიპარიტე — ოო, ლიპარიტე, დაგიდგა ჟამი, რომელიც უსასრულის იქით გეგონა, — მოგისწრო ყოვლის მომსწრაფელმა... ამ მეხმა სინდისი გააღვიძა და... მაგონდება ცოდვით მოთხრილი ორმოები, სიძვის ბუშები... ცის კიდემდე ხეტიალში და შვიდ ენაზე ტუხტუხში გამოცვლილი შვიდი სარწმუნოება... შვიდივე რუჯულზე მილაგნია ქვეყნის მოსატყუებლად, აქ კი, აღსასრულის წინაშე პირგაშავებულს, ერთი ლოცვის სიტყვა არ გამაჩნია... მქენჯნის სინდისი, გინებით ფურცლავს ჩემი ცხოვრების წიგნს დახურვის წინ და განვ-

ლილ სიცოცხლეს ისე ვგრძნობ, თითქო სიბილწე ჩავტლიკე... მაგრამ მარტო სიკვდილი არ არის აქ გადასახდელი, ზედ წამებასაც მომისჯიან და მომადგება ჯალათის ხელით ტკივილები... აუტანელი, ამყვირებელი... და კიდევ ის სიბრძნის მოსავენი მაგონდებიან... მე შევსწრებივარ მათ წამებას და მინახავს, აღსასრულის პირად, როგორ ზეიმობდნენ ქეშმარიტების წინაშე ვალის მოხდას. ეს ჰგავდა შენზე გამარჯვებას, სიკვდილო! ამბობდნენ, ასეთი ძლიერები ისინი სიმართლის სიყვარულით არიანო... მაგრამ მე ისე მოეწიფულვარ, რომ სიმართლე გულში არ შემიშვია. მისგან მხოლოდ ფერი და კანი მიმიღია, ისიც ქვეყნის მოსატყუებლად, და ახლა, შეოხერო სიკვდილო, როდესაც შენს წინაშე უშნოდ დავბმულვარ, რა შევიყვარო ისეთი ალტყინებით, რომ მის გულისთვის შენ ზეიმით მიგილო... რა მომცემს იმ სიმაგრეს, რასაც ბრძენნი მთელი სიცოცხლის მოსაობით ძლივს პოულობენ. (მოისმის საჭურისის ხმა) ეჰ, მოდის მახვილი! (უკან იხევის. შემოდინა ზაბუნი და მეთაური, რომელთაც შეეფეთება. ლიპარიტე გაშეშდება).

ზ ა ბ უ ნ ი — ო, თავაზი, ჩვენი მისანო!

ლიპარიტე — სალამი, კეთილ თათრებს!

ზ ა ბ უ ნ ი — წუხელის მთლად გამართლდა შენი სიტყვა, მისანო. მთაერებმა ისრები დაგვიშინეს.

მ ე თ ა უ რ ი — ლოდებიც დაგვაყარეს, პირძალღებმა.

ზ ა ბ უ ნ ი — ეს მეთაური დაიჭრა, სამს თავი გაუჩეჩქვეს. თუმცა ჩვენ ისე მედგრად დავხედით, ბოლოს წყალივით გაიპარნენ, ახლა ბახტანგ-ხანს მოვახსენებთ ყველაფერს. ჯერ არ იცის.

ლიპარიტე — ეჰ, რა უნდა ქნა კაცმა...

ზ ა ბ უ ნ ი — ჩვენი დამხმარე ულუსი ერთ კვირაზე აღრე ვერ მოაღწევს და საკითხია, გავეცალოთ, თუ აქ გავმაგრდეთ?

ლიპარიტე — მაშ, ფარულად ამიყვანე კოშქში და ჩუმად გირჩევ. (შემოდის ამაყად საჭურისი, ლიპარიტე შეკრთება, ამოეფარება ზაბუნს. საჭურისი რა ვერ ხედავს ტყვეებს, გაშეშდება).

ზ ა ბ უ ნ ი — როგორ მოიკაკე, მისანო!

ლიპარიტე — ნიკრისის ქარი მეცა.

ს ა კ უ რ ი ს ი — რა ეშმაკი გადაეფარათ. (იძახის) არღუბაბა! (თვალს იფშენებს) ვაჰ, სად გაჰქრნენ ეს პირშავები.

ზ ა ბ უ ნ ი — რა მოუვიდა ამ საჭურისს, რისთვის წორიალებს!..

ს ა კ უ რ ი ს ი — ხანი მობრძანდება და რა ეშმაკი გადაეფარათ.

(ზაბუნს) ზაბუნ, აქ ქურდები დავტოვეთ გაკოპილი.

ზ ა ბ უ ნ ი — ქურდებს აქ რა უნდათ!

საქურისი — არღუბაბას ჩავაბარეთ. რა მიწა გაუსკდათ იმ ვე-
რაგებს!

ლიპარიტე — (ჩუმად ხაბუნს) ავიდეთ შენს კოშკში.

ზაბუნე — ო, ხედავ, თვითონ ბახტანგ-ხანი მობრძანდება. დაიცა.
(შემოდინან ბახტანგ-ხანი მცველებით, აღფრთოვანებული: ათაბაგი, ერისთავი
და მთავრები).

ათ. შანშე — (საქურისს) მაშ, წარმოადგინე ხანის წინაშე დამნა-
შავენი მოპარული ბეჭედით, თავისი თვალით ნახოს ხანმა.
(თვალს აცეცებს) სადა გყავთ?

მთავრები — (თვალს აცეცებენ) სად არიან?

საქურისი — რა მოგახსენოთ... ვეძებ...

ბახტანგ-ხანი — რას ეძებთ, აკი ქურდები არღუბაბას ჩავაბარეთო.

ათ. შანშე — გულთმისანიც გავთოკეთ.

საქურისი — დიახ, ასეა, ბედნიერო.

ზაბუნე — რაო? რომელი გულთმისანი გათოკეთ?..

საქურისი — აი, ის არამზადა, ხანის ასული რომ მოიყვანა და
თავი ბრძენად მოგვაჩვენა.

ზაბუნე — ის ხომ აგერ ბრძანდება, ვერ ხედავთ, რა სიზმრებს
ლაპარაკობთ!

ათ. შანშე — ამას აქ რა უნდა! თოკი ვინ შეგხსნა?!

საქურისი — (ყვირილით) ფატი თავის მაცდურით სად არის? ვინ
აგიშვათ!..

ბეშ. ერისთავი — შენ ხომ თავზე დარაჯები დაგაყენეთ. სად
წავიდნენ იმ ქურდებით?

ლიპარიტე — (თავისთვის) ისინი ხომ გოსტაშაბმა მოიტაცა და...
ამათ ჩემს მეტი მოწმე არ ყავთ.

მთავრები — არღუბაბა სად არის?!

ბახტანგ-ხანი — გულთმისანო, ენა რად ჩაგივარდა?

ლიპარიტე — ვერ განიგია რას მკითხავენ, ბედნიერო, ყვავილე-
ბის ლაპარაკი მესმის, ამათი კი ვერ გამიგია.

მთავრები — რაო! სად არიან, ვინც აქ დავტოვეთ?..

ათ. შანშე — სიტყვას ნუ ლექავ, პირდაპირ გვიპასუხე.

ლიპარიტე — აზრზე არა ვარ.

ათ. შანშე — იფ, თვალსაც არ ახამზამებს.

ბეშ. ერისთავი — სად არიან ქურდები აქ შენთან ერთად, რომ
გავკოქეთ?

ლიპარიტე — ჩიტის ენა ქართულივით მესმის, ამათი კი ვერ
გამიგია.

მთ. გვანგვა -- მწვერტელი მოიყვანეთ! ჩქარა დავაკალინოთ!
ლიპარიტე — გესმით, ზაბუნ, წამებით უნდათ მათქმევიწონ
სიცრუე.

ზაბუნნი — დიაცათ, წუხელის რომ თავს დაგვესხნენ მთავრები,
ამაზე რას იტყვიან?!

ათ. შანშე — ფრთხილად, ზაბუნ, ცილს ვერ დაგვწამებ.

ზაბუნნი — მაშ, ეს კაცი წუხელის ვინ დაგვიქრა? მხარშია დაყო-
დილი. სხვებიც დაზიანდნენ.

მეთაური — დიახ, მრავალი კრილობა მოგვაყენეს, ბედნიერო.

ბახტანგ-ხანი — ეს რა მეხი გაეარდნილა ჩემს ძილში.

მთავრები — რაო, რას გვაბრალებენ?

ათ. შანშე — აა, ახლა ვხედავ ეს სულ ზაბუნის ოინია, ისეთი
ლაპარაკი წამოიწყო, მაგას გადაუმაღავს დამნაშავენი და
ესეც მაგას აუშვია, ალბათ, იმ ფასუთქმელ ბექდის მითვი-
სება უნდა.

ბეშ. ერისთავი — დიახ, ანგარებას შეუპყვრია ზაბუნნი, ეს მო-
ლალატეა.

მთავრები — მოლალატეა.

ბახტანგ-ხანი — ზაბუნ, გესმის რას ამბობენ!..

ზაბუნნი — ბედნიერო ხანო, როდესაც მე მისრი ავიღე და ნა-
ცარტუტად ვაქციე, დიდმა ყენმა საჩუქრად ძალღის კბილი
გამომიგზავნა... ზაბუნ, სიბერით რომ ლოჯები ჩაგცვენია,
იმის ადგილზე ჩაიდევ, შემომითვალა, კაცის კბილი გაუტა-
ნელია და შენ ძალღის კბილი გერგება ერთგულებისთვისო.
დღეს კი აქ რა მესმის, ბარემ მზეც დამიბნელდეს ბედნიერო!..

ბახტანგ-ხანი — არა, ზაბუნ, ვინც შენ ცილი დაგწამოს, მზეც
იმას დაუბნელდეს.

ლიპარიტე — (ზაბუნს ჩემად) დაემუქრეთ, თითქო დღესვე მოე-
ლით ულუსს.

ათ. შანშე — (ლიპარიტეს) რას, ჩურჩულებ, ავაზაკო, შენი პირით
აღიარე რაც მოხდა.

ლიპარიტე — რა გითხრათ, ბატონებო!

ათ. შანშე — თქვი, როგორ მოვიყვანეთ ჩვენ ბექდის ქურდები
როგორ დაგტოვეთ და მერე რა მოგივიდათ, რაც თვალით
და ყურით ვნახეთ, ეს აღიარე.

ლიპარიტე — თვალი და ყური ყოველ სულიერსა აქვს, ხოლო
კაცს ზედ ქჷუაც აბადია, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ
კაცის კჷუას დავა უყვარს და ნასმენ-ნახულზეც ექვიანობს,
ამიტომ სიმართლე ვერ გამოაქვს.

ათ. შანშე — რას ლაყბობ, თვალეებში შემომხედე.

ლიპარიტე — ჩემი თვალი ისეთი წმინდაა, მეშვიდე ცაში ვიყურები და ისე მიტაცებს ხილვა, რომ აქაურობას ვერა ვხედავ, ამიტომ, ნუ გეწყინებათ, დიდებულნო, თუ აქ მართლა გადაგხდათ რამე და არ მახსოვს.

ათ. შანშე — არა, შენ უბრალო მატყუარა არა ხარ, მხოლოდ მეფის მოგზავნილს შეუძლია ასეთი თავხედობა.

ბეშ. ერისთავი — წუხელის იმ ქურდების ძებნაში სხვა შენს მეგობრებსაც წავაწყდით, ისინი სიბნელეში ტურებივით უკი-
ოდნენ ერთმანეთს, კახაბერი გამოჩნდაო.

ბახტანგ-ხანი — (შიშით) აა, ეს კიდევ რას ამბობს, კახაბერი გამოჩნდაო!.. გესმის, ზაბუნ!..

ზაბუნი — ეს ახალი მეხია.

ლიპარიტე — აი, თურმე სად არის ძალის თავი დამარხული, იმ ბეჭედის მოპარვის შემდეგ ამათ კახაბერთან ჰქონიათ პაემანი.

ბეშ. ერისთავი — გესმით, რა გაგვიბედა ამ თავხედმა!..

ათ. შანშე — არა, ამას ენით ვერ შემოუვლით, უნდა ავკუწოთ ეს ვერაგი. (მთავრები იარაღს იშიშვლებენ და შემოესევინან ლიპარიტეს. თათრები საპასუხოდ შვილდ-ისრებს მომართავენ).

მეთაური — რას ჩადიხართ, ბახტანგ-ხანს მოერიდეთ!

ზაბუნი — იცოდეთ, მთელი ულუსი! მოგრიალეებს. სადაცაა, გაჩნდებიან.

მეთაურები — ულუსი მოგრიალეებსო! რისთვის, ულუსს საიდან ელით?

ზაბუნი — თბილისიდან, დღეს მოვლენ.

ათ. შანშე — ჯერ მტერ-მოყვარე გაარჩიეთ.

ბახტანგ-ხანი — მომასვენეთ. მე აწი დაძინება მინდა.

ათ. შანშე — მეფეთ-მეფევ!

ბახტანგ-ხანი — გათავდა დარბაზობა. გამიყვანეთ.

(დიდებულნი ერთმანეთს ჩუმად).

ათ. შანშე — ეტყობა ჩვენი მოსპობა აქეთ განჩინებული და ამისთვის დაგვწამეს ცილი.

ბეშ. ერისთავი — რაკი თვითონ გვიმუხთლეს და ასეთ ცეცხლში გვეყრიან, ლალატი აწი აქეთ გვეკითხონ.

მთ. გვანგვა — ოო! ბარემ, ფასად დაუჯინოთ ჩვენი გაწირვა.

საქურისი — (დაჩოქილი ხანთან) ილუპები, იქცევი, ოქროს სვეტო.

ბ ა ხ ტ ა ნ გ - ხ ა ნ ი — (საპურისზე) ამ ყვეს თავი წაწყვიტეთ!.. მე ხომ გუშინ გავაგზავნე ეს ჯალათთან, დღეს რა უფლებით ცოცხლობს! ამიყვანეთ, თათრებო, კოშკში, იქიდან შეეხედო როგორ მოჰქრის დიდი ულუსი. (ბახტანგ-ხანი მიჰყავთ. ზაბუნი და მეთური საპურისს მიათრევენ. ლიპარიტეს უეცრად მთავრები ჩაიგდებენ ხელში).

ბ ე შ . ე რ ი ს თ ა ვ ი — როგორ გადაეუხადოთ ახლა ამას ჩვენი დღეუბა!..

ა თ . შ ა ნ შ ე — მოითმინეთ, დიდებულნო, ამ კაცმა თათრებთან ხიდი ისე ჩაგვიტეხა, სხვა გზა უნდა ვეძიოთ.

ლ ი პ ა რ ი ტ ე — დიახ, ბრმად შურისძიება რად გამოგადგებათ, დიდებულნო!

ა თ . შ ა ნ შ ე — ახლა მაინც გამოტყდი, ხომ მეფე დავითმა შემოგაგზავნა ჩვენს ასარვეად?

ლ ი პ ა რ ი ტ ე — თუ მეფისგან მოგზავნილმა ასე უცბათ აგრიეთ, სულ ერთია, თათრებში ნდობა არა გქონიათ და მაინც დაგლუპავენ.

ა თ . შ ა ნ შ ე — ეს კაცური პასუხია.

მ თ . გ ვ ა ნ გ ვ ა — მე ერთს ვხედავ, თუ ულუსმა მოგვისწრო, ჩვენგან ამბის გამტანი არ დარჩება.

ბ ე შ . ე რ ი ს თ ა ვ ი — მართალია, ამ კაცმა გააკეთა ის, რაც მეფემ და ეკლესიამ ვერ შეძლეს—გაგვთიშა ურჯულოებისაგან.

მ თ . გ ვ ა ნ გ ვ ა — მე თუ მკითხავთ, ბატონებო, ერთი მხრით თვალი აგვიხილა ცოდვაზე, რას იტყვი, ათაბაგო შანშე?

ა თ . შ ა ნ შ ე — მაშ, სინდისის ქვეშ გეტყვი.

ბ ე შ . ე რ ი ს თ ა ვ ი — ბრძანეთ.

ა თ . შ ა ნ შ ე — ჩვენ ვგავართ იმ უნამუსო ძალს, რომელმაც პატრონს უღალატა და მგელს მიემხრო. დღეს ამ ადამიანმა ის მგელი ჩვენზევე აღძრა და ახლა უნდა ვთხოვოთ, გაცოფებულ ნადირს ნუ დაუტოვებს ჩვენს თავს. შეგვარიგოს პატრონთან და ისევე ვემსახურებით.

ბ ე შ . ე რ ი ს თ ა ვ ი — მართალია, ჩვენ დაგვინდით, სახელი შევირცხვინეთ, ჩემი ბრწყინვალე მამა თათრებთან ბრძოლაში დაეცა და იმ წმინდანის მოკვეთილი თავი წამოიღეს აქ ბახტანგ-ხანთან, მე კი, მისმა პირმშო ძემ, მსუნაგ ძალღვივით გამოვსდიე მამის თავს და მისი სიკვდილი ჩემს თავს დავაბრალე, რათა მტერს შევეწყალებინე...

ლ ი პ ა რ ი ტ ე — უი, უი, რა ყოფილხართ, რა ცოდვილები!

ბ ე შ . ე რ ი ს თ ა ვ ი — შენ ეს ავი გზა მოგვიქერი, ხოლო ახლა ათა-

ბავ შანშეს თქმისა არ იყოს, მთლად უგზოდ ნუ დაგვტოვებ... ისევე შეგვარიგე სამშობლოსთან და იმ სიწმინდეს გვამსახურე, რასაც შენ მტლად ეღებ. აილე ხმალი და გაგვიძენ ურჯულოებზე, იცოდე გამოგყვებით.

ლიპარიტე — რა ვიცი, ეს როგორ მოხერხდება?

ბეშ. ერისთავი — არ გვენდობა.

მთ. გვანგვა — ალბათ ამ კაცის აზრი ასეთია: ჯერ ხმალი აიღეთ და მერე დაგიჯერებთო.

ბეშ. ერისთავი — ჰო, ჯერ ვაჟაკობა დავანახოთ.

ლიპარიტე — დიახ, ჯერ საქმე მანახვეთ და მერე, ეგებ, მეც ისეთი ელვა ამოგავდო ქარქაშიდან, რომ მზემ თვალი დახუკოს.

ათ. შანშე — შენს უებრო რაინდობას ვხედავ, მხოლოდ ვინ ხარ, არ ვიცი.

ლიპარიტე — მე დიდებულის გედეონის ძე ვარ, ბატონო ათაბაგო.

ათ. შანშე — რომელი? მე ხომ ყველა მის ძეს ვიცნობდი?

ლიპარიტე — მხევლისგან გაუუჩნდი, უკანონოდ, ბატონო, და არც ვეძებ მიწიერ ღირსებას, მინდა მარტო სულის სიწმინდით ვიხეტარო.

ბეშ. ერისთავი — მე ამ კაცის გარშემო შარავანდედსაც ვამჩნევ.

მთ. გვანგვა — მართალია, რალაც სინათლე ახლავს.

ლიპარიტე — როგორ აგეხილათ თვალები, ბატონებო!

ბეშ. ერისთავი — საკვირველი მადლი გქონია, როცა ასეთ საშინელ ბუნაგში შემოდი და წალმართ გზაზე შემოგვაბრუნე ცოდვილები.

ლიპარიტე — რა ვთქვა, მართლაც, სხვა ძალა დამპყირდა თქვენს მოსაქცევად.

ბეშ. ერისთავი — რა არის ეს ძალა, სიწმინდეა?

ლიპარიტე — რალა დაგიმალოთ, მე ისე წმინდა ვარ, მაღალო დიდებულებო, როცა ხატზე დაეხრები, ზოგი ხატი აქეთ ასწრებს ჩემს კოცნას. ცხრა წელიწადია სამოთხის კარი ღიაა, ლიპარიტე შემოვა თავის ნათელითო, მაგრამ ქვეყნის ვალი არ მიშვებს, სანამ ერს არ შევეწირები მეფე დიმიტრი თავდადებულებით, მის წმინდა სახელს შემოვევლე... იმ მეფე დიმიტრიმ, ჯერ კიდევ ბავშვი მნახა დიდებულის გედეონის ოჯახში და, მოუფრებით, ყური ისე მაგრად ამიწია, კირის ოფლმა დამასხა. გეტკინაო, — მკითხა, არა-მეთქი, ვუპასუხე. ყოჩაღ, რომ ბავშვს ამოდენა მოთმინება გქონიაო, ბრძანა და იმ დღიდან დამებედა წმინდანობა.

- ა თ. შ ა ნ შ ე — ჩვენც ვხედავთ, რომ საღვთო საქმეში ჩაგვაბი შე-
ნი სიბრძნით და მოთმინებით, მხოლოდ ერთი რამ მოცუბს,
წმინდანი ასეთ ხერხს თუ იხმარდა, არ მეგონა... შენ რას
იტყვი, მთავარო გვანგვა, არ გიკვირს სპეტაკ კაციისაგან,
რაც აქ ხრიკები მოგვდო?
- მ თ. გ ვ ა ნ გ ვ ა — ოო, დიახ. (ლიბარტეს) ეს აგვიხსენი, რაც შენი
პირით დღეს და გუშინ ჩვენზე ცილისწამება ითქვა, როგორ
ათავსებდი მართალ გულთან ისეთ ტყუილებს?
- ბ ე შ. ე რ ი ს თ ა ვ ი — დიახ, შენი სიკეთე გვჯერა, მხოლოდ ისეთი
წმინდანობა, რომელსაც ხატები აქეთ კოცნიან რა ვიცი...
მთლად წმინდანმა ხომ ტყუილი არ უნდა თქვას.
- ლი ბ ა რ ი ტ ე — სიმართლის ამბავი ასეთია—ის ყველა ენაზე უც-
ხოა და არავის ესმის. სიმართლეს მთარგმნელებითაც ვერა-
ვის გააგებინებ... იმიტომ, რომ სააქაოს ენა არაა და თარგ-
მნა არ უხერხდება. ტყუილი კი, თუ გინდა უცხოეთში წაიღე,
ყველა ხალხი დედაენასავით ლებულობს. თვითონვე რომ ას-
ჯერ გატყდე, მაინც მოგისმენენ და დაგიჯერებენ... ამიტომ,
როცა მე საქმეს შევუდგები, სულ ტყუილებს ვლაპარაკობ
ხოლო, რადგან სულით მაღალი ვარ, იმ ტყუილით მართალ
საქმეს ვაკეთებ და ღმერთიც მეხმარება.
- ბ ე შ. ე რ ი ს თ ა ვ ი — ო, საკვირველ ქეშპარიტებას გვეუბნება.
- ა თ. შ ა ნ შ ე — რაც არის აწი ხომ უკან დასახევი არა გვაქვს და
დროს ნუ ვკარგავთ, ავიყაროთ ჩვენი რაზმებით და გავიდეთ,
სანამ დიდი ულუსი მოგვისწრებდეს.
- ბ ე შ. ე რ ი ს თ ა ვ ი — დიახ.
- ა თ. შ ა ნ შ ე — შენ კი გვიშუაკაცე კახაბერთან, ხელს ნუ გვკრავს.
- ლი ბ ა რ ი ტ ე — რა მიხარია, რომ კეთილისკენ იბრუნეთ პირი,
დიდებულნო. კახაბერი კი მართლა გამოჩნდა, მეფე დავითთან
ითათბირა და თქვენთან შემომგზავნეს.
- ა თ. შ ა ნ შ ე — ეს მე თავიდან მივხვდი.
- ბ ე შ. ე რ ი ს თ ა ვ ი — ჩვენ აქ მძევლად კახაბერის ასულები გვყავს
და რადგან ციხიდან გავრბივართ, ისინი ამას ჩაუბაროთ.
- ა თ. შ ა ნ შ ე — კარგი. საქმეს შევუდგეთ. (ლიბარტეს) ნიშანს მოგცემ
და იმ ასულებს ჩაიბარებ. (დიდებულნი მიდიან).
- ლი ბ ა რ ი ტ ე — როგორ გვაბრუნებს ეს სოფელი. წელან ჩემი სუ-
ლი ეშმაკს მიჰქონდა, ახლა კი დიდებულებმა ქვეყნის მხსნელ
ანგელოზად დამსვეს. მაგრამ, შეიძლება, მალე ისევ მტერს
მოურიგდენ და მე სარზე დამაგონ... ვიცი გზა კეთილისა რა

ეკლითაა მოფენილი... თუ დღეს ქვეყნისთვის ისე საჭიროა გმირი, რომ უკახაბეროდ ყველა ვიღუპებით, ვიკისრებ მის მაგიერობას, მხოლოდ მისებო მოწამეობას—ვერა. მართალია, წელან ჩემი თავი ვერჯულე ცოდვებისათვის, მაგრამ ის შიშით იყო... ახლა ისევ ლიპარიტე ვარ და ჩემ გზიდან ქება ვერ გადამაცდენს. ამბობენ, რომ წმინდანები ქირში ისე მაგრდებიან, როგორც ქვევრში ღვინო და, ბოლოს, ერს საფლავიდანაც ათრობენ და სისხლს უღუღლებენო, მაგრამ მკვდრეთითაც რომ დგებოდნენ წმინდანები, მათი აყოლა მე არ მარგებს. მე, ლიპარიტე კიკოტეს, კიდევ დამცინებენ, როს მნახავენ მწარედ აზრუქუნებულს, იმიტომ რომ ერი ღვაწლს ყველას არ უფასებს, ერს მხოლოდ ის უყვარს, ვინც საკუთარი თავის მტერია. მე კი თვითონ ქვეყანა მიმაჩნია ჩემთვის მოსათლელ დუშად... დღესაც, რადგან დიდებულებმა გმირად მიცნეს, შევიფერებ რამეს გამოსაძალად... მაგრამ საფრთხის დროს გასაძრომი მზად უნდა მქონდეს. ამისთვის საჭიროა გოსტაშაბი შევირიგო... და ამას ახლავე გააკეთებ... მხოლოდ ეს მეფიქრება დედუფლად გადაქცეული გულქანა ისე როგორ გადაერიო, მასთან არჩიოს დაბრუნება... (შემოდის ზაბუნის და რამდენიმე თათარი).

ზაბუნის — ოო, აქა ხარ! ჩვენს ამაღლაში რა ვერ გნახე, საძებრად გამოვეარდი, მეგონა რამე მოგივიდა.

ლიპარიტე — დიახ, ძლივს დავემაღე დიდებულებს.

ზაბუნის — ჩვენც ციხის საიმედო ნაწილში ვავმაგრდით. კიდევ ასეთი ამბავია: ბახტრიონის ახლო ყვიჩალების რაზმი გამოჩნდა და ვაცნობეთ რომ გვიქირს და დაგვეხმარონ. მაგრამ მცირე რაზმია და არ ვიცი რას შეძლებს. დიდი ულუსი კი ერთ კვირაზე ადრე ვერ მოგვეშველება.

ლიპარიტე — მანამდე ღმერთი შეგვინახავს. მხოლოდ ახლა ერთი სათხოვარი მაქვს: გუშინ რომ გულქანამ დარბაზში შემარცხვინა, ის ჩირქი უნდა მოვიბანო.

ზაბუნის — ო, ის არც კოშკში იქცევა თვინიერადო.

ლიპარიტე — თქვენ მას ვერ გაუგებთ, მე კი ჩემ გაქედულ ხატს ვიცნობ და ისე მოვთურგნი, გიამებათ, ოლონდ კოშკიდან გამოუშვით და ჩამაბარეთ.

ზაბუნის — კარგი.

ლიპარიტე — მხოლოდ მის გასაგონად ვააცხადეთ, ვითომ მწვერტელთან მატანთ საწამებლად. დამავალეთ მოვთურგნო

ან სული ამოვადრო, ასე შეშინებულს რომ გადმომცემთ, მერე ჩემი დარიგება უებროდ გაქრის.

ზ ა ბ უ ნ ი — წამობრძანდი, ჩაგაბარებთ ლამაზ კაპუეტს. (ყველანი მიდინან. ფრთხილად გამოდის გოსტაშაბი, სუროებიდან თავს გამოყოფენ მისი რახმელები და მოწყენილი უსმენენ).

გ ო ს ტ ა შ ა ბ ი — ბიჭებო, მე ვატყობ, ლიპარიტემ რაც დაგაბარათ, ამით ისეთი საკენკი გადმომიგდო, ამ არემარეს ვერ მოვშორებივარ, მაგრამ თქვენ ასი თვალი და ყური გამოიბით და თუ მახეში გავები, თქვენს თავს მაინც უშველეთ. თუ ღვინის სმას მოესწროთ, შესანდობარი დამილიეთ... როსტომ ბრძენს თუ შეხვდეთ, ჩემგან მაღლი შეთავაზეთ, ასე შემოგითვალა-თქვა, სანამ მათუსალასავით არ დაილიო და თავგვს სოროში ფინჩხისთვის არ ესტუმრო, მანამდე შენს თავში ქუჯა ნუ გამოილევა-თქვა, გულქანას უთხარით ეს რა ცოლქმრობაა, შენ სამოთხეთ იქეცი და მე ჯოჯოხეთში ჩამაგდე-თქვა... მეფე-პატიოსანს მოახსენეთ, ჩემო დიდო ბატონო-თქვა, ახლა ქართული გვირგვინი პატარაა, მაგრამ ძალიან დიდი თავი უნდა-თქვა, ლიპარიტეს კი, იმ ჩემს ამომგდებს, ჯერ ერთი არ ენდოთ (უცხად) ეჰ, მისი ხმა მესმის, რამე უბედურება არ მოქონდეს... თუ ახლა აქ დამღუპა, სადაც შეხვდეთ თავი მოქერით და სიკვდილი არ დაუჯეროთ. ახლა უკან მივდგეთ. (ყველანი მალვით მიდინან. შემოდინან ლიპარიტე და გულქანა).

გ უ ლ ქ ა ნ ა — ახლა სად მიმართევ, ასე წარბეზშეკრული?

ლიპარიტე — თვითონაც ხომ გაიგონე!

გ უ ლ ქ ა ნ ა — მაშ, მწვერტელს უნდა გადამცე საწამებლად?... რისთვის, რა დავაშავე?

ლიპარიტე — უნდა გაგათათრონ.

გ უ ლ ქ ა ნ ა — მაგას ვერ მოესწრებით, სიკვდილს—კი.

ლიპარიტე — ტყუილად იკვებნი. მწვერტელი ისეთებს გაგიყრის, რაც ცოდვა-მაღლი გისწავლია, დაგავიწყდება.

გ უ ლ ქ ა ნ ა — მაშ, ეს არის ჩემი ბედი, ურჯულოდ ვიქცე?!.

ლიპარიტე — ამას კიდევ რა უშავს, ბოლოს გარდაქეშანს უნდა გაგატანონ.

გ უ ლ ქ ა ნ ა — მერე, ამისთვის წამომიყვანე ქობიდან, შე ჯოჯოხეთის ნაკუდარა?

ლიპარიტე — რა ვიცოდით. მე მეგონა, შე საწყალო, აგაყვავებდი. წუხელის კი დამესიზმრა, ვითომ ცეცხლი გეკიდებოდა და

ღრუბელი წვიმას გასხამდა. რომ გავიღვიძე, მერე დავხსენი
ეს სიზმარი, ალბათ, ის ცეცხლი გათათრებაა, ღრუბელის სა-
ხით კი მფარველი ანგელოზი დაგტიროდა... ახლა ძალიან
ვჯავრობ, მაგრამ რა ვქნა, მამაშენმა მიბრძანა გაათათრები-
ნე მწვერტელს, ან მისი თავი მომიტანე, თორემ ცოცხლად
გაგატყავებო.

გულქანა — მაშ, ბარემ თავი მომკვეთე.

ლიპარიტე — როგორ?

გულქანა — მწვერტელთან წამებას, შენ მომკალი.

ლიპარიტე — მართალია, მეც მერგება მადლი, იმდენ წვალებას
და ცოდვას აგაშორებ.

გულქანა — ჰოდა, გადამარჩინე, გევედრები. დავილაღე ამდენი
წამებით.

ლიპარიტე — კარგი.. ოღონდ, თავი დასწიე და თმა კისრიდან
ჩამოიშალე, მე კი მანამ ხმალს პირს მოუყარასალე. (გულქანა
თავს დახრის და ნელა თმას იშლის, ლიპარიტე ჩუმად მიდის სუროებთან).
მოდო გოსტაშაბ, გულქანა ისე გავამწარე, უკან ფრენით გა-
გყვება. აწი მაინც გზა ხსნილი მაქვს ამ ხერელში.

(გოსტაშაბი სოროდან თავს გამოყოფს. ამავე დროს საისრუდან ეშვება ერის-
თავი).

გოსტაშაბი — (ერისთავზე) ის ჯავშნოსანი ვისა ყნოსავს!

(ისევე იმალება სოროში).

ლიპარიტე — ეს რა ბედად გამოტყვრა!.. (მობრუნდება გულქანასკენ).

გულქანა — მზად ვარ, თვალიც დავხუჭე.

ლიპარიტე — ახლა ანდერძს არ იტყვი?

გულქანა — ვიტყვი.

ლიპარიტე — მაშ, გისმენ. (ლიპარიტე ფეხაკრეფით მიდის ერისთავის-
კენ).

ბეშ. ერისთავი — გადავუღეჭით თათრებს, ციხის კარს ვაღებთ
და მივდივართ, წამოდო, გვიშუაკაცე კახაბერთან.

ლიპარიტე — ჯერ აქედან გავიდეთ. ლიპარიტე და ერისთავი მიდი-
ან. შემოდინ ფრთხილად გოსტაშაბი და ქონდარა. გოსტაშაბი ანიშნებს
ქონდარას, რომ გარემო დახვეროს).

ქონდარა — (ხმადაბლა) მივიფრენ-მოვიფრენ, დაეზვერავე, განიშნებ.
(ქონდარა სწრაფად მიდის კედლებზე. გოსტაშაბი გულქანას უახლოვდება).

გულქანა — დიდი ბატონი, მეფე ინახულე, თაყვანი ეცი, გასისხ-
ლიანებული ჩემი კაბა მიაართვი და უთხარი, მტერს რომ მა-
მა-პაპათა ციხეებში გმირები ვერ დაახვედრე, ბოლოს, გულ-
ქანა საფარ-ციხედ გამოიყენე, თავის გადასარჩენად მოკაზმე

და გაგზავნე, შენი აშენებული ციხიდან ეს გალავანი დარჩა-
თქო... ბახტანგ-დიდ ბატონიშვილს, იმ ჩემს მშობელს უთხა-
რი: არ წაწყდები, იმიტომ რომ არც ერთ ჯოჯოხეთს არა
აქვს იმოდენა კარი, შენ რომ შენი ცოდვებით შეეტიო-თქო.
ხომ გესმის, რას დამუნჯდი, ფიცით გაბარებ... მერე, შეიარე
ჩემს ფაცხაში, იქ ნახავ კერაზე ორ კაცს, აილე კერიდან
ნაცარი, ჩააყარე როსტომ ბრძენს პირში და უთხარი: რაც
ამას გემო აქვს, ასეთი გემო ახსოვს გულქანას ამ ცხოვრე-
ბიდან-თქო... მერე ფაცხის უკან ჭინჭარია, სათითაოდ დაკ-
რიფე, შეიტანე ფაცხაში, ჩემი სახელით დაუგე ის ჭინჭარი
ჩემს ყოფილ ქმარს ნაცარქექიას, ზედ დააწვინე და უთხარი,
როგორც ამ ჭინჭარმა დასწვა შენი ტანი, ასე ეთუთქებოდა
გულქანას გული შენი სიყვარულით-თქო... შენ კი... რადგან
ჩემს სიკვდილს კისრად იღებ, ყველავერს გაპატიებ...

გოსტაშაბი — გულქანა, მადლიანო...

გულქანა — (თავს ასწვევს, გაჟვირვებული) უი, ცოდვის მოჩვენება ხომ
არა ხარ?

გოსტაშაბი — მე ვარ, ყურსაც გიგდებ; ბუდე აშლილი შაშვი-
ვით ქახქახებდი.

გულქანა — აქ რამ გაგაჩინა?

გოსტაშაბი — შენმა დარღმა, კახაბერის ხმალი ამალებინა, ან
ავიღებ ამ ციხეს, ან ხე და ქვას შევეცხები.

გულქანა — ამოდენა ციხეს შენი შეცხება დააჩნდება?!

გოსტაშაბი — ჯარით შენოვიპარე.

გულქანა — ჯარი რამ გაგაჩინა?

გოსტაშაბი — შენ რომ დამტოვე, მოვიდა ერი და ლაშქარი...
მერე ავილე კერიიდან კახაბერის ხმალი და გამოვუძებ.

გულქანა — რა ძალამ აგაფრინა.

გოსტაშაბი — შენი მადლით ისე მოვქროდი, არსად არ მიმიხედნია.

გულქანა — მაშ, შერცხვეს გულქანა, თუ ეს რომელიმე ხატის
წინ დაგივიწყოს, ოლონდ, აქედან გამაფრინე.

გოსტაშაბი — ისევე ჩემს ქოხში მოხვალ!..

გულქანა — ო, მართლა, იქ ვერ დავბრუნდები. აწ ჩემ ცოლობას
ვერ გაღირსებ.

გოსტაშაბი — რათა? რა მიზეზით?

გულქანა — გოსტაშაბი რომ ხარ ამისთვის.

გოსტაშაბი — ეჰ, ნიორმა თავის სიმყრალე შვიდ წელიწადს
არ დაჰკარგა.

გულქანა — უმართლოდ მჩხვლეთ, ქობში კი არა სოროში გაგყვე-
ბოდი ამ აბანოდან, მაგრამ დედუფლის ღირსება მაქვს და,
მდაბიოს რომ შევეუღლო, კანონით, ორივეს ცხვირს მოგვ-
ქრიან, ცხვირს არ ვეძებ, სირცხვილს რა მოვუხერხოთ.

გოსტაშაბი — მეტი რა ვქნა, შენთვის ლაშქარი შევაქუჩე.

გულქანა — სახელი და ღირსებაც უნდა მოიხვეჭო.

გოსტაშაბი — ასე ძვირფასი თუ იყავი, მანამ შენს ფასს რად
მიმალავდი! (კოშკებიდან გამოდიან დიდებულები თავიანთი რაზმებით).

ხმა — კარი დააფრიალეთ!.. (ციხის კარი იღება).

ათ. შანშე — მწყობრად გავიდეთ, მწყობრად! (შემოდის ლიპარიტე).

ლიპარიტე — კახაბერის ასულები არ მომენდენ, ქორებივით
დამეძგერენ, დასიზმრებიანთ კახაბერი მოადგა ციხესო და
თავის მამას აქ მოელიან.

ხმა — ჩემად წადით, რაზმელებო, ხმა არ გაიღოთ!

ათ. შანშე — ტყეებს მივაშუროთ, სანამ დიდი ულუსი მოგვის-
წრებდეს!

ლიპარიტე — მე გაგყვებით და კახაბერთან შეგარიგებთ.

ბეშ. ერისთავი — (ლიპარიტეს) წამოდი, მოგვიდექ, ქვეყნის ახა-
ლო მოამაგევე. (ყველანი მიდიან. რჩებიან გულქანა და გოსტაშაბი).

გოსტაშაბი — ციხის კარები მიაფინეს.

გულქანა — საისრეზე ვილაცქალი იძახის ციხე დაცლილათ,
გესმის!

ქონდარა — (ყვლიდან ჩამოიზბენს) შთავრები ჯარებით — ციხიდან
გაიპარენ!

გოსტაშაბი — შენ ნამცეცა ხარ, თვალი და ყური კი დიდი
გაქვს. ყველაფერი მითხარი — ვინ ყვირის ციხე დაცლილათ.

ქონდარა — კახაბერის ასულები გამოძვრნენ და ფოფინობენ —
ჩენი მამა მოადგა ციხესათ. მათი ძიძა იძახის ციხე დაცლი-
ლიათ.

გოსტაშაბი — საიდან გაჩნდა კახაბერი?

ქონდარა — ყველას გონია ჩვენთან არის. მეციხოვნენი კურდ-
ღლებივით მოიკუჟენ. ზოგი გაიქცა, ზოგი გარბის, სულ ბი-
რჩენენ.

გოსტაშაბი — მაშ, ლაშქარი გამომიხმე.

ქონდარა — ჩამოეუფურენ! (მირბის ხერულში).

გოსტაშაბი — ჰეი, ბიჭებო, ჰეი! მტერი გარბის, ცოდვა მის-
დევს, ციხე გვრჩება, გამოდით! (ხერულიდან გამოდის ლაშქარი).

ლაშქარი — დედამიწას გავაპობთ!..

- 1 რა ზმელი — ბახტრიონის აღება საშვილიშვილო საქმეა.
გოსტაშაბი — მერე, რას უცდით!
- 2 რა ზმელი — სარდლის ხმალი შენა გაქვს. გულქანა ხერელში შეხიზნე და გაგვიძებ.
- ქონდარა — საქმეს ტანი არ ყოფნის, თავი უნდა.
ხმა — ბახტრიონი ცარიელიც რომ იყოს, მისი აღება საქმეა.
გულქანა — ეს რა ჯარა დატრიალდა.
გოსტაშაბი — საფარს მოგცემთ, გულქანა.
- 2 რა ზმელი — ისეთ ადგილს შეგაბუდრებ, რომ ნიავეც არ მოგხვდეს. (2-რე რაზმელი და გულქანა მიდიან).
- 1 რა ზმელი — ეს სარდალის დავლა არის, აწი მივადგეთ ციხეს. (კოშკიდან ისმის იარაღის ჟღარუნი. შემოდის 2-რე რაზმელი).
- ხმები — გესმით, მტერი როგორ ბღღინავს, ვინ თქვა გაქცეულაო.
- გოსტაშაბი — ბევრი გაძვრა და ესენი რა ცოდვას დარჩენ?
- 1 რა ზმელი — ეტყობა, მაგარი კულებია.
- 2 რა ზმელი — არ წახვიდეთ, თორემ შორით შემოგვივლიან და ხერელში მოგვამწყვდევენ.
- გოსტაშაბი — მაგ არ გამაგონოთ, სარდლის ფესვი ჯარია, ხეს ფესვი თუ წაუხდა, რა ნაყოფს გამოიღებს.
- 1 რა ზმელი — ჩვენ რა გლახები ვართ, ნახევარ ჩვენგანს კახაბერის ლაშქარშიც უბრძოლია. მხოლოდ, სარდალმა უნდა შეგვკრას.
- 2 რა ზმელი — ასეა, მაგარ ქურში ღვინო ვართ, გატეხილში თხლეთაც აღარ დავრჩებით, (კოშკიდან მოისმის იარაღის ჟღარუნი და რკინის ლესვა).
- 1 რა ზმელი — ალბათ, ჩვენზე თავდასასხმელად ემზადებიან.
- 2 რა ზმელი — ის კი არ იციან, რომ აქ სარდალი კახაბერის ხმლითა გვყავს.
- ხმა — ახლა როგორ მოვიქცეთ?
- 1 რა ზმელი — შიშზე შიში მოაგებე, გოსტაშაბ.
- 2 რა ზმელი — ბარემ, გაგვიძებ დალოცვილი ხმლით.
- 1 რა ზმელი — რას ფიქრობ. რა ხერხს იხმარ.
- გოსტაშაბი — თქვენს შორის ისეთი ოსტატები მონახეთ კახაბერის გულდა გააკეთონ. შემოსეთ მისებური ჯაჭვით, ქურტყელით და საისრეზე წაიმძღვარეთ. მერე დაიძახეთ აქ კახაბერი ამოსულა თავის ლაშქრით-თქვა. (მოლაშქრენი გუდის კეთებას იწყებენ).

ხმა — მანამ გავაკეთებდეთ, არ მოგვიხტენ!

გოსტაშაბი — მაშ, მანამ ის ცარიელი საისრეები დაიკავეთ (ლაშქარი იწყებს ასვლას) ოპო, პო, რამდენი ჯარი მყავს!
(ლაშქარი ადის საისრეებზე. განგაშია).

ლაშქარი — გამოჩნდა!

გოსტაშაბი — რა გამოჩნდა?!

1 რაზმელი — სამ კუთხეზე ჩვენა ვართ, მეოთხეზე კი თათრები თვალსა ყვლეფენ.

გოსტაშაბი — თქვენც დაუბრიალეთ, ამოდენა ლაშქარი ხართ.

ლაშქარი — ვაი, ამ შავ დღეს.

გოსტაშაბი — რა უბედურებაა!

1 რაზმელი — მეფე ბატონი მობრძანდება და წინ შიკრიკი იძახის ბახტანგ-ხანს ვნებდებითო.

გოსტაშაბი — ხელავ, მეფემ ლაშქარი ჩამაბარა და თვითონვე მლალატობს.

ლაშქარი — ახლა გათამამდებიან თათრები და მთლად დაგვბოცავენ.

გოსტაშაბი — მაშ, კარები მიახალეთ. ქარიც არ შემოუშვათ.

ხმები — ღაფხუროთ!.. (ციხის კარს ხურავენ).

ლაშქარი — (კედლებიდან) ღამდება და ვერას ვხედავთ.

გოსტაშაბი — შემაშინეთ, იარაღი მომიტანეთ. (მოლაშქრებს მოაქვთ გოსტაშაბთან იარაღი) უჰ, გულის შემზარავო! (ისვრის ცაში ისარს)

1 რაზმელი — ცარიელ ცაში რად ისროლენ?

გოსტაშაბი — მე რომ მზე ვიყო ჩემი ისარი ცას გაანათებდა.

ხმები — მართალია, უნამუსოდ ბნელდება, საშინლად ბნელდება, მართალია.

გოსტაშაბი — გაიარეთ და გამოიარეთ! (მოლაშქრები გაივლიან საისრეებზე).

ხმები — გაიარეთ და გამოვიარეთ. ქვაბებია წყლით სავსე და ქვეშ შეშა უწყვიათ.

გოსტაშაბი — ცეცხლი შეუთეთ და მდულარე ურჯულს გადაასხით. (საისრეებზე ქვაბების ქვეშ ცეცხლი ენთება. იარაღის ჟღარუნი და განგაშია).

გოსტაშაბი — მაქეთ რა ამბავია?!

1 რაზმელი — თათრებმა ისარი დაგვაყარეს.

გოსტაშაბი — თქვენ რას შერებით?

2 რაზმელი — გუდას ვუცდით, ჯერ მზად არ არის.

ხმა — საქმე რომ წახდეს, სად დავიმალეთ?

გოსტაშაბი — ხერელზე გულქანაა და მის კაბის ქვეშ უნდა გაძვრეთ სასირცხოდ.

ხმა — სირცხვილს მკადივით შეგქამთ; მაგრამ იქაც თავს დაგვივლიან.

გოსტაშაბი — ეჰე, კოშკებიდან გამოვიდნენ ურჯულოები!

ხმა — აბა, ბიჭებო, არ მოუშვათ.

გოსტაშაბი — რას შერებით! ეციოთ, ვაჟკაცებო!.. ჩემთან არ გამოხობდნენ, თორემ ყველა დავიღუპებით.

1 რაზმელი — კიოწამ და ვალეზამ თათარს მღულარე გადაასხეს და მაინც მოდის.

2 რაზმელი — ისე მოგვაწვევენ, ვერაფერი დაუმაგრდებათ.

გოსტაშაბი — თქვენც ხომ ჯარი ხართ!

1 რაზმელი — მეტი არაა ჩემი მტერი. ისარს ისე ისვრიან, ფარები გაგვიხვრიტეს.

გოსტაშაბი — ფარები გაგვიხვრიტეს?

ხმები — სულ დაგვიხვრიტეს.

2 რაზმელი — გულის ფიცარზე დაგვესო ისრები.

გოსტაშაბი — (ხერელისკენ დაიხვეს) ეჰ, ახლა კი ვიღუპებით, ლაშქარიც გამიწყდება და, საიქიოს, ცოდვა-მადლის სასწორზე დამხვდებიან... მაგრამ თქვენც გერგებათ ჩემი ცოდვა, უცბად რომ აკვინტრიშდით კახაბერის ხმლის დანახვაზე და ლაშქრად შემომაჩეჩეთ თავი. (ლაშქრისკენ) ბიჭებო, ცოცხლები ხართ?

1 რაზმელი — ტყვედ დავგნებდით, გვანიშნებენ ურჯულოები.

გოსტაშაბი — ტყვეებს მაგენი კლავენ, არც ერთმანეთი გეცოდებათ, არც თავი?

2 რაზმელი — ეჰ, ისეთი წინამძღოლი შეგვხვდა, ერთმანეთი ქირივით შეგვძულდა:

გოსტაშაბი — თქვენ არ ისროლეთ ცაში ქული ჩემ შეხვედრაზე!..

2 რაზმელი — მაგ გორდას დანახვამ, ისე გაგვაბრუა არ ვიკითხეთ ვის ხელში იყო... ახლა, გაჩუმდი მაინც, სიკვდილი დავგვატალე.

გოსტაშაბი — თორემ, მე კი უკვდავი ვარ თქვენი წყალობით. ამას მპირდებოდით!

1 რაზმელი — წინ ჩენა ვართ, შენ მერე მოგნახვენ.

გოსტაშაბი — მე კი მეგონა ამ ლაშქრით ქვეყანას ვიხსნიდი ურჯულოებისაგან, კეთილ ფიქრს ავედევნე და იმ მწვევარის მსგავსი შევიქენ, არწივის ჩრდილს რომ დასდევს დასაქე-

რად და ილუპება... ეჰ, რა ზეიადათ ვიჯექ მარტო ჩემს კე-
 რიაზე. თურმე, ბევრი ჯარ-მონების გაჩენა აღამიანს ასუს-
 ტებს... მეგონა, სიკვდილის საშიშროებაში, ხმას მეხივით
 ამოფუშებდი, აქ კი თავს ვერ ვცნობილობ. როსტომ ბრძენ-
 მა სთქვა კაცის შუბლზე ორი ბედი სწერია, ერთი სიზმრე-
 ბისთვის და მეორე ცხადისთვისო. მის ნათქვამს რა გატე-
 ხავს. თურმე გულში ვარ გმირი, ქვეყანაზე კი სხვა ბედი
 მქონია... (ისმის თათრების მხრიდან იარაღის უღარუნი და ძახილი)
 ო, მოიწვეს სულთამხუთავი... რა ვქნა, მე ისე დაღლილი
 ვარ ამდენი ომით, მთავარი სული წასულია... მოდით სიტყ-
 ვებო, სიკვდილის წინ აღსარებად... მშვიდობით კერავ, სულ
 რომ ჩაქრობით მემუქრებოდი, მშვიდობით გულქანავ, სულ
 რომ მურში მიმალავდი შენს სილამაზეს და კახაბერობა მო-
 მთხოვე პირსანახავად... მშვიდობით მთა და ბარო—ჯეირანს
 და ხობებს რომ ზრდიდი სხვებისთვის, მე კი სუფრაზე და-
 მადლებულ ჯინქარს მიგზავნიდი... ვემშვიდობები ყოველივეს.
 უცნობ ძილში მივდივარ... ვეთხოვები სამუდამოდ სიცოცხ-
 ლეს და, მხოლოდ ამით ვარ სააქაო ცხოვრების მადლიერი,
 რომ როსტომი ვნახე თავის ზღვა სიბრძნით.

1 რა ზმელი — ო, ეს საქმეა! (იციინან) ო, რა საქმეა!

გოსტაშაბი — რათ იცინით, რეგვენებო!

2 რა ზმელი — კახაბერის გულა გაკეთდა.

1 რა ზმელი — ისეთია, თვითონაც კახაბერი გვეგონია.

გოსტაშაბი — ნუაუ! (აკვირდება) ო, რა ყოფილა! (მხნედ უახლოვდება)
 ეს გაიძღვანეთ წინ, მტერს თვალი დაუდგება.

1 რა ზმელი — ამ გულას ცოცხალი კაცის ღონე აკლია და მტერ-
 მა რომ გამოიცილოს?

გოსტაშაბი — ჯონდო ამოფთაროს და ასწიოს მისი ასაწივი.

1 რა ზმელი — ჯონდოს ეყოფა ჭკუა?

გოსტაშაბი — ქონდარა ბექზე შემოისვას.

1 რა ზმელი — შენ ხარ ქონდარა, ამის ჭკუა.

ჯონდო — გულა კი არა, ამისთანა ჯერ არ გვიქნია.

ხმები — ამის ცქერა გამარჯვებას გვახსენებს. სულ ყველა გაგ-
 ვამხნევა!

გოსტაშაბი — ყოჩაღ, ოსტატებო, ეს რა გული გაქედეთ!..

ლაშქარი — მივდივართ მტერზე! (იწყება ბრძოლა).

გოსტაშაბი — უფრო მედგრად! (წინ მიიწევის ხმლით).

ხმები — გვებრძვიან ვერაგები.

ჯონდო — ქონდარამ მითხრა ლოდი ესროლეო. დავუჯერე, ვესროლე და ბზიკებივით დაგვასიეს ისრები.

ხმები — გვიტევენ — ერთზე ათი მოდის.

გოსტაშაბი — ვერ ხედავენ, წყეულები, კახაბერს?.. შეუტიეთ! კოკოშამ და ჯგიმიამ, როგორც ლონიერებმა, ლოდები დაუშინონ, კიოწამ და ბიქიამ უსტეინონ და უკივლონ. ყველამ გადაუძახეთ კახაბერი ბრძანებს-თქვა.

ლაშქარი — (იარალის ვლარუნით) კახაბერი გვიძღვება, კახაბერი გვიბრძანებს. შეძვრეს მტერი სოროში!

გოსტაშაბი — თვალებიც დაითხარონ!..

1 რაზმელი — ყველამ ასე ვიყვირეთ კახაბერი ბრძანებს-თქვა, თათრები შეტორტმანდნენ.

ხმები — მტერმა პირი იბრუნა, გუდა რომ დავანახეთ.

ქონდარა — აუ!.. დაფრთხა ურჯულო, ხელებს იშვერს, გვნებდება.

გოსტაშაბი — (ზეიმით ადის საისრებზე, ლაშქრის წინ ხმლით იწევა) ო, მაგათი სინსილა!..

ხმები — დაიმალა ურჩხული! დაიმალა ურჯუკი!

ლაშქარი — (ზეიმით) შეძვრა მტერი სოროში!..

ხმები — გვნებდებიან, სულ გატყდნენ!

2 რაზმელი — კახაბერის სახელი თავზე მეხად დაეცათ!..

1 რაზმელი — კახაბერის სახელი გულზე ლახვრად დაესოთ!... (ზეიმობენ).



მოკმელება მეოთხე

წინ, სიღრმეში ბახტრიონში შესასვლელი კარები, გვერდით მეფე დავით მერვეს კარავი. დილის რიყრაყია, მეფის მხლებლები ცეცხლზე თბებიან.

- 1 მხლებელი — (ცას აკვირდება) ხედავთ, ისე დაგვათენდა, ციხის კარები არ გაგვიღეს, შიგაც მთელი ღამე იარაღის ქლარუნი გაისმოდა.
- 2 მხლებელი — თურმე მაგრად მოგვიხურეს, როდესაც ციხეს ჩვენი შიკრიკი მოუახლოვდა.
- 3 მხლებელი — მეფის ზოგიერთ მხლებელს ექვი ებადება, რომ რალაცას ცუდს გვიპირებენ.
- 1 მხლებელი — ბახტანგ-ხანისგან ნურაფერი გაგიკვირდება.
- 2 მხლებელი — ნუთუ ფიცს გატეხენ და მძევლებსაც გაიმეტებენ?
- 1 მხლებელი — აგერ, მდაბიო ერის კაცები მოლოლავენ ჩვენსკენ.
- 2 მხლებელი — გლეხებია, სოფლებიდან აყრილან ეს საცოდავები და სიმშლით წყდებიან.
- 1 მხლებელი — არ ღირს მათი მოსმენა.
- 3 მხლებელი — დიახ, რა სანუგეშოა. (აპირებენ წასვლას).
- 1 მხლებელი — (შეჩერდება და შორს გასცქერის. უცბად) ტყისკენ გაიხედეთ, ღმერთო, ღმერთო... ხედავ, რა ამბავია!
- 2 მხლებელი — (იქით აკვირდება) ათაბაგია. გურულები და ოდიშარნი.
- 3 მხლებელი — ჩვენ გვეგონა ისინი ამ ციხეში იყვნენ, ტყიდან როგორ გამოტყვერენ!..
- 2 მხლებელი — ჯიქებივით მოემართებიან ჩვენსკენ... ეს ცუდად მენიშნება.
- 1 მხლებელი — მაშ თქვენ მათ შეეგებეთ, მე კი მეფეს და კათალიკოსს მოვახსენებ ამ ამბავს. (მხლებელნი მიდიან. შემოდინან გლეხები).
- 1 გლეხი — ნამდვილად აქეთ მობრძანდებოდა მეფე?
- 2 გლეხი — თქვენი თვალთ ნახეთ?

- 3 გ ლ ე ხ ი — მაშ!..
- 4 გ ლ ე ხ ი — აჰა, აგერ ნეფის კარავიც, კიდეც არ დაიჯერებ!..
- 3 გ ლ ე ხ ი — (უჭკრეტს) ალბათ, მხლებელნი შიგ არიან.
- 1 გ ლ ე ხ ი — მაშ, ჩვენ აქ დავრჩებით, ან თვითონ ვიცით ჩვენი საქმე, თქვენ კი იმ ბილიკს გაყევით და კახაბერთან მიხვალთ.
- 3 გ ლ ე ხ ი — კახაბერი... ო, ეს სიტყვა გულს მიბრუნებს. სიზმარი მგონია. ჩვენ ხომ ახლა ისეთი შავი ღლეები გვადგა, მხოლოდ სიზმარში ვართ ცოცხალი.
- 4 გ ლ ე ხ ი — სულ მუცლით ვიხობებ, თუ კახაბერს მოვესწრები. ხომ ასე მოთანგული ვარ, მის ხელში, მგონია კიდეც ვაქცად ვიქცეოდი, ფრთებს გამოვიხსამდი.
- 1 გ ლ ე ხ ი — ნამდვილად ნახავთ, ოღონდ იმ ბილიკს არ გადაგცდეთ.
- 2 გ ლ ე ხ ი — შორს არ არის.
- 3 გ ლ ე ხ ი — თქვენ სანატრელი გვახარეთ, კაი კაცებო, მხოლოდ, ესეც გვითხარით: სად ყოფილა აქამდე?
- 1 გ ლ ე ხ ი — ამბობენ, საღდაც ორმოში ჩააგდეს ეშმაკეული ხერხითო... ზოგი კიდეც ირწმუნება ქვეყნის მტრებმა გამოქვაბულში მოამწყვდიეს და მსტოვრები მიუყენესო.
- 4 გ ლ ე ხ ი — როგორ იპოვეს, არ გსმენიათ?
- 1 გ ლ ე ხ ი — თურმე, მის ტაიქს ხალხი გამოედევნა, ცხენი პატრონთან გაქცეულა და კვალზე მიუგნიათ.
- 2 გ ლ ე ხ ი — სხვები ამბობენ, სულ ცხენმა გადაარჩინა, სხვამ არავინო.
- 4 გ ლ ე ხ ი — რანაირად?
- 2 გ ლ ე ხ ი — ღამით ტაიქი პატრონთან ისე მისულა, ბოროტებს ვერ შეუნიშნავთ. ცხენის კისრიდან საბელის თავი ორმოში ჩავარდნილა, კახაბერს წელზე გამოუბამს და ამოსულა.
- 3 გ ლ ე ხ ი — გეფიცებით, აქ კიდეც სხვა მადლი და სასწაული იქნება. მთლად განწირული არ ვყოფილვართ. ამირანის გოშიაც იქნება მაგ საქმეში გარეული.
- 2 გ ლ ე ხ ი — არა, მასეთი გოშიები და ზოპარები არა მწამს.
- 3 გ ლ ე ხ ი — სულყველაფერს გავიგებთ.
- 4 გ ლ ე ხ ი — (1 გლეხს) ბარემ გაგვიძებ კახაბერთან. გზაზედაც ისეთი სოფლები მეგულება, უკან არავინ ჩამოგვრჩება.
- 1 გ ლ ე ხ ი — (2 გლეხზე უთითებს) მე და ეს კაცი აქ მისგან მზეერავად ამოვედით. ჯერ უნდა გავიგოთ რა ღლეშია მეფე დავითი და მერე კახაბერს მოვახსენოთ, ის აქეთ მოემართება, გზად ხალხი ემატება და ზეავივით იზრდება მისი ძალა.

2 გ ლ ე ხ ი — (1 გ ლ ე ხ ს) მაშ, ნუ მოეცდებით, ნათლია. (გლახები მი-
დიან. შემოდის როსტომ ბრძენი, ზურგს იფხანს. მიეშურება მუგუზხალთან-
შემოდის ფარეში).

ფ ა რ ე შ ი — (მორიდებით გაჩერდება) დედოფალმა შემოგითვალა, ბრო-
ლისა პირით, ჩემთან უბნობაში სიტყვა რომ გადავირე, ჩქარა
პასუხი არ მალირსე და მე წელში მაგარი ქოში მოგაყოლე,
ხომ არაფერი გეტყინა?..

როსტომ — არა, კინკიბაში ქარი მქონდა გამდგარი და მაშინ
გამიარა-თქო.

ფ ა რ ე შ ი — კიდეც ასე დამაბარა იმ მზისა პირმა, მეფე ბატონი
მობრძანდება შენთან სამუსაიფოდ და, რაც სიფიცხით წელ-
ში მოგხვდა, ნუ გაამხელო.

როსტომი — თუ სიტყვამ არ მოიტანა, არ ვიტყვი-თქო. (ფარე-
ში გადის. შემოდის მეფე).

მეფე — როსტომ, შენ ერთხელ ძმისწული მაპოვნინე. მას აქეთ
ისე არ გამჭირებია შენთვის რამე მეკითხა, ახლა კი ავად
მითენდება..

როსტომი — რა მოგივიდა?

მეფე — უიმედო პრძოლაზე ხელი ავიღე და მოველ ბახტანგ-ხა-
ნის წინაშე, მეგონა ამით შენელდებოდა მისი მძვინვარება
ერის თავზე, მაგრამ ჩემი მორჩილების პასუხად ციხე მთელი
ღამე დანდგარებდა და კედლებზედ საზეიმო ცეცხლი გიზვი-
ზებდა, ახლა კი ტყიდან მთავრები ისე დაღესილი მოემარ-
თებიან, სჩანს ამოწყვეტას მიპირებენ.

როსტომი — კაცის რისხვა ავია.

მეფე — ჰოდა, ბახტანგ-ხანიც რისხვით მოდის?

როსტომი — თუ ვერ დააკავენ, კი მოვა.

მეფე — რა დააკავენს?

როსტომი — წვრილი წკნელი.

მეფე — მარტო მას წვრილი წკნელი კი ეყოფა, მაგრამ მის ლაშ-
ქარს?

როსტომი — თბობას ქსელი.

მეფე — თბობას ქსელი ჯარს როგორ დააკავენს?

როსტომი — ბუზს დაიჭერს.

მეფე — შეჭურვილი ლაშქარი ხომ ბუზი არ არის!

როსტომი — როგორიც ბუზია, იმისთანა ქსელი გაუბი, (შემო-
დის პირველი მხლებელი).

1 მ ხ ლ ე ბ ე ლ ი — დიღო ბატონო, კათალიკოსთან გახლდით და
ძლიერ დაგვარიგა.

მეფე — რას გვირჩევს?

1 მხლებ. — უუამბე ყოველივე და ასე ბრძანა: თუ მტერი ჩვენ-
და ამოსაწყვეტად მოეშურება და მეფე აპირებს წინ მიეგე-
ბოს და ცხვარივით მისცეს თავი ჩვენს გადასარჩენად, ნუ
დაუშლითო.

მეფე — არა, თუ მტერი უგულოა — თვინიერებისთვის არავის
შეიწყნარებს და თუ მოკვლას მიპირებენ, ბრძოლაში სიკვდი-
ლი მიირჩევნია.

1 მხლებ. — შენი სულის გასანათლებლად ბრძანა ასე კათალი-
კოზმა.

მეფე — არა, ძალად ნუ აცხონებთ თქვენს მეფეს.

1 მხლებ. — როგორც გვიბრძანებ, ბატონო, შენთვის კუპრშიც
ჩავდგებით. (მოესმის გარედან შორეული ხმები, შემოდის ფარეში).

ფარეში — დიღო ბატონო, კარავში მტრის ხმა აღწევს. დედო-
ფალს გაეღვიდა და პირს იხოკავს, ვერ ვაწყნარებ.

მეფე — ეჰ, რა ექნა, მე ახლა მეთქმის იობივით: „შიში, რომე-
ლიც განმაცვიფრებს, მოვიდა ჩემდა“. (გარედან მოისმის მხი-
არული ხმები. შემოდიან მეორე და მესამე მხლებლები სახეიმო მღვლეარე
სახით).

2 მხლებ. — სანეტარო ამბავია, დიღო ბატონო!

ხმები გარედან — სასიხარულო! სახეიმო!

3 მხლებ. — ღმერთს მადლობა, მეფეო!

მეფე — რამ გაგახარათ?..

2 და 3 მხლებ. — როგორ?

3 მხლებ. — ასე. დაგვაბარეს მეფე დავითს სიცოცხლეს შევწი-
რავთო.

2 მხლებელი — ეს კიდევ ცოტაა, ბახტიონში კახაბერი ზის,
მეფე-ბატონო.

3 მხლებელი — გალავანზე გადმომდგარა თავის ჯაჭვ-ქურქლით.
რა დავინახეთ, სიხარულით გული ბუდიდან ამოვარდა.

მეფე — მაშ, ბახტანგ-ხანს რა მოუვიდა?..

2 მხლებელი — მოგახსენებენ კახაბერს ტყვედ დანებდა თავის
თათრებითო.

მეფე — ო, გაიხსენეთ, ვით რისხვა, მადლიც უეცარი ზენარისა-
გან გვევლინება. მადლობა უფალს. (ციხის კარები გაიღება. გოს-
ტამაზს და ორ რაზმელს შემოყავთ ბახტანგ-ხანი. ციხიდან მოისმის რაზ-
მელების სიმღერა).

ხმები — ხანი! ხანი!..

მხლებელი — ბახტანგ-ხანი ტყვედ მოჰყავთ!

- გოსტაშაბი — ეს ქვეყნის დამაქცევარი მე მოგვარე, მეფევე!
ფარეში — ჩქარა, დედოფალს მივახარო. (ფარეში მიდის, შემოდიან ათაბაგი, ერისთავი და ლიპარიტი).
- ლიპარიტი — ო, ვისთან გამგზავნე, სად ჩავვარდი, რომელი ენა იტყვის რა ვიტანჯე და ვიღვაწე შენთვის, დიღო ბატონო.
- ათ. შანშე — არა ყველაფერს ამ ვაქეკაცს ნუ მიაწერ. ჩვენ თვითონაც ჩაგვაგონა სინდისმა გადავდგომოდით ბახტანგს.
- 1 მხლებელი — ნამდვილი მოღვაწე ამ საქმისა კახაბერია.
მეფე — მართლაც, სულზე მომეკვლინა ჩემი სახელოვანი გმირი.
- ათ. შანშე — ის ღამით შეიქრა ბახტრიონში, ჩვენ კი (ხანხე) ამ ბოროტს მანამდე ვავემიჯნეთ.
- გოსტაშაბი — არა, კახაბერი აქ არ ყოფილა. ის ციხეში არ არის.
- ლიპარიტი — გაჩუმდი, როგორ არ ყოფილა, რამოდენა ტყუილი თქვი. — სიცრუესაც შნო უნდა.
- 1 მხლებ. — (ბახტანგს) შენ რასა ფიქრობ, თვალდამდგარო!
ბახტანგ-ხანი — ეჰ, ყველამ მიმუხთლა, მაგრამ თუ ერთი ხელით უფალმა რისხვა დამატება, მანვე ჩემს ძმასთან მომიყვანა.
- ბეშ. ერისთავი — ახლა იცან ძმად, როდესაც ცოდვამ დაგამხო?!
მეფე — შენი თავის გასამძლავრებლად, ბახტანგ, საშინელი ჭირი შემოგვისიე... მაგრამ რა მოიგე სულისთვის, ან ხორცისთვის. ახლა რად ღირხარ. ჩემი გვარის რომ არ იყო, ვირის ნალად გაგყიდდი.
- ბეშ. ერისთავი — დიდი ფასი გიწყალობა, იმაც არა ღირხარ.
- მეფე — (მხლებლებს) თქვენ საჯდომი მომიშაღდეთ და კახაბერი მიხმეთ. დღეს ჩემი ქვეყნის გმირი დიდი პატივით უნდა მივიღო. სხვასთან ჯერ არ მსურს ლაპარაკი. (მეფე მიდის).
- ბეშ. ერისთავი — გესმით, თქვენთან ლაპარაკიც არ მსურსო.
ათ. შანშე — ეს სათნო მეფეა და ნუთუ სიხარულმაც არ დაავიწყა აღშფოთება.
- ლიპარიტი — ჩემი ღვაწლი რომ დაამცირეთ, ეს ეწყინა. კახაბერის წინაშე მაინც შემაქეთ, დიდებულნო, მოუყევით როგორ დავლუპე ბახტანგ-ხანი და რა გზაზე დაგაყენეთ, სამაგიეროდ მეც ვიტყვი, რომ ბოლოს ცოდვა გამოისყიდეთ და პირს მოგბანთ.

- ბახტანგ-ხანი — ეს კაცი ისე უსვინდისოა დიდი ჭკუა ექნება. ამიტომ ამას ვკითხავ რჩევას. (ლიპარიტს) მეც შემოგაწევ სიტყვას.
- ლიპარიტე — მერე, შენსას ვინ გაიგონებს. წინაღ მისთვის გისმენდენ, რომ ძალა გქონდა, ახლა კი შენს ლაპარაკს ისე ჩათვლიან, როგორც ქოთანში ფაფის ტუპინის.
- ბახტანგ-ხანი — კიდეც მაქვს ეშმაკობა და გასარგებლებ, თუ მიმინდობ.
- ლიპარიტე — კახაბერთან რას გაასაღებ, კაცის გულღვიძლში იხედება.
- ბახტანგ-ხანი — მაშ, რა ვქნა?
- ლიპარიტე — როსტომ ბრძენი გააღვიძე და კითხე.
- ბახტანგ-ხანი — ვინ. ის მოხუცი?
- ათ. შანშე — ამ კაცმა ბახტანგ-ხანს სწორად დაურეკა; ან სიმართლე უნდა გქონდეს, ან ძალა. ამიტომ ჩვენს რაზმებს მიეხედოთ.
- ბეშ. ერისთავი — სწორია, ძალას დავეყუდნოთ, თორემ ჩვენი სიმართლით კახაბერს თვალს ვერ გავუსწორობთ. (დიდებულნი მიდიან).
- გოსტაშაბი — როსტომ, ციხე მე ავიღე და კახაბერს უმაღლიან, ეს როგორ ხდება?
- როსტომი — შენ აიღე?
- გოსტაშაბი — კი.
- როსტომი — ასეა, თუ სადმე სასწაული მოხდა, ყველას თავის სალოცავ ხატისაგან გონია.
- გოსტაშაბი — ჩემ სალოცავად გულქანა გადაიქცა და მისმა მადლმა ამაფუეა.
- როსტომი — ქალი არ არის გამძლე ხატი.
- ბახტანგ-ხანი — (თავისთვის) ეს კაცი მართლაც ბრძენი უნდა იყოს.
- ლიპარიტე — (გოსტაშაბს) ეს რა უთხარი როსტომს, შენ აიღე ციხე?
- გოსტაშაბი — ჰო, ის ცეცხლი საისრებებზე მე ავანთე.
- ლიპარიტე — კახაბერი?..
- გოსტაშაბი — იქ არ ყოფილა.
- ლიპარიტე — მაშ, კოშკის თავზე ვინაა გადმომდგარი?
- გოსტაშაბი — ეს მისი გუდა გაუაქეთე.
- ლიპარიტე — ოო?..

გოსტაშაბი — ტყვე თათრებსაც კარზე მე მივუყენე დარაჯები-
დავხედავ. (გოსტაშაბი მიდის ციხეში).

ლიპარიტე — (მიაძახებს) დაიცადე! (თავისთვის) ეს რა თქვა! გავ-
ყვები და გავიგებ... თუ მართლა არ არის კახაბერი, მაშინ
რა მაქვს საშიში. ო, მაშინ გულო, ეს სუღარა მოიხსენ, იმე-
ლო აგიზგიზდი!.. ლხინს გადავიხდი. (ლიპარიტე მიდის ციხეში).

ბახტანგ-ხანი — (ფახლოვდება როსტომს) შენ ბრძენს გეძახიან?

როსტომი — შენ ვინა ხარ?

ბახტანგ-ხანი — ბახტანგ-ხანი ვარ, სოფელ-ქალაქები ცეცხ-
ლითა და მახვილით გადამივლია და, ბოლოს, შენთან მოვ-
ბოვინდი.

როსტომი — ასეა, კაცი კაცს შეხვდება.

ბახტანგ-ხანი — მე ისე ბედნიერი ვიყავ, რომ სხვისი ტირილი
ყურში გალობად მესმოდა, დღეს კი შიშით მაციებს, მთელ
ტანში მაკანკალებს.

როსტომი — გაითბე მუგუზალზე.

ბახტანგ-ხანი — ბედის ბრუნვაა ყველაფერი.

როსტომი — რას იზამ!

ბახტანგ-ხანი — რა ვქნა. ეშმაკად არც მე გავჩენილვარ. მეც
სისხლი და ხორცი მაქვს.

როსტომი — კი.

ბახტანგ-ხანი — მეც მტკივა და მეწვის, მეც ვწუხვარ...

როსტომი — ასეა. ცრემლი კაცს ყველას მარილიანი აქვს. (ცი-
ხიდან ჯონდოს და რაზმელებს ზურგით ტახტი მოაქვთ. ჯონდო და აგრე-
თვე ზოგი რაზმელი დაჭრილია. კარავიდან შემოდის მხლებელი, ფარე-
შებით).

ჯონდო — (რაზმელებთან ერთად ბარბაცით დასდებს ტახტს) ამის ზიდ-
ვას თურქმე ჯანი უნდა. (ფარეშები რთავენ ტახტს. მოისმის ხმები.
შემოდის მეფე დავითი, შემოსილი გვირგვინით და სამკაულებით).

ხმები — დიდ ბატონს გაუმარჯოს!

მეფე — (ჯონდოსაკენ) ესენი სად დასისხლულან?

ჯონდო — რა ვიცი, აგორეო, აგორეო, — ვაგორეთ და ვაგორეთ
თათრების თაფზე ლოდები, გრიალ-გრიალით დაურიეთ და
ისრები დაგვირთეს. (შემოდის ციხიდან გოსტაშაბ, გულქანა, ლიპა-
რიტე და შოშკობა).

ლიპარიტე — (შოშკობას) ეს რა მომხდარა, ბიჭო, რა უქნია გოს-
ტაშაბს.

შოშკობა — (ჯონდოზე) ეჰ, ეს საცოდავი სულ არ მორიდებია
თათრის ისრებს.

ჯონდო — გულიც მეყრება მშვიდრით. მოკვდები?..

ლიპარიტე — ნუ გეშინიათ, ბიჭებო, მეფე გაგაძლებთ და მორჩებით.

ჯონდო და რაზმელები — რა გვიშავს, თუ გვაქმევენ.

მეფე — (რაზმელებს) შედით კარავში დოსტაქართან. (ჯონდო და რაზმელები მიდიან).

გოსტაშაბი — გულქან, მეფეს მოუყევი ჩემი საქმენი.

გულქანა — შევკადრო ჩემი ენით?

გოსტაშაბი — მისი გვარის ხარ, სხვა ვინ ეტყვის!

ლიპარიტე — ჰო, წინ გაგვიძეხ სანთელივით, გულქანა. (გულქანა, გოსტაშაბი და ლიპარიტე უახლოვდებიან მეფეს).

მეფე — კარისკაცნო, ესენი ვინ არიან, ჯერ მინდა მოვისმინო, როგორ დამრჩა მე ბახტრიონი.

ლიპარიტე — ამ ამბავს, მეფეო, შენი ძმისწული მოგახსენებს.

მეფე — ჩემი ძმისწული?

ლიპარიტე — დიახ, ეს გახლავთ ბახტანგ-ხანთან რომ გამატანეთ.

მეფე — ამ უწყალოსთან?

ბახტანგ-ხანი — ეჰე, უწყალოსთანო, მკაცრად გამასამართლებ, მეფევე? ნათესაობით მაინც არ დამინდობ?

ლიპარიტე — შენი ასული მოგიგონებს, ხომ ასეა, გულქანა?

გულქანა — მე სისხლხორციით მეეალება გამოგესარჩლო, დიდო ბატონიშვილო, ოლონდ... შენი საქმენი მაჩუმებს, რა ვქნა, შე უბედურო.

ლიპარიტე — ასეა, ბახტანგ, სხვას თუ ვერას გიშველის, შენს ქონებას მაინც მოეპატრონება.

მეფე — რას ამბობ, ის ქონება ამ დანაქცევარზე, რამდენ ქერივ-ოხერს დააპურებს. ცოტაა!..

ბახტანგ-ხანი — რაც ჯიონამდღე მიკრებია, სულ აქ მოვხვეტე.

ლიპარიტე — ჰო - და, შენი სისხლ-ხორცი ისარგებლებს.

გოსტაშაბი — ახლა მოჰყევი, გულქანა, რაც ბახტრიონში საქმენახე.

მეფე — არა, ჯერ მიპასუხეთ, ეს ასული ბახტანგ-ხანის ქონების შემკვიდრეა?

ლიპარიტე — დიახ, მისი პირმშო ასულია და შენი ერთგული. ორგულობისთვის ვერ ჩამოართმევ.

მეფე — (გულქანას) შენ ბახტანგ-ხანის ასული ხარ?

გულქანა — დიახ.

მეფე — შეექვება, საიდან?

გულქანა — შენ არ ბრძანე, დიდო ბატონო?!

მეფე — მე?..

გულქანა — დიახ, თვითონ შემოსე ბანოვანად, როდესაც ჩემს ქობში შემობრძანდი.

მეფე — ჰო, მაშინ... ამ კაცისაგან გავიგონე... ის ამბავი ახლა მაგონდება... რასაც ეს მოყვა, სიმართლეს სულ არ ჰგავდა. (საერთო გავირეგება) იმ სიცრუისათვის დასასჯელიც არის.

ლიპარიტე — მაშინ რად დაიჯერე?!

მეფე — მაშინ ქვეყნის დასახსნელად ბახტანგისთვის მისი ასული უნდა გამეგზავნა და მართალი იყო, თუ არა, გაკითხვის ქაში არა მქონდა... არა, შენ თუ კეთილი სული იყო, ახლა მაინც არ გაიმეორებდი.

ლიპარიტე — მის მამას ვკითხოთ, ეს დაამტკიცებს, ბახტანგ, გულქანა ხომ შენი ასულია?

ბახტანგ-ხანი — არა.

ლიპარიტე — მაშ, ციხე-დარბაზში რად მიიღე?

ბახტანგ-ხანი — ყარაყურუმის ყაენისთვის ძღვნად უნდა გამეგზავნა. ის ჩემ ღვიძლად მიიღებდა და, მართალი იყო თუ არა, მე რა მენალვლებოდა.

ლიპარიტე — გესმის, ბიჭო, შოშკობა, რა დღეში ვარ!

შოშკობა — რა ვიცი, მე მაგისაგან მაინც არაფერი მერგებოდა.

გულქანა — მე კი ჩემი გადამწყდა და, ახლა, თუ არა ვარ ამ ქვეყნის დამაქცევარის შვილი, რად ვინალვლო. ღირსებად ის მეყოფა, რომ ცოდვის აპეურიდან უბიწოდ გამოეძვერი. ეს გრძელ სოფლის საუნჯედაც გამყვება, მეფევე.

მეფე — ეს პასუხი ისე მომეწონა, დედაკაცო, ვნანობ, რომ ჩემი ნათესავი არა ხარ. თუმცა საუკუნეთა უფალი შენ იქ დაგაჯილდოვებს მაგ თვინიერებისათვის, მაგრამ მიწიერ მეფეს გული მერჩის წვრილად გავიგო შენი საქმე და ამ წარმავალ სოფელშიც ღირსება გიწყალობო.

გოსტაშაბი — მე კი შენმა ბანოვანობამ, გულქანა, ისეთი საქმენი ჩამადენინა, რომ სულ ერთია ხარ თუ არა ბანოვანი, მე მაინც უფრო მეტი დიდება მერგება, ვიდრე ჩემს პაპას ჰქონია თამარის დროს.

მეფე — აწუ თქვენ გამეცალეთ. ორგზის მითქვამს, მე დავჯექი იმ გმირის მისაღებად, ვინც დღეს ეს ციხე და სიცოცხლე დამინარჩუნა. კარისკაცო, მიეგებეთ მას. (1 და 2 მხლებელი სწრაფად მიდის ციხეში).

გოსტაშაბი — ის გმირი, დიდო ბატონო, მე გახლავარ და წამ-
დგარი ვარ შენს წინაშე.

მეფე — შენ... შენ როდის იქვე კახაბერად?!

გოსტაშაბი — კახაბერი აქ არ ყოფილა.

ლიპარიტე — მე გაგიბედავ სრულ სიმართლეს, ხოლო ეს დაა-
ღუმე.

მეფე — კარგი. ამის ქართული მაინც არ მესმის.

ლიპარიტე — ყველაფერს მოგახსენებ, ოღონდ ჯერ კათალი-
კოსმა მაზიაროს.

მეფე — რადა?

ლიპარიტე — სიმართლის მთქმელს ცხენი მზად უნდა ყავდე-
სო... ნათქვამია. რომ გამირისხდე მოსაკლავად, საიქიოს მაინც
გზა ხსნილი მქონდეს ზიარებით.

მეფე — მიჰგვარეთ კათალიკოსს, სჩანს, დიდი საიდუმლო აქვს
გასამხელი. (კარისკაცი კარავს ოდნავ შეაღებენ).

ლიპარიტე — (უახლოვდება კარავს. ეტყობა დაიჩოქებს კათალიკოსის წი-
ნაშე. მხოლოდ ზურგით მოჩანს) მაზიარე მეუფესთან, მამაო.

გოსტაშაბი — როსტომ?

როსტომი — კი.

გოსტაშაბი — განა ლიპარიტე იტყვის სიმართლეს?

როსტომი — როცა ყვავი იბუღბუღებს.

გოსტაშაბი — ყვავი ერთხელ მაინც არ იბუღბუღებს?

როსტომი — არა, ბუღბუღს ხმა კვერცხიდან მოყვება.

გოსტაშაბი — კვერცხი რომ არ გალობს?!

როსტომი — გარედან არ ისმის, თორემ შიგნით კი გალობს.

გოსტაშაბი — პატარა ნაქუქში იმდენი რა ხდება?

როსტომი — რაც ერთ კვერცხის ნაქუქში ხდება, იმდენ საქ-
მეს ცხრა სამეფო ვერ გააკეთებს.

კათალიკოსის ხმა — ღმერთმა შეგინდოს, ლიპარიტე. (ლიპა-
რიტე მიბრუნდება მეფისკენ).

ლიპარიტე — გუშინ, დიდო ბატონო, შევარდენმა ცაში ერთი
მტრედი გაბღღენა. იმ მტრედს, იმ საწყალობელს, თურმე,
ბარათი მოჰქონდა და ნიავმა წაიღო, ხან იქით ატარა, ხან
აქეთ და, ბედად, დავიჭირე. გავხსენი და რას ვხედავ: დიდ
ყანეს გამოუგზავნია ბახტანგ-ხანისათვის.

ბახტანგ-ხანი — ეჰ, რა ბარათი მოუპარავს!..

ლიპარიტე — და ასე სწერს დიდი ყაენი ბახტანგს: ჩემი ბრძენი
ვეზირი ეხტიბარი ოქროს ჩარდახებში მყავს, დიბა-ატლასებს
ვაცმევ და თითო სიტყვაში თითო მარგალიტს ვაძლევ,

გავიგებთ, თუ ვერაო. ქვეყანას მისი ჭკუა უკვირს, თვითონ ეხტიბარი კი ამბობს ჩემზე მეტი ჭკუა აქვს საქართველოში როსტომს, მაგრამ სახარების თქმის არ იყოს, თავის ქვეყანაში ვერ დაუფასებიათ, სალორეში აწვენენ და, სადაც არის, მატლი დაესვეაო.

გოსტაშაბი — როსტომ, ეს მართალი იქნება?

როსტომი — კი.

ხმები — მოლად სიმართლეა!

ლიპარიტი — ეს წერილი წაიკითხეს ბახტრიონის გმირებმა და თქვეს: იქ სადაც ბრძენი ვერ იცვნეს, ვაითუ, არც ჩვენ დაგვიფასონ სიკეთეო და არ ჩნდებიან, სანამ არ დაიფიცებ, თუ რას უბოძებ ამ საქმისათვის.

მეფე — ყველამ ისმინოს და გაიგოს: ვფიცავ წმინდა ზიარების მადლს და ჩემს მეფურ ღირსებას, ვინც დღეს ბანტანგ-ხანი დაამხო, ამ მადლს კი გარდა ყველაზე დიდი გმირისა ვერავინ შეძლებდა, მას ვანიჭებ სპასალარობას.

ლიპარიტი — მის შემწეს რას უბოძებ?

მეფე — არა ნაკლებ — უხუცესობისა.

გოსტაშაბი — ბახტანგ-ხანი მე დავამხე, ჩემო მეფევ! სხვას ნუვინ ასახელებს. (ციხის კედელზე გადმოფეხიან 1 და 2 მხლებელნი).

1 მხლებ. — კახაბერი აქ არ არის და არც ყოფილა.

მეფე — მაშ, ციხეზე ვინა დგას? აკი თქვით საკუთარი თვალით ვნახეთო?!

2 მხლებ. — არის რამე გულა მიმსგავსებული. (კედელზე გამოჰკიდებენ კახაბერის გულას).

1 მხლებ. — ეს არის გულა, კახაბერის მსგავსად ჩაცმული და შეკურვილი.

2 მხლებ. — ციხეზე ეს გამოუდგამთ. იარალი უქლარუნებიოთ და ბახტანგ-ხანი შიშით დამორჩილებულა.

ბახტანგ-ხანი — ეს საქმე ჩემთვის ვის უქნია?..

1 მხლებ. — გოსტაშაბს, მეტსახელად ნაცარქექიას.

შოშკობა — ბახტანგ-ხანი მე დავლუბე. ბეჭედი მოვტაცე, ცოლი გავუფრინე და მერე მოუთავდა ხელი.

ლიპარიტი — ბახტანგ, ეს ქარაფშუტა გუშინ მართლა შეიპყრეს შენს ცოლთან და მე რომ ხვრელში არ დამემალა, ხომ კურდღელივით გაატყავებდი?

ბახტანგ-ხანი — ახლა რაღას დავეწევი?! იმ ბეჭდის დაკარგვამ კი თავბრუ დამახვია.

მეფე — სად არის ის ბეჭედი?

გულქანა — (გამოართმევს გოსტაშაბს და მეფეს აწოდებს) ეს არის, გოსტაშაბმა გიძლენა, ოლონდ ფიცს ნუ გასტეხო.

მეფე — ეს იმოდენა განძია, ფასი არ ითქმის. (შემოდის 3 მსლებელი და რაზმელები).

3 მსლებ. — ბახტანგ-ხანის საშველად დიდი ლაშქარი მოდის, მეფეე! (ყველა შეიშმუშნება).

მეფე — სად განოჩნდა?

1 რაზმელი — ქადიჯვარაზე მათი მტვერის ღრუბელი დავინახეთ.

3 მსლებ. — მთელი ულუსია, დედამიწას მოარღვევს.

ბახტანგ-ხანი — (ხეიმით) ოჰო!

მეფე — შენ ხომ ეს ციხე ჩამაბარე, ბახტანგ!.. ახლა შენი ულუსი აქ რად მოდის?

ბახტანგ-ხანი — რა ვიცი, მე მეგონა ამდენი ხნის უნახავ ძმას პატივით შემხვდებოდი, ამბავს მკითხავდი, შენ კი ძველი გულდასავით მიმაგდე (როსტომზე უთითებს) მათხოვართან, ჩემს ტახტზე თვითონ წამოჯექ და, მგონია, დასჯასაც მიპირებდი.

მეფე — ხომ გესმით, როგორ დაიწყო ქუხილი ამ ქვეყნის ამომგდებმა. აჩქარდი ბახტანგ, როგორც ყოველ ვერაგს სჩვევია. იცოდე, ჩვენ თუ დავემხობით, ამ კედლებთან ერთად შენც დაგლუბავთ ვით მძევალს, რადგან საკუთარი ქვეყნისთვის წყლული ხარ, ვერაგ მტრისთვის კი მალამო. ამიტომ ხელი ურჯულოთა ამ ციხეს მოერიდოს. (რაზმელებს შემოჰყავთ ზაბუნი და ორი თათარი).

1 რაზმელი — აი, ესენი იყვნენ, დიდო ბატონო, ურჯულოთაგან ყველაზე სასტიკები.

მეფე — ტყვეებს ნომარისთვის ვერ დავსჯი, ხოლო სისასტიკისათვის პასუხს მოვთხოვ. (თათრები დაიჩოქებენ მეფის წინაშე).

ზაბუნი — ჩვენ ბახტანგ-ხანის წინაშე დიდად დავაშავეთ, მეფეე. შენმა უნაშუსო ბრბომ ისე დაგვიბნელა ჰკუა, მოგვაჩვენა, თითქო მათ უძლოდათ გმირი კახაბერი, ჩვენი მრავალჯერ მსახერელი და ახლა გუდის წინაშე დავყარეთ იარაღი.

მეფე — კახაბერის ლანდსაც მადლი ჰქონია.

ზაბუნი — ჩვენმა რაზმის უფროსმა და მისმა ორმა თანაშემწემ, ეს მოტყუება რომ გაიგეს, სირცხვილი ვერ აიტანეს და კედელზე მიახეთქეს თავი და ახლა ამავე ხერხით აპირებენ თავის მოკვლას ყველა თათრები, თუ ბახტანგ-ხანი არ დაუშლის, ხოლო ჩვენ, სამი კაცი, თქენი ხელიდან ვარჩევთ სიკვდილს, როგორც უსაძაგლესი ძაღლები.

მეფე — მე ბრძოლაში განგმირულს არ შევებლალავ და ტყვეების სისხლსაც არ დავიდებ, უწესო სარკინოზო, ხოლო ყოველ თავის მკვლელს ისკარიოტად ვთვლი, როგორც ყველაზე უახლოესი არსების მკვლელს. ამიტომ წადი, ბახტანგ შენს განიარაღებულ თათრებთან და მოთხოვე შეიკავონ თავი ასეთ ცოდვისაგან.

ბახტანგ-ხანი — ძალიან კი მეწვის გული იმ დოყლაპიებზე!

მეფე — ცოდვას იმატებ.

ზაბუნი — მეც ვურჩევ (წამოდგება, ჩუმად ბახტანგ-ხანს) დაეთანხმე, ხანო, მტერს თვალს ვუხვევთ, საკანში სამოსელისგან თოკი დაგიგრინხეთ და კოშკიდან გადაგიშვებთ, სადაც ყიფჩაღთა მზვერაგებია ჩასაფრული. ისინი გაგაფრენენ ულუსში, ჩვენ კი შენთვის თავსა ვღებთ.

ბახტანგ-ხანი — ოო!..

მეფე — რას ფიქრობ, ბახტანგ?

ბახტანგ-ხანი — რა ვქნა, რადგან ის თათრები შენ მძევლებად გკირდება, ვურჩევ იცოცხლონ. (ბახტანგ-ხანი და თათრები მიყავთ რაზმელებს, შემოდიან ათაბაგი, ბეშქენ ერისთავი, გვანგვა და მთკონსტანტინე).

ათ. შანშე — ცუდის მოამბე ვართ, თბილისის მხარეს მტვერის ღრუბელი დავინახეთ.

მეფე — ეს მეც გავიგე, მაგრამ მიუვალი ციხე გვაქვს, თუ გულადი მეომრებით ჩაეჯდებით, კირს გავუძლებთ.

მთ. კონსტანტინე — ჩვენც ეგ ვიფიქრეთ, მეფე, მაგრამ რაზმები უცბად ტყეში გაიქნენ, იქ კიდევ უცნაური ამბავია.

ბეშ. ერისთავი — დიახ, მეფეო, ტყეები სავსეა შეიარაღებული ერით.

მეფე — ერი როგორ აღიჭურვა?

ათ. შანშე — მათ მოუნახავთ კახაბერი.

ყველანი — კახაბერი?

მთ. გვანგვა — ურიცხვს მოუყრია თავი კახაბერთან. ჩვენი ჯარი იმ მდაბიო ერში გაბნეულა და ვერ გამოვარჩიეთ. (მხნად შემოდიან მდაბიო ერისკაცნი).

1 გლეხი — მეფე, ბატონო, ჩვენს დარბეულ ქვეყანაში კახაბერი გამოჩნდა და მთელმა ხალხმა ბრალიანმა და უბრალოდ თავი მოვიყარეთ მის დროშასთან.

2 გლეხი — ჩვენ სულ-ხორციანად გატანჯული ვართ უზნეო ბატონების აკვაცობით. ეს ავი ბატონები შენც გლალატობდნენ და ჩვენც მტრებზე გყვიდლენ და გვაწიოკებდნენ.

- 1 გ ლ ე ხ ი — ამ დროს გამოჩნდა კახაბერი, მეფე-ბატონო, მისმა სახელმა გაგვაცოცხლა, მისმა ხმამ შეგვაერთა და შენს სა-
შველად წამოვედით.
- მ ე ფ ე — მოვიდეს თვითონ კახაბერი, ვიხილო ჩემი ქვეყნის გმირი.
- 1 გ ლ ე ხ ი — აი, მოდის, დიდო ბატონო, მხოლოდ ჩვენი პირით
გითვლის: ისეთ კაცად მიმიღე, ვინც ახლა შენს ტახტთან
დგას, ყოველ მათგანზე სამართალი გავმართო.
- ხ მ ე ბ ი — რა სამართალი?
- 2 გ ლ ე ხ ი — ერის გულისთქმის შესაფერი, რადგან ერთია ხმა
ღვთისა და ხმა ერისაო.
- 1 გ ლ ე ხ ი — კიდევ ასე გითვლის, მეფეო, ყოველ ადამიანს, ვინც
შენ გაბარია, გულში თავის ყვავილი აქვს და სიავე უჭკნობ-
ხო, ამიტომ ჩემი ხმლით ბოროტი, სიცრუით სავსე უნდა
შევზღუდო და სიყვარულის მთესველი გავავრცელო.
- ბ ე შ . ე რ ი ს თ ა ვ ი — ეჰ, ჩვენ მაინც გავიხარებთ, მთავარო კონს-
ტანტინ, ჩემს საერისთავოს ჩემი უფროსი ძმა დაიპყრობს.
- მ თ . კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე — მეც მაგ დღეში ვარ, დიდებულო ბეშქენ!
- მ თ . გ ვ ა ნ გ ვ ა — აქ მყოფიარე მთავრებს გვიჭირს კახაბერისგან
- ა თ . შ ა ნ შ ე — გვიჭირს.
- ლ ი პ ა რ ი ტ ე — მეფევ, შენი ფიცით მე უხუცესობა მერგება, ის
კი დამსჯის.
- გ ო ს ტ ა შ ა ბ ი — მისი ხმალი ხომ დამილოცე, მეფევ?
- მ ე ფ ე — მართალია, ჩემს სიტყვას ვერ გადავალ.
- 1 გ ლ ე ხ ი — კახაბერის სიტყვაც შეუცვლელია მეფევ და ასე გი-
თვლის: თუ ჩემს პირობას არ მიიღებ და სამართალს არ გა-
მამართვინებ მათზე, ვინც შენს ტახტთან დგას, როგორც აქა-
მდე ორმოში ვყოფილვარ აწ უფრო გადავიკარგები და, რაც
ქვეყანას დაატყდეს, შენს კისერზე იყოსო. (შემოდინ რაზმე-
ლები).
- 1 რ ა ზ მ ე ლ ი — უბედურება მოგვივიდა, ბეფე-ბატონო!
- 2 რ ა ზ მ . — დიდი მარცხი!
- 3 რ ა ზ მ . — დიდი მეხი!
- ხ მ ე ბ ი — საიდან! როგორ!
- 1 რ ა ზ მ . — რა შევიყვანეთ ხანი განიარაღებულ თათრებთან, უცბად
თოკი მოაბეს წელზე და კოშკიდან გადაუშვეს.
- 3 რ ა ზ მ . — სანამ ყველას გაგწყვეტდით ხანი მიწაზე დაუშვეს. იქ
ყივჩალები მერნებით დახვდნენ და გაქუსლეს.
- ყ ვ ე ლ ა ნ ი — ეს ღვთის რისხვაა!..

მეფე — ციხის ამღებო გმირნო, მე მეფურ სიტყვას ვერ გავტეხ, და ვერც თქვენ ჩაგაგდებთ, დიდებულნო, თქვენზე უმრწემისის ხელში... ამიტომ კახაბერს პასუხი თვითონ შეუთვალეთ, მხოლოდ იცოდეთ, თბილისიდან მომავალ მტერს, იმ საშინელ ულუსს, კახაბერის ნაცვლად თქვენ დახვდით.

მთ. გვანგვა — ულუსს ჩვენ როგორ დავხვდეთ?!

ბეშ. ერისთავი — ან თუ ჩაგვიგდო ხელში ბახტანგ-ხანმა, იცოდეთ, ფრჩხილით გაგვატყავებს.

ათ. შანშე — დიახ, წაწყმელას მოგვანატრებს.

შოშკობა — უჰ, მე რაც მახედან გამოვძეერი, მეფეო, ის რომ გამახსენდება, კახაბერის სამართალმა დამსაჯოს მირჩენია.

ლიპარიტი — მეფეო, მტერი თუ მოვიდა, დედის რძეში მომხარშავს, კახაბერი კი — ადამიანია.

მეფე — რომელი გირჩენიათ?

ლიპარიტი — მოვიდეს სწორი სამართალი, თავს მაინც შევაბრალებ. (შოშკობას) შოშიკა, ბიჭო, ხომ გესმის, ისე გამიქირდა, პირს თვითონვე ვაძლევ ლაგამისტვის, ოღონდ სიცოცხლე-მეთქი! (შემოდის ფატი. დგება შოშკობასთან).

შოშკობა — ლიპარიტეს რა უშავს, მისი ჯავრი არა მაქვს... (ფატის) მხოლოდ მე რომ ბერად ჩამსვამენ მონასტერში, რა გეშველება?

ფატი — რისთვის ჩაგსვამენ?

შოშკობა — ასი საყვარელი გყავს და ყველას ქვრივ-ოხრად დაგვიყრიო.

ფატი — დაუფიცე, რომ ერთი გყევარ.

შოშკობა — ისეთი სამართალი მოდის კახაბერის კვალზე, ჩემს ფიცს შენსავით არ ენდობა.

გოსტაშაბი — მეფე-ბატონო, ბოძებული ღირსება შემარჩინე, ეს ციხე კი მე ხომ მომირთმევია — აწ სხვამ დაიცვას.

მეფე — მაშ, ხმალი რად მიგიღია? ამირსპასალარობა მოვალეობაა და ვინც დღეს ამ ვალს იკისრებს და ვერ შეძლებს ჯოჯოხეთს დაინთებს.

გოსტაშაბი — მაშ, წაიღე, პატრონს ჩააბარე. მე რაც გადამხდა, წინაპრების სულებთან, თავს ამითაც მოვიწონებ.

გულქანა — ესეც მიკვირს იმ კერიედან სად მომსდიე გოსტაშაბა, და რა გადაიხადე.

გოსტაშაბი — შენ სხვა დიდი კერა ამინთე გულში, გულქანა, მაგრამ თუ შენი კეკლუც-ბანოვანობა ჯორად იქცა და მეც ბოლომდე ვერ შევძელ კახაბერობა, არა უშავს, ღეთის გლა-

ხეგმა მითხრეს, — მათ მიწაში რაა, ის იციან: ნამდვილი მეფე-დედოფლებიც თავის ღიდებას, ბოლოს, მოჩვენებათ თვლიანო.

გ უ ლ ქ ა ნ ა — კახაბერობას შენ ვინ მოგთხოვს, — მისი მსგავსი კაცი ლმერთს არ უქნია.

ხ მ ე ბ ი — კახაბერობას ყველა ვერ იქს!..

— კახაბერი სხვა კაცია!..

მ ე ფ ე — გლეხებო, წადით და მოახსენეთ ჩემგან კახაბერს, ქარის მოტანილ ტახტზე ვზივარ და სანამ ისევ წამიღებდეს ქარი ტახტიანად, მომეშველე და რაც სინდისმა გიკარნახოს, ჩემს სამეფოში ის სასწორ-სამართალი დაადგინე-თქო.

გ ლ ე ხ ე ბ ი — ჩქარა წავიდეთ და გადავცეთ მეფის პასუხი. (გლეხები მიდიან. ყველანი მეფის გარდა კითხვით მოიხედავენ როსტომისკენ, გულქანა კი ფრფინვით ათვალეირებს მეფის სამოსელს და ხმალს).

როსტომი — აწი მეფის ნასუფრალზე ვინ მიმიწვევს. (ლიპარიტე, შოშკობა, ერისთავი და ათაბაგი მივლენ როსტომთან).

ბ ე შ. ე რ ის თ ა ვ ი — როსტომ, თვალდასათხრელის დღეში არ ვარ, ასე დიდგვაროვანი კაცი?

როსტომი — თქვენ დიდებულები ხართ, რა გიკირთ, თვალიც რომ მოგთხარონ, ცარიელ ჯამს მაინც არავინ არ დაგიდგამს.

ლიპარიტე — როსტომ, ხედავ ენას ამილაგმავენ და რა ვქნა კაცმა, ცოცხალმა?..

როსტომი — შენ ენა სულ რომ მოგჭრან, ერთი კაცის სარჩო ტყუილი თვალებშიც დაგრჩება — მე ვიკითხო.

შოშკობა — როსტომ, ფუტკარივით ყვავილებზე შეჩვეულმა კაცმა უღაბნოს მონასტერში რა ვქნა, ქვიდან რა სიტკბო გამოვილო?..

როსტომი — (უმაყოფილოდ) სულ რომ მე მეკითხებით, ერთხელ მეც გკითხოთ ჩემი უბედური საქმე! (წამოდგება) დიდო ბატონო?

მ ე ფ ე — შენ რას კითხულობ?

როსტომი — ამ შენს სამეფოში, სადაც ამდენი ცოდვა-მადლი დუღს, ჩემთვის ერთი ჯამი ფაფის აღდუღება რატომ ჭირს?

მ ე ფ ე — რაო?.. შენ რომ სულ სხვის ნასუფრალს ეძებ, რამდენი წლისა ხარ.

როსტომი — რა გაკადრო. — ლუკმას ყველა მითვლიდა და წლებს — არა.

- მეფე — იმდენი მაინც არ გიცხოვრია, რომ ამჟამამდე შენი სუფრა გეშონა?
- როსტომი — საუკუნე მოვათავე. რა განძიც არ გადამეწყო, ახალ მთვარესავით არ მომაბრუნებდა ამ ქვეყნისაკენ.
- მეფე — კარდაკარ რომ გივლია, სამარის პირამდე, რა შეგიტყვია შენი კჳით?
- როსტომი — ასი წელიწადი მიცხოვრია და ამას გავს: წინა კარში შემოვეარდი და უკანა კარში გავეარდი... თუ ჩემ დღემდე მოიყარეთ, ამ სიტყვას თქვენც მიხვდებით.
- მეფე — შენ ამით ამბობ, რომ ცხოვრება წუთიერია და ამაო, ამ ცოდვას ვერ მოგისმენ. მე ღმერთმა ერი ჩამაბარა და მმართველს გული დაეუდგა ყოველივე სოფლიურს და ცნობად და სასოებად მივიღო, რომ კაცთა ცხოვრებისათვის ეწამა თვითონ უფალი — ერთარსება დაუსრულებელის შემოქმედისა. (გამოჩნდება ჯონდო. ეტყობა მძღარია).
- მეფე — ჯონდოს ერთ მაგარ წიკეპელს გადავცემ და ვინც დღეის შემდეგ იტყვის ქვეყნიურ საქმეთა მგმობელ-ზარმაცზე ბრძენიაო, მარტო იმას გავაწიკებლინებ. (მოისმის ხმაურობა, ყიჟინა და კახაბერის ცხენის ჳიხვინი. შემოდინა შეიარაღებული გლეხები).
- გლეხები — სად არის კახაბერის ხმალი!..
- ხმები — მეფემ ხმალი გამოგზავნოს! ისეთი ხელით გვაახლოს მოსაპრელი არ იყოსო! (ყველანი ერთმანეთს გადახედავენ. მეფე გულქანს გადასცემს ხმალს და მას მოწიწებით მიაქვს).
- მეფე — ჩემი მამის წმინდა დიმიტრის ხატით მოვიდა ერი. წინ უძღვის გმირი კახაბერი. ქვეყანა აღსდგა! — რომ იბრძოლოს ცხოვრებისათვის, ქეშმარიტებისათვის. (ხიღრმეში ჩრდილივით გამოჩნდება ცხენი და ზედ მზედარი კახაბერი, რომელსაც გულქანა ხმალს გადასცემს).

ფ ა რ დ ა

1929—54 წ.



ეპიგრაფი

სურათი პირველი

თბილისი. ქუჩა კათალიკოსის სახლის წინ. ზოგი სახლის წინა პირი დახიანებულია. ცისკრის ქამია. ერთ კუთხეში სხედან მათხოვრები. შემოდინ ქალაქის მოურავი და კარისკაცი. მოქმედება სწარმოებს 1285 წელს.

I კარისკაცი — ზიანი არ აქვს უნეტარეს მღვდელთმთავრის ბინას. თუმცა, თქვენც ხედავთ, ამ უბანში მიწისძვრისაგან მრავალი სახლი დანგრეულა.

II კარისკაცი — ცოცხალი სულიც .
ურიცხვი არის დაღუპული.

I კარისკაცი — ჩემს ცხოვრებაში ბევრჯერ მსმენია ცხარე ბრძოლის გადახდის შემდეგ ველზე დამდგარი კენესა, ურვა დაქრილთა, მაგრამ იქ ცნობილია ყოველივე უბედურების მიზეზი, — თითონ უგნურება და ცოდვა კაცთა, აქ კი ეს რისხვა მშვიდობიან ერს თავს დაატყდა მოულოდნელად, აუხსნელად. ქალნი და ბავშვნი თავის საკუთარ და საყვარელ ქერით, კედლებით დაგლეჯილები სულსა ლევენ ცის მიმართ კითხვით.

II კარისკაცი — გადარჩენილნიც უსახლკაროდ სიკვდილს ნატრობენ.

მოურავი — ქალაქი დიდად დაზარალდა. ეს გულს მიღონებს, მაგრამ მაშფოთებს მასთან ერთად უფრო მეტად ადამიანთა გაუტანლობა. ავაზაკნი ამ მძიმე ქირში დაზარალებულთ შესევნიან. ისინი საპყრებს, რაც ბედისაგან შერჩენიათ, მასაც სტაცებენ... მე, მტაცებლების და ქურდების მოსათრგუნავად — მოვიღებ ძალას და ავკვეთავ უწესოებას.

თქვენ კი, რაც ნახეთ კარისკაცნო, რაც განიცადეთ სვემაღალ მეფეს მოახსენეთ დაუფარავად...
თუმცა მას გული აქვს კეთილი და ერის მცირე უბედურებაც გულში დიდად შთაებეჭდება, —
მე, მაინც გირჩევთ, მოახსენეთ სულ ყოველივე, ერის ზრახვებიც გაუმხილეთ, ხალხი ჩურჩულებს, თითქოს ეს რისხვა განგებისაგან მოვლენილია საშინელ ცოდვის ნაყოფად და უნეტარესის კათალიკოსის ქადაგება ყველას სწყურია.

(შემოდინან მიწისძვრით დაზარალებულნი).

I დაზარალ. — ო, მოურავი!..

II დაზარალ. — კარისკაცი!

I დაზარალ. — მიემართოთ თხოვნით!

მოურავი — ვინ ხართ, რა გინდათ!

I დაზარალ. — ჩვენ ვართ მიწისძვრით დაქცეულნი.

მოურავი — აქ რად წანწალებთ. დაუბრუნდით კვლავ თქვენ ნანგრევებს.

მე გირჩევთ ქვეები დარჩენილნი არ გაგეფანტოთ, თორემ, მერწმუნეთ, აქ მის ფასსაც ვერას მიიღებთ.

I დაზარალ. — გაქვს ცივი გული, მოურავო.

მოურავი — რად საყვედურობთ?

I დაზარალ. — გადასახადის ასაკრებად გაქვს გრძელი ხელი და დახმარების გაღების დროს კი ხელმოკლე ხარ!

მოურავი — აჰა, გამოჩნდა სხვა კილო თქვენს მეტყველებაში;

მე ვხედავ მალე უგუნურ ბრბოდ გარდაიქცევიო.

და, მაშინ ერთი ავი სიტყვა ჩამოგდებული

თქვენ შორის — ყველას ამბოხების ვნებით ალაგზნებს.

ახლავ მიხედეთ თქვენს ნანგრევებს, ცალკ-ცალკე განახეთ.

I დაზარალ. — ცალ-ცალკე ჩვენ გვაქვს წრუწუნას ხმა, არმოსასმენი, ერთად კი ჩვენი სიტყვა ისმის ზარივით მძლავრად.

მოურავი — თქვენს ზარზე უფრო სქვალავს ჩემს გულს ეს მღუ-მარება მათი. თქვენ ვინ ხართ? თქვენც დაგენგრათ კერა და ჯავრობთ?

I გლახა — ჩვენ გლახაკნი ვართ.

II გლახა — რაც არ გექონდა, რას დაგვკარგავდით.

III გლახა — რას დაგვინგრევდა ცა, ან მიწა.

მოურავი — მაშ, აქ რათ ზიხართ?

I გლახა — სვემაღალ მეფეს ვეგებებით, როგორც გვენიშნა გამობრძანდება ამ ფოლორცით.

- მოურავი — რად ელოდებით?
- II გლახა — მას მუდამ ახლავს მოწყალება.
- მოურავი — თქვენც დაჩვეულნი, მისგან სიბრაულს, გათაებედლით.
- I კარისკაცი — უკვე თენდება. უძილო ღამის შემდეგ ერი გამოდის შფოთით.
- II კარისკაცი — მღვდელთა მთავარიც გამობრძანდა.
- მოურავი — აქეთ შეჰხედეთ, სადღუნი, დიდი ათაბაგი თავის ამალით გამოფენილა.
- I კარისკაცი — ო, მე ვატყობ ის შეეყრება სალაპარაკოდ კათალიკოსს.
- მოურავი — ამბობენ, ორივე გულდაკოდინი ბრძანდებიან მეფეზე.
- II კარისკაცი — დიახ.
- მოურავი — მე შევეყრები სადუნს.
- I კარისკაცი — ჩვენ კი აწ წარვდგეთ კარზე. (მოურავი და კარისკაცნი მიდიან).
- I დაზარალ. — უფლისგლახებო, მართლა აქ ჩამოივლის მეფე?
- I გლახა — კი.
- I დაზარალ. — საიდან იცით?
- I გლახა — მაშ, სხვა რა გვეკითხება — ღმერთმა მოწყალე მეფე მოგვივლინა და მისი გზის მარჩიელები ვართ.
- II დაზარალ. — მაშ, ჩვენც აქ დაეხედეთ.
- IV დაზარალ. — ნუგეში და წყალობა ვთხოვოთ.
- III დაზარალ. — აქ მოუყაროთ თავი ყველა ქერდაქცეულებს.
- II გლახა — რაო? გესმით, ესენიც აქ უნდა დახედნენ!
- II გლახა — (I გლახას) ეჰ, რად გაამხილე ვისაც უცდით, შე უტვინო, თუ ესენი შეგვეცილენ, რა წყალობა გვერგება!..
- I დაზარალ. — გშურთ ჩვენთვის თანაგრძნობა?
- I გლახა — მაშ, თქვენ რომ გლახები არა ხართ, რა ხელი გაქვთ მოწყალებაზე?
- I დაზარალ. — ჩვენ ოჯახები დაგვექცა.
- I გლახა — ეს ცოლდვით მოგივიდათ, თქვე უბედურებო.
- II დაზარალ. — გესმით, გლეხები შანს გვიგებენ.
- I დაზარალ. — გვეკადრება თქვენგან შანის მოგება მათხოვრებო, როდესაც ჩვენი ნაოფლარით გაპურებდით!..

- II გ ლ ა ხ ა — კ არ ს რ ო მ მ ო გ ე ი ხ უ რ ა ე დ ი თ, ი ს ი ც გ ა ი ხ ს ე ნ ე თ —
ყველაფერი იწერება: სიავეც და სიკეთეც.
- III გ ლ ა ხ ა — კ ი, უ ლ ვ თ ო კ ა ც ს ბ ე წ ვ ი ც ა რ მ ო წ ყ დ ე ბ ა.
- IV გ ლ ა ხ ა — ა მ პ ა რ ტ ა ე ნ ე ბ ა მ და გ ლ უ პ ა თ, თ ქ ვ ე ს ა ც ო დ ა ე ვ ე ბ ო —
შეინანეთ ცოდვები!
- II და ზ ა რ ა ლ. — ხ ე დ ა ე თ — რ ა შ ხ ა მ ი ჰ ქ ო ნ ი ა თ გ უ ლ შ ი გ ლ ა ხ ე ბ ს!
- I და ზ ა რ ა ლ. — ჩ ე ვ ე ნ მ შ რ ო მ ე ლ ე ბ ი ვ ა რ თ, ქ ვ ე ყ ა ნ ა ჩ ე ვ ნ ი თ ი ღ გ ა,
თქვენ კი მუდამ ცოდვის ბარგი იყავით.
- I გ ლ ა ხ ა — რ ა ო მ? ე ს ქ ვ ე ყ ა ნ ა თ უ დ გ ა ს, კ ი დ ე ვ გ ლ ა ხ ე ბ ს უ მ ა დ-
ლ ე თ, ჩ ე ვ ნ ი ლ ო ც ვ ი თ ა რ ი ს, რ ო მ ა ქ ა მ დ ე ა რ და ქ ც ე უ ლ ა.
- II გ ლ ა ხ ა — ჩ ე ვ ე ნ უ ფ ა ლ მ ა ყ ვ ა ვ ი ლ ს შ ე გ ვ ა დ ა რ ა, რ ო მ ე ლ ი ც ა რ
შ რ ო მ ო ბ ს, ა რ ც ა ქ ს ო ვ ს, მ ა გ რ ა მ ლ ე თ ი ს ა გ ა ნ ს ი მ შ ე ვ ნ ი ე რ ი თ
ი მ ო ს ე ბ ა.
- III გ ლ ა ხ ა — გ ა ნ ა რ ი ს ხ ე თ ღ მ ე რ თ ი ა მ პ ა რ ტ ა ე ნ ე ბ ი თ და თ ქ ვ ე ნ ი
შ რ ო მ ი ს ა მ ა ო ე ბ ა ც და გ ა ნ ა ნ ხ ა თ.
- I და ზ ა რ ა ლ. — ქ ვ ე ყ ა ნ ა თ უ ც ო დ ვ ი თ შ ე ი ძ რ ა, თ ქ ვ ე ნ ს მ წ ყ ა-
ლ ო ბ ე ლ მ ე ფ ე ს ე კ ი თ ხ ო ს და ზ ო გ ი ე რ თ ბ ა ტ ო ნ ე ბ ს — ჩ ე ვ ნ ი ბ რ ა-
ლი არ არის.
- II გ ლ ა ხ ა — მ ე ფ ე დ ი მ ი ტ რ ი მ მ ო წ ყ ა ლ ე ბ ი თ გ ა მ ო ი ს ყ ი დ ა ყ ო ვ ე-
ლი ე ე, — თ ქ ვ ე ნ კ ი მ ც ი რ ე ც ო დ ვ ე ბ ი თ ა ც წ ა წ ყ დ ე ბ ი თ.
- I გ ლ ა ხ ა — ჩ ე ვ ე ნ მ ა ი ნ ც ვ ე ვ ე დ რ ე ბ ი თ ღ მ ე რ თ ს თ ქ ვ ე ნ ზ ე გ უ ლ ი
მ ო ი ბ რ უ ნ ო ს, ო ღ ო ნ დ, თ ი თ ო ნ ა ც მ ო ი ნ ა ნ ი ე თ ც ო დ ვ ე ბ ი, თ ქ ვ ე
უ ბ ე დ უ რ ე ბ ო.
- I და ზ ა რ ა ლ. — ჩ ე ვ ე ნ გ ლ ა ხ ე ბ ი დ ა ნ მ ო ვ ე ლ ო დ ი თ ა ქ თ ა ნ ა გ რ ძ ნ ო-
ბ ა ს, ლ ო ც ვ ა ს, ც რ ე მ ლ ს, ნ უ გ ე შ ს, მ ა გ რ ა მ ვ ხ ე დ ა ე თ კ ა ც თ მ ო ყ ე ვ ა-
რ ე ბ ა, ა მ ა თ ს ა კ უ თ ა რ კ ი რ ი ს წ ა მ ლ ა დ მ ხ ო ლ ო დ ჰ ქ ო ნ ი ა თ.
- II და ზ ა რ ა ლ. — ჩ ე ვ ე ნ ა ქ მ ო ვ ე ი ხ მ ო ბ თ ა ხ ლ ა ყ ვ ე ლ ა და ზ ა რ ა ლ ე-
ბ უ ლ ს.
- III და ზ ა რ ა ლ. — და მ ო ვ ა ხ ს ე ნ ე ბ თ ჩ ე ვ ე ნ ს ი მ წ ა რ ე ს — მ ე ფ ე ს,
I და ზ ა რ ა ლ. —
წ ა ვ ი დ ე თ!
- (და ზ ა რ ა ლ ე ბ უ ლ ნ ი მი დ ი ა ნ).
- III გ ლ ა ხ ა — ე ს ო რ ი დ ღ ე ა ვ ე რ ვ ე ნ ი ც ლ ს ჩ ე ვ ე ნ ს შ ე ს ა წ ყ ა ლ ა დ,
ჯ ა ნ ი ს ი მ შ ი ლ ი თ მ ო დ უ ნ და და ყ ე ლ ი ც გ ვ ი შ რ ე ბ ა.
- IV გ ლ ა ხ ა — თ ა ე ბ რ უ გ ვ ე ს ხ მ ი ს და ვ ე რ ვ ლ ო ც უ ლ ო ბ თ გ უ ლ შ ე-
ჯ ე რ ე ბ ი თ.
- II გ ლ ა ხ ა — და ი ც ა თ, ხ ე დ ა ე თ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ს და დ ი დ ს პ ა ს ა ლ ა რ ს?
I გ ლ ა ხ ა — მ ო ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ი ა ნ, ვ გ ო ნ ე ბ, ა ქ ე თ, ო რ ი ე, ი ს ი ნ ი.

III გ ლ ა ხ ა — ხალხსა მოშორდნენ და გამოყენენ ვინმე ბანო-
ვანს.

II გ ლ ა ხ ა — ნუთუ ამითგან მოწყალებას ვერას მივიღებთ?

(შემოდინ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი — ა ბ რ ა ჰ ა მ, ს პ ა ს ა ლ ა რ ი — გ ო დ ე რ ძ ი,
ზ ე ნ ა თ ა და ო რ ი მ ო ნ ა ზ ა ნ გ ი).

გ ო დ ე რ ძ ი — მიწის შეძვრისგან ნატამალად ქცეულ ტაძარში
მარტო შენ განახეთ უვნებლად... შენ ლოცულობდი.
და ჩუმად, უხმოდ ვკითხულობდით მკერეტელნი შენნი:
ხორცშესხმული ხარ, თუ ნათელი... მაგრამ, როდესაც
კარისკაცებმა შენს მახლობლად ბავშვის ცხედარი
აიღეს, ისე დიდი ურვა აღმოგხდა მაშინ,
რომ შენი ზარით დაიფარა ყველას გოდება.

ა ბ რ ა ჰ ა მ — შემდეგ კი სდუმხარ და ძრწოლისგან გასაფათებულს
გიყურებთ, როგორც დამცხრალ ციაგს. თუმცა ტანჯვაშიც
გაუგებარი რაღაც მადლი გიმშვენებს სახეს.

ზ ე ნ ა თ ა — მწუხარებისგან, უწმინდესო, მღვდელთა მთავარო,
ახლა ფერფლი ვარ დარჩენილი... უფლის მიმართ კი
ლოცვის მაგიერ აღშფოთება აღმეგზნა სულში...
ოჰ, ვით ანგელოსს, მეც რომ მომცა გზა ზესკნელისკენ,
ცაში ჯოჯოხეთს მივიტანდი ჩემი სულით და
ვეტყოდი მტვერი უმცირესი ქვეყნის შემქნელს, რომ
საქმენი მისნი სასტიკია და საშინელი.

ა ბ რ ა ჰ ა მ — უფალს ყოველგან ესმის. გვითხარ, რამ ავაშფოთა?

ზ ე ნ ა თ ა — შენ მშვიდ გონებით მეტყველებ, მე მხურვალე გულით.
ერთმანეთისთვის ჩვენი ენა უცხო იქნება.

ა ბ რ ა ჰ ა მ — უმძიმეს ექვებს ბადებს სასოწარკვეთილება,
მას ნუ ეძლევი.

ზ ე ნ ა თ ა — განმეძარცვა მე ყოველივე,
ვით ხეს ზამთარში.

ა ბ რ ა ჰ ა მ — ზამთრისაგან გაძრცენილი ხენი.
ახალ სამოსელს მოისხამენ გაზაფხულითა.

კაცისათვისაც ასე მოაქვს დრო და ჟამს ხვედრი...
ყვაილობს გული ჰასაკისა შესაფერად და,
თუმცა ყოველი ყვაილი კაცს უქკნება, მაგრამ
მარადის ახალს მოელის და ხარობს იმედით...

ზ ე ნ ა თ ა — ჩემთვის იმედი გაჰქრა, — ახლა იგი სიცრუეც
ველარ მპირდება მის მაგიერს, რაც დამელუპა.

ა ბ რ ა ჰ ა მ — შენ კაცთა იმედს სთელი სიცრუედ?

ზ ე ნ ა თ ა — დიახ, მეუფეე!

ა ბ რ ა ჰ ა მ — საღეთო წერილშიც გოდებს ბრძენი, რომ ყოველივე
ამ ქვეყნიერი ამოა, — წარმავალია,

მაგრამ, ვინც დაგმობს ამ ქვეყნიურს, ცა უნდა სწამდეს.

ზ ე ნ ა თ ა — ღმერთი მწამს, მაგრამ ვხედავ — იგი უმოწყალოა.

ა ბ რ ა ჰ ა მ — თვინიერება ახლავს რწმენას...

ზ ე ნ ა თ ა — ტანჯვას — გოდება!

ა ბ რ ა ჰ ა მ — გამიხსენ წყლული, ეგებ ვპოვო მისთვის მალამო...

ზ ე ნ ა თ ა — აღამიანის თანაგრძნობა რად მარგებს, როცა
ღმერთმა გამწირა?

გ ო ლ დ ე რ ძ ი — შენ, ასულო, ძლიერ მაკვირებ,

ჯერ თავს მალავდი ჩვენს წინაშე ღუმილით, ახლა

კი საუბარით ხდები უფრო გამოუტნობი,

ვიდრე ღუმილით... ბოლოს ვეკვობ: ხომ არ გაწუხებს,

შენ ცოდვა რამე.

ზ ე ნ ა თ ა — არა, მხოლოდ ბედით დევნილი

მოველ უფალის წმიდა სახლში, სადაც თქვენ მპოვეთ,

და სწორედ მაშინ, როს აღვიგზენ სასოებით და

ნათელ იმედებს ვამყარებდი წმიდა უფალზე,

მან დამატეხა თავს ისეთი რისხვა, რომ ახლა

მისგან მოტეულს ვასაჩივრებ კაცთა წინაშე.

ა ბ რ ა ჰ ა მ — სჩანს, შენ გონება დაგიბინდა დიდმა ტკივილმა.

გ ო ლ დ ე რ ძ ი — ვით შვილდი ისრებს, — ისერი გულისგამპობელ

სიტყვებს, მაგრამ გვიმალავ ვინაობას...

ზ ე ნ ა თ ა — პატიოსანნო,

ნუთუ სახელი ჩემი უფრო ნათელყოფს თქვენთვის

ჩემს ვინაობას, ვიდრე თითონ წყლული გულისა.

გ ო ლ დ ე რ ძ ი — ჩვენ ვხედავთ, რომ ხარ შემოსილი ძვირფასი
ლარით,

თან გახლავს წყვილად უძვირესი ზანგი მონები,

მეტყველებაშიც გაწრთენილი ხარ... აშკარად გატყობ

ვინმე უფალის ასული ხარ და გესურს გავიგოთ,

რომელ დიდგვარის ძირი წახდა ჩვენს სამეფოში,

ვისი ნაყოფი დაქიანდა, ასე საზარლად

რომ თავისსა ბედს უფალს ყვედრის?

ზ ე ნ ა თ ა — კარგი, თუმცა თქვენ

ჩემს უბედობის წისკვილზე ხართ წყალის დამსხმელი,

მტრები ხართ, მაინც გეტყვით ჩემსა თავგადასავალს.

გ ო ლ დ ე რ ძ ი — ჩვენ ვართ, ასულო, შენი მტრები?

ა ბ რ ა ჰ ა მ — რა სათქმელია!

ზენათა — მე ვარ ასული აბულეთის დიდი-უფლის-ძის
ანდუყაფარის.

აბრაჰამ — ვინ? კიდეც სთქვი...

ზენათა — ზენათა მქვიან.

გოდერძი — ზენათა!

ზენათა — რისთვის მზომავთ თვალით, ასე გულდასმით
დიდ ათაბაგის საქმეებს რომ დაჰკვირებოდით,
ჩვენი სამთავროს დარბევას და გვარის მოსპობას
არ დააყლიდით.

გოდერძი — მისი საქმე მეფეს ვაცნობეთ,
იგიც სასწრაფოდ ჩამობრძანდა და თითონ განსჯის.

ზენათა — ჩვენ თავს დაგვესხა ათაბაგი მოულოდნელად,
იხელთა ჟამად სამეფოდან მეფის შორს ყოფნა,
თქვენ კი უფლისგან დატოვილნი ქვეყნისმომვლელად
რას აკეთებდით? უმოქმედოთ დადევით განზე.
გაიგეთ ჩვენი დარბევა და არ მოგვეშველეთ,
სანამ სამთავრო იმ უწყალომ არ მოაოხრბა.

გოდერძი — თქვენზე თავდასხმას სადუნისაგან არ მოველოდით,
პირიქით, ერთ ღროს ჩვენ გვესმოდა, რომ ათაბაგი
შენ გთხოულობდა თავის პირმშო ვაჟისთვის ცოლად
და, გვესმა, თითქოს ანდუყაფარ კიდეც დათანხმდა.

ზენათა — თუ ეს თანხმობა ყოფილიყო, ვერც რა დაშლიდა.

გოდერძი — საშინელ მიზეზს ასახელებს.

ზენათა — მით აგამხედრათ?

ვიცი, მან გითხრათ, რომ მეფე და მე გავმიჯნურდით.

აბრაჰამ — დიახ. მხოლოდ თუ მის ნათქვამში არის სიმართლის
ნატამალი, ნუ დაგვიფარავ.

ზენათა — როგორ დავფარავ,
უნეტარესო, ცეცხლი ბნელში არ იმალება.

მეფე დიმიტრის სიყვარულმა გამაგებინა,
რომ მიწაზედაც გვევლინება მაღლი ზეცისა...

ასე, სიწმინდით, ვგრძნობ დიმიტრის და მისდამი ჩემს
გრძნობას სახელი თქვენ დაარქვით.

აბრაჰამ — ცოდვა გერევა.

სული მაღლდება სიწმინდეში, ასულო, არა
აღტაცებული ტრფიალებით, არამედ კეთილ
საქმეებით.

ზენათა — თუ ტრფიალება გვაბიწიერებს,
მაშინ ჩემს გრძნობას მოუძებნეთ სულ სხვა სახელი,

რადგან დიმიტრის მოგონება მასპეტაკებდა...
მე, სუსტს, გამაჩნდა იგი ძალად კეთილისთვის და
ახლაც მაშფოთებს ღმერთზე მისთვის, რომ ამა ქვეყნად
რაც კეთილია, ჯვარს ეცმება.

ა ბ რ ა ჰ ა მ — ვწუხვარ, ასულო,

რომ შეგპარვია მღრღნელი ჭია მშვენიერ ნაყოფს.
მაგისტვის ცოდვა ეკითხება შენსა აღმზრდელსაც...
მაგრამ დღეს ჩვენში, სავალალოდ, ყველა მთავრები
დიდის ხალისით ფურცლავენ ძველ წარმართულ წიგნებს,
მოშაირებებს გარს იკრებენ და რყენიან შეილებს
ცრუ მაგალითით. შენ გემჩნევა ცრუ განსწავლება.

ზ ე ნ ა თ ა — მასწავლებელი ჩვენი არის აგრეთვე ბედიც...

ა ბ რ ა ჰ ა მ — გირჩევ არ აყვე ბოროტებას, სენს, — დროსმოტანილს,

ვით მრუდე ხის ჩრდილს გალუნულსა ველარ გავმართავთ,
ისე ეამისგან გარყვნილ შეილებს ვერ გავასწორებთ,
სანამ თვით ღმერთი არ მომართავს კეთილად დროსა.

კმარა აწ ჩემგან დარიგება, ახლა მე გკითხავ
თქვენი დარბევის ამბავს, იმის მიზეზს ვიძიებ.

სადუნი ჩვენთან აცხადებდა, თითქოს თქვენს ოჯახს
მეფე დიმიტრი პირდებოდა ათაბაგობას
და ერთმეოდა მის ძეს, ხუტლუს, მამის ღირსება.

ზ ე ნ ა თ ა — ბოროტს ენა აქვს ნამდვილ ზრახვის დასაფარავად.

თქვენ თუ სადუნი გინდათ იცნოთ — შეხეთ მის საქმეს. —
როგორ მზაკვრულად მოგვისია თავის ძე — ხუტლუ.

ჯერ, თავდასხმამდე, ვერაგებმა იმ ჩვენს მოსაზღვრე
ტყეებში იწყეს ნადირობა და ჩემი მამა

ანდუყაფარი მიიტყუეს დიდის პატივით.

მან ცნო მუხთლობა და განშორდა, სახლში მობრძანდა,

მაგრამ აღმოჩნდა მოწამლული მუხანათთაგან

და განუტევა სული თვისი მოსვლისთანავე.

მეორე დღეს, კი ოდეს ყველა ნათესავები

ძაძითმოსილნი თავს იყრიდნენ ზარით, გოდებით,

მიცვალებულის პატრონისა დასატირებლად,

ასეთ ვარამში თავს დაგვატყდა ლაშქარით ხუტლუ,

გასწყვიტა მთელი ჩვენი გვარი, ცეცხლში გახვია

ციხე-დარბაზი და მოედვა დაბა-სოფლებსა.

მე კი ბედისა დახმარებით ცოდვის დუღილში

ჩავეიდე ხელი ჩემს ერთადერთ ძმასა კახაბერს

ჯერეთ უსუარს, ჩვენს სამთავროს თვალის სინათლეს.

ავიღე ხმალი მამისაგან ფიციით დათქმული
 და შენახული თავის ერთადერთის ძისათვის
 გადასაცემად. იგი ხმალი უბოძებია
 მისი მამისთვის დიდსა თამარ მეფეს და არის
 მოსილი მრავალ გამარჯვების შარავანდედით...
 სამოსლის და იმ ხმალის მეტი არა ვიძიე
 და გამოვქანდი კრიახებით, ტყით, ჯაგანარებით,
 რომელთა შორის ლაპლაპებდნენ მტრისა თვალები...
 იმ საზიზღართა დევნისაგან ხსნა არა სჩანდა.
 გამიწყდა გზაში მცველნი, სხვები დამიუძღურდნენ.
 ბოლოს არ შემრჩა მე არავინ, გარდა ამ ორის
 მონა ზანგისა. ო, ესენი, ახლა ქვებივით
 გარინდებული აქ რომ დგანან, მაშინ იმ ქირში
 იგერიებდნენ ჩვენზე მოსულ კაცებს და მხეცებს.
 გაუცვდათ თავის იარაღი, მაგრამ იმ ეამსა
 წამოღებული კახაბერის სახელზე ხმალი
 არ შოიხმარეს მოკრძალებით, როგორც სიწმიდე.
 მთელ გზაში ბრძოდნენ ცეცხლის მსგავსად აღზევებულნი.
 იპ, მაშინ იმ გზას მე ვგრძნობდი ვით ჯოჯოხეთის ხილს
 და, როცა ბოლოს, შემთხვევით, თუ ბედისა ბრუნვით,
 საშიშროებას გამოვცდით და შორს, მთის წვერიდან
 ეს არემარე ვიხილეთ, ამ ქალაქის კედლებს
 ღრმა სასოებით მივესალმეთ, ვით დედის კალთას^ა
 და ძალმიხდილნი გამოვცოცხლდით.

ა ბ რ ა ჰ ა მ —

ნურას მიაწერ

ბედს და შემთხვევას. ჩვენს ცხოვრებას მართავს ღვთის ნება
 და მის წყალობას დაუხსნიხარ.

ზ ე ნ ა თ ა —

არა, მეუფევე,

ღმერთი შორს არის და კაცთათვის არა სცალია.
 ჩვენ უფრო ახლო ვართ ჭიბსთან... მხოლოდ ეს მიკვირს,
 რად შექმნა ღმერთმა კაცი, რისთვის მისცა გონება
 ნაწილი თავის ბუნებისა და მით ეს ჭია
 აავსო ურვა სატანჯველით აუტანელით...
 შენ მეუბნები, რომ განგებამ აქ მიწინამძღვარა...
 მაშინ რად დამხვდა ამ ქალაქში ასეთი ზარი,
 რომ აბულეთის ორნი ძენი, ჩემნი ბიძანი,
 უებრო გმირნი, მიწვეულნი ყაენის კარზე,
 იმავ სადუნის ჩაგონებით მსოფლიოს მპყრობელს;
 ყაენს, სიკვდილით დაუსჯია?.. და აღარ დაგვრჩა,
 შინაც და გარეც სადუნისგან ამოწყვეტილებს,

შურისმგებელი ნათესავი?

გოდერძი — ეს არ გაცნობეს, რომ იგი, ჰამად ყენი, ბევრ უწყალობისთვის მეფე დიმიტრის სიძემ, დიდმა ბულამ და, მასთან შეფიცებულმა ნოინებმა საბლით მოაშთვეს? აწ კი, დიმიტრის ჩარევით და ხელისშეწყობით არლუნი დაჯდა მონღოლების ტახტზედ ყენად და მეფე განძით და დიდებით აწვაებული მობრძანდა თავის სამეფოში.

ზენათა — დიახ გავიგე და მაშინ გული მომიბრუნდა სააქაოსკენ, უბედურს ცოტა ყოფნის საზრდოდ სასოებისა... თუმცა სიმწარე ამოწყვეტილ ნათესავებზე არ დამცხრობია მაგ საამურ ამბით, პირიქით, ამ ქვეყნიური იმედები ადამიანებს გზნებას მატებენ ძვირფას მკედართა დასატირებლად... მაგრამ იმ ქირში მაგ ამბავით ფრიად გაემხნევიდი, ჩემი პატარა კახაბერი წმიდა ტაძარში შესავედრებლად შევიყვანე და დავაჩოქე დიდ აბულეთის თვლებით შემკულ ხატის წინაშე... შევთხოვედი უფალს იმ პატარა ძმისთვის სიცოცხლეს, რომელიც ერთადერთი დარჩა გვარის ძირფესვად. ოჰ, რა აღგზნებით მიყვარდა ის, რა სასოებით!.. ის მავიწყებდა ყოველ ჯავრს და ამაზე დარდსაც, რომ ქალადა ვარ გაჩენილი, თითქოს, რაც ღმერთმა ამით დამაკლო, ვპოულობდი მის არსებაში... თუმცა ჯანით იყო უსუსური, ხშირ-სენიანი, მაგრამ ვით კეთილ ნაყოფისა გამომღები ხე ცუდ ნიადაგის მიზეზითა დასქენება უმალ, ან სულ გახმება, ბოროტ ნაყოფს კი ვერ მოიხამს, ესე მას, გმირადშობილს, სნება სულს ვერ უცვლიდა. იყო მდაბალი, ღვთის მოშიში, კაცთა მოკრძაღე, მაგრამ ყოველი სიცრუისა და ბოროტების წინაშე — იგი ერთი ასად იქცეოდა და ჰასაკით ბავში ზვავდებოდა ვით ბუმბერაზი. ასეთის ყრმისთვის ვლოცულობდი და, მაშინ, ოდეს მეთე ცაში ვგრძნობდი ჩემსა აპყრობილ ხელებს, ფეხქვეშ შეიძრა ნიადაგი დედამიწისა... ტაძრის კედლები შეირყა და ზედ მოხატული :

წმიდა სახენი კანკალით და ზრიალით დასქდნენ,
იმატა რყევამ, ნგრევისაგან ავარდა მტვერი...
მე ძმას დახედე, არ სუნთქავდა ის .. მაგრამ მის მკვდარ
ბაგეზე ჯერეთ ცოცხალ-იყო უბიწო ლოცვა
და მაშინ შემრცხვა ჩემი ლოცვის, სასოების და
ულთო ქვეყანაც შემეცოდა...

ა ბ რ ა ჰ ა მ — წრფელ მორწმუნესგანც
მსმენია, ზოგჯერ სიმწარეში ღვთის საყვედური.
დიდ სიმძიმელში კაცს პასუხი არ ეთხოვება,
რადგან დროებით უბინდდება გონება... მაგრამ
მე მაინც გეტყვი, რომ შენ გიპყრობს ანპარტავნება.
ჩვენებრ ცოდვილად თელი უფალს და მოინანიე
ცილისწამება განგებაზე.

ზ ე ნ ა თ ა — სიბრძნით მაღალნო,
რაში არის ეს დაბინდება ჩემი გონების,
ან რომელია სინამდვილე... როდესაც ტაძრის
ნანგრევში ვპოვე უვნებლად ჩემი თავი და,
აგრეთვე ხატი, ჩემს წინ ისევ ბრწყინვალედ მდგარი,
პირველად განცდილ საშინელის თავზარის შემდეგ
შემიპყრო ერთმა ფიქრმა, თითქოს, რასაც გარშემო
ვხედავდი, იყო მოჩვენება ავის სიზმარის...
და, საშინელის სიზმარისგან განსაღვიძებლად,
ისევ განვაგრძე ლოცვა წმიდა ხატის წინაშე...
მაგრამ იმ ჟამს თქვენ შემობრძანდით და დოსტაქრებმაც
ასწიეს ჩემი პატარა ძმის უსულო ტანი
და მაშინ მივხვდი, რომ იმედის შემობრუნება
იყო გონების დაბნელობით, რომ სინამდვილეში
მიტოვებული არის ღვთისგან ეს ქვეყანა და...
გოდება გემართებს უბედურებს..

(შემოდის ნ უ მ ა რ ა).

ა ბ რ ა ჰ ა მ — ჟამისა ქროლით
შენი გულიდან ეს მძვინვარე შავი ღრუბელი
გადაიყრება და იხილავ ცას, მაღლით საესეს,
მხოლოდ ერიდე ჭირთ აღმოთქმას, ვისაც ენა აქვს
მრავალმეტყველი, მას ახსოვდეს, რომ პირში უზის
ჯერ სხვისი, მერე თვისის თავის მომტყულებელი.

ზ ე ნ ა თ ა — მე კი ვგრძნობ სუსტობს ნეტყველება დიდ განსაც-
დელში. ჩემი ურვა ვერ გამოითქმის.

გოდერძი —

მეფის ხუმარავ,

ვისთან მოსულხარ?

ხუმარა —

მეუფესთან, და — მომეწონა,

მეტყველებაზე რაც მან ბრძანა, მეც დავეუმატებ:

ყოველი ბრძენი ჩვენში საქმეს იქიდან იწყებს,

რომ ჯერ საკუთარ ენისათვის ლაგამსა სქედავს.

გოდერძი — თქვენ კი ხუმარებს ლაგამი სულ არ გაგაჩნიათ.

ხუმარა — ამისთვისაც გვკირს ეს ბედი — სხვებს სიცილით ვბე-
რავეთ, თითონ კი ცრემლით ვიგულებით.

გოდერძი — ამ კირში მეფეს რად არ ართობ?

ხუმარა —

ის ერის ზარალს ეცნობა, მე კი

დიდმა სადუნმა გამოგზავნა აქ მღვდელმთავართან.

ზენათა — ვინ, ცოდვის ზვავმა?!

ხუმარა — დარიგება სურს შენგან სადუნს,

არა ვარ ღირსი მე თქვენს შორის ემოციულობდე

მაგრამ, რადგანაც ეს პატივი მზრდის ჩემივ თვალში,

ალარ დავეზრები, სანამ თქვენ არ შეგყრით ორივეს,

ვით მზე და მთვარეს

ზენათა —

და არ იცით, რომ ის მურტალი

ვერ შეიღირსებს დარიგებას!

ხუმარა —

ეს კარგად ვიცი,

იგი ეშმაკის მოვლენილი არის ამ ქვეყნად.

ზენათა — თუ ასე იცნობ, რად მოდიხარ მისგან? ო, როგორ

აპატარაეებს პატარა კაცს პატივის ძებნა!

ხუმარა — ეჰ, ასულო, მოვალეობა კაცს მრავალ სიბილწეში

აკვრევიანებს ცხვირს. მე განა სადუნს კათალიკოსთან მოვე-

გზავნებოდი, მაგრამ მეფის ნებას დავემორჩილე.

ზენათა — იმ მეფეს დიმიტრი არ ერქმევა.

ხუმარა —

არც ერთი მონა არ არის ეგზომ მოკლე-

ბული საკუთარ ნებას, როგორც მეფე. განა დიმიტრი დღეს

სადუნს დარბაზში მიიღებდა, მაგრამ ქვეყნის საჭიროება ავა-

ლებს.

ზენათა — უკუღმართად ფიქრობ.

ხუმარა — მეტს მოგახსენებ, სადუნმა და მისმან ძემ ხუტლუმ ამ

ბოლოს დიდის აბულეთის ოჯახი ამოსწყვიტეს. ამ სახლის

უკანასკნელი სანთელი ზენათა აქ თურმე ბუდიდან ამოგდე-

ბულ ხობობივით დაწიაქობს მთელ ერს იმ ასულზე უდულს

გული, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ დიდნიც და პატარანიც

იმ ასულს გასწირავენ და სადუნის ბადეში მოაყოლებენ.

- ზენათა — მათ სინდისი არ მიუსწრებს დანაშაულზე?
- ხუმარა — ეჰ, ახლანდელი ადამიანი სინდისს წინ უსწრებს. სინდისი ძილში თუ წამოეწევა ვისმე და სიზმრად მოეჩვენება, თორემ საქმეზე ვერავის ვერ უსწრებს... ჩემს თავზედაც გეტყვი: ხუმარას მეძახიან და მთელი ქვეყნის უზნეობას დავცინი, მაგრამ მეც ისე გავწირავ ზენათას, როგორც ეს მღვდელმთავარი და სხვა, ყველა პატიოსანი პირნიც,
- ზენათა — გასწირეთ; — ის იბრძოლებს.
- ხუმარა — რა უნდა იყოს მისი ბრძოლა!
- ზენათა — მას ბრტყალებიც აღმოაჩნდება. უწმინდესო, შენ შეეყრები სადუნს? მიპასუხე ამ კაცის შესარცხვენად. მას ხომ მხოლოდ შეჩვენებას ეტყვიოთ?!
- აბრაჰამ — ის არის მძლავრი მფლობელი და, მე, ვით ერის მწყემსს, ვალად მივეს მის წინაშე მოთმინება.
- ზენათა — უძღურის წინაშე მეტი ვალი არ გქვებს, მეუფევე?!
- გოდერძი — ხუმარავ, მართლაც გკირდება შენ ლაგამი პირში, ასულს, ისედაც დამწვარ გულზე, მღუღარეს ასხამ.
- ხუმარა — მისი ბრალთა — ვისაც გული დამწვარი აქვს, იანუ ეკარება სიმართლის მოქმელს, რადგანაც ტკბილი მალამო მხოლოდ მატყუარას აქვს მზად ენაზე, და მკურნალი კი, ქეშმარიტი, ავადმყოფისთვის მწარე ნივთთაგან ამზადებს მის წამალს.
- სპასალარი — რა კეთილ წამალს უმზადებ ვისაც იმედს უწურავ, ეს თვით ზენათა არის.
- ხუმარა — ოჰ, რა ბრძანეთ!
- ზენათა — ვერ მიცან? მცირე ეამის წინ ენაწყლიანობდი სამოთხის მსგავსსა ჩვენს დარბაზში.
- ხუმარა — შენ თუმცა ახლაც სამოთხეს გეცხარ, მაგრამ, დღე მანგი მწუხარებით დაღამებულხარ... არ მეგონა, თუ სამოთხესაც აქვს დღე და ღამე.
- აბრაჰამ — რადგან სადუნს დარიგებას ჩემგან მოითხოვს, გრწამდეს, ასულო, მას გაეკიცხავ, არ დაუფარავ ჩემს გულისწყრომას იმ ცოდვათა დაღუღებისთვის, რაც აბუღეთზე მიაღვლინა. მხოლოდ გახსოვდეს, ღმერთი ამცირებს ამპარტავეანს. ღვთისგან ყოველი ხვედრი მიიღე თვინიერად. მეფეს თუ ნახავ, თავმდაბლობითა თაყვანი ეც და ღვთის დადებულ

ზღუდეს შენ მასთან ახლო მიხვლით ნუ გადალახავ.
ნუ ააღელვებ, ნურას ეტყვი განსაძვინებელს.
იყავ უბიწო, ვით ტარიგი.

ზენათა —

მე ვარ მორჩილი

ჩემი წმინდათა მოწოდების და გულით მინდა
იმ საყვარელთა სიკვდილისთვის ვიძიო შური
ბოროტ სადუნზე და ხუტლუზე. ამისთვის მზად ვარ,
თუნდაც ემშაკად ვიქცე, შევყვე ჯოჯოხეთში მათ
წაწყმენდილ სულებს და ამ ხელით ცეცხლი შევეუნთო.

აბრაჰამ — თვინიერება შენს სულს კიდევ არ ეკარება.

ზენათა — მე გკითხე, რად არ ესმის ციურს ჩემი გოდება,
შენ კი მიწიერ მეფესთანაც მიკვეთავ ჩივილს.

ხუმარა — (ჩუმად ზენათას) განგებ არ გიცან, მოხერხებით,
რომ გამეფრთხილე,
სადუნს გადაჰყავს მის მხარეზე მთავრები, ცდილობს
მათი შესყიდვით მეფე შენგან გაანაპიროს.

(ხმამალა)

ციურ მეუფის წინაშე კაცს რაც ვვალემა,
ეს უკეთ იცის მღვდელმთავარმა და მას ერწმუნე,
ხოლო მე ვიცი მიწიერი მეფის ბუნება.
ამისთვის ახლა მივალ მასთან და მოვახსენებ
შენს ყოველ ამბავს.

გოდერძი — მეფე რადგანაც გამობრძანდა,
მეც ვეახლები.

აბრაჰამ — გადაეცი ჩემგან კურთხევა.
მე მრევლს მივხედავ, ასულო, შენ გწყალობდეს ღმერთი!

(კათალიკოსს ეგებებიან ბერები და მიდის. მეორე მხარეზე მიდიან სპასალარი და ხუმარა).

ზენათა — უფალო, რადგან მომისაჯე ვნება, წამება
ჩემი ხორციელ არსებისთვის აუტანელი,
დამტოვე სრულსა სიბნელეში და დამემალე:
დამემალე შენ არა ღრუბლით და არა ზეცის
დაუსაბამო მანძილითა, არამედ ყოველ
უკუნეთების სიშორეებს ამოეფარე
ამ ქვეყანაზე გაჩენილი უსამართლობით...
რადგან ამხადე მე თავიდან ძლიერი მადლი,
აწ ჩემგან, როგორც ჭურჭლისაგან პირმოხსნილისგან

გადმოიღვრება კიდევ ქვეყნად უსუსურება...
 რადგან ბოროტი ჩემი მტრები, ყოვლადვე ბილწნი
 გადააქციე ძლიერ შოლტად ჩემს დასასჯელად,
 უსამართლობას მიეც ძლევა ჩემს სიმართლეზე
 სულის სიმწრითა ეუკებენ მე შოლტს შენგან მოქნეულს.
 გადავიქცევი შურისგებად და, რადგან, ვით ქალს
 არ მაქვს ძალა და ქური, გარდა ფრჩხილის და კბილის
 ვიბრძოლებ ჩემი დედაკაცურ უძლურებითა...
 ფრჩხილს მოვიკაზმავ, კბილებიდან შუქს ამოვაფენ
 გამოვებვლდები ჰაეროვან მშვენიერებათ
 და მგრძნობელობით მივედგები მეფე დიმიტრის,
 უყვარვარ მას და აღვაფეთებ ტრფიალებითა.
 მის მარჯვენაშია მძლავრი ხმალი და მას მოვიმხრობ
 აღსამართავედ მტრებზე, ხოლო რადგან ბოლომდე
 მეფის მარჯვენის სრულად დასასაკუთრებელად
 და მოსათრგუნად არა მაქვს სხვა არარა ძალა
 ვიხმარ ძალად ჩემს დედაკაცურ არარობას...
 გამოვიყენებ მე ამისთვის პირმოთნეობას,
 და ჩემს ხორციელ სილამაზეს სიცრუის გვირგვინს...
 რაც ბოროტებით და ყოველგვარ ბიწიერებით
 ამ ქვეყნად სიტკბო იშოვება, მე მოვიპოვებ...
 ძლიერ ხმლის შიშით ამოვიგებ კაცთაგან ლიქნას,
 ქებას, დიდებას ხმის კანკალით ჩემზე წარმოთქმულს.
 და, რასაც მომგვრის მე სიცრუე ცოდვითა სიტკბოს
 ვიცხებ მალამოდ დამწვარ გულზე.

- I გ ლ ა ხ ა — ეჰ, რით დაჭრილა ეს კაკაბი გულშემზარავად რომ
 ქახქახებს.
- II გ ლ ა ხ ა — შენ, ჰეი, რა წყალმანკი ვჭირს შენს ჰირთან, რომ
 ხმამალლა ლაპარაკობ?
- III გ ლ ა ხ ა — კარგ ფერ-ხორცზედ ხარ და დიდებულად გაცვია,
 რა ეშმაკი გაწიაქებს!
- IV გ ლ ა ხ ა — ამპარტავნობა კაცს აჯახირებს.
- III გ ლ ა ხ ა — ვაი - თუ ცოდვა გაყივლებს!
- ზ ე ნ ა თ ა — თქვენ კი რა გახარებთ?
- II გ ლ ა ხ ა — ჩვენი სიმართლე.
- ზ ე ნ ა თ ა — ცრუობთ!
- II გ ლ ა ხ ა — კეთილნი ვართ და შით ვცოცხლობთ.
- I გ ლ ა ხ ა — ჩვენ ღმერთით ვხარობთ და კეთილნიც მისგან
 ვართ.

ზენათა — თქვენ ცრუობთ თქვენი ღმერთით. თქვენ სიკვდილის შიშით აგრძელებთ თქვენს გაჯახირობას!

I გლახა — ვილოცოთ ამ ქალისთვის, რომ არ წაწყდეს.

II გლახა — ვილოცოთ ამ ქალისთვის, რომ არ წაწყდეს.

III გლახა — სახით მაინც ანგელოსს არა ჰგავდეს!

II გლახა — ლამაზია?

I გლახა — ნეტავ შენ ბრმა არ იყო და დაგანახვა.

III გლახა — ეჰ, ეშმაკისაა სილამაზე.

I გლახა — ვილოცოთ.

IV გლახა — ლამაზიცაა და დედუფლად ჩაცმული.

III გლახა — ეჰ, ალბათ, ეშმაკი შეუჩნდა.

I გლახა — ვილოცოთ, რომ არ წაწყდეს!

II გლახა — ვილოცოთ!

(შემოდის ხუმარა).

ხუმარა — ასულო, მეფე მიწის ძვრისაგან დაზიანებულებს შევლიდა თავის დოსტაქრებით. ისეთ ქირში იყო, ძლივს გავუბედეთ ვნის დაძვრა, მაგრამ რა გაიგო, რომ მრთელად ხარ, მეტად ეამა.

ზენათა — მე მრთელად ვარ?!

ხუმარა — ჩვენ სწორედ იმ დროს მივედით, როდესაც ტაძრის ნანგრევიდან გამოტანილი ვაჟი მოასულიერა. იმ ვაჟისგან გაეგო, თითქოს შენ ნგრევაში იყავ მოყოლილი და მწარედ ექვობდა, მაგრამ მოვახსენეთ, რომ ჯანმრთელად ხარ.

ზენათა — იმ ნანგრევიდან გაიტანეს მკვდარი ჩემი პატარა ძმა და არ ვიცი სად წაიღეს. ო, ის მკვდარიც კი უძვირფასესია, სად არის? მის სიცოცხლეზე გულის დაწყვეტამ ცხედარი დამავეიწყა, ნეშტი მაინც არ დამეკარგოს.

I გლახა — ეჰ, საწყალს პატარა გასრესია კედლებში.

II გლახა — თურმე ტყუილად არ სტიროდა.

III გლახა — ანგელოსი უყვარს უფალს და მიიღო, ვილოცოთ მისთვის.

IV გლახა — ჩვენ ვილოცებთ მისთვის, შე საცოდავო, მოვინანიებთ, რომ ამპარტავნობა დაგწამეთ, კეთილო დედოფალო!

I გლახა — მის სულს შეგავედრებთ უფალს.

ზენათა — თქვენი ლოცვა სისულელეა.

I გლახა — რათა?

ზენათა — განა თქვენ ილოცებთ ისე მხურვალეთ, როგორც ჩვენ იქ ვსასოებდით! გამეცალეთ, დადუმდით!

I გ ლ ა ხ ა — ჩეენი ლოცვა სჭრის.

ზ ე ნ ა თ ა — გამეცალეთ, გულს ნუ მიმღვრევთ, ყოვლად ჭირიანებო! იმდენ მკვდრებში სადმე ეგებ დამარხეს! მე გადაეთხრი მაშინ ყველა საფლავს, ჩემი მონები დამეხმარებიან!

ხ უ მ ა რ ა — მოითმინე, ზენათა! შენი ძმა იქ ტაძარში შენს გვერდით იყო?

ზ ე ნ ა თ ა — ჰო, ერთად!

ხ უ მ ა რ ა — მაშ, ის პატარა ვაჟი, რომელიც მეფემ მოასულიერა, ეგებ შენი ძმა არის?.. ნამდვილად ის არის!

ზ ე ნ ა თ ა — რა სთქვი? რას ნიშნავს შენი სიტყვა? მეუბნები — მეფემ ის გააცოცხლა?

ხ უ მ ა რ ა — არა, ის მკვდარი არ ყოფილა, მხოლოდ გულწასული იყო. დოსტაქრები ერთ ადგილზე ადებდნენ ხელს და ამბობდნენ, რომ იქ რალაც მოხვედრია და დაბრუშებულა.

ზ ე ნ ა თ ა — ის ბავშვი?

ხ უ მ ა რ ა — აი, მეფე მობრძანდება, სპასალარი ახლავს. ო, სპასალარმა ისე კეთილად ილაპარაკა შენზე, ისე სათნოებით, რომ გული ამიღულდა, სჩანს მიუთითა საღაც ხარ და მეფე შენსკენ მობრძანდება.

ზ ე ნ ა თ ა — მე ისევე გკითხავ... რა მითხარი, რომელი ბავშვი მობრუნდა?

ხ უ მ ა რ ა — აი, მოჰყავთ პატარა ვაჟი, ის კახაბერი არ არის?

ზ ე ნ ა თ ა — სად?

ხ უ მ ა რ ა — სპასალარსა ჰყავს გულზე არქმული, მეფეც ხელს ჰკიდებს.

ზ ე ნ ა თ ა — კახაბერის სამოსელია.

ხ უ მ ა რ ა — მაშ, ის ყოფილა!

ზ ე ნ ა თ ა — ცოცხალია?!

ხ უ მ ა რ ა — ხომ ხედავ, სახე მოაბრუნა აქეთ, შენ შემოგვცინის, ხომ ის არის?

(მონები შეტორტმანდებიან მისაგებებლათ. შემოდინ მეფე, სპასალარი მეფის მოახლე, შემოჰყავთ პატარა ვაჟი კახაბერი).

დიმიტრი — პატარავ, აი, ხედავ შენს დას, რად ეჭვობდი, რომ ის დაგელუპა! ახლო მიდი და ეამბორე, რად ერიდები, სიხარულით გაშეშდა იგი.

ზ ე ნ ა თ ა — არ ღირს-ვარ, მეფევე!

დიმიტრი — ზენათა, შენ თითქოს არ გჯერა, რომ ძმა მოგგვარე!

ზ ე ნ ა თ ა — დიახ, მეფევე, ვხედავ საკვირველს.

მე ფ ე — მე ვნახულობდი მიწისძვრისგან დაშავებულებს.
იქ თვალს მაპყრობდნენ სულთმობრძავენი სასოებითა,
ვით მალალ უფალს, დიდ ფასს დებდნენ ჩემს თანაგრძნობას,
მე კი ვერაფრით ვერ ვშველიდი უბედურებს და
ჩემს მალალ მეფურ ხარისხს ვგრძნობდი ფუყე დიდებად.
ამ მწარე გრძნობის აშორება უნდოდათ, ალბათ,
ჩემგან მოყმეებს და მოხოდნენ, რომ დაშავებულნი
საკუთარ თვალთ არ მენახნა. მოყმენი ამით
ზრუნავდნენ ჩემი სიმშვიდისთვის, მაგრამ მე კაცთა
სიკეთეს ვხედავ არა ძლიერთ მოფერებაში,
ვისაც ნამდვილად უნდა მეფის პატივისცემა, —
უძლურთა ტანჯვა და საღმობა გაიზიაროს.
იქ, იმ უბედურთ შორის ვნახე ეს ვაჟი, ვიცან,
მკვდრისფერი ედო, ექიმები თავს დავახვიე,
გულშემოყრილი აღმოჩნდა და გამოვაბრუნეთ.
ასე, საცდელის არდაკლებამ ზოგი კეთილი
ნაყოფი მოგვცა.

ზ ე ნ ა თ ა — ახლა ვხედავ, რომ ყველაფერზე
დიდი განძია სულგრძელობა.

დ ი მ ი ტ რ ი — შენს მწარე ბედში
ზენათა განძად სულგრძელობის აღიარება
კეთილად გამხელს. წმინდა იყო შენი სიცილი,
ცრემლიც წმინდა გაქვს.

ზ ე ნ ა თ ა — გულს მიმძიმებს უღირსი ქება.

დ ი მ ი ტ რ ი — ქების მოსმენა უმძიმს მხოლოდ ქების ღირსს.

ზ ე ნ ა თ ა — არა...

ჩემს ნამდვილ სახეს უცქერ სიმწრით.

ხ უ მ ა რ ა — ოჰ, როგორ არა,

ქებას უღირსნი ეძიებენ

გ ო დ ე რ ძ ი —

მე კი მეგონა,
ასულო, რა წამს შენს პატარა ძმას იხილავდი,
აღტყინდებოდი შვებით... რა გწყლავს? ეგებ გგონიათ,
რომ ეს ვაჟი არ არის მრთელი?

ზ ე ნ ა თ ა — არა, ბატონო!

სულმოკლეობას ვნაღვლობ ჩემსას.

კ ა ხ ა ბ ე რ ი —

ზენათა იცი?

აქ კრილობა მაქვს შეხვეული.

ზ ე ნ ა თ ა —

გტკივა?

კ ა ხ ა ბ ე რ ი —

სულ არა.

იმ ტაძარში ისე ვიდექ, როგორც მითხარით.

მერე თუ რამე დავიშავეთ, არ მახსოვს, დაო...

ზენათა — მეც არ გემღუროი... მაგრამ ოდეს მკვდარი მეგონე,
კახაბერ, ძვირად დაგათასე და ახლა ვხედავ...
მე და შენ, იცი, რა ვართ, ორი პატარა ბტვერი...
ჩვენ ერთმანეთის სიყვარულით ქვეყანა ვიწროდ
შემოვისხტეთ და გარეთ დაგვრჩა ქეშმარიტება...
და მოვემწყდეთ ჩვენს პატარა ვიწრო ნაქუქში.
ვწვალობთ, კახაბერ, მე მრცხვენია უსუსურობის.
შენ ჯერ არ გესჰის ჩემი სიტყვა, ჯერ პატარა ხარ,
მაგრამ, ვაი თუ ვერასოდეს ვერ გაიგო, რომ
ჩვენი სიცოცხლე არარაა, გარდა იმისა,
რასაც მოვუტანთ მსხვერპლად მალალ ქეშმარიტებას...
ოჰ, თუ სულმოკლე დარჩი ჩემებრ!..

კახაბერი — რა გამწუხარებთ?

თუ გეშინიათ, ბოროტ კაცად არ გავიზარდო?

არა, ზენათა, აკი ზოგჯერ მტუქსავდით, რომ ვარ
კარბად კეთილი და მართალი... მე კი პასუხად
მოგაგონებდით, რასაც თითონ მიკითხავდით ძველ
ბერძნულ წიგნებში.

ზენათა — იმახსოვრებ შენ კარგად სიტყვებს,
ზოგი ფრინველიც იმახსოვრებს სიტყვებს, კახაბერ!

კახაბერი — მე ვიმახსოვრებ მტრის თარეშსაც ჩვენს ქვეყანაში
და მეჩქარება გავიზარდო!

ზენათა — რად გეჩქარება?

უსუსურია უთმინარი.

კახაბერი — კეთილ ნაყოფსაც
ახლავს სიმწარე მკვახობაში და თავის სიტკბოს
მოსაპოებლად იზრდება და, თუმც უსულოა,
ისიც პირს იქცევს მზისკენ აღრე დასამწიფებლად...
რად გიკვირთ, მე თუ ღმერთს ვთხოვ აღრე ძალას.

დიმიტრი — მადლიან

დღეზე გაჩენილს გავს ეს ვაჟი.

ზენათა — ო, თუ თქვენ მოგწონთ

მეფევე, მაშ ჩემი სიყვარული ბრმა არ ყოფილა.

დიმიტრი — ძევე, მე მიაბბეს, ეს ხმალი რა მოწიწებითაც
წამოგილიათ, გეჩქარება მისი ტარება?!

კახაბერი — დიალ, მე ვნატრობ მის შესაფერ ღირსებას, მეფევე.
მეფე — უღირსის ხელში ის ხმალი მეც დამენანება.

დიდმა თამარმა მიუბოძა ის შენსა პაპას,
ოდეს გიორგი, პაპაჩემი, ძე თამარისა,
ლაშქარს პირველად გაჰყვა ომში დასაგეშებლად.
მაშინ ის ჯარი მოულოდნელ მარცხისგან იხსნა
შენმა პაპამა საარაკო გმირული საქმით
და მე დღეს ამ ხმალს დაგილოცავ შენ მის შვილიშვილს,
ხუტლუ ბულასგან აოხრებულს, ობლად დაშთენილს.
უმწეოს. ვიცი რა მზაკერულად დაგესხათ ხუტლუ, —
ვით უპატრონო ქვეყანაში იმძლავრა მხეცად,
თითქოს არც მეფე იყოს აქ და არც ცაში ღმერთი.
ალბათ, შენც მისთვის გეჩქარება გაზრდა, — ამ ხმალით
მშობელთა სისხლი ამოიგო.

კახაბერი — ამ ხმალთ, მეფევე
ვერ მიუფეგებ ჩემს ოჯახის მტრებს.

მეფე — მაშ, რისთვის გინდა?

კახაბერი — წმიდა თამარმა ჩემს წინაპარს ის ჩააბარა
თავისი სახლის დასაცავად და ის მხოლოდ თქვენ
გემსახურებათ.

დიმიტრი — შენს გაზრდას მე თუ ვერ მოვესწარ?

კახაბერი — თამარის სახლად საქართველო მაინც დარჩება.

დიმიტრი — ვით სუფთა ბავშვი გულუბრყვილოთ ლაპარაკობ, თუ...
შენ რა იმედით იქადები, თუნდაც ოდესმე

ასეთი დიდი ვალით ხმალის ხელში აღებას?

ჯერ ხარ ჰასაკით უსუსური და შენს კუნთებში
როგორ ჰპოულობ ამის ნიშანს?

კახაბერი — მე მაქვს სიმართლის
იმედი მეფევე, იგი მომცემს ძალას.

დიმიტრი — სიმართლე
იცი რა არის?

კახაბერი — ის, მრწამს, მეფევე, მკვდრებსაც აღადგენს.

დიმიტრი — შენ, ყრმაო, უნდა გაიზარდო, თუ მაღლი სუფევს
ზოგჯერ ქვეყანა გვეჩვენება არარაობად,
ხოლო, როდესაც რჩეულ ძეზე ჩვენ ვცნობთ და ვხედავთ
ნიშანს მაღლისას, მაშინ გვეჯერა, რომ არის ღმერთი
და არის კაცი.

ზენათა — არ ღირს-ვარ ამ ბედნიერებას.

ა, ეს გლახაკნი, აქ რომ ჩუმად გარინდებულან,
მე შევაშფოთე წელან ძრწოლით... განა ამ საპყრებს
ჩემზე მეტი არ დაუქარგავთ? მაგრამ მათ ყოფნით

სიბრძნე და ძალაც, კეთილად ცნონ შემოქმედება.
 დიდად ხედავენ ქვეყანას და თავის თავს კნინად.
 მე კი ყოველი მადლი დავგმე განსაცდელის ჟამს.
 მხოლოდ ახლა ვგრძნობ, როცა ბედმა ძმა დამიბრუნა.
 რა უბადრუკი იქნებოდა ღვთის ქმნილება, რომ
 სამყაროს ღერძი იყოს მხოლოდ ჩემი ცხოვრება...
 ჰოი, გლახაკნო, თქვენ მართალი იყავით, ოდეს
 ამპარტავანი მიწოდეთ მე, ეს მანკი მახლავს
 და ვინანიებ ცოდვას და ვერ გავიწმინდები,
 რადგანაც სულით გავჩენილვარ ამპარტავანად...
 მაგრამ მერწმუნეთ, ღვთის გლახაკნო, ვით ბნელ ხვრელიდან.
 ქვეწარმავალნი მოილტვიან მზის სხივებისკენ,
 ისე ვისწრაფით ჩვენც ზვიადნი კეთილისკენ და
 მეც მაცხოველებს სიკეთე, ვით მზე ქვეწარმავალს...
 და ვით ერთ ვინმე ცოდვილისთვის ილოცეთ ჩემთვის...
 ილოცეთ, რათა ამის შემდეგ ასე საზარლად
 სულმოკლეობა ნუ შემიპყრობს უბედობაში...
 ამას მისთვის გთხოვთ ღვთის გლახებო, რომ ცეცხლზე მწვავეთ
 დამწვა სირცხვილმა თქვენს წინაშე... თქვენ მე თვალს მიხელთ.

I გლახა — არა, კეკლუცო დედუფალო. შენ მაღალი ხარ.
 განგებ იმდაბლებ თავს.

III გლახა — შენ ორი თვალით გვიყურებ.
 მაგრამ ბრწყინვალე ურიცხვი თვალმარგალიტებით.

ზენათა — გრძნობა რომ ჰქონდეს ქვებს, ზვიადთან დაბნელდებოდნენ, თქვენთან კი თვალეებს გაახელდნენ უბრალო ქვებიც.

III გლახა — (მეოთხეს) თითო მათგანი, თითო გლახას გაამდიდრებდა.

ზენათა — რაზედაც წუთის წინ ესტიროდი, უფლის გლახებო.
 ვნეტარებ ახლა და მაინც გთხოვთ, ილოცოთ ჩემთვის.

I გლახა — ვილოცებთ შენთვის, დედოფალო.

II გლახა — ვილოცებთ გულით!

ზენათა — წელან ვდრტვინავდი ძმის სიკვდილზე, ახლა კი იგი მრთელი მომგვარა მე ყველაზე ჩემთვის საყვარელ ბატონის ხელმა. ო, ასეთი ბედნიერება

ჯერ ქვეყანაზე არცერთსა ქალს არ ღირსებია...

ბედნიერება კი ფრთხილია და სულმოკლეა.

ის არის მეტისმეტად თავის მოსიყვარულე.

ალბათ, მე მისთვის გთხოვთ თავხედათ, რომ ტანჯულებმაც ჩემთვის ილოცოთ, თუმცა ესეც არის ალთქმაში,

რომ თქვენი ტანჯვა ძვირფასია ჩემს სიხარულზე,
რადგან მიწიერ სიხარულს ყლობს სიცრუე, ხოლო
ქვემარტივება ცრემლებით ზრდის უქკნოლ "წალკოტს."
და მეც, გლახაკნო, თქვენს ედემში მინდა მოსვლა,
მაგრამ მაშეშებს გზის სიძნელე.

გლახა — სიკეთით მოხვალ.

ზენათა — სიკეთე სუფევს ქვეყანაზე საქმით, მე კი დღეს
მხოლოდ ზეიმით ავგზნებულვარ, მაგრამ სიკეთედ
თუ მოწყალება ჩაითვლება მსურს. წრფელი გულით
გავილო თქვენთვის საჩუქარი, აი. გლახებო.
აქათქათებულ სამკაულებს და ბეჭდებს ვიძრობ,
ყელიდან ვიხსნი მარგალიტებს, გიბნევთ, აკრიბეთ...
ეს ფასუთქმელი მოსასხაში მოოქვილია
იაგუნდებით და ლალებით, დედისგან დამრჩა...
უყვარდა თქვენთვის მოწყალების გაღება და მე
ამაზე დიდსა ნათელს მის სულს ვერ დავაყენებ!
აგრე, დაჰგლიჯეთ, გაიყავით, ნუ გერიდებათ...
ეს თქვენს ნალველში ერთი წვეთი სიხარულია,
ჩემთვის კი იქცა ნეტარების ზღვად ეს გაცემა.
ხელიდან ხელში ნულარ ართმევთ ერთიმეორეს,
ნუ გაშმაგდებით, კიდევ მოგცემთ, ჰა ეს მძივები,
დიდნი აღმასნი, საფირონი და ზურმუხტები
წაიღეთ, ამით მე ვმდიდრდები, თქვენ გალარიბებთ.
ეს ყველაფერი გავეც ცაში ამოსაგებად,
რადგან მიწიერ ჩემ სიცოცხლეს მხოლოდდამხოლოდ
ძმის აღზრდას ვწირავ, ვალი მიწვევს გეთხოვებით და
გზას გაეუდგები ყოვლისაგან ღარიბი, მაგრამ
მდიდარი ღმერთის იმედით.

გოდერძი — სად მიხვალ, ასულო?

ზენათა — მთიელ ძიძასთან კლდოვან ქვაბში.

გოდერძი — სად, უდაბურში?

ზენათა — იქ არწივს გავზრდი.

მეფე — კეთილთათვის მე აქ მაქვს ბინა.

მთებში კი სოროს ვაძებნინებ ბოროტებს.

ზენათა — მე აწ

დამიცხრა ცეცხლი შურისგების... და მინდა უფლის
ანაბრად ვქედო ძმისა ბედი.

დიოტრი — აგრე ჰშველიან

თავს უპატრონო ქვეყანაში.

ზენათა —

ვშიშობთ, მეფეო,
ჩვენი მიზეზით სამეფოში მძლავრი მტრებისგან.
შფოთი აგიტყდეს... მივალთ, რომ თქვენ მშვიდობა დაგრჩეთ.
ვინ იცის, ეგებ საკუთარი ჩვენი საცდელით
იქ კლდეში უფრო მძლავრი ფრთები შევისხათ, ვიდრე
აქ მფარველობით გაგვიჩნდება. თუ ჩემს ძმას ღვთისგან
ჩასახული აქვს ბუნებაში არწივის ძალი,
იმ ქვაბში ჩემი მზრუნველობით წამოეზრდება
ფრთები და ბრჭყალნი შესაფერი მისი ბუნების...
და თავის ქამიც დაუდგება.

დიმიტრი —

ქვაბში განდგომით
როგორ აღზრდი ვაქვს უკეთესად, ვიდრე კაცთ შორის.
არა, მე ვხედავ შენ აქედან შიში მიგდენის.
შენ გგონია, რომ მტრებისაგან მეფე ვერ გიხსნის.
ო, მართლაც, დღემდე ძალას ჩემსას მტერი ბოჭავდა
და მრავალ ცოდვას ვითმენდი ჩემს სახელმწიფოში.
რადგან სიკეთის აღივებას ძალა სჭირდება,
ბოროტება კი კაცთა შორის თავისით იყრის...
მაგრამ ავიშვი მე დღეს ხელი და გავემზადე
ხუტლუს საქმეთა განსაკითხად.

ზენათა —

ჰოი, მეფეო!
ვერ ვინეტარებ ჩემი მტრების განკითხვით, რადგან
ხუტლუსდაგვარი უმსგავსონი ისე გამრავლდნენ
ჩვენში, რომ ხუტლუს სიკვდილითაც ჩემი თვალები,
იმავე წუთში მისი ასლის დამნახველები,
ველარ იგრძნობენ ამ ქვეყნიდან მისსა გაქრობას.
მე გაურბივარ არა თვითონ ხუტლუს, საზიზღარს,
მაშინებს არა ავადმყოფი, არამედ სენი.
მსურს გავიხიზნო ქვაბში, რადგან სასტიკი ჭირი
ზნეობის მღრღნელი ემუქრება წაწყმედით მთელ ერს.
ვესავ, ოდესმე, იმ ქვაბიდან ხიდი ვიპოვო
შესაერთებლად სხვა კეთილად დარჩენილებთან,
რომ დიდის ღმერთის შემწეობით ერთად გავქედოთ
ქური, რადგან ხორცს დაწყულულებულს მალამო ჰკურნავს,
სულს კი — მახვილი.

დიმიტრი —

რა მადლი გმოსავს,
რომ შენ მთის ქვაბშიც განდევნილი ატარებ მდგრად
ქვეყნის წინაშე უმაღლეს ვალს. სჩანს დიდ აბულეთს
თავის სასახლე აუგია საკვირველ სიბრძნით,

რომ მის დაქცეულ დარბაზისგან გადარჩენილა
საუნჯე თითონ დიდ დარბაზზე უძვირფასესი.
ამქვეყნად ყველა მიწიერი ბურჯი იქცევა,
მაგრამ ვინც თავის საქმეს ფუძედ სიმართლეს უდებს,
ყოველგვარ ქვაზე მდგარია, არა თუ სახლი,
მთლად სამეფონი დროთა ბრუნვით აღგვილან, მაგრამ
თუ კი ოდესმე მათ ჰქონიათ წმიდათა წმიდა,
თავისი აღთქმის მემკვიდრენი არ გაჰკრობიათ.
მხოლოდ თათართა სახელმწიფო ინგრევა ისე,
რომ მის ნანგრევზე არასოდეს მუხლს არ მოიყრის
არც სიბრძნე, არცა სათნოება თანაგრძნობითა.
ყოველ ზღუდეთა და ნაგებთა დამაქცეველნი
თითონ აგებდნენ მხოლოდ კაცის თავთა ყორეებს.
არამქონენი მალალ აზრის და სიწმინდისა
წასაწყმენდელად დაეძებდნენ სხვის სალოცაეებს.
სიბრძნეს ესზმოდნენ ვერაგობით, კეთილს — მზაკვრობით,
პატიოსნებას და ღირსებას შიშითა ხრწნიდნენ,
მაგრამ ღვთის მადლით სძლია ბოლოს კეთილმა ბოროტს,
დღეს ლანდად იქცა სათათრეთი უწყალო ურდო.
გახეთქა იგი ჩანერწყვილმა უზომოდ ცოდვამ,
იწყო სიკვდილით გაზმორება.

ზენათა — ო, თუ სიზმარში
არ მესმის ეს ხმა სანატრელი, თუ ქეშმარიტად
ამოწყდა მტერი, მაშ ყაენად რად დააბრძანეს
არღუნი, მას რად ეძახიან მსოფლიოს მპყრობელს!
დიმიტოი — არღუნი არის დღეს უძლური ლანდი წარსულის.
ცხელ ეგვიპტედან ჩრდილოეთის ცივ ბნელეთამდე,
ყველა ძეფენი, სულთანნი და თითონ ნოინნი
შეეთანხმდით, ჩემი თაოსნობით, ბოროტ ჰამადას
შეძდეგ ყაენად გვეცნო არღუნ, ერთის პირობით, —
თათრის კირთიდან სამუდამოდ გავთავისუფლდეთ.
ამ საქმისათვის შევაერთეთ ჩვენი ლაშქარი.
თათრის ურდო კი დავასუსტეთ

გოდერძი — დიახ, ასულო,
უზომო მადლით ცა გაგვეხსნა.

ზენათა — მაშინ თითონ მზეც
კეთილის ქამის გვირგვინითა აღმობრწყინდება
და მე, ქვაბიდან, დილას ყოველს მივეგებები
გალობით როგორც ცის ფრინველი... თუმცა ნალველი

კვლავ შეერევა ჩვენს სიხარულს იმ უბედურთა
მოგონებით, ვინც ადრე გაჰქრა... სხვათა ცოდვისთვის
რად დაისაჯენ კეთილები?

ღ ი მ ი ტ რ ი — კეთილს ვცნობილობთ
გაღებულ მსხვერპლით. მხოლოდ მიკვირს, შენ რად აცხადებ,
რომ ნათელ დღეებს შეეყრები ქვაბიდან? ისე
ქვაბში რა ფიქრით იხვეწები!

ზ ე ნ ა თ ა — ამ აზრით, რომ თქვენ
ბევრი სხვა ვალი გაქვთ ჯერ ქვეყნის მოსაბრუნებლად
და ჩემზე ზრუნვას ვერ გატყირთებთ, თან აშკარად ვქვრეტ,
შექურვილია მტერი ისე ეშმაკის ხერხით,
რომ ამ დროებით გაცლა მიჯობს... ოღონდ ჩემი ძმა
განსაცდელისგან დავიხსნა და შევეურიგდი აზრს,
სიცოცხლე მსხვერპლად დაედვა ქვაბში... მეფევე კეთილო,
სისხლში მიყივის მშობელთა ხმა, გადავარჩინო
მათი დიდების სამოძირო.

ღ ი მ ი ტ რ ი — რა საშიშია
ბოროტის ხელი, როცა თავი მოკვეთილია.

(გამოჩნდებიან გლახაკები).

I გ ლ ა ხ ა — ო, გაგახაროს ღმერთმა, მეფევე, ღმერთმა გიშ-
ველოს!

II გ ლ ა ხ ა — იბედნიერე, მეფევე, ყველა კაცზე კეთილო.

III გ ლ ა ხ ა — შენი სულისთვის გახსნილია სამოთხის კარი!

ღ ი მ ი ტ რ ი — რად მლოცავთ ასე გულმოდგინედ

I გ ლ ა ხ ა — უხვი წყალობა

მოიღე დღეს ჩვენ გასაძღომად.

ღ ი მ ი ტ რ ი — მე რად მიმადლით.

ის გიბოძად ამ ბანოვანმა.

IV გ ლ ა ხ ა ახლა გავიგეთ

რომ ეს ბრძანდება დედოფალი.

III გ ლ ა ხ ა — მადლისთვის გლოცავთ.

გვიბოძა შენი სიკეთიდან.

გ ო დ ე რ ძ ი — ცდებით, გლახაკნო!

I გ ლ ა ხ ა — დედოფალია ეს ახალი!

IV გ ლ ა ხ ა — ახლა მოგვესმა.

I გ ლ ა ხ ა — ბევრსაც ყბედობენ ფოლორცებში.

IV გ ლ ა ხ ა — ზოგნი რეგვენნი
როშავენ, თითქოს ამ ცოდვებით შეიძრა მიწა.

I გ ლ ა ხ ა — ზოგნი გლახაკნიც, დღეს წყალობით გალადებულნი ახლა წყველიან უმადურად ამ ასულს მისთვის, თითქო ზედმეტის საჩუქარით მან სპეტაკი სულნი გლახაკთა მისცა ცდუნებასა შემოუწყოელს... გარყვნა გლახაკნი და სინდისის ხმაც მოისკიდა, რათა საჯდომზე დაჯდეს ქებით უწესოების... და სახავენ მას ეშმაკისგან მოვლინებულად, მრავალის მახით, მთელი ერის წასაწყემდათა.

ზ ე ნ ა თ ა — ო, მტრები თურმე თავის ისარს როგორ შხამავენ.

I გ ლ ა ხ ა — მხოლოდ ჩვენ გლოცავთ და გადიდებთ, მხურვალეთ გლოცავთ.

ღ ი მ ი ტ რ ი — არა, გლახებო, ეს არ არის ჩემი მეუღლე.

I გ ლ ა ხ ა — გვიკვირს, უფალო, რად დასჭირდათ ჩვენთან ცრუობა?

I V გ ლ ა ხ ა — ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ შეგფერის შენ ეს მეუღლედ. გულკეთილია. მოწყალეა!

I გ ლ ა ხ ა — შას გულით ვლოცავთ!

ღ ი მ ი ტ რ ი — დასალოცავიც არის. მე თქვენ გწყალობდით თითქო ჩემი ნარჩენით, ნასუფრალით, ჩემს გასართობად.

ამ ასულმა კი გლახაკთათვის გაიღო მთელი თავის საუნჯე და მიანდო ღმერთს თავისთავი. უფლის გლახებო, დღემდე თუ მე გასაჩუქრებდით, დღეს თქვენ პირაქეთ, ბევრად მეტი მიძღვენით ამით, რომ სათნოებით აგზნებული სული მანახეთ!

გადარეული მადლით, როგორც სამოთხის წყარო და თქვენ ილოცეთ, რომ მე მეფეს მაღალმა ღმერთმა არ დამიშრიტოს არც ძალა და არც ნებისყოფა ასეთ კეთილთა დასაცავად, ცილისწამებას ნუ მოისმენთ, ნურც იმეორებთ თქვენი პირითა.

I გ ლ ა ხ ა — ვილოცებთ ღმერთთან ამ ასულის გადასარჩენად.

II გ ლ ა ხ ა — შენს მტრებს დავსწყველით, ჩვენო, კაცადნაწილო მეფევ.

(შემოდის შ ი კ რ ი კ ი).

გ ო დ ე რ ძ ი — ეს რა ხმაურობაა?

შ ი კ რ ი კ ი — მიწისძვრით დაზარალებულნი თავს იყრიან, დრტვიანავენ, მათ ვერ აკაეებენ, მეფესთან შეყრას მოითხოვენ.

ღ ი მ ი ტ რ ი — ბალის წინ მოედანზე გაუშვას მოურავმა, იქ შევეყრებით. კათალიკოსიც მობრძანდეს.

შ ი კ რ ი კ ი — იმერეთიდან ჩამობრძანდა ნხცოვანი მეფე
დავით ნარინი.

ღ ი მ ი ტ რ ი — ჩემ დიდ ბიძას ქალაქის ბჭესთან
შევეგებები, მოამზადეთ თეთრი ტაიჭი.

(შ ი კ რ ი კ ე ბ ი მოდიან).

ღ ი მ ი ტ რ ი — შენ კი ზენათა, სპასალარი გაგიძღვება და
შენი ამალით ჩემს დარბაზში წაბრძანდით. მე იქ
სამართალს სწორს და შეუპოვარს გავმართავ ქვეყნის
მტრებზე. სასწორის რომელიმე მხარეს არ დავდებ
ჩენსა სიყვარულს, ან სიძულვილს გადასახრელად!
და განაჩენსაც შევასრულებ.

ზ ე ნ ა თ ა — შენსა ბრძანებას
ვემორჩილები, მაგრამ მუხლი მეტად მძიმდება,
რადგან სატანამ წინ მოავალი მახე დამიგო.

ღ ი მ ი ტ რ ი — უსუსურია მათი ქსელი.

ზ ე ნ ა თ ა — მე მაინც მინდა
კიდევ დავფიქრდეთ...

(ზენათა, კასახერი და მონები აპირებენ წასვლას).

ღ ი მ ი ტ რ ი — (მსახურს) მოასვენე ეს ჩემს დარბაზში.

(ყველანი მიდიან).

სურათი მმორა

თბილისი. მოედანი დიდებულთა კარვების წინ. სცენაზე ევაგრი. შემოდის
კარისკაცი.

კ ა რ ი ს კ ა ც ი — ჩემო ევაგრი, რად იფიწყებ შენ ვალს დღეს, როცა
მობრძანებულან სადარბაზოდ ყოველ კუთხიდან
მეფის წინაშე დიდებულნი, მათ რად არ ართობ?

ე ვ ა გ რ ი — მე მივმართავდი სიცილს ჯავრის გადასატანად
და, როცა ვინმეს დავცინოდი, დარბაისელო,
დაცინვის ჟამს, მის მაგიერ თვით ვიტანჯებოდი.
დღეს კი, რადგანაც მოთურგენილი დიდებულები
მოსულან მეფე დიმიტრისთან და სინანულით
იგონებენ მთელ თავის ცოდვებს, უადგილოა
ჩემი ხუმრობა.

კ ა რ ი ს კ ა ც ი — დამნაშავეს მისი ცოდვები
ზოგჯერ არ უნდა გავახსენოთ?..

ევაგრი — შეშინებული

დამნაშავე თვით აზვიადებს თავის ცოდვას.

კარისკაცი — არ ხარ გულლია. შენც იცი, რომ დღეს დიდ-
ბულნი მორჩილის სახის ქვეშ მალავენ მეტს აღჭურვებას.

ერთმეორესთან ქსელს აბამენ მეფის სამტროდ და,
რადგან დიმიტრიმ შეაძრწუნა გარეშე მტერნი,
ისინი იმედს ამყარებენ ქვეყნის შინაურ

დაკნინებაზე. შეჭხარაიან კუდიან ვარსკვლავს

დღეს გამოჩენილს ცაში ავის მომასწავებლად,
მიწის შეძვრისგან ქვეყნის ნგრევას და თითონ მეფის
ადამიანურ ზოგ სისუსტეს — ცოდვის აყოლას.

ნუ თუ შენ ამ დროს განაბულხარ კმაყოფილებით?

არა, მე ვფიქრობ, ევაგრი, შენ გულნატკენი ხარ
მასზედ, რომ ლხინის მოყვარულმა გვირგვინოსანმა

შენს მაგიერად მოიყვანა უცხო ხუმარა,
რომელიც წინათ ქედმაღალის დიდებულისა
სადუნის კარზედ ოხუნჯობდა.

ევაგრი — ეს კი მწყენია.

კარისკაცი — ვხედავ აღგეძრა სატკივარი.

ევაგრი — დიახ, დიმიტრი

მხიარულების და შექცევის მოყვარულია...

თუმცა მას ქირში ეს ღირსებად ჩაეთვლებოდა.

მახსოვს მისრეთის დიდ ბრძოლაში, როცა დიმიტრის

ცხენი მოუკლეს, არ იშლიდა ხუმრობას, კისკასს,

მაშინ ეს მისგან სულგრძელობად სჩანდა, ახლა კი

ზოგი სილალე, გამარჯვების შემდეგ ნაქნარი,

ვშიშობ ზეცამ არ ჩაუთვალოს სულმოკლეობად;

მე კი კერძოდ მწყენს, რომ გამართობად დაიახლოვა

კაცი, რომელსაც ცხრა სჯული და მრავალი ცოლი

გამოუცვლია, ბევრ დარბაზში უცხოეთს მჯდარა

ხუმარად... მაგრამ რწმენა ღეთის და ადამიანის

არც ერთ ენაზე არ უთქვამს და არცა უგრძენია,

ეჰ, მე მეგონა სულ ვიცნობდი დიმიტრის, მაგრამ

კაცი ყოფილა ყოველ ბედში ახლად საცნობი,

ზოგი ქირშია სულგრძელი და ლხინში ეცემა,

ზოგს კი პირიქით ემართება. ადამიანის

ნამდვილი სახე ცნობილია მხოლოდ ზეცისთვის.

თუმცა, რამდენად ქირში ვიყავ სარგო, ეგების,
იმდენად ურგი ვარ ლხინში და მისთვის გამცვალა.

კარისკაცი — აგერ ხუმარაც მოდის თითონ!

ევაგრი — ოი, ხედავ როგორ

კმაყოფილია, ცასაც უტკერს დამცინავ თვალით.
ასეთი კაცი ზრუნავს მხოლოდ თავის გვამისთვის,
არ სწამს კეთილი, თუმც სარგებლობს სხვისა სიკეთით,
პატივისცემა კაცისადმი კი ზნედ არა აქვს.

კარისკაცი — შენც ახლა ისე დახვდი, როგორც ეკადრებოდეს.

(შემოდის ჯაბა).

ჯაბა — ო, ევაგრი, ძლივს მოგაკვლიე. გეძებდი. კითხვით
კვალში მოგსდიე.

ევაგრი — შენ ხომ შენი გზა გაქვს ამ ქვეყნად,
ჩემ კვალზედ დღეს რამ დაგაყენა.

ჯაბა — საკუთარი გზა

კაცსა აქვს ერთხელ — საფლავისკენ, ხოლო მანამდე
ყველა სულიერს გვაქვს საერთო გზა, ამიტომაც
მუდამ ცხვირპირით ვეჯახებით ერთიმეორეს.

ევაგრი — მაშ, თუ ცხოვრება ქიდილია, ბუნებას ჩვენთვის
პატივი ისე არ უცია, ვით რქოსანთათვის
და სხვა მხეცთათვის.

ჯაბა — მხეცობისათვის კაცს არ სჭირდება

უგნურ ცხოველთა იარაღი. ადამიანი
მის მსგავსთა შორის ღვთის ფიციით და ყალბ დაპირებით
უფრო მძვინვარედ იმხეცებს და მეტსაც მოიხვეჭს,
ვიდრე ასპიტის კბილებით და ურჩხულის რქებით.

ევაგრი — მაშ, რადგან კაცი სათნოების სამოსლით ზოგჯერ
ბოროტს აკეთებს, შევიძულოთ თვით სათნოება
და თაყვანი ვცეთ შიშველ ეშმაკს.

ჯაბა — არც დავემალვი

ეშმაკს, ის სადმე ნამდვილად რომ შემეყრებოდეს, —
ადამიანზე მოსარიდი რაღა იქნება.

მაგრამ მე ბევრი უცხო სჯული გამოვიცვალე
და ვერსად ვნახე ვერც ეშმაკი, ვერც ანგელოსი.

ბოლოს ვიცანი ქვეყნად მხოლოდ სიამოვნება
და მებრალვის ვინც სატანჯველში თავს ძალად იგდებს,
ყოველი სიბრძნე სიცრუეა, დარბაისელნო,
ჩვენი ნამდვილი ნეტარების წყარო ხორციია
და მისი ძირი კუჭი არის. კარგი ხანია

არც ერთ ღვთის სახლში არ შევესულვარ მე სასოებით.
ერთადერთ ტაძრად მიმანია ჩემი სხეული.
მე თითონა ვარ მისი ღმერთი და მრწამს ვარსებობ.
ასეთ ტაძრებად მე ვთვლი ყველა ადამიანსა
და მათ თაყვანს ვცემ, რამდენად ეს მეც წამადგება.
მხოლოდ რაც ჩემში არის. ვიცი, მათშიც ის ყრია...
ქალების მიმართ კი მატყუებს ხშირად გრძნობა და
მეტ საუნჯებად მეჩვენება, ვიდრე არიან.

ევაგრი — გამახეულ ენას მართებს სიბრძნე და სათუთობა,
შენ კი ცილს სწამებ და დასცინი ყოველსა წმიდას.
არ დაგიმალავ მწყინს, რომ მეფემ დაგიასლოვა
მე ამით შური არ მაყივლებს, მხოლოდ ეს მტანჯავს
კეთილი სული ჯოჯოხეთში რისთვის დაეძებს
მალამოს თავის წყლულისათვის.

ჯაბა — სიზმარში ღვინოს
მე მირჩენია წყალი ეპოვო სინამდვილეში,
მეფე დიმიტრის მოვეწონე ასეთ სიბრძნისთვის.
შენ ბოროტად მთვლი, მე კი კეთილს შენთვისა ვაწყობ.
ახლა აქ შენთან დედოფლისგან მოველ, მას ჰნებავს
გაართო შენი ხელოვნებით.

კარისკაცი — მიკვირს ევაგრი
ნათელასგან ეს ყურადღება.

ევაგრი — შენც დაიჯერე?
ორპირ მახვილით ფარიკაობს. ეს მეც დამცინის
და დედოფალის სიღინჯესაც.

ჯაბა — არა, მე თან მაქვს
საბუთი მისი უადრესი თავმდაბლობისა —
წყალობის ნიშნად პირსახოცი გამოგიგზავნა
უცხოოდ ნაქარგი, ჰა, მიიღე.

ევაგრი — არ მესმის სწორედ!
ნათელა სიცილს მკაცრად ზომავს, დაკნინებად სთვლის,
ის ყველგან ისე დინჯად იქერს თავს ვით ტაძარში,
ხუმარას მუდამ რაცხს უმსგავსო, მდაბალ არსებად...
ეს, ალბათ, რალაც დაცინვაა.

ჯაბა — ო, დღეს დედოფალს
გუნება წყლულმა შეუცვალა სასტიკმა... მაგრამ
მის წყლულს ღრმა ძირი აქვს და გვმართებს ძირში ჩახეხდოთ.
ის ხომ შვილია დიდის ბეჭა ათაბაგისა,
ვისი სამთავროც გადაშლილა ტასის კარიდან

არწარუმაბდე მეზობელთა ზარის დამცემად.
აღწრდა მიიღო დიდ ბრძენთაგან, სიტურფე — ლეთისგან,
მის ხელს ითხოვდენ მეფენი და იმპერატორნი,
მაგრამ სილადით, ნებიერად ზრდილმა ნათელამ
ულელში მყოფი შეიყვარა ზეფე დიმიტრი...
დედოფალი კი, გვარად დიდი კომნიანოსი,
მეფის მეუღლე სჯულიერი არად იცნო და
დაჯდა მის ტახტზე ამპარტავნად ვით ცარიელზე.
შემდეგ, ნათელამ გამოიღო მაგარი ხელი
და თავის ღვაწლით ძველ დედოფლის ხსენება მალე
აღმოფხვრა ერის ხსოვნისაგან და ისე შემურა
მის ძველ დარბაზში, რომ ღვიძლებსაც გადააიფყა.
ღღეს კი ნათელა ძველ მნათობის დამბნელებელი
თვით შეეყარა ახალ მნათობს მასზე ელვარეს
დიდ აბულეთით გამოჩენილს ასულს ზენათას...
და, თუმცა, სტუმარს ეპყრობა ჯერ პატივისცემით
გულში ხანძარი უღვივდება.

ე ვ ა გ რ ი — მე ვფიქრობ სცოდავ,
ზენათა უყვარს ჩვენს დედოფალს.

ჯ ა ბ ა — ჯერ მის კაშკაშით
მოხიბლულია დედოფალი, მაგრამ გრძნობს როგორ
კარგავს მის გვერდით ბრწყინვალეობას დიმიტრის თვალში
და იპყრობს შიში არ გადიქცეს თითონაც ისე
გარიყულ ჭოტად, როგორც მისი წინამორბედი.

ე ვ ა გ რ ი — აჰ, არა, შიში ბეჭას ასულს გულს არ შეუვა,
მედიდურობა თვით ძვლებში აქვს. სიმკაცრით იცის
ვალის მოკითხვაც, აღსრულებაც.

ჯ ა ბ ა — აკი გითხარი,
ღღეს დედოფალი ის არარის, რაც შენ გინახავს,
წინათ თუ ჰგავდა იგი მშვიდ ტბას კლდოვან ზღულღეში,
ახლა მაღლიდან დაქანებულ მდინარედ იქცა,
რომელსაც დახვდა თავის გზაზე პიტალო ლოდი.
როგორც მდინარე კლდეს ასკდება და აღულდება,
ისე ეხვევა დედოფალი ახლა ზენათას,
გულისყურს მასზე ამახვილებს, ისა ჰყავს ფიქრში,
მთელი არსებით მას მფარველობს და ვერ მიმხვდარა
თვით რა აძრწოლებს — სიძულვილი, თუ სიყვარული;
მისი სიმშვიდე იქცა ღელვად, სიბრძნე — სიგიჟედ
და ახლა მისსა სიღინჯეს სურს იქცეს სიცილად,

ხუმრობა უნდა, ვით სიცხისგან გულწასულს წყალი.
ვეფქრობ, ამ გრძნობით მოგიწვია.

ევაგრი — თუ დედოფალს ეს
ჭირი აწუხებს, რაც მიაშბე, მართლაც ხუმრობა
უებარ წამლად წაადგება, რადგან ზენათა
ავის მომტანად არა მჯერა. ეშმაკი მახედ
მის სილამაზეს ვერ მოიხმარს, ვის ხორცშიაც დგას
კეთილი სული. სჩანს, დედოფალს ცრუ ეჭვი სტანჯავს —
მას წყლულად მხოლოდ თავის ცოდვა დამწიფებია.

კარისკაცი — ბატონი ხუტლუ, დაინახეთ!

ჯაბა — თითონ სადუნიც
თავის კარვიდან გამობრძანდა და გულს მიიკრა
ბერმონაზონი.

ევაგრი — ვინ არის ის შავადმოსილი?

ჯაბა — სადუნის ვაჟი. ეს ქვეყანა დაჰგმო ზეცისთვის,
მე მას სულისთვის სხვას ვურჩევდი და ვერას გავხდი.

ევაგრი — შენ გიწვევს, ჯაბავ. მოახლენი ჩამოიშორა.

ჯაბა — ვერიდებოდი შეხვედრას ჩემ ყოფილ პატრონთან,
მაგრამ გზა არ მაქვს — შევეყრები.

კარისკაცი — მაშ, გაგეცლებით.

(კარისკაცი და ევაგრი მიდიან. ჯაბა ეგებება ხუტლუს).

ჯაბა — დიდება დიდ ათაბაგის ძეს!

ხუტლუ — ტკბილად გვესალმები და ქურდულად კი გაგვეპარე
ჯაბავ!

ჯაბა — არ მეგონა, თუ გულდასაწყვეტი ვიყავ.

ხუტლუ — ჩვენ ერთგულებისათვის გაფასებდით, თორემ ხუმა-
რად არ გვიღირდი.

ჯაბა — ჩვენი უბედურებაც ეს არის, რომ სიცილს აღვი-
ლად ივიწყებენ. რაც ჩვენ ხუმარებს ხალხი გაგვიცინებია,
მის ნახვეარი რომ აგვეტირებია, ყველა მეფეზე დაუვიწყარი
ვიქნებოდით.

ხუტლუ — შენ მით გვამხიარულებდი, რომ თითონ იყავ სასაცი-
ლო, თავი მოგქონდა დიდ ეშმაკად, ნამდვილად კი ბავშვივით
ბრიყვი იყავ.

ჯაბა — შენი სიბრძნის წინაშე, ბატონო ხუტლუ, თვით ნამდვილი
ეშმაკიც ხომ ბრიყვია.

ხუტლუ — იმ თავხედობის შემდეგ, არც ეს პასუხი მიკვირს.

- ჯ ა ბ ა — ძალიანაც გეკრძალებოდი, სანამ მშობელ მამისადმი ისეთ ზრუნვას გამოიჩენდი, რომ ის გიმაღავდა თავის ავადმყოფობას.
- ხ უ ტ ლ უ — შენი ქარაგმა ასეთია, თითქო, მე მამის სიკვდილი მეჩქარებოდა და ის ამას გრძნობდა.
- ჯ ა ბ ა — რა მოგახსენოთ, დარბაზი ბოლოს დუმილმა მოიცვა, დიდ სადუნს კი გულის ტკივილი ისე სტანჯავდა, რომ არც შე ვეხალისებოდი და არც სანადირო ძაღლები... რა მექნა, მოწყენილ დარბაზში ისე ვერ ვძლებ, როგორც თევზი ხმელეთზე.
- ხ უ ტ ლ უ — აქ თურმე მეფე შენთან საუბარსაც კადრულობს. მოიწონა ჩვენგან შენი გაქცევა?
- ჯ ა ბ ა — ეს არ გავაგებინე.
- ხ უ ტ ლ უ — რათა?
- ჯ ა ბ ა — თქვენსავე სასარგებლოდ დაეფარე — შენ შეგიძლია, რაც დღეს ძღვენი მიართვი, ჩემი თავიც ზედ დაათვალო ძღვენად.
- ხ უ ტ ლ უ — მე კი ვშიშობდი, აქ ჩვენი განქიქება არ დაგეწყო.
- ჯ ა ბ ა — ამით ხომ ჩემ თავსაც გავიმართახებდი!
- ხ უ ტ ლ უ — მაშ, რადგან ისევე ჩვენი გოშია ხარ, ეს დავალება იკისრე: აქ ამბობენ თითქო მე შარშან ტყედ ვიყავ გაქრილი ზენათას მიჯნურობით. ეს ამბავი შენც დაამოწმე.
- ჯ ა ბ ა — ეგეც სიმართლესა ჰგავს.
- ხ უ ტ ლ უ — იღვაწე აქ ჩემთვის. რასაც ყურს მოკრავ შეფის დარბაზში, ყველაფერი გამაგებინე და მე წყალობას არ მოგაკლებ.
- ჯ ა ბ ა — მაპატიე ეს სიზარმაცე, მაგრამ... მე არ შემიძლია ორ ბატონს ერთად ვემსახურო. ეს მძიმე საქმეა. დამლღის.
- ხ უ ტ ლ უ — ეგებ მხრებზე თავის ტარებაც გეზარება.
- ჯ ა ბ ა — თუ ფიქრებით დამიმძიმდება, რასაკვირველია!
- ხ უ ტ ლ უ — მაშ, თუ ასეთ პატივს დაიმსახურებ, კიდევ დაგაშორებ თავს.
- ჯ ა ბ ა — შენ დიდთა ნადირთა მონადირე ხარ, მე კი მცირე ვარ.
- ხ უ ტ ლ უ — არა, საკმაოდ გაიზარდე ჩემს თვალში.
- ჯ ა ბ ა — ერთი იმედი მაინც დამრჩენია — შენ უფრო საშიში მისთვის ხარ, ვისაც ტყბილად ელაპარაკები და სიამეს პირლები.
- ხ უ ტ ლ უ — ათაბაგი მამა მობრძანდება.
- ჯ ა ბ ა — ჯოჯოხეთურ გუნებაზეა. მე მშვიდობას გთხოვ.

ხ უ ტ ლ უ — მაშ, წადი და კარგად დაფიქრდი.

(ჯაბა მიდის. შემოდის სადუნი და ლეონი ბერმონაზონი).

ს ა დ უ ნ ი — დიდი ხანია, ჩემო ძენო, სენს გიმაღავდით, მაგრამ აწ თითონ კირმა თავი აღარ დამალა და ჩემივ თავის აჩრდილდა გადამაქცია... მე, ვინც მთელ ქვეყნის მპყრობელ ყავს ნაძღვეს უღებლი, მის ასი ათას მეომარში ეპოვა გმირი ჩემთან შემბმელი, ვისაც ვერვინ მეზადლებოდა, ვინც ბრძოლის ველზე გარეშემო მტრებისგან ვიყავ მიუვალი და უვნებელი, როგორც უხორცო, მე, ვისაც ყველა მეომარნი უკვდავს მეძახდნენ, დღეს მევლინება სიკვდილი თვით ჩემივ ხორციდან... ასე ყოფილა... კაცი ებრძვის მუდამ გარემოს, მაგრამ ყველაზედ საწინელი მტერი შიგნით ჰყავს... სხეულში უზის კაცს სიკვდილი, სულში კი ცოდვა დაუძლეველი.

ხ უ ტ ლ უ — არ გფერობს ეს ნაღველი მამავ.

შენ ბედმა ერთხელ ქვეყანაზე გამოგარჩია, დაგადგმევინა ბევრჯერ მტერთა სისხლის გუბენი და არ გაგწირავს დღეს, როდესაც მტრად მოგიბრუნდენ შენი ამავით გაზრდილნი და გამძლავრებულნი, შენს თავს უფალი აო წავგვართმევს ამ განსაცდელში, არ ჩაგვყრის ღმერთი მეფის ბოროტ მონათა ხელში და ამ ქვეყნიდან არ გაგატანს ჯავრს ამოუყრელს.

ლ ე ო ნ ი — ღმერთმა გაშოროს შენ სიკვდილი მშობელო, რადგან ჯერ ამ ქვეყნიურ სიბილწისგან ვერ გაწმენდილხარ, შენ კაცთა სისხლით განდიდდი და ახლა სიკვდილის ლანდის წინაშეც მედიდურობ გარდახდილ ცოდვით... და თითქო. ნატრობ უკვდავებას კაცთ შესაძუსრად. ავი საქმენი ვერ გააძღებს, ვინც ბოროტებას აჰყვება, იგი მხეცურ ღრენით ღაფავს სიცოცხლეს, მე ვთრთი შენს ასეთ სიბრმავეზე, მშობელო, მაგრამ . ისე მხურვალედ მიყვარხარ და გენუკვარები, რომ მთელი ჩემი სულიერი ალტყინებითა შენთვის ვლოცულობ ღვთის წინაშე, შენს სახელს ჩემი ცრემლებით ვდუღრავ, რომ დავბანო მე შენი სული ჩემი უაღრეს სიყვარულით უფლის წინაშე. ხოლო გთხოვ ასე ნაადრევად ნუ შეგაშფოთებს

შიში. იცოცხლებ განგებისგან რაც გიწერია,
ჩვენ კი შენს შემდეგ თუ დაგვრჩება კიდევ დღეები —
მოვალენი ვართ უბიწობით და სათნოებით
დრო გავატაროთ, უშიშარ ვიყოთ სიმართლით
და ღმერთს ვავედროთ შენი სული.

ს ა დ უ ნ ი — ამ ქვეყანაზე თქვენა რჩებით ჩემს აჩრდილებად...
ხუტლუ, შენ თუმცა მამაცობით არ მგევეხარ, მაგრამ
ორზომ გამოგყვა ჩემი გესლი და ცბიერება,
ამისთვის ზოგჯერ ვიმედობდი, რომ ჩემს სახელს და
ფუძეს მზაკვრობით დაიცავდი, თუ ძალით ვერა.
შენ კი სავსებით მძაგდი, ლეონ, ვით უმწეო და
მითაც მტანჯავდი, რომ ჩამარბხულ ჩემს სინდისს ჰგავდი.
ო, თქვენ ნამსხვრევნი ხართ ცოდვისგან დამხობილ გმირის
და თითქო იყოფთ ამა ქვეყნად ნაწილებს ჩემსას.
ერთი იმკვიდრებთ ჩემს სიავეს, მეორე — კეთილს,
მაგრამ გმირული მამაცობა ჩემთანვე ჰქრება...
დღემდე ვფიქრობდი, თითქო სიბრძნეს ბრძოლაში ვიძინოთ,
მხოლოდ მამაცი მეომარი იცნობს ცხოვრებას,
დღეს კი, როცა წინ აღმემართა ზღუდედ სიკვდილი
და, უნებურად, თვალი უკან მომაქცევინა
სულ სხვანაირად მეჩვენება გზა გამოვლილი,
რაც მიტაცებდა წინ, დღეს არ ღირს უკან მოხედვად,
შემიპყრო სევდამ და ფიქრები შემომეჯარა...
ეჰ, ეს სიმრავლეც ფიქრთა მოწმობს დაცემას ჩემსას.
დღეს, შენ ხუტლუ, მე ბიწით შენით უფრო მაშფოთებ,
ხოლო, ლეონი სულის ცისკრად მესასოება...
მაგრამ მშობლურად მაინც მეწვის გული და მინდა
რომ შენ მიწიერ ჩემ ფუძის იმედად იქცე,
ვით ლეონი სჩანს ცის წინაშე ჩემს გამართლებად.
ოდესმე თქვენზე ღრმად ვზრუნავდე მე დიმიტრისთვის,
სათუთად ვზრდიდი, ვიდაგოდი მისთვის და მასაც
ვუყვარდი. თქვენ კი სულით, გულით მეშორებოდით,
მაგრამ დღეს მასთან თქვენს ჭიდილში თქვენსკენ ვიხრები,
რადგან მშობელი აღსასრულის პირად მისული
უფრო მწვავედ გრძნობს თავის სისხლხორცს.

ხ უ ტ ლ უ — ყოველი შენი ნაღვლიანი სიტყვა გულსა გვწვავს,
თუმცა დრტვინვაშიც შენს გმირობას არ ლალატობ და
გვაიმედებ, რომ დაგვიფარავ სასტიკ მტერისგან
თუნდაც ის იყოს მძლავრი მეფე.

ს ა დ უ ნ ი — ადამიანი

თავის ფარხმალით უძლურია ლომის წინაშე,
მაგრამ თუ იცნობს მის ბუნებას, მის სუსტსა მთარეს
აგნებს საწყველელად და ამარცხებს. შენ რას მიმართე
ღიმიტრის რისხვის დასაცხრობად?

ბ უ ტ ლ უ — ძღვენი მივართვი.

ს ა დ უ ნ ი — ეს ხომ ვნახე.

ბ უ ტ ლ უ — რაც მოვიხვექე მედგარ ბრძოლებში,
ვით მისმა ამირსპასალარმა, შუა გავუყავ.
მაგრამ სიმკაცრე არ დაუცხრა. ახლა მიბრძანებს
რაც მძინვარება აბულეთის ასულის ტრფობით
ჩამიდენია, ვალიარო ქვეყნის ღალატად
და შენგან ბოროტ ჩაგონებად.

ს ა დ უ ნ ი — მეფეს აქეზებს

ასული შურისგებით სავსე. ისინი უნდა
ერთმანეთისგან გავაცილოთ. შენ, ლეონ, თურმე
ღიდ მამა ბასილს ათონიდან გამოჰპოვო ხარ
მეფის ცოდვათა სამხილებლად.

ლ ე ო ნ ი — დიახ, ათონში

წმინდა მამათა შორის ლოცვას ვეწაფებოდი,
თვალი ხედავდა ყოველ კეთილს იქ, მაგრამ ყური
საქართველოდან მოსულ ამბით არ გვასვენებდა.
შეწუხდა ფრიად წმინდა ბასილ და წამოვიდა
შოლტით ცოდვილთა დასათრგუნად. მეც მას გამოვყევი.

ს ა დ უ ნ ი — ამით ვხედავ შენც ზოგი ღონე მოგეპოვება
მეფის მძლავრობის შესაზღუდად.

ლ ე ო ნ ი — ო, ჩემს ღონეს ვერ

გამოიყენებს ანგარება, მე ვერ დავთრგუნავ
ცოდვას ერთისას მეორესთან მის გასაზრდელად.

ს ა დ უ ნ ი — თუ თქვენ უფლების დასაცავად სუსტნი ხართ, ძენო,
ჩემს შემდეგ ჰპოვეთ ჟამი დასაქვეითებლად,
მე კი აწმყოზნეც ვზრუნავ და ჩემს შემდეგ ჟამზედაც,
ამის ძალა მაქვს.

ბ უ ტ ლ უ — ძალა კიდევ რომ შემოგაკლდეს

და მეგობრები მტრად გაგიხდნენ, რაც მე შენდამი
მაქვს სიყვარული და პატივი, ეს მომგვრის ღონეს,
ურყვევლ სვეტად რომ შეგიდგე, მაგრამ ღვთის მადლით,
როგორც შორიდან მოვაკვლიე, მოგეპოვება
ყველგან კეთილი მეგობრები. აი, მე ვხედავ

მეფე დავითი და ნეტარი კათალიკოსი

შენს შესაყრელად გამობრძანდნენ.

საღუნი — შეეგებეთ დიდის პატივით.

ლეონი — მათ მოსდევს შორით თავშეყრილთა მშუოთარე ხმები,
ყურს აპყრობენ დროდადრო უკან.

საღუნი — წინ შეხვდით, ძენო.

(შემოდინა მეფე დავითი, კათალიკოსი, მთავარი ბედნიანი).

საღუნი — დმერთმა მალირსა კვლავ შეხვედრა ჩემ ტკბილ მე-
ფესთან.

დავითი — ო, საღუნ, ჩემო ლომო, მოველ სტუმრად ამ ქალაქს.

სადაც მრავალის წლების წინათ ქველად ვმეფობდი...

ასე მეგონა ძველ მეგობართ ნაცვლად ვპოვებდი

აქ მხოლოდ კედლებს ნაცნობებად, მაგრამ დღეს ვხედავ

ის კედლები სულ დაქცეულან ქვეყნის შეძვრისგან.

მეგობრები კი ზოგნი ისევ მესალმებიან.

საღუნი — მაშ, ბუნებასაც თავის წესი შენს სასიამოდ

დაურღვევია. შეუნახავს ჟამმოკლე კაცნი,

რომელთაც ქვეყნად ხელმეორედ ვერვინ გააჩენს

და, იმათ ნაცვლად, დაუმხია გამძლე კედლები,

რის აგებაც კვლავ ადვილია.

დავითი — ვერ ვიტყვი, რომ ჩემს

ნაღველს სიამე აქ სქარბობდეს. მეგობართ ნახვა

ჩვენ გვიხარია კეთილ ბედში, აქ კი სიხარულს

მიწამლავს თქვენი სიმძიმილი. ახლა მომესმა

რომ მოვლენილა ათონიდან კაცი წმინდანი

და მთელ ქალაქის მცხოვრებნი, შეტორტმანებულნი,

მოედნის იქეთ თავს იყრიან მის სანახავად.

ბრბო არ ეტევა ფოლორცებში, ეზო-შუკებში,

ურვით, გოდებით მუხლს იყრიან და სასოებენ

მამა ბასილი დაინახონ და მოისმინონ

მისგან სწავლება.

ბედნიანი — ისევ ისმის ერის ძრწოლის ხმა.

სჩანს, წმინდა მამა არ გამოდის ერის წინაშე.

საღუნი — მას ათონიდან ეს ჩემი ძე გამოჰყოლია.

მაგრამ ჯერ ბასილ არ მინახავს.

აბრაჰამ — მე ვნახე იგი,

ვერ ვისაუბრეთ, მაგრამ ვიგრძენ, რომ სიტყვა მისი

ალაგზნებს ყველას.

ლ ე ო ნ ი — მღვდელმთავარო, ბასილს დღეს ერში
ქადაგება არ განუზრახავს, მას სურვილი აქვს
ჯერ თითონ შეფეს ესაუბროს.

ა ბ რ ა ჰ ა მ — შეფეს აქ ველით.

დანიშნული აქვს პაემანი დავით ნარინთან.

ბ ე დ ი ა ნ ი — არ მოისვენებს ბრბო მანამდე.

ლ ე ო ნ ი — მაშ, წმინდა ბასილს

ეს მღელვარე ბრბო შეაწუხებს, უნდა მივხედო.

(ლეონი მიდის).

ფ ა რ დ ა

1945 — 46 წ.



ლირიკული დრამა.
საბ ნაწილად

მომხმედი პირნი:

დ • ა

ფ ე მ

ბ ვ ა

ჯაჯოს ხმა

ნაწილი პირველი

კოშკი უდაბურ მთებში. ზამთარია. ბუხარში ღვივის ცეცხლი. ბუხრის წინ ზის სამი ერთმანეთზე მშვენიერი ასული: დია, თეო და ევა. სამივე მატყლს ჩეჩავს. დროგამოშვებით ასულები ერთმანეთს გადახედავენ. მეორე ოთახიდან მოისმის მოხუცი ქალის „ნანინა“.

დია — შებინდებიდან უმღერის იმ ბავშვს დედაბერი ნანინას...
მაგრამ ვერ დააძინა.

თეო — ო, თავის ხმით ძილს უფრუთხოვს.

ევა — ნეტავ მე მიმღეროდეს ჯაჯო.

დია — ისე დაილაღე, რომ მის ხმაზეც დაგეძინება?..

ევა — ჯერ შუალამე იქნება?

დია — არა, იძღენი მატყლია კიდევ.

ევა — მოვიქანცე ამდენი მუშაობით.

თეო — ო, ლანდებს დავემაგავსეთ და მაინც გვირისხდება ჯაჯო.

დია — ჯაჯო მკაცრია.

ევა — უმოწყალოა, საშინელი.
(დუმილია).

დია — მე გზა რომ ვიცოდე სადმე გავიქცეოდი.

ევა — არც ერთი არ დავრჩებოდით, ტოლებო, მაგრამ გვეშინია ნადირი არ შეგვეფეთოს გზაზე.

თეო — ან ურჯულო მწვალებლებმა არ დაგვიჭირონ.

(ხანგრძლივი დუმილია. ვილაც კარზე დაარტყამს. ასულები შემკრთალ მტრედებივით ასწევენ თავს და დააყურებენ).

დია — ეს ქარია.

(განაგრძობენ ჩეჩას. ვილაც კიდევ დაარტყამს კარზე. ასულები დააყურებენ).

ევა — ეს ქარია!..

დია — ჰო.

(დუმილია. ისევ გაისმის რახუნნი).

თეო — ქარია.

დია — ისევე.

ევა — ა?

(განაგრძობენ მატყლის ჩეჩას. უცნობი ორჯერ დაარტყამს კარზე. ასულები შემკრთალნი აწევენ თავს).

ჯაჯოს ხმა — (მალა ოთახიდან) ვინ არის?

ევა — ჩვენ ქარი გვეგონა და...

დია — ჩვენ გვეგონა ქარი ურტყამდა კარზე.

თეო — მაგრამ, როგორც ვატყობთ ვილაცაა...

ევა — გვეშინია, ვერ გავულებთ.

ჯაჯოს ხმა — ხმა გაკმინდეთ. ხმა არ ამოიღოთ. მე ავალ მალა და ჯიტანოდან გადავიხედავ. თუ ბავშვია, მივიღებ, თუ ქალია, მაინც მივიღებ, მაგრამ...

ევა — არა, სხვაგვარმა ხელმა დაარტყა.

ჯაჯოს ხმა — ხმა ჩაიწყვიტეთ, თორემ თავდაღმა გადაგკიდებთ ამ კოშკიდან!..

(ასულები თავს ჩაქინდრავენ. ისმის მალა მიმავალ ჯაჯოს ფეხის ხმა. ხანგრძლივი დუმილია. ასულები უცქერიან ერთმანეთს და ნელა იღიმებიან).

ევა — ვინ იცის, ვინ არის!..

დია — ამ სიცივეში, ავღარში და სიბნელეში, რამ მოიყვანა ის, ვინც არის!..

თეო — ეს ადგილი უღაბურია. შორეულ მთებიდან მხოლოდ ერთი ნადირთა გაკვალული ბილიკია აქეთ წამომყვანი და ისიც თოვლშია დამალული.

დია — შენ, ევა, მრავალნაირ ნიშანს ხსნი, ჩიტის ჭიკჭიკს გვითარგმნი... და, ვერაფერს გვეტყვი ახლა?

ევა — თქვენ ბრძენები ხართ, მე კი მხოლოდ მხურვალე.

(დუმილია. ისევ გაისმის კარზე ხელის დარტყმა, ასულები წეკრთებიან და ერთმანეთს ჩაველებენ ხელს).

თეო — დია!..

დია — გავმაგრდეთ. ნუ მოიწყენთ.

თეო — ჰო, გავმზნევედეთ.

ევა — ვინ იცის (წეჩრდება) ეგებ ის მეფის მშვენიერი ვაჟია. მთელი სამეფო შემოიარა მან, მაგრამ ვერსად ვერ პოვა სატრფო და, ბოლოს, მოვიდა აქ თავის ბედის მისაღებად. (თბილი სიცილით). ეგებ ის ჩემთვის მოუყვანია ბედს... და ამ ზამთრის გრივალში, ღამით მომდგარა ჩემს კარზე, ურტყამს ხელს და ჩქარობს წამიყვანოს თავის სასახლეში, ჩამაცვას ძვირფასი ქსოვილები და დამსვას დედოფლად. იცით, ტოლებო, რა კეთილი ვიქნები მაშინ! (უსწრებს სიცილი. იცინიან ნელა).

თეო — შენ რა გაფიქრებს დია?

დია — მე მყავდა ძმა — უებრო მეომარი. ის ჯვაროსნებს გაყვა ურჯულეობისგან იერუსალიმის გასათავისუფლებლად და მას აქეთ არ დაბრუნებულა... მოხუცი დედ-მამა დამეხოცა და დაერჩი მარტო... შემხვდა ჯაჯო, ცბიერი ენით შემო-

მიტყუა აქ, როგორც თქვენ, და მამუშაებებს... და წურბელა-
სავით მწოვს ჯანს...

თ ე ო — ო, სადა ვართ!

ე ვ ა — რა ენა იტყვის!

ღ ი ა — მაგრამ, ვინ იცის, ეგებ ჩემი ძმა დღეს დაბრუნდა შორეულ
ქვეყნიდან და მოიტანა დიდი განძი... მაგრამ ცარიელი
და მკვდარი დახვდა ეზო... (ნაღვლიანი ღიმილით) მან გაიგო,
რომ ცოცხალი ვარ. მთელი სამეფო შემოიარა ჩემს ძებნაში
და, ბოლოს, აქეთ გამოუდგა და ახლა ამ კართან დგას ჩემი
გადაკარგული ძმა და ურტყამს ხელს, რომ გამათავისუფლოს,
მიზიაროს უცხო ქვეყნიდან მოტანილი საუნჯე და შემყაროს
(ოდნავ გაცინებულად) საყვარელ ბედს.

ე ვ ა — ეს კარგი ნატვრაა.

თ ე ო — ნატვრის მეტი რა დაგვრჩა.

ღ ი ა — მას აქეთ, რაც სოფელს მოგვაშორეს, ჩვენი ცხოვრება
ოცნებაა.

(დუმილია).

ჯ ა ჯ ო ს ხ მ ა — (ხუმო ოთახიდან) ის საშიშარია. კარი არ გაუღოთ,
თორემ ვაი თქვენი ბრალი... ტყის ბერი გავადვიძე და ცულს
ვალესინებ,—ის ათასწლოვან მუხას აქცევს, და ნუთუ მომხ-
დურს ვერ დაჩხვავს! ხმა არ ამოიღოთ, ქალებო, თორემ
ვაი თქვენი ბრალი!... ამ ყინვა-ქარში გაგაშიშვლებთ და
ძეხვებივით გადაგკიდებთ მალალ კოშკიდან. გესმით, მეტსაც
ვიქ!.. კარი არ გააღოთ, თორემ ფრთხილად ვწვები... ფრთხი-
ლად ვიძინებ...

(ასულები დახრიან თავს და მუშაობენ. ხანგრძლივი დუმილია. ის ვილაცა
დაარტყამს კარზე. სამივე ასული ასწევს თავს. დუმილია).

ე ვ ა — ის ლესავს რკინას?

ღ ი ა — (დგება და დააყურებს, ყურს მიადებს ჯიტანოზე) არა, არა,
დაიძინეს, ხვრინვა მომესმა. (ისევე ჯდება მათთან).

თ ე ო — ეს კარგია.

ღ ი ა — დაემშვიდდეთ, ტოლებო.

(მზიარულად ჩეჩვენ. უცნობი მუდარით დაარტყამს კარს. ასულები ასწვენენ
თავს და დაფიქრდებიან).

თ ე ო — ვინ იცის... ეგებ ის ქრისტე-მაცხოვარია გლახაკის სახით
მოსული და გვცდის ჩვენ... და ელოდება: გაულებთ ამ ყინ-
ვა-ქარში კარს და მივიღებთ დაერდომილს და მოვუვლით,
თუ არა... ამ შუალამით მოვიდა ის ქარში და გვთხოვს ბი-
ნას... და თვითონ მოაქვს უფრო ბედნიერი ბინა... მეგობრე-

ბო, ასეთ ღამეში ხშირად დადის ქრისტე და, მომხდარა, როდესაც გაულიათ გლახაკისათვის, შემოსულა ღმერთი და კედლები გაბრწყინებულა!.. (დიას) მაგრამ, ეგებ ის შენი ძმა არის, დია, და მოსულა რომ გაგათავისუფლოს და გიზიაროს უცხოეთიდან მოტანილი საუნჯე.

(ღუმილია. ისინი იწყებენ შრომას. მხოლოდ დროგამოშვებით ასწევენ თავს და შეხედავენ ერთმანეთს. კარზე ისევ დაარტყამს. ასულები შეკრთებიან და იყურებიან კარისაკენ).

ევა — ვინ იქნება!.. თუ არა ის?

ღია — (თვს) ვინ იცის. ეგებ გულმა გაიზრა შენ, და იქ, მართლა, ქრისტე-მაცხოვარია და შესაფერ ხვედრის დასარიგებლად მოვიდა ჩვენს კართან ამ ბნელში და ქარ-სიცივეში!

(ღუმილია. ისინი იწყებენ შრომას. ისევ გაისმის ხმა. ასულები ასწევენ თავს და ნაღვლიანად იცქირებიან კარისაკენ).

ევა — გმინვა მომესმა...

ღია — მეც...

თეო — საბრალო...

(ღუმილია).

ღია — ამ უღბურ ადგილას რამდენი წელიწადია ვართ ჩვენ და არავინ მოსულა.

ევა — და რამ მოიყვანა ასეთ ქარში და გრიგალში ვინც არის? (ღუმილია. ოდნავ ისმის ძრწოლა, ასულები ღონდებიან).

ღია — ვინც უნდა იყოს: მწუხარება.

თეო — ის რომ სახლში შემოვა, — კედლები გაბრწყინდება. შენ ხომ, დია, ერთხელ შეგვაძლებინე აქედან ამბავი შეგვეთვალა!..

ღია — ბაზიერი დავიჭირეთ და ძვირფას ექვნებით ვცანით, რომ მეფისა იყო. შემდეგ ბარათი გამოვაბით და გაუშვიით.

ევა — ის. ან გაფრინდებოდა სასახლეში, ან, თუ ვინმე დაიჭერდა, იქ მიიყვანდა.

ღია — ალბათ, ასე მოხდა.

ევა — მე ავწერე თქვენი ნამდვილი წმინდანობა.

თეო — მე და დიამ კი დავწერეთ, რომ შენ უბაღლო მზისუნახავი ხარ.

ევა — მერე, რატომ გგონიათ, რომ მეფის ძე არ წაიკითხავდა... არ დაიწყებდა ჩემს ძებნას და არ დგას ამ კართან?

ღია — მე წლობით ვუცდიდი, როდის დაბრუნდებოდა ჩემი საბრალო ძმა... შევეჩვიე მის ლოდინს და ახლაც მისთვის მგონია, რომ ისაა... შორეულ ქვეყნიდან როცა ჩამოვა ჩემი საყვარელი ძმა, უსათუოდ მომნახავს... ის უბაღლო მოლაშქრეა და არ დაერიდება სუსხიან ქარს და უღბურებას ამ ადგილებსას.

(ღუმილია. დია და თეო მუშაობენ).

თეო — რამ ჩაგაფიქრა თავდავიწყებით, ევა?

ევა — მეშვიდე ლამეა მესიზმრება, თითქო ამ კარით ბედნიერება მოდის... რა აშინებს გულს!..

დია — ო, ასეთ მწარე ბედში ჩვენთვის საშიში რა იქნება!..

თეო — მართალია...

ევა — აქ უნდა დავლიოთ სიცოცხლე ჯაფაში და წამებაში...
დავქენებით და რას მოვიგონებთ!..

თეო — არაფერს. არც მოგვინდება გახსენება.

დია — მოვკვდებით და გულგრილად დაგვმარხავენ. არავინ იტყვის თუ ვცხოვრობდით... ჩვენს საფლავებზე ლურჯი იები ამოვლენ, მეგობრებო, მაგრამ მუნჯი იქნება ია.

(ღუმილია. დია და თეო მუშაობენ. ევაც დაიწყებს შრომას. ნელა ასწევენ თავს, შეჰხედავენ ერთმანეთს და განაგრძობენ შრომას. უცნობი კიდეე დაარტყამს კარზე).

თეო — ის არის!..

ევა — თითები!..

დია — ?

(ცოტა ღუმილია. გაისმის რახუნის და მერე გმინვა).

ევა — ის სწუხს.

თეო — ჰგმინავს...

დია — ჰო...

(ღუმილია. ისინი დაღონებით განაგრძობენ ჩეჩას. უცნობი ისევ დაარტყამს. ძრწის).

თეო — ასე მგონია, ჩემს გულში ურტყამს ხელს და უცდის, თუ გაიღება.

ევა — მე შეძახის ბედნიერება: მიმიღე, თორემ არასოდეს... მისი თვალები ცასავით წმინდაა, მის ტუჩებში დიდი დაპირებაა... მაგრამ გულში ჯოჯოხეთია, ვინაიდან არ იღება წყეული კარი! ..

(ღუმილია).

თეო — (დიას) შენ ქვითინებ?.. რატომ?

დია — ძრწოლის ხნა გავიგონე და ჩემი ძმის ხმად ვიცანი.

(ჩუმად ტირის. ღუმილია. სამივენი იწყებენ მუშაობას).

თეო — ჩვენ ვთქვათ რამე... ზლაპარი...

დია — ვერ ვიტყვი...

ევა — ვერც მე...

დია — (თეოს) შენ იტყვი?

თეო — ვერა.

ევა — ვინ იტყვის ზლაპარს?

თეო — (დას) შენ ისეთი ზღაპარი გიყვარს, რომელიც სიკვდილით არ თავდება...

ევა — მე რომ პირველი ადამიანი ვყოფილიყავი, ევა რომ ვყოფილიყავი, სიკვდილს არ მივიღებდი...

დია — ღმერთმა ცოდვისთვის მოუვლინა.

ევა — შევთხოვდი... დავიჩოქებდი მის წინაშე, ავძრწოლდებოდი... მთელი გულით!..

დია — ის მაინც არ შეგიწყნარებდა.

ევა — რათა... ხომ კეთილია?

თეო — ის, ვინც კარებთანაა, განა არ გთხოვს? არ ძრწის? (უცნობი ჰგმინავს).

თეო — ახ...

დია — გესმით?

თეო — ო...

ევა — როგორ ჰგმინავს!..

თეო — (სხვანაირი ტონით) შევიბრალოთ, გავულოთ კარი?

დია — კარი?

ევა — როგორ...

თეო — ქვეყანაზე ძლიერ ბევრია გაქირვებული. ისინი სულს ჰლევენ წამებაში.

ევა — გავალოთ...

(დუმბილია. ისინი იწყებენ ჩეჩას).

დია — მე სიკვდილის არ მეშინია.

თეო — არც მე.

ევა — არც მე...

დია — არც ჯაჯოსი გვეშინია.

თეო — არა, თუმცა, საშინელებაა...

(გარეთ ავდრის ქშილია).

ევა — სულის მომღვევი ავდარია!

დია — და ეს ზამთრის ღამეც დაუსრულებელია.

თეო — და შრომაც მძიმეა.

(დუმბილია. მუშაობენ).

დია — ეს კარგი მატყლია.

(უცნობი სწუხს და ხელს დაარტყამს).

სამივე ასული — (ცალ-ცალკე) აჰ!..

(მწუხარეთ შეჩერდებიან. უცნობი კიდევ ურტყამს. წუხს).

თეო — (გამოცვლილი ხმით) თქვენ გაფითრდით...

ევა — (თელს) შენი სახეც თეთრი მატყლივითაა.

თეო — რატომ ინება ამალამ გამოვეცადე...

დია — სამივე ასულები კეთილები ვართ... და ამ ზამთრის დღეებში რომ ურტყას ასე ხელი, სამივეს გული დაილევა.

ევა — რატომ... ჩვენ გავაღებთ კარს... გავაღებთ კარს. კიდევ რომ შევცდეთ, რა უნდა მოგვაკლოს? ჩვენ ისე უბედურები ვართ...

დია — მართალია. თუ ვცდებით და ის უბრალო გლახაკია, კონკით მოსილი, მაინც მადლია... მე გავატან წერილს, რომელსაც ქვეყანაზე შემოატარებს...

თეო — კარგად ამბობ — მადლია... ყაჩაღიც რომ იყოს... თავშესაფარი ექნება ტყის წიაღში, მაგრამ ჩვენ არ წავეყვებით... მაშინ ხელს აიღებს ყაჩაღობაზე.

დია — ჰო...

(უცნობი დაარტყამს კარზე. უიმედო ძრწოლა მოისმის. ევა შეკრთება. დია და თეო მწუხარებით დახრიან თავს).

ევა — (მღელვარედ) ის ჩემია!.. ჩემია! თქვენც მოდით კარებთან... არ ირხევით? ქვებად გადაიქეციო?

დია — (ადგება) ჩვენ უნდა მოვიკრიბოთ ძალა... დავექრდეთ... მე მაგონდება ველად ქცეული ეზო, სადაც ერთ დროს ვარდები ჰყვავდა და ჩემი ძმა თაიგულს ჰკრავდა სტუმრებისათვის...

ევა — (მწუხარედ) მაშ, გავალოთ?

დია — ის თუ იმედდაკარგული მოშორდა კარს, უბედურები შევიქნებით...

თეო — არა... ეს კარი გაიღება... მთელი სიცოცხლის სევდამ დამიშინა გული, მაგრამ ძალა გააღვიძა ამ ხმებმა... ეს კარი ფართოდ გაიღება... (შეჩერდება) გლახაკის სახით, აძრწოლებული და შეწუხებული შემოვა აქ მაცხოვარი და ნიავეზე უფრო ნაზი ხმით დამიწყებს ლაპარაკს... მე თავს დავხრი... ჩვენ, სამივე, იებივით დავხრით თავს... ბუხარს დაუთმობთ... მისი თვალები ვარსკვლავებივით დაიწყებენ ბრწყინვას. ქვითინით დავიჩოქებთ ჩვენ, სამივე ასულები, ქვითინს დავიწყებთ... რალაც ლხენა იქნება ჩვენს ტირილში... და მას მაცხოვარს, მოაგონდება თავისი ანგელოსები, რომლებიც ჩვენსავით არ ჰლონდებიან, არამედ თავისუფლად ლაპარაკობენ მასთან ზეცაში. მაცხოვარი წამიერ თვალს გადააელებს მწუხრს ჩვენი სიცოცხლისას და თავის ღვთიურ ბუნებაში მიიღებს ჩვენს მწუხარებას... (შეჩერდება) ჩვენ ვიქნებით ბედნიერები... მერე, თუნდაც, ამ ციხის ბნელ კედლებში დაილიოს ჩვენი სიცოცხლე, ათ წლობით იქროლონ შემოდგომის და ზამთრის ქარებმა ჩვენს კარებთან!..

(დუმბლია).

დია — ჰო... ის ქვითინებს ჩვენს ლაპარაკში... კარი დახურულა...

ევა — ეს არაფერია. განა ისე ძნელი საქმეა? ნახევარი სიცოცხლეა, სულ ამ კარს არ ვაღებ! და ახლა, როცა ჩემი სიცოცხლე უნდა შეიცვალოს, ხელი გამიშეშდება?..

დია — მეც ზომ ათასჯერ გამილია.

თეო — (მიდის კარებისკენ) მე მივდივარ... თქვენ ახლა შორდებით ეკალს და ტყეს...

დია — (კართან). რა ნშეენიერია სიკეთე!

ევა — (მოუთმენლად). გავალოთ...

თეო — ჰო... დამეხმარეთ...

(შეჯგუფდებიან კარებთან).

დია — დროზე...

ევა — ა?

(დუმილია).

თეო — როგორი გრიგალია გარეთ...

ევა — მისი გმინვა არ ისმის?

დია — არა, ის ქარია... ჰკივის გაციებულ ტყეებში...

თეო — და პატარა მდინარეები ყინულად არიან ჩამკვდარნი მიწაში...

ევა — ჰო...

დია — რა სიბნელეა... ისეთი საშინელი სიბნელეა, იქ...

ევა — (გადაჭრით) გავალოთ!

თეო — ასე!..

(დაეწაფება კარს გასაღებად. ცოტა დუმილია. კარზე ისმის რაზხნი. ასულები უკან იხევენ).

თეო — გთხოვს...

დია — ძალა სრულიად შემომეღია.

თეო — ამ რაზხნმა, რაღაც უცნაურია...ა...არა?

ევა — ჩვენ პატარა ძალასაც ვერ ვბოულობთ... მძინარებს ვგავართ...

დია — განა ჩვენ ძილში გვესმის ის ხმა?..

თეო — და რასაც ჩვენ ვფიქრობთ, სიზმარია?

ევა — მთელი ჩვენი სიცოცხლეც სიზმარია?..

თეო — მეგობრებო... ჩვენ შეგვშლის ეს ღამე... (აღერსით მოეხვევა ევას) ფიქრით შეგვშლის!..

დია — დაუგდეთ ყური!..

თეო — ა!

დია — ის ძრწოდა...

ევა — საშინლად!..

თ ე ო — ეს ადვილი გასაღებია!..

დ ი ა — ჰო...

(მიდიან კართან).

ე ვ ა — მეგობრებო... მძიმეა ეს კლიტე!.. მაგრამ თქვენ, ორივემ
ეს რაზი... აი...

(სამივენი შეჯგუფდებიან. გარედან მოისმის წელი ძრწოლა. შეკრთებიან).

დ ი ა — (მღელვარე ხმით) გავალოთ?

ე ვ ა — ჰო...

(ისინი უმწეოდ ეყრდნობიან ერთმანეთს. დუმილია).

დ ი ა — (მიდის და ჯდება ცეცხლის პირად) მე მკლავები მომწყდა...
(ევა და თეო მიდიან ბუხართან).

ე ვ ა — (გააჩრქოლებს). სიცივე? ..

დ ი ა — ჩვენ ვერასდროს ვერ გავალებთ... ძნელია...

(სხდებიან ცეცხლის პირად. მოისმის ძრწოლა. სამივენი დაღონებულად
დახრიან თავს. ევა ჩუმად აჭვითინდება).

ნაწილი მეოთხე

იგივე სურათი. ევა და დია სხედან ბუხართან. თეო ფეხზე დგას მახლობლად.

თეო — (ხელების მტვრევით) გძინავთ?..

ევა — (გაღვიძებული მიმოიხედავს) ის მშვენიერია, თეო..

თეო — ვინ?

ევა — აქ შემოვიდა... ხელები ყინულივით გაუცივდა და სახე გაუფითრდა... ვაკოცე ბაგეში — სუნთქვა შეწყვიტა, მკვდარს დაემსგავსა... დავემხე ქვითინით მის წინაშე, მაგრამ ის წითელ ვარდებში. თეთრი ვარდივით გაფითრებულიყო და ისე მშვენიერი იყო, რომ ჩემს მეტი ვერავეინ ვერ ტიროდა.

თეო — (დიას) შენ გესმის ამის ლაპარაკი?

დია — ჩამძინებია.

(ცოტა დუმილია).

თეო — მეგობრებო.. მე ვიცი ვინც არის... როდესაც თქვენ თვლემდით, დამესიზმრა, თითქო კარი გაიღო... შემოვიდა თეთრად შემოსილი, მაღალი მაცხოვარი... მაშინ ეს კედლები გაჰქრნენ... ოთხ კუთხეში გაჩნდნენ ალვის ხეები და ზედ შეფრინდნენ თეთრი...

(უცნობი დაარტყამს კარზე ხელს. სამივენი შეკრთებიან).

დია — ჩემი სახელია. მის ქვითინში... და მის ხელებში...

თეო — ა!.. (აყურებს).

ევა — (კარებისაკენ, შეცვლილად) ახლა ვხედავ ვინცა ხარ... მაპატიე, დავიგვიანე... ეს მოხდა იმიტომ, რომ უბედური, ყველაფერზე უფრო გაუბედვად ბედნიერებისაკენ გადადგამს ნაბიჯს... (მიდის კარისაკენ) ეს კარი ახლა გაიღება... სიბნელიდან მოხვალ, სინათლევე, ჩამხედავ ფიქრით მოქანცულ თვალებში და არ მკითხავ რატომ დავიგვიანე...

დია — ჩემს მეტი არავინ არის. შენი მოგონების გამგები... ყველანინი გაჰქრნენ... გაველურებული, ეზო-გარემომ ვერ გიცნო... და პატიმარ დასთან მოდი... მაგრამ მე დიდხანს ვერ მოვერიე შიშს... მაპატიე ნახევარ ღამის მწუხარება.

ევა — ყველა სიხარულით შეგხვდება.

(ევა და დია მიდიან კართან).

თეო — (კარისაკენ) ჩვენ სამივე ასულს დილას ეკლიან სახრით გვალვიძებენ და შუალამემდე მუქარით გვამუშავენ... ელოცულობდით და ვსასოებდით, რომ შენამდე მოალწევდა ჩვენი დრტვინვა. ახლა კარს ვაღებთ... მაგრამ ზოგი დიდი ტადარიც არ ვაღებულა ქვეყანაზე ასეთ დიდ სასწაულისათვის, როგორც ჩვენი კოშკის კარი... (გატაცებული მიდის კართან. შეხედავს ამხანაგებს) გიხაროდეთ... ის ამ ქარს ნიავეით დააწყებინებს ჩურჩულს... ნახავთ ღვთიურ თვალებს...

ევა — (ჰკიდებს ხელს რახას) ა...

თეო — (მოჰკიდებს ხელს კლიტეს. ძლიერ ღელავს) ჯერ რაზი ამოიღე... აი... (გხმარება ევას).

ევა — სს!..

დია — ვინაა? (ღუმილია).

თეო — გადასწიეთ ეს გასაღები... და მერე რაზი...

ევა — (თეოს) ასე...

დია — როგორ ვაგვიშეშდათ ხელი!

თეო — (ევას) ისე გაფითრდი, თვალის კაკლებიც კი გაგიღურჯდა.

დია — (დააყურებს) იქ...

ევა — რა გესმის?..

დია — (ნელა ჩამოადებს ხელს თეოს) სიბნელეა. ჩვენს სიზმარზე უფრო შავი...

ევა — ა?

თეო — შრიალებს...

(ისიში შეუმჩნევლად უიმედოდ შორდებიან კარებს).

ევა — რა?

(დია მიდის ბუხართან და აღვივებს ცეცხლს. ღუმილია. ევა და თეოც მიდიან ცეცხლის პირად).

დია — რა უბედურიც არ იყოს სიცოცხლე, ტოლებო, მასზე საშინელი სიზმარი მაინც იხილვება.

ევა — ეს ღამეც შავი სიზმარივითაა.

თეო — (დააყურებს) ეს რა ისმის?

დია — შრიალია... ქალისთვის რალაც რისხვია ამ შრიალში...

ევა — ჰო...

(ცოტა ღუმილია).

დია — ძრწის და მოითხოვს შევლას!..

(ცოტა ღუმილია).

თეო — არის სხვა ძალა მის თხოვნაში.

დია — ხმა ნაცნობია.

თეო — მძიმე განსაცდელში მე მივმართავდი (ხელს ააშვერს მალა)

იქ... ის მხსნიდა ტვირთს და სახეზე ისეთი ღიმილი მეფინებოდა, როდესაც იმ ღიმილით შეგხედავდიოთ თქვენ: გრძნობდით, რომ მე ცაში ვყოფილვარ... ახლა ის თვითონ მოვიდა ჩემთან... თვალმიუტანელ სიბნელეში, ქარში, მოვიდა და დაიწყო ქვითინი... მაგრამ მე არ გაუღლე კარი... (გაშეშდება).

დია — (თვს) ის თუ მაცხოვარია წინდაწინ იცის ყველაფერი... სხვები უკეთესი შვილებია ღვთის? მაგრამ ის უფალი არაა; ხმაზე ვცნობ ვინც არის. (კარბისკენ) ნუ დამაჩენ გულზე სამუდამო წყლულს, ნუ გამიჯაერდები, მაპატიე. (ადგება) შენ ზღუდეებზე გიბრძოლია მტერთან, მიუდგომელი ციხეები აგილია, და რაა ეს კარი, ეს საცოდავი კარი!.. (ღუმილია).

თეო — ღუმილია... ატყობთ?..

ევა — ღუმილია...

დია — (აყურებს) ჰო...

ევა — რათა?

თეო — (მწარედ) ნუთუ ერთი წუთის შეცდომა წლების სიწმინდეს ფასს უკარგავს! (კარისაკენ) მაპატიე, თუ ეს საყვედურია, მაგრამ შენ ჰხედავ, — მთელი ჩემი ქალიშვილური ფიქრები გამოვამელავენ შენს წინაშე ლოცვებში... და ამ სახეს იცნობ, რადგან მუდამ ცისკენ აპყრობილია... და რად უნდა ჩამაგდო, კეთილო, ისეთ განსაცდელში, სადაც ყველაფერი დამეკარგება და ჩემი თვალეები სამუდამოდ დაიხურება ბუხრის წინ... (მღელვარედ) თვითონ ხარ ღმერთი და ბრძანებით შეგიძლია ჩვენს ხელში სალამური გააჩინო და კარები გახსნა.

დია — იქ არაფერი ისმის.

ევა — რატომ?

თეო — ა?

(ღუმილია).

ევა — (კარბისკენ) ყოველი ხელის დალალება მაგ კარზე, მე მეძახის... მე კი ვერაფერი შევძელ... სუსტი ვარ... მშვენიერი კოვარ... როდესაც მე შეშისთვის მიედივარ ტყეში, ყვავილები ფერად თვალებს არ მაშორებენ და, როდესაც ტყიდან ვბრუნდები, ისინი სიზმრებში მომყვებიან... კეთილიცა ვარ... ჩემს სარჩოს ფრინველებს ვუზიდავ... ისინი ტყეებში ჩემ სიყვარულზე და ბედზე ჭიკჭიკობენ... მე მათ ჭიკჭიკს სულ საკეთილოდ ვხსნიდი და ახლა უნდა ახდეს... თუ მე სუსტი ვარ, შენ—ძლიერი... ჩამიხვევ გულში და წამიყვან სასახლეში... იქ გეყოლება ასი დარაჯი, რომ ჯაჯომ არ შემოდგას ფეხი... მე მოვიგონებ ჩემს წარსულს და სხვა ტანჯვა არ გვექნება...

მაშ, დაარტყი, დაამტვრიე, თვითონ დაამტვრიე ეს კარი!..

ჯაჯოს ხმა — (მოისმის მეორე ოთახიდან, ასულები შეკრებიან. დუმილია)..
 თეო — ჯაჯო...

დია — ჰო...

ჯაჯოს ხმა — გესმით!

დია — ჩვენ გვლვიძავს...

ჯაჯოს ხმა — კარი ხომ არ გაგიღიათ?

დია — არა?

თეო — ის ურტყამდა, მაგრამ არ გაგვიღია.

ჯაჯოს ხმა — დიდხანს ურტყამდა?

დია — ო, ხელს იმტვრევდა...

ევა — (ნელა) ქვითინებდა...

ჯაჯოს ხმა — ეხლაც ურტყამს?

სამივე ასული — არა!

ჯაჯოს ხმა — მე ავალ და გადავხედავ... ეგებ დილამდე არ შორდება კარს... ვინ იცის რა უნდა! თუ კიდევ კართან დგას, ჯოხს ვესვრი აქედან... მღულარესაც გადავასხამ... თქვენ ხომ არ ამოგიღიათ ხმა?!.

სამივე ასული — არა... არა...

ჯაჯოს ხმა — აწი დაწვევით. არაფერზე არ იფიქროთ და მალე დაგეძინებათ, თორემ დილას, ხომ იცით, რა სახრეს გადაგიქვრთ!.. (ასულები შეწუხდებიან). მე ავალ და გადავიხედავ.

(დუმილია, ისმის მალა მიმავალ ჯაჯოს ფეხის ხმა).

დია — საოცარი ამბავი მოხდება ახლა!..

თეო — სასწაული...

ევა — ა?

(დუმილია).

დია — ეს ციხე დაიმტვრევა...

ევა — ჰო...

დია — და შემდეგ ეგებ ლხინი ვნახოთ... მწუხარებას ჩვენ ადვილად ვიყოფდით ერთმანეთში, მაგრამ ლხინი არ ვიცით... როგორი გასაყოფია...

თეო — ლხინი ძნელი გასაყოფია, მხოლოდ ლოცვაა ქვეყანაზე გასაყოფი — პატარა ტაძარში დიდი ხალხი კეთილია.

ევა — (მხიარულად, თითქმის სიცილით) ჩვენ კიდევ ვლაპარაკობთ სიცოცხლეზე!

(ისმის უკან მომავალ ჯაჯოს ფეხის ხმა).

დია — (აყურებს) ა?

თეო — ჯაჯო.

ევა — მოდის...

(დუმილია).

თეო — ის აქეთ მოდის?

დია — შეიძლება ჩვენთან მოდის... იტყვის ვინ არის...

ევა — ის თავის ხელით გააღებს კარს...

თეო — ახლა პირველად დავინახავთ მის ცრემლებს...

დია — თქვენ მერცხლებივით აქიკვიკლებით...

ევა — მე დუმილით შევხედავ...

თეო — საიდუმლო სტუმარი ნელა გაგვიმჟღავნებს თავის ვინაობას...

ჯაჯოს ხმა — ის არ ჩანს... თქვენ მოისვენეთ. დილას ვნახავნასაქნარევს და თუ კიდევ გამცდარხართ, აგატირებთ!.. ახლა თვალი მიდევით, გარეთ ისეთი ქარია!.. ამდენ ხანს რომ კარებში გაჩერებულყო, ქარი დაახრჩობდა. ის წასულა!..

(დუმილია. ასულები გაშეშდებიან).

თეო — (ყრუდ) წასულა!..

ნაწილი მესამე

იგივე სურათი. ასულები თავხარდაცემულნი გაშეშებულან. მოისმის ჯაჯოს.
ხმის გაძახილი: „ის წასულა“. ცოტა დუმილია.

ევა — (რალაცას ჩასჩურჩულებს დიას).

დია — (შეირხევა და მიეყრდნობა ბუხარს). წასულა...

თეო — ცოდვა, ცოდვა!..

ევა — რატომ არ გავალეთ!

დია — სიგიჟე!..

თეო — (ხელების მტვრევით) მე ვიცი ის ვინ იყო!

დია — მე ვიძახებ ბნელში მის სახელს. გავალ... მთელი გულით.
ამოვიძახებ ბნელში... მის სახელს, ეგებ მობრუნდეს.

ევა — (შეშფოთებით) რატომ არ გავალეთ ღროზე!

დია — ნუთუ ისე ძნელი იყო!..

თეო — ჩვენი სულის სახურავი შეიქნა ეს კარი!

ევა — კუბო!.. (სცემს კარზე).

დია — ეს კარები?.. ახ!..

(ისინი შეშფოთებით ეცემიან კარს. ვერ ამჩნევენ, რომელი მათგანი რას-
აღებს. კარი იღება საერთო ხელებით, ისინი გიჟებით იღვრებენ ყელს
და შემკრთალად იცქირებიან ბნელში, საიდანაც შემოიჭრება ქარის
ზუზუნი და წივილი. ასულები ერთხანს ოდნავ კანკალებენ და სდუმან,
მოუსვენრად იცქირებიან ბნელში, ბოლოს რალაცას ამბობენ, მაგრამ ქარის
ღრიალში იკარგება მათი სიტყვები).

დია — შენ ამბობ, რომ... იქ...

თეო — წავიდა ამ ქარში... თეთრი... მაცხოვარი...

ევა — (რალაცას ამბობს).

დია — წავიდა ამ ქარში.

თეო — მაგრამ... გამიგონეთ...

ევა — (ყრქოლით) როგორი სიცივეა! აქ!

თეო — მე ვგრძნობ მიმავალ ფეხებს...

დია — ჩვენ რომ წავიდეთ იქ... უუ, უსაზღვროა სიბნელე!..

თეო — ჩვენ წავიდეთ... ცოტაზე გადავიაროთ...

ევა — (მიღის წინ) ჰო!..

(იცქირებიან სიბნელეში).

დია — საკუთარ ხელებს ვერ ვხედავთ...

თეო — და ჩვენი ხმა სამ ნაბიჯზე არ ისმის...

(ცოტა დუმლია).

ევა — (რალაცას ამბობს ალელეებულად).

ღია — რა?

ევა — ცეცხლი გამოვიტანო!

თეო — ცეცხლი...

ევა — კვარები ავანთოთ!..

ღია — ცეცხლს ავაკიაფებთ კოშკიდან სამი ასული.

თეო — ეს ქარი კიდევ უფრო გააღვივებს...

ღია — გამოვჩნდებით შორიდან!..

ევა — (მხიარულად) ცეცხლი!..

(ღია შემოდის ოთახში და ბუხრიდან მიაქვს ცეცხლი. შემოდის თეო, კუთხიდან აიღებს კვარებს, რალაც სასოებით აანთებს, მიიტანს და დაუ-რიგებს ამხანაგებს, სამივე გადადგამს ნაბიჯს. ევა წინაა. სულიერი განწყობილება იხრებოდა სიცხოვლისკენ, მაგრამ უცბად შევრთებიან და შეჩერდებიან).

ევა — (გონს მოსულიერით გადმოიხრება უკან და შესძახებს) ეს ვინ არის!

ღია — (შეშინებული ხმით) ვილაცაა!

(შეჯჯუფდებიან. ცეცხლმოკიდებულ კვარებს ასწევენ მალა და იქით იცქირებიან).

ღია — კაცია!..

თეო — კაცი...

ევა — (გაუბედავად) ვინა ხარ?..

ღია — (ძრწოლით) მას არ ესმის...

თეო — (ღიას) შენ კანკალებ!

ევა — ვინ არის...

თეო — ამ ქარში და ბნელში დაწოლილა უძრავად...

ღია — (ოთახისაკენ) შევიდეთ...

თეო — მივატოვოთ... მაგრამ ეს დიდხანს იდგა ჩვენს კარებთან...

და ჩვენ რას არ ვფიქრობდით!..

ღია — (გამჭრიახად დააქვრდება იქით) ჰო... ეგებ... (რალაცას ამბობს).

თეო — რა თქვი?

ღია — (ეძახის) ვინ ხარ?

(დუმლია).

თეო — ის ქვასავით წევს... ქარი საშინლად ურტყამს... (მიუბრუნდება) ვინა ხარ?

(დუმლია).

ევა — ვინა ხარ?

თეო — ძლიერ ღრმად სძინავს.

ევა — ჩვენ მივიტანოთ ეს ცეცხლი და ახლოს დავხედოთ...
უფრო... ძლიერ ახლო...

თეო — ჩუმად მივიდეთ და ცეცხლი დავუტოვოთ ახლო, რომ
გათბეს. (ასწევენ მალლა კვარებს).

ღია — ძლიერ დასძინებია...

ევა — ჰო...

(სამივე მიდიან გაუბედავად. ფრთხილად უყურებენ. თანდათან უფრო
ახლო იხრებიან).

სამივე ასული — (ჩურჩულით) უცნაურია...

ევა — მშვიდია... (დაანათებენ უფრო გაბედულად).

თეო — ვაჟაკია... მაგრამ...

ღია — მძინარე...

ევა — მშვიდია, როგორც თეთრი ქვა მწვანე მინდორზე...

თეო — მისი სახე ჰგავს ლოცვით მოქანცულს...

ღია — ეს სუსტია... ეს ჩვენზე სუსტია... ან წმინდანია...

ევა — ჰხედავ რა თმა აქვს და წარბები?! რალაც ღიმილი აქვს
სახეზე. ასეთი ღიმილი არ მინახავს... მე მინდა სულ ვუც-
ქირო!

ღია — (აცქერდება) ძრწოდა... დაიღალა.

ევა — (ზრუნვით) ეს დიდხანს ძრწოდა!

თეო — გაყინულია.

ევა — შენ! ხმას ვერ იღებ? (შეჩერდება) თუ გინდა ამოიღე ხმა. მე
აწი შენი არ შეშინია... სული შეგეკმა?

თეო — ხელით რომ მივეკარო სახეზე, მაშინვე გააღებს თვალებს...

ევა — (ცოცა დუმლით) გააღე თვალები!..

ღია — არ ესმის.

ევა — რატომ! არ ესმის? (დაანათებენ) რა კარგია!..

ღია — ა!

ევა — (შეხება თითებით სახეზე) ცივია...

ღია და თეო — (ფრთხილად შეხებენ ხელს სახეზე) კეთილია...

ევა — (თმაზე მიჯალღერებს ხელით).

ღია და თეო — (კიდევ შეხებენ ხელს).

თეო — გაყინულია...

ევა — (უფრო თამამად და ღონივრად ადებს ხელებს სახეზე. ასულები აანთ-
ბენ ცეცხლს) სული შეგეკმა? გააღე თვალი!

ღია — (ძლიერ წყნარად თქვა რალაც).

თეო — რა ლამაზია... რა წმინდაა.

ევა — შევიყვანოთ... აქ გაცივდება...

თეო — მოსულიერდება და გვეტყვის დიდ მადლობას...

ცეკა ხელს მოჰხვევს. ეხმარებიან. თანდათან უფრო გაბედულად მიჰყავთ და წყნარად დებენ ბუხრის მახლობლად. დია ჰხურავს კარებს. აკვირდებიან უცხოს).

დია — (დააყურებს) ჯაჯოს კი სძინავს...

ეცა — (გატაცებული დაიხრება უცნობთან და ეხება).

დია — (ცეცხლს აღვივებს) ოჰ, რა სითბოა!

ეცა — (ზრუნვით, უცხოს) გამიგონე!..

დია — რად გაგვიწყობა მოქანცული მგზავრი!

თეო — შევიძელით... აი, გვეშინოდა, მაგრამ...

დია — ლამაზი, ვერცხლის იარაღი აქვს... (აკვირდება).

ეცა — (ვალერსება. ძლიერ ახლოს დახრის სახესთან სახეს. დუმილია. ღონდება).

დია — (უცქერის უცხოს) ეს როგორია!..

თეო — მე შეშინია... ვაკვირდები...

დია — რაღაც...

თეო — (ასულმბს) ეს შემოსილია აბრეშუმით და ოქროს ქსოვილებით... მაცხოვარი კი გლახაკის სახით მოდის ქვეყანაზე...

ეს თვალდახუჭულია და უმოძრაო... მაცხოვარი კი ფხიზლად უცქერის ყოველ სიტყვას და მოქმედებას და მის ღია თვალებში ცის აღერსია. როდესაც გაახელს ეს ვაჟი თვალს — შეიძლება მზე და მთვარეს შევადაროთ... მაგრამ ეს მაცხოვარი არაა!..

დია — ძლიერ ნაზი სახისაა ეს და ხუჭუჭი თმა აქვს... ჩემი ძმის სახე სულ სხვანაირია. როდესაც გამობრუნდება ეს და ფეხზე წამოდგება, ბევრად გამოიცვლება... მაგრამ ჩემი ძმა ეს მაინც არაა.

ეცა — (მასთან ზის, ეფერება, როგორც მერცხალი თავის ბარტყს. რაღაც ზრუნვით ჩასცქერის). ეს... ჩემია!..

თეო — (დიას) საოცარ სახეს იღებს...

დია — რამდენად ვაკვირდები, იმდენად თვალს მტკენს.

(დუმილია).

ეცა — (მოუთენინლად ტანჯვით ვალერსება და ვლახარაკება მიმკრალი ხმით). მოსულიერდი...; თორემ მე დავიღუპე... დიდხანს გიცდიდი... შენს ლოდინში ვვალერსებოდი მე ჩიტებს და ყვავილებს.

დია — მე მგონია მართალს ეუბნება...

თეო — დაღონებულია... და თვითონაც ფითრდება იმ ვაჟივით.

ეცა — (მგრძნობიარედ დააცქერდება და ნალვლიან ხმას ამოიღებს გულიდან).

დია — (აიღებს კვარს და მეტ სინათლეზე დააცქერდება უცნობს. სევდით თეოს) შენ გინახავს მკვლარი?

თეო — არა...

ღია — მე მგონია, რომ...

თეო — ა? (აქერდება ვაჟს).

ევა — (ძლიერ შეწუხებულია).

ღია — (მძიმედ) ის მკვდარია...

თეო — ა? (აქერდება დიას, შემდეგ ვაჟს).

ღია — მკვდარია...

ევა — (ზრუნვით) შეშის მოვიტან კიდეც და დიდ ცეცხლს გავაჩა-
ლებ... მეც დავწვები შენთან ჩემი სითბოს გადმოსაცემად...
მაშინ მაინც ამოიღე ხმა, თორემ დავიღუპე... ჩემი გული
მკვდარ პეპელასავით დაიფერფლება...

თეო — (იქტირება მიცვალეხლისაკენ) საბრალო, ეს არასოდეს არ
გაახელს თვალს... არც იგრძნობს...

ღია — ევა ძალიან იჩაგრება.

თეო — ჰო.

ღია — თავის უმანკო გულში მარხავს ევა ამ ვაჟის სიცოცხლეს...
ეს არ ივარგებს. მკვდარი მიწაში უნდა დაიმარხოს!

თეო — თბილი სამარე ქვეყანაზე მხოლოდ გულია.

ევა — მეგობრებო, ეს ჩემი საქმროა... მოვიდა ბაგეშეკრული,
უმოდრაო და გაფითრებული...

ღია — შენ ცნობილობ ამას?.. ნუ... სავალალოა ამის საქმროდ
მიღება.

ევა — ჰკუას სჯერა, გულსაც სწამს.

ღია — ცრემლები დაგვჭირდება... (დუმილია).

თეო — შენ სულ სხვას ნატრობდი, ევა, მის თვალში უნდა დაგე-
ნახა სამოთხის სული, მაგრამ სული ცაში წასულა და მხო-
ლოდ ვერცხლი და ძვირფასი ქსოვილები მოჰყვა გვამზე...
შენ გინდოდა გული გადაგეცია მხიარულ წალკოტად, მან
კი სასაფლაოდ გადაგიქცია გული... და ჩვენ ვიტყვით შენ-
თან ერთად...

ევა — ეს მკვდარია? (აქერდება).

ღია — ჰო!..

ევა — მკვდარი ხომ ქვასავით უსმინარია, უსმინარი!.. (ჭვითიზებს.
მაინც ველაპარაკები... გამიშალეთ თმა...
(უშლიან თმას).

ღია — დაგუბებული ცრემლი სიამით იღვრება...

ევა — ზამთრის ღამეში მოვიდა ჩემთან ციხეში, სადაც სამუდამო
პატიმარი ვარ... მოვიდა და ასე დაწვა ჩემ წინ!..

თეო — დაეიგვიანეთ. ხომ ხედავ როგორ დაეიგვიანეთ...

ევა — (შეშლილივით) დედოფალი ფიქრობს შვილზე. გული უგრძნობს უბედურებას. მისი სევდა ამ ქარში ისმის. მეფე წუხს, რომ მისი ძე ალმა მოიტაცა და მოჰკლა — მე ხომ არ ვარ ალი და მავნე სული.

თეო — ჩვენ ვიზიარებდით შენს იმედებს, გავიზიარებთ შენს სევდასაც... საბრალო ევა!.. (ტირის).

ღია — ეს გარგუნა უძილო ღამეებმა! (ქვითინებს).

ევა — (ნება ცხედარს) წმინდავ და გაფითრებულო!

თეო — რად გაგირისხდა ღმერთი, დაო!

ევა — (ჰკოცნის ცხედარს) ეხლა საით წავიდე, როგორ ვხატავდი ჩემს იმედებს... სადაც ღამაზე ყვავილს ვნახავდი, შეფვრფინავდი, ვადარებდი ჩემს ოცნებას და არ ვშორდებოდი, სანამ ჩემი იმედი იმ ყვავილზე ღამაში არ შეიქნებოდა!.. მე შენს შესახებდრად ვცხოვრობდი! ჩემს ფიქრს ვისმენდი ტყის ღუმელში და, როდესაც ტყის სიჩუმეზე უფრო ღრმად და დაუსრულებლად წარმომიდგებოდა ჩენი შეხვედრის ღუმელი, მაშინ მოვითქვამდი სულს და მთელი ღამე ჩემს თვალეში ღიმილი იყო... (შეჩერდება) და წმინდა იყო ჩემი სიცოცხლე... შენს მაგიერ ლურჯ ცას ვუცქერდი... ლურჯი ცა მელერსებოდა და მჯეროდა, რომ ბედიც ისე გამიცინებს ქვეყანაზე... მაგრამ ეხლა მე შეძნელება ამ დახურულ ქუთუთოების ქვეშ მოვნახო შენი თვალები...

(მეორე ოთახში რაღაც ხმაურობაა. ღია და თეო შეკრთებიან ამ ხმაურობაზე).

ევა — საძაგელმა ქარებმა ყინვიანი ხელებით გძლიეს სიბნელეში. (ისმის მეორე ოთახიდან ხმაურობა).

თეო — ჯაჯო აღვა...

ღია — (შემკრთალი) ჯაჯო!.. მოდის...

ევა — (განაგრძობს) შენ კართან ქვითინებდი — მე კი ვშეშდებოდი. სუსტი ვარ... მაგრამ მთელს ქვეყანაზე ისე არავის არ მონდომებია ბედნიერება როგორც მე!.. მაგრამ ახლა ვწყველი ჩემს გულს, ჩემს ხელებს... და ვწყველი იმ ქარებს...

ღია — (უბნად) შესწყვიტე ტირილი!..

თეო — ჯაჯო მოდის!..

ევა — (გაბრუებული) ა?

თეო — დავმალეთ მკვდარი!..

ევა — (ხრუნვით, მიცვალბულს) შენს მეტი ვინ მოვიდოდა ისე შეწუხებული!

- დი ა — დავიღუპეთ... არც ვიციტო ეს ვინ არის!.. ვის გტირით...
იქ ჯაჯოა... დავმალოთ...
- ე ვ ა — ჩემი ხელები ჩამჰკნარ ვარდებივით ჩამოცვივდა... როდესაც ეს კარებთან წუხდა, ურტყამდა...
- თ ე ო — გაიგონე! გესმის ფეხის ხმა!
- ე ვ ა — ა...
- დი ა — (მწუხარედ) ჯაჯო კარებთანაა.
- ე ვ ა — აქ ნუ შემოვა!.. უთხარით შეჩერდეს! თქვენ კანკალებთ?..
- დი ა — შეიშალე?..
(დია და თეო შეწუხებულ-შეშინებული მიდიან).
- ე ვ ა — (ხრუნვით ველება მიცვალებულს) შენ დიდხანს გირტყამდნენ ქარები?! (კოცნის) ო, გხედავ და ვჰკნები... და ვწყველი მთელ ქვეყანას... იმიტომ, რომ ამ დიდმა ქვეყანამ, მე, პატარას, მთელი თავის სიავე დამატება.
(მოისმის ჯაჯოს მრისხანე ხმა, კარი იღება).
- ე ვ ა — (იფარავს მკედარს. ძლიერად გასძახის) გაბრუნდი, არწივის ბრტყალები მაქვს!..
(ისმის შორეული საყვირის ხმები. შემოდის დია).
- დი ა — ქედლიდან ლაშქარი ეშვება ალბათ, ეს ვაჟი დაჰკარგვიათ და საყვირით უხმობენ.
- ჯ ა ჯ ო ს ხ მ ა — კარი დახურეთ სინათლეზე არ მოგვაგონ!..
- ე ვ ა — (გამძვინვარებული იტაცებს ბუხრიდან ანთებულ კვარს, ატრიალებს კარში და კივის) ვაი, ცოლდა!.. უბედურება!.. (შემოდის თეო).
- ჯ ა ჯ ო ს ხ მ ა — დავიღუპეთ!
- დი ა — აჰა, ტყის ბერი კოშკიდან გადავარდა!..
- თ ე ო — ჯაჯოც შიშით თავს იკლავს.
- დი ა — გადავრჩით!
- ე ვ ა — მოდით დამსაჯეთ, მე დავღუპე მშვენიერი მეფის ძე!..
(პასუხად მოისმის საყვირისა და ლაშქრის ხმები).

ფ ა რ დ ა



კობეღია
რთხ მრეღეღეღეღ

მოსმედი პირნი:

გერახიმე — სოფ. ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ციცინათელა — მისი ქალიშვილი

მამისთვალე — ციცინათელას საქმრო, კოლმეურნე

ბადრი — ქარხნის მუშა-გამომგონებელი

ხათუნა — მისი ცოლი

კოკოლა — ქარხნის ცეხის უფროსი

ზიძინა — სოფლის მეურნეობის მუშაკი, შემდეგ რაიკომის მდივანი

აფრასიონი — თანამდებობის პირი, შემდეგ მოხსნილი

ზუპი — გერასიმეს და

ქიშვარდი — მისი ქმარი, კლუბის გამგე

ენუქა — კოლმეურნე

ტახო — ხათუნას დედა. ინჟინერი. რევიზიის ხელმძღვანელი

ერმილე

ეგნატე

} რევიზორები

დირექტორი ქარხნის, მუშები, კოლმეურნეები.

მოძველება პირველი

სოფ. ახალსოფლის კოლმეურნეობა „აღმავლობას“ თავმჯდომარის გერასიმეს ეზო წინ აივნინანი ოდა. გვერდიუ ბალში შესასვლელი. შემოდის ენუქა.

ენუქა — ეზოში არაეინაა, ვის დაეუძახო? ციცინათელა დაქალი-
შვილდა, პუპი ამაყობს — თავმჯდომარის დაი ვარო, შინა-
მოსამსახურე ყრუ ყავთ. ოო, ასე სჯობს: ყრუს დაეუძახებ
და ვისაც ესმის — გამომხედავს. (გძახის) სადუქია!.. (გამოდის აი-
ვანზე პუპი).

პუპი — ენუქიე ხარ!..

ენუქა — დიახ, სანამ შენი ძმა თავმჯდომარეა, ენუქიე ვარ, მერე
კი ენუქას დამიძახებ.

პუპი — რად გწყინს, ბიჭო, გეთამამები, რა ბუზლუნა ხარ, შე
უბედურო. როგორ გიძლებს ცოლ-შვილი!

ენუქა — ცოლ-შვილის არ მეშინია. წელს მუშაობით დაქვანცე
და ვერ მერევიან.

პუპი — ეპ, ჩემი ქმრის არ იყოს, ენამწარე ხარ, თორემ ავი გუ-
ლი არა გაქვს. ზოგიერთებივით, საჩივრებს არ გზავნი ზევით,
გერასიმეზე.

ენუქა — ვინც გაგზავნა, რა გამოუვიდა?

პუპი — თქვენს საქმეს კი აწყობს ის უბედური, მხოლოდ თვი-
თონ გაამწარა ცოლის სიკვდილმა. რა კედელი დაენგრა!..

ენუქა — სამაგიეროდ შენ ეშველები, პუპი.

პუპი — მე ჩემი ოჯახი მაქვს.

ენუქა — კი, როგორც იქნა, მოგვიანებით გათხოვდი, მაგრამ
ქმარი აქეთ მოიყვანე ოჯახში.

პუპი — მოგვიანებით!..

ენუქა — არა, სიტყვაზე ვამბობ, ისე — ძმისთვის ძვირად კი
ღირხარ.

პუპი — დიახ, გერასიმეს მტრებს არ გავახარებ. ქვრივებს არ
ჩამოუშვებ ამ ეზოში, გულზე გასქდენ.

ენუქა — რა დაგიმალა-და, ქალიშვილებიც გემდურიან.

პუპი — რისთვის?

ენუქა — შენზე ახალგაზრდა რომ შეირთე და აქ კლუბის გამგედ მოაწყვე.

პუპი — უყურე იმ უმადურებს! ჯერ ერთი, ქიშვარდი რა ჩემზე ახალგაზრდაა, მერე, მაგათ ცეკვა-თამაშს ასწავლის, შინ კი მშიერი მუცელი მოაქვს. ეჰ, ისევ ჩემს საქმეს მიეხედავ, თორემ შენ თუ ყური დაგიგდე, მთელ სოფელს შემაძულებ. (აპირებს წასვლას).

ენუქა — მოითმინე, გერასიმე სახლშია?

პუპი — არა.

ენუქა — მაშ, სად არის? დამიბარა, — ფერმაში გამყევით.

პუპი — არ იცი ვინ გვესტუმრა!.. — რაიკომის მდივანი ბალში ზის.

ენუქა — უჰ!..

პუპი — მისი ცოლისძმა კოკოლა, აფრასიონი და ქარხნის დირექტორი მეურნეობას ათვალეირებენ.

ენუქა — მაშ, დღეს კარგი პურ-მარილი გექნებათ.

პუპი — კი, ბალში იშლება სუფრა. სამზარეულოში სხვა სიკეთესთან შევლიც იწვება.

ენუქა — ეჰ!

პუპი — თუ გცალია, მზარეულს ცეცხლზე დაეხმარე!

ენუქა — როგორი ცეცხლია, თუ გასინჯე?

პუპი — ეს რა პასუხია!

ენუქა — აბა მე ცეცხლზე მპატიჟობ და სხვებს შემწვრებზე?

პუპი — ეჰ, შენ და ქიშვარდის ისეთი ენა გაქვთ, გოქს ვერ შეწვავთ, თორემ მაგ ლაპარაკით კაცს გულს დაუწვავთ. (მოისმის ბალის მხრიდან სტვენა, სიმღერა და ბიჭების ღრინაცელი).

ენუქა — ციცინათელას ხმაა!

პუპი — (იხედება ბალში აივნებიდან) ოო, ისაა, ღობის იქით სოფლის ბიჭებს აღიზიანებს.

ენუქა — ჯერ ბავშვობას არ იშლის.

(შემოდის ციცინათელა. ხელში ჩიტი ყავს. მოისმის ბიჭების ყვირილი).

ბიჭების ხმა — ჩვენი ჩიტი! ჩვენი ჩიტი!.. ჩვენს მახეში გაება!

ციცინათელა — მერე, ჩემს ბალში რატომ აგებთ მახეს!

ბიჭების ხმა — ჩიტი მოგვეცი!..

ციცინათელა — (ჩიტზე) უი, როგორ უცემს გული ამ საცოდავს.

არა თქვენ ამ ჩიტს არ გაწვალებინებთ, თავის ბუდეში ვუშვებ. (უშვებს ჩიტს) ფრრ!..

ბიჭების ხმა — (ღრიალებენ) გა-ფრინ-და!..

ციცინათელა — (აჯავრებს) გა-ფრინ-დაა!..

ბიჭების ხმა — (ღრიალებენ).

ციცინათელა — (აჯავრებს) ვეე!..

პუპი — დაიკარგეთ აქედან! ეზოსთან ნუ ღრიალებთ, სტუმრები მოდიან!

ბიჭების ხმა — ჩიტი აგერაა. ვერ ფრინავს. ქვა ვესროლოთ, ქვა მოვარტყათ!

ციცინათელა — ა, არ მოკლათ, თქვე საძაგლებო! მაცალეთ! გადავრეკავ აქედან ამ მავნებლებს. (ციცინათელა მიდის).

პუპი — აი, ვის აყვა ამოდენა გოგო. მოაბრუნე, ენუქა, სტუმრები დაინახავენ, სირცხვილია.

ენუქა — ეჰ, მაგის მოთურგენა თუ გინდათ, პატრონს ჩააბარეთ.

პუპი — ვის ჩავაბაროთ, სანთელივით შეეცქერით ერთ ქალი-შვილს!

ენუქა — შენ რომ თქვი კოკოლა აქ არისო, — მესამეჯერ რისთვის გესტუმრათ?

პუპი — უყურე, რა შქირდავია ეს სოფელი! ვითომ, ცუდი ბიჭია?

ენუქა — როცა მისი სიძე წავა რაიკომიდან, ღირსება მერე მომიყვებით. ახლა — მშვიდობით.

(ენუქა მიდის. შემოდის ქიშვარდი და ციცინათელა).

ციცინათელა — მამიდა, მიშველე, წყალი! წყალი, მამიდა!

პუპი — (შეშფოთებული) რა ამბავია, გული უწუხს?..

ქიშვარდი — (მშვიდად) არაფერია, ბავშვებმა კენჭი მოარტყეს კოჭში.

პუპი — უი!.. კიდეც აჩნია. (ცხირსახოცით უხვევს ფეხს).

ციცინათელა — მეტი არაფერი?!

ქიშვარდი — მერე კოკოლამ დასამშვიდებლად თავზე აკოცა.

ციცინათელა — შუბლზე მისი ნიკაპი მომედო. არა, როგორ გაბედა! (შუბლს მოიწმენდს ცხირსახოცით და გადაადგებს) იცი, რას გუზამ!

ქიშვარდი — გეფიცები, ციცინათელა, გულუბრყვილობით მოუვიდა, ბოდიში მოიხადა და ყველამ სიცილი დააყარა.

ციცინათელა — ვითომ?

ქიშვარდი — როგორც ბავშვს, ისე მოგეფერა, არც ახსოვდა თუ მოზრდილი იყავი. მერე ესეც დაუმატა — არ ვიცოდი, ვინ იყო, — ღმერთმანი!

ციცინათელა — მართლა?

პუპი — არაფერია, ჩემო მოჩოთო, დაივიწყე. წამოდი, მხოლოდ სტუმრებთან დინჯად იყავ, კოკოლასთან არ შეგვარცხვინო.

ციცინათელა — ლაფიცი დავასხი თავზე თქვენს კოკოლებს!
პუპი — მაშ, არავის მოერიდები?

ციცინათელა — არა.

პუპი — მამასაც გაასივებ გულზე?

ციცინათელა — არა, მე სწორედ ეს მწყენია, რომ მამას თავი მდაბლად უქირავს, ისინი კი მაღლიდან უყურებენ, — რა უფლებით, ერთი მითხარით, — ისინი მამაჩემის ფრჩხილადაც არა ღირან.

პუპი — ეს მომწონს, მამა რომ ასე გიყვარს, მაგრამ სხვებსაც არ უნდა ჰქრათ წიხლი!

ციცინათელა — სულ გაბერილი გულებია.

ქიშვარდი — არა, კოკოლაზე ამას ნუ იტყვი.

ციცინათელა — მაშ, მამაჩემს ადარებ იმ...იმ...ოოო, ახლა მივხვდი, ჩემო ბიძია, რისთვის აქებ!

ქიშვარდი — რისთვის?

ციცინათელა — ყოველ მის მოსვლაზე რომ დიდი სუფრა იშლება, ეს გახარებს.

პუპი — უი, მგონია, მართალია. წავიდეთ სანზარეულოში, დავხედოთ რა კეთდება.

ქიშვარდი — ო, ეს სასიამოვნო სანახავია. (იხედება იქით) ეჰ, ვინ მოდის! შენც წამოდი სანზარეულოში, ციცინათელა, თორემ ის მათხოვრები სულს შეგიწუხებენ.

ციცინათელა — მათხოვრები სადაა?

ქიშვარდი — ვერ ხედავ ყორეს რომ მოადგნენ!

ციცინათელა — ესენი ქარხნის მუშებია; მამისთვალს და ბადრი.

ქიშვარდი — კოქებში ვატყობ დაყნოსეს, რომ აქ უფროსებია და რამეს სათხოვრად მოძვრებიან. გავასწროთ, სანამ დაგვეღრიჯებიან.

ციცინათელა — წადით, წადით, მე მაგათი არ მეშინია.

(პუპი და ქიშვარდი მიდიან. შემოდინან მამისთვალს და ბადრი. აპირებენ მიესალმონ ციცინათელას).

ციცინათელა — არ მომესალმოთ, ხელი არ ჩამომართვათ, არა! ბადრი — რატომ?

ციცინათელა — ახლა თქვენზე ისეთი სიტყვა გავიგონე, გული გადამიტრიალდა.

მამისთვალსი — რა, იმ ღვარძლიანებმა გულზე გაგხეთქეს!.. არაუშავს, ჩვენ ისეთ ნერგებს ვგევართ, რამდენად ღრმად

დაგვემარხვენ, იმდენად მალლა გავიზრდებით. (ბადრის) ცოტა უნდა წავიტრაბახოთ ქალთან.

ბადრი — (მამისთვალს) ეჰ, ჩვენი ფასი არ იციან, თორემ ტრაბახი რად გვინდა.

ციცინათელა — ჯერ ეს მითხარით — რისთვის მოდიო?

ბადრი — გავიგეთ, რომ ჩვენი ქარხნის უფროსი და რაიკომის მდივანი აქ არიან.

ციცინათელა — მერე, მერე, სათხოვარი ხომ არა გაქვთ?

მამისთვალი — კი, აი, ბადრი, ხომ გითხარი, გულთმისანია-მეთქი, როგორ მიხვდა.

ციცინათელა -- მე კი არა, თქვენმა მოძულემ მიხვდა. გასაოცარია, ღმერთმანი, ვინც რამე ცუდს მეტყვის თქვენზე, მაშინვე მართლდება. მე კი სულ კარგს ვფიქრობ და მუდამ სიზმრად რჩება. სად არის ჩემი ქეუა, ბატიც არაა ჩემზე სულელი ამ სოფელში.

მამისთვალი — (ბადრის) რა წიწმატი უქმეგია ვილაცას!

ციცინათელა — ეს მითხარი, მამისთვალ, დაგაწინაურეს?

მამისთვალი — (თავს აქნევს უარის ნიშნად).

ციცინათელა — მაშ, ბინა?

მამისთვალი — ოსტატებს დაურიგეს, მე კი რადგან ხარისხი ვერ მივიღე, საერთოში ჩავრჩი.

ციცინათელა — რა გაიგონა ყურმა!..

მამისთვალი — ჩვენ კიდევ რა გვიჭირს, ციცინათელა, დაქორწინებული არ ვართ. ეს კი, ეს საწყალი, ისეთ დღეშია, ამის სიდედრი ჩამობრძანებულა ქალაქში.

ციცინათელა — ჩამოსულა! მერე?!

მამისთვალი — გაუგია, რომ მისი მივლინების დროს ქალიშვილი ამაზე დაქორწინებულა და ისე იფოფრება, თითქო შინ მკვდარი დახვედროდეს. ის წყეული მეზობლებიც, თურმე, სამძიმარს უცხადებენ.

ციცინათელა — ნეტავ მისი ენა დამაჩხვლევტინა!..

მამისთვალი — ვისი?

ციცინათელა — ვინც თქვენზე თქვა მათხოვრები მოდიანო, ენამ როგორ უყივლა!..

მამისთვალი — კარგი, აწი დამშვიდდი და დატკბი, ციცი-ნათელა!

ციცინათელა — რამ დამაწყნაროს. ამ ბოლოს მაგონებენ გასათხოვარი ხარო, და როცა მკითხავენ ვის მიგათხოვოთო, მეც ეშმაკურად ვუპასუხებ — ვისაც მამა ისურვებს-მეთქი.

მამის თვალი — ეს რა პასუხია!

ციცინათელა — აბა, საიდუმლო რომ გაგვიგონ, ისეთი კვილი ატყდება ამ ეზოში, ტურის ქორწილი გეგონება.

მამის თვალი — იმოდენა ტყუილიც არ უნდა თქვა, რომ თვითონვე გაება.

ციცინათელა — ტყუილი სულ არ მიფიქრია. მართლა უნდა იქვე ისეთ კაცად, მამამ მითხრას, მამისთვალს გაჰყვიო.

მამის თვალი — მაგას არ გეტყვის.

ციცინათელა — ახლა ვატყობ არ მეტყვის, აქამდე კი მეგონა.

მამის თვალი — რა ვქნა, ციცინათელა, თვალი ამომიღამდა იმ ქარხანაში და მეტი რა ვქნა... შენ კი უწყალოდ მექცევი.

ციცინათელა — უწყალოდ? ასე აფასებ ჩემსას?

მამის თვალი — კი, ისე მეფერები, როგორც ბავშვი თოჯინას, ხან თავს მომიგრებ, ხან კისერს და, ბოლოს, დამახინჯებულს გადამაგდებ.

ციცინათელა — უი, რა ჰქონია გულში დაგუბებული, უი, სადაა საშველი. მე თუ ჩემს დედას არ ამოვუწვევ გვერდით!..

მამის თვალი — ეე, ხომ გითხარი თოფისწამალია-მეთქი!

ციცინათელა — აბა, რად თქვი — უმოწყალოვო.

მამის თვალი — ხომ გახსოვს, რომ შენი ხათრით დავემორჩილე გერასიმეს.

ციცინათელა — ასეც უნდა ყოფილიყო, აბა, მამას დაჩაგვრას უპირებდი და შვილს მეფიცებოდი?

მამის თვალი — ჩემი სიმართლე არ უნდა მეძებნა? ნუ გგონია ბრძოლა არ შემეძლო. შენ მოგერიდე, თორემ ცეცხლს შევუწებდი.

ციცინათელა — მაშ, ის მტყუანი ყოფილა და შენ გაიმარჯვებდი, არა!

ბადრი — რას გაიმარჯვებდა, როცა გერასიმეს იმოდენა დამცველები ყავს.

მამის თვალი — ვიყვირებდი მაინც, მაგრამ შენი ხათრით გაეჩუმდი, ყველაფერი დავთმე და ვწვალობ, შენგან კი მოფერების აშკარა ნიშანიც არ მაქვს.

ციცინათელა — რა ნიშანი, კოცნას ხომ არ იფიქრებდი, ისეთი უზრდელი არ ვართ.

მამის თვალი — არა... თუმცა სიყვარულის პირობაზე რამე ბეჭედი კი უნდა დაგეკრა.

ციცინათელა — ჩენი ბექელი ბადრი არის. მე ძმა არა მყავს, ეს ჩემი ნათესავია და სხვა მოწმე არ მინდა.

მამისთვალი — მეც ვენდობი და თქვას, თუ შეუძლებელს არ მთხოვ.

ციცინათელა — რაა შეუძლებელი?

მამისთვალი — ისეთი ჯაღო სად ვიპოვო, მამაშენს თავი შევაცვარო?

ციცინათელა — აბა, როგორ იქნება?

მამისთვალი — ან ერთი უნდა დათმო, ან მეორე.

ციცინათელა — გესმის, ბადრი?! კაცმა შენი დასწრებით ფიცი დამადებინა. როგორც უფროს ძმას დაგიჯერე და ახლა მლაღატობს. უთხარი, რაც ეკადრება, უთხარი. შენი დანი არა ვარ, უყვირე.

ბადრი — ეჰ! თქვენ ისეთ რამეზე კამათობთ, ხელად შერიგდებით, მე კი მართლა საკითხავი ვარ.

ციცინათელა — რა შემარიგებს, როცა გზას მიჭრის. (ბადრის) ახლავე დაიბრუნე სიტყვა, თორემ... დედა, რა უფსკრულში ჩავევარდი... რა მიწა გამისქდა... როგორ დამიბნელდა... არაფერი არ მინდა, არაფერი... (ტირის).

მამისთვალი — მგონია ავატირე. ა... სასწაულია.

ბადრი — უჰ!

ციცინათელა — აბა პიმპილი რომ დამანაყე, ქალი ვარ, ქვიჯა ხომ არა ვარ.

ბადრი — მართალია, უხეშად ექცევი.

ციცინათელა — არ იცი, რომ გულში ხარ შეპარული, ასეთი სახრეს ტრიალი შეიძლება!

მამისთვალი — კარგი, მტყუანი ვარ. მითხარი რაც გინდა.

ციცინათელა — ვერც შენ დაგთმობ და ვერც მამაჩემს, იცოდე.

მამისთვალი — კარგი, თანახმა ვარ. მხოლოდ მამაშენს რომ წარმატებული სიძე უნდა — რა ვუყო!..

ციცინათელა — რატომ ვერაფერს გახდი. (ბადრიზე) ეს ხომ ოსტატია, ამბობდი ხელს შემიწყობს და დაეწინაურდებო.

მამისთვალი — ნეტავ მაგ არ მეფიქრა — პირწმინდად ამოვაგდე ეს კაცი.

ციცინათელა — როგორ?

მამისთვალი — ამ ბოლოს ამას თავის საქმეც მოაწვა და მეც მებმარებოდა ოსტატად გავეყვანე. ორივეს ვერ გაწვდა და თავის გამოგონების გამოცდაზე კოკოლა მოიშველია.

ბადრი — ის კი არ მკირდებოდა, მაგრამ როცა შენ გეხმარებო-
დი, საქმე ხელიდან გამომართვა.

მამისთვალი — ჰო, კოკოლა პირდებოდა, თითქო ამაზე უკეთე-
სად ჩაატარებდა ცდას.

ციცინათელა — მერე რა მოხდა?

მამისთვალი — ცდა არ გამართლდა, ქარხანას ზარალი მოუ-
ვიდა და ეს მოხსნეს.

ციცინათელა — მოხსნეს?

მამისთვალი — უბინაოდაც დარჩა, ცოლი კი სწერს დედას
უნდა გამოვექცეო.

ციცინათელა — ასეთ ჭირში ჩააგდე?

მამისთვალი — ამისთვის გადმოვევარდი. გვინდა ხალხს ვთხო-
ვთ ღირექტორთან გვიშუამდგომლონ.

ციცინათელა — მაშ, თვითონ უბედურად დარჩი და ეს ბიჭიც
დალუპე!

მამისთვალი — აბა!

ციცინათელა — მერე, რა გულით მოიცალე აქ ჩემთან საქიკვი-
კოდ, კაცი დაგიღუპავს და მის თვალწინ ალერსი გამიმართე.

მამისთვალი — რას ეძახი ალერსს, ტირილი რომ ატეხე!

ციცინათელა — ამნაირი ატირება შენთან, ბიჭო, მენატრებო-
და, მაგრამ ახლა ამის დრო გვქონდა! საჩქაროდ უნდა დავ-
ტრიალდეთ, გესმით! ხომ გინახავთ ჩიტები, როცა მათ ბუ-
დეს უნგრევენ, როგორ იფოფრებიან, ჩვენ კი ოჯახის დაქ-
ცევას ასე შევხვდეთ?!

მამისთვალი — ჩვენ რაიკომის მდივანს ვთხოვთ, შენ კი გერა-
სიმეს შევხვეწე.

ციცინათელა — უი, ძმაო, შე საცოდავო, ამისთვის გიყვარდა
მამისთვალი და ამისთვის მიქებდი, რომ ასე გაგაუბედუროს!
(შემოდის ქიშვარდი).

ციცინათელა — აი, ქიშვარდისაც თხოვეთ.

მამისთვალი — არა, მაგ ისეთი კაცია, მარტო სუფრაზე გითა-
ნაგრძობს.

ბადრი — ჰო, სხვისი ჭირი, ლობეს ჩხირიო.

ქიშვარდი — (თავისთვის) ისე დაფეთებული იყურებიან ჩემკენ,
როგორც ბოსტანში ჩაპარული თხები. (ციცინათელას) მამი-
და გეძახის.

ციცინათელა — არ გამიგონია.
(შემოდის გერასიმე).

ქიშვარდი — აი, მამაც მოვიდა, გოგო.

გერასიმე — იქეთ საქმე როგორ არის?

- იშვარდი — მზარეული ჯარასავით ტრიალებს.
- ციცინათელა — (მამისთვის და ბაღრის) წავიდეთ და ჩვენთვის მოვილაპარაკოთ. (აპირებენ წასვლას).
- გერასიმე — ციცინათელა ეხმარება მამიდას?
- ციცინათელა — ჯერ არ მცალია, მამა, მერე მოვალ.
(ციცინათელა, მამისთვის და ბაღრი მიდინან).
- ქიშვარდი — უყურე, ვის აყოლია!
- გერასიმე — მამისთვის აქ რა უნდა?
- ქიშვარდი — (სცენის იქითგან) ხედავ, აგერ, ბიძინას შეეგება!
- გერასიმე — ალბათ შეიტყო, რომ ბიძინა აქ რევიზიას მიკეთებს და საჩივლელად ჩამოვიდა. გაიგე რას ელაპარაკება, მე სამზარეულოს გადაეხედავ. (გერასიმე მიდის. შემოდინან მამისთვის და ბიძინა).
- ბიძინა — მეზობელ მეურნეობებშიც ვნახე, მამისთვის, შენი დაგზავნილი ნერგები, კარგად გაუხარებია.
- მამისთვის — დიახ, ერთ ღროს ძალიან ბევრი დავარიგე.
- ბიძინა — მერე რატომ გადადი ქარხანაში?
- მამისთვის — აბა, რაც აქ ნერგები გავახარე, შევატყვე, ყველა ჩემს გასაწეკვლად იზრდებოდა და ასეთ უმადურებაში როგორ-ღა მემუშავნა.
- ბიძინა — ვინ გეპყრობოდა უმადურად?
- მამისთვის — რა მოგახსენო... ისე, სანერგეში მუშაობაზე მოხსენებითი ბარათი გამოგზავნე. კარგა ხანს ვწერდი იმ ბარათს.
- ბიძინა — კეთილი, იმ მოხსენებას გამოვითხოვე და გავეცნობი.
- ქიშვარდი — (მათ უახლოვდება) სახლში შემობრძანდით, პატივცემულო ბიძინა, აგერ სხვა ამხანაგებიც მოვლენ.
(შემოდინან კოკოლა, აფრასიონი და დირექტორი).
- ქიშვარდი — ო, მობრძანდით, კეთილებო! (ბიძინას) გაიცანით!
(უთითებს დირექტორზე, მაგრამ აფრასიონი წამოიწვია წინ).
- აფრასიონი — შე აფრასიონი ვარ.
- ქიშვარდი — დიახ, ეს აქ კოლმეურნე ვაჟი იყო, მაგრამ დღეს ერთი სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილეა.
- აფრასიონი — ახლა ახალ თანამდებობაზე გადამიყვანეს.
- ქიშვარდი — ეს ქარხნის დირექტორია, ეს კი — ცეხის უფროსია — კოკოლა. თუ წამობრძანდებით, რაიკომის მდივანს ბაღში ნახავთ.
- ბიძინა — გმადლობთ, ჯერ გერასიმეს ნახვა მინდა, თან, მეჩქარება.

ქიშვარდი — ის სახლშია, ბატონო, შემობრძანდით ოდაში!
(ბიძინა, ქიშვარდი და დირექტორი მიდიან ოდა-სახლში. მამისთვალის კო-
კოლას უახლოვდება).

კოკოლა — შენ აქ რამ მოგიყვანა?

მამისთვალის — არ მინდოდა ამ ეზოში ჩამოსვლა, მაგრამ გაქიე-
რებამ დედოფალთან დამაწვინაო... ციციანთელას ვუცდი, —
ბადრის შესახებ ერთად უნდა ვთხოვოთ დირექტორს.

კოკოლა — ოო, კრინტი არ დაძრათ მასზე, თორემ სულ გააფუ-
ქებთ საქმეს.

მამისთვალის — რატომ?

კოკოლა — მე მაცალეთ. მოლაპარაკებულნი ვარ ამხანაგებთან და
ყველას დავიხმარ მაგ საქმეზე. ციციანთელამ ხმა არ ამოი-
ლოს, თორემ დირექტორს გააღიზიანებს და მერე ვერ ვუშველი.

მამისთვალის — შენ გახდები რამეს?

კოკოლა — იმედი მაქვს ვუშველი. ეს საქმე ახლა გადაწყდება.
ბადრი მოვიდეს პასუხის მისაღებად.

მამისთვალის — ო, ადგილის კურდღელს ადგილის მწვეარი
დაიჭერსო. — შენ უკეთ იცი საიდან მოუარო.

კოკოლა — თქვენც უნდა დამიჯეროთ.

მამისთვალის — კარგი. ახლავე ვეტყვი ბადრის.
(მამისთვალის მიდის).

კოკოლა — სხვა, როგორ ბრძანდებით, პატრიცემულო აფრასიონ,
ორი წელიწადია არ მინახავხარ.

აფრასიონის — გამოვიცვალე, არა?

კოკოლა — რაღაცა, გადიდკაცებული ხარ.

აფრასიონის — მერე, ვითომ, არ მშენის?!.

კოკოლა — ო, ძალიან იშნოვებ. კიდევ რა მიკვირს, იცი? ჩემი
სიძეც ასე კარგად ახერხებს ტყავის გაკიშვას — იმავე ქალაქ-
ში, სადაც წინათ ყველას ეკრიკებოდა, ახლა მეხივით დადის,
ვერავენ ივალს ვერ უსწორებს... ჩემი დაც ისე მედიდურად
უყურებს მის პირველ ცოლ-შვილს, თითქო ისინი უნდა წითლ-
დებოდნენ.

აფრასიონის — ოო, შენ, კოკოლა, ვის არ გაკიცხავ. მგონია,
მეც მომინახო ნაკლი.

კოკოლა — არა, შენ ისე მიდიხარ წინ, მალე დამჭირდები. ახლა
აქ რისთვის ჩამობრძანდი?

აფრასიონის — აქაურებს უნდათ ჩემთან შეხვედრა.

კოკოლა — ოო! მე ორ-სამ კაცს რომ აფუხვით თვალი, ისიც მი-
კირს, შენ კი... ბარაქალა შენს ვაგაკობას!..

აფრასიონი — კიდევ ერთი საქმე მაქვს და ამაში შენც გამო-
მადგები.

კოკოლა — თუ რამე შემიძლია!

აფრასიონი — წელან იმ კაცს უთხარი ბადრის დავებმარებო.

კოკოლა — დიახ, შეეპირდი, მაგრამ უნდა გამოგიტყდე, ვერ
შევასრულებ... შენც ნუ დაიცავ ბადრის, ძალიან გთხოვ.

აფრასიონი — რას დავზოგავ — ჩემი მეზობლის ქალიშვილი
დალუპა.

კოკოლა — როგორ?..

აფრასიონი — ისეთ დროს გააბრიყვა და შეიერთო, როცა დედა-
მისი მოსკოვში იყო მივლინებული. ახლა მშობელი ჩამო-
ვიდა და ქალიშვილი სახლიდან გაიპარა.

კოკოლა — რას ამბობ!

აფრასიონი — გუშინ დედამისს შეეპირდი მოვნახავ და მოვიყ-
ვან, თუ ჩემთან დააყენებ სამსახურში - მეთქი!

კოკოლა — შენ რად გჭირდება?

აფრასიონი — კარგი შესახედავია და ვის არ უნდა თავის ეზო-
ში ყავდეს ფარშავანგი!

კოკოლა — ოო, მამ არ გეწყინება, რომ მოვხსნა ბადრი ქარხ-
ნიდან?

აფრასიონი — რასაკვირველია, როცა უსაქმოდ დარჩება, ცო-
ლიც ადვილად მოშორდება.

კოკოლა — უბრალოდ რომ გავაგდო, ეგებ სხვა ქარხანაში შეძე-
რეს. წე მინდა ის კოლექტივში გადმოვიყვანო, რომ ქარხა-
ნას სამუდამოდ მოშორდეს.

აფრასიონი — მერე, სოფელში რომ მოეწყოს თავისი ცოლით?!

კოკოლა — არა, აქ ისეთი ქობი აქვს, ცოლი არ მოუტდის, ამი-
ტომ დამეხზარე, აფრასიონ.

აფრასიონი — შენ რად გადაეკიდე იმ კაცს?

კოკოლა — ერთი გამოგონება მაქვს ქარხანაში და იმაზე მეცი-
ლება, არც ესმის არაფერი.

აფრასიონი — როგორ გიბედავს! არ იცის, რომ ძლიერი პატ-
რონი გყავს, იმ სულელმა?.. თუმცა... შენ თვითონ ხომ არ
ართმევ მას?.. სიმართლე თქვი.

კოკოლა — რა გააჩნია, რომ წავეართვა!

აფრასიონი — მესმის.

(შემოდინ სახლიდან გერასიმე, ქიშვარდი და დირექტორი).

გერასიმე — დაღლილი იქნებით, ჩემო სტუმრებო, თორემ ფერ-
მასაც გაჩვენებდით.

კოკოლა — არა, ბევრი რამ ვნახეთ. სწორედ ძალიან გაძღა თვალი.

ღირექტორი — აქამდეც ვატყობდით, რომ მაგარი კოლმეურ-
ნობაა. აქედან საუკეთესო მუშები მივიღეთ ქარხანაში.

კოკოლა — მხოლოდ ერთმა დაგვაზარალა.

ღირექტორი — რომელმა?

კოკოლა — ბაღრიმ.

ღირექტორი — ჰო, შენ მისი მოხსნა მოითხოვე, არა?

კოკოლა — დიახ, არ შეიძლება დატოვება, ისეთი ზარალი მოგ-
ვაყენა თავისი გამოგონებით.

ღირექტორი — რა ვიცი, ძალიან შემაცოდა თავი.

აფრასიონი — ეს როგორ გვეკადრება, თუ კაცი მოსახსნელია,
მისი შებრალება მავნებლობაა.

კოკოლა — აი, თვითონ აფრასიონიც მეთანხმება.

ღირექტორი — არ ვიცი.

კოკოლა — რაიკომის მდივანთანაც მქონდა ლაპარაკი. მითხრა,
მოაძვრეთ ქარხნიდან და გერასიმე დაიხმარეო.

აფრასიონი — ო, გერასიმე როგორ არ დაგვხმარება!

გერასიმე — კი, ბატონო კოლმეურნეობაში თუ დაბრუნდება,
ხელს შევეუწყობ!

კოკოლა — კაცი შესაფერ საქმეზე უნდა მოეწყოს. ის ქარხანაში
არ გამოდგა.

ღირექტორი — რა ვიცი, მოელაპარაკეთ, თუ არ დაიჩაგრება,
თანახმა ვარ.

კოკოლა — მე თვითონ დავარწმუნებ.

ქიშვარდი — აი, აღამიანზე ზრუნვა ამას ჰქვია.

აფრასიონი — ისე ხომ მაგრადა ხარ, გერასიმე. თუ არ მოუ-
ქირე ზოგიერთებს ხელი, ხალხს მორიდება არ ექნება და
საქმე არ გაკეთდება.

გერასიმე — შენ ჩამოივლი ხანდახან და მამაგრებ, თორემ,
მართლაც, რბილი კაცი ვარ.

ქიშვარდი — ეს სწორი პასუხია.

(შემოდის პუპი. ბალის კარს გააღებს).

პუპი — მობრძანდით, ბატონებო. მართალია, თქვენი საკადრისი
მასპინძლობა არ გვაქვს, მაგრამ გვაპატიეთ.

(შემოდის ენუქა).

ენუქა — (ქიშვარდის) აფრასიონთან ცოტა სათხოვარი მაქვს.

ქიშვარდი — მიდი, აქ ვარ, ნუ გეშინია.

ენუქა — პატივცემულო აფრასიონს!..

- აფრასიონი — (ზურგს შეაქცევს ენუქას) მხოლოდ ერთი პირობით შემოვდივართ, პუპი, იქ, სუფრაზე მოხოვნილებმა არ შეგვაწუხონ.
- პუპი — არა, ბატონო, მხოლოდ ამას გთხოვთ, რომ მიირთვათ.
- აფრასიონი — კმარა კაბინეტებში რასაც გვაწუხებენ, სუფრაზე მაინც დაგვასვენონ... ჭალიან მიქირდა ამ სოფელში ჩამოსვლა, მაგრამ საქმემ და მოვალეობამ მიიძულა.
- ენუქა — ამხანაგო აფრასიონ, როგორ გიკითხობ!
- აფრასიონი — (ზურგს შეაქცევს) რა ისეთი გაკირვებული მნახე, რომ საკითხავი ვიყო!
- ენუქა — არა, მე სალამის მეტი არაფერი მინდა.
- აფრასიონი — ერთხელ ხომ მოგესალმე? მე ქულის მოხდა ხანდახან, ჯარიმის გადახდაზე უფრო მემძიმება.
- ენუქა — სწორედ, მიხარია ასე კარგად რომ ხარ, აფრასიონ, ტყუილად არ დაგხმარებდნენ ყანაში.
- აფრასიონი — ო, ეს კიდევ რა იცით სოფლებმა, თუ ვინმე კაცად გამოდგა, სუყველა იძახით — დედაჩემის ძუძუთი გაიზარდაო.
- ენუქა — ზოგჯერ ეს მართალიც არის, პატივცემულო აფრასიონ.
- აფრასიონი — მართალი როგორაა, იმდენი რძე რომელ ბავშვის სტომაქში ჩაეტევა!
- ენუქა — ესეც სწორია, კი სწორია, გმადლობ, გმადლობ, აფრასიონ!
- აფრასიონი — ახლა ცოტა გაგვიცხე, მაგრამ ირაუშავს, მე უბრალო კაცი ვარ.
- ენუქა — მესმის, ეს მეზობლური გაკიცხვა იყო. კარგად იყავი, კარგად (უკან დაიხვეს).
- აფრასიონი — გლახად რატომ ვიქნები!
- ქიშვარდი — (ენუქას) ბიჭო, როცა შნო არა გაქვს, რად ესალმები!
- აფრასიონი — ისე, ენუქა, თუ ქალაქში რამე დაგკირდეს, გაგამოიარე.
- ენუქა — ჰო, ამის თქმა მინდოდა, იქ ბავშვი მყავს მოსაწყობი.
- აფრასიონი — მოდი, მოდი, კი დაგეხმარები.
- გერასიმე — კარგი წყალობა დაგპირდა ენუქა, აბა, აწი მარჯვეთ იყავი.
- ენუქა — რა მიქირს. (ენუქა მიდის).
- გერასიმე — ნუ ყოყმანობთ, ამხანაგებო, შემოპრძანდით!
- (აფრასიონი, დირექტორი და გერასიმე მიდიან).

კოკოლა — ციცინათელა სადაა?

ქიშვარდი — სულ მალე მოგისკუპებ გვერდით.

კოკოლა — აბა, ისე შემაქე, როგორც სასიძოს ეკადრება, თორემ ხომ იცი, შენი სული ჩემს ხელშია.

ქიშვარდი — ისე გავუძღვები სუფრას, რომ ქეიფს ქორწილად გადავაქცევ.

(აპირებენ წასვლას. შემოდის ბადრი).

ბადრი — გამარჯობა ძვირფასო კოკოლა!

კოკოლა — ოჰ, შენი გულისთვის რა გადავიტანე. აი, ქიშვარდი არის მოწმე, პირდაპირ გამოვუცხადე ღირექტორს — ან მე მომხსენი ქარხნიდან, ან ბადრი დააბრუნე-მეთქი.

ბადრი — მერე, როგორაა საქმე?

კოკოლა — ძალიან შემომიტია — იმ მავნებელს სასამართლოს გადავცემ და შენც მიგაყოლებ როგორც მის ხელისშემწყობსო. კიდევ კარგი, რაიკომის მდივანმა, ჩემმა სიძემ მამალივით გადახედა და ჩააგდებინა ენა, თორემ ორივე დავიღუპებოდიო.

ბადრი — მერე, რა მავნებლურია ჩემი გამოგონება!

კოკოლა — საქმემ ასე დაამტკიცა და ესეკ კარგია, რომ ცოცხალი გადარჩი. (ქიშვარდის) შენც აუხსენი ამ კაცს რაიმე.

ქიშვარდი — ჰო, ერთი არაკის არ იყოს, ამ ნალს დაგაკარვენ და მერე ეძიე აქ... ემი ხარ თუ ვირი.

ბადრი — ორი თვე მაინც დამტოვონ ქარხანაში. ის თუ ვერ გამოიყენეს, სხვა გამოგონებაც მაქვს.

კოკოლა — ვიცი, მაგათ რომ კაცის მოხმარა შეეძლოთ, ოქროს მადანი ხარ, მაგრამ, ამისიც მეშინია აქ რომ გელაპარაკები, — მტრულად გიყურებენ და რა ვქნა.

ბადრი — შენი მაინც მაღლობელი ვარ, კოკოლა, გულით კარგი გინდოდა.

კოკოლა — ისევ ჩემი იმედი გქონდეს. ოღონდ, იმ ქარხნისკენ, თუ კაცი ხარ, არ მოიხედო.

ბადრი — ვიცი, ბევრჯერ შეიწუხე თავი ჩემი გულისთვის, მაგრამ არ გაგიმართლდა.

კოკოლა — ძალიან დავაწვი, გეფიცები, შენს დაჩაგვრას რომ იწყებ, გული ჩიტყდება ცხოვრებაზე, მთლად პესიმისტი გახდები.

ბადრი — მშვიდობით!

(ბადრი გადის).

ქიშვარდი — (იციინს) კაცო, ეს რა ცხვარი ყოფილა, ვილაცაა!

კოკოლა — რაზე ამბობ!

ქიშვარდი — წელან დირექტორს რა ელაპარაკე და ამას რა გადაეცი. რა აბრუნდები გააკეთე, შენი ჭირიმი!

კოკოლა — შენს ენას მოუარე, თორემ როგორც დაგიხსენი ციხიდან, ისე ჩაგვამ.

ქიშვარდი — რათა, რა დავაშავე!

კოკოლა — აბა, იქ შენს კლუბს რომ ხანძარი მოედო კოოპერატივიდან, ყველაფერი რიგზე გქონდა და ცეცხლმა იმსხვერპლა არა?!

ქიშვარდი — რაც შენ წაილე, იმის მეტი არაფერი გამიფლანგავს, და, მე მგონია, ამიტომ დამიხსენი.

კოკოლა — ჯიბეში არაფერი ჩამიდვია, სულ მლიქვნელებს შევაქამე, სულ შენს მსგავს ცულლუტებს.

ქიშვარდი — უკეთესები გეპოვა.

კოკოლა — არა, ვსეცაა, ჩვენს ცხოვრებას მლიქვნელები ამშვენებენ!.. მეუბნებიან ნამდვილი მეგობრები ჭირში გამოგადგებიანო, მაგრამ ჭირი რად მინდა. თუ მაინცდამაინც გამიჭირდა, ყოველთვის მოიძებნებიან ისეთი პატიოსნები, რომ დამხსნან შენისთანა ვერაგებისაგან, რომელნიც გაჭირვების დროს შესაქმელად მოვარდებიან.

ქიშვარდი — არა, კოკოლა, მე მასეთი თაღლითი არა ვარ.

კოკოლა — ბუნებით, ვითომ არაფიშავეს, მაგრამ მშიშარა ხარ და ამან გაგათახსირა... თანაც, წუწქი ხარ, შე საწყალო, ცოლიც ანგარებით არ შეირთე!..

ქიშვარდი — ჰო, ყველაფერი სიგლახე ვარ.

კოკოლა — მერე, რა გიყო, უმრავლესობა ასეთი ხართ და მე რომ თქვენი გასწორება დავიწყო, ტყუილად გულს გავიხეთქავ... ამიტომ შევუარიგდები თქვენს საქმეებს. მხოლოდ ეს იყოს ჩემი ვაჟკაცობა, რომ თეორიაში შევიჩინე პატიოსნებას.

ქიშვარდი — მესმის.

კოკოლა — ამას გარდა, ერთ სიბრძნეს გასწავლი: ვის ფრთის ქვეშა ხარ, იცოდე, მისი ბრკყალებიც ახლოა შენს კისერთან.

ქიშვარდი — ესეც ვიცი.

კოკოლა — ამიტომ არსად წამოგცდეს ჩემი ძვირი.

ქიშვარდი — ჩემი თავის მტერი როდის ვიყავი!

(ქიშვარდი და კოკოლა მიდიან. შემოდინ ციციანთელა, ბადრი და მამისთვალი).

ციციანთელა — ასე სანამ გავიბეროთ დარდით, შევიდეთ და ვუთხრათ დირექტორს ყველაფერი.

ბადრი — კოკოლამ მითხრა, არაფერი გამოვაო და არ ღირს ხვეწნა. სხვაგან მივმართავ, თუ რამემ არ შემბორკა.

ციცინათელა — რა შემწვრების სუნია!

(შემოდის ენუქა)

ენუქა — ეჰ, სად ყოფილხარ, ბაღრი! მე კი შუკები შემოვირბინე შენს ძებნაში!

მამისთვალე — რისთვის ეძებ?

ენუქა — ქალბატონი ჩამოუვიდა.

ციცინათელა — ვინ? რომელი ქალბატონი?

ენუქა — თვითონ ეცოდინება.

ბაღრი — ალბათ სიღედრია და სადმე უნდა გადავევარდე. ვერ ვნახე-თქვა უთხარი, თუ კაცი ხარ.

ენუქა — არა, კობტა მოჩოთია. შენი მეუღლე ყოფილა, ქარხანაში ვერ უნახავხარ და ფეხით მოდიოდა, სოფლის ბოლოში შემხვდა.

ბაღრი — ეჰე!...

ენუქა — მეც ვატყობ სავალალოდ გაქვს საქმე. მისთვის გითხარი ქალბატონი ჩამოგსვლია-თქვა, — შენი შესაფერი არაა. ეგერ დგას, ვერსად დავაჯინე. ყველგან ხელიკები მოელანდა.

ციცინათელა — დაღლილიც იქნება. ფეხით რამ მოიყვანა!

ენუქა — საბარგოზე არ დამჯდარა — დავიმტვერებო. ცალ ხელში ჩემოდანი აქვს და მეორეში თაიგული. ფეხსაცმელები აცვია მტკაველიანი ქუსლით.

ბაღრი — სად შევიყვანო?

მამისთვალე — უნდა გააღო შენი გამოკეტილი სრა-სასახლე.

ციცინათელა — კოლოფივით ოთახია, ხულაა, მაგრამ... ორ სულს კი ეყოფა.

მამისთვალე — რატომ არა, შეყვარებული ცოლ-ქმარი ცულის ტარზე დაეტევაო.

ბაღრი — შიგ ფეხმოტეხილი ტახტის მეტი არაფერი მაქვს. საბანიც ქარხანაშია.

ენუქა — არც ის საბანი იქნება მისი საკადრისი.

ციცინათელა — ჰოდა, თქვენ კი მეუბნებოდით ნურაფერს. ეტყვი დირექტორსო!

მამისთვალე — რა ვიცი!

ციცინათელა — შენ თუ არა, მაშ ვინ უნდა იცოდეს. ჩვენი გულისთვის ეს ბიჭი დაილუპა. ვეტყვი კი არა — ვებღღუნები. შევევარდები ახლა იმ ბაღში და ისეთებს მივაყრი იმ კამეჩებს, იკადრონ ლაფიდან წამოდგომა.

მამისთვალე — მოითმინე, ციცინათელა, ჯერ დამშვიდდი.

ციცინათელა — მე რას მებოდიშები, აქ ბაღრი დაამშვიდე- (აპირებს წასვლას).

- ენუქა — მე რა ვქნა, ხომ არ გავეპარო იმ უცხო ქალს!
- ციცინათელა — შემოიპატოეთ ეზოში. მე მამას გამოვიხმობ.
(ციცინათელა მიდის ბაღში).
- ბადრი — რა პირით შევხვდეთ?
- ენუქა — რა პირითაც ითხოვე.
- მამისთვალე — ეჰ!..
- ბადრი — ბებიაშ ერთი ანდაზა იცოდა: საყვარელი და სიკვდილი ერთად მომადგაო.
- ენუქა — გავაგებინებ, რომ აქა ხარ. (მიდის).
- ბადრი — რა გულს ვიხეთქავ. შევიყვან იმ ჩემს ხულაში და მერე რაღაცას გავაკეთებ.
- მამისთვალე — კი, ბიჭო, რა გაშინებს, ცოლია, მტერი ხომ არ არის!
- ბადრი — სათუთი ცოლი ლატაკისათვის მტერზე უარესია. რა ვუყო, სათბურის მცენარეს გავს.
- მამისთვალე — არაუშავს, ჩვენი სოფლის ნიადაგზე უცხოეთის მცენარეები შემიგუებია, მაგ ჩვენებური მაინცაა!..
(შემოდის ხათუნა. კვლუცათ აცვია. ხელთათმანითაა. თმა რთულადა აქვს დახვეული. მოხდენილად მოდის).
- ბადრი — (შეეგებება) ხათუნა, ა, როგორ ხარ?..
- ხათუნა — რა ვიცი, შენზეა ჩემი კარგად ყოფნა.
- ბადრი — რას იზამ. (მამისთვალზე) გაიცანი, ეს ისეთი გულითადი მეგობარია, ამასთან არაფერს ვმალავ. ასე უეცრად მაინც რამ ჩამოგიყვანა!
- ხათუნა — დედა უკმაყოფილოა, ჩამოსვლისთანავე გაახელეს შენზე.
- ბადრი — ეს ხომ მომწერე.
- ხათუნა — ამ ბოლოს ისე გამამწარა, გამოვეარდი სახლიდან და დავიფიცე, რომ არასოდეს არ დავბრუნდები... აქ კიდევ ქარხანაში ვაიზე უი დამემატა და წამოვედი შენს საძებნელად.
- ბადრი — კი, — იქიდან გამომავდეს.
- მამისთვალე — არაუშავს, მიგიღებენ. ხალხი ეხვეწება. (ჩუმად) გულს ნუ გაუტეხ, ბიჭო.
(შემოდინან ციცინათელა, გერასიმე, ქიშვარდი და პუპი).
- ციცინათელა — ეს არის, ხედავთ!
- ბადრი — გაიცანით, ეს ჩემი მეუღლეა.
- პუპი — უი, რა ხოხობივით გოგოა! (აკვირდება) ბრმა ხომ არ არის?

ბადრი — რატომ?

პუპი — ყრუ არის?

ბადრი — არა.

პუპი — აბა, შენ როგორ წამოგყვია. (გადაეხვევა და კონის). ალბათ საწყალი გულისაა.

ქიშვარდი — (ხედმეტი მოწიწებით) თქვენი სახელი, ქალბატონო? ხათუნა — ხათუნა!

ქიშვარდი — მე ქიშვარდი ვახლავარ. (კონის ხელზე) მეც თქვენისთანა მსხვერპლი ვარ. (პუპიზე) ჩემი მეუღლე ეს არის. ალბათ, ახალსოფლის არშიეებს უხილავი ბადე აქვთ.

პუპი — ამას უყურე, თორემ დიდი ორაგული ხარ!

ციცინათელა — (ახედავს თავიდან ფეხებამდე) რა გემოვნებით აცვია. (ართმევს ხელს) მე ბადრის ნათესავი და მეგობარი ვარ. და... ისე მიხარია, რომ თქვენ ის გიყვართ...

ქიშვარდი — (ხელით გამოსწევს) რა იცი, რომ უყვარს!

ციცინათელა — მისი ცოლია.

ქიშვარდი — მერე არ კმარა ცოლად რომ წაყვა, გულიც შეაღიოს?

პუპი — რა ყელსახვევი აქვს, რა ნაქარგი. სუყველაფერი ერთმანეთს შეეფერება. დააკვირდით, ისე ძვირფასი მატერია არ არის, მაგრამ გემოვნება რას ნიშნავს.

ციცინათელა — თმა როგორი დახვეულია. ა, რა ხელოვნებით!

ქიშვარდი — (ცალკე თავისთვის) შნოიანი ცოლიც მაგას, სიყვარულიც მაგას, მე კი პუპისაგან გინება... და კიდევ მეუბნებიან ანგარიშით ითხოვეო. ქალის თხოვაში ყველა მოანგარიშე ტყუილდება.

ციცინათელა — თქვენ ფეხით ამობრძანდით, ქარხნიდან?

ხათუნა — დიახ.

ციცინათელა — ამ ფეხსაცმლით იარეთ იმოდენა გზაზე?

ხათუნა — არა, ესენი გავიხადე.

ციცინათელა — მერე ფეხშიშველა როგორ ივლიდით, არ გეტკინათ?

ხათუნა — არა. იმ გზაზე ფოსტლები ჩაეცივი, სოფლის ბოლოს ისევ ჩემოდანში ჩავაწყე.

პუპი — აი, ხომ გესმის, ჭკუაც რომ ლამაზი ჰქონია.

ქიშვარდი — შენ ჭკუა თვალში გაქვს, მარტო ფეხსაცმელს ამჩნევ, მას კი ვერ ხედავ როგორი ფეხები აქვს. მარიყათიანი ქალი ასეთი ფეხებით ქვეყანას თვალს მოთხრის.

ხათუნა — ოჰ, ბუძგი მომდებია კაბის ბოლოზე.

ციცინათელა — უი, ალბათ ლობის პირად მოგეკრა. (აშორებს).

პუპი — ჩულქხეცაა.

ხათუნა — დიახ, კოქზე მიბწკინა.

ციცინათელა — უი, აბა, დასწყევლოს ღმერთმა! (აშორებს).

ქიშვარდი — თქვენ ცეკვა და სიმღერა იცით?

ხათუნა — როგორ არა.

ბადრი — (ამაყად) იცის.

ქიშვარდი — მაშ, ჩვენ აქ კლუბი გვაქვს, მე გამგე ვარ. იქ მონაწილეობას მიიღებთ.

ხათუნა — არა, კლუბში არ ვიცეკვებ.

ქიშვარდი — მთელი გუნდი მყავს...

ხათუნა — — არა.

ქიშვარდი — რატომ, გასართობად კლუბი კარგია.

ხათუნა — ჩემთვის ბადრი კმარა.

(შემოდინ გერასიმე და აფრასიონი).

აფრასიონი — (შორიდან ხათუნაზე) ეს არის? ოო, ეს ჩემი ცოლის ნამახანავარია.

გერასიმე — იცნობ?

აფრასიონი — ჩემი მეუღლე დასცინოდა ვიღაც ჩანჩალას გაყვაო.

გერასიმე — ისე, რა ოჯახიშვილია?

აფრასიონი — ო, ისეთი დედა ჰყავს, ჩემს მოადგილედაც არ დავიწუნებდი.

ციცინათელა — (ხათუნას) ეს შუბლზე რა გაქვთ აკეცილი, ვუალი?

ხათუნა — დიახ.

ციცინათელა — იშვიათად ხმარობენ. ამაში, ალბათ, გამოხედვაც სხვანაირად უნდა.

აფრასიონი — სალამი, ხათუნა!

ხათუნა — ო, თქვენ... საიდან?

აფრასიონი — მე აქაურ ბუდის არწივი ვარ.

ბადრი — ეს თავიდან ჩვენი ტოლ-ამხანაგი იყო.

აფრასიონი — არა, ახლო ამხანაგები არ ვყოფილვართ. ისე კი მახსოვხარ.

ბადრი — დიახ, ხნით ჩვენზე უფროსი იყავით.

მამისთვალე — კი მახსოვს ჩახმახურას გეძახოდით.

აფრასიონი — მაგეც გეშლებათ. (ბადრიზე) მაშ, ეს არის შენი ახლანდელი ქმარი?!

ხათუნა — რას ნიშნავს ახლანდელი! სხვა ხომ არ მყოლია?

აფრასიონი — ამ ამბავს გადავცემ ჩემს მეუღლეს, შენი ნაამბა-
ნაგარია.

ხათუნა — არ გეხვეწებით.

აფრასიონი — რატომ?

ხათუნა — თქვენმა მეუღლემ დედაჩემს ისედაც ბევრჯერ მოახ-
სენა ბადრის ამბავი. მეტს ნუ შეწუხდება.

აფრასიონი — ის პატივს სცემს ტასოს და, ალბათ, შენს და-
სარიგებლად რამე უთხრა. ჩემი ცოლი ხომ მარტო სილა-
მაზით არაა განთქმული, ბრძენია და მე თვითონაც ღირსე-
ბისათვის მათვასებს.

ხათუნა — მართალია, თქვენი ცოლი თქვენს თანამდებობას ისე-
დიდ პატივს სცემს, რომ კული ყავარზე აქვს, მე კი იმდენად
ლაყუ ვარ, სხვა თუ არაფერი აქვს ჩემს ქმარს, მარტო კეთი-
ლი გულისთვისაც შევხარი.

პუპი — ო, რადგან შენ მოგეწონა ბადრი, ალბათ გლახა არაა.

გერასიმე — რატომ, წესიერი ახალგაზრდაა. თავიდანვე ბეჯითი
იყო.

მამისტვალი — ახლა ყველა დავებმართო, რომ ქარხანაში ალა-
დგინონ.

გერასიმე — არა, იქ აღდგენა არ მოხერხდება, მაგრამ კოლ-
მეურნეობაში ხელს შევეუწყობ.

ციცინათელა — ო, ვინც ბადრის არ დააფასებს, იმას ღერლი-
ლე ჩავაყარე თვალში!..

ბადრი — რა ვქნა, არ ვიცი, რა გულმა გაუძლოს, მტრედივით
ქალი სახლიდან გამოაგდეს — უხეირო ქმარი გყავსო, აქაც
ქარხნიდან გამაძევებს... ახლა გეკითხებით სად გადავვარდე?

მამისტვალი — მართალია, რა უსგინდისობაა, ა, ავი კაცის-
ქოქი ამოვარდეს.

ბადრი — გეფიცებით, ავიღებ უროს, მაგრამ ვის დავარტყა არ-
ვიცი. ვილაცას კი ვავაპობ.

გერასიმე — ნუ შფოთავ, ბადრი, მე ბევრი დამიყენებია გზაზე
და შენც გიშველი.

პუპი — მართალია. შენოდენი სიკეთე, ჩემო ძმაო, ვის უქნია!

გერასიმე — თუ ხელს გამოიღებ, შრომის გმირი გახდები.

ბადრი — შრომის გმირი?

გერასიმე — ჩემთვისაც სასახელო იქნები.

ბადრი — ხათუნა, აქ მართლა შეიძლება საქმის გაკეთება.

ხათუნა — შენ უფრო იცი, ბადრი.

გერასიმე — მაგალითად, აფრასიონს პირველად აქ გამოვასხით ფრთები.

აფრასიონი — არა, აქ წამოვიჩიტე, ფრთები კი ქალაქში გავშალე.

ბადრი — ოღონდ, ხათუნა თუ გაძლებს.

აფრასიონი — არა, ვერ გაძლებს. ეს მე მკითხეთ. ორ კვირაში გაძვრება სული. ისევე, მიაფურთხე ეშმაკს, ხათუნა, და დაბრუნდი პატრონთან. დედაშენის პატივისცემით ჩემს დაწესებულებაში მოგაწყობ და ისეთ ბაგეში ჩაგაყენებ, გული არ დაგწყდება.

ციცინათელა — არა, ხათუნა აქ ყველას შეგვიყვარებს, ნამდვილი ცხოვრება სოფელშია.

აფრასიონი — ო, იქ მე მდივნად ქალები მყოლია, ცხოვრება მათ უნახავთ. შენც წამოდი, ციცინათელა, და ნახავ რა ქერის ორმოში გადაგაგდებ.

ციცინათელა — ქაში ჩავეარდე მირჩენია.

აფრასიონი — ბავშვის ჭკუა გქონია. (გერასიმეს, ჩუმად) ეს ქალი სუფრაზე მიიპატიე, ეგებ იქ მოვიყვანო აზრზე. მხოლოდ ქმარი დათესე, ნუ მოყვება... თორემ მე უბრალო, თავმდაბალი კაცი ვარ, მაგრამ რაიკომის მდივანმა ეგებ იუკადრი-სოს ვინ მოგვისკუპა გვერდით, აფრასიონს მაინც როგორ კადრესო. (აფრასიონი მიდის).

ხათუნა — (ციცინათელას) თქვენ არ გინახავთ ქალაქი?

ციცინათელა — მინახავს. იქ ნათესაობა და მეზობლობა ისე არ იციან, როგორც სოფელში.

ხათუნა — რატომ გგონია?

ციცინათელა — ერთ ეზოში ბერდებიან მეზობლები და ერთმანეთის სახელი და გვარი არ ახსოვთ... ერთ ოთახში რომ ტირილია, მეორეში სიმღერაა. ეს რა ცხოვრებაა.

ხათუნა — იქ ბევრი ვართ. მერე, არ იცი ქალაქში რა ხელოვნებაა!

ციცინათელა — იქ ცაზე მთვარე რომ დავინახე, ისეთი დაჩივებული იყო, შემეცოდა.

ხათუნა — აქ რას გაეაკეთებ?

ციცინათელა — ბევრნაირ საქმეს იზოვი. მაგალითად ჩემთან რომ მოეწყო საყვავილეში, გაიგებ რა არის შემოდგომა, ან გაზაფხული... აქ ჰაერის სუნთქვაც გიხარია.

ხათუნა — კარგად იზრდება ჩვენს სოფლებში ყვავილები?

ციცინათელა — კი, ქართული მიწა ქართველ დედასავით
ნაზია.

ხათუნა — ეს ქალიშვილი ძალიან მანუგეშებს, ბადრი.

ბადრი — გერასიმეც დახმარებას გვპირდება.

გერასიმე — კი, ოღონდ გული დაუღვეი აქაურობას. ბინასაც
შეგაკეთებინებ.

ბადრი — გეფიცები, გერასიმე, თავს არ დაფხოგავ, დღე და ღამეს
გაეასწორებ მხოლოდ, ხათუნა, შენ გახსოვდეს, ბევრი
მუშაობისათვის არ შემიბრალო.

ხათუნა — ვიცი.

ბადრი — როგორც ჭია პარკიდან პეპლად გამოდის, ისე გამოგ-
ძვრები ამ სირცხვილიდან.

გერასიმე — მაშ, ახლა პატივსაცემ სტუმრებს უნდა მიეხედო.
(მამისთვალზე და ბადრიზე) ესენი შინაურებია და აქ თავს შეიქ-
ცევენ, მეგობრულად... (ხათუნას) თქვენ კი ჩემ სტუმრებთან
წამობრძანდით.

ხათუნა — არა, ბადრის სად მივატოვებ!

ქიშვარდი — რას ბრძანებ, ბადრი ამიერიდან ვერ გაგექცევით,
თქვენი მშვენიერების ხათვანგშია.

ხათუნა — არა, როგორ შემიძლია, რას ბრძანებ!

გერასიმე — მაშ, მოვრიგდით, ბადრი, აწი ქარხნისკენ არ გაი-
ხედავ.

(გერასიმე, ქიშვარდი და პუპი აპირებენ წასვლას).

ქიშვარდი — (ციცინათელას) აბა, წამოდი, გოგო.

გერასიმე — (პუპის) ციცინათელა არ დატოვო.

(გერასიმე და ქიშვარდი მიდიან).

ხათუნა — (ბადრის) მაშ წავედეთ, შენი ხულისაკენ, ნეტავ, როგო-
რი შუკებია.

მამისთვალი — შუკებს არაუშავს, ოღონდ... (ბადრისკენ) იქ შენს
ეზოში ბადრი, მუხლამდე ქალტამი წამოზრდილა.

ციცინათელა — ჰო, იქ სულ ბუძებია.

ბადრი — რას იზამ!

მამისთვალი — სტუმარი მეცოდება, თორემ ბადრისათვის ახლა
ჯაგნარიც ბუმბულაა.

(გამოჩნდება ენუქა. იკვრიტება ეზოში).

ციცინათელა — უი, ენუქა!..

ენუქა — ჰო, როგორაა საქმე?

ციცინათელა — ნანატრი ქალია და ბადრისას მიგყავს, მაგრამ
მის ეზოში ისეთი ბუძებია, ვერ ჩავა და სირცხვილს ვკამთ.
თუ ჩემი ენუქა ხარ, წინ-წინ გაიქეცი და ქალტამი მოცეღე.
ცელიც აგეოაა.

ენუქა — ეჭე!

ციცინათელა — ე, სუნი ხომ გცემს, იმ შემწვრებს სულ გაგემებ.

ენუქა კარგი. შემწვრების უნახავი არ ვარ, მაგრამ მაგ დიდი კაცების შველს მინდა გავკრა კბილი.

(ციცინათელა სწრაფად აძლევს ცელს და ენუქა აპირებს გაქცევას).

ციცინათელა — (ენუქას) დაიცადე. (მიიბრუნს ბადრისთან ჩუმად ლოგინი რომ არა გაქვს?)

ბადრი — აბა!

ციცინათელა — (პუპის) ლოგინი უნდა გავატანოთ.

პუპი — რა ვიცი...

ციცინათელა — ვაძხვოვოთ. (შეიბრუნს სახლში).

პუპი — მგონია ოჯახს არ ზოგავს დასაქცევად.

(ციცინათელას გამოაქვს ძვირფასი ლოგინი).

პუპი — (ეკვებება) ეს შენა სამზითვოა, გოგო, იმ ხულაში ეს ცოდვაა!

ციცინათელა — ერთი იკითხე რა ქალი შედის! (გადასცემს ლოგინს ენუქას) ეს იქ დაგვახვედრე.

მამისთვალი — ნაშ, ჩვენც სახლამდე მივაცილოთ ბადრი და დავლოცოთ.

ციცინათელა — მერე, ცარიელი სიტყვით?

მამისთვალი — რა ვნათ?

ციცინათელა — პურ-მარლი წავილოთ.

(ციცინათელა ხელს წააქვებს მამისთვალს და მიდინ რდაში. ბალიდან გაქოდის ქიშვარდი).

ქიშვარდი — ო, ისეთი ქალია. ზეორეჯერ დავენშვიდობები.

(შემოდინ ციციინათელა და მამისთვალი შამუუზე შემწვარი შვლით და გოპით. გამოდის მომხარე, ზურგზე საყუდ კალაით).

პუპი — ციციინათელა, გოგო, უკან არ იხედები?!

ციცინათელა — არა, იქაც დაგრჩათ, მაპიდა!

ქიშვარდი — (ხელა უქეყს ცენის იქეთ) უპ, გერასიმე!

(შემოდის გერასიმე).

ციცინათელა — რა გინდა. მამა. ყველაფერი გავაწესრიგე სამზარეულოში, არაფერი არ შეგაკლდებათ.

(შემოდინ კოკოლა და აფრასიონი).

გერასიმე — არა, მე კი არ გამაძლით. მხოლოდ წიხლს ნუ მკრავთ. შემობრძანდი შენი სტუმრებიანათ ბაღში და ერთად ვისიამოვნოთ. წელან ხათუნას ვთხოვე, ახლა კი ყველას გეხვეწებით.

ციცინათელა — არა, მამიკო, იქ ტოლები ჩვენებურად ვერ ვიმხიარულებთ.

გერასიმე — რატომ?

აფრასიონი — ჩვენ ლხინმა გაგვათანასწორა.

ციცინათელა — ლვინით შეძენილი მეგობრობა კიქასთან ერთად იცლება.

აფრასიონი — მაშ, მე მარტო ხათუნა მიმყავს.

ციცინათელა — მე არ ვუშვებ ჩემს სტუმარს.

გერასიმე — (წყენით) ციცინათელა!..

კოკოლა — მოითმინე, აფრასიონ, მე მოგიყვან ხათუნას.

აფრასიონი — როდის?

კოკოლა — ახლავე. მხოლოდ დაბრძანდით თქვენ სუფრაზე.
(აფრასიმე და აფრასიონი მიდიან).

ციცინათელა — (კოკოლას) რა უფლებით დაპირდით!

კოკოლა — ვამჯობინე ამ ხერხით მომეშორებინა, რომ თქვენთვის მკვებე სიტყვა არ ეთქვა იმოდენა კაცს.

ციცინათელა — ო, ამისთვის მაღლიერი ვარ.

ქიშვარდი — მაშ, რადგან ასეა, ბარემ სასახელოთ გაატარეთ დრო, ჩვენც წამოვალთ და თქვენს სუფრას მე ვუხელმძღვანელებ.

ციცინათელა — არა, ბიძაჩემო, იქ ჩვენ გულწრფელად გვინდა ვიმუსაიფოთ, თქვენ კი სხვა ჯურისა ხართ და ჩვენი ლაპარაკი აირევა. (ხელს მოკიდებს მოწიწებით ხათუნას) წავიდეთ, მე გობრებო!

ქიშვარდი — (კოკოლას) ისევ წიხლი გეკრა, არ გაქრა შენმა მოხერხებამ.

კოკოლა — (ქიშვარდის) ბოლოს მაინც ჩემი იქნება, თუ დამეხმარებით.

მამისთვალი — მივდივართ!

(ქიშვარდი და კოკოლა მიდიან ბაღში).

ციცინათელა — გზა ბედნიერების!..

(ციცინათელა, ხათუნა, მამისთვალი, ბადრი და დამხმარე, ზურგზე კალათით, აპირებენ წასვლას. იწყებენ სიმღერას. ბალიდან მოისმის სიმღერა).



მოძველება მეორე

ახალსოფლის კოლმეურნეობის გამგეობის ეზო. მარცხნივ კანტორა, მარჯვნივ კლუბის ფასადი შესასვლელით. სცენაზე ენუქა. შემოდის კლუბიდან პუპი.

ენუქა — რა ამბავია კლუბში, პუპი?

პუპი — ქიშვარდი დღესასწაულისათვის გუნდს ამზადებს.

ენუქა — ბედნიერი ქალი ხარ. როცა კაცი ამდენ ხალხს ამხიარულებს, თავის ცოლს, ალბათ, ცაში აფრენს.

პუპი — მეტი რა უთხრა, თურმე, ვინც ქვეყანას ართობს, თავის ცოლის გასახარებლად არ მოიცილის.

ენუქა — რას ამბობ, მე კი მეგონა ყველა ჩიტი ფრთით ფრინავს, პუპი კი — თავისი ქმრით-თქო.

პუპი — არა, ძმაო, სხვისი ფრთებით მაფრენალი კისერს მოიტეხს. მე ქმარზე უფრო ჰიების იმედი მაქვს, — მებარეშუმის სახელი გამიკეთეს.

ენუქა — ეს ხელობა გათხოვებამდე გქონდა და არ უნდა დაისვენო?

პუპი — გათხოვებით ვის დაუსვენია. მე რომ მკითხო, ზოგიერთის გათხოვება ომში წასვლას ჰგავს.

ენუქა — აბა, მაგ ჰკუთით ციცინათელას სახლში დააბერებთ.

პუპი — არა, მას კარგი ბედი ავურჩიეთ.

ენუქა — თვითონ კმაყოფილია თქვენი არჩევლით?

პუპი — ო, მართალია, არ ეკარება და გვეშინია სხვა არ ყავდეს გულში.

ენუქა — ვინ იცის...

პუპი — რა ქვეშ-ქვეშ გეცინება. (ხეწნით) ენუქა, შენს ყურს ამ სოფელში კურდღლის ფაჩუნი არ გამოეპარება და ცოლ-შვილს გაფიცებ, გვითხარი თუ რაიმე იცი.

ენუქა — არა, საიდან მოგდით ეჭვი?

პუპი — ბაღრის და ხათუნას მეგობრობს და რა სიკეთეს ისწავლის!

ენუქა — რატომ, ისინი წესიერი ახალგაზრდებია!

პუპი — მეტი რა ვუთხრა, ფარშევანგივით ქალი ხულაში ჰყავს.

ენუქა — სამაგიეროდ, ეზოში წალკოტი გაიკეთა.

პუპი — ჰო, სათბურში მუშაობს მისი უბედური ცოლი და, ალბათ, იქიდან გადმოიტანა ყვავილები. დაუდგეს თვალი, ერთ დროს აფრასიონის ცოლის ამხანაგი ყოფილა და ვის ხელში ჩაეარდა.

ენუქა — აფრასიონს, მაინც, ლაფი დავასხი ჩემდა თავად!

პუპი — უიმე! ვიზე ბედავ! რა გაწყენინა ამისთანა?..

ენუქა — ქალაქში დამკირდა მისი ნახევა, — შემომითვალა მიგიღებ, როგორც ჩემი სოფლის კაცსო. ხუთ დღეს მაყურყუტა კაბინეტის კარებთან, და ბოლოს, მდივნის პირით მაცნობა — ამ თვეში დრო არ მაქვსო. ისე გაემწარდი, სახლში მივაკითხე. იქ შინამოსამსახურე ძლივს ვნახე, — გამომიცხადა აფრასიონი არავის არ ლებულობს, რადგან მის ცოლს თავი ტკივაო.

პუპი — აი, მართლა, რა ავყია ხარ. ახია რომ სოფლელებს არ იკარებს. რომ მიეღე, ალბათ, მეტ სიგლახეს მოუგონებდი.

ენუქა — ასე მეკუთვნის, როცა, ერთ დროს, (ყვრილით) კოლექტივში ჩემს ნამუშევარს მას ვაწერდი და დამკვრელად გამომყავდა, მაშინ ხომ კარგად მცნობდა!

პუპი — უი, ეს რა დაუმატა ამ მოსასპობმა, სად წავიდე!

ენუქა — მე რომ მკითხო, მამისთვალს უფრო გავატანდი თქვენს ქალიშვილს, ვიდრე აფრასიონისთანა უგლიმს.

პუპი — მამისთვალსო!.. მაშ, ნამდვილია?

ენუქა — რაზე ამბობ?

პუპი — ქიშვარდიმაც ეს გამოსთქვა — მამისთვალი უყვარსო.

ენუქა — რა ვიცი, მე პირველად მესმის.

პუპი — ისე შერჩი შენს ცოლ-შვილს.

ენუქა — აბა, თუ ასეა, მათი ქორწილით გაგხეთქოდეს გული-
(მიდის).

პუპი — აი, შე ენაბანლიანო!..

(შემოდინ გერასიმე და ქიშვარდი).

გერასიმე — რამ ავად ელევა, პუპი?

პუპი — აგერ ენუქამ გცდომოქრა, თურმე, შენს ქალიშვილზე და მამისთვალზე ჩურჩულობენ სოფელში.

ქიშვარდი — ეს მეც გითხარი, პუპი!

პუპი — სწორედ ამისთვის გავიკითხე.

გერასიმე — აბა. არ ვაცხადებდი, თორემ მე თავიდანვე ვიქვობდი.

ქიშვარდი — მე მგონია ბადრი და ხათუნა ხელს უწყობენ.

გერასიმე — ბადრიც რა ავიკიდე. ცოლმა აჯობა იმ სათბურში. ახლა ბიძინა ჩამოსულა და თუ მარჯვედ არ დახვდა სანერგეში, მთლად დამღუპავს.

პუპი — ვაი, ჩვენი ცოდვა!

გერასიმე — კოკოლამ შემომამჩეჩა ის წყეული და ახლა გამო-
მიხსნას.

პუპი — ჩვენს პატივისცემას კოკოლა არ დაივიწყებდა, მაგრამ
შენი ქალიშვილი ცივად ექცევა.

ქიშვარდი — არაუშავს, ახლაც რომ მოითავმდაბლოს ციციना-
თელამ და რამე თხოვოს, ჯარასავით დაატრიალებს.
(შემოდის პირველი კოლმეურნე).

1 კოლმეურნე — პატივცემულო გერასიმე, ქალაქიდან აფრა-
სიონი ჩამობრძანდა.

გერასიმე — აფრასიონი? როდის?

1 კოლმეურნე — საათზე მეტია გეძებთ.

გერასიმე — მერე, ამდენ ხანს ვერ მნახე?

ქიშვარდი — სად არის, სახლშია?

1 კოლმეურნე — არა, თვითონ წამოვიდა ქვეითად თქვენს სა-
ძებრად.

გერასიმე — უჰ, რა თავმდაბალია! აბა, მონახე სადაც არის. ახ-
ლავე გიახლება-თქვა მოახსენე.

(1-ლი კოლმეურნე მიდის).

გერასიმე — რა კარგ დროს მომისწრო. არ გიტყდებოდით,
თორემ ბიძინას ჩამოსვლა რომ გავიგე, ჟრუანტელი მივ-
ლიდა.

ქიშვარდი — აფრასიონს ახლა კარგი სუფრის გაწყობა ჰქირ-
დება.

გერასიმე — აბა, პუპი, წამოვალ და გასწავლი რა უნდა მოამ-
ზადო. ჩემსაზე კარგად მის პირისგემოს ვიცნობ.

პუპი — ახლავე დაეტრიალდები. ო, რა კაცია, მისი ქამის ყუ-
რება და ლაპარაკის მოსმენა გულს მიყუავენებს.

ქიშვარდი — ეს მართლა ნანატრი ამბავია.

(ყველა მიდის. შემოდინან ხათუნა და ბადრი).

ხათუნა — რა მოგსვლია, ბადრი, ნუთუ სანერგეში ასე გაქვს
საქმე?

ბადრი — კი, ასეა.

ხათუნა — რასაც ხელი მოკიდე, ვერაფერში ვერ გაგიმარჯვნია.

ბადრი — კმარა, ხათუნა, ცეცხლზე ნავთს ნუ მისხამ, ისედაც
მყოფნის ჯავრი.

ხათუნა — კარგი, აბა, მაღლობაც ხომ არ გითხრა!

(შემოდის ციცინათელა).

ბადრი — ცოცხალი არ გავტანჯულვარ შენი გულისთვის.

ხათუნა — მერე, რით გამახარე?

ციცინათელა — მოითმინეთ, თქვენ ვისი ენით ლაპარაკობთ?

ბადრი — შენი სიყვარული ვერ დამეხმარა მეურნეობაში, იქ სხვა-
რამ დამჭირდა... და რაც შემეძლო გავაკეთე.

ხათუნა — მაინც, რა გააკეთე?

ციცინათელა — უი, რა მესმის!..

ბადრი — დავამტკიცე, რომ მამისთვის კარგად უვლიდა სანერ-
გეს და ტყუილად მოხსნეს.

ხათუნა — ეს ამით დამტკიცე, რომ თვითონ ვერ გამოლდექი.

ბადრი — საქმეში დამარცხებულს მთლად უვარგისად ნუ თვლით-
და ბელად გამარჯვებული ყველაფერად გმირი ნუ გგონიათ.
დიახ, ამისთვის შეგიძლიათ დამტუქსოთ, რომ ცუდი მეურნე-
ვარ, მაგრამ ნუ იტყვიან, რომ ხათუნა არ მყვარებია და უგუ-
ლოდ მიმუშავნია.

ხათუნა — მე ის მწყინს, რომ გამართლდა, რასაც აფრასიონი
გვიქაძიდა.

ბადრი — ო, აფრასიონს დღეს თვალი მოვკარი. მასმა გამოჩე-
ნამ ხომ არ გიცვალა გული. მახსოვს იქით გიწვევდა სამსა-
ხურში.

ციცინათელა — რას ამბობ, ბადრი, ვერაფერი ვერ გამიგია!

ბადრი — აი, მოილაპარაკეთ და როგორც გსურთ, მოიწეცით..
(ბადრი მიდის).

ხათუნა — ნუთუ ქმარს ვერაფერი ვერ უნდა კიახო, ვერც ურ-
ჩიო!

ციცინათელა — არა, მე ვხედავ, მის ნაცვლად, რომ ქირში
მოხმარებოდნენ, თვითონ უხდები ქირად.

ხათუნა — შენ მაინც იცი რა განვიცადე და გამოვიარე მისთვის.

ციცინათელა — აბა, ამასაც გეტყვი, თუ ერთი გულით ეს მარ-
ცხი შენთვის საწყენია, მეორე გულით უნდა გაგხარებოდა,
იმისთვის, რომ დაგემტკიცებია სიყვარული, ახლა კი უსუსუ-
რება გაამეკლავნე.

ხათუნა — როგორ უღვთოდ მომდექი, ციცინათელა, არ გეცო-
დები?

(შემოდის მამისთვალი).

მამისთვალი — რა მოუვიდა ბადრის?

ციცინათელა — რაზე ამბობ?

მამისთვალი — აგერ შემხვდა და დანა პირს არ უჭრის.

ციცინათელა — შენ მაინც რა პირით შეეყარე!

მამისთვალ — რატომ!.. თვითონ არ გამიკარა, თორემ კარგი სათქმელი მქონდა.

ციცინათელა — შენგან კარგი რა ითქმება. თვითონ როგორ გაქვს საქმე, შე საწყალო?

მამისთვალ — ცუდად.

ციცინათელა — ისევ ცუდად?

მამისთვალ — ჰო, ქარხანაში.

ციცინათელა — ბადრი იქ როგორ ნუშაობდა?

მამისთვალ — კარგად. ახლა მაინც მთლად დადასტურდა, რომ მაგას ვერავინ უტოლდებოდა. ამაზე მინდოდა ლაპარაკი და აღარც შემომხედა. რა მოუვიდა?

ციცინათელა — მეტი რა უნდა მოსვლოდა, რაც უყავი!

მამისთვალ — მე რა დავუშავე?

ციცინათელა — მაშინ შეუშალა ხელი, ვინ მოაცდინა, თუ არა შენ, თავის საქმეზე. მერე, როგორ დალუბე, თავს ვერავის შეაფარებს. ხათუნაც კი გამოეცალა.

ხათუნა — რისთვის მჩხვლეტ ასე მწარედ, ციცინათელა, წელან რომ ავწუწუნდი?

ციცინათელა — არა, სხვა დროს ეს უბრალო წუწუნად ჩაითვლებოდა, ახლა კი... გამოტყდი, რომ არ შეგიძლია იყო სულგრძელი მეგობარი და გამტანი მეუღლე. რას იზამ, ბევრია მასეთი.

ხათუნა — ნუთუ ასე საძაგელი გგონივარ!.. ძალიან მწყინს ისეთებს თუ მადარებ... მაგრამ მაინც ჩემი მეგობარი ხარ, ვიცი, გულშემატკივრობით მომახალე მწარე სიტყვა... მე... ახლავე დავეწვი ბადრის და ავუხსნი, რომ უბრალოდ ავწუწუნდი, რომ აფრასიონის დანახვამ გამალიზიანა — დედა გამახსენდა და ავფორიაქდი.

მამისთვალ — ო, აფრასიონი მეც დავინახე! აქ რამ ჩამოაგდო. რალაცა დაღონებული დადის.

ციცინათელა — ო, ალბათ, უნდა მოგაჩვენოს ხათუნა, რომ შენს ბედზე დაფიქრებული.

ხათუნა — კარგი. ახლავე მოვიყვან ბადრის. ორივემ ალში გამატარეთ.

ციცინათელა — რისთვის?

ხათუნა — გამომცადეთ. რა ვიცი, ეგებ მართლა დასაგმობი ვარ. (ხათუნა მიდის).

ციცინათელა — აი, ხომ ხედავ რა ჩაიდინე, მამისთვალ?.. ამათ

ისე აურიე ცხოვრება, კინალამ ეს ქალი ასპიტად გადაიქცა...
მამაჩემს სახელი შეუბღალე, მე გული მომიკალი.

მამის თვალი — კარგი, აბა ვიფიქრებ რომელ წკვარამში გადა-
ვეარღე.

ციცინათელა — ეს რა პასუხია!

მამის თვალი — ეჰ, ქიშვარდომ დაგვინახა და მოდის!.. მერე
მოვიყაროთ თავი.

(მამისთვალი მიდის. შემოდის ქიშვარდი).

ქიშვარდი — სადა ხარ, ქალიშვილო?

ციცინათელა — რა გინდათ?

ქიშვარდი — აფრასიონის შესახვედრად ვემზადებით. დაეხმარე
პუპის, ბავშვი არა ხარ.

ციცინათელა — არა მცალია.

ქიშვარდი — მამისთვალთან საჩურჩულოდ ხომ მოიცალე!..

ციცინათელა — მერე რა გინდათ, თქვენთვის აფრასიონია
ძვირფასი, ჩემთვის კი მამისთვალი.

ქიშვარდი — რას ბედავ, მამისთვალს ვის აღარებ!

ციცინათელა — რა ვუყოთ, ინოდენა თანამდებობა არა აქვს,
მაგრამ შეიძლება კაცმა პატარა საქმეში დიდი ადამიანობა
გამოიჩინოს.

ქიშვარდი — ეს ვინ გასწავლა, ბადრის ხულაში ხომ არ ლებუ-
ლობ განათლებას?

ციცინათელა — დიახ, იმ ხულაში მეტი სიკეთეა, ვიდრე ზოგ
დარბაზში.

ქიშვარდი — ო, ალბათ, იმიტომ ეძებდნენ დღეს ბადრის.

ციცინათელა — ვინ ეძებდა?

ქიშვარდი — ქარხანაში რევიზია ჩამოსულა, ვილაც ქალი ყავთ
ხელმძღვანელი და დღეს აქ ბადრის ამბავს კითხულობენ.

ციცინათელა — მასთან რა უნდათ?

ქიშვარდი — ქარხანაში მავნებლობა ჩაუდენია და აქაც ხომ არ
ეწევაო.

ციცინათელა — არა მჯერა.

ქიშვარდი — მე თვითონ ვნახე ის ქალი.

ციცინათელა — ვინ არის?

ქიშვარდი — არ ვიცი. ისეთი დედაკაცია, თვალეში რომ ჩამ-
ხედა, ყველივით გავიწურე.

ციცინათელა — არა, ახლაც თქვა მამისთვალმა, დამტკიცდა,
რომ ქარხანაში კარგად მუშაობდაო. ეს რევიზია აფრასიო-
ნის მოწყობილი არ იყოს.

ქიშვარდი — ოო, ესეც შეიძლება, ხათუნა აქედან რომ არ წაყვა, ეგებ, ეწყინა და შური იძია.

ციცინათელა — მერე, მასეთ ადამიანს სახლში იღებთ?

ქიშვარდი — გაჩუმდი, თორემ ამოგვაგდებს, საშიშ კაცს უნდა მოეფერო, თორემ კეთილს რად უნდა მორიდება.

ციცინათელა — მე მაგ ჭკუის არა ვარ.

(შემოდის ხათუნა).

ქიშვარდი — აბა, სახლში გელოდებით, ციცინათელა. (ქიშვარდი მიდის).

ხათუნა — ახლა ბადრისგან მოვდივარ. მოსახვევში დავეწიე და შემოხედვისთანავე მიხვდა, როგორ ვნანობდი მის წყენინებას, ტირილიც არ დამქირდა... მერე ტკბილად დავიწყეთ ლაპარაკი, ასე ტკბილად ჯერ არც დავლაპარაკებულვართ... მაგრამ ამ დროს გერასიმე წაგვაწყდა, დაუძახა და წაიყვანა... მხოლოდ, ძლივს დაგვაშორა.

ციცინათელა — ეჰ, ხათუნა, ჩვენ მაგათ ჩვენი სიყვარულით ვბერავთ და გვეკონია, რომ მართლა უბაღლო ვაქცაყვები.

ხათუნა — ვისზე ამბობ?

ციცინათელა — ეს ბადრიც და მამისთვალეც რალაცა გვეკონია.

ხათუნა — არა, ციცინათელა, კიდევ რისთვის მცდი, გეფიცები, მე მასთან ჭირი ჭირად არ მიმაჩნია.

ციცინათელა — არა, ახლა მეც გულმოსული ვარ. ისინი ჩვენზე იმარჯვებენ, სხვებთან კი ღვთის გლახებია. გიმეორებ, რომ ჩვენი სიყვარულით ვბერავთ.

ხათუნა — წელან თვითონ შემინთე ცეცხლი და ახლა ცივ წყალს მასხამ?!.

ციცინათელა — არა, იცი, მამისთვალს მე რას ვუზამ, საშველს არ მივცემ, სანამ არ გაიმარჯვებს.

ხათუნა — ჯერ მე მარიგებდი ჭკუაზე და ახლა თვითონ უფრო უწყალო ხდები?

ციცინათელა — მითხარი, ნუთუ შეიძლება ადამიანი სხვას სულგრძელობას თხოვდეს და თვითონ კი სულმოკლე იყოს?

ხათუნა — რა ვიცი, ანდაზაც არის ზოგი სხვის თვალში ბეწვს ეძებს და თავის თვალში კი ღირეს ვერ ამჩნევსო.

ციცინათელა — ეს რას ნიშნავს, — რომ შენ სულმოკლეობას გიკიჟინებ, თვითონ კი მთლად უსულგულო ვარ?..

ხათუნა — ეს როდის ვთქვი, მხოლოდ შენი დაშოშმინება მინდა.

ციცინათელა — არა, მეტი არ შემიძლია, ჩემო ხათუნა. რაც გინდა თქვი, მარტო ორ კვირას ვიცდი, მერე კი გავიქცევი

ქარხანაში, დაექორწინდები მამისთვალზე, გადმოვიტან ჩვენი ეზოდან, თუნდაც, საქათმეს, შენ გვერდით რომ ცარიელი ადგილია, იქ დავდგამ და შიგ ჩავსახლდებით... ვისაც არ მოეწონება, ქვა ისროლოს და თავი შეუშვიროს.

ხათუნა — აკი ახლა ფიცავდი, სანამ არ გაიმარჯვებს არ გავყვებიო!..

ციცინათელა — ეს ხომ მისი გამარჯვება იქნება. მერე სხვა მოყვება... იცი რა გითხრა, ხათუნა, ის რომ წმინდაა, მთლად, მთლად ხალასი, გულკეთილი, ამიტომ მისი ჭი-რი-მე. ა... ნუ დამცინებ, გოგო.

ხათუნა — ო, აგერ მოდის მამისთვალი.

ციცინათელა — ეჰე, რა გლახა დროს გამოჩნდა, სად დავემალო!..

ხათუნა — რისთვის ემალეები? .

ციცინათელა — სწორედ იმ დროს მომისწრო, როდესაც ჭკუიდან გადავედი.

ხათუნა — ნუ გეშინია. სიყვარულს თავის საკუთარი ჭკუა აქვს. მე აქ ახლო ვიქნები, კლუბში შევალ. •

(ხათუნა მიდის).

ციცინათელა — რა ვქნა, მე საყვარელ არსებას გულით უფრო შევცინი, ვიდრე სახით, ზოგიერთები კი სახით უფრო შეცინიან ადამიანებს, ვიდრე გულით.

(ნელა შემოდის მამისთვალი).

ციცინათელა — (ზურგს შეაქცევს) მამისთვალი ხარ?

მამისთვალი — ბადრი და ხათუნა სად არიან?

ციცინათელა — მე მარტო მინდა შენთან ლაპარაკი.

მამისთვალი — მერე, ზურგს რად მაქცევ?

ციცინათელა — იმიტომ, რომ კაცი სიმაართლეს ზურგს უკან უფრო ლაპარაკობს.

მამისთვალი — ეს მტრებზეა. ნათქვამი და ჩვენ ხომ...

ციცინათელა — რა ვიცი, მე რა მტერი ვარ და ახლა, ზურგს უკან დიდი ძვირი ვთქვი შენზე.

მამისთვალი — ვისთან?

ციცინათელა — ხათუნას ვუთხარი, რომ შენ ჩემი სიყვარულით გაგბერე და თავს ვიტყუებ, ვითომ დიდი რამე ხარ.

მამისთვალი — ეჰე!..

ციცინათელა — აბა, თუ ასე არაა, ქარხანაში ცუდად რატომ გაქვს საქმე? ხომ შეშვირდი, რომ გაიმარჯვებდი? ხელი რისთვის არ გამოიღე!.. (დაურტყამს ფეხს) რისთვის დამლუბე!..

მამისთვალი — რა ვიცი, ვმუშაობ და წინ მაინც სხვები მისწრებენ..

ციცინათელა — (მიუბრუნდება) სულ საწყალი შეიქენი... დასა-
ლონარი, საეაებო, გულის მომნელებელი.

მამისთვალე — კიდევ ცრემლი მოგადგა?

ციცინათელა — ყველგან უბადრუკი ხარ, აქაც და ქარხანაშიც.
მამისთვალე — ალბათ, უცხოა ჩემთვის ის საქმე... ასეა, გეს-
მის? რა ვქნა, რა გიყო, რომ ვერ მიხვდი.

ციცინათელა — მერე რა... ჩვენ ერთი სიცოცხლე გვაქვს და
არ უნდა დავკარგოთ ჩვენი წილი სიკეთე, მიხვდი, გესმის?..
როგორც კარგი ფესვიანი ხე უდაბნოშიც პოულობს ნამს
ასაყვავებლად, ისე გონიერი ახალგაზრდაც ყოველ ბედში
ასწრებს რამე კეთილი ნაყოფის გამოტანას. ეს ტყუილია?

მამისთვალე — იმ ქარხანაში მხოლოდ ერთი რამე გავაკეთე:
ჩემს თავს თუ ვერ გამოვადექი, ბადრის მაინც ვუშველე.

ციცინათელა — რა გაუკეთე?

მამისთვალე — მისი გამოგონება სასახელო გამოდგა.

ციცინათელა — როგორ?

მამისთვალე — სხვას მიუთვისებია მისი ნაშრომი და სახელიც
გაიკეთა იმ უსინდისომ.

ციცინათელა — მერე, ბადრიმ იცის?

მამისთვალე — სიზმარშიც არ მოჩვენებია, ეს მე გამოგვექმე და
საბუთებიც დავაწყე რიგიანად.

ციცინათელა — რა საქმე გავიკეთებია!..

მამისთვალე — ახლა ამის სათქმელად მივაკითხე ბადრის, მაგ-
რამ შენ აქედან შემირისხდი, მან კი ხმა სულ არ გამცა, თან,
გავიგე, სანერგეში მე მებრალეებს რაღაცას... ამიტომ ამ ამ-
ბავს ჯერ ნუ ეტყვი, მხოლოდ ეს გადაეცი, როგორც კი
მოიცალოს, მოვიდეს ქარხანაში.

ციცინათელა — ჰოდა, ასე კეთილი და ქვეიანი რომ ხარ, რა-
ტომ მამაჩემს ვერ გააგებინებ?

მამისთვალე — მამაშენს ეს არც მოეწონება. უკულო ხარი
სხვებს ბუზებს როგორ უგერიებსო, იტყვის.

ციცინათელა — მე კი, მამაჩემის ადგილზე, მარტო ამისათვის
მოგათხოვებდი ქალიშვილს.

მამისთვალე — ამ საკითხში შენ ხომ მასზე მეტი შეგიძლია.
(უახლოვდება) მიხვდი, გესმის?..

ციცინათელა — არა... ხელი არ მომაკარო, თორემ ჩემს ბუმ-
ბულს ვერ იხილავ. (გაიხედავს) უი, წავიდეთ, თორემ აქ მთე-
ლი კოლექტივი მოდის.

მამისთვალე — ჰო! (აპირებენ წასვლას).

ციცინათელა — (ზურგს შეაკეცვს) მამისთვალ!

მამისთვალი — (თავისთვის) რაღაც საშინელს მეტყვის.

ციცინათელა — ერთ კვირაში მოვალ და ვიქორწინოთ. რაც უნდა ისა თქვან. (მიდის).

მამისთვალი — მერე ეს ბედნიერება მარტო ხმით რად გადმოძახა, თვალთაც ეთქვა. რა უცნაურია, ისე იქცევა, თითქო მარტო თვითონ უნდა დატკბეს ჩემთან შეერთებით, — მე კი არ გამახაროს.

(შემოდინან ეგნატე და ერმილე).

ეგნატე — ვინ მოვნახოთ, ვის ვკითხოთ?

ერმილე — აქ სოფელია, ალბათ, ყველა იცნობს ერთმანეთს.

ეგნატე — ამხანაგ ტასოს უნდა აქ თავის ქალიშვილის ოჯახური ამბავიც გაიკითხოს და სანამ ყველაფერს არ გაიგებს, არ მიეკარება.

მამისთვალი — (აკვირდება მათ) თქვენ დღეს ქარხანაში დაგინახეთ, რევიზიის წევრები არ ხართ?

ერმილე — დიახ.

მამისთვალი — ვილაც ქალია თქვენი ხელმძღვანელი.

ერმილე — ისიც აქ არის.

მამისთვალი — მე კი ახლა ქარხანაში მივიჩქაროდი თქვენს სანახავად.

ეგნატე — მალე დაბრუნდებით.

ერმილე — ერთ რამეს გკითხავთ, კაბუკო, ბადრის ხომ არ იცნობთ? აქ, კოლმეურნეობაში გადმოსულა ქარხნიდან.

მამისთვალი — მეც სწორედ მის საქმეზე მოვიჩქაროდი თქვენთან. ჩემსავით ბადრიმაც არ იცის თავისი ამბავი. მე ქარხნის მუშა ვარ და როცა დაბრუნდებით, საკვირველ საბუთებს წარმოგიდგენთ. მხოლოდ, იცოდეთ, ვინმეს მორიდებით სიმართლეზე თვალი არ დახუკოთ, თორემ სხვა გზას მოვნახავ.

ეგნატე — მაშ, კარგი, თუ არ ტრაბახობ, თუ მართლა იცი რამე, გვინახულე.

მამისთვალი — ვიცი კი არა, იმდენი სიმართლე მაქვს სათქმელი, მახრჩობს — გულში ვერ დატეულა.

(ყველანი მიდიან. შემოდინან ბიძინა, ენუქა, 1 და 2 კოლმეურნე).

ბიძინა — ჩემთან, ამხანაგებო, პირდაპირი იყავით, გულახდილად მითხარით ყველაფერი.

1 კოლმეურნე — გეტყვით.

ენუქა — მესმის. (1 და 2 კოლმეურნეს) ამასთან, ამხანაგებო, დაკვირვებით ვილაპარაკოთ.

ბ ი ძ ი ნ ა — მე გთხოვთ სრული ნდობით, დაუფიქრებლად გადა-
მიშალოთ გული. მაშინ მეტს დავინახავ და გავიგებ.

ე ნ უ ქ ა — არა, მე თუ კარგად არ გავზომე, ეგებ სისულელე წა-
მომცდეს, შენ მოსული კაცი ხარ, წახვალ და მერე აქაური
ხელმძღვანელები გვკითხავენ, კკუას რომ არიგებდნენ სად
იყავითო.

ბ ი ძ ი ნ ა — მაშ, ამაზე მიპასუხე, ენუქა, ეს კოლექტივი სხვა დარ-
გებში თუ წინ მიდის, სანერგე რად დაკნინებულა?

ე ნ უ ქ ა — (1-ლ კოლმეურნეზე) ეს გეტყვის.

1 კოლმეურნე — იქ ახლა ბადრი მუშაობს.

ე ნ უ ქ ა — ცუდი ბიჭი არაა.

ბ ი ძ ი ნ ა — მე ვერაფრად გამახარა.

2 კოლმეურნე — რა ვიცი, გამგეობა ჯილდოზე წარდგენასაც
პირდებოდა.

ბ ი ძ ი ნ ა — მერე, თქვენ რა აზრისა იყავით?

ე ნ უ ქ ა — ჩვენ ვიფიქრეთ, რაიკომი ჩვენზე უკეთესად გადაწყვეტს-
თქვა.

ბ ი ძ ი ნ ა — არ ხარ სწორი, ენუქა, იცოდეთ, ამხანაგებო, ამ დღე-
ებში აქ საერთო კრებას მოვიწვევთ, გასული წლის მუშა-
ობას გავარჩევთ და რაიკომსაც გავაკრიტიკებთ და თუ იქ
მეურნეობის უკეთესი მცოდნე გვჭირდება — გავაჩენთ. ახლა
სოფლის მეურნეობას მეტი ყურადღება ექცევა და, თუ სა-
ჭიროა, მარცვლეულის ფართობების გასადიდებლად, ან ფერ-
მების გასაუმჯობესებლად ქალაქიდანაც მოვიყვანთ ამხანა-
გებს.

1 და 2 კოლმეურნე — ეს კარგი ამბავია.

ბ ი ძ ი ნ ა — გერასიმეს გადაეცი, ჩემო ენუქი, რომ აქ ზოგ რამეს
კიდევ დავხედავ და მერე მოველაპარაკები. (1-ლ და 2 კოლმე-
ურნეს) თქვენ ფერმაში გამყევით.
(ბიძინა, 1 და 2 კოლმეურნე მიდიან).

ე ნ უ ქ ა — ოჰ, მაღლობა ღმერთს, დროზე დავშორდი, თორემ გე-
რასიმე მომინელებდა: რა თქვა, რა ვუპასუხე, როგორ გა-
მოიხედა... (იხედება) ოჰ, ეს აფრასიონი უნდა იყოს. როდის
ჩამობრძანდა? ახლა ამას ებოდისე. არა, ალბათ, ისე ჩამი-
ვლის, სალაშზე არც კი მიპასუხებს. ნეტავ ვის ეძებს?!

(შემოდის აფრასიონი).

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — ოჰ, გამარჯობა, ჩემო კეთილო!

ე ნ უ ქ ა — (აქეთ-იქით იხედება) ვის ესალმება...

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — ენუქა არ ხარ, კაცო, ხომ არ მემღური?

ენუქა — (წელში ტყდება) დიახ, მე ენუქე ვარ — მგონია, სხვა არა ვარ.

აფრასიონი — (ხელს გაუწოდებს) მესიამოვნა შენი ნახვა.

ენუქა — (დაბნეულად, ართმევს ხელს) მე კიდევე უფრო ნამეტნად გამეხარდა.

აფრასიონი — როგორ ხარ, უ, რამდენი ხანია არ მინახავხარ.

ენუქა — ჰო, დიახ... აწი, კიდეც მოეხუცდები.

აფრასიონი — ჯერ რა დროსაა. მარჯვე კაცი ხარ. დედაშენი პიტე ცოცხალია?

ენუქა — დიახ. მისი სახელიც გახსოვს?..

აფრასიონი — როგორ არა, რამდენჯერ ბავშვობაზე ეზოში რომ ერთი ბალის ხე გედგათ, იმაზე აუშვივარ.

ენუქა — აბა, გიცოდებდა ობოლიაო.

აფრასიონი — ობოლიაო?

ენუქა — დიახ. (თავისთვის) მგონია ეს ცუდად წამომცდა.

აფრასიონი — თქვენისთანა მეზობლებში ობლობაც ადვილი ასატანია. შემდეგაც, ბოსტანში რომ ვმუშაობდი, შენ დამეხმარე, თორემ წელში გავწყდებოდი.

ენუქა — შენი ჰირიმე, რომ კაცურად იგონებ.

აფრასიონი — რაც გულში იწერება, რა ამოშლის. ზოგიერთს სიკეთე ავიწყდება. ეს შეცდომაა. ყოყოჩობა ჩვენს პარტიას არ მოსწონს, ყველას პატივისცემით უნდა მოვეპყრათ.

ენუქა — უჰ, არ ამიყავა გული! მართლაც, ტყუილად არა ხარ ჩვენი სოფლის სახელოვანი შვილი.

აფრასიონი — გაჭირვების დროს ერთმანეთს ხელი არ უნდა ვკრათ.

ენუქა — ოო, ეს სიტყვები კი არაა, პირდაპირ გულის წვეთებია.

აფრასიონი — სიმკაცრესა და ყოყოჩობაზე ადვილი რაა!

ენუქა — ოო, ძალა გაქვს, ბატონო, და ყველაფერი შეგიძლია.

აფრასიონი — სიმკაცრეს თავისი ადგილი აქვს.

ენუქა — მაგისტვის შენისთანა კაცი არ დაიძრახება.

აფრასიონი — მხოლოდ ტყუილ-უბრალოდ არ უნდა გავკიცხოთ ერთმანეთი.

ენუქა — აბა, ამაში მე თვითონ ვარ პირშავად შენთან... წამომცდა შენზე ძვირი და მაპატიე.

აფრასიონი — რაზე?

ენუქა — დღეს პუპისთანაც ვტორტლე აფრასიონმა თავის კაბინეტის კარებთან ხუთ დღეს მაყურყუტა და არ მიმიღოთქვა.

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — მგონია სახლშიც მომაკითხე.

ენ უ ქ ა — დიახ, ესეც ვთქვი, იქაც კული გამომიფსკვნა-თქვა, ასე უხეშები ვართ სოფლელები, სული ცხვირში გვაქვს.

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — ოო, ხუთი დღე გაყურაყურე და არ მიგიღე?!

ენ უ ქ ა — (თავისთვის) რა ჭკუით გამოვეუტყდი ახლა, ენაზე რა მიქა-ჩავებდა. პირდაპირ ბაყაყი რომ გველს თვითონ ჩაუფარდება პირში, ისე მომივიდა, რამ დამაბნია ამოდენა კაცი.

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — ხუთ დღეს, არა! ამისათვის რა ბოდის იხდი, მართლაც გასაკიცხი ვარ შენგან.

ენ უ ქ ა — როგორ გეკადრება. ვინ იცის რა დიდი საქმეები გქონდა, რამდენი ჩემისთანა ენუქიებს გაუქირდება, ყველა თუ სახლში მოგივარდათ, ვის გაწვდებით. არა, მე ამას არ გიძრახავე.

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — ის კი არა, მაშინვე უნდა გაგელანძღე.

ენ უ ქ ა — როგორ გეკადრებათ!

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — მაგ ჩემგან ყოყონობაც იყო და გულგრილობაც. შენ კარებზე იყავი ატუზული, მე კი კაბინეტში თავს ვირობოდი, ოჯახშიც ვფუფუნებდი. ასეთი ყოფისთვის მომხსნეს და მაგრადაც გამაქიაქეს... შენ კი ამბობ გასაკიცხი არ იყავიო. ამაში სწორი არა ხარ. პარტია არასოდეს არ ცდება. და მართალი არიან, როცა მეტისმეტი ყოყონობისთვის, ფუფუნებისა და უხეირობისათვის მომბოლტეს და მაგრადაც გამამათრახეს. შენ კი, ენუქა, მტყუანი ხარ, აქ რომ მიცავ, ამას არ მოგიწონებ.

ენ უ ქ ა — მოგხსნეს? რას ლაპარაკობ?!

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — პარტიაში დატოვებაზეც არის საკითხი... მაგრამ აქ ჩემი მტრები აჭარბებენ. შენსავით კეთილშობილი კი არ არიან, კაცს უხეშად მოგვექეცი და ბოდის თვითონ იხდი. ისინი ერთიორად იძიებენ შურს და ზოგნი კიდევ ცილსაც მწამებენ. ბოლოს, ასეთი რამეც დამაბრალებს, თითქო თავიდანვე უხეირო ვიყავი და კოლექტივში წარჩინებული ბრიგადირის სახელი ყალბად გამიკეთეს. თითქო შენ მუშაობდი, ენუქა, ჩემს მაგიერ, მე კი ჩრდილში ბანქოს ვთამაშობდი და შენი ოფლით მოპოვებული ჩემზე იწერებოდა, ვითომ აქედან დავიწყე ცუდლუტობა.

ენ უ ქ ა — უჰ!..

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — თითქო თავიდანვე მზაკვრობით ავიდგი ფეხი და ამ გზით ვიარე ჩემ თანამდებობამდე. რას არ მაბრალებენ, არც შემიძლია ჩამოვთვალო.

- ენუქა — (თავისთვის) უყურე, თურმე რისთვის მოითავმდაბლა ჩემთან!
- აფრასიონი — ჯერ ერთი, ეს ტყუილია და, მერე, შენთვისაც ცუდია დაგაბრალონ, თითქო სიყალბის ხელისშემწყობი ხარ. ამიტომ მათი ბრალდება არ უნდა დაადასტურო.
- ენუქა — არა, შე კაი კაცო, ჩემთან რა გინდათ, მე ერთი საწყალი მშრომელი ვარ. დღე და ღამე ოფელში ვიწურები და ამისთვის მსპობთ?! განკარგულება თქვენი იყო და მე ვმუშაობდი. რა სიყალბეს მიჩივით, არ მესმის.
- აფრასიონი — ეჰ, შენ რა გავიმტყუნო, ცოლმა არ გამიტანა და ჩემ მტრებს მიემხრო იმ განზრახვით, რომ ბინა წამართვას.
- ენუქა — უჰ, ეს კიდევ რა ცეცხლი მოგდებია!..
- აფრასიონი — აბა, მერე რა ნაფუფუნები ქალი მყავდა!
- ენუქა — რა ვიცი, ჩემ ცოლს მთელი კაბა და ფეხსაცმელი ერთად თავის დღეში არ ცბია... მაგრამ ეს, ალბათ, ქალის სვინდისზეა.
- აფრასიონი — მოუფლელობა რომ ვერ დამიმტკიცა, ახლა წამომიყენა სხვა ქალებს დასდევდაო.
- ენუქა — ო, რა დაუწამებია!.. მე ერთი ჯინჰარივით დედაკაცი მყავს, წელიწადში ერთხელ არ მეტყვის შენი ჭირიმეს, მისთვის არ მილაატნია და შენ მწისუნახავივით ცოლს როგორ გაწირავდი! არა, ეს დიდი უსვენდისობა უთქვამს.
- აფრასიონი — არა, ბიჭო, კიდევ ამით ვიოხებ გულს, რომ სხვა ქალებისთვის ხელი არ დამიკლია, თორემ მისი ერთგული რომ ვყოფილიყავი, ახლა მთლად მომილეედა ბოლმა.
- ენუქა — ეჰ, რა ვიცი, შე ეს მადარდებს — მჟადი რომ მაკლია, შენ კი, თურმე, იმას ჯავრობ, რომ ხასები მოგაკლდა და შენი საჯავრო თუ გულთან მივიღე, ჩემმა რა უნდა მიქნას.
- აფრასიონი — რაო, ა, ვერ გავიგე.
- ენუქა — ჰოდა, მე შენი სულ არ მესმის.
- აფრასიონი — მაშ, ჩემ მტრებს დაუდასტურებ იმ ცილისწამებას?!
- ენუქა — რატომ?
- აფრასიონი — მე ხომ ბოროტად მიცნეს, შენ თუ კეთილი ხარ, სათნოება უნდა გამოიჩინო.
- ენუქა — მერე, შენს მრუშობას უნდა მივახარჯო თუ რამე სიკეთე მაქვს?!

- აფრასიონი — არა, კიდევ ვერ შეგასმინე. მე ბოროტ მტრები-
საგან თავის დასაცავად ჩემს მშობელ სოფელს მოვაკითხე
და ნუთუ აქ კოლექტივი ხელს მკრავს!
- ენუქა — რატომ. აქედან შენ სიამეხს ნუ მოელი, მხოლოდ მე ვერ
გავიგე. აი, თავმჯდომარე ნახე, შვილის ენა დედას ესმისო,
ნააქვამია, ის ყველაფერს მიხვდება.
- აფრასიონი — რომ ვერ ვნახე გერასიმე! სად არის?
- ენუქა — რა მოგახსენო.
(შემოდის ხათუნა).
- აფრასიონი — ოჰ, ხათუნა ბრძანდებით! რა გამიხარდა თქვენი
ნახვა!..
- ხათუნა — რისთვის, რა ისეთი ახლობელი ვარ, ბატონო აფრა-
სიონ?
- აფრასიონი — ყოველთვის მომწონდა თქვენი სიმართლე და პა-
ტიოსნება.
- ხათუნა — რატომ იცლით საქებრად?
- აფრასიონი — მომწონს, რომ ქმრის ერთგული ხარ და კარგი
მშრომელი, სულით მდიდარი ხარ.
- ხათუნა — აკი შირჩევდით, დამეტოვებინა ქმარი, სოფელი და
თქვენს დაწესებულებაში გადმოვსულიყავი!
- აფრასიონი — როგორ გეკადრებათ, ამას იტყვიო ჩემზე!..
- ხათუნა — რა ვიცი, ძალიან მეპატიჟებოდით!
- აფრასიონი — მე მეგონა, ასეთ ყოფაში ვერ გაძლებდით.
- ხათუნა — რატომ?
- აფრასიონი — სიმართლე გითხრა, თქვენც ისეთივე გაუტანელი
მეგონეთ, როგორც სხვა ქალებია, მაგალითად, ჩემი მეუღლე.
- ხათუნა — ო, მეუღლეზე მასეთ სიტყვას როგორ კადრულობთ.
მე მაინც არ უნდა ჩამაწვეთოთ.
- ენუქა — არა, ისიც ცუდად მოქცეულა, ხათუნა, ეს კაცი ყოველ
თანამდებობიდან მოუხსნიათ, ცოლს კი პანლური უკრავს.
არ ვიცი; შეიძლება ეს ხვალვე შეურიგდეს და ჩემგან საწ-
ყენად დაიხსომოს, მაგრამ ასეთ ცოლს ლაფი გადავასხი
თავზე.
- ხათუნა — ოო, მაშ, არა ხარ თანამდებობაზე, აფრასიონ?
- აფრასიონი — არა. იქიდან მომხსნეს და რა ყოფილა ადამია-
ნები, ესეც ამიხსნეს.
- ენუქა — კარგია, თუ არ დაგავიწყდა.
- აფრასიონი — მხოლოდ ახლა გერასიმეს ნახვა მინდა, თქვენ-
თან რომ მომარიგოს, ხათუნა.

ხათუნა — ჩემთან რა საქმე გაქვს?

აფრასიონი — მე ხომ შენ მულამ ისე გარიგებდი კეკუაზე, როგორც უფროსი. ეს უნდა დაადასტურო, თორემ... ერთი სიტყვით... დანარჩენს გერასიმეს ვეტყვი.

ხათუნა — გერასიმე წელან ფერმისკენ მიდიოდა. მე კი თქვენი ამბავი ისე მიკვირს... აზრზეც ვერ მოვსულვარ.

(ხათუნა მიდის).

ენუქა — ჰო, ფერმაში იქნება.

აფრასიონი — გმადლობთ. ჩემგან არაფერი გეწყინოს. (მოწიწებით ართმევს ხელს ენუქას) თუ რამე ხინჯი გაქვს, მაპატიე, კიდევ გამოგადგები.

ენუქა — (იწმენდს მის ჩამორთმეულ ხელს შარვალზე) მე არაფერს არ გაგიფუჭებ.

აფრასიონი — იმედი მაქვს. (მიდის).

ენუქა — ეს რა დამართია, ა, რა მოტეხილი მიდის!

(შემოდის გერასიმე).

გერასიმე — ენუქა, საით იყურები?

ენუქა — აგერ, აფრასიონს ვაკვირდები.

გერასიმე — სად არის? (იხედება) ოჰ, აგერ მიდის!

(აპირებს დადვენებას).

ენუქა — მოითმინე!

გერასიმე — მე მკითხულობდა. არა, ახლავე დავეწვი.

ენუქა — დაიცა, ცუდად აქვს საქმე.

გერასიმე — ცუდად? (შეჩერდება) როგორ?

ენუქა — უბედურააა. ჯერ გაიგე და მერე გაეკიდე.

გერასიმე — რა მოუვიდა?

ენუქა — თანამდებობიდან მოუხსნიათ. პარტიიდანაც აძევებენ.

გერასიმე — რისთვის?

ენუქა — კაიკაცობისთვის ხომ არ მოუვიდოდა. ყოყოობა და უხეირობა... მაგრამ თვითონ ნახევარსაც არ იტყვის.

გერასიმე — რა იცი, შენ ხომ არ დაგელაპარაკა?

ენუქა — მელაპარაკა კი არა, ბევრიც მეფერა. ო, მაგის კარებთან ღგომის შემდეგ რას მოვესწარი!

გერასიმე — აქეთ მაინც რამ გადმოაგდო!

ენუქა — ასე თქვა, მტრებმა ცილი დამწამეს, თითქოს აქ თავიდან შენი ნამუშევარი მომაწერეს და ყალბად გამიკეთეს სახელიო. მთხოვა ეს არ დაადასტუროვო, მე ვუპასუხე არაფერი არ მესმის-მეთქი და შენთან გამოვეზანენ.

გერასიმე — ჩემი რა საქმეა. მე რომ თავმჯდომარედ ამირჩიეს, ორი წლის წასული იყო აქედან.

- ენუქა — ბრიგადირად კი იყავი იმ დროს.
- გერასიმე — მე ჩემთვის ვმუშაობდი.
- ენუქა — აბა, რაც დაუთესავს, მას მოიმკის.
- გერასიმე — მაგ ისეთი არამზადაა, ვინ იცის რა არ ექნება ჩა-
დენილი. აქ გასასვრელად არ მომადგეს.
- ენუქა — აბა!..
- გერასიმე — უი, ახლა ეს რა სიგლაზე მომივიდა. მაგის გასა-
მასპინძლებლად პუპის იმდენი რამე დავაველე, ოჯახი ამომი-
ვარდება. გაიქეცი ახლავე. ენუქა, თუ კაცი ხარ, არაფერი
არ დაკლან.
- (შემოდის ქიშვარდი ხელში გახეთით).
- ქიშვარდი — აფრასიონის ამბავი იცით?
- გერასიმე — კი, გავიგე.
- ქიშვარდი — აგერ, გაზეთშიც არის.
- გერასიმე — აბა, რას უცდი, ენუქა, არაფერი არ დაკლან, მიუს-
წარი!
- ქიშვარდი — არა, იქ რაც შენ გვირჩიე, გერასიმე, ყველაფერი
დავაგეთ შამფურებზე.
- გერასიმე — ოჰ!..
- ქიშვარდი — რა გაეწყობა, მოვიზნართ.
- გერასიმე — რა მოგსდევდათ, ქიშვარდი, ალბათ შენ დააჩქარე-
ბინე.
- ქიშვარდი — შეეცდი და რას იზამ.
- გერასიმე — უჰ!..
- ქიშვარდი — არაუშავს, ერთი ნაღიმის გადახდა ამაზედაც ღირს,
რომ ჩირქი მოშორდა ახალსოფელს. მასეთი გარეწარი ცხრა
სოფელში არ იყო.
- გერასიმე — ახლა მაგისთვის არა მცხელა. ბიძინა მიტრიალებს
კოლექტივში და რას მიპირებს არ ვიცი.
- ქიშვარდი — ნუ გეშინია, მასაც მოვიყვანთ ჭკუაზე, გავიაროთ
და ვნახოთ.
- (ყველა მიდის. შემოდინან ტასო და ბიძინა).
- ტასო — თქვენ ჩემი თანამშრომლისთვის გითქვამთ, თითქო აქ
კადრებს დაუკვირებლად ანაწილებენ.
- ბიძინა — დიახ, მაგალითად, მამისთვალზე ეთქვი, რომ აქ სასა-
ხელო სანერგეს ქმნიდა, მაგრამ ქარხანას წაუყვანია.
- (შემოდის ციცინათელა).
- ტასო — აქ ქარხნიდან ერთი მუშა-ოსტატი გადმოსულა, ბადრი
ჭქვიან, ალბათ იცნობთ?
- ბიძინა — როგორ არა, პატივცემულო ტასო. ის მამისთვალის
ადგილზეა.

ტასო — როგორი მომუშავეა?

ბიძინა — მე ვფიქრობ, არ არის სუფთა კაცი.

ტასო — რატომ? რა დააშავა?

ბიძინა — სანერგე ამოავლო. წინად კი ქარხანა დაუზარალებია. ციციანათელა — ძალიან მკაცრად ლაპარაკობთ.

ბიძინა — მამათქვენი ჯილდოზე წარდგენასაც დაპირებია. ასე რისთვის მფარველობდა, რა გააკეთა ბადრიმ?

ციციანათელა — კარგი ახალგაზრდაა, პატივსაცემი მეუღლე ჩამოიყვანა ქალაქიდან და გვინდოდა ხელი შეგვეწყო.

ტასო — ცოლიც კოლმეურნეა?

ციციანათელა — დიახ, თავდადებით მუშაობს სათბურში.

ბიძინა — ქმარი კი ისეთი თავხედია, თვითონვე, მოურიდებლად ლაპარაკობს, რომ მამისთვალის ნამუშევარი გააფუჭა. მე მისი პიროვნების შესასწავლად ქარხანაშიც გაიხლებით, ამხანაგო ტასო.

ტასო — მობრძანდით, იქ დაგხვდებით.

ბიძინა — კარგად გნახეთ.

(ბიძინა მიდის).

ტასო — მაშ, ხათუნა სათბურში მუშაობს?

ციციანათელა — დიახ, მისი სახელი გცოდნიათ. ხომ არ იცნობთ?

ტასო — ეჰ, უბედური!

ციციანათელა — წამობრძანდით, — ნახეთ ცოლიც და ქმარიც.

ტასო — არა, თავს შემაცოდებენ.

ციციანათელა — მაშ, მარტო ცილისმწამებლებს გაუგონებთ?

ტასო — მე ვფიქრობ, მისი ქმარი არაწმინდაა. შეაცდინა ხათუნა, შემდეგ ქარხანა დააზარალა და აქაც განაგრძობს ცულ-ლუტობას. თუ ეს დამტკიცდა, ვერ დავზოგავ.

ციციანათელა — თქვენ უსმენთ მხოლოდ ცულლუტებს და მატყუარებს, როცა ასე ფიქრობთ ბადრიზე.

ტასო — არა, შენ ისე უსაბუთოდ ესარჩლები, ვერ დავიჯერებ. (გამოჩნდებიან: ვგნატე და ერმილე) დავბრუნდეთ, ამხანაგებო, მას ვერ ვნახავ! (ციციანათელას) მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

(ტასო და რევიზორები მიდიან).

ციციანათელა — ეს რა შეუსმენარია, ვილაცაა.

(შემოდინ ქიშვარდი და გერასიმე).

გერასიმე — აქ ხარ, ციციანათელა! ბიძინა შემხვდა და არც დამელაპარაკა. ხომ დააკვირდი, ქიშვარდი, როგორ აბრიალებდა თვალებს!..

ქიშვარდი — იცოდე შავადაა საქმე.

გერასიმე — მე თავს ასე არ დავთმობ. ათი წელიწადია კოლექტივის ვხელმძღვანელობ, ძალა შევალე, რაიონში ყველაზე ღარიბი კუთხე დავაწინაურე და ახლა ლაფს მასხამენ?!
(შემოდინან ბადრი და ხათუნა).

ბადრი — რად დაღონებულხარ, გერასიმე?

ციცინათელა — მამა ხომ ასე გამწარებულია, შენ სულ უბედურად გაქვს საქმე, ბადრი.

ბადრი — რატომ?

ციცინათელა — აქ ვილაც ქალი ჩამოსულა, ბიძინა შეხვდა და ორივემ ისე დაგხატეს, როგორც ნამდვილი მავნებელი.

ბადრი — ვინ არის? საიდან გამოტყვრა!..

ქიშვარდი — ტასო ჰქვიან, თურმე რევიზიას ატარებს ქარხანაში.

ბადრი — ოო, აქ არ კმაროდენ მტრები, ქარხნიდანაც ამიტყდენ!

ხათუნა — რა უსაშველო მზადდება!..

ციცინათელა — არა, ხელს ნუ ჩაიქნევ. მე ერთი იმედი მაქვს, იმ ტასომ ისეთი თანაგრძნობით გიკითხა, ხათუნა, შენი ნათესავი უნდა იყოს, ბადრიზე კი ძალიან მოლესილია და ნახე, ეგებ გააგებინო რამე.

ქიშვარდი — ო, თუ ასეა, ხათუნა ახლავე გამოენთე და აუხსენი, რომ შენს ქმარს გულუბრყვილოთ მოუვიდა შეცდომა და აწი ქარხანაში ცხვირს არ შეყოფს.

ციცინათელა — მერე, იქ მამისთვალაც ნახე, — რალაცას მიამედებდა.

გერასიმე — არა, ეს არ გვიშველის. აქ რაიკომი უნდა შეეძრათ. მე უფროსების შეუთანხმებლად ჯერ ნაბიჯიც არ ვაღამიდგამს. ახლავე წადი, ციცინათელა, ქარხანაში და კოკოლას თხოვე რაიკომის მდივანი მომიყვანოს.

ციცინათელა — კოკოლას?

ქიშვარდი — ჰო, უსათუოდ.

ციცინათელა — მამა უცხოვნდა!

ქიშვარდი — შენი ჭირიმე, არ გაჯიქდე. აქ მამაშენის ბედი წყდება, კოკოლას კი შენი ხათრი აქვს.

ციცინათელა — სამაგიეროდ, რასაც გთხოვთ შემისრულებთ?

გერასიმე — მაგ რა საკითხავია!

ქიშვარდი — (ხათუნას) შენც ინახულე ის ვილაცა ტასოა.

ხათუნა — ნეტავ რომელი ტასოა... მოითმინე... მას წარბები შეერთებული ხომ არა აქვს?

ქიშვარდი — კი. ტუჩზეც ბუსუსი აქვს, ეშხიანი, მოწიფული
ქალია.

ხათუნა — (თავს ჩალუნავს).

ბადრი — ვინ არის?

ხათუნა — (ბადრის) ეჭვი მაქვს, რომ... ჯერ ვნახო და მერე გე-
ტყვი.

გერასიმე — აბა, დრო არ დაეკარგოთ.

მოდმილება მესამე

ღარბაზი ქარხანაში. სიღრმეში მაგიდა, სავარძლები. სცენაზეა ხათუნა, ტასო და ვგნატე.

ტასო — შორს ნუ ჯდები გაბუტულივით, ახლო მოიწი, ჩემო შვილო, მხოლოდ იმ კაცზე ხმა არ ამოიღო, სანამ რევიზიას არ დავამთავრებთ. — ამოაო ლაპარაკია.

ხათუნა — როცა დედა არ მისმენს, ვისი იმედი მქონდეს?!

ტასო — რა გამოვა, რომ მოგისმინო?

ხათუნა — გაიგებ, რომ ის სპეტაკი აღამიანია.

ტასო — სპეტაკი!..

ხათუნა — შენ ვერ წარმოიდგენ, დედა, რა უეშმაკოა.

ტასო — ასე რომ დაგარწმუნა თავის ღირსებაში, სწორედ ესაა ეშმაკობა.

(შემოდის კოკოლა).

კოკოლა — ჩვენს საამქროში ბრძანდებოდით?..

ტასო — დიახ, გავიგეთ, რომ თქვენი გამოგონების წყალობით დაწინაურდა საამქრო.

კოკოლა — მალე ამასაც გაიგებთ, როგორ მიშლიდნენ ხელს დირექტორის დამქაშები.

ხათუნა — ბადრის შესახებ რას იტყვით, პატივცემულო კოკოლა?

კოკოლა — თვითონ რა ჰქუაზეა?

ხათუნა — ქარხნისაკენ არ გამოიხედავს, ოღონდ ნუ შეაწუხებთ.

კოკოლა — რადგან ასე გამოსწორდა, რას ვერჩით.

ტასო — ჯერ კომისიამ გამოარკვიოს რა გამოგონება იყო, და რა ზარალი მიაყენა ქარხანას.

კოკოლა — აჰ, ეს რა საჭიროა, გეცალია ახლა მასეთი წვრილმანებისათვის!

ტასო — ეგებ არც წვრილმანია!

ხათუნა — აი, როგორი ხარ, დედაჩემო, შვილსაც ჯიბრში მიღებები.

ტასო — რა შუაშია აქ დედაშვილობა?

კოკოლა — როგორ, ეს თქვენი შვილია?

ტასო — დიახ.

კოკოლა — მაშ, მეც გემუდარებით მასთან ერთად.

ხათუნა — აი, დედა, ხომ გესმის, სუყველა ასე გეტყვის, შენ კი არც სიმართლეს გვიჯერებ, არც ხათრი გაქვს, არც მშობლის გული... (ტირის) ქვა ხარ... ქვა...

ტასო — კიდეც რომ ხმას იღებ! ა, ეს გეტქმის დედაზე, რომელიც ისეთი ვაჟბატონისათვის დაივიწყე! სისხლი გამიშრე ერთად-ერთმა შვილმა და აქეთ მესაყუედღურები?!

კოკოლა — არა, არ მოგეშვებით, სანამ ხელს არ აგაღებინებთ ამ უაზრო კვლევაზე.

ტასო — საკვირველია! თქვენ ხომ იწერებოდით დირექტორმა მას აშკარად მავნებლური ცდა ჩაატარებინაო. ახლა რა გაღელვებთ?

კოკოლა — თქვენი ქალიშვილის ბედი, სხვა არაფერი.

ტასო — ნუთუ აქ ჩემზე უფრო გეწვით გული!..

(შემოდის ქიშვარდი).

კოკოლა — საიდან გაჩნდი, ქიშვარდი!

ხათუნა — ციციანათელა ხომ არ მოგყვა?

ქიშვარდი — დიახ, ჩამოვიყვანე, გარეთ იცდის.

კოკოლა — ოჰ, — კარგი მახარობელი ხარ!

ტასო — ეს კაცი, მგონი, გუშინ ვნახე ახალსოფელში.

ქიშვარდი — დიახ, ცოტა ანგელოზები დამიფეთეთ.

ტასო — რაზე?

ქიშვარდი — ბადრის ემუქრებოდით... მაგრამ, ალბათ, დაგაშოშმინეს, მაღლობა ღმერთს.

ტასო — პირიქით, ამათმა თხოვნამ უფრო ამაღელვა. საჩქაროდ უნდა დავიბარო.

ხათუნა — მას იქ საქმეები აქვს.

ქიშვარდი — დიახ, რევიზია ადგა და ცამდე მართალია.

კოკოლა — თუ არ სცალია, როგორ მოვა!..

ტასო — მოვიყვანთ.

(შემოდის ერმილე).

ერმილე — მუშების ჯგუფი გელოდებათ, ამხანაგო ტასო!

ტასო — გაახლებით.

(აპირებს წასვლას).

ხათუნა — არა, მე ვერ მოგშორდები, სანამ არ დამშვიდდები, დედა!

კოკოლა — (ჩუბად. ხათუნას) დიახ, ასე, არ დაუთმო, თორემ დაილუპები.

ტასო — მეკი, იცოდე, არ დავისვენებ, სანამ მთელ მის საქმეებს არ გადავქეპავ. ბოლოს და ბოლოს გავიგო ვისთვის მკარი

წიხლი. სიმართლე უნდა დავინახო სულ, თავიდან ბოლომდე!
(ტასო, ვრმილე და ხათუნა მიდიან).

კოკოლა — ეჰ, რა ჯიუტია! ეს სიძეს სიკვიდილამდე არ მოეშვება და მე გამოვიქექებები!

ქიშვარდი — ვატყობ, აქ ცოტა სიცხე ვაღვას, კოკოლა, მაგრამ გერასიმე ისეთ დღეშია, თავი უნდა დაივიწყო და გვიშველო.

კოკოლა — ო, ამისთვის მოგყვა ციციანთელა! კიდეც გამიკვირდა.

ქიშვარდი — როგორმე უნდა მოიცალო და შენი სიძე ამოიყვანო ახალსოფელში. სხვა საშველი არ არის.

კოკოლა — როგორც კი ბადრის საქმეების ქექვას დაიწყებს ეს დედაკაცი, აქედან უნდა გავძვრე... მხოლოდ გერასიმეს გადარჩენა ჯერ შემიძლია.

ქიშვარდი — მაშ, თუ გასაქცევად გაქვს საქმე, ჩვენ შეგიხიზნებთ. მეც ხომ მასეთ დღეში ვიყავ, როცა ჰუპის შევაფარე თავი... ოღონდ, დაგვეხმარე, ოჯახი წინდაწინ გაამაგრე და როცა გაგიჭირდება თავს კოხტად შეაფარებ.

კოკოლა — თუ ციციანთელამ კინწი მკრა, ოჯახს როგორ ჩავიგდებ ხელში.

ქიშვარდი — ციციანთელა ახლა მამის გადასარჩენად ეშმაკს დაუჩოქებს, შენზე კი თავიდანვე შეყვარებულია.

კოკოლა — შეყვარებულია?

ქიშვარდი — რა საკითხავია!..

კოკოლა — რა ვიცი, შენ კარგი ხანია მეფიცები, მაგრამ ის სათოფეზეც არ შეკარება.

ქიშვარდი — მაშინ ის ახირებით ემართებოდა, ახლა კი დადინჯებულა.

კოკოლა — არ გახსოვს შარშან თავზე რომ ვაკოცე, რა ამბავი ატეხა!

ქიშვარდი — ოო, მაგ ამბავი დღეს გზაზე შევახსენე და შევატყე ნანობს, რომ ტუჩი არ შეგიშვირა... ერთი სიტყვით, შენს ხსენებაზე უცბად ეცვლება ფერი და ტანში ჟრუანტელი უელის.

კოკოლა — სიმართლეს ამბობ?

ქიშვარდი — ტყუილს გეტყვი და თვალგბში შემოგხედავ!..

კოკოლა — აბა, შემოვიდეს. შენ კარში დაიცადე.

ქიშვარდი — კარგი, მხოლოდ ჯერ ლაპარაკს ნუ დაუწყებ სიყვარულზე, თორემ გამოუცდელია და სიხარულით გული

წაუვია, საქმით გაეარშიყე — რაც გთხოვოს, აუსრულე. სან-
თელივით დაგადნება, ხომ იცი!..

(ქიშვარდი მიდის. კოკოლა ემხადება ციციანთელას შესახვედრად. შემოდის
ერმილე).

კოკოლა — ოო, ერმილე ბრძანდებით!.. ახლა ხომ დარწმუნდით,
რომ ჩემი გამოგონების წყალობით იბერება ღირექტორი და
რალა ის გავახაროთ, როგორ ფიქრობთ, მე უკეთესად ვერ
ვუხელმძღვანელებ ამ ქარხანას?..

ერმილე — (გაუბედავად) ჯერ ჩვენ მეორე მხარესაც უნდა მოვუ-
სმინოთ.

კოკოლა — მე მოწინააღმდეგე აქ არა მყავს.

ერმილე — როგორ არა, საშინელ რამეს ამბობენ.

კოკოლა — მერე, რა ყურით უსმენთ, ხომ იცით, რომ მე უპა-
ტრონო არა ვარ.

ერმილე — დიახ, ამასაც გაბრალებენ, ვილაც პატრონი ჰყავსო.

კოკოლა — ჩემ სასარგებლოდ ვინც ლაპარაკობს, არ უსმენთ?..

ერმილე — მომხრეები გყავს, მაგრამ საბუთიანად ვერ გიცავენ.

კოკოლა — ვატყობ, სუსტობთ რევიზიის წევრები და ხელმძღვა-
ნელს უნდა ვუთხრა.

ერმილე — ის ისე ფხიზელია, თქვენი გაფრთხილება არ სჭირ-
დება.

კოკოლა — მაშ, ამოდენა კაცს ცილისმწამებლების პირში მაგ-
დებთ? არა, თუ ეს ხრიკები გააგრძელეთ, ახლაც ვაველ ამ
ქარხნიდან და შევაწყვეტინებ თქვენს მასეთ ჩალიჩობას.

ერმილე — თუ აქ თავი არ გაიმართლეთ, არსად ხმა არ გეკ-
ნებათ.

კოკოლა — რა ბრალდებაა ამისთანა?

ერმილე — წამობრძანდით და გეტყვით. (აპირებს წასვლას).

(შემოდის ციციანთელა).

ციციანთელა — სალამი, პატივცემულო კოკოლა!..

კოკოლა — ოჰ, ციციანთელა, რა კარგ დროს! რა უეცრად გა-
ჩნდი კუდიანი ვარსკვლავივით.

ერმილე — მაშ, წამოხვალთ!

კოკოლა — სად?

ერმილე — პირისპირ უნდა შეხედეთ ზოგიერთ ამხანაგებს.

კოკოლა — მოვალ, მხოლოდ ხალხი წესიერად ალაპარაკეთ.
(ერმილე მიდის). რა ბედმა ამისრულა ნატვრა, რამ მოგი-
ყვანა?!

ციციანთელა — მამამ გამომგზავნა.

კოკოლა — როგორ არის?

- ციცინათელა — ცუდად. ისე ცუდად, თქმა მიჭირს.
- კოკოლა — ნუ გეშინია, მე ვარ მისი უებრო დოსტაქარი.
- ციცინათელა — დიახ, შენს მეტს, თურმე, ირავის არ შეუძლია შევლა. დანაშაული მაინც ქონდეს. რა ხდება არ მესმის.
- კოკოლა — ასეა, სიმართლე ყველასთან არ გაგვივა.
- ციცინათელა — რა ექნა, დედის დაკარგვა მამამ გადამატანინა და მასაც რომ რამე მოუვიდეს, რა მეშველებს!
- კოკოლა — მესმის შენი წუხილი. სათნობით სავსე ქალიშვილი ხარ.
- ციცინათელა — ოღონდ ამ ქირს ავაშორებდე და სიცოცხლეს არ დაეშურავ. ამისთვის გადმოვვარდი — ხმის კანკალით დამაბარა, კოკოლამ რაიკომის მდივან მოიყვანოსო.
- კოკოლა — სწორია, თუ დავაგვიანე, რა უშველის.
- ციცინათელა — მაშ, დღესვე ამოიყვანთ?
- კოკოლა — არათუ ამ თხოვნას, ოღონდ გული მაჩვენე, ციცინათელა, მარტო ბავით ნუ მეტყევი და ზღვიდან მარგალიტს ამოგიტან. ერთი სიტყვით, ყველაფერი შენზეა, სუყველა შენს ხელში ვართ.
- ციცინათელა — როგორ? რაზე ამბობ?
- კოკოლა — ცოტა მაინც გაქვს თუ არა ჩემი სიყვარული? ახლა ისე ვარ მიმწყვდეული, ყველაფერი უნდა გავიგო.
- ციცინათელა — ჰო...
- კოკოლა — სიმართლე თქვი.
- ციცინათელა — დიახ, რატომ არა, მხოლოდ რომელი სიყვარული?
- კოკოლა — რომელი? რა გითხრა რომელია და როგორია... მე ისე მიყვარხარ, ენით არ გამოითქმება და კალმით ვერ აიწერება.
- ციცინათელა — ო, აბა... მე უფროსები მყავს.
- კოკოლა — უფროსებმა კარგა ხანია შემომთავაზეს შენი ხელი.
- ციცინათელა — (უხერხულად) რა ვიცი... მე არც დამსიზმრებია.
- კოკოლა — ბევრჯერ გესტუმრე, ციცინათელა, და შორცხვად მემალებოდი. პუპიმ და ქიშვარდომ ეს მით ამოხსნეს, რომ უმანკო სიყვარული გაქვს... ახლა კი, რადგან თვითონვე მომაკითხე, ბარემ, მომეცი ხელი, მაშინ ჩემს სიძეს ადვილად დავატრიალებ გერასიმეს გადასარჩენად... ისე კუდს არ გაანძრევს. მეტი რა ვთქვა... სიტყვა არ მყოფნის... იმოდენა ალი მიტრიალებს გულში...

ციცინათელა — მეტი სიტყვა რად გინდა. ისე მიცხადებ სიყვარულს, როგორც მახეში გაბმულ ჩიტს მელის, — ეს არც ერთს არ გვეკადრება.

კოკოლა — არა, ასეთ ცბიერებას ნუ მწამებ, შეგიძლია გაფრინდე, მე ერთ ბუმბულსაც არ დაგაკლებ... არც არასოდეს არ მიკადრებია შენთვის რაიმე.. მხოლოდ ერთხელ გაკოცე, ისიც ფრთხილად და, ამით, ნაზად განიშნე ჩემი გრძობა.

ციცინათელა — მაკოცე? არა, ეს სიცრუეა!..

კოკოლა — ო, თურმე არც გახსოვს, მე კი მეგონა როგორც ნაცარში ინახება ნაკვერცხალი, ისე გენთო გულის სიღრმეში.

ციცინათელა — როდის? უი, იმ ბეიტებმა ქვა რომ მომარტყეს?!

კოკოლა — დიახ.

ციცინათელა — აკი, ბოდიში მოიხადე და თქვი არც მახსოვდა თუ მოზრდილი იყავიო?!

კოკოლა — ეს სხვების გასაგონად ვთქვი, თორემ ისეთი ვნებით გაკოცე, სული და გული დაეაკონე... თუმცა მარტო თმაზე გეამბორე... აქედან წარმოიდგინე, თუ რამდენად მიყვარხარ.

ციცინათელა — უი, სიცოცხლე დაგიბნელდეს ციციინათელა! უი, ჩემი აკვანი დამწვარიყო!..

კოკოლა — რა მოგივიდა?

ციცინათელა — მაშ, შებღალული დაედივარ შარშანს აქეთ?!

კოკოლა — რამ შეგბღალა?

ციცინათელა — უწბილოს რომ ეკბინა არ მერჩია?!

კოკოლა — ო, ეს არის შენი პასუხი?

ციცინათელა — ცხრაჯერ რომ დაიღუპოს მამაჩემი, შეილის ნამუსით თავს არ დაიხსნის. უი, აწი მამისთვალს როგორ შეეხვდე!

კოკოლა — მამისთვალი რა შუაშია?!

ციცინათელა — რა პირით ვუთხრა ეს ამბავი საქმროს?!

კოკოლა — მაშ, საქმროც გყოლია?

ციცინათელა — თავს როგორ ვკადრო, თორემ ფრჩხილით გეცემი თვალში. შე ჩემი ცოდვით სავსე, შე ჩემო დამღუპველო! უი, რა ჩირქი, ლაფის დასხმა!..

(შემოდინან მამისთვალი და ერმილე).

ერმილე — კოკოლა, კომისიაში გეძახიან!

მამისთვალი — აქ რა ამბავია?

კოკოლა — არაფერია, რაღაცაზე ვკამათობთ.

ციცინათელა — დედა, რა უტეხია!..

კოკოლა — ახლავე მოვდივარ.

(ერშილე და კოკოლა მიდიან).

მამისთვალი — რა მოგივიდა, ციცინათელა, რისთვის ღელავ?!

ციცინათელა — აწი ცივ ქვაზე წაიკითხე ჩემი სახელი.

მამისთვალი — რა დაგეშართა, ამიხსენი!

ციცინათელა — როგორ ვთქვა... მაკოცა მაგ კაცის ქირმა.
თვალი სად გავახილო!..

მამისთვალი — გაკოცა?

ციცინათელა — ჰო, იმ გარეწარმა...

მამისთვალი — ნამდვილად?

ციცინათელა — უჰ!

მამისთვალი — ახლა გაკოცა?

ციცინათელა — არა, შარშან.

მამისთვალი — მერე, ახლა ღრიალებ?

ციცინათელა — მაშინ თქვა — როგორც ატირებულ ბავშვს მო-
გეფერეო, ახლა კი გამოტყდა ნამდვილად გაკოცეო.

მამისთვალი — არ მესმის!

ციცინათელა — ო, ნეტავ მართლა ყრუ იყო, — მირჩევნია.

მამისთვალი — აბა, ახლა არ მომხდარაო, შარშან ვერ გავი-
გეთ... ვის არ დააბნევეს შენი სიტყვა.

ციცინათელა — რა არ გესმის! შემოდგომაზე ჩვენს მეზობელს
ძალღმა უკბინა კოკზე და გაზაფხულზე გააცოფა. მაშინვე უნ-
და მომეპარსა ის თმა, როგორც კი დინგი დამაკარა.

მამისთვალი — თმა რათ უნდა მოგეპარსა! წამოდი, კიდევ
ვერ გამიგია კარგად.

ციცინათელა — (ხმადაბლა თითქო თავისთვის) უი, შენ არ გაღირსე
და მან როგორ გაბედა!

მამისთვალი — კარგად გამაგებინე და მე მას ქორივით გავბ-
დღენი ხალხში.

ციცინათელა — ხალხში გაბდღენი?.. ეს კიდევ ძვალს მომტე-
ხავს!

(შემოდის ხათუნა).

ხათუნა — აქ შეყრილხართ?.. ვერ გნახეთ და თქვენი გულისა-
თვის ჩამოვოჩნი, იმ პატიოსან კაცს ვერ წაყვევი!

მამისთვალი — სად მიდიოდი?

ხათუნა — ახალსოფელში მიყვებოდი კოკოლას.

მამისთვალი — რა გინდოდა იმ კაცის ქირთან?

ხათუნა — რას ამბობ, ისე ღედასაც არ ვებრალეები. ახლა ბად-
რისთან წერილი გავატანე.

მამისთვალი — რა მისწერე?

ხათუნა — რომ კოკოლას მეტი არაინ გვიცავს, რაიკომში წაყვეს და რასაც ურჩევს, დაუჯეროს.

ციცინათელა — რალაცა მახეს აგებს!

ხათუნა — არა, რას ამბობ, მაგ კი არა, დიდი დახმარება დაგპირდა.

მამისთვალი — მაინც, რაო?..

ხათუნა — მზადაა აღიაროს, რომ ის გამოგონება მისი საკუთარია, მოითხოვს, ეს ბადრიმ დაუმოწმოს.

მამისთვალი — ო, სწორედ ახლა გიბრმავებს თვალებს!

ხათუნა — როგორ, — მთელ დანაშაულს თავის თავზე იღებს იმ იმედით, რომ მას მფარველები ყავს და ვერაფერს უზამენ.

მამისთვალი — ის გამოგონება სასარგებლო ყოფილა და კოკოლას მიუთვისებია. ახლა ამ ამბავს იკვლევს რევიზია და მაგას უნდა თქვენს წინააღმდეგ თქვენვე გამოგიყენოთ. (შემოდინ ტასო, ერმილე და მუშები).

ტასო — სად არის კოკოლა?

მამისთვალი — ბადრისთან გაფრენილა.

ტასო — ორივე აქ მოიყვანე, ამხანაგო ერმილე!

ხათუნა — რისთვის იხმობთ?

ერმილე — იმარჯვებს შენი ქმარი. (მამისთვალს) მართლდება თქვენი განცხადება, მამისთვალ, ყველაფერი დაადასტურეს მოწმეებმა.

მამისთვალი — კიდევ მეტსაც გაიგებთ.

ტასო — ჩემთვის ეს ისე მოულოდნელი იყო, საკუთარ თვალ-ყურს არ ვუჯერებდი.

ციცინათელა — ახლა, თურმე, რაიკომში აწყობს რალაც სიყალბეს.

ტასო — დავრეკავ!.. არავის არ ვუხანატრებ. მე მეშინია არა სიცოცხლის დაკარგვის, სიშართლე არ გამომეპაროს ვისიმე მორიდებით.

მამისთვალი — ეს რა კაეი ყოფილა. ჩემი საქმის გამორკვევაც რომ ასეთ მაგარ ხელში იყოს, რა მიჭირს, ჩემი ბედიც მობრუნდებოდა.

ტასო — მაშ, წავიდეთ!

მოქმედება მეოთხე

კოლმეურნეობის სანერგე ფართობი, მოჩანს სათბურის და ფარდულის ნაგებობა-
სცენაზეა ბადრი და ენუქა.

ბადრი — თუ კაცი ხარ, მითხარი, ძალიან მემდურის გერასიმე?
ენუქა — კი, — ნაწყენია.

ბადრი — რასაც მომთხოვდა, ვუსრულებდი და რას მერჩის!

ენუქა — რაც შენი საქმე არ იყო, რად გამოიღე თავზე, რა გინ-
ლოდა იმ სანერგეში! (შემოდის პუპი).

პუპი — გამარჯობათ კაცებო!..

ენუქა — რაზე გასჯილხარ, პუპი?

პუპი — ციციანათელას გადმოვაყურე — სტუმრები ხომ არ ამოი-
ყვანა-თქვა. (ბადრისკენ) ხათუნაც არ მოსულა?

ბადრი — არა.

ენუქა — ალბათ, გეშინია, პუპი, მზადებამ ტყუილად არ ჩაგია-
როს... მაგრამ რა უშავს ჩვენ გავსაღებთ.

პუპი — მასე არაა საქმე, თუ ვინმესთვის კოკორს ვაცხობთ — სა-
მაგიეროს ველით.

ბადრი — უპ, რა ყელში გადაუვათ მასეთი ლუკმა!..

პუპი — შენც აყევი ენუქას?.. აბა, იცოდე, ბადრი, იმ ხალხს მის-
თვის ვეფერებით, რომ შენი გაფუჭებული საქმე ჩაფეაცხ-
ოთ. — გერასიმე არაა შენი კმაყოფილი.

ბადრი — როცა პირველად ჩავები აქ სანერგეში, სუყველა დახ-
მარებას მპირდებოდით, ახლა კი წარბსაც არ მიმართავთ.
ისე მამადლით, თითქო ძალიან ბევრი ვისარგებლე. მე კი
ჯავრის მეტი რა მივიღე იმდენ შრომიდან.

ენუქა — ჯავრისაგან მე ორნაირი წამალი ვიცი: კარგი ცოლი
და გემრიელი ძილი. შენთვის ბედს ორივე მოუცია, მე კი
დაჩაგრული ვარ.

ბადრი — რატომ, შენ ხომ დამკვრელი ცოლი გყავს?

ენუქა — დამკვრელი რომაა იმიტომ არ მაძინებს. შუალამიდან
მიბათქუნებს გვერდებში, — გათენდა, ენუქა, ადექი, საქმეს
ეწიეო.

ბ ა რ ი — ეჰ, კომისიის წევრები სათბურისკენ მოდიან. შევეგებოთ.

(აპირებენ წასვლას).

პ უ ჰ ი — მაშ, ენუქა, თუ ვინმე გამოჩნდეს, შემატყობინე.

(ყველა მიდის. შემოდის ქიშვარდი და აფრასიონი).

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — ე, სხვა დროს ფეხს დავადგამდი თუ არა, ამ სოფელში, გერასიმე თითქო მიწიდან ამოსქდებოდა, ახლა კი... არა, ახლაც მინახულებდა, მაგრამ, ალბათ, დაგავიწყდა გეთქვა, აფრასიონი ჩამობრძანდაო.

ქ ი შ ვ ა რ დ ი — აბა, სულ გადამცილდა გულზე.

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — ასეა, თორემ გაჭირვებაში უფრო ჩქარა არ უნდა გამოჩენილიყო!

ქ ი შ ვ ა რ დ ი — ჰო, რას იზამ!

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — რამდენჯერ, პატივცემის ნიშნად, მაგის ოჯახში მისვამს და მიქამია... არაუშავს, მე კიდევ აფრასიონი ვიქნები.

ქ ი შ ვ ა რ დ ი — ჰო, იქნები, ვინ იცის, ასეც შეიძლება.

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — შენ მაინც ასე არ უნდა მოქცეულიყავი.

ქ ი შ ვ ა რ დ ი — როგორ?

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — რატომ დაგავიწყდა გეთქვა ჩემი ჩამოსვლა?

ქ ი შ ვ ა რ დ ი — ვინ გითხრა, რომ დამავიწყდა?

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — ახლა არ თქვი გულს გადამყვანო. ო, ნუთუ ასე ამიგდენ, არც გახსოვს რას მელაპარაკები!

ქ ი შ ვ ა რ დ ი — შეიძლება.

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — მაშ, მემალემა გერასიმე? ყველგან ამარიდეს თვალნი? მე ასეთებს სხვას ვუკეთებდი და ახლა მე მიწყობენ! არაუშავს, სუყველაფერი იწერება.

ქ ი შ ვ ა რ დ ი — კი, დაწერე, რამდენიც შეგიძლია, რაც დაეტევა...

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — გული ისე იბერება, ზედ ბევრი დაეტევა. ასე ნუ მიყურებ. თუ აღამიანი ხარ, ასე ნუ მიყურებ!.. თორემ...

ქ ი შ ვ ა რ დ ი — მე რა გიყო. მე ერთი პატარა კაცი ვარ. ყველას ვუტყინი სიკრიპიასავით. მთელი სიცოცხლე ისე ვიღრანჯები, ჩემი ნამდვილი სახე სარკეშიც არ მინახავს, არც ვიცი რა სახის ვარ.

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — რამ წაგახდინა ასე?

ქ ი შ ვ ა რ დ ი — ფრთხილად ვარ, ძმაო, ისე მეშინია, ვირზე რომ მითხრან მომღერალიაო, გუნდში მივიღებ.

ა ფ რ ა ს ი ო ნ ი — კარგი გუნდიც გეყოლება.

ქ ი შ ვ ა რ დ ი — რა ვქნა, ასეა, როცა გშოლტავენ, ვერ გადაგეფარები. ამ ქუჩისა ვარ, — შენს ტყავს ჩემი ტყავი მირჩენია.

აფრასიონი — მასეთი ქკუა მე შენზე მეტი მქონდა, მაგრამ ეს შოლტი არ ამცდა. ამას მაინც გთხოვ, ქიშვარდი, ნუ დამცინებ.

ქიშვარდი — დაგცინი კი არა, მე თუ მკითხავ, ახლა უფრო გაფასებ.

აფრასიონი — როგორ?

ქიშვარდი — წინათ, როცა გაბერილი დადიოდი, შიშით გელაქუცებოდი, თორემ მუგუზალის ჩათხრა მინდოდა შენთვის პირში. ახლა კი ადამიანურად ლაპარაკობ და თუ დაგცინი, კიდევ მეცოდები და გულში მეტ პატივს გცემ.

აფრასიონი — ეჰ, აგაშენა ღმერთმა. ცოტა მაღამოს მაინც მისობ, ცოლმა კი მარტო ლადარი მომაყარა.

(შემოდის კოკოლა).

ქიშვარდი — ო, ჩემო კოკოლა, სანთელივით არ გამოჩნდი!.. კიდევ რომ დაგგვიანებოდა, ჯავრით დავიღეოდი.

კოკოლა — აფრასიონიც აქ ბრძანდება! რა შემთხვევით გვინახულეთ?

აფრასიონი — არის მიზეზი.

კოკოლა — ახლა სოფლის მეურნეობის დასახმარებლად რომ ბრიგადებს აგზავნიან, ამასთან დაკავშირებით ხომ არ ჩამობრძანებულხართ?

აფრასიონი — არა, სხვა მიზეზია. თქვენ როგორ ბრძანდებით?

კოკოლა — არა გვიშავს. სწორედ გუშინ მოგიგონეთ ჩემი სიძის ოჯახში.

აფრასიონი — რაო, რა თქვეს, სიმართლე მითხარით, ნუ დამზოგავთ.

კოკოლა — დიდის პატივისცემით გახსენებდნენ.

აფრასიონი — არ მჯერა.

კოკოლა — სინდისს გეფიცებით. იქ ინსტრუქტორებიც იყვნენ.

აფრასიონი — ოჰო!

ქიშვარდი — დღეს არ გინახავს სიძე?

კოკოლა — როგორ არა, თქვენზე ველაპარაკე და სადაცაა ჩამოვა.

ქიშვარდი — ოჰ, შენ აგაშენა ღმერთმა, თორემ წედან ტელეფონში გავეხუმრე გავაციანებ-თქვა და ისე შემომიბღვირა, კინალამ გული გამისკდა!

კოკოლა — ალბათ არ ეცალა.

ქიშვარდი — ახლა აქაურ ამბებს არ იკითხავ! გერასიმე ისეთ ტაფაშია, მტერს შეეცოდება.

კოკოლა — რისთვის?

ქიშვარდი — თქვენთან რომ მამისთვალე გადმოვიდა, იმას კომისიამ ისე დაუფასა აქაური ნამუშევარი, მგონია, ფრთები გამოასხან ქიანქველასავეთ.

კოკოლა — რას ამბობ, მთელმა ქარხანამ იცის, რომ ის უხეიროა.

ქიშვარდი — თუ ძმა ხარ?!

კოკოლა — საქმე თუ შემოვლია იმ კომისიას, რალა ასეთი სახელგატეხილი კაცი გამოიგონა მოწინავეთ. გესმის, პატივეცემულო აფრასიონ!

აფრასიონი — აბა!..

ქიშვარდი — ბაღრის კი სანერგის დაქცევას აბრალევენ და გე-რასინზე შეშინდა.

კოკოლა — მასეთ კომისიას არავინ დაუჯერებს. თქვენც ხომ დაგვეხმარებით, პატივეცემულო აფრასიონ?

აფრასიონი — მე... ვთქვით... რაც ვარ...

კოკოლა — ჩვენი სიმართლე ხომ გესმით?

აფრასიონი — უსათუოდ, უსათუოდ...

კოკოლა — არაფერია, აქ კი გადარჩება ბაღრი, მხოლოდ ქარხანაში აქვს ცუდათ საქმე.

ქიშვარდი — რას ლაპარაკობ!

კოკოლა — თავი გადავდევი მაგის გულისთვის და ჩქარა მომგვარე, თუ კაცი ხარ.

ქიშვარდი — ამ წუთში მოგინახავ.

(ქიშვარდი მიდის).

აფრასიონი — პატივეცემულო კოკოლა, მართლა მახსენა წუხელის თქვენმა სიძემ?

კოკოლა — მაშ, თქვენისთანა კაცს თუ არა, ვილას შევაქვებთ. გეფიცებით, ცას ხელს მიუწევს, თუ გაიგო, რომ აქ ბრძანდებით.

აფრასიონი — ეს იცის.

კოკოლა — მაინც კარგია, თუ დაურეკავთ!

აფრასიონი — ვითომ?

კოკოლა — რასაკვირველია.

აფრასიონი — ახლავე მივალ ტელეფონზე, ა... მხოლოდ ვეტყვი, რომ თქვენი გაპირებით ვურეკავ.

კოკოლა — მაშ, ამას გთხოვ, პატივეცემულო აფრასიონ, ჩემზე ცოტა ნაწყენია და დააშოშმინეთ. უთხარით, რომ აქ გასამართლებელ საბუთებს ვაგროვებ და მოვდივარ.

აფრასიონი — ძალიან კარგი. გმადლობ, რომ დალაპარაკების საბაბი მომეცით.

(აფრასიონი მიდის).

კოკოლა — როგორ იკაქვება. ამას, ჩემი არ იყოს, სხვა ციება ხომ არ შეყრია. (შემოდის ბადრი).

ბადრი — მართლა ჩამოსულხარ, კოკოლა! ქიშვარდომ ცოტა დამაფეთა.

კოკოლა — კი, ხათუნასაგან წერილიც მოგიტანე.

ბადრი — (ჭამოართმევს წერილს) რაზედ შეგაწუხათ?

კოკოლა — მან კიდევ ყველაფერი არ იცის.

ბადრი — (კითხულობს) რა რევიზიაა ასეთი?

კოკოლა — რამდენი ვიბრძოლე შენს გადასარჩენად, დაპატიმრებას გიპირებენ.

ბადრი — უჰ!..

კოკოლა — ვილაც ქალია იმ რევიზიის ხელმძღვანელი. აქაც ყოფილა და ორივე საქმეს აერთებს.

ბადრი — (იხედება წერილში) ხათუნა მწერს, რასაც კოკოლა გირჩევს დაუჯერეო.

კოკოლა — აქ მარტო ერთი საშველია.

ბადრი — მაშ, თქვი, თუ რამე შეგიძლია, ჩემო კოკოლა, ხომ იცი, მეც ადამიანი ვარ!

კოკოლა — ამ დანაშაულს მე მივიღებ ჩემ თავზე და შენც დაადასტურე, რომ ეს გამოგონება მანებლურია, თუ რაც არის, მე შეკუთვნის.

ბადრი — რატომ?

(შემოდის ვრმილე).

ვრმილე — სალამი, ამხანაგო კოკოლა!

კოკოლა — შენ აქ საიდან გაჩნდი?

ვრმილე — ქარხნიდან გამომგზავნეს, კომისიაზე გიბარებენ შენ და ბადრის.

ბადრი — მეც მიბარებენ?

ვრმილე — თქვენ ხართ ბადრი?

ბადრი — დიახ. მხოლოდ ისეთი არაფერი დამიშავებია, კომისიებში მატარონ ჩვენების მისაცემად.

კოკოლა — მერე გეახლებით, ახლა სალაპარაკო გვაქვს.

ბადრი — დიახ, გვაცალე.

ვრმილე — მოითმინეთ, ამხანაგო ბადრი, კოკოლამ თქვენ გადმოგცათ ხათუნასაგან წერილი?

ბადრი — კი. ახლა წავიკითხე.

ვრმილე — მაშ, ვერ დაგაცლი. ახლავე უნდა მომისმინოთ—ცოტაზე გავიაროთ. (კოკოლას) შენ დამიცადე.

(ბადრი და ვრმილე მიდიან. შემოდინ გერასიმე და ქიშვარდი).

გერასიმე — ო, როგორ მიაბა შენი მოსვლა, კოკოლა!..

კოკოლა — მართლა?!

გერასიმე — ციცინათელა აგიხსნიდა ყველაფერს.

კოკოლა — მას ისეთი ბოროტი მეგობრები ჰყოლია, მტრად გადამკიდეს, მაგრამ, იმედია, თქვენი ოჯახი შემარიგებს.

გერასიმე — რასაკვირველია, — ხელი ხელს ბანსო, ნათქვამია.

კოკოლა — მე თავს არ მოვიტყუებ. ქიშვარდიმაც მოინდომა ჩემი გაცურება, ციცინათელას წმინდა გულით უყვარხარო, მაგრამ იქვე გამოვარკვიე, რომ გასალღეტად მესტუმრენ ქარხანაში.

ქიშვარდი — როგორ გეკადრება?.. ენა ვერ მოგინახავს ციცი-
ნათელასთან, თორემ გულით შენთან იყო.

გერასიმე — რას ბრძანებ, კოკოლა, ახლა ხომ არ გვეცნობი!..

კოკოლა — დიახ, დღეს შემომესიენ მტრები, და სწორედ ახლა გამოჩნდება რა გულითა ხართ ჩემთან.

გერასიმე — ვინ შემოგესია?

კოკოლა — შეიძლება აქაც მომაკითხონ და ნახავთ, მაგრამ არ აყვეთ, თორემ ისე არ დავეცემი, ვინც გამწირავს, სანანებ-
ლად არ გავუხადო.

გერასიმე — დამშვიდდი, კოკოლა. ყველას მოვეუვლით, ხომ მოვა აქ შენი სიძე?

კოკოლა — როგორ არა, ერთ საათში გაჩნდება.

ქიშვარდი — აბა, რა გაწუხებს?!

გერასიმე — (იხედება) კაცო, ეს აფრასიონი არაა!

ქიშვარდი — ჰო, ისაა.

კოკოლა — მართლა, მაგ კაცი სულ მძიმე-მძიმედ დადიოდა და ახლა როგორ ვაცივიფო ხტის, რა მოუვიდა?!

გერასიმე — მაგის ამბავი არ იცი?

კოკოლა — არეკილი ხომ არაა!

ქიშვარდი — ყველაფერიდან მოხსნეს..

გერასიმე — ახლა მაგის ღრო მაქვს? პირდაპირ ვეტყვი, რომ მომეშვას.

კოკოლა — წელან რატომ არ მითხარი, ქიშვარდი!

ქიშვარდი — რა ვიცი, კიდევ რომ წამოდგეს, რა მეშველება!

კოკოლა — მაგის ადგილას მე ფულუსავით ჩაეძვრებოდი მიწაში
(შემოდის აფრასიონი).

აფრასიონი — ძლიეს არ გიხილე, გერასიმე!.. ა, რა ნატურის თვალი გამიხნდი ამ სოფელში?..

გერასიმე — არ მცალია, ბიჭო!!

აფრასიონი — რას ამბობ, დიდ შრომაში ხარ, არა! მესმის.

გერასიმე — არ გეწყინოს ჯდა აგერ, კოკოლას შევეგებე, შენ ხელ მნახე, ჩემო აფრასიონ, აბა, ორად ხომ ვერ გავიქრები. აფრასიონი — კოკოლას შეეგებე?.. ოო, მაგის საქმე ვერ არის კარგად.

გერასიმე — რატომ?

კოკოლა — რაზე აქნევ თავს?

აფრასიონი — (ცალკით კოკოლასკენ) ველაპარაკე შენს სიძეს ტელეფონით.

კოკოლა — მერე?..

აფრასიონი — კოკოლას სახელი როგორ მიხსენეო. ქარხანაში რალაც ისეთი ჩაუდენია, განკარგულება მაქვს გაცემული მის დასაპატიმრებლადო.

კოკოლა — ქორს ლაპარაკობ.

აფრასიონი — თუ არ გჯერა დაეუბრეკოთ.

ქიშვარდი — მაგ თუ ტყუილია, აფრასიონ, აფერუმ შენს ვაჟაკობას, რომ კიდევ ამდენს ბედავ.

აფრასიონი — ყური დამეფსოს, თუ ესეც არ გამეგონოს: ტელეფონზე არ მომეკაროსო.

კოკოლა — მარგალიტივით დაი ჩავაბარე იმ ხრიგიანს და ასე მემუქრება?!.

გერასიმე — ეგება ყურმა მოატყუა.

აფრასიონი — არაუშავს, ამ თვალ-ყურით სხვების სეირსაც ვნახავ.

კოკოლა — მერე, შენ რა გიკეთდება, — რა გიხარია!

გერასიმე — მოითმინე, მე თვითონ დაველაპარაკები ტელეფონით და, ალბათ, დავაშოშმინებ.

კოკოლა — კარგი, სცადე და თუ მართლა თავგასულია, ჩემ დასთან მივევარდები.

გერასიმე — შენს დასთან?

კოკოლა — ო, ხომ სათუთი ქალი ჩანს, თუ დასჭირდა¹ ისეთ უროდ მოიმართება, კაჟად რომ იქცეს ქმარი, მაინც დალევს.

გერასიმე — არც მასე გართულდება საქმე. (შემოდის დაფიქრებული ბადრი).

კოკოლა — აბა, ახლავე წადით, გაიგეთ ყველაფერი!
(გერასიმე, ქიშვარდი და აფრასიონი მიდიან).

ბადრი — უკაცრავად...

კოკოლა — რამ დაგალონა?

ბადრი — მითხრა იმ კაცმა...

კოკოლა — რაო, იმ წყეულმა, რაზე გავიხეთქა გული?

ბადრი — მრცხვენია შენ მაგიერ.

კოკოლა — რა, ვუყოთ, უნდა აიტანო, ვაჟკაცს რა არ შეხვდება.

ბადრი — ცუდი საქმე გიქნია ჩემთვის.

კოკოლა — არა, ბადრი, თუ მიხვდები, ამით დაგეხმარე.

ბადრი — რანაირად?

კოკოლა — არ გახსოვს ის გამოგონება როგორ ჩავარდა? მე-
ნებლობაც კი დაგაბრალეს, მაგრამ მერე მე გავაუმჯობესე.

ბადრი — პირდაპირ ვილაპარაკოთ, რადგან არ გრცხვენია.

კოკოლა — კარგი, ილაპარაკე.

ბადრი — ეს საქმე განზრახ ჩაგიგდია და ქარხნიდან ჩემი გაძე-
ვებაც მოგიწყვია. თუ ამაში თავს გაიმართლებ, ძალიან გა-
მახარებ.

კოკოლა — თუ ვერ გავმართლდები, ჩემი სირცხვილია და შენ
რა გაწუხებს! მხოლოდ იმ გამოგონებას ვერც სინდისით და
ვერც კანონით ვერ წამართმევ.

ბადრი — რატომ?

კოკოლა — დიდი ამაგი დავახარჯე.

ბადრი — საიდან?

კოკოლა — გაზეთებს ცნობები მივაწოდე თუ რა შევექმენი, ჟურ-
ნალებს — სურათები, ნიჭიერ გვამებს ლექსები და წერილები
დავაწერიე. ასე გავზარდე 'ეს პატარა საქმე და ახლა შენ
უნდა წამართვა, რა ნამუსით!..

ბადრი — ყველაზე უფრო ეს მწყინს ქარხნიდან რომ გამომაგდე!
იქ იმდენი წამება მომაყენე...

კოკოლა — ჰო, კი გაქვს გულის მოსასვლელი, მაგრამ მაინც
მშვიდობა სჯობს და მოვრიგდეთ.

ბადრი — რანაირად?

კოკოლა — დატოვე ეს გამოგონება ჩემ სახელზე, მე კი ჩუმათ
წილს მოგცემ. შენთვის ეს უფრო ხელსაყრელი იქნება,
ვიდრე საკუთრად რომ დაგრჩეს.

ბადრი — რატომ?

კოკოლა — საქმე ის კი არ არის რას გააკეთებ კაცი, — როგორ
გამოაჩენ. ამის მოხერხება მე მაქვს... შენ კი, შე საწყალო,
ისე წმინდა ხარ, მიწაზე ფეხს არ უნდა ადგამდე.

ბადრი — არ მესმის.

კოკოლა — მაშ, უფრო ნათლად აგიხსნი. ეთქვათ, დღეს მე და-
გიტმე ეს გამოგონება. შენ ამაში ჯილდოთ სულ ორი თვის
ჯამაგირს მიიღებ. მე კი ამით დაწესებულებებს შეეძრავ,

კრებებს გავამართვინებ, ხალხს საქმეს გაეუჩინ... ბოლოს დისერტაციასაც დავიცავ, რომელსაც უკვე ვაწერინებ და მეცნიერ მუშაკის ხარისხს ვიშოვი. მე, თუ გინდა ნურაფრად ჩამთვლი, რა სჯობს ქარხნისთვის და ქვეყნისთვის?

ბადრი — რა უპირო ყოფილხარ! სულ ეს მიტრიალებს თავში, ასე როგორ მომატყუე!

კოკოლა — მაშ, ამ სოფელში არა გყავს ვინმე რომ მართალ კაცად თვლიდე?

ბადრი — ბევრია.

კოკოლა — მაგალითად, ვინ — დამისახელე!

ბადრი — აი, აქ ერთს ენუქე ჰქვია, სხვებიც არიან. — ზოგი ძალიან ხელმოკლეა, მაგრამ მოკვდებიან და მასეთ საქმეს კაცს არ უზამენ.

კოკოლა — მაშ, იმ ენუქამ მოგვარიგოს, ან სხვამ, — როგორც შენი მოწონებული კაცები გადაწყვეტენ, ისე შევთანხმდეთ.

ბადრი — არა. ისეთი რამეები ჩამაწვეთე, ძნელია ჩვენი შერიგება.

კოკოლა — მაგალითად?

ბადრი — შენ ამბობ, რომ ჩემი გამოგონებით ყველას თავზღდაასკუპდები. ეს რა სვინდისია, არაფრისთვის სახელი მოიხვეჭო!

კოკოლა — თუ მეტ პატივცემას მივიღებ, ვიდრე ღირსი ვარ, ეს ხომ მოგებაა.

ბადრი — სიმართლე მაინც არ დაიმალება და, თუ შენი თავის არა, სხვისი არ შეგრცხვება?..

კოკოლა — პირში ვერ მეტყვიან და რა მენალვლება.

ბადრი — შენ აქ ციცინათელას უტრიალებ და მისი მაინც არ გერიდება, რომ გაგკიცხოს?..

კოკოლა — როცა კარგ ყოფაში მნახავს, გამკიცხავს კი არა, ცოლადაც გამყვება.

ბადრი — ეს ტყუილი იმედია, მას საქმრო ყავს...

კოკოლა — ყველა ქალი ხალხის ამყოლია, — ბოლოს, სხვებისგან აგდებულ კაცზე მასაც გაუცივდება გული და ჩემთან მოვა...

ბადრი — მასეთი ორგული თუ არის რაღად გინდა.

კოკოლა — ფლიდები ჩვენს შეუღლებას ლექსებით შეაქებენ.

ბადრი — ცრუ ქებას რა ფასი აქვს?

კოკოლა — სწორედ ლიქნაა სუყველაფერზე ტკბილი, როცა ადამიანები იძულებით გეფერებიან, ნამდვილი გამარჯვება ეს არის. აბა, თუ სიწირფელეს მიენდე, კაცის გული ცვალებ-

ბაღია, ვინც კეთილდღეობას ეძებს, მლიქვნელების გარეშე ვერ იპოვის.

ბაღრი — ჩვენ სხვადასხვა ქუჩის ვართ. მე მძულს უღირსად გაბერილი კაცი.

კოკოლა — მაშ, ჩვენ ადვილად მოვრიგდებით.

ბაღრი — რანაირად?

კოკოლა — მე ჩემი მაცადინეობით ქონებას მოვიხვეჭე, და აქედან, როგორც შეგპირდი, შენი ნაშრომისთვის ნივთიერად შეტს გითავაზებ, ვიდრე თვითონ მოახერხებდი, სულიერად კი ამით იზვიამებ, რომ ის პატივისცემა, რომელსაც მე ვღებულვარ, სამართლით შენ გეკუთვნის.

ბაღრი — არა, კოკოლა, ჩვენ ვერასდროს ვერ მოვრიგდებით.

კოკოლა — რატომ?

ბაღრი — შენ გინდა უზნეობაში ჩამითრიო, მაგრამ ვერ მოახერხებ. დღეიდან მე შენი მტერი ვარ.

კოკოლა — აჰა, მთლად მანადგურებ, არა!.. ახლა თავი გამარჯვებულად იგრძენი და არა მზოგავ, მაგრამ კიდევ ვიშიშვლებ ხმაღს, კოკოლა არ მომკვდარა!

ბაღრი — მოთვინიერდი გირჩევნია, ადამიანი გახდი, ყველაფერს ნუ დასციინი!

კოკოლა — ვნახოთ, ვინ ვის დაარიგებს ქქუაზე!.. (ბაღრი და კოკოლა მიდიან სხვადასხვა მხარეს. ისმის ბავშვების სტვენა. შემოდის ციცი-ნათელა).

ციცინათელა — კარგი, ბავშვებო, რად სტვენთ ამდენს, ყური წაიღეთ!

ბავშვების ხმა — ბულბულებს ვაჯავრებთ!

— აბა, სხვაგან დავუსტვენთ!

ციცინათელა — ბავშვებო, ბაღრი არ დაგინახავთ?!

(შემოდის ვნუქა).

ენუქა — ოო, ციცინათელა! აქეთ იცი რა ამბებია?

ციცინათელა — ცუდი არ მომახალაო, — შენ მუდამ გიჭირს კარგი ამბის თქმა!

ენუქა — არა, შენს ოჯახში გუშინს აქეთ საუკეთესო ფრინველი და ოთხფეხი დაკლეს, საქეიფოდ ემზადებოდნენ.

ციცინათელა — მერე?

ენუქა — სატირლად კი დაურჩათ.

ციცინათელა — რატომ, რა უბედურებაა?!

ენუქა — აფრასიონის პატივსაცემად მოამზადეს, მაგრამ ის ამოიშალა და მერე გადაწყვიტეს კოკოლას და მის სიძეს მიაართვან.

- ციცინათელა — ო, ისინი ჩვენსას ფეხს ვერ ღაღამენ.
- ენუქა — მაშ, პუპისთვის კარგად მითქვამს მე და ბადრი გავასა-
ლებთ-თქვა! საკმელი კი არ გვენატრება, მაგრამ პუპის
გასამწარებლად ვთქვი.
- ციცინათელა — სწორედ ენას უყვილია, — ბადრის კი აქვს ისე
საქმე.
- ენუქა — მაშ, ბადრისა არ ვიცი და მამისთვალმა ნამდვილად
გაიმარჯვა.
- ციცინათელა — როგორ?
- ენუქა — მისი ნამუშევარი კომისიამ იქ ისე შეათვასა, დააჯილ-
დობენ.
- ციცინათელა — მართლა?! აგერ მოდის მამისთვალი! მაშ,
ერთად მოგვიყვივი, თუ ნამდვილი მახარობელი ხარ! (ციცინა-
თელა და ენუქა მიდიან. შემოდინ გერასიმე და დირექტორი).
- გერასიმე — არ მესმის, ბატონო, ნუთუ ასეთ ადამიანს ვილებ-
დი სახლში, პატივს ვცემდი.
- დირექტორი — შენ ოჯახში ილებდი, ჩვენ კი მას საქმე ჩავა-
ბარეთ და ხელს ვუწყობდით.
- გერასიმე — სად ჰქონდა ამდენი ცბიერება, ან ისე რამ გარეც
ხა სვინდისისაგან! (შემოდის ბადრი).
- დირექტორი — ამ განზრახვით გამოუძეებია ბადრი ქარხნი-
დან, რომ მისი გამოგონება მიეთვისებია...
- გერასიმე — გესმის, ბადრი, რა მოუწყვიათ შენტვის?
(შემოდინ ხათუნა და ტასო).
- ბადრი — ყველა ამაზე მელაპარაკება და მაინც ვერ გავიგე, ის
ჩემი გამოგონება, როგორიც იყო ისე მოეწონათ, თუ გაუმი-
ჯობებსებს მთხოვენ?
- დირექტორი — არა, ის ყოველნაირად გამოვცადეთ, ამხანაგ
ტასოს ხელმძღვანელობით.
- ტასო — (ბადრიზე) ეს არის გამომგონებელი?
- ხათუნა — დიახ, ეს გახლავს ბადრი, — ჩემი მეუღლე.
- დირექტორი — (ბადრის) რევიზიის ხელმძღვანელია, გაიცანით.
- ტასო — ო, ბრწყინვალეთ გაიმარჯვეთ, ამხანაგო... ძვირფასო...
ამხანაგო ბადრი... ის გამოგონება უფრო სასარგებლოა,
ვიღრე, ალბათ, თქვენ ფიქრობდით. (გარედან მოისმის ხმები.
გერასიმე, ხათუნა და დირექტორი სცენის იქით აქცევენ ყურადღებას.
ბადრი და ტასო თავისთვის ლაპარაკობენ).
- ბადრი — ო, მე ახლა ვხედავ, გავიგე ყველაფერი. მაგრამ იმდენ-
ნი წამება მომაყენა, იმ უბედურმა კაცმა ისე ამაცდინა

გზას, ბოლოს და ბოლოს, ამ გამოგონებას ვაჩუქებდი, ოღონდ, ამდენი არ ვეტანჯე. აქამდე სხვა რამეს ვაგაკეთებდი. (შემოდის ქიშვარდი).

ქიშვარდი — ახალი ამბავი, ამხანაგებო!..

გერასიმე — ჰო, რა მოხდა, იქ რა ქრიაშულია?

ქიშვარდი — რაიკომის მდივანი მოუხსნიათ, თუ გაუნთავისუფლებიათ, არ ვიცი... მხოლოდ ბიძინა დაუნიშნავთ ჩვენი რაიკომის მდივანად.

გერასიმე — ბიძინა?!

ქიშვარდი — აგერ მოდის და ხალხი ახლავს.

დირექტორი — მოსალოცი ამბავია. ის მეურნეობის მცოდნეა და, იმედია, კარგად გიხელმძღვანელებთ.

ბადრი — ხედავთ, როგორ მოაბიჯებს ბიძინა. უცხოებიც ახლავს. ისინი ვინ არიან?

ქიშვარდი — ქალაქიდან ახლად ჩამოსულებია. სოფლად სამუშაოდ მოდიან, დაგვეხმარონ მეტი სიუხვე შეეკმნათ.

დირექტორი — ო, ბრიგადებია ქალაქიდან!

გერასიმე — შევეგებოთ, წამობრძანდით! (დირექტორი, გერასიმე და ქიშვარდი მიდიან. რჩებიან ბადრი, ტასო და ხათუნა).

ბადრი — ო, თქვენ როგორ მიხსენით, პატივცემულო ტასო?

ტასო — აქ, მაინც რამ გადმოგადლოთ!

ბადრი — ჩემს მეუღლეს კითხეთ.

ხათუნა — ცოტა სულმოკლეობა გამოგაჩნდა, ბადრი!

ბადრი — (ტასოს) ამას ისეთი დედა ჰყავს...

ხათუნა — რა სისულელეს ლაპარაკობ! (ანიშნებს) გაჩუმდი!

ტასო — ჰო, როგორი დედა ჰყავს?

ბადრი — მკედრებით აღმადგინეთ და რა დაგიმალოთ, — სიცოცხლე გაგვიმწარა.

ხათუნა — რაო! მიდღემში ეს ჩემთვის არ გითქვამს.

ბადრი — ახლა, როცა ამოვისუნთქე, ვეღარ ვითმენ.

ტასო — ჰო, მაინც როგორ გაგამწარათ?

ბადრი — ვძულვარ, — რატომ წარმატებული არ ხარო! ჩემზე გულმოსულმა, შვილი ისეთ დროს გამოაძევა სახლიდან, როცა ამ გამოგონებას ვცდიდი. დამაბნია და აქ მისთვის ჩავეფლე.

ტასო — რა ვუყოთ, შეიძლება აწი მოუბრუნდეს გული.

ბადრი — ეჰ, აწი რა ფასი აქვს, როცა ჭირში მდევნიდა!

ხათუნა — არა, არ დაუჯერო, ეს ხუმრობს. (ანიშნებს ბადრის).

(შემოდის 1-ლი კოლმეურნი).

I კოლმეურნე — პატივცემულო ტასო, რაიკომის მდივანი გიხმობთ!

ტასო — მაშ, არასდროს არ შეურიგდებით სიღედრს?

ბადრი — მე როგორ არა, მაგრამ ის ისეთი ღჯუა, მე მგონია...

ხათუნა — (ეფარება ბადრის).

ტასო — (მოიწევა ბადრისთან) ჰო, რა გგონია?

ბადრი — მაგალითად, რომ გაიგოს ჩემი გამარჯვება, გულზე გასკდება.

I კოლმეურნე — პატივცემულო ტასო!

ტასო — მე კი ისე განარებული ვარ თქვენი გამარჯვებით, ყველაფერს გაპატიებთ და მხურვალედ გილოცავთ.

(ხელს ართმევს ბადრის და კონცის თავზე. ტასო და 1-ლი კოლმეურნე მიდიან).

ხათუნა — რა ჩაიღინე, ბადრი!

ბადრი — ეჰ, იმდენი სიმწარე მახსოვს, ამ გულზე ვერ დავფარე.

ხათუნა — მერე იცი ვის უთხარი?!

ბადრი — ეს ისეთი არსებაა, გული თვითონ იხსნება მის წინაშე.

ხათუნა — მაშ, გითხრა ვინ არის?

ბადრი — ჰო.

ხათუნა — შენი სიღედრია.

ბადრი — როგორ?

ხათუნა — ეს არის ღელაჩემი.

ბადრი — ვინ?

ხათუნა — ღელაჩემია ეს ქალი. აქ რევიზიაზე ჩამოსულა. მაგან დაგიხსნა და შენ...

ბადრი — მერე, ვერ მანიშნე?!

ხათუნა — რომ ვერ გაიგე!..

ბადრი — ეჰე, ეს სირცხვილი მაკლდა, სხვა არაფერი!..

(შემოდინ ბიძინა, მამისთვალე, ჭიშვარდი, გერასიმე და დირექტორი).

გერასიმე — შენ აქ კმაყოფილად ჭუქჭუქებ, ბადრი, მე კი ცუდ ღღეში მტოვებ.

ბიძინა — ო, რეც საყვედურს გეტყობი, მაგრამ ქარხნისთვის ისეთი საქმე გაგიკეთებია!..

დირექტორი — სამაგიეროდ, ჩემო ბიძინა, თქვენს მამისთვალს გიგზავნით, რომელმაც იქ უხეირობით გაგვაკვირვა.

მამისთვალე — უხეირო კი არა, ეგებ უარესიც შეგერქმიათ, რადგან შეუფერებელ საქმეზე კაცი მანკიერი ხდება. (ბადრისკენ) შენ როგორ გამოსცადე?!

ბადრი — მე ვფიქობ, მხოლოდ ისაა ბედნიერი, ვინც თავის უნარის შესაფერ საქმეს მიაგნებს; მაშინ მისთვის შრომა სიხარულია. (შემოდინ ციციანთელა, ტასო და ჭიშვარდი).

ციცინათელა — (ბადრის და ტასოს) გაიცანი, ჩემო კეთილო, ბადრი, ეს არის შენი სიდედრი, ნუ გრცხვენიათ, უნდა შეგარიგოთ.

ბიძინა — ტასო ახლა ეცნობა ბადრის?

ქიშვარდი — ჩვენ აქ ზეიმს გადავიხდით საქმის ასე დაწყობისთვის, და ნახავთ, ამხანაგო ბიძინა, რა კლუბი მაქვს.

ბიძინა — ეს კარგია, მაგრამ შენ მეგობრობა გქონია კოკოლასთან და არ იგლოვებ?

ქიშვარდი — შიშით ვეტმასნებოდი, საქმეზე კი არ ავყოლივარ.

ციცინათელა — მამა, მე გავიგე, რომ უშანგის გაუმარჯვინა შენზე და როგორ მოეულოცო!...

გერასიმე — მე სხვაც გავიგე, ჩემო ციცინათელა.

ციცინათელა — (თავს დახრის) როდის გითხრეს?

გერასიმე — ისეთ დროს გავიგე, რომ მეც მინდა მოგილოცოთ.

ქიშვარდი — ოო, აქ უკვე ციცინათელას ზეიმი იწყება და თუ სინდისი გავიჭირით, დაიწუნეთ ჩემი გუნდის უნარი. (შემოდის გუნდი, პუპი და ვნუჟა).

პუპი — რა ბედზე გამიწყვია სუფრა, რა სანატრელი სტუმრები მყავს. ასე მგონია სიზმარში ვარ.

ენუქა — აი, სად გავიხარებ და ვიგრძნობ თავს კაცად. პირველად ვჯდები სუფრაზე ჩემებურად ამამიანებთან.

(სწრაფად შემოდის 1-ლი კოლმეურნე).

1 კოლმეურნე — (ენუქას) შენი სახლიდან მოვრბივარ, უტხო კაცები გესტუმრენ.

ენუქა — ვინ არიან?

1 კოლმეურნე — აფრასიონი და კოკოლაა... შენმა მეუღლემ ქური მოუხადა, და მე შენთან გამომგზავნეს — უნდა მოვესიყვარულოთო — ეტყობა, რაღაც სათხოვარი აქვთ.

ენუქა — ეჰ, კაცურად არ მომექცენ, მაგრამ ჩემს ოჯახში წიხლს ვერ ვკრავ, ცრუ მოწმედ კი ვერ დავუდგები.

ბიძინა — ისიამოვნეთ, ახალგაზრდებო, ჩვენ (დირექტორზე და გერასიმეზე) წავალთ და როდესაც მოვიცლით, გამოგივლით და წრფელი გულით დაგლოცავთ. (იწყება სიმღერა და ერთმანეთის მოპატივება).

ენუქა — ეჰ, კაცს ბედი არ გინდა!.. (ენუქა და 1-ლი კოლმეურნე მიდიან).

ციცინათელა — ახალგაზრდებო, ქალაქიდან ჩამოსულ ამხანაგებს ზეიმით შეგხვდეთ, ხვალ კი მინდვრებში მივცეთ მხარი. (ყველანი აპირებენ წასვლას).

შ ი ნ ა ა რ ხ ი

<u>ყვარყვარე თუთაბერი</u> (კომედია 4 მოქმედებად)	3
<u>კოლმეურნეს ქორწინება</u> (კომედია 3 მოქმედებად)	69
<u>დავით შერვე</u> (კომედია 4 მოქმედებად)	131
<u>დიმიტრი მეორე</u> (ეპიზოდი)	229
<u>სამი ასული</u> (ლირიკული დრამა სამ ნაწილად)	269
<u>ციცინათელა</u> (კომედია 4 მოქმედებად)	293

რედაქტორი ილ. ხოშტარია
მხატვარი რედაქტორი ს. ბოტკოველი
ტექრედაქტორი შ. იამანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/X.I-54.
უე 17313. ტირაჟი 10000. შეკვეთის № 805.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 22,75.
ანაწყოების ზომა 60X10. ქალაქის ზომა 60X92.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.